

ივანე იმნაიშვილი  
პახტანზ იმნაიშვილი

# ზმნა ძველ ქართულში

ნაწილი II

მინის ფრანკფურტი  
1996

წივში ღიდალი ფაქტობრივი მასალის შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე განხილულია ძველი ქართული ზმნის ყველა მნიშვნელოვანი კატეგორია, გამოვლენილია უღლების ძირითადი კანონზომიერებანი. წარმოჩენილია რიგი თავისებურება, რომლებიც აქედე სპეციალური კვლევის საგანი არ ყოფილა, ახლებურადა დასმული და გადაწყვეტილი ზმნის ფორმათა წარმოებასთან დაკავშირებული ზოგიერთი პრობლემა; წარმოდგენილია მრავალრიცხოვანი ტაბულა და პარადიგმა ზმნურ ფორმათა წარმოების ყველა ტიპის უკეთ შესასწავლად.

ღიდი მოცულობის გამო წიგნი გამოდის ორ ნაწილად. პირველში შევიდა ზმნის პირსა და რიცხვთან დაკავშირებული საკითხები, მამაკალი ღროის გამოხატვის საშუალებანი, მწკრივთა წარმოება, ენებითი და საშუალი გვარის ზმნათა თავისებურებანი. მეორეში განხილულია ასპექტი, ქკევა, კონტაქტი, ფუძემონაცვლე ზმნები, რთული ზმნები და ზმნის უპირო ფორმები—საწყისი და მიმლეობა.

რედაქტორები:

აროშ. იოსტ გივარტი

აროშ. ზურაბ ჟუმბურიძე

ღოც. რუბენ ენოხი (ენუთაშვილი)

Iwane Imnaischwili, Wachtang Imnaischwili

Das altgeorgische Verbum

II. Teil

Alle Rechte vorbehalten

Copyright © 1996

Wachtang Imnaischwili

Frankfurt a/M



## IX. ასპექტი

ასპექტი ერთ-ერთი ძირითადი ზმნური კატეგორიაა, რომელიც მკვეთრად ასხვავებს ძველსა და ახალ ქართულს. ასპექტის გამოხატვა ძველ ქართულში სულ სხვა პრინციპზე იყო დამყარებული, ვიდრე ახლა გვაქვს. დღეს სრულ ასპექტს ზმნისწინი გამოხატავს: ზმნისწინიანი ფორმები სრული ასპექტისაა (დაწერს, დაწერდა, დაწერდეს, დაწერა, დაწეროს, დაწერია, დაწერა...), ხოლო უზმნისწინიანი — უსრულისა (წერს, წერდა, წერდეს, წერა, წეროს, უწერია, ეწერა...). ეს წესი დღეს საყოველთაოდ ცნობილია. ძველ ქართულში ზმნისწინს (სრული) ასპექტის გამოხატვა არ შეეძლო: წერს და დასწერს, წერდა და დასწერდა, წერდეს და დასწერდეს — ყველა უსრული ასპექტის ფორმა იყო. მაშ, რა გამოხატავდა ძველად ასპექტს? ძველ ქართულში ასპექტის გადმოცემა დაკისრებული ჰქონდა სერიებს: I სერიის ფორმები, ყველა, ზმნისწინიანი იყო თუ უზმნისწინი, უსრულ ასპექტს გამოხატავდა, ხოლო II სერიის ყველა მწკრივის ფორმა, ზმნისწინიანი იქნებოდა თუ უზმნისწინი — სრულს. ამის მიხედვით ძველ ქართულში უსრული ასპექტისა იყო: ჭამს და შემეჭამს, ჭამდა და შემეჭამდა, წერდის და დასწერდის, ტეხდეს და განსტეხდეს ... ეს იმიტომ, რომ ყველა ეს ფორმა I სერიაში შედიოდა. თუმცა ზოგი ზმნისწინიანი იყო, ზოგი — უზმნისწინი. მეორე მხრივ, იქ სრული ასპექტისა იყო: ჭამა და შეჭამა, წერის და დაწერის, ტეხოს და განტეხოს ... იმიტომ რომ ყველა ეს ფორმა II სერიაში შედიოდა, თუმცა აქაც ზოგ მათგანს ზმნისწინი ჰქონდა, ზოგს — არა. ასპექტის გადმოცემის ეს წესი ბერძნულ სისტემად არის სახელდებული, რადგანაც (ძველ) ბერძნულშიც სრულ ასპექტს მთელი სერია, ე.წ. აორისტის წყვეტილი გამოხატავდა. ხოლო უსრულ ასპექტს — აწმყოს წყვეტილი.

a) აი, რამდენიმე მაგალითი, როცა I სერიის ფორმები (უზმნისწინი და განსაკუთრებით, ზმნისწინიანი) უსრულ ასპექტს გამოხატავს:

მე მიგაჯლინებ თქვენ. ვითარცა ცხოვართა, შორის მგელთა (მ. 10.16; ლ. 10,3 = გგზავნი); მე აღვითქუამ თქვენ. ვითარცა მე აღმითქუა მამამან ჩემან სასუფეველი (ლ. 22.29 = გპირდები); აღვითქუამ უსრული ასპექტია, თუმცა ზმნისწინიანია. მთავარია ის, რომ იგი I სერიის (აწმყოს) ფორმაა; ამავე ზმნის წყვეტილის ფორმა აღმითქუა კი სრული ასპექტისაა, რადგან იგი II სერიას განეკუთვნება.

ამა ესერა არს საძი წელი, ვინაითგან მოვალ და ვეძიებ ნაყოფსა ლელუსა ამას შინა და არა ეპოვე (ლ. 13.7 = მოვდივარ). ზმნისწინიანი მოვალ და უზმნისწინი ვეძიებ ორივე უსრული ასპექტისაა. რადგან ორივე I სერიის (აწმყოს) ფორმაა. ხოლო უზმნისწინი ეპოვე სრულ ასპექტს გამოხატავს. რადგან ის II სერიის მწკრივია — წყვეტილი.

რამ არს საქმდ შენი და ვინაი მოხუალ შენ. ანუ რომლისა სოფლისაი ხარ შენ, ანუ რომლისა ერისაი (იონა 1,8 = მოდიხარ). აქ ყველა ზმნა უსრული ასპექტი-

სა. რადგან ყველა I სერიაში (ანწყოში) დგას: ამთვან არს, ხარ უზნისწინოა (ესენი ზნისწინით საერთოდ არ იხმარება). მოხუალ — ზნისწინიანი.

თაქსა თიქსსა ძედ ღმრთისად გამაჩინებს და ტაძარსა ღმრთისასა მამულად იჩემებს (ევსტ. 152.14 = აჩენს, თელის, მიანია). გამაჩინებს ფორმას ისეთი ასპექტური მნიშვნელობა აქვს, როგორც იჩემებს-ს: ორივე უსრულია. ამიტომ, რომ მათი გვერდიგვერდ დგომა არავითარ უხერხულობას არ იწვევს.

აპ. ჩუენების მხილველი იგი მოუალს (დაბ. 37.19 = მოდის); /შუშანიცი/ სიკუდილდ კერძო უფრო საგონებელ არს, ვიდრე სიციცხლით, რამეთუ შიმშილითა უფროის ხოლო მოკუდების (შუშ. 139.1 = უფრო შიმშილით კედება).

აპ ესერა დაგმდების თქვენ სახლი თქვენი ოვრად (მ. 23.38 C = გარებათ). DE-ში გარდამავალი ზნაა: დაუტევებთ თქვენ სახლთა თქვენთა ოვრად. დაუტევებთ = ტოვებთ. ბერძნულში პასივია (ἀφίεται ἑμῖν ὁ οἶκος ὑμῶν, რასაც ზუსტად მისდევს აღმის ოთხთაქი). ყველა ფორმას ერთი აქვს საერთო: ასპექტი უსრულია, დრო ახლანდელია.

ნუ დასთხვეთ სისხლსა... ევლსა ნუ მიყოფთ მის ზედა (დაბ. 37.22 = ნუ ღვრით).

ნუ განიკითხავთ, რადთა არა განიკითხნეთ, და ნუ დასჯით, რადთა არა დაისაჯნეთ (ლ. 6.37 B = ნუ ასამართლებთ, მსჯავრს ნუ სდებთ. D-ში მეორე ზნა უზნისწინოდ არის ნახმარი: ნუ კშჯით. და მართლაც, კშჯით და დასჯით მნიშვნელობით ერთი იყო ძველ ქართულში, ორივე უსრულ ასპექტსა და ახლანდელ დროს გამოხატავდა).

რომელი შეკჭამენ სახლსა ქურიეთასა და მიზეზით შორად ილოცვენ, ამათ მიიღონ უმეტესი სარჩელი (ლ. 20.47 C = ჭამენ, ლოცულობენ). მაგრამ იქვე წარმოდგენილი მესამე ზნა (მიიღონ) სრულ ასპექტს გადმოსცემს (= ისინი მიიღებენ), რადგან იგი II სერიისაა (II კავშ.).

აქამდე აწყოს მაგალითები გეჭონდა საანალიზოდ. რაც აწყოზე ითქვა, იგივე შეიძლება გაეიმეოროთ I სერიის სხვა მწკრივების შესახებაც: ამ მწკრივების ფორმებიც, ზნისწინიანი და უზნისწინო, უსრულ ასპექტს გამოხატავს. ამიტომ ქვემოთ მხოლოდ უწყვეტელსა და I კავშირებითზე გვექნება საუბარი, ისიც ძალიან მოკლედ.

ქვერ განვიხილოთ უწყვეტელის მაგალითები.

განვიზრახვედ გზათა შენთა (ფს. 118.59); ამას რად ვიტყოდე, ვევედრებოდე მათ. რადთამცა ენახენ პირნი მათნი (კიმ. II, 77.15 = ვამბობდი, ვევედრებოდი); განსწავლულ ვიყავ მუჯულითა მით მაჰმედისათა და ვცხონდებოდე მას შინა, ვიდრე უმეტრებასა შინა ვიყავ (აბო 168.7 = ვცხოვრობდი).

რომელიცა წყობით ველმწიფეთა დაიმორჩილებდ (ხანძთ. 214.12 = იმორჩილებდი. იმონებდი, იყრობდი); ესა რომელი დაარლუვედ ტაძარსა მას და მესამესა დღესა აღაშენებდ (მრ. 15.29 = არლუვედი, აშენებდი). მათეს თავეში "დაარლუვედ" სხვა ფუძითა შეცვლილი: აპ რომელი დაქსნიდ ტაძარსა მას (მ. 27.40 DE); C-ში აქაც დაარლუვედ იკითხება. ეს სხვადასხვა ფუძეა, მაგრამ ასპექტი ორივეგან ერთი და იგივეა — უსრული.

ხოლო სანატრელი იგი გოდებდა და დაადენდა ცრემლთა სუეტსა მას ზედა

(მოქც. 233,27). ამ ორი ზმნიდან ერთი ზმნისწინანია, მეორე — უზმნისწინო, ასპექტი კი ორივეს ერთი აქვს — უსრული: ზმნები I სერიისაა.

ხოლო მან რაი იხილა, შეძრწუნდა სიტყუას მისსა და განიზრახვიდა (ლ. 1,29 = ფიქრობდა). ორი დანარჩენი (იხილა, შეძრწუნდა) II სერიის ფორმაა და ცხადია, ასპექტი სრულია.

ხოლო წმიდაი იგი მარტული ღუმლით მენედ მითუაღვიდა მახვლსა (აბო 171,35 = ლებულობდა); მოვიდეს საფლავსა მას და მოხაქუნდა, რაი-იგი მოხეშადა (ლ. 24,1 X = მოქონდათ); მტკუარმან გარდამოხეთქა და წარაქონდა საშინელად ქალაქი იგი (მოქც. 233,31 = მოქონდა); მოილო ჰური ... მიხცებდა მათ (ლ. 24,30 X = აძლევდა); ძღუნად თავსა თვისსა შესწირვიდა მეფისა მის ბიძართ (შუშ. 133,19 = სწირავდა თავს); ჩუენლა ამას განვიზრახველით, მოვიდა ყრმაი ერთი და თქუა (შუშ. 137,18 = ფიქრობდით); რა-ჟამს განვიზილველით ჯორცთა წმიდათა მათ მოწამეთასა (ისტ. ჟრ. I, 178,43 = ვათვლიერებდით, ვნახულობდით); ეპკონებლით ჩუენ მოსლევასა ქარისასა და წარვიდოდეთ მათ თანა. არამედ ინება ღმერთმან უსნაი ჩუენი: ვივლტოდეთ ღამით ამით ძელითა და მოველით თქუენდა (იქვე, 132,35 = ფიქრობდით, მივლიოდით, გაერბოდით). გარდასდებდეს ჭურჭელსა მათსა ზღუად (იონა 1,5 = ყრიდნენ); რაოდენ იგი ამცნებდა მათ, იგინი უფროის მიმოსდებდეს (მრ. 7,31), თუმაკ ერთს ზმნისწინი აქვს, მეორეს — არა, მაინც ეს ორი ზმნა ერთმანეთთან კარგად გრძობს თავს: მათ ერთნაირი აქვთ ღრო (წარსული), მწკრივი (უწყებელი) და ასპექტი (უსრული); მოწაფენი მისნი მოპჭირიდეს თავსა ვუეილისასა, მუსრვიდეს ველითა და ჭამდეს (ლ. 6,1). აქაც ერთმანეთის გვერდით ღგანან ზმნისწინანი მოპჭირიდეს (= ჭირიდნენ, წყვეტდნენ) და უზმნისწინო (მუსრვიდეს, ჭამდეს) ფორმები. ყველა უსრული ასპექტისაა. აქ თამამად შეიძლება შემოჭამდეს ყოფილიყო.

აღნიშნულ წესს მისდევს I კავშირებითიც: ამ მწკრივში მღგრი ყველა ფორმა, ზმნისწინანი იქნება თუ უზმნისწინო, უსრული ასპექტისაა. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ რამდენიმე ნიმუშს:

გიძლავს შესუმად სასუმელიას მის, რომელსა მე შეესუმიდე? (მ. 20,22 C); ხოლო თუ განამარტნე სასენელნი შენნი და გულს-მოდგინედ ისმენდე, მეცა უწყინოდ ყოველი გითხრა და გაცნობო (ევესტ. 148,37). აქ + ზმნური ფორმიდან სამი II კავშირებითში ღგას (განამარტნე, გითხრა, გაცნობო); ხოლო ერთი — I კავშირებითში (ისმენდე). პირველთ სრული ასპექტი აქვთ, მეორეს (ჩეენთვის ამჟამად საჭირო მაგალითს) — უსრული; სადაითმე მოგელოდი, აღმოსავალითმე ანუ დასავალით, ჩრდილოითმე ანუ სამხრით (ხანძთ. 214,10); მოვიდეს უფალი იგი მონისაი მის ღღესა, რომელსა არა მოგელოდის (მ. 24,50). მოგელოდის, რა თქმა უნდა, უსრული ასპექტია, ამას მისი შინაარსიც განსაზღვრავს: ლოდინი თავისთავად უსრულია. თუ დასრულდა, მაშინ იგი ლოდინი აღარაა. ბუნებრივია, რომ ამ ფუძეს II სერიის ფორმები არა აქვს; რაი-იგი შეჰკვანდეს, მან უყოს (ევესტ. 145,10); წარავლინნა წინაით მკერცხლმაეალნი, რაითა განამზადებდენ ვ ზათა (ზარზმ. 192,32); წყალობითა შენითა, უფალო, უკუნისამდე უგალობდე, თესლითი თესლამდე მოუთხრობდე ჭეშმარიტებასა შენსა პირითა ჩემითა (ფს. 88,1); რაითა ... შიშით და ძწოლით მივეახლებოდით და შეხუერდეთ და ხუმაღლობდეთ და აღვიარნეთ ცოდვანი ჩუენნი

და ცრემლით ვეგლოვდეთ უმჯულოებათა ჩუენთა და დიდსა ლოცვასა შეხუწირვით უფლისა მიმართ (ისტ. ქრ. I, 46,30); ნუკა დაუდებთ მარგალიტსა თქუენსა წინაშე ღორთა, რადით არა დათრგუნონ იგი ფერვითა მათითა და მოგექცენ და განგხეთქდენ თქუენ (მ. 7,6 C). DE-ში უკანასკნელი ზმნა II კავშირებითში დგას, მაშასადამე, სრული ასპექტისაა: განგხეთქენ. უფრო მართებული სწორედ DE-ს წაკითხვა უნდა იყოს: რალა დაყოენება და დაუსრულებელი დრო დასჭირდებოდა ღორების მიერ კაცის გაგლეჯას? შდრ. ბერძნ. ῥήγασιν, რუს. угод... не растерзан. III нач: მრავალნი მოვიდოდან სახელითა ჩემითა და იტყოდან (ლ. 21,8). აქაც უსრული ასპექტი ტექსტის შინაარსით არის შეპირობებული: ეს "მრავალნი" ერთდროულად კი არ მოდან, არამედ სხვადასხვა დროს და ხშირად, უწყვეტად. ამიტომ მა აქ მოვიდოდან და არა მოვიდენ, იტყოდან და არა თქუან.

b) II სერიაში, როგორც ნათქვამი იყო, ყველა ზმნა სრულ ასპექტს გამოხატავდა. სულ ერთია, ქქონდათ თუ არა მათ ზმნისწინი. ასეთია, მაგალითად, წერა და დაწერა. ჭამეს და შეჭამეს (წყვეტ.). ევით და მიევით (II ბრძ.), ჭამოს და შეჭამოს (II კავშ.) და სხვ. ქვემოთ მოვიყვანთ სათანადო მაგალითებს ზემოთ აღნიშნული სამივე მწკრივისას.

**წამატებითი:** ხოლო ესე ვიკადრე და ვთქუ (ისტ. ქრ. I, 250,1 =გაებდე, ვთქვი); ვსუ და აქლებთაცა ჩემთა ასუა (დაბ. 24,46 =ვსვი, ასეა); აქ ასპექტი სრულია. თუმცა ზმნა უზმნისწინოდ არის ნახმარი. ზმნისწინანი შევსუ (მ. 26,42 C), რალა თქმა უნდა. აგრეთვე სრული ასპექტისაა; მე ვიხილე და ვწამე, რამეთუ ესე არს ძმ ღმრთისაი (ი. 1,34 =ვენახე, დაუდასტურე); ხოლო მე შევიყრენ და შენ, უფალსა. მოგიდღუენენ (ევსტ. 145,33); მითხარ მე, სადა დასდევ (ი. 20,15); უფალო ღმერთო ჩემო. განსდიდენ ფრიად, აღსარებამ და დიდად შეუნიერებამ შთაიკუ (ფს. 103,1); ევე კეთილად სთქუ, რამეთუ ვარ მე ბუნებით სარკინოზ (აბო 168,5 =კარგად თქვი); ხოლო შენ არქუ მონათა შენთა (დაბ. 44,21 =უთხარი); წარსწყმიდე თავი შენი და ჩუენცა წარგუწყმიდენ (შუშ. 135,10 =დაღუე, ჩუენც დაგელუე); შენ სწავლულნი უფროის გულისხმიერ ქყვენ, შერყეულნი უფროის განამტკიცენ, განმტკიცებულნი განამხიარულენ (აბო 176,39); აღდგა ელია, ჭამა და სუა და წარემართა ძალითა საზრდელისაითა (სინ. 128,22). აქ ჭამა და სუა უზმნისწინოდ არის ნახმარი და მაინც სრულ ასპექტს გამოხატავს, რადგან II სერიის ფორმებია. ზმნისწინიანი ფორმებიც, რასაკვირველია, სრული ასპექტისაა; რომელმა აღაშქნა სახლი მიწასა ზედა თვნიერ საფუძველისა (ლ. 6,49); მე, ფარნავაზ, და აზარუხტ შეხუბთ ესე კარი სალოცველად სულთა ჩუენთათვის (ისტ. ქრ. I, 14); ოდეს სადა გიხილეთ სნეული ანუ საყრობილეს შინა და მოვედით შენდა? (მ. 25,39 C); გარქუთ უფალსა ჩუენსა. ვითარმედ: გვეის ჩუენ მამაი მოხუცებული (დაბ. 44,20). ხაზგასმული ზმნა ფუძემონაცვლეა, იხმარება მხოლოდ II სერიაში, ამიტომ, ცხადია, სრული ასპექტისაა (I სერიაში მას ტყუ ფუძე ენაცვლება: მეტყევს, მეტყოდა, მეტყოდეს). მისი სინონიმა თხარ ძირის ფორმები: უთხარ, უთხრა (რომლებიც I სერიაშიც გვაქვს: უთხრობს, უთხრობდა...). მაგალითად: უთხართ მას ჩუენებამ და მან განგემართა ჩუენ (დაბ. 41,12); შეგკრიბენით გუამნი იგი მათნი ერთსა ადგილსა (ისტ. ქრ. I, 187,41); რომლისათვის თქუენ აღზღვეით და საკრეელითა შეხკართ იგი

და მოხკალთ და ხოქეთ (იქვე, 34,4); რადსათვის მომავეთ მე ბოროტი კეთილისა წილ? რადსათვის მიმარეთ ბარძიმი ჩემი ვეცხლისა (დაბ. 44,4 = რატომ მომარეთ); მოვიდეს მფრინველნი ცისანი და შეჭამეს იგი (მ. 13,4; მრ. 4,4). მაგრამ სრული ასპექტისა აგრეთვე უზნისწინო ჭამეს: ჭამეს ყოველთა და განძლეს (მ. 14,20; მრ. 6,42); ხოლო მათ დაიძეს სამოსელი მათი და აკიდეს კაცად-კაცადმან ტვრთი თქსი კარაულსა და მიიქცეს ქალაქად (დაბ. 44,13).

ჩვენ განვიხილეთ, თუ როგორ იწარმოება სრული ასპექტი წყვეტილში. წყვეტილი II სერიის ძირითადი (სხვა მწკრივთა საყრდენი) მწკრივია. ამიტომ ამ ერთი უმთავრესი მწკრივის მაგალითების ანალიზი საკმარისი იქნებოდა, რომ მთელ სერიაზე მიგველო საერთო წარმოდგენა. მაგრამ სურათის სისრულისათვის ძალიან მოკლედ წარმოვადგენთ II ბრძანებითისა და II კავშირებითის სათანადო მაგალითებსაც.

## II ბრძანებითი

ა) II პირისა: ხოლო შენ აღდევ და ვილოდე აღმოსავალით (მოქც. 229,1). აქ ორი ზმნაა. ორივე ბრძანებითშია: აღდევ და ვილოდე. აღდევ II სერიის ფორმა (II ბრძანებითია) და სრულ ასპექტს გამოხატავს, ვილოდე I სერიას ეკუთვნის (I ბრძანებითია) და უსრული ასპექტისაა. კილო კი ორივეგან ერთია — ბრძანებითი; აღავსენით ძაძანი თქუენნი იფქლითა და წარველით ქუეყანად ქანანისა და წარმოიყვანეთ მამა თქუენნი...და მოველით ჩემდა (დაბ. 45,17-18); ხუთხართ ძმათა ჩემთა (მ. 28,10 X); განაშზადენით გზანი უფლისანი და წრფელ ყვენით ალაგნი მისნი (ლ. 3,4); განმეშორენით ჩემგან ყოველნი მოქმედნი სიცრუისანი (ლ. 13,27).

ბ) III პირისა: ქსწყურის თუ ვისმე, მოველინ ჩემდა, სუნ (ი. 7,37 C = მოვიდეს, სვას); წმიდა იყავნ სახელი შენი, მოველინ სუფევაი შენი (ლ. 11,2); ქრისტემან უმეტესად დიდებით დაიცეონ მეფობაი შენი (ხანძთ. 211,37 = დაიცეას); მივიდედ მის თანა მტეველნიცა იგი საყრობილისანი მის (კიმ. I, 147,19); ხუთეული აღილედ ყოელისა ქუეყანისა ეგვპტისაისა...და შეკრიბედ ყოელივე საზრდელი შვდთა მათ წელთაი (დაბ. 41,34-35); შეკვედრნედ სულნი თვისნი კეთილისა საქმითა (1 პეტ. 4,19 ო = მიაბარონ).

II კავშირებითი: გამოვედ შენ მაგიერ ქუეყანით და წარვიყვანო შენ სხუად ქუეყანად და განგამრავლო შენ და აღგაორძინო შენ დიდად ფრიად და გყო მამად ნათესავთა მრავალთა (ეესტ. 149,1); აწ უკუეთუ განაქურნო მთავარი ესე, განგამდრო და გყო მკედრ მცხეთას შინა მსახურად არმაზისა (მოქც. 252,13; უკუეთუ არ დახუდვა უელი ჩემი გუერდსა მისსა, არასადა მრწმენეს (ი. 20,25 X); ხოლო ჩუენ ვესავთ, ვითარმედ იგი არს, რომელმან ოცნეს ისრაელი (ლ. 24,21); ნუკუე მათცა კულად გხადონ შენ (ლ. 14,12); დავარღვენე საუნჯენი ჩემნი და უფროისნი აღვაშენე (ლ. 12,18); საბილა დღენი წარუდენ. და მოგვეუთოს ფარაო თაეი შენი შენგან და დამოკიდლოს შენ ძელსა, და შეჭამენ მფრინველთა ცისათა ჯორცნი შენნი (დაბ. 40,19 = გაეა. მოგვეუთოს, ჩამოკიდებს, შეჭამენ).

ეს მტკიცე წესი მოქმედებდა ძველ ქართულ ენაში, ყველა ზმნა ასპექტის გამოხატვის საქმეში მას ემორჩილებოდა: I სერიაში მდგარი უსრულ ასპექტს უჩვენებდა, II სერიაში — სრულ ასპექტს. ამ სისტემას, როგორც ნათქვამი გვქონდა, ბერძნულ სისტემას უწოდებენ, რადგან იგი ძველი ენებიდან ყველაზე გამოკეთილად

ძველ ბერძნულს ახასიათებდა.

მაგრამ შემდეგში ასპექტის გამოხატვის წესი ქართულში შეიცვალა და ასპექტის გადმოცემის მთელი სიძიძე ზმნისწინებმა იკისრეს: ზმნისწინიანი ფორმები სრული ასპექტისა გახდა. უზმნისწინონი — უსრულისა. დღევანდელ ქართულში სწორედ ეს სისტემაა დაფუძნებული. დღეს (ზოგი გამონაკლისის გარდა) უსრული ასპექტისაა უზმნისწინო ფორმები. სულ ერთია, რომელ სერიას მიეკუთვნებიან — პირველს, მეორეს თუ მესამეს, ხოლო სრულ ასპექტს გადმოსცემს ზმნისწინიანები, იმისდა მიუხედავად, თუ რომელი სერიის ფორმით იქნებიან მოცემული. ამის მიხედ-

	<u>უსრული ასპექტისაა</u>	<u>სრული ასპექტისაა</u>
I ს.	წერს, ჭამს, ღრეკს წერდა, ჭამდა, ღრეკდა წერდეს, ჭამდეს, ღრეკდეს	დაწერს, შეჭამს, მოღრეკს დაწერდა, შეჭამდა, მოღრეკდა დაწერდეს, შეჭამდეს, მოღრეკდეს
II ს.	წერა, ჭამა, ღრიკა წეროს, ჭამოს, ღრიკოს	დაწერა, შეჭამა, მოღრიკა დაწეროს, შეჭამოს, მოღრიკოს
III ს.	უწერია, უჭამია, უღრეკია ეწერა, ეჭამა, ეღრიკა ეწეროს, ეჭამოს, ეღრიკოს	დაუწერია, შეუჭამია, მოუღრეკია დაეწერა, შეეჭამა, მოეღრიკა დაეწეროს, შეეჭამოს, მოეღრიკოს

ეს არის ასპექტის გამოხატვის სლაური სისტემა, როცა ზმნისწინიანი ფორმები სრული ასპექტისაა, ხოლო უზმნისწინონი — უსრულისა. ასეა ეს დღეს რუსულსა და სხვა სლაურ ენებში. შღრ. მაგალითად: рисует, рисовал (უსრული) და нарисует, нарисовал (სრული). ასპექტის გამოხატვის საქმეში ერთი (ბერძნული) სისტემიდან მეორე (სლაურ) სისტემაზე გადასვლას ა.შანიძე უწოდებს დიდ მოხვეულს (поворот) ქართული ენის განვითარების ისტორიაში<sup>264</sup>.

როდის მოხდა ეს ცვლილება? საიდან იწყება ეს დიდი მოხვეული? ზმნისწინიანი ფორმების მიერ სრული ასპექტის გადმოცემის სათავე თვით ძველსავე ქართულში ძვეს: სწორედ იქ დაიწყო ეს პროცესი, მერმე თანდათანობით გაღვივდა და განვითარდა. ხოლო ახალ ქართულში იგი უკვე მტკიცედ ჩამოყალიბებულ სისტემას წარმოადგენს.

ენახოთ რამდენიმე ნიმუში, როცა ზმნისწინიანი ფორმები I სერიისა (განსაკუთრებით აწმყოსი) თვით ძველ ქართულში სრულ ასპექტს (და მოძვეალ დროს) გამოხატავს.

უპირველეს ყოვლისა, ეს პროცესი უფრო კარგად ჩანს მოძრაობის, სვლის გამოხატვულ ზმნებში. მაგალითად: თქვენ აღვედით დღესასწაულსა ამას, ხოლო მე არა აღვალ დღესასწაულსა ამას (ი. 7,8). აღვალ აქ სრულ ასპექტსა და მოძვეალ დროს გულისხმობს. აღიშურში ისევე ძველებური II კავშირებითი გვაქვს: მე არა

<sup>264</sup> А.Шанидзе. Изменение системы выражения глагольной категории вида в грузинском и его последствия: сб.м. ტ. III, №9, 1942, გვ. 258; მისივე. საფუძვლები, გვ. 271; 5 აგრეთვე ზ.ჭუბუჩიძე. მყოფადი ქართველურ ენებში, 1986.

აღვიდე. აღვიდე და ალვალ ორივე სრული ასპექტისა და მომავალი დროის გამოძახატველი ფორმა: პირველი ძველ წესს მისდევს. მეორე — ახალს. ვევეე ზნა მრავლობითშიც გვაქვს ძველი და ახალი სახით: მოვლენან დღენი, ოდეს აღმაღლდეს მათგან სიძც. და მაშინ იმარხვიდენ (მ. 9.15 DE). აღიშის ოთხთაეი აქაც ძველი წესის ერთგულია და II კავშირებითს მიმართავს: მოვიდენ დღენი.

ოთხთაეში ერთი ადგილი ნასესხებია ზაქარიას წინასწარმეტყველებიდან (13.7), ამიტომ ამბობენ ავტორები, "წერილ არსო". ეს ადგილია: დავსცემ მწყემსსა. და განიბნინენ ცხოვარნი (მ. 26.31 DE). დავსცემ აწმყოს ზნისწინიანი ფორმა და აქ სრულ ასპექტსა და მომავალ დროს გადმოსცემს. ორივე ეს კატეგორია ახალი წესით არის გამოხატული. შდრ. *поражу пастыря, и рассеются овцы*. ვევეე ადგილი მეორეგანაც გეხვდება ოთხთაეში (მრ. 14.27). მაგრამ იქ უკვე DE-შიც ძველებური "დავსცე მწყემსი" იკითხება. როგორაა იგი წარმოდგენილი სხვა ოთხთაეებში? ახალი დავსცემ ორივეგან აქვს ტბეთის ოთხთაეს. იგივე ახლებურად ნაწარმოები დავსცემ პირველ შემთხვევაში (მ. 26.31) აქვს კიდევ ურბნულ. პალესტინურ. ქნისის ოთხთაეებს, ხოლო ძველებური "დავსცე მწყემსი (მწყემსსა)" — აღიშის. ოპიზის, მესტიის, ვანის, ეზმადინის, გელათის, ბერთის, ალავერდის ოთხთაეებს. მეორე შემთხვევაში კი (მრ. 14.27) ყველას (ტბეთის გარდა) ძველებური დავსცე მოეპოვება. ამგვარად ჩვენ მიერ განხილული 14 ხელნაწერიდან ახალი "დავსცემ მწყემსსა" მათეს თავში ნ-ს მოეპოვება. 8-ს ძველებური "დავსცე მწყემსი (მწყემსსა)" აქვს. მარკოზის თავში დავსცემ ერთადერთ ტბეთის ოთხთაეს აქვს, სხვა 13-ს კი ისევ ძველებური დავსცე შემორჩა. ასე რომ, ასპექტის გამოხატვის ახალი სისტემა თვით ძველ ქართულშია ჩასახული. მაგრამ. ბუნებრივია. იგი ჯერ კიდევ მკრთალად გამოიყურება, შემდეგში და შემდეგში კი თანდათან ვითარდება და ძლიერდება. ეს პროცესი საშუალ ქართულში უფრო დაჩქარებით მიმდინარეობს და არსებითად მკვიდრდება, ხოლო დღევანდელ ქართულში იგი საბოლოოდ დაფუძნდა და ურყევ სისტემად იქცა.

რამ შეუწყო ხელი ასპექტის გამოხატვის ამ ახალი (სლავური) სისტემის გამარჯვებასა და საბოლოოდ დამკვიდრებას? ა. შანიძის აზრით, ამ საქმეში გადაწყვეტი როლი უნდა ეთამაშა ზნასთან ზნისწინის მჭიდროდ დაკავშირებას, მასთან შერწყმას, ზნის განუყოფელ ნაწილად ქცევას. კიდევ ერთხელ მოვიგონოთ, რომ ძველ ქართულში ზნისწინი შეიძლებოდა ზნას მოსცილებოდა, ცალკე მღვარყო, მათ შორის სხვადასხვა ხასიათის სიტყვები მოთავსებულყო, როგორც, მაგალითად. ამ ნიმუშებში: აწ გან-მე რას ზედა-ვარისხე ძმაი ჩემი (ისტ. ქრ. II. 7.7); მო-ლა თუ ვინმე-გაკუდინოს შენ, გზაივე შენი იგი არს (სინ. 221.11); გან-ხოლო თუ ვითარიკურნოს (იერ. 51.8); და-ხოლო ნუ ვის-ვიმონებთ სიკრუეით (ისტ. ქრ. II. 34.19). რაღა გასაკვირია, ზნისაგან ასე დამორებულ და ვათიშულ ზნისწინს ძალა და შესაძლებლობა აღარ ქქონოდა, ჩარეულიყო ზნის რთული კატეგორიების წარმოების ძნელ საქმეში. მაგრამ როცა ტმესი მოიშალა, ზნისწინი ზნას მჭიდროდ დაუკავშირდა და მისი განუყოფელი ნაწილი გახდა. მანაც იწყო ზნის ფორმათა განსხვავება — თავს იდვა სრული ასპექტის წარმოება (წერდა — დაწერდა. ჭამა — შეჭამა), აწმყოს მწყერიზე დართვით მომავალი დროის გამოხატვა (წერს — დაწერს, ჭამს — შეჭამს).

აი. ამ პროცესის დასაწყისი და სათავეა მოცემული ზემოთ წარმოდგენილ მაგალითებში (მოვლენან დღენი, დავსცემ მწყემსსა ...).

მეორე მხრივ, ა. შანიძის აზრით, ეს პროცესი დააჩქარა წინა აზიის კულტურულ ერებთან კავშირის შენელებამ და კავკასიის ერებთან დაახლოებამ.

ზემოთ, როცა მომავალი დროის წარმოებას ვეხებით, ამ საკითხზე ვრცლად გვაქვს ლაპარაკი და განმეორება რომ არ გამოგვივიდეს, აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

ასპექტის გამოხატვის ძველი ქართული სისტემის გადმონაშთი შემორჩენილია ახალ ქართულშიც. დღეს მოგვეპოვება ზოგი ზმნა, რომელთაც ზმნისწინი არ ერთვის მაგრამ ძველებურად მაინც სრულ ასპექტს გამოხატავს, რადგან II სერიის (წყვეტილის) ფორმით იხმარება. ასეთი ზმნებია, მაგალითად: ბრძანა, თქვა, უთხრა, ჰკითხა, სთხოვა, ნახა. ქნა, სცემა (+სცა), იხილა. ესენი დღესაც სრულ ასპექტს გადმოსცემენ. თუმცა ზმნისწინი არა აქვთ.

ეს შეიძლება შემდეგით აიხსნას:

ა) თქვა, უთხრა (პრქვა) ფუძემონაცვლე ზმნებია: თქვა-ს (თქვა-ს) თავისი ფუძის ფორმები არა აქვს I სერიაში, აქ მას ენაცვლება სხვა ფუძე: იტყვის, ეტყვის, რომელიც უსრული ასპექტისაა ძველ ქართულში.

ბ) ჰკითხაც ასეთია არსებითად. მართალია, ამის გვერდით გვაქვს ზმნისწინიანი დაკითხა, მაგრამ ჰკითხა და დაკითხა არ უპირისპირდება ერთმანეთს, როგორც ჩვეულებრივი ზმნისწინიანი და უზმნისწინო ფორმები (ეთქვათ, ასეთი: წერა და დაწერა, ჭამა და შეჭამა...). დაკითხა სხვა, ახალი, მნიშვნელობის ზმნაა. ამიტომ დღეს ორივე სრული ასპექტისაა: პირველი იმიტომ, რომ მას საპირისპირო ზმნისწინიანი ფორმები არ მოეპოვება და ძველებურად სრულ ასპექტს გამოხატავს (რადგან II სერიისაა); მეორე — იმიტომ, რომ ზმნისწინიანი ფორმაა; ზმნისწინი მას სხვა მნიშვნელობას ანიჭებს. ეს ზმნისწინი მას გადასცემდა I სერიაშიც (დაკითხავს) და ფორმა იქაც სრულ ასპექტს გამოხატავს. სწორია თუ არა ეს ახსნა, დღევანდელ ქართულში ჩვენ გვაქვს გადმონაშთის სახით ძველი ქართულიდან მომდინარე გარკვეული ტიპისა და რაოდენობის უზმნისწინო ფორმები (წყვეტ.), რომლებიც დღესაც ძველებურად სრულ ასპექტს გამოხატავენ.



## X. ქცევა

1. ქცევა ერთ-ერთი უძველესი და მეტად დამახასიათებელი კატეგორიაა ქართულისათვის, ძველისა და ახლისათვის. იგი ძველი ქართულიდან დღემდე დიდი არ შეცვლილა, არსებითად იგივე დარჩა. ქართული ზმნის ფორმათა გასაოცარ სიმდიდრესა და მრავალფეროვნებას ზოგ სხვა კატეგორიასთან ერთად ქცევის არსებობაც განაპირობებს. ისეთი განსხვავებული ფორმები, როგორცაა დაწერა, დაწერა, დაიწერა, დამიწერა, დაგიწერა, დაუწერა არ გააჩნიათ ბერძნულ, ლათინურ, სომხურ, რუსულ, გერმანულ, ინგლისურ და სხვა ინდოევროპულ ენებს, რომელთაც ქცევის კატეგორია არ მოეპოვებათ<sup>35</sup>.

2. განსხვავება ქცევის მიხედვით ძველსა და ახალ ქართულს შორის თავს იჩენს მხოლოდ ცალკეულ კერძობით შემთხვევებში, მაგალითად:

ა) ძველად ამა თუ იმ ზმნასთან ზოგჯერ ერთი ქცევის ფორმა იხმარებოდა. ახლა იმავე მნიშვნელობით სხვა ქცევა ან იმავე ქცევის სხვა ფორმა გამოყენებული:

იყო	არის
მონადირა	მოინადირა
მოქრისტიანა	მოაქრისტიანა

ბ) ძველად ამა თუ იმ ზმნასთან ესა თუ ის ქცევის ნიშანი არ იხმარებოდა. ახლა კი გამოიყენება

∅	ა
წარწერეს	წაწერეს
დაყოვნა	დააყოვნა
სძაგებს	აძაგებს
დააკრეს	დააკრეს
მოაწია	მოაწია
შესწია	შეაწია
მიაწიეთ	მიაწიეთ
შემწევ	შემაწევ (შემეწევი)
მიაყარა	მიაყარა
შეკხეთქა	შეახეთქა

∅	ი/უ
აკვრდა	უკვირდა
მჭირს	მიჭირს

<sup>35</sup> ა. შანთაძემ დაადასტურა ძველ ბერძნულში ჩვენი სათავეისო ქცევის მსგავსი ფორმები: ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები. გვ. 352-353. შემდეგ ვხვდეთ აზრი გაიმეორეს ა. ურუშაძემ (ძველი ბერძნული ენა, 1969. გვ. 134-136) და თ. ვიორგოლაძემ (Медиум в древнегрузинском языке. Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата филологических наук. Тбилиси, 1974. გვ. 7-8.

დამბნულეს  
წარმოვალს

დამბნულდეს  
წამივა (+წარმივალს)

მაგრამ არ უნდა ვიფიქროთ, რომ მეორე რიგის ფორმები ძველად ჩვენს ენაში ამა თუ იმ სახით არ ყოფილა. სამეცნიერო ლიტერატურაში დამაჯერებლად არის დადგენილი, რომ, მაგალითად, დაპკრეს მიღებულია უფრო ძველი დაპკრეს ფორმისაგან. დაპკრეს → დააკრეს ჰაეს დაკარგვით. და დაპკრეს → დაპკრეს ა-ს დაკარგვით<sup>26</sup>. ასევე შემახეთქა → შეახეთქა და შემახეთქა → შეჰხეთქა<sup>27</sup>.

3. ძველად ქცევის ფორმები შედარებით უფრო მრავალფეროვანი იყო, შემდეგ და შემდეგ ამ მრავალფეროვნებამ იკლო. ასე, მაგალითად, ძველ ქართულში გვქონდა და ღლეს, ჩვეულებრივ, აღარ იხმარება სათაისო ქცევის შემდეგი ფორმები:

ითხრობენ: ამას თავთა თვისთა ნაშობ იოსების ითხრობენ (თუალთ. 94,6); თავსა თუის(ს)ა ქრისტანედ ითხრობდ (Sin. 11, 2v).

ალივლინენით: ალივლინენით მის ზედა ჰუნენი, ვითარცა სიმრავლე მკლისაი (იერ. 51,27).

შეიხო: ვითარცა შეიხო იგი მან ჯორცთა თვისთა, მუნქუესეე განიკურნა (კიმ. I, 239,3); არა შეიხნა მან გულის-სიტყუანი ცოდვისანი ამას სოფელსა (საკ. წ. II, 4,25).

შიდღინნეს: აიძულა მას, რადითა შიდღინნეს სენკელოსად პეტრე აღექსანდრიელი და იოვანე მრგუჯალი (კიმ. II, 214,29).

ვიითულებ: გარნა ვი(ი)თულებ მე თავსა ჩემსა და ვიტყვ (ასურ. 183,28 წ).

შეიწრე: შეიწრე მუცელი შენი შიმშილითა და წყურილითა (სწავ. 288,18); შეიწრე თავი შენი მარხვითა (სინ. 86,30).

მიძილე: მოსაჯული ხარ მძლე, რომელი მიძილე მოსაგრესა საშჯელად საუკუნოდ (სწავ. 220,9 A). BC-ში ჩვეულებრივი და უფრო გავრცელებული ფორმაა: მოითრეე.

იზანენ: ნუკუე დლე ყოველ იზანენ მუნველი ქუყანასა (ეს. 45,9 ლატ. სხვაგან გვაქვს ორდინარული ვზანენ).

იფლეთ: ვერ იფლეთ თქემად (უდაბ. 77vb).

იწოდოს: მართაღმან დაღათუ სამართლად იწოდოს თავსა თვისსა მართლად, არა სთნავს იგი ღმერთსა (სწავ. 170,36):

დაიკუმილა: დაიკუმილა საფასმ თვისი (სუან. 472r = დაიცვა A-95); ვიკუმილე საკუმილაეი იგი დამისაი პირველი, მეორე და მესამე, რადითამცა პირი შენი ვიხილე და თაყუანის-მცა-ვეც (აპოკრ. 19,4). ჩვეულებრივია საარვისო ქცევის ფორმები უკმილვენ რიგისა.

მიძილეთ: პრქუა თვისთა და მეგობართა: მიძილეთ მე წმიდისა მის, და მიძილეს იგი შეპუსრვილითა გონებითა (კიმ. I, 211,4 = მიიტანეს).

გამოიპარა: გამოიპარა თავი თვისი (Sin. 6, 93r). ღლეს ვიტყვით ვნებითის გაგებით: გამოიპარა იგი.

ამ სახის ფორმები ბევრია ძველ ქართულში. აქ საქმე ეხებოდა სათაისო ქცევის ფორმათა იშვიათ მაგალითებს. ეგევე ითქმის სხვა ქცევებზედაც, მაგრამ

<sup>26</sup> ა.ჩიქბაე. ზოგი პრეფიქსული წარმოების ისტორიისათვის. გვ. 151-168.

<sup>27</sup> ა. მანძე. ძველი ქართული ენის გრამატიკა. გვ. 80-81.

ახლა სანიმუშოდ ესეც საკმარისია. აქედანაც ნათლად ჩანს, რომ ძველი ქართული მდიდარია სხვადასხვა ქცევის თავისებური ფორმებით.

4. ზოგჯერ ერთსა და იმავე ფუძეს სხვადასხვა სერიაში განსხვავებული ქცევის ფორმები აქვს: ვიქმ, ვიქმოდე, ვიქმოდი (I ს.), მაგრამ: ვქმენ, ვქმნი, ვქმნე (II ს.). აქ, ქცევის ნიშნებს გარდა, ჩვენს ყურადღებას იქცევს II სერიის ფორმებზე დართული ონ სუფიქსი, რომელიც I სერიაში არ ჩანს. უეჭველია, რომ ამ სხვაობებს სხვადასხვა შორეულ ეპოქაში უნდა აქონდეს სათავე.

დღევანდელ ენაში I სერიის ფორმებს (მოშავალი დროის გაგებით) ზამ ფუძე ენაცვლება იმავე სათავისო ქცევის ფორმით: ვიზამ, იზამ, იზამს... უნდა შევნიშნოთ, რომ ამ ფუძეების შენაცვლება კანტიკუნტად თვით ძველ ქართულშიც გვქონდა, ოღონდ იქ ეს ფუძე (ნულინი) საარვისო ქცევის ფორმით იხმარებოდა. მაგალითად:

რასა-ვეგე ჰზამ (ეზეკ. 12,9 წ; რაისა ყყოფ შენ: წლ); ანტონი, ვიდრე ხუალ, ანუ რასა ჰზამ (მამ. ცხორ. 33,26); რასა ზამ შენ სამოთხესა შინა (ლიტ. ქრ. 9,23); რასა ჰზამთ და აღკუსნით კიცუსა მაგას (მრ. 11,5); რასა ზამთ შაბათსა შინა, რომელი არა ჯერ-არს (ლ. 6,2); ამას არა შიშისათვის სიკუდილისა ზამთა (მალ. 17,22 წ; იქმთა წ); მიწერა, რასა-იგი ზმენ მწეალებელნი (მამ. ცხორ. 120,22); რასა ზემდ მთასა მას შინა (H-341, 410); რასა-მე ეზმოდეთ ანუ რასა-მე განვიზრახვიდეთ (ათონ. 11, 267v).

ამის საწყისია ზამ და ზმნა (მღრ. ყყოფს—ყოფნა, მიწევს—მიწვენა...); ეს უკანასკნელი — ზმნა (ქმნა, კეთება) — დღეს ხშირად იხმარება, რამდენადაც ცნობილი გრამატიკული ტერმინია.

5. არაიმეათად ქცევა ცვლის ზმნის მნიშვნელობას. სხვაა, მაგალითად, უქცევისნიშნო მისცემს — მისცა, დასცემს — დასცა, წარსცემს — წარსცა, გამოსცემს — გამოსცა, შთასცემს — შთასცა (აქ ზმნის ლექსიკურ მნიშვნელობას ზმნისწინი არეგულირებს) და, მეორე მხრივ, სხვაა ქცევისნიშნანი ფორმები: უცემს — უცა, უცის, უცეს (გველის, მორიელის კებნა, ფუტკარის მიერ ნესტარის ჩაცემა...), ნუგეშინის-ვიეც, ნუგეშინის-იეც, ნუგეშინის-იყა...

ორიოდე მაგალითი:

ვ: არა მცირედ ნუგეშინის-იყემდეს (ეტ. VIII, 123,5); ნუგეშინის-ვიეც მე თავსა ჩემსა (ისტ. ქრ. II, 28,3); ხოლო ნეტარმან დავით იცნა დედის-ძმა იგი თვისი, ნუგეშინის-იყა (ურთ. 180,25); ნუგეშინის-ვიცეთ თავთა ჩუნთა (Sin. 97, 194v); არამედ ნუგეშინის-ვიცეთ სასოებითა ღმრთისაითა (იქვე, 195r).

იქვე(3)2: ტანჯავი მათი, ვითარცა ტანჯავი ღრიაკალისაი, რაჟამს უცის კაცსა (გამოცხ. 9,5 C; უცეს AB); ამის გვერდით უფრო ნაკლებად გვხვდება ნულიანი საარვისო ფორმა: უკუეთუ შეეახლო /გუელსა/, გცეს შენ (ზირ. 21,2). ჩვეულებრივია: გიცეს (მან შენ), უცეს (მან მას) ...

ასეთივე აგრეთვე გვახსენებს უქცევისნიშნო ფორმები: მგებდ, ჰგებდ, ჰგებდა (=დაცდა, დალოდება) და ქცევისნიშნანი უგე, უგო, უგოს, უგონ (=მსხვერპლის შეწირვა კერპებისათვის); უგებდეს საგებელსა ღმერთთა უცხოთა (იერ. 7,18); მათ უგებდეს, და რომელნიმე ვბოთა დაუწყუდდეს (ისტ. ქრ. II, 48,30); მოძღუართა შენთა აღიარეს ღმერთთა უფლებად და უგეს მათ (იქვე, 64,2); დამემორჩილე და უგე ღმერთთა... და ნუ მოკუდები (იქვე, 60,34); აწ უკუე უგეთ, რომელსაცა გნებავს ღმერთთაგანსა (საკ. წ. II, 83,11); რაითა დააცადო ბრავალმეტყუელებადი ესე შენი და

უგო ღმერთთა ცხოველთა (იქვე, 24,22); დაარწმუნე მას, რაითა უგოს ღმერთთა (ისტ. ქრ. II, 63,20); უკუეთუ დამემორჩილნეთ მე და უგოთ ღმერთთა, ყოველი, რომელი ინებოთ, მოგცე თქვენ (საქ. წ. II, 78,35); რაითა უგონ ღმერთთა (იქვე, 28,18).

ასევე განსხვავებული ქცევის ფორმები აქვს კიდევ ზორვა (უზორვიდეს, უზორა, უზორონ...) და კლვა (უკალ, უკლა, უკლას, უკლან) ზნნებს. მაგალითად: ტრანანოს პრქუა: შენსა ღმერთსა უკალ. ფოკა თქუა: მე ეშმაკთა არა უკლა (საქ. წ. II, 39,30,31!). აქ გარდა ქცევისა (სასხვისსა), საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ მეორე რიგის ფორმები (სხვა მნიშვნელობა რომ მიუღიას) უზმნისწინოა (უკა, უგო, უზორა, უკლა...). ხოლო თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ზმნისწინს ფუძის მნიშვნელობის შეცვლაში. ეს კარგადაა ცნობილი (ა.შანიძე). შდრ., მაგალითად, თუნდაც ახალი ქართულის: აიგო, გაიგო, დაიგო, მოიგო, ჩააგო, წააგო; მისცა, დასცა, ვასცა, წარსცა, გამოსცა, გადასცა...

6. საუკუნეების სიღრმეებიდან მომდინარე ქცევის ნიშნები დროთა ვითარებაში დაკარგულა და ფუძეს საგრძნობი ცვლილება დასტყობია. ეს ეხება საარვისოსა (ა) და სასხვისო (ი, უ) ქცევის ფორმებს. ასე, მაგალითად, ძალიან ძველი დაპკრა-საგან ა-ს დაკარგვის შემდეგ დაგერჩა დაპკრა, რაც პირვანდელი მნიშვნელობით არის დაცული ძველ ქართულში (=დააკრა). მეორე მხრივ, ახალი დააკრა ამოსავალ ფორმად დაპკრა-ს ვარაუდობს: დაპკრა→დააკრა (ობიექტური პირის ნიშანი დაიკარგა). ასევე დაკარგული უნდა იყოს სასხვისო ქცევის ი ნიშანი დამზნულდეს ზმნაში (ხოლო მე დამზნულდეს თუალნი ჩემნი სამიწელითა მით ელეთა: ისტ. ქრ. II, 31,23); დამზნულდეს ← დამიზნულდეს. ხშირია უ-ს დაკარგვა:

დაჟფენდეს	←	დაჟუფენდეს
ქკერდა		ქკურდა
შეკროთო		შეკურთო
შეკრია		შეკურია
განკერთა		განკურთა
მოქქარდის		მოქკურდის

ასევე ხშირია (თუ უფრო მეტად არა) ა-ს	←	გაქრობა:
სძაგებს		სძაგებს
დაპკუთა		დაპკუეთა
ქმსახურა		ქმსსახურა
გარდაპმატა		გარდაპმატა
დასდვა		დასადვა
შეპკედრა		შეპკუედრა
განპმზადა		განპმზადა
მისტყდებოდა		მიპატყდებოდა
დაპიწყდა		დაპიწყდა
პნთიეს		პნთიეს
შეპხეთქა		შეპახეთქა და ბევრი სხვა.

სხვა საკითხთან დაკავშირებით ამაზე აქვე გაკერით უკვე გვქონდა საუბარი (გვ. 430). უფრო ვრცლად და საფუძვლიანად კი ნახეთ იქვე მითითებულ ა.შანიძისა და ა.ჩიჭუბაეას საცეცხლურ შრომებში.

ბევრი ზმნა ძველ ქართულში თავისუფლად იხმარებოდა უზმნისწინოდ. ეს

გასაგებიცაა: ზმნისწინი ქვერ კიდევ არ არის ზმნასთან მტკიცედ დამკვიდრებული. ამიტომაც, რომ იქ დაუბრკოლებლად გამოიყენება ისეთი უზმნისწინო ფორმები, როგორიცაა:

დიდად ეშუერ და შეეკქმენ სრულად კაცად (აპოკ. 84.4 = სენა. 250a); არა ჩემთვის ხოლო ეშუერ (ზირ. 24,37); ყოველთა უმეტეს ეშუერ (თუალთ. 84,7); კაცი, რომელი არა შურა მას შინა, მოსტეს მას ნაწილი მისი (ეკლეს. 2,21); თქვენ შუერთი (ი. 4,38 C. DE-ში უკვე ზმნისწინიანი ფორმაცაა: დაშუერთი); იოხანე ... დიდად შურა და ლუწული დიდი გარდაიჯადა (მამ. ცხორ. 70,16); საქმესა მას მისსა ჯინ ჰშურე და მსთუად იშუებდე ნაყოფთა მისთა (ზირ. 6,20); მცირედ შურეთ და საუკუნოა განსუენებაჲ ჰპოთ (პარხ. 597b).

აქ საქმე ეხება II სერიის ფორმებს, თორემ I სერიაში უზმნისწინო ფორმები ახლაც ხშირად იხმარება და ძველადაც არანაკლებად გამოიყენებოდა. ჩვენი მაგალითები შორეული დროების გადმონაშთია. სწორედ ამ ტიპის ზმნებია, რომ ქვეყნის ფორმები არ ეწარმოებათ (ან უკიდურესად ძნელად და იშვიათად თუ აღმოაჩნდებთ სადმე). თუ გავითვალისწინებთ, რომ აქ საქმე ეხება ყველაზე უძველეს ზმნებს, როგორიცაა შრიობა, მისვლა-მოსვლა, მიცემა, თქმა .... შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ასეთი ფორმები ქვეყნის კატეგორიის გაჩენამდე ენაში დამკვიდრებული უზმნისწინობა, უქცეობა და მეტიმსემტი არქაიზმი ერთმანეთთანაა დაკავშირებული. ამიტომ გასაკვირი არაა, ამ სახის ზმნებს ნაკლებად ახასიათებდეს სიახლე.

აი, რამდენიმე სანიშნო მაგალითი სხვა ზმნებზეც:

სლვა: ვიცი, ვინაჲ მოსრულ ვარ და ვიდრე ვალ, ხოლო თქვენ არა იცით, ვინაჲ მოვედ და ვიდრე ვალ (ი. 8,14); გზასა სიმართლისასა ვალ (იგავ. 8,20); უფალო, ვიდრე ხუალ (ი. 13,16); ანტონი, ვიდრე ხუალ, ანუ რასა ჰხამ (მამ. ცხორ. 33,26); რაჲ ვალს მას შინა (ფს. 68,35); ნეტარ არს, რომელი ვალს გზასა მას სიმართლისასა (საკ. წ. II, 4,37); შორის საცთურთა და მახეთა ვალთ, საყუარებნო (იქვე, 6,24); წარიდუარცენით თქვენ ფერუთ-შესასხმელნი თქვენნი და ნულარა ხუალთ ესევეითარსა მას ზედა (იქვე, 120,16); გზასა წარმართთასა ნუ ხუალთ (მ. 10,5 C); მრავალ არიან, რომელნი ვლენან მიერ (მ. 7,13 C).

არა უწყინ, ვინაჲ მოვალნ და ვიდრე ვალნ (სინ.188,12; ზრუნვათაგან და სიმღიდრისა და გემოთაგან ამის სოფლისათა ვლენედ და შეაშთვიან (ლ. 8,14); ვიდოდა რაჲ ზლუასა ზედა (მ. 14,26; მრ. 6,48,49; ი. 6,19); აღდგე და ვიდოდე (მ. 9,5); ვიდოდეთ, ვიდრე ნათელი გაქუს (ი. 12,35); მერმე კუალად აღსდგე და განახლებული ცხოვრებითა ხვდოდი (სინ. 88,35); ვიდრე ვიდე სულისაგან შენისა, ანუ პირისაგან შენისა ვიდრე-მე ვიდრე-მე ვიდრე-მე (სინ. 104,11 = სად წაივდე); არა ვიდრე ხვდე ამიერთი (საკ. წ. II, 124,33 = აქედან ვერსად წახვალ); უფალო, მანუწყე მე, თუ ვიდრე ვიდე ცოლი ჩემი (ლიტ. ქრ. 307,10); უფალო, ვიდრე ვიდეთ (ი. 6,68 C).

ცემა. ამ ფუძეს ბევრი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ჩვენთვის საინტერესო საკითხისათვის ყველა ერთნაირად წარმოგვიდგება—უზმნისწინოდ და უქვეყნისწინოდ. აქ ესაა მთავარი. დაქვით აქვე, რომ რომ ამ მხრივ განსხვავება არა გვაქვს სერიების მიხედვით: ორივე ძირითადი სერია აქ ერთი სახით არის მოცემული.

ვეცხლის-მოყუარე არს იგი, და ხუასტაგასა დაუცსავს, და გლახაკთა არა სცემს ყოლად (საკ. წ. II, 123,29 = არ აძლევს); ნუ სცემ ძილსა თუალთა შენთა (იგავ. 6,4); პურსა ჩემსა ესცემდ მშიერთა (ტობ. ა.17); მისთვის შენ შენდობასა

მსკმდ (სიბრძ. იბ.11): ცემად მას ვაღირე და მეგონა, ვითარებელ ვეც (მამ. ცხორ. 29.30): წყალი ფერუთა ჩემთა არა მეც (ლ. 7.44): გცა ხოლო თუმცა შენ წყალი იგი ცხოველი (ი. 4.10 C); კეისარმან სცა პირსა მისსა (სინ. 251,10); მეც ჩუენ თესლისა გამომღებელი იგი გული (ეზრა სუთ. ე.6); გუეც ჩუენ პოენად მადლი წინაშე მეფისა მის (ეზრა ზორ. 3.77 წ); მეცით ჩუენ ზეთისაგან თქუენისა (მ. 25,8); წყალი იგი, რომელი ესცე მას, ეყოს მას წყარო წყლისა (ი. 4,14); უბრძანა, რაითა სცენ მას ჭამადი (ლ. 8.55 C).

ასეა აგრეთვე ძველთაძველი ზმნები თქუა და წარმოშობით იმავე ფუძის პრქუა (ვ.თოფურია, ი.ქავთარამე): ვთქუ, სთქუ, თქუა, ვთქუთ, სთქუთ.....ვარქუ, არქუ. პრქუა. ვარქუთ, არქუთ, პრქუეს....

მოგვიანო ხანებში ფუძის მნშენელობის შესაცვლელად ამთზეც დაიწყეს ზმნისწინის დართვა: წარმოთქუა, აღუთქუა, შეთქუა, შეუთქუა ... მიპრქუა, მოპრქუა, მიურქუა... მაგრამ ეს უკვე გვიანდელი ხანის ნახელავია. სიმპტომურია, რომ ზმნისწინის დამატებას ავტომატურად მოჰყვა მეორე შედეგი: გაჩნდა სხვა ქცევის ნიშნები (მიურქუა, აღვითქუ, აღუთქუა...). აქედანაც კარგად ჩანს, რომ ქცევა (ქცევის ნიშნები) და ზმნისწინი ერთმანეთთან ახლო არიან: სადაც ზმნისწინიანი ფორმებია, იქ უფრო მკვეთრად გამოიხატება ქცევა თავისი მრავალი სახეობით; მეორე მხრივ, სადაც ზმნის ქცევის ფორმები უხვად მოუპოვება, იქ უფრო ზმირად გეხვდება ზმნისწინიც.

ახლა განვიხილოთ თითოეული ქცევა ცალ-ცალკე.

## A. საარპისო ძეგვა

საარვისო ქცევა ორგევარად იწარმოება. ზმნათა ერთ ნაწილს არავითარი ნიშანი (პრეფიქსი) არა აქვს და ამით არის გამოხატული (ნაგულისხმევი), რომ აქ არ ჩანს. ზმნის მიერ აღნიშნული მოქმედება (მხედველობაში გვაქვს მოქმედებითი გვარის ზმნები) ვისთვის არის განკუთვნილი: მან იგი დამალა, ქადაგა, თქუა, პოვა, დაწერა. შდრ. ეტყოდეს პილატეს მღდელთ-მოძღუარნი ქურიათანი: ნუ დასწერ მეუფედ ქურიათა ...პრქუა მათ პილატე: რომელი დაეწერე, დაეწერე (ი. 19, 21-22). ეს არის ქართული ზმნის უძველესი ფონდი. უნიშნობა ყველაზე მეტად სწორედ მათ შეეფერება.

მაინც რომელი ზმნებია ასეთები? ესაა ზმნები, რომელთაც ფუძეში ერთი მარცვლი მაინც მოეპოვებათ: და-მალ-ა, ქადაგ-ა, და-წერ-ა, და-ხატ-ა, გან-დევნ-ა, ჭამ-ა, თქუ-ა, სუ-ა...მართალია, ორი უკანასკნელი მაგალითის ფუძეში მარცვლი თითქოს არ ჩანს, მაგრამ ეს მხოლოდ დღეს გვეჩვენება ასე, ძველად ამ ფუძეებში უ მარცვლიანი იყო და მხოლოდ შემდეგ გახდა უმარცვლო. თვით ძველ ქართულში ეს უ გარკვეულ შემთხვევებში მარცვლიანია. ეს მაშინაა, როცა ფორმაში სხვა რომელიმე ზმოვანი (მარცვლის ზიდვა რომ ეკისრა) არ მოიპოვება და უ ძველებურად თვითონ ქმნის მარცვალს: ვთქუ, სთქუ, ვთქუთ, სთქუთ... ესუ, მსუ, ესუთ, მსუთ.

## a. ნულიანი საარპისო

ნულიანი საარვისო ქცევა შეიძლება იყოს ორპირიანი (როგორც ზემოთ მოყვანილ მაგალითებში) და სამპირიანი: მისცა (მივეც), მისტაცა, დასდვა

(დაესდევ)... ამთვან თაედაპირველი და უფრო ძველი პირველია. შედარებით გვიანდელი — მეორე. ქვემოთ ვარეენებთ ძველი ქართული სათვის უფრო დამახასიათებელ (ტიპურ) ორივე წყების ერთეულებს იმ სახით. როგორც შეგვხვდა ისინი ტექსტებში. თითო ფუძისათვის ერთ ნიმუშს ეიძოწებთ. დანარჩენებს (ზმნისწინით განსხვავებულებს) წყაროს მიუთითებლად ჩამოეთვლით:

ა) ორპირიანნი

ბანა: განბანა იგი სძითა და ღვნითა (აპოკრ. 48,3), დაბანონ.

ბზარვა, ბძარვა: დაბზარენ და დაძკრენ უორცნი მაინი მახვლითა (საქ. წ II. 82,17), განბძარნეს.

ბურვა: დაბურონ იგი საბურავითა ტყავისაითა (რიცხ. 4,8 G).

გუმერა: მისითავე ჰორლითა განგუმირა (2 მეფ. 23,21), დაგუმირნა.

ღება: შეწყემსმან კეთილმან სული თვისი დაღვის ცხოვართა თვისთათვის (ი. 10,11), განღვან.

ღეენა: სიყვარული გარე განსღეენის შიშსა (მ. ცხ. 378r).

ღრეკა: განღრეკოს ძე იგი შენი ჩემგან (2 შჯ. 7,4), მოღრიკნა, დაღრიკონ.

ზრღა: განზარღოს კაცმან დიაკეული ზროხათაი (ეს. 7,21), გამოზარღეს.

ზელა: მეკეცემან ჩჩვლი შეზილის მიწაი (სიბრძ. 15,7 O), აზილე, დაეზილენე.

ზღუღვა: შეზღუღე მტილი შენი ეკლითა (სწავ. 13,4).

თარგმანება: თავით თვისით სთარგმანო იგი და თქვა (სწავ. 21,30). გამოსთარგმანებლეს.

თღა: ერუე აღილეს და გამოთღა მით (ეს. 44,12).

თარგუნვა: ნუუკუე დათარგუნონ იგი ფერვითა (მ. 7,6).

თქმა: გალობაი წართქეს და განვიღეს იგინი (მ. 26,30), წარმოთქვა.

თხზვა: შეთხზეს გვრგვნი ეკალთაგან (მ. 27,29).

ჯღვა: შეიყრეს და მოკლეს იგი (მ. 21,39), დაკკლავენ.

კაფა: საღმობამან განკაფნეს იგინი სიკუდილ (ზირ. 27,32), მოკაფდეს.

კერვა: განკერვიღეს ბადეთა მათთა (მ. 4,21 C), შეკერა.

კრება: ყოველი იგი ერი შეკრიბე (ლევ. 8,3 O), დაკრებდა, შემოკრებდით.

კუეთება: ვერ განკუეთოს მახვლი, ვითარ-იგი განკუეთოს ენაი (სწავ. 9,25).

ლენწა, ლენწვა: დალენწენე მთანი და დალენწულილენე ბორცუნი (ეს. 41,45 I),

გალენწა.

მაღვა: დამაღა ვეცხლი იგი უფლისა თვისისაი (მ. 25,18 C).

მკა: არა სთესვენ, არცა მკიან (მ. 6,26), მომკიან.

მემოსა: მემოსა იგი ამრენაკითა მით (მრ. 15,46).

მუსრვა: შემუსრა აღაბასტრი იგი (მრ. 14,3).

პოენა: პოენა ერთი მოყუასი თვისი (მ. 18,28).

პონა: პონდა ყრმას მას, ეიღრე განყენებადმდე ტუძუისა (1 მეფ. 1,23 O).

განპონა.

რყენა: სადა არცა მლილმან, არცა მჭამელმან განრყენეს (მ. 6,20).

რცხა: მესათხველენი იგი ... განპრცხიღეს ბადეთა (ლ. 5,2).

რწყვა: წყმამან მორწყო ყანობირი ჩუენი (სწავ. 64,23).

სახვა: მეცნიერებითა მოცალეებისაითა გამოსახა იგი (სიბრძ. 13,13): - - -

სრუა: სხუთა მათ შვიპყრნეს მონანი იგი და მოსრნეს (მ. 22,6 C).

სუმა: სასუშელი სამე ჩემი შესუთ (მ. 20,23).

სწაულა: ესწაულო იგი და განუტეუო (ლ. 23,16), განესწაულო.

ტანჯუა: მაშინ მიიყვანა პილატე იესუ და ტანჯა იგი (ი. 19,1).

ტუსუა: შესტუსვიდა მას /საჰილი/ (Sin. 11, 189r).

ტყუენვა: წარმოტყუენნა უბანნი მისნი (იელ. 1,14), წარტყუენოს.

ფარუა: არაენ აღანთის სანთელი და დაფაროს იგი ჭურჭრითა (ლ. 8,16).

ქნა (II სერია. I-ში, როგორც გვექონდა ნათქვამი, საარეისოს ნაცვლად სათაუისო იხმარება: ვიქმ. იქმ. იქმს. იქმან): საქმე კეთილი ქნა ჩემდა მომართ (მ. 26,10).

ყიდა (სყიდა): განყიდა ყოველიე, რაიცა აქუნდა (მ. 13,44).

ყოფა: ყო ნებაი მამისა თვისისაი (მ. 21,31), დაჰყოფდა.

ყრა: განყარნე მტერნი ჩემნი (მსაჯ. 16,20 M), აღმოჰყრინ, დაჰყრიდა, გარდაჰყრიდეს, მოჰყარე.

შობა: რაჟამს შვის ყრმაი (ი. 16,21).

ცლა: გამოსცდიდეს მას და ჰკითხვიდეს (მ. 16,1), განცადა.

ცნობა: ლელუსაგან ცანთ იგაეი ესე (მ. 24,32 C).

ძრუა: მათ აღძრეს ერი იგი (მრ. 15,11), შეძმძრავნ.

წაშება: მე ვიხილე და ვწაშე (ი. 1,34).

წერა: რომელმანცა აღწერა ესე (ი. 21,24 C), გამოსწერს, დაწერა, წარწერა.

წვალება: განწვალნეთ იგინი ქალაქისაგან (ისუ ნ. 8,6 G).

წირვა: შეწირეს მისა ძღუენი (მ. 2,11).

წმელა: კეთროვანთა განსწმელდით (მ. 10,8).

წოუა: სწოულე შენ სძესა წარმართთასა (ეს. 60,16 D), გამოსწოვს.

წონა: ვეცხლი უღლითა სასწორისაიდათა აღწონიან (ეს. 46,6), გარდასწონს.

წუუა: ქალაქი მათი დაწუა ცეცხლითა (მ. 22,7), შესწუაუს.

წყმელა: არა წარეწყმიდე მათგანი არცა ერთი (ი. 18,9).

ჭამა: ჭამეს ყოველთა და განძღეს (მ. 14,20), აღჰჭამდა, შეშჭამდენ, მოჭამა, დაჭამა.

ჭრა: დაეჭარ და დაეშუსრე იგი (2 შჯ. 9,21 M), მოჰჭრიდეს.

ხატვა: რაისა ესრტო უშუერად გამოხატეთ აჰოლონი (კიმ. I, 151,4).

ხეთქა: არა განხეთქოს ლენომან ახალმან თხიერი ძუელი (მრ. 2,22).

განჯღა: განჯღა ეშმაკი იგი (მ. 9,33).

განჯრწნა. განჯრწნა: განჯრწნიდეს ნაყოფთა მათთა (მსაჯ. 6,4 G).

აღუოცა: მოვიდენ ბრძენნი და აღუოცონ ნათესავი ჩუენი (ი. 11,48 C).

ცალკე უნდა აღინიშნოს რამდენიმე თავისებური ფორმის შესახებ.

1. მონადირება ძველ ქართულში დაჭერას, შეპყრობას, გადმობირებას აღნიშნავს. მას თითქოს უფრო სათაუისო ქცევის ფორმა შეეფერება (შდრ. ახალი ქართულის დაიჭირა. შეიპყრო, გადმობირა), მაგრამ ძველ ქართულში ჩვეულებრივ ნულანნი საარეისო ქცევის ფორმით იხმარება. მაგალითად: აღამ, აღამ, აღამ ხარ? კითხვითა მით მონადირებდა აღამს ღმერთი ცხორებდალ (წამებათათვის ეთსალმუნთათსა — ფს. 456,23); ვინ არს, რომელმან მომნადირა მე (აღწ. 189,13); ნადირებით მომნადირეს მე, ვითარცა სირი, მტერთა ჩემთა (იქვე. 96,3); წარმონადირნეს ყრმანი ჩემნი (გოდ. იერ. 4,18); რაითამცა მოენადირეთ სიტყვთა



მონაი ესე ღმრთისაი (Опнс. 48,6); მი-ვინმე-აელინნეს მისა ფარისეველინი და ქეროდანნი, რაითა მონადირონ იგი სიტყვთა (მრ. 12.13); მონადირეს სული მართლისაი (ფს. 93.21 წყ.). მაგრამ გიორგის უკვე სათავისო ქცევა აუჩრევია: მონადირონ სული მართლისაი. ეს რყევა (საარვისოდან სათავისოზე გადასვლა) წითელი ზოლივით გასდევს ძველ ქართულს: ორივე ტიპის ფორმები ზოგან თვით ერთი ხელნაწერის სხვადასხვა ვარიანტში ჩანს, ზოგან — სხვადასხვა ხელნაწერში. პირველის კიდევ ერთი მაგალითია: ნუმცა იარების გონება შენი გარეშე გზისა მისგან იწროისა, რაითა არა მოგნადირონ მტერთა შენთა უწყალოდ. და წარიღონ მონაგები შენი (სწავ. 291,4 AC. იქვე B-ში ამის ნაცვლად მოგინადირონ იკითხება.

მეორე ტიპის მაგალითებია: რომლითა შემაკუთთა საწოთროსა (!) და ტრფიალ მყო გეპოთა მისთა, და ამით აღვილად მომინადირა მე სასიკუდინოდ (აღწ. 163.21); რომლითა მოინადირნეს ყოველნი მოყუარენი მისნი (ბალ. 6.26); მონადირნეს და მოსწყვიდნეს იგინი (იქვე, 80.14). ეს პროცესი ახალ ქართულში სათავისო ქცევის სრული გამარჯვებით დასრულდა, რაც ბუნებრივია — აქ სწორედ სათავისო ქცევა იყო საჭირო.

2. მოქრისტეანება ძველ ქართულში ნულიანი საარვისო ქცევის ფორმით იხმარება: აწ უწყოდე. ვითარმედ მამამჟამ მისი ივლიანოს ქრისტეანე არს. ხოლო თვთ იგი ევეენია მოქრისტეანა, რაითა არა გეცოლოს შენ (კიმ. II. 82.19). ეს ფორმა ამ სახით გვაქვს აგრეთვე Sin. 11-ში (200v.5). "ვეთვიძის ცხორებაში" იგი II თურმეობითში დგას: ვითარ ესამ პეტრეს, რომელი წმიდასა ვეთვძის მოექრისტანა (მოექრისტეანა C). ვითარმედ წმიდაი ვეთვძი მოსრულ არს. მოვიდა მისა (მამ. ცხორ. 152.8). სხვა რომ არა იყოს რა, ნასახელარ გარდამაყალ ზნებეს ა უნდა (ა.შანიძე): განაძლიერა. აღამაღლა, დაადაბლა. დაამცირა. დააკინა. წარმოაყალიერა. დაამძიმა...

3. დაადიდრება-ც ნულიან საარვისო ქცევას გვიჩვენებს: ოდესმე პლიჩილიან და ოდესმე დაადიდრინან (ლიმ. 107.31). ახლა ვიტყვი: (და)აატირებდნენ (ხოლმე); რაითა მონაზონი იგი დაადიდრინან საყრობილესა (Jer. 3, 109v.16); აქაც ანიანი საარვისოა მართებული, როგორც დღეს გვაქვს.

4. უნიშნო საარვისოთი იხმარება აგრეთვე ნახევარ სახელისაგან ნაწარმოები განახვერა: მოილო ესე ყოველი აბრაჰამ და განახვერა იგი შოვრის (დაბ. 15.10 = შუაზე გაყო. განახვერა); წარქუეთოს თავი მისი მღლეღმან მან საქციელითგან და არა განახვეროს (ლევ. 5.8). დღეს, რა თქმა უნდა. განახვერება (რა მნიშვნელობაც უნდა ქჷონდეს მას — განახვერება თუ გაყოფა-განაწილება). ა ქცევის ნიშნით იხმარება.

5—6. ასევე საარვისო ანით იხმარება დღეს წარწერა და დაყოვნება: წაწერა. წაწერეს ... დაყოვნა, დაყოვნეს. არ დაყოვნოთ. ძველად ამათაც ნულიანი საარვისოთი იყენებდნენ: მე ფრიად ვინანი, რამეთუ ველითა წარწერე. რომელი ქნეს მეუღაბნოეთა (კიმ. II. 215.25); ხოლო ღომენტანოს ვითარცა ველი წარწერა და ცნა, რამეთუ სხუათა მწვალეებელთა არა წარწერეს. გულის-კლებითა და ურკითა წუერნი მოიკუენა (იქვე, 213.33.34); ყოველთა ებისკოპოსთა პალესტინისათა ... ველი წარწერეს (იქვე, 214.5).

ნუ დაყოვნე მოქცეად უფლისა (ზირ. 5.8); აწ თხრობაი მის ყოვლისაი განეგარძე და დაყოვნე და გამოვიძიე (თუალთ. 92.23); შენ დაყოვნე და არა მოხუედ აღთქუმისა მისებრ (1 მეფ. 13.11); დაყოვნა მოსე გარდამოსლვად მიერ მით

(გამ. 32.11): ნუკუე დაყოვნოთ და დაევიწყოთ შინაგანი ჩუენი (უღაბ. 33vb); ნუ სღრტუნავ. უკუეთუ დაყოვნოს (სწავ. 145.13 AC, მაგრამ: დაყოვნოს B). ასეთი ჭოჭმანი და რყევა ამ (და მოცემული ტიპის სხვა) ზმნების მართლწერაში ძველ ქართულში არც ისე იშვიათია. ეს მერყეობაც საბოლოოდ ანიანი საარვისოს გამარჯვებით დამთავრდა.

აქ კიდევ შევევლი გვეთქვა ქანდაკება ზმნის შესახებაც (ქანდაკებენ, გამოქანდაკებდეს, გამოქანდაკეს, გამოქანდაკონ...), მაგრამ ნათქვამითაც ცხადია, რომ ძველ ქართულში საარვისო ქცევის ორ სახეობას (ნულიანსა და ანიანს) შორის გადაულახავი ზღვრი არ ყოფილა. დღევანდელი უფრო მწყობრი დანაწილება ხანგრძლივი შემოქმედებითი ძიებისა და ფორმათა ჭიდილის საფუძველზე ჩამოყალიბდა.

## ბ) სამპირიანნი

ბადება: რომელმან დაბადნა ცანი და ქუეყანაი (დაბ. 14,19 M).

ბანა: შენ დამბანა ფერუთა ჩემთა? (ი. 13,6), მოგბანო.

ბაძეა: ჰბაძეიდა იგი პირუტყუთა უგუნურთა (ფს. 48,13), მიპბაძის.

ბერეა: შთაბერე მას სული ცხოველი (3 ეზრა 1.5 O), მივბერე, შევბეროს, მოვბეროთ.

ბეჭდვა: დაბეჭდეს ლოდსა მას დასისა მის თანა (მ. 27,66), აღმბეჭდა. გამობეჭდეს, შებეჭდეს.

ბურეა: დაბურეს თავსა და კეუბდეს მას (ლ. 22,64), გარდაბურონ.

გურა: მოვგუარე იგი მოწაფეთა შენთა (მ. 17,16), გამოვგუარა, მივგუარეს, წარვგუარეთ.

ღება: თიჯი დამღვა თუალთა ჩემთა (ი. 9,15).

თესვა: ანუ არა თესლი კეთილი დავსთესეთ ავარაკსა შენსა (მ. 13,27), მისთესიდა, მიმოსთესნა, მიმოდასთესნა, მოსთესე, განვსთესი.

თხება: შთასთხინა ივინი ქუაბსა მას (ისუ 5. 10,27 M), გამოსთხინა, დასთხიეთ. წარმოსთხიის, შესთხინენ, განსთხიო.

თხოვა: რომელსა სთხოვდეს ძმ თვისი პურსა (მ. 7,9), მოსთხოვა.

კაზმა: აღკაზმა იგი განსლვად სამეუფოდ თვისად (ბაღ. 135,18), განკაზმეიდ. შეკაზმეს.

კითხვა: კითხეს მას მოწაფეთა მისთა (მრ. 4,10), გამოკითხა.

კრძალვა: დაკრძალეს მასვე ადგილსა (ურთ. 20,9).

კუთა: წარაკუთა ყური მარჯუენმ (ლ. 22,50), მოკუთა.

ლოცვა: ამას გლოცე, საყუარელნო, ვიქმნეთ თავისუფალ (საკ. წ. II, 6,17).

მადლობა: მიამადლა გუამი იგი მისი იოსებს (მრ. 15,45), მომმადლე.

მართება: შესამესა დღესა აღეპმართო ეგე (ი. 2,19 C), განმართე, წარმართეთ.

მარბ: მცნებანი ჩემნი დამარბნეთ (ი. 14,15 E), შთამარბნეს.

მზად: განამზადა სამართალსა ზედა საყდარი თვისი (ფს. 9,8), შეპმზადა, მოპმზადა. დაპმზადეს, აღპმზადებდეს.

მოსა: ქლამინდი მეწამული შეპმოსეს მას (მ. 27,28).

ნერგ: დაენერგენ მე სავენავენი (ეკლ. 2,4 O).

პარვა: ჭურჭელი მიპარო მას (საკ. წ. II, 72,20), განმპარეს.

რაცხ: შემრაცხა მე. ვითარცა მტერი (იოზ 33,10 M). აღრაცხა. განრაცხა.  
რეუა: აგარაკი აგარაკსა შუკრიან (ეს. 5,8 O).

შერთვა: რომელი მოილო დედაკაცმან და შერთო იგი ფქვილსა (მ. 13,33).

ტაცება: ნუმცა მოგუტაცებს კრავსა (რიფს. 164,29), მოსტაცა.

ფენა: მიჟინა მათ ზელა წყალობანი იგი მისნი (ზირ. 18,9 O). მოჟინო.  
გარდაჟინო, განჟინენით. დაჟინდა.

ფლვა: დაჟელა ვეცხლი იგი უფლისა თვისისა (მ. 25,18).

ცემა: მისცა მოწაფეთა თვისთა პური იგი (მ. 14,9). დავსცემ. წარსცეს.  
მოსცემდა.

მარცუვა: ტყავი მათი მათგან განსმარცუვს (მიქ. 3,3 O). მოსმარცუვთ.  
აღსმარცუვს.

ძინება: შესძინა ესეცა მას ყოველსა ზელა (ლ. 3,20). დასძინა.

წამება: რას ძერის-საქმესა შესწამებთ კაცსა მაგას (ი.18,29 C), დავსწამე.

ხადა: შექხადა მუნ იესუს (ი. 18,33), მოგხადე, მიმხადა.

ხელვა: არა მიეკხედო ასულთა თქვენთა (ოსე 4,14 O), შეკხედა, შთახხედა.  
მოკხედონ.

ვლა: ცმელი ... მოჰვალოს მისგან (ლევ. 4,8 O), მიგხადოს.

ვსნა: განგვსნე შენ ველობრიკილთაგან შენთა (იერ. 40,4), დაკვსნა.

ვშვა, ვსუა: დაჰვშნა ღმერთმან პირნი ლობთანი მათ (დან. 6,18 O).

ზემით მოყვანილი სანიძეშო მაგალითებიდან ზოგი ფორმა უდავოდ სამპირიანია ყველგან და ყოველთვის და ეჭვს არ იწვევს (მიმძლდა, მომძაღლე, სთხოველეს, კითხეს, მისცა, შესძინა...).

საწილს ერთი პირი (ორიბი ობიექტი) დაკარგული აქვს. შინაარსით ორპირიანად არის ქცეული, მაგრამ ფორმა (იმ დაკარგული ორიბი ობიექტის პირის ნიშნის დაცვით) ძეგლებური აქვს შემონახული. ესაა ე.წ. დაჰმადა-ს ტიპის ზნებები, რომლებიც, როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, წარმოშობით სამპირიანი ზნებია. ჩვენთვის სწორედ ეს მათი სიძველეა საინტერესო და კიდევ ის გარემოება, რომ ყველას ნულანის საარვისო ქცევა აქვს. ანაინი ფორმები (ამ გაგებით) მათ არ გააჩნიათ.

აქ მოხვდა ზოგი ისეთი ზნაც, რომლებიც ზემოთ ორპირიანებშიც გვქონდა დასახელებული. ასეთია ამ ზნების ბუნება: ნულანის საარვისოს ფორმით თანაბრდ იხმრება ორი და სამი პირის შეწყობით. ასეთთა, მაგალითად, დაბანა მან იგი და დაბანა მან მას იგი, დაბურა და დაბურა, დაღვა და დასღვა. განმარცუა და განსმარცუა...

ზოგი ფუძის ორპირიანი და სამპირიანი ფორმის არსებობა სხვადასხვა ზნისწინის დართვით არის განპირობებული: განკუეთა და მოკუეთა, დამოსა და შეკმოსა, განვადა და აღჰადა, მიჰადა, მოჰადა. მთავარი ორივეგან მაინც ის გარემოებაა, რომ ზნის პირის ნიშნები ფუძეს უშუალოდ ეკვრიან, მათ არა აქვთ ქცევის ნიშანი, ორივეგან ნულანის საარვისო ქცევაა.

კიდევ ერთი თვალსაზრისით იქცევის ჩვენს ყურადღებას მოჰმარა და მოსტაცა ფორმები. რომლებიც ასეთი შინაარსით იხმარება: "მოჰმარა" და "მოსტაცა". მაგალითად: ვინ-მე რაი მოჰმარა საუნჯეც იგი (სინ. 98,15 =მოჰმარა); სხუაი ვინმე იყო დედაკაცი ანტიოქელი, და მოჰმარა ვინმე ყოველი საფასე მისი (კიმ. I. 304,21 =მოჰმარა); ესეუთარი ჭურჭელი მოჰმარეს მას (საკ. წ. II. 72,20); უკუნისამდე

კვრინ მიგპაროს იგი (სწავ. 89,20). აქ მი ზნისწინი უფრო ზუსტად გამოხატავს საქმის ნამდვილ ვითარებას, ვიდრე დღევანდელი მო. მი-ს ძველ ქართულში ხანდახან გან ზნისწინი ცელის: მპარაენი შემივლეს და განმპარეს ასი ლიტრაი ვეცხლი (მამ. ცხორ. 116,1); უკუთუძეცა მპარაეთა განგპარეს იგი, ჰლაღადებდმცა სამე (სწავ. 258,24). საინტერესოა, რომ თუ პარეას გაქურდვით შეეცვლიდით, დღეს ჩვენც ძველებურად ვიტყოდით: გამქურდეს, გაგქურდეს.

ეგვე უნდა ითქვას აგრეთვე მიმტაცა და მსგავს ფორმებზე, მაგალითად: ნუმტა მოგუტაცებს კრავსა (რიფს. 164,29); მვეცმან ბოროტმან მიმტაცა იოსებ (დაბ. 37,33); აწ ვინ მიმტაცა შენ ჩემგან, შეილო ჩემო (კიმ. I, 142,17); ვითარცა მვეცნი მძენვარენი, ვერე მექმნეს მე და რისხვით მიმტაცეს მე შენგან (საკ. წ. II, 61,11). დღეს ამით ნაცულად ვიტყოდით: გეტაცებს (მოგეტაცებს), მომტაცა, მოგტაცა (მოგიტაცა). მოვტაცეს.

მოტაცებაც, როგორც მოპარვა, აქედან (გაქურდულიდან) იქით ხდება, ამიტომ ზედგამოჭრილია სწორედ მიტაცება და მიმტაცა, მიმტაცეს. სწორედ ძველებურად მი ზნისწინს ვიყენებთ დღეს, როცა საქმე ეხება დიდი, სახელმწიფოებრივი ქონების (მიწების) წართმევას მეორე სახელმწიფოს მიერ (ზოგჯერ ცალკეული პირების მიერაც): ეს მიწები დიდი ხანია, რაც მიიტაცეს, მიტაცებული მიწები. შდრ. მო-იტაცეს ქალი, მოტაცებული ქალი.

ასევე საყურადღებოა მიცემა ზნის თავისებური ფორმები (მომცეს, მოგუცნა, მიგუცნა, მოგუცნენ, მიმცით...), მაგრამ ამათზე და მსგავს ფორმებზე ახლა აქ ვეღარ ვილაპარაკებთ<sup>248</sup>.

## ბ. ანიანი საარვისო

ანიანი საარვისო შედარებით გვიანდელია, იგი ძალზე გავრცელებულია და ფართოდ იხმარება ჩვენს ენაში, ძველსა და ახალში. მას მრავალი ნიუანსი, შინაარსობრივი და სტილური თავისებურება ახასიათებს.

ა) ა მოეპოვებათ ისეთ ზმნებს, რომელთაც ფუძეში მარცვალი არ გააჩნიათ (უმარცვლო ფუძე აქეთ). ასეთი ზმნებია:

ა-ქ-ებ-ს	ა-ქ-ო
ა-გ-ებ-ს	ა-გ-ო
ა-გ-ბ-ობ-ს	შე-ა-გ-ბ-ო
ა-ბ-ამ-ს	და-ა-ბ-ა
ა-სხ-ამ-ს	გან-ა-სხ-ა
ა-ღნ-ობ-ს	და-ა-ღნ-ო
ა-წყ-ობ-ს	და-ა-წყ-ო
ა-გდ-ებ-ს	და-ა-გდ-ო
ა-ლტ-ობ-ს	და-ა-ლტ-ო
ა-ღ-ებ-ს	გან-ა-ღ-ო
ა-უმ-ობ-ს	გან-ა-უმ-ო
ა-ჭნ-ობ-ს	და-ა-ჭნ-ო

<sup>248</sup> ამის თაობაზე იხ. ი. მანაშვილი, საკითხავი წიგნი ძველ ქართულ ენაში, II, გვ. 229-230; მისივე, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I, ნაწ. II, გვ. 318-319.

ა-თრ-ობ-ს	და-ა-თრ-ო
ა-მკ-ობ-ს	შე-ა-მკ-ო
ა-რჩ-ეე-ს	გან-ა-რჩ-ი(ვ)-ა
ა-ბნ-ეე-ს	გან-ა-ბნ-ი(ვ)-ა და სხვ.

ბ) ა აუცილებელია ნასახელარი ზმნებისათვის, მათ სწორედ ა—ებ აფიქსები აწარმოებს:

დიდ-ი	ა-დიდ-ებ-ს	ა-დიდ-ა
ბერ-ი	ა-ბერ-ებ-ს	და-ა-ბერ-ა
ძნელ-ი	ა-ძნელ-ებ-ს	გან-ა-ძნელ-ა
ძლიერ-ი	ა-ძლიერ-ებ-ს	გან-ა-ძლიერ-ა
ჯორციელ-ი	ა-ჯორციელ-ებ-ს	გან-ა-ჯორციელ-ა
სრულ-ი	ა-სრულ-ებ-ს	აღ-ა-სრულ-ა
მტკიცე	ა-მტკიც-ებ-ს	გან-ა-მტკიც-ა
მრავალ-ი	ა-მრავალ-ებ-ს	გან-ა-მრავალ-ა
სპეტაკ-ი	ა-სპეტაკ-ებ-ს	გან-ა-სპეტაკ-ა
სუბუქ-ი	აღ-ა-სუბუქ-ებ-ს	აღ-ა-სუბუქ-ა
მწუნე	აღ-ა-მწუნ-ებ-ს	აღ-ა-მწუნ-ა
ახალ-ი	გან-ა-ახლ-ებ-ს	გან-ა-ახლ-ა
გლახაკ-ი	და-ა-გლახაკ-ებ-ს	და-ა-გლახაკ-ა
ცხად-ი	გან-ა-ცხად-ებ-ს	გან-ა-ცხად-ა
მაღალ-ი	აღ-ა-მაღლ-ებ-ს	აღ-ა-მაღლ-ა
მდაბალ-ი	და-ა-მდაბლ-ებ-ს	და-ა-მდაბლ-ა
ფიცხელ-ი	გან-ა-ფიცხ-ებ-ს	გან-ა-ფიცხ-ა
შფოთ-ი	აღ-ა-შფოთ-ებ-ს	აღ-ა-შფოთ-ა
მართალ-ი	გან-ა-მართლ-ებ-ს	გან-ა-მართლ-ა
მწარე	გან-ა-მწარ-ებ-ს	გან-ა-მწარ-ა
ბნელ-ი	და-ა-ბნელ-ებ-ს	და-ა-ბნელ-ა და სხვ.

გ) ა გვაქვს ზმნური ფუძეებიდან ნაწარმოებ ახალ ფორმებში. ამ შემთხვევაში ახლად ნაწარმოებ ზმნებში ერთი პირით მეტი გვექნება: ერთპირიანიდან ორპირიანს მივიღებთ, ორპირიანიდან — საპირიანს; ა-ს დართვა ახალ ფორმას ავტომატურად ერთ პირს უმატებს:

1) წუხ-ს	ა-წუხ-ებ-ს
ღულ-ს	ა-ღულ-ებ-ს
ქუხ-ს	ა-ქუხ-ებ-ს
ღი-ს	ა-ღენ-ს
ღგა-ს	და-ა-ღგ-ინ-ებ-ს
წევ-ს	ა-წვენ-ს...
2) ჭამ-ს	ა-ჭმ-ეე-ს
სუამ-ს	ა-სუამ-ს
გან-კუეთ-ს	შე-ა-კუეთ-ს
შე-ი-წყნარ-ებ-ს	შე-ა-წყნარ-ებ-ს
კრებ-ს	შე-ა-კრებ-ს
ქ-ყოფ-ს	შე-ა-ყოფ-ს და სხვ.

ძველი ქართულისათვის ყველაზე მეტად სწორედ ამგვარი, სამპირიანი. ანანი

საარქივო ქცევა დამახასიათებელი. ამიტომ აქ ურუენებთ ამის რამდენიმე ტიპურ მაგალითს კონტექსტში:

გება: მაგო საქმეთა მათთაებრ (სინ. 279,22); მაშინ მაგოს კაცად-კაცადსა საქმეთა მათთაებრ (მ. 16.27; სინ. 247,9).

ვასხება: ვეასხებდეთ ურთიერთას კაცთ-მოყუარებასა (მრავ. 315,42); შეასხენ მე სამნი პურნი (ლ. 11,15); შეასხეს მათ სისხლი (სინ. 258,35).

შეაფუა: ამისთვისა შეაფუნეს წმიდათა თავნი თვისნი ღუაწლითა (მამ. ცხორ. 255,9).

კრვა: ვაი, რომელნი შეაკრვენ სასთაულებსა ყოველსა ქუეშე იდაყუსა ველისასა (ეზეკ. 13,18 ო). ოშკის ბიბლიაში შეაკრვენ იკითხება, აქ ეს ფორმაც იმავე ძალით გამოდგებოდა.

კრება: შეაკრბეს მას ზედა ლოდი ღიდროვანი. დამუსრეს ყოველი გუამი მისი (მარხ. 876a). ამ გაგებით ძველ ქართულში ჩვეულებრივად იტყობდნენ "დაკრბესო", მაგრამ თვით დაკრბეს ← \*დაპკრბეს.

კუთ: მსწრაფლ დასთესა თესლი იგი უძღებებისაი, რომლითა შემაკუეთა საწუთროსა და ტრფილ მყო გემოთა მისთა (აღწ. 163,20).

მარჯუ: მრავალი გზაი ვიწუნა შენ სინანულისაი, რაითა განგამარჯოს შენ ზეცად აღსავალი (სწავ. 7,24). დღეს სასხვისო ქცევას ვიხმარდით: გაგიმარჯვოს, მარჯვე გაგიხადოს. გადატ. წაგიმართოს.

მთხუეა: იხილა იგი ქელბაგისა მის უფალმან, აღილო არგანი და მივიდა, რაითამცა მოკლა იგი. ხოლო გუელსა მას ვერ მოამთხუა და ჩამოლენა ყოველი იგი ჭიქები (მამ. ცხორ. 298,36 = ვერ მოახვედრა, ვერ მარტყა).

მსახურება: მეორე ათეული ... შეეაშახური იერუსალემს (ტობ. ა,7).

მცნება: მიამცნო ყოველი. რაიცა უთხრა (ბალ. 20,21); მაშინ მიამცნო წმიდამან სემონ მოციქულსა ბერისა მის თანა და პრქუა (ლიმ. 46,25 = შემოუთვალა).

პყრობა: ანუ სხუაი ვისი სავაჭროი დაუძალე, და დაგაყრეს, და ვერ შეუძლო განრინებად (საკ. წ. II, 62,41); შეაყრა თავი თვისი ლოცვასა (კიმ. I, 217,2); წიგნთა საღმრთოთა...კითხვასა შეაყრა თავი შენი მარადის დაუცადებელად (სწავ. 109,13); მეცნიერებაი და გულისხმის-ყოფაი მათი შეაყრეს საცთურსა (კიმ. I, 293,33 = დაუმორჩილეს, შეუერთეს); შეაყრნით თავნი თვისნი ლოცვასა (იქვე, 275,15).

როხმა: გარდაართხნა კანი, ვითარცა კამარანი (3 ეზრა ივ,60).

სჯა: რომელთა კეთილთა წილ მიაგეს ბოროტი მესნელსა თვისსა, და ძმ ღმრთისაი ეჯარას შემშჭულეს და უკუდაესა მას სიკუდილი დასავჯეს (სას. პ. 289,107).

სუმა 1: უზავებნ ღვოსა და ასუამნ (მამ. ცხორ. 298,25); ვითარ მოიბეს იგი, ასუეს წყალი (იქვე, 35,24).

სუმა 2: აღილო სამი მარცუალი ლაკნისა მისგან და შემასუა პირსა ჩემსა მე გლახაკსა (კიმ. I, 339,14 = პირში ჩამიღო); შეასუა წმიდამან მან თითი თვისი პირსა მისსა და ყურთა მის ქალისათა (იქვე, 286,32 = დაადო, ჩაუღო).

სწორება: სოფლისა ამის მკვედრობაი თივასა შეასწორა ღმერთმან (სწავ. 291,25 = გაუთანაბრა, გაუტოლა).

სხმა: რაითა მისხნან საფლავსა მას (ტობ. მ,18 = მიაყარონ); რაითამცა ყოველთა ასოთა გუამისთა აღერ-ასხნა (მამ. ცხორ. 72,42 = ალაგმოს, მოთოკოს).

დაიმორჩილოს).

მიტანა: თანა-მიტანა სათხარნი და მუშაქნი (ასურ. 174.30 Է =გაატანა. გააყოლა).

ტყუება: მან პირველ მოგუატყუა ჩუენ სიკუდილი (აღწ. 150.10 =მოგვიტანა); არარაი იცის, ოდეს შეატყუას თავი თვისი მოყუასსა თვისსა (სწაე. 317.3 =როცა შეუდარებს, შეუფარდებს).

ღირება: ლომა იგი იბრღლეუნ და ზედა-მოუკალნ, კუროი აღირებნ რქითა. გუელი იგი მიუძურებინ (მამ. ცხორ. 15.17): ცემაღ მას ვაღირე და მეგონა, რეცათუ ვეც (იქვე. 29.33).

ყენება: ვერვინ განმაყენოს მე სიყუარულსა ქრისტესსა (იქვე. 29.39): განაყენოს ... ნიში დასვრინგებისაი შუღ დლე (ლეე. 13,31 G).

ყვანება: შენ ხარ, რომელი მაყვანებ გონებასა შენსა (Sin. 35, 312vb.11 ქე. =მაყოლებ, გაყოლებ): მიყვანებთ თუალთა ჩუენტა, ვიდრემდის განვლიან ბნელნი იგი და საერის მკეელნი (ბაღ. 82.32): ნუ მაყვანებთ გონებასა თქვენსა ბოროტთა გულის-სიტყუათა (ასურ. 126.19 =ნუ მიადვენებთ): სხუ-ნიცა კაცნი მაყვანნა ვედრებად მისა (ისტ. ქრ. II, 74.32): განუტეუა იგი მეფემან და წარაყვანა მის თანა ჭაბუკი ერთი (იქვე. 92.28): სხუნანი მამასხლისნი უდაბნოისანი თანა-წარაყვანნა მას (მამ. ცხორ. 103.13): ოდეს სიმრთელისგან იძლიის, საღობა შეაყვანის (Sin. 35, 305va.1).

ყოფა: შეაყე თავი შენი ყოველსა ჟამსა სმენად სწავლასა კეთილისასა (სწაე. 156.3): შეაყე თავი შენი სიმბრძესა საღმრთოსა (იქვე. 159.1): შეაყენე იგინი ურთიერთას მიმართ შენდაღ (ეზეკ. 37.17 ო).

ცლა: მვეაცალოთ თათა ჩუენტა სათნო-ყოფად ღმრთისა (სწაე. 296.30 =ღრო მიეცეთ, მოცლა მიეცეთ).

ცნობა: ნუკუე საღამე გმობაი გულსა მოძიედა მე წმიდისა მისთვის და ვერარაი შეეატან ცოდვაი თავსა ჩემსა (ლიბ. 22.10 =შეეატყვე): ოდეს შეეატანას მამამან შენმან, არქე მას (მამ. ცხორ. 213.10: ცხ. ეფრ. 81.19 =შეეატყოს).

ცუმა: ხარტუკი განაცუა ბაგეთა (მამ. ცხორ. 22.28).

წყება: წყეულ არს უფლისგან. რომელმან განაწყოს გული დედასა (ხანძთ. 222,8): უხეთქნა მყარსა ოდენ ქაბაშისასა, რაითა გული განაწყოს და მოკლას იგი (სინ. 276,25 =რომ გაებრაზებინა, გული მოეყვანინებინა).

წყნარება: ერნი აურაცხელნი მოსტაცნა ემძაკსა და შეაწყნარან ქრისტესა (კობ. I, 131,34).

ჭამა: შეაჭამე კაცთა ამათ (მოქც. 123.12).

3) ძველ ქართულში არის ერთი ვაცუფის ზმნები, რომლებიც ა—ვე, ა—ენ, ა—ებ კონფიქსებით იწარმოება, ისინი წარმოშობით სამპირიანია, მაგრამ, ჩვეულებრივ, მხოლოდ ორ პირს გეიწევენებენ: სუბიექტსა და ირიბ ობიექტს. პირდაპირი ობიექტი დაკარგული აქვთ, ყოველ შემთხვევაში, არ უჩანთ, თუმცა პირდაპირობიექტიანი ზმნების მორფოლოგიურ-სინტაქსური ძალა შენარჩუნებული აქვთ — სუბიექტს მოთხრობითში შეიწყობენ. მოსლით ინვერსია, როგორც ყველა გარდამავალ ზმნას: ამხილებს იგი მეფესა—ამხილა მან მეფესა, მიმხილებიეს მე მეფესა (გიმხილებიეს შენ მეფესა). ამ ზმნებს ახალ ქართულშიც ისევე ორი პირი მოეპოვებათ. ოღონდ, ძველისაგან განსხვავებით, სუბიექტი და პირდაპირი ობიექტი: ამხილებს (ამხელს) იგი მას — ამხილა მან იგი, არწმუნებს იგი მას — (და)არწმუნა მან იგი, აქედან ჩანს.

რომ დღეს დასრულებულია აღნიშნული ზმნების ჩვეულებრივ ორპირიან გარდამავალ ზმნებად გადაქცევის პროცესი. ეს ზმნებია:

აღზნება: ალაგზნეს ლუემელსა (კიმ. II, 143,7).

გინება: ოდეს გლახაკსა აგინო (სწავ. 88,25).

განგრილება: განაგრილოს ენასა ჩემსა (ლ. 16,24 C).

იძულება: აიძულა ბერსა (ლიმ. 85,22).

დაკვრება: დააკვროს მეფესა (ეს. 41,21).

მომშობება: მოამშობ მათ /მვეტა/ (ისტ. ქრ. II, 60,31).

დამძიძიება: დაეამძიძიე აბასა (Sin. 35,193rb).

მხილება: ამხილა მეფესა და პატრიარქსა (კიმ. I, 64,28).

რცხუნა: არცხუნა ფარისეველთა კრებულსა (აღწ. 149,31).

დარწმუნება: დარწმუნა კაცსა მას (ბალ. 58,3).

შეურება: ელიას შეაურეეს ქალაქთა დამკვდრებულთა (საკ. წ. II, 56,1).

აღღება: აღაღო ლუსკუმასა (Sin. 11, 212,4).

განღვება: განაღვდა დეკანოსსა (კიმ. II, 174,21).

შეშინება: შეაშინეს ნეტარსა მას (კიმ. 158,5).

განცინება: ყოველსა განეცინენ (ლიტ. ქრ. 318,22).

ცთუნება: რადითამცა აცთუნნეს ... რჩეულთაცა (მ. 24,24 C).

განცხრომა: განაცხრომო მას (H-341, 562,20).

დაძინება: მეფემან ... დააძინა ძლიერთა შენთა (ნაუპ 3,18).

წუევა (=იძულება): რომელთა აწვეეს მეფესა დაწერად განწესებაი იგი (კიმ. I, 73,5).

ჭენება (=ბიძგება): აჭენა მას (ლიმ. 75,16).

შეჭირება: ვითარ შეაჭირეა მათ ესრტო (კიმ. II, 213,5).

განხარება: მოყუასთა თქუნთა განახარებთ (ეტ. VIII, 116,12).

დაჯერება: ჭირით დააჯერა ისაკს (საკ. წ. II, 138,15)<sup>99</sup>.

დ) ცალკე უნდა ითქვას, რომ ა საარვისო ქცევის ნიშნად ხშირად გვაქვს ა—ევ აფიქსიანი ზმნების ერთ ჯგუფში, სადაც ა—ევ შუალობით კონტაქტს გამოხატავს. აი, ორიოდ ნიმუში:

რომელსაცა სული ათქუმეჯდა (პარხ. 86a); აიძულებდა, რადითამცა აღმოათქმობა გამობაი გინა უმადლობაი ღმრთისა მიმართ (Sin. 35, 267ra,19); იგი მათ შეაცთუნინან და ათქმობინან (Sin. 11, 48,3; პარხ. 1125).

შენ თანა არს ეშმაკი. რომელი გაქნეეს მაგას (კიმ. I, 145,18); აქნია ლუსკუმაი ძელთაგან ულპოლველთაი (Sin. 6, 197v,9 ქვ.); რომელმან-იგი მაქნისო მე საქმე კეთილი (პარხ. 719b).

არამედ ქნეს ლასტი და დაღვეს მას ზედა და ატვრთოეს პაპაკთა და წარიყვანეს და შეაწყუდიეს ციხესა (კიმ. I, 94,3).

თაყუანის-ვაცემი იგი პტიოსანსა ჯუარსა (ლიმ. 51,5); რა(ა)თამცა ყოველნი კაცი თაყუანის-აცემინეს კერათა (ასურ. 191,29).

აქ სანიმუშოდ ესეც კმარა. უფრო ვრცლად ამ საკითხზე ქვემოთ შევჩერდებით. როცა სპეციალურად კონტაქტზე გვექნება მსჯელობა. ახლა კი გადავიდეთ სათავისო ქცევაზე.

<sup>99</sup> უფრო დაწვრილებით ამ ზმნების თაობაზე იხ. ი. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია. ტ. I, ნაწ. II, გვ. 331-335.



## B. სათავისო ქვევა

სათავისო ქვევა საკმაოდ გავრცელებული ფორმაა ქართულში. ძველსა და ახალში (უფრო ძველში). და ეს მიუხედავად იმისა, რომ იგი მხოლოდ ორპირიან გარდამავალ ზნეებს მოეპოვებათ. სათავისო ქვევის ფორმით ქართულში ბევრი. სრულიად სხვადასხვაგვარი ენობრივი ნიუანსი გადმოიცემა.

სათავისო ქვევის ფორმა არაიშვიათად სხვა ქვევებსაც (განსაკუთრებით საარვისოს) უწევს სამსახურს. ასე, მაგალითად, იხილა, განიხილა, მიმოიხილა მხოლოდ სათავისო ქვევის ფორმით იხმარება ქართულში. არ ითქმის ხილა. განხილა, მიმოხილა (საარვისო ქვევა); დიდი გაჭირვებით იტყვის კაცი: უხილა. განუხილა, მიმოუხილა. ეგვე უნდა ითქვას აგრეთვე განიკითხა, წაიყვანა (ძველად კი იტყოდნენ: წარაყვანა, მიაყვანა...). იცის, იცოდა და ბევრი სხვა მსგავსი ფორმის შესახებაც.

ბევრ შემთხვევაში სათავისო ქვევის ფორმა და ი პრეფიქსიანი ვნებითი ძველ ქართულში (ზოგჯერ ახალშიც) ერთი სახითაა წარმოდგენილი. ამის შესახებ ზემოთ გვქონდა მსჯელობა (გვ. 310-316). იქვე იყო აღნიშნული, რომ, ა. შანიძის ფიქრით, სათავისო ქვევისაგან უნდა მომდინარეობდეს ინიანი ვნებითი.

რომ ინიანი ვნებითი მართლაც სათავისო ქვევისაგან მომდინარეობს, ამას ხაზგასმით უჭერს მხარს ორივე სახის ფორმათა მრავლობითის მსგავსი წარმოება (როცა აქტივში პირდაპირი ობიექტი მრავლობითშია):

სათ. ქვე.

აღვიესე მე იგი  
აღვიესე შენ იგი  
აღვიესო მან იგი  
აღვიესენით ჩუენ იგინი  
აღვიესენით თქუენ იგინი  
აღვიესნეს მათ იგინი

ინ. ვნ.

აღვიესე მე  
აღვიესე შენ  
აღვიესო მან  
აღვიესენით ჩუენ  
აღვიესენით თქუენ  
აღვიესნეს იგინი<sup>20</sup>.

აქედანაც კარგად ჩანს, თუ რამდენად ბევრი და მრავალფეროვანი ფორმით გაუძლიდრება ჩვენი ენა სწორედ სათავისო ქვევას.

ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილი მაგალითები, სადაც სათავისო ქვევა და ინიანი ვნებითი მორფოლოგიურად სავსებით ემთხვევა ერთმანეთს, შემთხვევითი არაა. ამ ტიპის ნიმუშები ერთობ ბევრია ძველ ქართულში. სათანადო ნიმუშები წარმოდგენილი იყო ვნებითი გვარის შესახებ მსჯელობისას (გვ. 311-316).

ამნაირი თანხვედნილი ფორმები ძველად გაცილებით მეტი იყო. ოღონდ ხან ერთი (სათავისო ქვევა) ჭარბობდა. ხან — მეორე (ვნებითი). პირველის მაგალითებად შეიძლება დავასახელოთ: განიკითხა, დაიმარხა, შეიმოსა, შეიპყრა, მოიყვანა, განიძარცუა და ბევრი სხვა. მეორის ნიმუშებად გამოგვაღებოდა: დაიღვა, ისხნეს, დაიფარა, იქმნა, იყო, დაიწერა, შეიხვა და სხვანი.

სათავისოსა და ვნებითის სრულ დამთხვევას ადვილი ჰქონდა II სერიის მწკრივებში, რადგან აქ აღარაა თემის ნიშნები, რომლებიც მათს ძირითად გან-

<sup>20</sup> ა. შანიძე, აქტივი და პასივი ერთუროს მიმართ მრავალ-პირიანი ზნის ჩვენებით: სმამ. ტ. IV. N4, 1943. გვ. 375-382; მისივე, საფუძვლები. გვ. 446 და შემდ.

მასხვაკებულ ნიშანს წარმოადგენდა. შღრ.

- I ს. ოგი მას აღიკესებს  
ოგი მას შვიძოსს
- II ს. მან ოგი აღიკესო  
მან ოგი შვიძოსა

- ოგი აღიკესების  
ოგი შვიძოსების
- ოგი აღიკესო  
ოგი შვიძოსა.

1. ეს მსგავსი ფორმები უქმნიდა ერთგვარ სიძნელეს მკითხველს მათი სწორად გაგების თვალსაზრისით. ამიტომ ენა შეეცადა, მოესპო ეს ფორმოზღივი ღამთხვევა. როგორც ჩანს, ხან ენებითს ეძლეოდა უპირატესობა, ხან სათავისო ქტეეას. ამ ნიადაგზეა, რომ ღღეს, ერთი მხრივ, ენაში აღარაა (ან, უკიდურეს შემთხვევაში, საღლაც ძალზე იშვიათად გამოჩნღდება) ძველებური ენებითები, როგორიცაა, მაგალითად: ოგი ღღივიწყა, განიკითხა, მოიკლა, შეიძზაღა (მოიძზაღა, განიძზაღა), იზოვა, შეიპყრა, აღიღტაცა (მიიღტაცა, მოიღტაცა), იქაღაგა, მიიყვანა (მოიყვანა, აღიყვანა), ღღიკვა, განიღარცუა, შეიწყაღა, შეიხვიღა.

მეორე მხრივ, იმავე მიზეზით, ღღეს აღარაა (ან ძალზე იშვიათია) ძველებური სათავისო ქტეევის ფორმები, მაგალითად: აღვიღღინენთ (ჩუენ ჰუნენი), აღვითქუათ (აღთქუმაი), ითხრობენ, ვიიძულეზ (თავსა ჩემსა), შეიძთხვნა, გამოიპარა (თავი თვისი ძმათაგან), ვერ იფღღეთ, ღღიფღლა, ვიქმენ, ვიყავ, მიძიღღო (=მიძიღტანა), ნუგეშინის-ვიეც, მიიძღღე (=მიითარეე), შეიხო, ივნანენ, ღღეიუაშ...  
ამ ფორმების გადავარღნას, გარღა იძისა, რომ ოგი თავისთავად ენის გარღობეზას იწვეეღა, მოჰყუა კიღეე ერთი სამწუნზარო შეღღევი: ენებითი გვარის ზმნებში ღღაციღღი აღღვიღღი აღწერითმა ფორმებმა ღღიკაეუ (ამის შესახებ ზემოთ იყო მსჯეღობა)<sup>21</sup>.

<sup>21</sup> გღღისტიკიღღით უნღა ითქვას, რომ მარტო იმ საბაბით, რომ აქტივი (თავი მოიკლა) ღღა ჰასივი (კაცი ოში მოიკლა) ერთმანეთს ემთხვეეუო, არ ღღიღღა აღწერიღღი ტღიპის ენებითის გაძვეეზა ენღღან. ასე რომ იყოს, ჩვენს ენაში ბეერი შემთხვეევაა, როცა სულ სხვადასზეა გზით მიღღებული ფორმები ემთხვეეუა ერთმანეთს. მაგალითად:

<u>საწყისი</u>	ღღა	<u>წყვეტიღღი (S<sub>1</sub>O, მხ.)</u>
გავზავნა		გავზავნა მან ოგი
ღღაბანა		ღღაბანა " "
გატეზა		გატეზა " "
გახსნა		გახსნა " "
გარყვნა		გარყვნა " "
გახრწნა		გახრწნა " "
ღღაწერა		ღღაწერა " "
განკეეთა		განკეეთა " "

მეორე მხრივ, ღღესაც არაიშვიათად გეაქვს ენაში ისეთი შემთხვეეები, როცა სათავისო ქტეეა ღღა ინიანი ენებითი ერთი ფორმით არის წარმოღღენიღღი, მაგალითად:

გაიკესო (მან ჯიბეები)	გაიკესო (სახღღი)
ღღაიძაღღა (მან თავი)	ღღაიძაღღა (ოგი)
ღღაისერა (მან სახე)	ღღაისერა (მიწღღორი)
ღღაიფარა (მან საბანი)	ღღაიფარა (ვეღღი თოვეღღით)
ღღაიწერა (მან ჯღვარი)	ღღაიწერა (ჰოემა)
ღღაიხაზა (მან ოგი)	ღღაიხაზა (ოგი).

ასეთი თანხეღღენიღღი ფორმები ღღღეს უმტკინეუღღოღღ იხზარება გვერდიღღვერდ ღღა არა ღღგას საკითხი, რომ რომელღღიმე მათგანი გააჰეეონ.

2. შემდეგში თვით ძველ ქართულშივე სათავისო ქცევის ზოგიერთი ზნა დაიკარგა. მის ბაზაზე წარმოშობილი ენებითი კი დამკვიდრდა. განსაკუთრებით საყურადღებოა ჩვენ მიერ უკვე განხილული ორი ზნა: პოვნა და ქადაგება. ამ ზნებს ძველ ქართულში სათავისო ქცევა არ ქაინდათ და იპოვა და იქადაგა მხოლოდ ენებითი იყო. მაგალითად:

არამედ ვიპოვე მე მეთერთმეტისა ვამისათა თანა (ისტ. ქრ. I, 179.6 = აღმოჩნდი); ძმ ესე ჩემი... წარწყმედილ იყო და იპოვა (ლ. 15.24); ვიპოვნით ცრუ-მოწამე ღმრთისა (სინ. 165.17); იპოოს ვინმე, რომელმან განკაფოს იგი (შუშ. 137.23 = აღმოჩნდება ვინმე); აწ ეიწრაფოთ... რაითა არა ვიპოვნეთ. ვითარცა მონაა იგი. ფუფუნებასა შინა და უღლებებასა (ისტ. ქრ. II, 21.15 = რომ არ აღმოჩნდეთ); ნუკუკუ ... ვიპოვნეთ ჩუენ მიშუელ და გლახაკ (აღწ. 229.29).

სათავისო ქცევის შინაარსისათვისაც საარვისო იყო გამოყენებული: ეპოვე იგი (ჩემი, ჩემთვის).

მო ზნისწინანი ფუძე რამდენადმე მნიშვნელობას იცვლიდა და ამიტომ სათავისო ქცევაც ქაინდა: მოვიპოვებ, მოიპოვებს, მოვიპოვებდი, მოვიპოვე, მოვიპოვენით, მოიპოვენეს და სხვ. მაგალითად: რომელი უგუნურებით მოიპოვნა (კიმ. I, 322.23. ჩანს, ნ უკვე გადმოსულია პირიან ფორმებში); მოიპოვე მომპოვნებელი მშელობისა (ბალ. 141.7); რაითა განერე საბრკეთა სოფლისათა სამინელთა და მოიპოვო განთავისუფლება (იქვე, 88,10).

ახალმა ქართულმა აღადგინა უძველესი სახე სათავისო ქცევისა. დღეს ნორმალურია: ვიპოვე მე იგი, იპოვე, იპოვა, ვიპოვო, იპოვოს და სხვ. მაგრამ სათავისო ქცევის უფლებების აღდგენა ენას ძვირად დაუჯდა: გაქრა ნათელი ორგანული წარმოების ენებითი და მისი ადგილი სულ ცარიელი დარჩა ანდა იმეათად ნაძლადემა აღწერილობა წარმოებამ დაიკაჳა: პოენილ იქნა, პოენილ იქნეს და სხვ. ეს უხერხულობა დღეს კარგად იგრძნობა ენაში და ნაკლის შესავსებად სულ სხვა ფუძეს ვიყენებთ: აღმოჩნდა, აღმოჩნდება, აღმოჩნდეს...

დაახლოებით იგივე ითქმის იქადაგა-ს შესახებაც. ესაა მხოლოდ, რომ ეს ზნა ფორმებით გაცილებით ღარიბია. ჩვენ მარტო მაგალითების მოყვანით შემოვიფარგლებით: რომელი წინაწარმეტყუელთაგან ვიქადაგები (სინ. 147.23); კუარი არა იქადაგებოდა პირველ (იქვე, 234.9); ყოველსა ქუეყანასა იქადაგა ქრისტე (ეგსტ. 153.23); სადაცა იქადაგოს სახარება ესე ყოველსა სოფელსა (მ. 26.13).

დღეს ამოსავლად საგულეებელი სათავისო იქადაგა (მან იგი) აღდგენილია. როგორც ზემოთ აღნიშნული იპოვა (მან იგი): იმ კაცმა დიდხანს იქადაგა და მერმე წაიდა. სამაგიეროდ დაკარგულია ძველი საარვისო: ვქადაგე, ქადაგე, ქადაგა.

3. სათავისო ქცევის ფორმებში პირდაპირ ობიექტად, ჩვეულებრივ, მესამე პირია წარმოდგენილი: მოვიყვანე ამხანავი, ჩაიწერე მისამართი, მიიღო წერილი. მაგრამ იმეათად ხდება, რომ პირდაპირ ობიექტად გამოყენებულია I და II პირები: მომიყვანა მან მე (ცოლად), ჩამოვიყვანა მან შენ (სოფლიდან). ორივე ფორმა სხვა შეთხვევაში შეიძლება სამპირიანი იყოს და სასხვისო ქცევას გამოხატავდეს: მომიყვანა მან მე ჩემი ძველი მეგობარი, ჩამოვიყვანა მან შენ სოფლიდან პატარა ნინო. მაგრამ ამაზე—ქვემოთ.

I და II პირი პირდაპირ ობიექტად ხშირია დიალოგებში, კითხვა-პასუხისას, თხზულებებში, როცა თხრობა I და II პირით მიმდინარეობს. ამასთანავე შეინიშნულია, რომ, როცა პირდაპირ ობიექტად I პირია მოცემული, სუბიექტად

არაიშვიათად II პირია წარმოდგენილი ( $S_2O_1$ ), და, პირიქით, როცა პირდაპირ ობიექტად II პირი იგულისხმება. სუბიექტად ასევე არაიშვიათად I პირი იქნება მოცემული ( $S_1O_2$ ). რაღა თქმა უნდა, სხვა შემთხვევაში I და II ობიექტურ პირებს სუბიექტად უფრო ხშირად შესაძებ პირი ეწყობა ( $S_1O_1$ ,  $S_2O_2$ ).

პირთა აქ აღწერილი თავისებური დაცგუფებანი უფრო მეტი რაოდენობით ძველ ქართულში გვხვდება. თუმცა ახალშიც არაა იშვიათი მოვლენა.

აქ ეუქვენებთ ამ საინტერესო ფორმების მაგალითებს ძველი ქართულიდან.

### $S_2O_1$

აღმარე მე წინაშე ანგელოზთა შენთა (კოსტ. 170,1); მოგაყბო შენ, უკუეთუ არა აღმარო (სინ. 241,16); ვერცა ჩემდა შემძლებელ ხარ განყვანებად, გარნა თრევით განმითრიო (შუშ. 24,19); არა შემპყართ მე (მ. 26,55); რამეთუ შენცა შენვე-გვყრენ. და შენვე ყავ ესე ჩუენ ზედა (მოქც. 107,22 წ. რამეთუ შენცა შეგვყრენ: 4); არა თქუენ გამოპირჩიეთ მე, არამედ მე გამოგირჩიენ თქუენ (ი. 15,16); საფარველსა ფრთეთა შენთასა დამიფარე (ფს. 16,8); უფალო ღმერთო, ... დავფარენ საფარველითა შენითა (კიმ. I, 52,33); აღდეგ აღრე და წარვედ და აღმიღე მე მიერ და მომიღე მე წმიდაი ეკლესიაი (კიმ. I, 123,19); მიძილეთ მე წმიდისა მის (იქვე, 291,4 = მიძიტანეთ მე); ნუ შემიყვანებ ჩუენ განსადელსა (მ. 6,13; ლ. 11,4. ნუ შეგვეყანებ: მ. 6,13 C); შეგვეყანენ ჩუენ ტაძარსა მას ღმრთისა თქუენისასა (მოქც. 107,19 წ; შეგვეყანენით: 4); შემიყუარე მე უწინარეს სოფლის დაბადებისა (ი. 17,24); რამეთუ თქუენ მე შემიყუარეთ (ი. 16,27).

არ მიცი მე (ლ. 22,34,61); მეცა მიცით და იცით, ვინაი ვარ (ი. 7,28); უკუეთუმცა მე მიცოდეთ, მაშაიამცა ჩემი იცოდეთ (ი. 8,19); მე დამიცევ საქმეთაგან მტერისათა (შუშ. 23,21); და ლათუ ეცოდე, და-ვე-მიცევ მე (იობ 10,14); ძეო დავითისო, მიწყალე მე (მრ. 10,47 C. 48 C); შემიწყალენ ჩუენ, უფალო (მ. 9,27); უფალო, გეწყალენ ჩუენ (მ. 20,31 C); მოვედ სახელითა მაშისა ჩემისაითა, და არა შემიწყნარებთ მე (ი. 5,43 C); უელი შემახეთ და მიხილეთ (ლ. 24,39 C); არღარა მიხილოთ მე ამიერითაგან (მ. 23,39); მომიხსენე მე, ოდეს მოხვდე სუფევითა შენითა (ლ. 23,42); მიხსენე ჩუენ ბოროტისაგან (მ. 6,13).

### $S_1O_2$

აღმარებ შენ, მამაო (ლ. 10,21); ვითარცა-ესე აღმარებ წინაშე უსჯულოისა ამის მეფისა (კოსტ. 169,38); უკუეთუ არა, თრევით მოგითრიო (შუშ. 15,17); მოგინადრე, რაითა უცხო გქმნა შენცა საშუებელისა მისგან (ლიტ. ქრ. 5,50); მე გიცნი, რომელნი-ევე გამოგირჩიენ (ი. 13,18 C); მუნ ვიხილო მე სისხლი იგი და დავიფარნე თქუენ (გამ. 12,13); ანუ გიქორწინო, ანუ გგუეზო შენ (საკ. წ. II, 26,2); კუალად მოვიღე მე და წარგიყვანენ თქუენ თავისა ჩემისა თანა (ი. 14,3); შენ ხარ ძმ ჩემი საყუარელი, შენ სათნო-გიყავ (მრ. 1,11; ლ. 3,22); ვითარცა მე შეგიყუარენ თქუენ (ი. 13,34; 15,2); გიცი შენ, ვინ ხარ (მრ. 1,24 C); არასადა გიცნოდე თქუენ (მ. 7,23 C); ვითარცა მე შეგიწყალე შენ (მ. 18,33); ოდეს გიხილეთ შენ მშვიერი და გამოგზარდეთ (მ. 25,37); მერმე კუალად გიხილენ თქუენ (ი. 16,22).

S<sub>3</sub>O<sub>1</sub>

რომელმან აღზაროს ჩემდა მომართ წინაშე კაცთა, მეცა აღვიარო იგი წინაშე მამისა ჩემისა (მ. 10,32 D); რომელთა აღზარონ მე წინაშე კაცთა, პატივ-სცეს მას მამამან ჩემმან (კოსტ. 169,35); წარმავლინე და წარვიდე წინაშე ჰელენე დელიფლისა. ნუკუეე მოძიახლოს სიტყვეს-გებად მის წინაშე ქრისტესთვის (მოქც. 113.33 წყ.); არაჲინ ღამიღვინა (დაგვღვინა C) ჩუენ, უფალო (მ. 20,7); უკუეთუ შემკრას და მითროოს, მიხარის მე (შუშ. 15,27); ამით აღვილად მომზადირა მე სასიკუდინოდ (აღწ. 163,21); შემიტყებო მე მკერდსა მისსა (მოქც. 110.3 წ); ღამიფარა მე დაფარულსა კარვისა მისისასა (ფს. 26,5 წ); სხუამან უფალმან მიგვფურდნა ჩუენ (საქეს. 50,3; 56,3); აწ ვინ წარგვქცინა ჩუენ ძლით (სინ. 265,1); არა თუ სხუამან ვინ მიძილო მე მუნ (კომ. I, 123,18); რომელმანცა მომიყვანნა სოფლად... მანვე წარგვყვანნეს ჩუენ ამიერ სოფლით ჟამსა თვისსა (სინ. 265.2.3); მიეტყუენენ მაგას ცოდვანი მაგისნი, რამეთუ შემიყუარა მე ფრიად (ლ. 7,47); ვითარცა მიცის მე მამამან (ი. 10,15); ვიცნი ჩემნი იგი და მიციან ჩემთა მათ (ი. 10,14); ვერ განმიცდის მე თუალი ჩემი ხილუად ჩემდა (იობ 7,8); ვითხოვდეთ ღმრთისაგან. რაითა დაგვცვენეს ყოელისაგან ბოროტისა საქმისა (სწავ. 228,25); პირველად მე მომიძულეს (ი. 15,18); შემიწყნარონ მე სახლეულთა მათთა (ლ. 16,4); და მუნ მიხილონ მე (მ. 28,10).

S<sub>3</sub>O<sub>2</sub>

ემშაკმან დაგისახლეულა შენ და დაგიღვინა შენ მეფედ (კომ. I, 139,5); მცეკლეთა მათ ქერობინთა... ვერ განგიკითხეს, ვითარმედ ვინ ხარ (აბო 175,33); ემშაკმან გამოგიითხოვნა თქუენ (ლ. 22,31); დაგიმზდა ქრისტემან საქმედ ვენაჲისა თვისისა (სწავ. 12,26); რაითა არა მოგინადრონ მტერთა შენთა უწყალოდ (სწავ. 291,4 B; მოგინადრონ AC); მარტულად ყოველთა შეგისწავეს (იქვე. 176,15); ნეტარ არს იგი მუცელი, რომელმან გიტერთა შენ (ლ. 11,27); ვერ შეგიტყუეა შენ ემშაკმან (კომ. I, 301,31); გუემისაგან ენისა დაგიფაროს შენ (იობ 5,21); რომელი წარგიქცეოდეს შენ მძღურად მილიონ ერთ (მ. 5,41); შენ... მოვილო ქრისტემან და მტილსა მას შინა თვისსა... დაგნერვა (აბო 176,32); მეფეთა წინაშე და მთავართა მოგიყვანებდენ თქუენ სახელისა ჩემისათვის (ლ. 21,12 C); რომელმან საკრველეგამან აღგიყვანა შენ დიდებასა სასუფეველთასა (აბო 175,19); აწ მოაკლინნეს მსახურნი და თრევით წარგიყვანოს შენ (შუშ. 15,26); შენ სულმან წმიდამან შეგიყუარა (აბო 175,2); ვინ გიცის შენ (ისტ. ქრ. II, 113,7); რომელ-იგი პირველ არაჲინ გიცოდა (აბო 176,12); ხოლო შენ ... ჯუარითა თვისითა დაგიცვა (აბო 175,29); რაჟამს მოგიძულნენ თქუენ კაცთა (ლ. 6,22); თუ ვინმე წარგიძლუნებდეს შენ მილიონ ერთ (მ. 5,41 C); შეგიწყალა შენ /უფალმან/ (მრ. 5,19); შენ ძემან მამისა მიერ შეგიწყნარა (აბო 175,1).

ჩუენ ზემოთ (გვ. 310-316, 445) საუბარი გვქონდა სათავისო ქცევისა და ინიანი ენებითის საზიარო ფორმებზე (დავიეიწყე—დავიეიწყე, განიკითხოს—განიკითხოს...). რომელთა მსგავსი მაგალითები ძველ ქართულში საკმაოდ ბევრია.

მაგრამ სათავისო ქცევის თანხედენილი ფორმები ამით არ ამოიწურება. ი ქცევის ნიშნად, როგორც ცნობილია, სასხვისო ქცევასაც მოეპოვება, ოღონდ მხოლოდ I და II რიბ ობიექტურ პირებში. და რადგანაც, როგორც ზემოთ ვნახეთ (გვ. 448 და შემდ.), I და II პირდაპირი ობიექტური პირები შეიძლება სათავისო

ქვეყანაში იყოს წარმოდგენილი (ძველად ეს ხშირად გვხვდებოდა), ამიტომ სათავეს და სასხვისო ქვეყის ფორმები გარკვეულ შემთხვევებში შეიძლება ერთმანეთს დაემთხვეს. ჩვენ ზემოთ (გვ. 449) ერთი ასეთი მაგალითი გვქონდა მოყვანილი: არა თუ სხუამან ვინ მიძილო მე მუნ (კომ. I, 123,18), რომელშიც ორი პირია: სუბიექტი ვინ (=მან) და პირდაპირი ობიექტი მე: მიძილო (=მიძიტანა) მან მე. ეგევე მიძილო სასხვისო ქვეყის ფორმაცაა: მიძილო მან მე იგი. ამის მაგალითია: რადსათეს მიძილო მე ისრაჲლმან ქუეყანად ჩემი (მსაჯ. 11,13 M). აქ სუბიექტია ისრაჲლმან, პირდაპირი ობიექტია ქუეყანად, ხოლო ირბი — მე. მაშასადამე, გარეგნულად, ფორმალურად ორივე მიძილო ერთმანეთის თანხედენილა, განსხვავება სინტაქსური ხასიათისაა: მიძილო (=მიძიტანა) მან მე და მიძილო (=წამართვა) მან მე იგი. ამ ტიპის თანხედენილ ფორმებზე უფრო ვრცლად ქვემოთ გვექნება საუბარი, როცა სასხვისო ქვეყას შევეხებით.

სათავეს ქვეყის ძირითადი შინაარსი, როგორც ცნობილია, ისეთი ხასიათისაა, როცა სუბიექტი მოქმედებს პირდაპირ ობიექტზე, რომელიც მისი (სხეულის) ნაწილია. მისი კუთვნილებაა ან მისთვისაა დანიშნული. ამიტომ, ბუნებრივია, სათავეს ქვეყის ფორმებში პირდაპირ ობიექტად ყველაზე ხშირად გვხვდება თავი (უპუქცევითი ნაცვალსახელი). მერმე სხეულის სხვა მთავარი ნაწილები: გული, ხელი... როცა სათავეს ქვეყით გამოხატულია, რომ პირდაპირი ობიექტი სუბიექტისთვის არის დანიშნული, განზოგადების ნიადაგზე პირდაპირ ობიექტად სხვა, ნებისმიერი, სახელებიც არის წარმოდგენილი. მაგრამ ყველაფერი ეს კარგად არის ცნობილი და აქ აღარ გავიმეორებთ. დაეურთავთ მხოლოდ ძველი ქართულისათვის დამახასიათებელ ნიმუშებს. დაკენთ აქვე, რომ ძველ ქართულში სათავეს ქვეყის ფორმები გაცილებით მეტია.

ჯერ წარმოვადგენთ ისეთ მაგალითებს, როცა პირდაპირ ობიექტად თავი და მისი ბაღანი სახელები იგულისხმება, მერმე სხვა დამახასიათებელ ფორმებს.

A. განიგმარა დანაკითა მით თავი თვისი (ლომ. 36,20); დაისნულა თავი თვისი (ბალ. 90,16); ვითქულებ მე თავსა ჩემსა და ვიტყვ (ასურ. 183,28 5); რაითა აღვივსნეთ პირნი ჩუენნი დიდებითა შენითა (სწავ. 65,10); განიხილა გუამი თვისი (კომ. I, 199,31 =დაათვალიერა, გასინჯა); ამოიჭამნ ვორცთა თვისთა (იქვე, 209,14); სამოსელი არა შეიძოსის, არამედ შიშუელი მოიჭამნ მკლავთა თვისთა და ენასა (ს. მეს. 20,17); იწონენ იგი ენას თვისსა (იქვე, 325,36); ალილესა ენად თვისი (კომ. II, 185,26 =ენა წაიგრძელა); რომელთა დაიტანჯნენ თავნი თვისნი (თეკლა 93,17); თავსა შენსა განიმართლებ და მეზუერესა მას შეურაცხ-ჰყოფ (ბოლნ. 53,13); თავსა შენსა განიდიდებ და მეზუერესა მას დაამდაბლებ (იქვე, 53,15); გამოიპარა თავი თვისი მმათაგან და წარვიდა უფიცხლმსსა ადგილსა (საქ. წ. II, 98,10); რომელმან სოფელსა ამას თავი თვისი მოიკლდინე, ქუეყანისასა იღუწია? (ისტ. ქრ. II, 3,30 =თავი მოიკალი); არამედ მოვისულულო თავი (კომ. I, 203,28); განირყუნნიან პირნი მათნი, რაითა ეჩუენნენ კაცთა მმარხველად (მ. 4,6; ლ. 4,9); იცნა უელნი პირსა თვისსა (აღწ. 189,8); არცა ოქროითა შევიმკენთ თავნი ჩუენნი (სწავ. 210,5); ოდესმე დაეცა და განიტება ფერვი (ნოე, II, 249,22); ხოლო მან იცა (ვარ.: იცნა) პირსა თვისსა სამგზის და თქუა (იქვე, 109,1); ვითარცა შვიზო იგი მან ვორცთა თვისთა, მუნქუესვე განიკურნა (კომ. I, 239,3); მაშინ მიილო იოვანე მარჯუენე აუზაკისა მის და ამბორს-უყოფდა და ითხუედა თუალთა თვისთა (სწავ. 293,18); ყურიძალსა იცა (იქვე, 29,28); შეიკრძალნეთ თავნი ჩუენნი (Sin. 97, 195r); იყო ვინმე მათგანი,

რომელმან შეიძოსა თავი თვისი და დაიფულა თავი თვისი შეწყენითა უფლისაითა (იქვე, 56,34); უორცთა მათთა შეიბილწებენ (იქვე, 308,17); შვიწრე თავი შენი მარხვითა (სინ. 86,30); ყოვლითა მარხვითა განიშაღებნით გუღნი თქვენნი (კიმ. I, 266,30); იწყალობნ თავსა თვისსა (შსაჯ. 1,7 ლაგ.); განივრცენით ლოცვითა სულნი და განიწმინდენით მარხვითა ვორცნი (აღწ. 158,9); განიმარტნა ველნი თვისნი (კიმ. I, 222,26).

B. სიმცირითა საზრდელისაითა და სიდიდითა შრომათაითა მოიხადეს მათ მაღლი ღმრთისა (სწავ. 10,6); მაშინ ირწმუნა მეფემან მან ჩუენება იგი (კიმ. I, 123,22); ნუ უტეეებ მას, ვიდრემდის აიძულო და დაიგო იგი (სწავ. 35,10 = შერიგო); ნუკუე დღე ყოველ ივნან მვნეელი ქუეყანასა (ეს. 45,9 ლატ.); იუდა განიძრავლა ქალაქები ზღუდოვანი (ოსე 8,14); მოიყიდე და დაიწინდე ეკლესია წარმართთა (სას. პ. 371,13); წმიდასა ქალაქსა მივიდა და ყოველნი მონაზონნი მოიქცნა (ნოვ. II, 45,2); შვა ძმ იგი მისი პირმშოი და შეხვა იგი სახუეველითა და მიიწვინა იგი ბაგასა (ლ. 2,7 D; შთაწვინა C; მაწვინა ABEFGHIK... სათავისო ქუეყა, D-ს გარდა, არსად არა ჩანს); მაშინ კაპრუღნიცა მოიდგნა სამსახურებულად ლავრისათვის (მამ. ცხორ. 66,17); ხოლო ნეტარმან საბა შეილიქნა მამა (იქვე, 94,12); აიძულა მას, რაითა შეიღვინნეს სვენკლოსად პეტრე აღუქსანდრელი და იოვანე მრგუალი (იქვე, 121,21); ხოლო მე. ცოდვილმან ამონიოს, დავიწერე ცხორება იეს მათი ქარტასა (სინ. 279,30); დაწერა კოსტანტინე მეფისათვის და სხუათათვისცა მრავალთა და ითარგმანნა ტუელნი და ახალნი წიგნნი (ცხ. ეფრ. 107,22); მეზუერესა მას დაიძრწემებ (ბოღნ. 53,13 = ამცირებ); მოსაჯული ხარ მძლე, რომელი მიიძლეე მოსაგრესა სამუჯელად საუკუნოდ (სწავ. 220,9 A; BC-ში იკითხება მოითრეე, რომელიც აგრეთვე სათავისო ქუევის ფორმას); აღიძნნა სენაკი მეკარისა სენაკსა თანა (Sin. 11,191v); მცირეად პური... დაიღობს (გულანდ. 218,21 A; დააღობს B); აღივღინნეთ მის ზედა კუნენი, ვითარცა სიმრავლე მკლისა (იერ. 51,27); განიწმინდა გულის-სიტყუანი მარადის (სწავ. 281,28); შეიძოსე საჭურველი მარხვისა .. და შეიკრძალე მოთმინება შიმშილისა (სწავ. 304, 12,13); შეიტკბო იგი და ამბორს-უყოფდა (თეკლა 120,23 = მოეხვია. ჩაიხუტა); არღარა მოიდნობდა სტომაქი მისი (კიმ. I, 238,36); თვისი ნაწილი მოიღო და განუყო გლახაკთა და რაითურთით არა დაიშინა (ნოვ. II, 114,24 = დაიტოვა); საცხოვარ თუ გედგნენ. ქღუნოდე მათ; იყენენ თუ შენდა საუმარ, დაიდგრინენ იგინი (ზირ. 7,24. ენე-ბითისაგან ინ სუფიქსით ნაწარმოები მოქმედებითა. ზემოთ მოყვანილი დაიშინაც ასეთივეა); დაიდგინონ თავისა მათისა მთავარი ერთი (ოსე 1,11); აწ უკუეთუ გინდეს, რაითამცა მოინატრე ვინმე (ძალისათვის ფსალმუნთაისა: ფს. გვ. 449,32).

## C. სასხვისო ძაქვა

### a. სასხვისო ძაქვის ნიშნები

სასხვისო ქუევას ორი ნიშანი აქვს: პრეფიქსი ი და უ. ი I და II ორიბი ობიექტური პირის ფორმებისათვის, უ — III-ისათვის:

დამ-ი-მალა	დავ-ი-მალა	და-უ-მალა
განმ-ი-ტება	განგ-ი-ტება	გან-უ-ტება
მიმ-ი-ლო	მიგ-ი-ლო	მი-უ-ლო

მომ-ი-გო	მიგ-ი-გო	მი-უ-გო
მ-ი-თხრა	გ-ი-თხრა	უ-თხრა

მესამე პირის ფორმებში ობიექტური ნიშნები დაკარგულია: და-უ-მალ-ა ← და-ქ-უ-მალ-ა (ხანმ. და-ხ-უ-მალ-ა), გან-უ-ტეხ-ა ← გან-ქ-უ-ტეხ-ა, მი-უ-ღ-ო ← მი-ქ-უ-ღ-ო, მი-უ-გ-ო ← მი-ქ-უ-გ-ო, უ-თხრა-ა ← ქ-უ-თხრა-ა.

სასხვისო ქცევის ფორმები მოეპოვებათ როგორც გარდამავალ, ისე გარდაუვალ ზნებს, პირველთა ცილებით უფრო ხშირად.

თუ სასხვისო ქცევა გარდამავალ ზნას აქვს, ეს უკანასკნელი უეჭველად სამპირიანი იქნება: დაუმალა მან მას იგი, განუტეხს იგი მას მას, მიუგო მან მას იგი. გარდაუვალი ზნეები ასეთ შემთხვევაში, ცხადია, ორპირიანი იქნება: მომივდა იგი მე, გიყუარდა იგი შენ, უშზირის იგი მას.

სასხვისო ქცევა არ შეიძლება ჰქონდეს ერთპირიანი ზნებს, რადგან მათ (ირიბი) ობიექტი არა აქვთ. სასხვისო ქცევა კი სუბიექტსა და ირიბ ობიექტს შორის (კუთვნილებითს) დამოკიდებულებას გამოხატავს.

გარდაუვალ ზნათაგან სასხვისო ქცევა მოეპოვებათ:

ა) დონიან ვნებითებს: განუძლიერდა, შეუძნდა, განუტყდა... გამოუჩნდა, დაუბნელდა, გამოუბრწყინდა...

ბ) ენ სუფიქსიანებს: განურისხნა, აღუსუბუქნა, განუმტკიცნა, განუწითნა, დაუღუნა...

გ) უნიშნო ვნებითებს: დაუბრმა, განუკრთა, დაუცხრა, დაუღნა, განუჟმა, შემოუკრბა (ერი მრავალი)...

დ) სტატიკურ ვნებითებს: უყერიეს, უფლიეს...

ე) საშუალო: უყუარს, უნებს, უჩნს, უკვრს, უღრტუნავს, უვმს, უზრუნავს, უსხენან. უხის...

როგორც აღნიშნული იყო, ქცევის ფორმები, საერთოდ, და სასხვისო ქცევისა, კერძოდ, სრულად და მრავალფეროვნად გარდამავალ ზნებშია წარმოდგენილი. ამიტომ უფრო ვრცლად სწორედ ასეთ ზნებზე გვექნება საუბარი.

ზემოთ აღინიშნა, რომ სასხვისო ქცევას I და II ობიექტური პირის ფორმებში ქცევის ნიშნად ი პრეფიქსი მოუდის: დამიღვინა (=დამიყენა) მან მე იგი, დაგიღვინა მან შენ იგი (დაუღვინა მან მას იგი). მაგრამ იგივე ი ქცევის ნიშნად აქვს აგრეთვე სათავისო ქცევასაც: დამიღვინა მან მე (მუშაკად), დაგიღვინა მან შენ, დაიღვინა მან იგი. გარკვეულ შემთხვევებში ამ ორი სხვადასხვა ქცევის ფორმები ერთმანეთს ემთხვევა და ყოველთვის ადვილი არ არის მათი გარჩევა. ეს დამთხვევატ ხდება მხოლოდ II სერიის ფორმებში (აქვე ემთხვეოდა ერთმანეთს სათავისო ქცევისა და ინიანი ვნებითის ფორმებიც. მიზეზი ორივეგან ერთი და იგივეა (ნ. ზემოთ, გვ. 445). ძველ ქართულში ამგვარი თანხედენილი ფორმები უფრო მეტი იყო, დღევანდელ ენაში იშვიათია. შდრ., მაგალითად: დამიყენა მან მე მსახურად (სათ.) და მან მე თვალი დამიყენა (სასხვ.); ჩამომიყენა მან მე სოფლიდან ქალაქში (სათ.) და მან მე სოფლიდან ნათესავი ჩამომიყენა (სასხვ.).

ეუწვენებთ ძველი ქართულის მაგალითებსაც:

1. დამიღვინა (სათ.) — დამიღვინა (სასხვ.)

ა) ი: არაეინ დამიღვინა ჩუენ /მუშაკად/, უფალო (მ. 20,7); ეგე არა-მე უწყი, რამეთუ ეშმაკმან დაგისახლეულა და დაგიღვინა შენ მეფედ (კიმ. I, 139,5).



ბ) ი/უ: კურთხეულ არს უფალი ღმერთი ისრაჰლისაი. რამეთუ მოხელა და ... აღკვდინნა ჩუენ რქის ცხოვრებისაი (ლ. 1,69); ესაჯო შორის ვერძსა ვერძისა მიმართ და აღკვდინო მათ მწყემსი (ებუკ. 34,23); ნუ ჰკონებ, ვითარმედ ვერ შემძლებელ ვარ ედრებად მამისა ჩემისა, და დამიღვინოს მე აწ აქა უფროის ათორმეტი დასი ანგელოზთაი (მ. 26,53 C).

მოყვანილი მაგალითების რიცხესა და მწკრივში განსხვავებას (დამიღვინა, დამიღვინოს), აგრეთვე სხვადასხვა ზნისწინით ხმარებას (დამიღვინა, აღკვდინა) აქ არა აქვს არსებითი მნიშვნელობა, სხვაგან ესენიც მთლად ერთნაირია. მთავარია, რომ ქვევა და პირთა რაოდენობა სხვადასხვაა. ქვევით ამ გარემოებაზე სპეციალურად აღარ მიუთითებთ.

## 2. მომინადირა — მინადირე

ა) ი: რომლითა შემაკუთთა საწუთროსა და ტრფიულ მყო გემოთა მისთა, და ამით აღვილად მომინადირა მე სასიკუდინოდ (აღწ. 163,21); მე ვიყავე ჭირსა შინა და შენ განსუენებასა. და მოგინადირე, რადითა უცხო გქმნა შენცა საშუებელისა მისგან (ლიტ. ქრ. 5,30); ნუმცა იარების გონებაი შენი გარეშე გზისა მისგან იწროისა. რადითა არა მოგინადირონ მტერთა შენთა უწყალოდ (სწავ. 291,4 B. AC-ს უფრო ძველი საარვისო ქვევის ფორმა აქვს დატული: მოგნადირონ. მაგრამ ამგვარი ფორმების გადმოსვლა სათავისოზე ძველ ქართულში საკმაოდ ხშირია.

ბ) ი/უ: განვედ ველად და მინადირე ნადირი (დაბ. 27,3); უნადირეს ლომთა საზრდელი (იობ 38,39).

## 3. შემპყრნა — შემპყრა

ა) ი: შიშმან და ძწოლამან დიდმან შემპყრნა ჩუენ (სინ. 267,25); დლითი-დღედ თქუენ თანა ტამარსა შინა ვჯედ და გასწავებდ, და არა შემპყართ მე (მ. 26,55; მრ. 14,49); შემპყრეს და მიმიყვანეს მე (კიმ. I, 138,15); სინანულმან შემპყრას მე უფროისლა (ლიტ. ქრ. 23,16).

ბ) ი/უ: შემპყრა მე კელი მარჯუენს მტკიცედ (ლიმ. 40,3); შემპყრა კელი ჩემი და მრქუა (რავახ. 88,19).

## 4. დამიფარა — დამიფაროთ

ა) ი: დამიფარა მე დაფარულსა კარეისა მისისასა (ფს. 26,5 ო); წყალობით დაგიფარა შენ, ოღეს-იგი სცოდე (სწავ. 145,14); საფარველსა ფრთეთა შენთასა დამიფარე მე (ფს. 16,8); დაგეფარენ საფარველითა შენითა (კიმ. I, 52,33); გუემისაგან ენისა დაგიფაროს შენ (იობ. 5,21); შენ ვიხილო მე სისხლი იგი და დაგიფარანე თქუენ (გამ. 12,13).

ბ) ი/უ: მე გვეედრები თქუენ, რადითა მითხრათ, რად იყო, ანუ ვითარ მოისრნეს მამანი მთისა ამისნი და არაი დამიფაროთ. ვითარცა მე ყოველი წარმოგითხარ (სინ. 179,12).

## 5. მიძილო — მიძილო

ა) ი: არა თუ სხუამან ვინ მიძილო მე მუნ (კიმ. I, 123,18); მიძილეთ მე წმიდისა მის. და მიიღეს იგი შემუსრვილი გონებითა (იქვე, 291,4).

ბ) ი/უ: რადისათვის მიძილო მე ისრაჰლმან ქუეყანაი ჩემი (მსაჯ. 11,13 M); აწ გულისხმა-ყავ, ვითარ მან მიძილო მეუფებაი ჩემი და ძლიერებაი ჩემისა

ველწიფებისა (ისტ. ქრ. II, 31,28); მიძილე სული ჩემი ჩემგან (იონა 4,3); ღმრთის მსახურებისაგან სახარება მიძილე და აწ წინდსა მიძილია? (სინ. 27,8); სიხარული თქუენი არაჲნი მოვილოს თქუენგან (ი. 16,22; სინ. 3,27); რაითა არაჲნი მოვილოს გვრგვნი შენი (გამოცხ. 3,11); ამას ღამესა მოვილონ სული შენი შენგან (ლ. 12,20).

### 6. მიძილე — მიძილე

ა) ი: აღდეგ ადრე და წარვედ და აღმილე მე მიერ და მიძილე მე წმიდად კელესად. სადა მონანი ქრისტესნი კრებულ არიან (კიმ. I, 123,19).

ბ) ი/უ: შვილო ჩემო, წარილე სარწყული და აღავეს იგი ტბისაგან და მიძილე (ლიტ. ქრ. 307,39 = მიძიტანე იგი მე); უფალმანცა მომცა და უფალმანცა მიძილო (სწაე. 34,19 = წამართვა); არაჲნი მიძილოს მე იგი ჩემგან (ი. 10,18).

### 7. მოვილო — მოვილო

ა) ი: შენ ... მოვილო ქრისტემან ... და დაგენერვა (აბო 176,32).

ბ) ი/უ: მთრვალობამან მიძილემან მოვილო შენ ძალი და სიმენც შენი (X)<sup>22</sup>; მოვილო გული ქვისაჲ ვორცისაგან თქუენისა (ეზექ. 36,26).

### ბ. სასხაისო ძაჲის თაჲისაჲური

#### ხარაბა ძეჲლ ძართულუშო

1. განუტევა. ბეერ ზნაში სასხვისო ქცევის შინაარსი ხანგრძლივი პერიოდების განმავლობაში დაბნელებულია. ფორმას ხშირად საარვისოს მნიშვნელობა აქვს მიღებული. ამის ტიპური ნიმუშია ტეგება ზნა სხვადასხვა ზნისწინით, ყველაზე ხშირად გან ზნისწინით: განუტევა არსებითად ორპირიანია, ირიბი ობიექტი დაკარგულია და ფორმას საარვისო ქცევის მნიშვნელობა აქვს შექმნილი: გაუშვა, დატოვა. და ზნისწინით იგი ღღეჲანდელ ორპირიან დატოვას ნიშნავს: დაუტევა ნაზარეთი და მოვიდა და დაემკვდრა კაფარნაუმს (მ. 4,13). ასეთი ორპირიანი ფორმებია ძველი ქართულის ნორმა. მაგრამ აქა-იქ შემორჩენილია უფრო ძველი ვითარების გადმონაშთები, როცა ფორმაში თავდაპირველად ნაგულისხმევი ირიბი ობიექტიც არის შემონახული: მშვედობასა დაგიტეგებ თქუენ (ი. 14,27); დაუტევა ცოლი იგი ძმასა თვისსა (მ. 22,25).

მა და მო ზნისწინით ხმარებისას უძველესი ნორმების მიხედვით ირიბი ობიექტი ყველგან ხელუხლებლად არის შენარჩუნებული: მოუტევა მათ ბარაბა (მ. 27,26); ყოველი თანა-ნადები იგი მოუტევა მას (მ. 18,27); მიძიტეგენ ჩუენ თანა-ნადებნი ჩუენნი (მ. 6,12).

საინტერესოა აღინიშნოს, რომ განტეგება და მისი პირიანი ფორმები განუტევა, განუტეგოს ღღეჲანდელ ქართულში შეცვლილია გაშეგება ზნის ფორმებით სწორედ ძველებურად, ირიბი ობიექტის გარეშე: გაუშვა მან ცოლი, სოფელში გაუშვა ბავშვები. გაუშვა, როგორც ძველი განუტეგება, წარმოშობით სამპირიანი ზნაა: გაუშვა მან მას იგი. შდრ. სხვა შემთხვევაში ხმარებული: მან ხელი გაუშვა საჭეს, მათ ხელი გაუშვეს ერთმანეთს. ძველებური პირნაკლი ზნა

<sup>22</sup> წყარო კერ დავაზუსტე-ვ.ი.

ახალმა პირნაკლმა ფორმამ შეცვალა... დღეს ძველი ფუძის დატოვა ორივე ქცეით ნორმალურად იხმარება: დატოვა მან ქალაქი (საარვ.) და: დაუტოვა მან მას წიგნი (სასხვ.).

ისიც უნდა დაეძინოთ, რომ ამ ზმნას არც სათავისო ქცევა გააჩნდა: დაიტყუა. განიტყუა მან იგი. დღეს ეს ნაკლი გამოსწორებულია: ახლა გვაქვს დაიტოვა.

სხვა საინტერესო ფორმებია:

2. მიზრახვებ: მე ესერე მეონიეს, პატიოსანო მამო ჩემო, რამეთუ ესე იცოდე და მეტყოდე მე და მიზრახებდ, რაითამცა ვიყოფოდე ლავრასა ნეტარისა საბაისსა (მამ. ცხორ. 114,8). ზრახება "რჩევას" ნიშნაეს ძველ ქართულში. აქ მიზრახებდ იქნება "პირჩედი". ეს ზმნა ძველ ქართულში, ჩვეულებრივ, საარვისო ქცევის ფორმით იხმარება: ხოლო აზრახებდა მათ ცხორებისათვის (მამ. ცხორ. 47,15); ისმინე, ძმო ჩემო, რაიცა გაზრახო (ისტ. ქრ. II, 29,5 = რასაც გირჩევ); რასა უკუე მაზრახებ, რაი უყო ამათ (საკ. წ. II, 85,33 = რას მირჩევ); აზრახუა ჩემი განძებია? (იქვე, 138,19); მოსრულ ვარ, რაითა გაზრახო (იქვე, 82,11); თავსა თვისსა აზრახე და უმჯობესი გამოირჩიე (იქვე, 37,3). უკანასკნელ მაგალითში მეორე ზმნა (გამოირჩიე) უკვე სათავისო ქცევის ფორმით არის ნახმარი და სავსებით სამართლიანად. ზრახება-ს სათავისო არა ჩანს ძველ ქართულში. სასხვისოს აღნიშნული ფორმა (მიზრახებდ) ვერჯერობით ერთადერთია.

ზრახება ხშირად იხმარება გან ზმნისწინითაც: განაზრახა მეფემან ზრახუაი კეთილი ერსა თვისსა (ისტ. ქრ. II, 38,42 = უჩრია); მოუედ და განაზრახო შენ (რიცხ. 24,14 G). მაგრამ აქაც მხოლოდ და მხოლოდ საარვისო ქცევაა, სხვა ფორმა არა ჩანს.

3. მიძოდო: არამედ მე მოვივლტი შენდა, მკსნელო, რაითა არა ყოვლადეუ მიძოდო მტერსა ჩემსა (სწავ. 232,1). მეტად იშვიათი და საინტერესო მაგალითია: მიძოდო შენ მე მას. სხვა ხელნაწერში (Sin. 63) მო-ს ნაცვლად შე ზმნისწინია ნახმარი, სხვა ყველაფერი ხელუხლებლად დატოვებული: რაითა არა შემოდო... (274b,14).

სხვა ამგვარი მაგალითია ისევე იმავე წიგნიდან: რამეთუ დღე მოვევლებს ლამესა და ლამე მოვევლებს დღესა (სწავ. 253,6). ვარიანტებში არა ჩანს ქართულის ეს თავისებურება და ტრაფარეტული საარვისო და სასხვისო ქცევის ფორმები: მოვევლებს C, მოუვლებს B<sup>73</sup>.

4. მიგპარა: კაცმან ბოროტმან მიგპარა შენ საფასე შენი (კომ. I, 304,25); სასხვისო ქცევა აქ ოთხთა გამოხატული, რადგან ირიბ ობიექტად II პირია წარმოდგენილი. რაც შეეხება მი ზმნისწინის ხმარებას (დღეს მო-ს გამოვიყენებდით: მოგპარა), იგი ორმაგად არის გამოხატებული ძველი ქართულის ნორმებით:

ა) II პირთან ჩვეულებრივ მი იხმარებოდა: მოცა მან შენ იგი; მოგიხრობ მე შენ, არა მოგიო თქუენ სიტყუაი (ეზეკ. 14,3), რაი-მე სიტყუაი მოგიოთ უფალსა ჩუენსა (დაბ. 44,16). ამაზე ერცლად გვაქვს საუბარი ზემოთ პირთან დაკავშირებით (გვ. 8-11).

ბ) პარვა ზმნას საერთოდ მი ზმნისწინი შეეფერება, როგორც ძველ ქართულში იყო მიღებული, და არა მო, როგორც დღეს ეამბობთ და ეწერთ. ესეც იყო ზემოთ

<sup>73</sup> ამის შესახებ იხ. ი. იმნაშვილი, ქართული ენის ისტ. ქრესტ. ტ. I, ნაწ. II, გვ. 318-319.

აღნიშნული.

5. მიძინოლა: მიძინოლა ჩუენ, უღირსთა ამათ მოწაფეთა მისთა (კიმ. I, 338,36). ჩუენ აქ ირიბი ობიექტია. ამიტომდა, რომ გვაქვს მიძინოლა და არა მიძინოლნა, როკორც იქნებოდა, ჩუენ რომ პირდაპირი ობიექტი ყოფილიყო (პირდაპირი ობიექტი ამ ზნისა გაუწინარებულია). მეორე მხრივ, რაკი ირიბი ობიექტი პირველი პირია (ჩუენ), ქვევის ნიშანიც ი არის (მიძინოლა).

6. მოურქუა: მოურქუა ესრჷთ, ვითარმედ... (ასურ. 206,27). სხვა ხელნაწერებში მართებული მოურქუა იკითხება. მაინც რატომ დაწერეს მოურქუა? ქერ ერთი, ამ ზნაში უფრო ხშირად (III პირის ფორმებში ყველგან, II ხოლმეობითსა და II კავშირებითში აგრეთვე ყველგან) ქვევის ნიშანი ა არა ჩანს. შღრ. ვარქუ, არქუ, მაგრამ: ქრქუა, ქრქუეს, ქრქუს, ქრქუას; იგი ამოღებულია მომღვენო ხმოვანი სუფიქსების დართვის გამო. ალბათ, ამ დანაკლისს გრძნობს ვაღამწერი და, მისი აზრით, შესაფერის ნიშანს უმატებს. რატომ მაინცდამაინც უს უმატებენ? ზნის შინაარსი (შეუთვალა, დაუბარა) სწორედ სასხვისო ქვევას მოითხოვს. სახელღობრ, III ირიბი ობიექტური პირისათვის განკუთვნილ უს (უთხრა, შეუთვალა, მიუწერა, გაუგზავნა...). თვით მოურქუა-ც შედარებით ნაკლებად იხმარებოდა ძველ ქართულში, ამ მნიშვნელობით ნახმარი უზნისწინო ფორმაც საკესებით ბუნებრივი იყო, მაგალითად: მიუელინა მას /ვილატეს/ ცოლმან თვსმან და ქრქუა (მ. 27,19); მიუელინა მისა ორნი მოწაფენი მისნი და ქრქუა: შენ ხარა მომაკალი იგი ანუ სხუასა მოუელოდით (მ. 11,3). კი არ უთხრა, არამედ შეუთვალა.

იყო კიდევ ერთი გარემოება, რომელიც დაწერეს და მთქმელს აცდუნებდა, შესაფერის შემთხვევაში ჩვენი ზნისათვის მი ზნისწინი დაესვა. ამავე შინაარსის შემტველი მეორე ფუძე — თხრობა — მი ზნისწინით ძალიან ხშირად იხმარებოდა. ჩვეულებრივი იყო: მიუთხრობდეს, მიუთხრა, მიუთხრეს, მიუთხრას და სხვ. თვით "მიუთხრობასაც" ძველად მიუთხრობად ეწოდებოდა. ასეა თუ ისე, მოურქუა სრულიად უჩვეულო ფორმა ძველი ქართულისათვის, მაგრამ ადვილად იხსნება.

7. შემბიძლო: ოღეს შემბიძლო შემინებად ჩემდა, მაშინ გძლო, რამეთუ ჩემ თანა არს უფალი ღმერთი ჩემი (კიმ. II, 147,30). მე აქ ირიბ ობიექტად არის წარმოდგენილი, პრეფიქსი ი კი სასხვისო ქვევის ნიშანია. აი, კიდევ ორიოდ ტიპური მაგალითი ძველი ტექსტიდან: არცა ტანჯუათა, არცა გუემათა, არცა სიყმილმან საპყრობილესა შინა. არცა მახვლმან. არცა სიკუდილმან ამათ ჯორცთა ჩემთამან შემბიძლოს მე განყენებად შენდა, უფალო იესუ ქრისტე (ევსტ. 154,29); არცა ცეცხლმან და არცა ჯურატუმამან და არცა მეცთა მძვნეარებამან და არცა ასოთა დაჭრამან შემბიძლოს მე განშორებად ღმრთისაგან ცხოველისა (პარხ. 1167a); მრავალნი მწიგნობარნი გუეჷმან ჩუენ აქა, რაითა შეგიძლონ შენ სიტყუის-გებად (საქ. წ. II, 33,17).

8. დამიშთინე: ქრქუა ესაე მამასა თვსსა: არაი დამიშთინეა მე კურთხევაი, მამო (დაბ. 27,36). ვნებითისაგან ინ სუფიქსით ნაწარმოები ფორმაა. სხვა (სათავისო) ქვევას ეხება, მაგრამ ამგვარი მეორეული წარმოების გარდამავალი ზნის ფორმებია დაიშთინა და დაიდგრინენ: განაზნია, რომელი აქუნდა იგი საფასი და დაიშთინა მცირედი რაიმე (კიმ. II, 345,5); საცხოვარ თუ გედგენ, ჰლწწოდე მათ; იყენენ თუ შენდა საკმარ, დაიდგრინენ იგინი (ზირ. 7,24). დაიდგრინენ ინ სუფიქსის დართვით ნაწარმოებია დაადგურ ვნებითისაგან.

9. ზოგ სასხვისო ქვევის ზნას ღროთა ვითარებაში დაეკარგა ქვევის ნიშნები

(ი და უ) და საარეისოს დაემსგავსა. მაქვერების დაკარგვის შემდეგ მესამე ობიექტურ პირებში აღდგა უფრო ადრე გამქრალი პირის ნიშნები. ამის მაგალითებია:

მჭირს	← მიჭირს
გჭირს	← გიჭირს
სჭირს	← უჭირს (←ქუჭირს)
ღამბინელდეს	← ღამბინელდეს
წარმეალს	← წარმიეალს (შდრ. ახალი: საღ წამიეა)
თანა-წარმეალს	← თანა-წარმიეალს
ქბერა	← (შე)უბერა (←შექუბერა)
ქკვრდა	← უკვრდა (←ქუკვრდა)
შეპრია	← შეურია (←შექურია)
ღაუფენდეს	← ღაუფენდეს (←ღაქუფენდეს)
შეურისხნა	← შეურისხნა (←შექურისხნა. შდრ. განურისხნა)
ღასუცხრა	← ღაუცხრა (←ღაქუცხრა)
შეძლო (ახალი)	← შეუძლო (←შექუძლო)
გარღამატა	← გარღაუმატა (←გარღამუმატა) და ბეური სხვა <sup>74</sup> .

10. ზოგ ზმნას გარეგნულად აქვს ამა თუ იმ ქვეყის ფორმა. მაგრამ არ მოეპოვება სათანადო შინაარსი. ასე, მაგალითად, უეის ფორმას აქვს ნათლად გამოხატული სასხვისო ქვეყის ფორმა: მ-იეის, გ-იეის, უ-ეის. მაგრამ სასხვისო ქვეყის შინაარსი მას არ გააჩნია.

მეორე მხრივ, ასეთ ზმნებს არ მოეპოვებათ აგრეთვე საპირისპირო ფორმები სათაეისო და საარეისო ქვეყეებისათვის. ვერ ვიტყვი: \*ე-ი-ვი, \*ი-ვი, \*ი-ვის (სათაეისოსთვის) ან \*ე-ვი/ე-ა-ვი, \*ქ-ვი/ქ-ა-ვი, \*ვის/ა-ვის (საარეისოსთვის).

ასეთ ზმნებს სასხვისო ქვეყის ფორმა მხოლოდ გარეგნულად, მოჩვენებით თუ აქვთ, ნამდვილი ქვეყისა მათ არც შინაარსი და არც საპირისპირო ფორმები არ მოეპოვებათ. ამგვარ "ქვეყას" მოჩვენებითი ქვეყია (ა.შანიძე). შესაბამის ზმნებს კი უქცეო. აი, კიდევ ამგვარი მოჩვენებითი სასხვისო ქვეყის ტიპური მაგალითები: მიც, გიც, უც (ძალ-მიც, ძალ-გიც, ძალ-უც), უშზირის (მიშზირის, გიშზირის), უწესს (მიწესს, გიწესს); მილხინა (გილხინა, ულხინა. არ არის ამის გვერდით: ვილხინე, ილხინე, ვალხინე, ალხინა); შეუძლე (შეუძლო; არ არის: შეაძლო, შეიძლო); უზორო (უზოროს), მიყრიეს (გიყრიეს, უყრიეს), მიბრკუმა (გიბრკუმა, უბრკუმა). თვით ასე გავრცელებულ თხრობა ზმნასაც (უთხარ, უთხარ, უთხრა, უთხრას) არ გააჩნია საპირისპირო ქვეყები, სადაც ათასში ერთხელ თუ შეხვდება კაცი ჩანასახის სახით გაჩენილ სათაეისოს ფორმებს (ითხრობენ, ითხრობდ). ამიტომ, ვიმეორებთ, ასეთ ფორმებს ნამდვილ ქვეყას ვერ ვუწოდებთ.

საუციალურად უნდა ითქვას გარღამავალი ზმნების I თურმეობითის ფორმებზე. ყველა ასეთ ზმნას I თურმეობითი აქვს ამჟამად გამოხატული სასხვისო ქვეყის ფორმა. უკეთ, გარეგნული სახე, მაგალითად:

ღა-მ-ი-წერიეს	მო-მ-ი-კლავს
ღა-გ-ი-წერიეს	მო-გ-ი-კლავს
ღა- უ-წერიეს	მო- უ-კლავს

<sup>74</sup> ა.შანიძე, საფუძვლები. გვ. 377-379; მისივე, ქველი ქართული ენის გრამატიკა. გვ. 80-81. უფრო დაწვრილებით იხ. ა.წაჭაბავა, ზოგი პრეფიქსული წარმოების ისტორიისათვის, გვ. 151-168.

აღ-მ-ი-შენებებს	შე-მ-ი-კრებიეს
აღ-გ-ი-შენებებს	შე-გ-ი-კრებიეს
აღ- უ-შენებებს	შე- უ-კრებიეს

აქ ყველგან გარეგნულად სასხვისო ქცევის ფორმებია. მაგრამ სასხვისო ქცევის შინაარსი ამით არ გააჩნიათ. რას ნიშნავს მოუკლავს? ვისი იყო ის, რაც მოკლა: თავისი იყო, სხვისი თუ არაის არ ეკუთვნოდა? ან ვისთვის იყო ის დანიშნული, რაც დაწერეს, ააშენეს, შეკრიბეს? ფორმაში ეს არა ჩანს. ფორმის შინაარსი სამ გაგებას შეივსებს: თავისას (თავისთვის) იწერდა, იშენებდა, იკრებდა და — დაუწერიეს, აღუშენებეს, შეუკრებიეს; სხვას უწერდა, უშენებდა, უკრებდა და — მაინც დაუწერიეს, აღუშენებეს, შეუკრებიეს; არვის კუთვნილს (არავისთვის დანიშნულს) წერდა, აშენებდა, კრებდა და — ისევ და ისევ დაუწერიეს, აღუშენებეს, შეუკრებიეს. ამდენად, ეს ნამდვილი ქცევა არაა, იგი მოჩვენებითია<sup>75</sup>. ამას უფრო თვალნათლივ დაეინახათ, თუ სამივე ქცევის ფორმებს გვერდიგვერდ დაუყენებთ ერთმანეთს სამივე სერიაში:

<u>აწმყო</u>	<u>წყვეტილი</u>	<u>I თურმეობითი</u>
და-ე-ს-წერ	და-ე-წერ-ე	და-მ-ი-წერ-ი-ე-ს
და- ს-წერ	და-ს-წერ-ე	და-გ-ი-წერ-ი-ე-ს
და- ს-წერ-ს	და- წერ-ა	და- უ-წერ-ი-ე-ს
და-ე-ი-წერ	და-ე-ი-წერ-ე	და-მ-ი-წერ-ი-ე-ს
და- ი-წერ	და- ი-წერ-ე	და-გ-ი-წერ-ი-ე-ს
და- ი-წერ-ს	და- ი-წერ-ა	და- უ-წერ-ი-ე-ს
და-უ-წერ	და-უ-წერ-ე	და-მ-ი-წერ-ი-ე-ს
და-უ-წერ	და-უ-წერ-ე	და-გ-ი-წერ-ი-ე-ს
და-უ-წერ-ს	და-უ-წერ-ა	და- უ-წერ-ი-ე-ს

კიდევ ვიკითხათ: რომლის გაგრძელებაა დამიწერიეს, დაგიწერიეს, დაუწერიეს? კაცი იფიქრებდა. უწერ, უწერ, უწერს ფორმების გაგრძელებაა, მისი I თურმეობითიაო. მაგრამ არა: იგი წარმოდგენილ პარადიგმებში მოყვანილი ყველა შესებადის ფორმის გაგრძელება შეიძლება იყოს და არც ერთს, ცალკე აღებულს, არ ეკუთვნის კერძოდ და მხოლოდ. I და II სერიის სამივე ქცევა I თურმეობითში ერთი სახით, ერთი ფორმით გვაქვს. ეს ეხება ყველა გარდამავალ ზმნას. ამიტომ უნდა ეთქვას, რომ გარდამავალ ზმნას ქცევის გაგება მხოლოდ I და II სერიაში აქვს, III სერიაში მას ქცევა (ნამდვილი ქცევა) არ გააჩნია.

11. ბოლოს, ძველი ქართულის კოლორიტის უფრო ცხოვლად ჩვენებისა და სასხვისო ქცევის ფორმათა თავისებურებების უკეთ წარმოსაჩენად დაუერთავთ დამახასიათებელ ნიშნებს:

სხუანი ემპაჩნი ისტუნდეს და უბერვიდეს ქუემე კერძო ხალენსა მისსა, ვითარცა ასპიტნი (კიმ. I, 225.19); რომელი უკუე ჭურჭერი ცოდვისაი არა შეგუზხადა მტერმან, რომელი ღონბ დაცემისაი არა აღგვგო (სწაე. 263, 23,24 =რა ხერხი არ იხმარა); ემელი იგი პისარი შექმნა კეთილად და დაუგო (მამ. ცხორ. 84,12

<sup>75</sup> ა. შანიძე, საფუძვლები, გვ. 435. მისივე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, გვ. 106.

=მართვა): უბრძანა ამა მაკარი მოწაფესა თვისსა, რაითა შეუგბოს მას ოსანი (იქვე, 191,32); გული განუწყრა ჯორისათვის და გულისწყრომითა მისითა ქსცა პირსა ჯორისასა (იქვე, 86.15); რომელსა შეუღვინნეს მათ მიერ დასმულნი კანონნი (ღ. სჯ., კან. 260.6 =დაურთეს, მაყოლეს); წმიდაი თვედორე მოუღა მათ (საქ. წ. II, 42.1 =გაჰყვა); მოუღა ბერნი იგი და შვა ძმ (მამ. ცხორ. 158.40 =დაორსულდა); არაი უღრტყნიდა მას (ზორ. 46.32); რომელი მუჟუჲ მოუვალნ სხუასა მუჟუჲსა ბრძოლად (ღ. 14.31); აღუთქუეს უფალსა, რავენი-რაი შთაუჲრდეს გონებასა (ეზრა ზორ. ბ.6 =რაჲ მოისზრეს); განკუეთა ადგილი იგი...და მიუენა წყულული იგი ღუიძლისაი მის. და განწმიდა იგი ევლითა თვისითა და დადუა ადგილსაჲე თვისსა, და დამიზილა და ჩუარი შემღეა ნაკუეთსა მას ზედა (ნოე, II, 257.13); გობრძანებ შენ, რაითა უზორო მათ (მამ. ცხორ. 128.25. ამ ზმნას სხუა ქცევა. გასაგები შინაარსის გამო—ეკრპებისთვის მსხვერპლის შეწირვა—არ მოეპოვება); თხემთა ზედა მათასა უზორვიდეს და ბორცუთა ზედა უკლვიდეს მუხასა და ვერხუსა ქვეშე და ხეთა საგრილთა (ოსე 4,13 =მსხვერპლს სწირავდნენ). ამ შინაარსით უკლავს ზმნას სხუა ქცევა არც მოეპოვება. აღსანიშნავია, რომ არც ზმნისწინით იზმარება. როცა კლვა ჩვეულებრივი მნიშვნელობით არის ნახმარი. მაშინ სხუა ქცევის ფორმებიც მოეპოვება და ზმნისწინსაც დაირთავს. მაგალითად: ოდეს ძმ ესე შენი მოვიდა, რომელმან შეჭამა საცხორებელი შენი მემკეთა თანა, დაუკალ მას ზუარაკი ჭამებული (ღ. 15.30); იქვე, ცოტა წინ იკითხება: ძმაი შენი მოსრულ არს და მამამან შენმან დაკლა ზუარაკი იგი ჭამებული (ღ. 15.27). სათავისო ქცევაჲ ჩვეულებრივად იზმარება: იტყოდეს პურიანი იგი ურთიერთას: ნუჲუჲე მოიკლავს თავსა თვისსა (ი. 8.22). სწორედ ამ შეზღუდვებით გამოირჩევა გება, ზორვა და კლვა ზმნები, როცა ისინი ეკრპებისათვის მსხვერპლის შეწირვას აღნიშნავენ. ღმერთი უზრუნავს და სცავს და მჭარავს მათ (სწავ. 300.6. დღეს ვიტყუეთ: ზრუნავდეს მისთვისო /მასზუო/. ძველს თანდებულის დამატება არ სჭირადებოდა): წმიდაი ბასილი ... უთარგმანებდა ერსა სიტყუასა მას მჭორესა (მამ. ცხორ. 224.40); ხოლო აწ, რამეთუ დაუთმე და არა იძლიე, გექმნე შენ მარადის შეძნე (იქვე, 16.2 =გაუძელი, აიტანე, მოითმინე); ზიარებად წარიყვანა იგინი კათოლიკე ეკლესიასა და მოუთუაღნა იგინი ნეტარსა თეოდოსის (იქვე, 82.19 =ჩააბარა, გადასცა. მითუაღეა ბევრზე ითქმის); რაიცა შთავითხრას ღმერთმან, იგიცა ყაე (ღ. სჯ., კან. 530.16 =რასაც ჩაგაგონებს, ჩაგინერგავს); ანუ სხუაი ვისი საუკჲროი დაუმაღე (საქ. წ. II, 62.41); რეკათუ ნამარხევი მოგვლდებიეს, დაუმარხნეთ უფალსა სულნი ჩუენნი (მამ. ცხორ. 20.34); ეითარ გალობდა ფსალმონსა ანტონი, ეშმაკი იგი უშზირინ და იღრჭენნ მის ზედა კბილთა (მამ. ცხორ. 34.41); მიძიხდეს მე პური ჩემი და დაუქჲდ ჭამად (ტობ. ბ. I 5 =აპოკრ.); რაითა გული აღუმრღვონ კაცთა (ეზეკ. 23.13).

თუ...იხილიან დედაკაცი ქმულკეთილი, მიიქციან მისა და აღუმტკმოდ პირნი და შექხედვედ მას (ეზრა ზორ. ღ.18); კარმიკითა დაუმშუჲაღნა დაწუნი მისნი (მამ. ცხორ. 22.27); რაჲამს ადგეს, მოუყრათ დაწერილი ესე (ეზრა ზორ. გ.9); მერმე კუალად გამოუტყვეს ლომი ძუი (თეკლა 114,24); ორ ძე მესხნეს მე მარჩბიენი, რომელნი მირეწოდეს მე დღისა როჭიკსა, რამეთუ ქუიე ვარ და გლახაე (კიმ. I, 147.13); გამოუსახა მათ ადგილი, სადა ეკლესიაი აღამწნონ (მამ. ცხორ. 152.2); განამრავლენ შეილნი უდაბნოსისანი და წიგნნი სულიერნი დაუნჯჲენ ეკლესიათა ჩუენთა (ლიტ. ქრ. 356,3 ) ; დაუყვენ პირნი მემობართა მათ ბილწთანნი (მოდრ. 56v,20); რაითა არა თავი ჩუენი გუალმოს და სლუაი ფერუთაი შეგვმალოს, და

თუალნი განგვწითნეს. და ენისაგან სიტყუაი შეგვმალოს... და გონებაი მიგვლოს (სწავ. 25, 26, 27, 28). განგვწითნეს — (თვალეი რომ არ) გაგვიწითლოს. წითელ-იდან ნაწარმოებ ფორმას ელ აღარ ახლავს. უკეთ რომ ვთქვათ, ეს წარმოებაც წით ფუძეს ეყრდნობა. ისე როგორც წითელი. თვით წით ფუძე ცალკეც გეხვდება ენაში: შე-რაი-შწუხრდის. სთქვთ: ყუდრო იყოს, რამეთუ წითს ცაი (მ. 16,2): წით ძირს იყენებს ორივე წარმოება დამოუკიდებლად: წით-ელი, გან-გვ-წით-(ე)ნ-ე-ს. შდრ. ერცელი — უერცსი, განერცნა; ასულნი, რომელნი დაგიშთენ, მახვლითა დაეცნენ (ეზეკ. 24,21); წარუძღუნა ყოველი იგი ჭურჭერი და სამსახურებელი ტაძრისაი მის (ეზრა ზორ. დ.57); გარდაგულე და უწამე ერსა მას (გამ. 19,10); ხოლო ამას უხეთჳნეს მათ ქეთა, და დაეცა (მამ. ცხორ. 121,41); განმიხუენ მე დაკსულნი ბჭენი საუნჯეთანი (ეზრა სუთ. გ. 37); დაუჯამ კარი შენი ბოროტთა და მწარეთა გულის-სიტყუათა (Sin. 97,189rb).



## XI. კონტაქტი

კონტაქტი ქართული ენის ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელი ზნური კატეგორიაა. დღევანდელ ენაში იგი ფართოდ არის გავრცელებული და მრავალფეროვნებით გამოირჩევა. მხედველობაში გვაქვს ძირითადად შუალობითი კონტაქტის, ანუ კაუზატივის, ფორმები.

კაუზატივი ძველ ქართულშიც საკმაოდ საინტერესოდ იყო წარმოდგენილი. იქ კაუზატივის საწარმოებლად მისი ყოველგვარი სახისათვის პრეფიქსი ა არის აუცილებელი პირობა, ის უეჭველად მოუპოვება ყველა გარდამავალ ზნას. აქ შეიძლება დაისვას საკითხი: რა უნდა იყოს ა. ეს აუცილებელი თანმხლები შუალობითი კონტაქტის ფორმებისათვის (შე-ა-სუ-ა, ა-ქნ-ე-ს, ა-თქმ-ე-ს, მო-ა-ლებ-ინ-ა...), იგი საარვისო ქცევის ნიშანია თუ ერთი პირის დამამატებელი: ერთპირიანი ზნის ორპირიანად, ორპირიანისა კი სამპირიანად მქცეველი?<sup>26</sup> საარვისო ქცევას არ სჭირდება და არც უნდა ქჷონდეს სპეციფიკური ნიშანი. უფრო უპირანი იქნებოდა, აქ იგი შუალობითი კონტაქტის ოდინდელ მწარმოებლად ჩაგვეთვალა.

რაც შეეხება გარდაუვალ ზნებს, მათ ძველ ქართულში არ ქჷონათ შუალობითი კონტაქტის ფორმები, ისეთი ნიმუშები, როგორცაა დღევანდელი კვლევილება, ეთრევილება, ეთელვილება, ეხატვილება, ეცემილება, ექელვილება, ელანძლევილება ..., ძველმა ქართულმა არ იცის. ეს გასაგებიცაა: ახალ ქართულში კაუზატივის მწარმოებლად ინ და რთული ე-თნ არის გამოყენებული. ეს სუფიქსები ძველ ქართულში თვით გარდამავალ ზნებსაც არ ქჷონდათ ჩვეულებრივად. ინ ახალი ჩასახული იყო ენაში (სულ რაღაც ათიოდე მაგალითია ცნობილი), ხოლო ე-თნ, ბუნებრივია, კიდევ ნაკლებად გვხვდებოდა (ორი-სამი მაგალითი თუ იქნება). ამიტომ გარდაუვალი ზნების კაუზატივზე ქვემოთ, ცხადია, არ გვექნება საუბარი.

ძველ ქართულში (გარდამავალ ზნებში) შუალობითი კონტაქტის მწარმოებლად გამოყენებულია:

- ოდენ ა პრეფიქსი: შე-ა-სუა, შე-ა-ჭამა, შე-ა-წყნარა...
- ა-მ პრეფიქს-სუფიქსი: ა-ქნ-ე-ს, ა-თქმ-ე-ს...
- ა-ი(მ): ა-წერ-ი-ებ-და, ა-ტვრთვ-ი-ეს...
- ა-ი: მო-ა-ლებ-ინ-ა, თაყუნის-ა-ცემ-ინ-ა...
- ა-მ-ი: ა-თქმ-ე-თნ-ა...
- აღწერითი წარმოება: მოღებად სცა, მოკლვად სცეს...

აქედან მეთხე და მეხუთე სახეობა (ა-ი, ა-მ-ი), როგორც ითქვა, ძველ ქართულში მკრთალი ჩანასახის მღვობრობაშია, მაგრამ მაინც არის. სწორედ ესენი

<sup>26</sup> ა პრეფიქსის ფუნქცია მონოგრაფიულად აქვს შესწავლილი ბ.ჯერბენაძეს: ზნის ხმოვან-პრეფიქსული წარმოება ქართულში, 1983, გვ. 42-84. იქვეა წარმოდგენილი ამ საკითხის შესახებ არსებული ერცელი სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზი (გვ. 5-11).

გამოდგენენ ყველაზე მეტად სიცოცხლისუნარიანნი, სწორედ ეს ფორმები გაერცელდა შემდეგ ფართოდ და დამკვიდრდა ახალ ქართულში.

ახლა მიმოვიხილოთ მოკლედ თითოეული მათგანი რიგრიგობით.

### A. ა

ოღონ ა პრეფიქსიანი წარმოება ყველაზე მარტივი და ყველაზე ძველია. სწორედ ამის გამოა, რომ კაუზატივის თავისებური შინაარსი ყველა ასეთ ფორმაში ნათლად არა ჩანს. ზოგჯერ იგი რამდენადმე დაბნელებულია.

გასაგები მიზეზების გამო უფრო ხშირად ასეთი ფორმები გვხვდება ჭამა და სუმა ზნებთან. მაგალითად:

მაჭამებ ჩუენ პურსა ცრემლით და მასუამ ჩუენ ცრემლთა სწყყულითა (ფს. 79,6); მაშინ მისცეს ქრთამი დიდძალი გრძნეულსა მეწამლესა, რაითა შეასუას მას წამალი საკუდინებელი. და მისცეს მას წამალი, რაითა იგიცა შეასუას სასუმლითა უცნობელად კათალიკოზისა. და ვითარცა ესე შექმზადეს, მისცეს ყრმასა მისსა, რომელი ასუამ სასუმელსა, რაითა შეასუას მას (ლომ. 45, 20,21,23). აქ შეასუას იქნება: შესამეინოს, დაალეინოს. ქვევით უშუალო კონტაქტის ფორმაა მოცემული: შესუსა იგი წინაშე თქუენ ყოველთასა (46,7). აქ კარგად უპირისპირდება ერთმანეთს უშუალო და შუალობითი კონტაქტი: შესუსა მან იგი, მაგრამ: შესუსას მან მას იგი. თუ დაეუმატებთ იმასაც, რომ, რის შესმასაც აძალებენ, საწამლაი იყო, რომლითაც შემსმელი უნდა მოეწამლათ და მოეკლათ, მაშინ უფრო ნათელი გახდება შესუსას ფორმის შინაარსი. კიდევ ერთი მაგალითი: ეტყოდა იგი არკადის და ონორის, რაითა უბრძანონ მკურნალთა და შესუსან მას სასიკუდინც. რაითა ადრე განვიდეს იგი ცხორებისა ამისგან (საქ. წ. II, 126,34).

შესუსა-ს (შეასუსა-ს) სხვა, მეორე, მნიშვნელობაც აქვს, რომელშიც კაუზატივის შინაარსი არა ჩანს. ამიტომ ასეთი მაგალითები კაუზატივის ფორმებში არ უნდა აეუროთ. მოვიყვანთ სანიშნუშო მაგალითს: შესუსა წმიდამან მან თითი თუსი პირსა მისსა და ყურთა მის ქალისათა (კიმ. I, 286,32). აქ შესუსა უფრო "ჩაუღო" (დაადო) იქნება. კიდრე "წაუსვა", "მოუსვა", როგორც იფიქრებდა კაცი ტექსტის შინაარსისა და ზნის ფუძის გამო (წაუსვა). ქვევით სწერია: შეხებითა თითისადა (286,34). კიდევ ქვევით: დასხნა თითნი მისნი ყურთა მის ყრუისათა (290,12). ამიტომ ზემოთ მოყვანილი შესუსა უნდა იყოს: ჩაუღო (დაადო); სხვა მაგალითი: აღობო სამი მარცუალი ლაკნისა მისგან და შესუსაუ პირსა ჩემსა მე გლახაკსა (იქვე, 339,14); ოდეს ჭამდეს, დასდევინ საცოი პირსა თუსსა, და ნუ აღმოაქუნ პინაკისაგან საჭმელი და შესუსან პირსა ძმისა თუსისასა (იქვე, 230,9 = ჩაუღებს).

აჭამებნ მათ და ზრდინ (ექუსთ. 98,32); თივასა, ვითარცა ზროხასა, აჭამებდეს მას (დან. 5,21); ველითა შენითა მაჭამებდ მე (ზირ. 29,29); თივასა, ვითარცა ზროხასა, გაჭამებდენ შენ (დან 4,2); განალო პირი ჩემი და შემაჭამა მე თავი იგი წიგნისაი მის (ეზეკ. 3,2); მიწაი აღილე ადგილისა მისგან და შეაჭამე კაცთა მაგათ (მოქც. 123,12); შემაჭამიან ... საზრდელი (აგათანგ. 276,21); რაითა შევაჭამოთ მათ /საჭმელი ნაგრძნები/ (Sin. 11, 246v,5 ქვ.). ამ მაგალითებში კაუზატივის მნიშვნელობა ისე ხელშესახებად არა ჩანს, როგორც შესუსა-სა და მისი ტაპის სხვა ზნებში, მაგრამ მისი თავდაპირველი კაუზატიური შინაარსი მაინც იგრძნობა.

სხვა ზმნების ნიშნები: პირველად დააჯერეს პილატეს საფასითა დიდძალითა. ვიდრემდის დააბეჭდევს საფლავი იგი და დაცვაღ სცეს მრავლითა ერის-კაცითა (ალექს. კვარ. ქრონ. 46,26); დააბეჭდევს აქ იქნება დაახურვინეს. დააკეტვინეს. აქ რომ სწორედ კაუზატივითან გვაქვს საქმე, იქიდანაც ჩანს, რომ ჩვენთვის საინტერესო ფორმის გვერდით ღვას აღწერილი კაუზატივის ცნობილი ფორმა დაცვაღ სცეს (=დააკვეინეს. ამაზე უფრო ვრცლად ქვემოთ). სხვაგან ვეგვე ფუძე კაუზატივისათვის სხვა ყალიბს (ა—იუ) იყენებს, მაგრამ ამაზედაც ცოტა ქვემოთ გვექნება საუბარი; წყველ არს უფლისაგან. რომელმან განაწყოს გული ღელას (ხანძთ. 222,8 =გულს მოაყვანიებს); უხეთქნა მკარსა ოღენ ქაბამისასა, რაითა გული განაწყოს და მოკლას იგი (სინ. 276,25 =რომ გაებრაზებინა. გული მოყვანიბინა); გარდააქცევს ბუნებასა მთავრობისასა და პატივსა მეფობისასა და ღამონებს თავსა თვისსა ღელათა (სწავ. 110,26)<sup>277</sup>; თავისუფალ ვიყავ ყოველთაგან და ყოველთა თავი დავამონე, რაითა მრავალნი შევიძინე (1 კორ. 9,19); უკუეთუ უფლად დავადგინე იგი შენ ზედა და ყოველნი ძმანი მისნი დავამონენ მას.... ან შენ რაი გიყო, შეილო (კურთხ. იაკ. 38,8); ყოველივე ღამონჩილა ქვეშე ფერვთა მისთა (1 კორ. 15,27); ამან მშეღობამან დაგამონჩილნეს თქვენ მბრძოლნი ქვეშე ფერვთა თქვენთა (სინ. 173,18); აღმითქუ წინაშე ღმრთისა. ვითარმედ, რაიცა გრქუა. მერჩედ, და მე გაპოვო იგი ამას ღამესა კიღობანსა შენსა შიდა (მამ. ცხორ. 307,19 =გაპოვინებ. გვიანდელ ვარიანტში [Jer. 17. 312v] სწორედ გაპოვნიო იკითხება); თანა-მატანნა სათხარნი და მუშაჩნი და შეუქნა ეკლესიათა სალოცველად ძმათა (ასურ. 174,30 წ); განუტყეა იგი მეფემან და წარაყვანა მის თანა ჭაბუკი ერთი (ისტ. ქრ. II, 92,28); თანა-წარმაყვანნა მე მეფემან წინამძღუარნი ძლიერნი და ცხენები (ნემე 2.9 O); სხუანი მამასხლისნი უღაბნოისანი თანა-წარაყვანნა მას, რაითამცა განაცხადეს მეფისა იგი ბრძანებამ (მამ. ცხორ. 103,13); რაითა თანა-წარმოგაყოლოს და მან ნათელ-გცეს შენ და ყოველთა სახლეულთა შენთა (გარესჯ. 236,30); აწადინებედ სიძეასა (S-35, 30ra,9); ნებითა ღმრთისათა მუნ იყო მამაი გრიგოლ. და ღელამან ფებრონია შეაწყნარა წმიდასა მას უმანკო იგი კრავი მწყემსსა მას კეთილსა (ხანძთ. 263,33); ესრეთ ღირს იქნა ნეტარი გრიგოლი მდლსა მოციქულობისასა და ერნი აურაცხელნი მოსტაცნა ეშმაკსა და შეაწყნარა ქრისტესა (კომ. I, 131,33); ვითარცა პირველად, ესრეთვე აწირებდა ყაშსა და ეზიარებოდა მისგან შეუორგულებელად (ნოვ. I, 9,10,16 =აწირვინებდა); განთიად მოახილვა ყოველი სანახები ხანძთისა (ხანძთ. 255,6 =დაათვალიერებინა).

ამგვარი წარმოების კაუზატიური ფორმები ძველ ქართულში ბევრია. აქ სანიშნოდ მოყვანილი მაგალითების ჩვენებით დავკმაყოფილდეთ. ეს ძველი მარტივი წარმოება შემდეგ და შემდეგ გართულდა: ა პრეფიქსს სუფიქსებიც დაემატა.

ძველი, მარტივი (ოღენ ა პრეფიქსიანი) წარმოებიდან ახალ ქართულში მეტისმეტად ცოტა შემოგერჩა (სინჯ-ავ-ს — ა-სინჯ-ებ-ს, ნახ-ავ-ს — ა-ნახ-ებ-ს, ი-ვიწყ-ებ-ს — ა-ვიწყ-ებ-ს ...)<sup>278</sup>.

<sup>277</sup> ეს მაგალითი დამოწმებული აქვს ე.გუერტუას: კაუზატივის წარმოება ქართულსა და ზოგ იბერიულ-კავკასიურ ენაში (მაცნე, 2, 1971, გვ.104).

<sup>278</sup> ი. კეძაძე, კაუზატივის წარმოების ორი ძირითადი მოდელი ქართულში: თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის XIII სამეცნიერო სესია, 6-14 აპრილი, 1970, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, გვ. 21.

კაუზატივის მაწარმოებელ სუფიქსთა შორის (ა პრეფიქსთან ერთად) ევ ყველაზე ძველია. მას შემდეგ, რაც ა პრეფიქსი საკმაო აღარ აღმოჩნდა შუალობითი კონტაქტის საწარმოებლად და აუცილებელი გახდა ამ მიზნით სუფიქსის დამატება, ევ პირველი იყო, რომელიც ფორმას დაერთო და მივიღეთ რთული, პრეფიქს-სუფიქსიანი, წარმოება — ა—ევ: ა-თქემ-ევ-ს, ა-ქმ-ევ-ს... აქ კაუზატივის საციფიფიკური შინაარსი უფრო ნათლად ჩანს, რასაც ყოველთვის ვერ ვიტყვით ოდენ ა პრეფიქსიან წარმოებაზე (შეას-უა, შეაჭამა, მოახილვა...). მაგრამ ვერც ეს წარმოება გამოდგა დღევანდელი, მან მხოლოდ რამდენიმე ზმნაში გაიკაფა გზა და დიდად ვერ ვავრცელდა. ეს კია, რომ მისი მკაფიო გამოძახილი დღესაც იგრძნობა ქართული ენის კილოებში. ყველაზე ცხადად და ფართოდ ხევესურულში, სადაც ჩვეულებრივია ისეთი ა—ევ პრეფიქს-სუფიქსიანი კაუზატიური ფორმები, როგორიცაა: აუნვედა, დაგაკლევთ, გადააუღვეს, ქურდობას აქნევს (←აქმნევს) და სხვანი<sup>279</sup>.

ევ სუფიქსი I სერიაში გვაქვს (აქმნევს, აქმნევდა, აქმნევდეს...), II-ში იგი იუ-ად იცვლება (როგორც ფუძედრეკად ზმნებს მოსდის: დრეკს—დრიკა, კრებს—კრიბა, განსწმელს—განსწმიდა...) და ორ ხმოვანს შორის მოხვედრილი ვ იკარგება: ეს ორი ხმოვანია: ი—ა (აქმნივა → აქმნია), ი—ე (აქმნივეს → აქმნიეს), ი—ო (აქმნივოს → აქმნიოს) და ი—ი (აქმნივის → აქმნიის). აქაც ისეთივე ფონეტიკური მოვლენაა, როგორიც დამკვიდრებულა დღეს ევ-იან ფუძედრეკად ზმნებში: ამსხვერვეს—დამსხვრია (←დამსხვრევა), ათრევეს—ათრია, ამტვრევეს—ამტვრია, აბნევეს—აბნია, მოაწვეს—მოაწია და სხვანი.

ერთი კანონზომიერება ნათლად ჩანს ევ/ი(ვ) სუფიქსების ხმარებაში: I სერიის ფორმები (ევ-იანი წარმოება) საგრძნობლად ნაკლებია, II სერიისა — ი(ვ)-იანი — კი შეუდარებლად მეტი. ეს გასაგებიცაა: უძველეს ტექსტებში II სერიის ფორმები გაცილებით სჭარბობს I სერიისას.

ახლა დავიმოწმოთ სათანადო მაგალითები:

### თქმევა

...რომელსაცა სული ათქმევედა (პარხ. 86a = ათქმევეინებდა); ვითარცა ვერარაი სხუაი ათქმუა, მაშინ პრქუა მას პატრეაქმან: წარმოდევ და წორე დღეს ჟამი (ლიმ. 67,6 = ათქმევეინა); დაადგინა იგი აღმოსავალით, აღაყრობად სცნა კელნი მისნი და ათქმუა სამ-გზის: ვიჯმნი შენგან, ეშმაკო, და შეუდგები ქრისტესა (მოქტ. 232,26. საინტერესოა, რომ ძველი კაუზატიური ფორმის გვერდით გვაქვს ამავე შინაარსის აღწერითი ფორმა: აღაყრობად სცნა კელნი მისნი = ხელუბი ააყრობინა); აიძულებდა, რაითამცა აღმოათქმუა გმობაი ვინა უმაღლობაი ღმრთისა მიმართ (Sin. 35,267ra,19); მაშინ დააჯერის მათ და ათქმუის ესევითარი და შსგავსი ამისი მრავალი (სწავ. 46,18); იგი მათ შეაცთუნინა და ათქმუიან (Sin. 11, 48,3).

### ქნევა

შენ თანა არს ეშმაკი, რომელი გაქმნევს მაგას (კომ. I, 145,18 = გაკეთებინებს,

<sup>279</sup> ა. შანიძე. საუბუკლები, გვ. 360-361.

გაქმნევენებს); რადითა გულისხმა-ყონ ძალი მისი, რომელი აქმნევს მათ ეშმაკი ბოროტსა (აპოკრ. 35.33): ვერ შემძლებელ ვარ თხრობად, რავედენნი მრუშებანი და მამათ-მავლობანი ვაქმნიენ კაცთა და თავსაცა ჩემსა (პარხ. 771b = გაეაკეთებინე, ჩაუადენინე): უბრძანა შემოკრებად გუამი ფებრონიასი და აქნია ლუსკუმი ძელთაგან ულპოლეელთა<sup>200</sup> (Sin. 6, 197v); უბრძანა მეფემან და შუაქნია ლუსკუმი ოქროისად და ვეცხლისად (კიმ. I, 165,10); ყოველივე უკეთური საქმე<sup>201</sup> აქნიის კაცსა ეშმაკმან (Sin. 35, 29rb); რომელმან იგი მაქმნიოს მე საქმე კეთილი (ქრისტინ. 185,21 = პარხ. 719b); ნუკუე გაქმნიოს ბოროტი (იგავ. 3,30).

კაუზატივის იე სუფიქსი გვაქვს აგრეთვე მოქმედებითი გვარის მიმდებარეობაშიც: ოდეს არნ ძილი იგი მზრდელი განმყვანებელ და მაქმნეველ ყოველსა ბუნებასა (უძე-რედ. 171,22).

### ც. ა — ი(3)

აქ შემოდის ისეთი ფორმები, როგორცაა: არცხიებდეს. მოადრეკიის. ატვრთვიეს, მოვაჭვდიე და სხვა მსგავსი. ამ მაგალითებში ა პრეფიქსთან ერთად შუალობით კონტაქტს აწარმოებს ი სუფიქსი. ფიქრობენ, რომ სავარაუდებელი მომდევნო ვ დაკარგული უნდა იყოს (ა.შანიძე, გ.მაჭავარიანი, ლ.კიკნაძე...). ვ აქ ისე იკარგება, როგორც სხვა მსგავს, არაკაუზატიურ, ფორმებში: აბნეეს—აბნია (←აბნივა)... ამ ტიპის ნიმუშებში ვ ზოგჯერ შენარჩუნებულია სალიტერატურო ენაშიც და, უფრო მეტად, კილოებში (გააბნივა...). ამისგან განსხვავებით, ა.თაყაიშვილი თვლის, რომ სადავოდ გამხდარი ვ უნდა მომდინარეობდეს არა იუ-ისაგან, არამედ კაუზატივის მანარმოებელი მეორე, ინ. სუფიქსისაგან, რომელიც (ინ სუფიქსი) "ძველ ქართულში კაუზატივის მოქმედი ელემენტია და ი სუფიქსის პარალელურად გეხვდება"<sup>202</sup>. მაგრამ, ვერ ერთი, ძველ ქართულში ინ სუფიქსი სრულებითაც არ არის მოქმედი, ის რაღაც ათიოდე შემთხვევაში გეხვდება, უფრო მოგვიანო ხანის ძეგლებში; მეორე: როგორც სამართლიანად შენიშნავენ, "ძველი ქართულისათვის ნ-ს დაკარგვა ხმოვნებს შორის დამახასიათებელი არ არის"<sup>203</sup>; მესამე: როგორც წინა პარაგრაფში ვნახეთ, ძველი ქართულის უძველესი ძეგლებისათვის უადრესად დამახასიათებელია ა პრეფიქსთან ერთად ევ სუფიქსის გამოყენება (აქმნევს, ათქუშევს), რომელიც II სერიის ფორმებში იე-ად იქცევა. ხოლო ეს იე ამ შემთხვევაშიც გამარტივებულია (ვ დაკარგულია); მეოთხე: ი(ე) სუფიქსიანი წარმოება ხშირია ძველ ქართულში და იგი არ შეიძლება ჩავთვალოთ ისეთი წარმოების შენაცვლებად, რომელიც სრულებით არ არის დამახასიათებელი ძველი ქართულისათვის; მესამე: ი(ე) სუფიქსიანი წარმოება დღესაც ძალიან გავრცელებულია ქართული ენის კილოებში (მაგ., გურულში, მაგრამ ამაზე ქვემოთ). ამგვარად, სამართლიანი უნდა იყოს ა.შანიძის, გ.მაჭავარიანის, ლ.კიკნაძისა და სხვათა აზრი, რომ კაუზატივის მანარმოებელი ი სუფიქსი უფრო ძველი იე-ისაგან უნდა მომდინარეობდეს: არცხიებს ← არცხიეებს, მოაჭვდიეებს ← მოაჭვდიეებს.

<sup>200</sup> ულპოლეელთა ბ.

<sup>201</sup> ოკეთილი საქმე ბ.

<sup>202</sup> ა.თაყაიშვილი. კაუზატივის წარმოების ზოგი საკითხი ქართულში. ქსნს. 4, 1974, გვ. 22.

<sup>203</sup> გ.მაჭავარიანი. ზნის ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიები ქართველურ ენებში II. კაუზატივი: თსუ კავკასიურ ენათა კათედრა. 1954 (ხელნაწერი).

თაყუნის-ვაცემოე ←თაყუნის-ვაცემივე...).

ახლა წარმოვადგინო ამგვარი წარმოების ტიპურ მაგალითებს:

დავაწერიე ქარტაი და დაეაბეჭდიე (მ. ცხ.423r); ვმელისა პურისა ჭამაი განუწესის მას დღესა. ანუ ასი მუკული მოადრეკიის (ი—ე, 61,4 AC =ასვერ მოადრეკინებდა, მოახრეკინებდა მუხლს, ჩამუხლებდა ხოლმე. აღსანიშნავია, რომ ამის ბაღლად BD ხელნაწერებში მერმინდელი და დღეს საყოველთაოდ გავრცელებული ინ სუფიქსიანი მოადრეკინის ფორმა იკითხება); ყოველთა კვრიაკეთა ღამესა ათევიებნ ძმათა მათ ყოველთა ეკლესიათა მწუხრითგან ვიდრე ერთადმდე (მამ. ცხორ. 190,3); ზოგნი წყალსა ამსახურებდეს, ზოგნი ლოდათა არტხიბდეს და თავსა გარდაასხმიდეს (კიმ. I, 163,16,17); ეული...ცეცხლსა ზედა ბომონისასა დასხმიეს (ხრონ. 238,24); ქმნეს ლასტი და დადევს მას ზედა და ატვრთიეს ჰაპრაკთა და წარიყვანეს (კიმ. 94,3); ევრეთეე დაღაცათუ თვთ არას იუმარებნ. ძმათა საჭმელი მოაღებოის თავისა წინა და მისიცა გემოი იხილის (ი—ე, 70,5); მუნთქეესეე წარფრინდეს ყორანნი იგი მისგან. და თავყანის-ვაცემოე იგი პატიოსანსა ჯუარსა (ლომ. 51,5); ხოლო ვინ მაწერიებდა, მევედრებოდა ფრიად, რაითა რაი მაგას შინა სწერია, იგაი ოდენ დამიწერეო. აწ იგაი ოდენ დამიწერეკია (ა.შანიძე, "ქართული ხელნაწერები გრაცში": ტუმ, 9, 1929, 346,1 ქვ.); ესე მე აღრე დავწერე, გარნა არაეინ ვპოე, ვისმცა მოვეც. აწ კ'ესდა წარმომიცემიან, ღმერთმან მოიწიენ, თუ რას მაწერიებდე, მიხარიან, ეტრატე გიზლო (აღწ. 19,15); ესე ოთხთავი ...მოვაჭყდიე... თუალითა და მარგალიტითა (წყაროსთავის ოთხთავი: Q-907).

ი(ვ) სუფიქსის შესახებ ა.შანიძე მართებულად შენიშნავს: "ეს სუფიქსი მარტივია და ინ-ის ნაცვლად დაერთვის ზმნათა დიდ უმეტესობას ზოგ კილოში (მაგ. გურულში)"<sup>24</sup>.

მართლაც, გურული კილოსთავის ჩვეულებრივია ვაწერიებ. დავაწერიე, ახატეიებ, დაახატეიე, ათქმიებს, ათქმია, ღამე გამათევიე, თავს არ შუარცხენიებს... სწორედ ამგვარი და ამის მსგავსი ფორმებია ზემოთ წარმოდგენილი ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი მაგალითების (დავაწერიე, ათევიებნ, მოვაჭყდიე, დასხმიეს...) შორეული შთამომავალი, რომლებიც გურულმა დღემდე შემონახა.

#### D. ა — 06

შუალობითი კონტაქტის მაწარმოებელი ინ სუფიქსი ა პრეფიქსთან ერთად ძველ ქართულში ძალზე იშვიათად იხმარება, სულ რაღაც 4-5 ფუძესთან. ამასთანავე იგი გვხვდება შესაძინეად გვიანდელ ძეგლებში ანდა, შედარებით უფრო მეტად, ანდერძებსა და მერმინდელ მინაწერებში. უძველეს ძეგლებში იგი არა ჩანს, როგორც კაუზატივის მოქმედი და სრულფასოვანი ნიშანი. მაგრამ მერმე და მერმე ინტენსიურად იკაფავს გზას და დღეს ინ ამ ფუნქციით ერთადერთია. მართალია, ამის გვერდით გარკვეულ ფონეტიკურსა და მორფოლოგიურ შემთხვევებში (ა პრეფიქსთან ერთად) ევინ სუფიქსიც მოგვეპოვება, მაგრამ თვით ევინ წარმოშობით რთულია, მისი ეე კაუზატივის ძველი მაწარმოებელი სუფიქსია, ხოლო ინ — მერმე დამატებული, როცა ეე-ის ძველი მნიშვნელობა უკვე დაბნელებული იყო და მხოლოდ მას აღარ შესწევდა შუალობითი კონტაქტის წარმოების ძალა. და სწორედ ინ სუფიქსი გახდა

<sup>24</sup> ა.შანიძე, საფუძვლები. გვ. 361.

დღეს კაუზატივის ასე გავრცელებული და საყოველთაოდ გამოყენებული მაწარმოებელი.

წარმოვადგენთ ჩასახვის პროცესში მყოფი ინანი კაუზატივის დღესდღეობით ცნობილ იშვიათ მაგალითებს:

კმელისა პურისა ჭამაი განუწესის მას დღესა, ანუ ასი ბუკლი მადრეკინის (ი—ე, 61,4 BD. AC ხელნაწერებში უფრო ძველი მადრეკინის იკითხება. გიორგი მთაწმიდელი, როგორც ცნობილია, თავის შრომებში ძალიან ცდილობდა განებახლებინა ძველი ქართული ენის ლექსიკა და გრამატიკული ფორმები. მაგრამ გაგვიჭირდება, ზემოთ აღნიშნული სიახლე მას მივაწეროთ. უფრო საფიქრებელია. ეს ინოვაცია ხელნაწერების გვიანდელი გადამწერების ნახელავად მივიჩნიოთ. ძველი და ახალი ფორმები ერთმანეთს უპირისპირდება სხვა შემთხვევებშიც (სხვა ძეგლში და სხვა ზმნასთან): მაღლებინა ნაგევთაგან სკორე და მყრალი ძუალები მძორისაი (ბალ. 33,6. ასეა ჯ რედაქციის ხელნაწერთა უძრავლესობაში. 1-ში კი უფრო ძველი წაკითხვა გვაქვს: მაღლებინა). წ რედაქციაში ეს წინადადება სხვაგვარად არის აგებული და კაუზატივის შინაარსს უბრძანა გადმოსცემს, თვით ზმნაც სხვაა წარმოდგენილი (უბრძანა შთადებად ძუალები მკუდართაი და ყოველი არაწმიდაი სიმყრალე) და აქ აღარ გვჭირდება.

მეორეგან ვეპევე ფუჟე და ფორმა ისევ ძველებურ აღწერითს კაუზატივის ენაცვლება: მოვიდა ერაკლე მეფე ბაბილოვანს და შეიპყრა ზუასრო მეფე და შემუსრა ბაღდადი და ბაბილოანი და მაღლებინა ძელი ცხორებისაი (მოქც. 96.12 ჯ. უფრო ძველ წ რედაქციაში გვაქვს ძველებური აღწერითი წარმოება: მოღებად სცა ძელი ცხორებისაი. იმ სუფიქსიანი ფორმის მეორეულობა და სიახლე აქაც აშკარაა.

მოვიდა მიქაელ და წარმოვადგინა შენ და თაყუანის-გაცემინა შენ ღმერთსა (ლიტ. ქრ. 5,21); იღეს მძურეოდა მიქელ და ყოველთა თაყუანის-გაცემინა (იქვე. 5,24. შდრ. ამას ძველებური თაყუანის-გაცემი, რომელსაც ზემოთ უკვე გავცვანით): ბაბილონი მარადის კერპთ-მასუეველ არს და ღონის-მეძიებელ არიან, რაითამცა ყოველნი კაცნი თაყუანის-აცემინეს კერპთა (აბ. ნეკრ. 244,7); აწცა მათ უსჯულოთა მისთა სახელ ეგულების, რაითამცა კუალად განაგეს ბაღე და შეაყენნეს კაცნი და თაყუანის-აცემინეს ცეცხლსა (იქვე. 244.12): ესე იადგარანი დაჩრეკილანი თეოდორე პალაერელმან დაყულებულმან დამაწერინა ცოდვილსა, მე, სვემონს მ(გ)ალობელსა (აღწ. 109,11). ეს ხელნაწერზე მინაწერია, დამწერი შემოჭილი არაა სალიტერატურო ენის მკაცრი ნორმებით და თავს ნებას აძლევს. იხმაროს ხალხური ფორმები (დამაწერინა, ე.წ. ანმეტები: იადგარანი, დაჩრეკილანი...). გაცილებით უფრო გვიან კი, როგორც ითქვა, სწორედ დამაწერინა და მისი მსგავსი იმ სუფიქსიანი კაუზატივები იქცა ქართული სალიტერატურო ენის ნორმად და კანონად.

#### E. 5 — 3306

ვეინ სუფიქსიანი წარმოება ახალ ქართულში ხშირი და გავრცელებულია. იგი, როგორც ცნობილია, ახასიათებს ზოგ ი და ავ თემის ნიშნის ზმნას (ისეთებს, რომლებიც ძირისეულ ხმოვანს კარგავენ საწყისში) და ყველა ამ-იან ზმნას. ეშლი—

ვაშლივინებ. კვლავ—ეკვლევივინებ. ვდგამ—ვადგმევივინებ<sup>255</sup>. ეს კონფიქსი ძველ ქართულში არ გვხვდება. მიზეზი გასაგებია: ევინ ორი სუფიქსის ჯამს წარმოადგენს (ევ+ინ). რომელითაგანაც პირველი (ევ) ძველ ქართულში კაუზატივის აქტიურად მოქმედი საწარმოებელი ნიშანია. იგი არ საჭიროებს სხვა (ისიც ამ მიზნისათვის მოგვიანებით გამოყენებული) სუფიქსის დართვას. ეს რთული სუფიქსი, ვიძიორებთ, გვიან შეიქმნა, როცა მარტო ევ-ს უჭირდა შუალობითი კონტაქტის ფუნქციის შესრულება. დღესდღეობით ცნობილია მხოლოდ ერთი მაგალითი: დაადგინა იგი აღმოსავალით. ველნი აყრობად სცნა ღმრთისა მიერ და ათქუშევიანა<sup>256</sup> სამ-გზის (მოქც. 134.1S 4). უფრო ძველ წ რედაქციაში, რომლის ტექსტიც X საუკუნის სამოცდაათიან წლებშია გადაწერილი ცნობილი მატბერდელი მწერლის ოვიანე ბერას მიერ, როგორც მოსალოდნელი იყო, უფრო ძველი ათქუშა იკითხება. ესაა სწორედ ძველი ქართულისათვის ნიშანდობლივი ფორმა, ნორმა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ მეორე ზმნის შუალობითი კონტაქტის ფორმა ორივე რედაქციაში ძველებურად, აღწერითი სახით არის წარმოდგენილი: აღყრობად სცნა ველნი მისნი წ და ველნი აყრობად სცნა 4. 4 რედაქციის გვიანდლობაზე მეტყველებს აგრეთვე ბევრი სხვა ნიშანი, რაც ათქუშევიანა ფორმის მერმინდელობასა და სიახლეზე მიგვიითხებს.

## F. გოღებად სცა

შუალობითი კონტაქტის ეს სახეობა, როგორც სათაურში წარმოდგენილი მაგალითი უჩვენებს, შედგება ორი ელემენტისაგან. ესენია: ა) სათანადო (საკაუზატივო) ზმნის საწყისი ვითარებით ბრუნვაში (მოღებად) და ბ) ცემა მეშეული ზმნის ამა თუ იმ მწკრივის პირიანი ფორმა (ესცემ, ვეც, ესცი, ესცე...). აღწერითი კონტაქტის ფორმები გაერკელებული იყო ძველ ქართულში. ის უძველესი პერიოდის ძეგლებში ხშირად იხმარება და ყველა ზმნისათვის თანაბრად არის მოსახერხებელი. შემდეგში და შემდგეში, როცა სალიტერატურო ენაში მომძლავრდა და ფართო გასაქანი მიეცა ა—ინ და ა—ევინ ორგანულ წარმოებას (მოაღებინა, ათქუშევიანა...), აღწერითი წარმოება თანდათან სუსტდება და გადის ხმარებიდან. დღეს იგი აღარსად გვხვდება.

აღწერითი ზმნის მოქნილობა ცემა ზმნის შესაძლებლობაზეა დამოკიდებული. ცემა კი ქართულში, ძველსა და ახალში, ცნობილია ფორმების სიმდიდრითა და მრავალფეროვნებით. კაუზატივის შემადგენლობაში იგი გვხვდება I და II სერიის თითქმის ყველა მწკრივში. ყოველ შემთხვევაში, II სერიის ყველა ძირითად მწკრივში (წყევტილი, II ბრძანებითი, II ხოლმეობითი, II კავშირებითი) იგი წარმოდგენილია.

როგორც აღინიშნა, აღწერითი კაუზატივის გამოყენების შემთხვევაში საუღლებელი (ძირითადი) ზმნის საწყისი ვითარებითა და დასმული და მას ერთვის ცემა ზნა ამა თუ იმ მწკრივისა და პირის ფორმით (მოღებად სცემდა, დათხრად სცის, გარდაგდებად ესცე...).

<sup>255</sup> ა. შანიძე, საფუძვლები, გვ. 408. ა. თაყაიშვილი, კაუზატივის წარმოების ზოგი საკითხი, გვ. 6-8.

<sup>256</sup> ათქუშევიანა ხ.



ამ ერთი შეხედვით. მარტივ წარმოებას რამდენიმე თავისებურება ახასიათებს<sup>287</sup>.

1. როგორია რიგი, საწყისი უსწრებს თუ პირიანი ფორმა? როგორც წესი, წინ დგას საწყისი. მოქცევა პირიანი ფორმა: მიწერად გეც, შეპყრობად ეც, მოღებად სცა. ეს წესი ირღვევა მხოლოდ ერთ შემთხვევაში, როცა ნუ ნაწილაკიანი ბრძანებითი გვაქვს: ნუ სცემ დარღვევად კიღობნისა მის, რომლისა მოღუაწე შენ ხარ (საქ. წ. II, 39,5).

2. როცა ცემა ზმნა კაუზატიური ფუნქციით იხმარება. მას არასოდეს ერთვის ზმნისწინი: მოკლვად სცემ, დაღებად სცემდა, მოღებად ვეც, შეპყრობად ეც.

3. როცა სათანადო წინადადებაში ნახმარი პირდაპირი ობიექტი (ნარიანი) მრავლობითის სახელობითობა, ცემა ზმნაში მისი მრავლობითობაც არის ასახული: ორნივე იგი მეფენი შემოყვანებად სცნა (კომ. II, 204,23); მოკლვად ესცენ სიძმ და სძალი (ნოე. I, 5,11,23); მობმად ესცნე იგინი აქა და გამოვებათ იგი მათ შორის (თეკლა I 17,22); რადითა იგივე ბრძანებანი მეფეთანი წარკითხვად სცნეს მათ ქალაქთა (კომ. II, 205,16).

სანამ საუბარს განუგერძობდეთ, ჯერ მოვიყვანოთ სათანადო მაგალითები.

## I სარია

ბოროტად ქზამ, რამეთუ მოკლვად სცემ კაცსა ღმრთისასა პირისაგან სიყმილისა (იერ. 38,8 = აკელევიანებ); შეურაცხ-ყოფად სცემს მსახურსა მათსა და აყენებს თაყუანის-ცემასა მათსა (კომ. I, 195,13); იაკობ ფიცით ბარკალსხვლთა თვისთა ზედა დაღებად სცემდა ველთა იოსებისთა (იპოლ. 27,104).

## II სარია

**წვეუტილი:** განუგებლად ვქმენ, რამეთუ წიგნი არა მიწერად გეც (ხანძთ. 274,3 = არ მიგაწერინე); დაღმად ვეც მე სელინი ოქროისა და დაეჯედ მას ზედა ასპარეზსა შინა სამღერელსა (ურთ. 138,30 = დავადგმეინე); მოღებად ვეც ქარტაი (იქვე. 142,8 = მოვატანინე); მოიყვანა ველითა თვისითა და ჯუარი დაწერად გუცა ჩვენ და სამოსლითა მოწესეთადთა შემოსა (ხანძთ. 270,34); ამან უბადოსა მას იუდას მიცემად სცა ქრისტო (საქ. წ. I, 47,22); მაშინ წარაელინა ებისკოპოზმან და მოღებად სცა სამსახურებელი ჟამის-წირვისა (Sin. II, 63,8); დათხრად სცა სიღრმე ვითარ ორმოც კაც (კომ. II, 197,26); მაშინ განრისხნა მთავარი იგი და მოღებად სცა ნაძე იგი და დაგზებად ქუეშე მისა ფრად და შთასხმად სცა ფისი და ნეთი და ზეთი (ქრისტინ. 191,21,22); უბრძანა მოღებად წიგნი იგი ... და წარკითხვად სცა ეკლესიასა შინა (იქვე. 211,35). ამ მაგალითში აქ აღძრული საკითხის თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს აგრეთვე უბრძანა მოღებად, რაც არსებითად იმავე მნიშვნელობით არის ნახმარი, როგორითაც მოღებად სცა (ცოტა ზემოთ რომ გეჭონდა მოყვანილი ამავე ძეგლიდან) და წარკითხვად სცა (აქვე რომ იკითხება).. მოღებად სცა არ იხმარეს. ალბათ, ახლო მანძილზე განმეორების ასატილებლად. შდრ. აგრეთვე წინა წინადადების მოღებად სცა ნაძე და დაგზებად, სადაც სცა თანაბრად გუთუნის მოღებად და დაგზებად ფორმებს, მაგრამ სწორედ

<sup>287</sup> კაუზატივის აღწერითი ფორმების შესახებ იხ. ვ. იმნაიშვილი, კაუზატივი ძველ ქართულში თსუ სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, 10, 1970.

ზედზედ გამოკრების თავიდან ასაცილებლად მხოლოდ ერთხელ იხმარეს. შდრ. აგრეთვე ზუსტად ასეთივე შემთხვევა მოძღვენო წინადადებაში: დავობად სცა ზედა და გზნებად: ბრძანა აღგზნება იორნისა სამ დღე და შთააღეს მას შინა, და დავობად სცა ზედა და გზნებად ხუთ დღე (ქრისტინ. 193,21); ახალსა გელესიასა მამასახლისად დადგინებად სცა (ეფ. III, 214,31); წიგნი იგი ქნული შეურაცხყოფად სცა და შეჩუენება ითეოდორსი ინება (იქვე, 25,27); გარდამოღვინებად სცა ყოველი იგი ამბოხი პეტრე (მოც. 9,40); შექნად სცა ლუსკუმა ძელთაგან ულპოლველთაისა (პარხ. 663a); დამარხვად სცა იგი ხვალის დღე (Sin. 62, 46v, 1 ქვ.); დადნობად სცა ბრკენი და შთაასხა თავსა და გორეებად სცა ყოველსა ქალაქსა (ქრისტეფ. 196, 26,27); სულნელი ნაღსაცხებელი ცხებად სცა და გვრგვინი პატროსანი დადებად სცა ლანკლასა და მისცა იგი მსახურსა მას კერათასა (იქვე, 192,39); შეეშინა, ნუცკუე იგიცამცა აღბმად სცა (იქვე, 197,5 B. A-ში ამის ნაცვლად მაკულნა იკითხება); ხოლო ბერმან შეიწყენარა იგი სიხარულით და, რა-იგი აქუნდა განსასუენებელი, შზა-ყოფად სცა (ნოე. II, 51,3);

გამოუსახა მათ გელესია საქმედ. და პირველად მას დადებად სცეს გეგმი (Sin. II, 346r,3 ქვ. = დაადებინეს; დღეს ვიტყვი: შეადგენინეს); წესი იგი მოძღურებისა მის სარწმუნოებისა ბრძანებად სცეს და სიტყუად ამაღლებისა მისისათვის (სინ. 166,31); შეჩუენებად სცეს მას ეეტეკისი და დიოსკორსი შჯული (კობ. II, 184,11 = შეაჩუენებინეს); პირველად დააჯერეს პილატეს საფასითა დიდძალითა. ვიდრემდის დააბეჭდევს საფლაეი იგი და დაცვად სცეს მრავლითა ერის-კაცითა (ალექს. კვპრ. ქრონ. 46,26).

როცა პირდაპირი ობიექტი მრავლობითშია, ეს აისახება ზმნის პირიან ფორმაშიც: მეფემან ... ორნივე იგი მეფენი შმოყვანებად სცნა კოსტანტინეპოლისა (კობ. II, 204,23); წარავლინა და მობმად სცნა ზუარაკნი იგი (თეულა 118,1); დაადგინა იგი და აღმოსავალით აღპყრობად სცნა ველნი მისნი და ათქუმა (მოქც. 134,16 წ); ხოლო აღვადგინე ბრძოლა და დავესთხიე სისხლი მრავალი და მოკლვად ესცენ სიძ და სძალი (ნოე. I, 5,11,23).

მათ აღსარებად მცეს და განმძარცუეს სქემა ჩემი და მიმცეს განკითხვად (ლომ. 113,16). აქ "მიმცეს განკითხვად" არ არის ჩვენთვის ამჟამად საინტერესო კაუზატიური ფორმა. ჯერ ერთი, აქ რომ კაუზატივი იგულისხმებოდეს, ორჯერ რატომ დაწერდნენ ერთსა და იმავე ზმნას (მცეს, მიმცეს); მეორე: თუ მაინც ორჯერ დაწერეს, რატომაა ერთი (პირველი) უზმნისწინოდ (მცეს), ხოლო მეორე — ზმნისწინით (მიმცეს)? აღნიშნული (აღწერიით) სახის კაუზატივი არასლოდეს გამოიხატება ზმნისწინით (მისცეს და სხე.). ზმნისწინიან ფორმებს სულ სხვა მნიშვნელობა აქვს. სწორედ ამიტომ, რომ, სათქმელი რომ არ აირიოს, კაუზატივმა მხოლოდ უზმნისწინო ფორმები გამოიყენა. ამასთან აქ, მეორე (მიმცეს) ზმნასთან, არც იგულისხმება კაუზატივის შინაარსი: ტექსტში ნათქვამია: აღსარება მათქმეინეს, გამხადეს სქემა და განსაკითხვად მიმცესო (გადამცესო, გამგზავნესო...), ერთი სიტყვით, აქ წესის დარღვევასთან არა გვაქვს საქმე, მიმცეს განკითხვად ჩვეულებრივი ქართული გამოთქმაა, ეთქვათ, ისეთი, როგორცაა: მიმცეს სასწავლებლად, მიმცეს აღსაზრდელად, მიმცეს დასასჯელად და სხე.

II ბრძანებითი: წარავლინე აღრე და შეპყრობად ეც იგი და მოყვანებად (1 მეფ. 20,31 = შეპყრობინე/დააჭკრინე და მოყვანინე). აქ ერთ პირიან ზმნასთან ორი საწყისი გვაქვს: შეპყრობად და მოყვანებად. ეც ორივეს ეკუთვნის. საწყისები

გათიშულია პირიანი ზმნით (ეც), ობიექტითა (იგი) და და კავშირით. სწორედ ამ რიგით იყო ზემოთ წარმოდგენილი ასეთივე ორშემადგენლიანი (ორსაწყისიანი) კაუზატივი: მოღებად სცა ნამძ იგი და დაგზებად. აქაც საწყისებს შორის იმავე ტიპის სიტყვებია მოქცეული: პირიანი ფორმა (სცა), ობიექტი ("იგი" ნაწვერითურთ) და იგივე და კავშირი; დაახლოებით ასეა კიდევ ერთ მაგალითში იქვე: დაგოზად სცა ზედა და გზებად.

**II ხოლმეობითი:** მიერთგან ესრტთ დააჯერის და უღებ-ყოფად სცის თავი თვისი (ნოვ. II, 301,4); უკუეთუ ეინმე მოვიდის მისა უცხოა ხუცესი. ჟამი შეწირვად სცის ეგუტერსა მას შინა (კობ. II, 150,31); სადა იპოვის ნელლი ადგილი. დათხრად სცის მრავალთა ველთა (იქვე, 197,23); მანვე ეშმაკმან შემაგინებელმან კულად თავი თვისიცა შეურაცხ-ყოფად სცის, რომელნი მას ერჩიან (Sin. 97,144ra,7).

**II კავშირებითი:** ღმრთითა ამით ჩემითა თქუდად გცე შენ. რამეთუ მომეწყინა მე და აწ განვაჩინო შენდა მიმართ სიტყუა (Sin. 62, 47ra,6); უკუეთუ ესე არა იყოს. აწვე ამათ დღეთა შინა გარდაგდებად ესცე ებისკოპოსებასა (კობ. II, 214,14); აღუადგინო სხუა მეფე, რომელმან უკარ-ყოფად გცეს ჯ.უარ-ტუმული (სინ. 242, 32).

მიღგან მელა ორნი ზუარაკნი ხისტნი და სასტიკად ფიცხელნი. მობმად ესცნე იგინი აქა. და გამოვაბათ იგი მათ შორის (თეკლა 117,22); რადთა იგივე ბრძანებანი მეფეთანი წარკითხვად სცნეს მათ ქალაქთა (კობ. II, 205,16); მაქციოს იგი მღღელმან დასავალით, ეელნი ზე აყრობად სცნეს და თქუას (აღწ. 113,9).

როგორც ითქვა, აღწერითი კაუზატივი ყველაზე ხშირად და მრავალფეროვნად II სერიის ფორმებითაა გამოხატული. თვით II სერიის მწკრივებში ყველაზე მდიდარი წყვეტილია, მას მოჰყვება II კავშირებითი. შემდეგ მოდის II ხოლმეობითი, ხოლო ყველაზე ღარიბია II ბრძანებითი. I სერიაში გვხვდება აწმყოსა და უწყვეტლის ფორმები.

აღწერითი კაუზატივის ამგვარი წარმოება დამახასიათებელია აგრეთვე ძველი სომხური ენისათვისაც: *ხտ գხբել* (მოღებად სცა), *ხտ თასხել* (წარღებად სცა)<sup>24</sup>. ამის გამო ნ.მარს ძველ ქართულში ასე გავრცელებული და მრავალფეროვანი წარმოება სომხურიდან შეთვისებულად მიაჩნდა. 1901 წელს იგი წერდა: "В грузинском этого суррогата (იგულისხმება აღწერითი კაუზატივი) нет и появлением в нашем памятнике описательного выражения даლებად სცებდა (27, 100101,104) в смысле даლებაზებდა заставил или велел положить можно понять, лишь предварительно восстановив армянское подлинное чтение *ხտ գხել* (ГР, III, §29, II, 12, გვ. LVIII).

ნ.მარამ იგივე გაიმეორა 2 წლის შემდეგაც: "Что оборот с *თამ*, действительно, древнее явление, видно из того, что он воспринят из армянского древне-грузинским" (Н.Марр, Грамматика древнеармянского языка, СПб., 1903, გვ. 271, §322. ნ.მარი იქვე უთითებს თავის ზემოთ დამოწმებულ შრომას. ეს აზრი ადრე იქ მქონდა გამოთქმულიო.

მაგრამ ორ სხვადასხვა ტიპის ენაში მორფოლოგიური კატეგორიის ერთი სისტემით გამოხატვა ჯერ კიდევ არ ნიშნავს ერთიდან მეორის მიერ სესხებას: ეს

<sup>24</sup> ე.იშაიშვილი. კაუზატივი ძველ ქართულში. გვ. 112.

მსგავსება უმეტესად ზოგადი აზროვნების საფუძველზეა აღმოცენებული. ამავე (კაუზატიური) შინაარსის გადმოსაცემად სხვა ენებში გამოყენებულია ბრძანება, იძულება (უბრძანა დაწეროს...). რუსულში უფრო ხშირად მიმართავენ заставить ზმნის საჭირო ფორმას (он заставил его писать, читать, принести). ასევე იქცევა გერმნულიც, მას ამ მიზნით გამოყენებული აქვს lassen ზმნის პირიანი ფორმები (er ließ ihn schreiben, lesen, bringen). მაგრამ არაეის უფიქრია, რომ ერთ-ერთი მათგანი მეორის გზით არის ენაში შემოსული. ასეთ მსგავსებებს, ვიმეორებთ, ზოგადი აზროვნების კანონები განაგებენ.

მერმე: ძველ ქართულში, როგორც ვნახეთ, ცემა ზმნის საშუალებით გამოხატული კაუზატივი მეტად ბრავალფეროვანია, რასაც განაპირობებს ქართული ზმნის (ამ შემთხვევაში ცემა-ს) სამპირიანობა. ძველ ქართულში კაუზატივის გადმოსაცემად იხმარება ვითარებით ბრუნვაში დასმული საწყისი და ცემა ზმნის ესა თუ ის პირიანი ფორმა (ესცემ...), ხატოვნად რომ ვთქვათ, ამგვარ ფორმებს "არა აქუს რიცხუ". ამას ვერ ვიტყვივით სომხურის შესახებ (თანაც სომხურში ასეთ შემთხვევაში თაჲ (ცემა) ზმნის მხოლოდ საწყისი იხმარება. ვიმეორებთ, უფრო სწორი იქნებოდა. ეს მსგავსი მოვლენა ორივე ენაში აზროვნების საერთო კანონების გამოხატულებად ჩაკვეთვალა.

\* \* \*

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ რამდენადმე კაუზატიურ შინაარსს შეიცავს და შეიძლება შუალობითი კონტაქტის ფორმებად განვიხილოთ ისეთი მაგალითები, როგორიცაა: დაარწმუნა, დააჯერა, შესამინოს, დაგუაძინოს, შევადრწუნე, დასწავლნა, მოაძულე, დაგამტკიცა (ე-გეურქოვა), ადგენს — ადგენა, აწვენს — აწვინა, აწყენს — აწყინა, წარავლინებს — წარავლინა, აღადგინებს — აღადგინა (ა.თაყაიშვილი).

მაგრამ ეს აზრი სადავოა. არა ყველა სამპირიან (მით უმეტეს, ორპირიან) ზმნას აქვს კაუზატივის გაგება, არამედ მხოლოდ იმათ, რომლებშიც ნათლად ჩანს შემდეგი პირები: 1. სუბიექტი (ხელმძღვანელი), 2. ორიბი ობიექტი (შემსრულებელი) და 3. პირდაპირი ობიექტი: დააწერინა პეტრემ პეულეს წერილი. ეს სამი პირი და ზმნით გამოხატულ მოქმედებასთან მათი მიმართება უნდა ჩანდეს ფორმაში, რომ ის შუალობითი კონტაქტისად მივიჩნიოთ. ზემოთ მოყვანილ მაგალითებში (და მათ მსგავსებში) კი ასეთი შინაარსი არა ჩანს. ზოგ მათგანში მესამე პირიც კი არ არის ნაკულისხმევი (ადგენს, აწყენს, აწვენს...). ეს ფორმები რომ კაუზატივის შინაარსს არ შეიცავს, ნათლად მტკიცდება იმ გარემოებით, რომ აღწერითი კაუზატივის წარმოებისას თვით ამათ საწყისებს ემატებათ ცემა ზმნის პირიანი ფორმები. მაგალითად: ხოლო იოანე, სჭურისი მარტკრის მონასტრისაჲ, ახალსა ეკლესიასა მამასახლისად დადგინებად სკა წმიდისა მარიაშისა (კიმ. II, 214,31); გარდადგინებად სკა ყოველი იგი ამბოხი პეტრე და მუცლნი მოიდრიკნა და თაყუანის-სცემდა (მოც. 9,40); ხოლო ურბანოს უბრძანა გარდამოვსნაჲ და წარდგინებად სკა წინაშე კერპთა (ქრისტინ. 188,32). ეს რალა კაუზატივია, რომელსაც სხვა, ნამდვილი, კაუზატივის მაწარმოებლის დართვა ესაჭიროება? გამოდის, რომ მანამდე, ამ დართვამდე, არ იყო კაუზატივი. მაგრამ ამ სადავო საკითხზე აქ ახლა უფრო ვრცლად ვერ შევიჩრდებით. უმჯობესია იგი სპეციალურად იქნეს გაჩხრეკილი და აწონილ-დაწონილი.

\* \* \*

## II თურქობითის არაღა ურკათა უსახაბა

ინ სუფიქსთან დაკავშირებით ჩვენს ყურადღებას იქცევს ახალ ქართულში ორდინარული II თურქობითის თავისებური წარმოება ზოგიერთ ზმნაში. საქმე ეხება ებ თემის ნიშნიან ზმნებს (ა—ებ ტიპისას), რომელთაც მარტივი ფუძე მარცვლიანი აქვთ. ამ მოდელის ყველა ზმნას დღეს II თურქობითში ებ-მ სუფიქსები აქვს:

ახლ:	განეახლებინა
ბრძან:	ებრძანებინა
მაღლ:	აემაღლებინა
შხად:	მოეშხადებინა
მტკიც:	განემტკიცებინა
მშვიდ:	დაემშვიდებინა
მწარ:	გაემწარებინა
ნან:	შეენანებინა
ოხრ:	მოეოხრებინა
სრულ:	დაესრულებინა
ტოვ:	დაეტოვებინა
შენ:	აეშენებინა
შორ:	განეშორებინა
ჩვენ:	ეჩვენებინა, შეეჩვენებინა
ცხად:	განეცხადებინა
წყნარ:	შეეწყნარებინა

ეს არის დღევანდელი სალიტერატურო ქართულის ნორმა და ერთადერთი წარმოება.

ამის მსგავსი ძველმა ქართულმა არაფერი იცის. იქ ამ შემთხვევაში გვაქვს მარტივი წარმოება ებ-მ სუფიქსების გარეშე: (მას იგი) განეახლა, ებრძანა, აღემაღლა... ძველი ქართულის ასეთ ფორმებს მოკლე თურქობითს ეძახიან. წარმოების ეს ძველი წესი ადვილი გასაგებია: გარდამავალი ზმნების II თურქობითი სათანადო ენიანი ენებითის წყვეტილს ეყრდნობოდა:

<u>ენ</u>	განეშორების იგი მას — განეშორა იგი მას (წყვ.)
<u>მუქმ</u>	განაშორებს იგი მას მას — განეშორა მას იგი მისგან (II თურქ.)

რადგანაც ებ (და სხვა) თემის ნიშანი ზმნებს II სერიაში არ გადასყვებოდა, იგი სამართლიანად არა ჩანს არც ამ II სერიაზე დაყრდნობილ ფორმაშიც. რაც შეეხება მეორე, ინ, სუფიქსს, რომელიც წარმოშობით სხვა არაფერია, თუ არა კაუზატივის მანარმოებელი ნიშანი, იგი, ბუნებრივია, არ არის II თურქობითში იმის გამო, რომ საერთოდ არ გვხვდებოდა ძველ ქართულში. როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, ათიოდე მაგალითი, რომლებიც აღნიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაში, მხოლოდ გვიანდელ ძეგლებში გვხვდება და უჩვენებს დროს, როცა ის-ის იყო იწყებოდა მისი დამკვიდრება. მეორე მხრივ, თვით ის ფაქტი, რომ II თურქობითის უძველეს წარმოებაში ჩვენთვის საინტერესო ინ სუფიქსი არსად ჩანს, იმის ერთ-

ერთი ყურადსაღები საბუთია, რომ უძველეს ქართულში კაუზატივის ა—ინ-იანი წარმოება არ იყო.

II თურმეობითი ებ—ინ-ის გაჩენის (მერმე განმტკიცების) ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ ამ მწკრივის ფორმები არ ღამთხვეოდა სათანადო ვნებითის წყვეტილის ფორმებს. მოქმედებითი გვარის II თურმეობითი განესხვაებინა ენიანი ვნებითის წყვეტილისაგან. ვთქვათ, ანაირი სრულიად ერთგვარი ფორმები:

ენებ.

მოქმ.

დაებადა  
ებრძანა  
მოეელინა  
შეეზავა  
ეკურთხა  
მოემზადა  
განემტკიცა  
შეენანა  
მოენიჭა  
დაესრულა  
აღეშმნა  
ეჩუენა  
შეეწყნარა

ძველი

დაებადა  
ებრძანა  
მოეელინა  
შეეზავა  
ეკურთხა  
მოემზადა  
განემტკიცა  
შეენანა  
მოენიჭა  
დაესრულა  
აღეშმნა  
ეჩუენა  
შეეწყნარა

ახალი

დაებადებინა  
ებრძანებინა  
მოეელინებინა  
შეეზავებინა  
ეკურთხებინა  
მოემზადებინა  
განემტკიცებინა  
შეენანებინა  
მოენიჭებინა  
დაესრულებინა  
აეშენებინა  
ეჩვენებინა  
შეეწყნარებინა...

აქ ღამთხვევა მოიშალა და ვნებითსა და მოქმედებითს (წყევ.— II თურმ.) თითოეულს საკუთარი ფორმა დაუშკვიდრდა, მაგრამ სხვა ტიპის ფორმებში ღამთხვევა ისევე დარჩა, რაც მოცემული ფორმის შინაარსის გარკვევაში გვიშლის ხელს. აი, ამგვარი თანხედენილი ფორმების რამდენიმე ნიმუში:

ენ. წყვ.

მოქმ.

გადაეშალა  
დაეწვა  
დაეძალა  
დაეფარა  
ჩაეთვალა  
მიეგო  
გაეთხარა  
დაეთესა  
აღეძრა  
შეეწირა  
დაეტანჯა  
დაენერგა  
მიეცა  
მიეძღვნა  
შეემუსრა  
გაეჭრა  
გაეზარდა

გადაეშალა  
დაეწვა  
დაეძალა  
დაეფარა  
ჩაეთვალა  
მიეგო  
გაეთხარა  
დაეთესა  
აღეძრა  
შეეწირა  
დაეტანჯა  
დაენერგა  
მიეცა  
მიეძღვნა  
შეემუსრა  
გაეჭრა  
გაეზარდა და ბევრი სხვა.

II თურმეობითის შესახებ, რომელიც წინათ მოკლე ფორმებით იხმარებოდა,

დღეს კი ებ—მ ელემენტით არის გაერცობილი და რომელსაც (ისე როგორც მის შთამომავალსაც) კაუზატივთან არაფერი აქვს საერთო. ზემოთ (მწკრივებზე საუბრისას, გვ. 248 და შემდ.) უკვე გვქონდა საუბარი და სათანადო მაგალითებიც იყო მოყვანილი. აქ სურათის სისრულისათვის და აღძრული საკითხისადმი დიდი ინტერესის გამო წარმოვადგენთ ახალ მასალებს სათანადო მოწმობით და ერთი-ორ ძველ მაგალითსაც დაეურთავთ. მაგალითები ზმნათა მარტივი ფუძის ანბანის რიგზეა დალაგებული:

1. აღეარა: უკუეთუმცა მენება მსახურება მათი. არამცა აღმეარა მე სახელი წმიდაი ... ქრისტესი (საქ. წ. II, 23,31); დაეტევა მათ ბილწი იგი წეალები მათი და აღეარა მართალი სარწმუნოება (ლიმ. 42,29).

2. განეახლა: მივიდა სახლს მას კერპთასა, სადა-იგი მეორედ განეახლა აპოლონი (კიმ. I, 144,19)<sup>29</sup>.

3. დაებადა: ნეტარ თუმცა პერთა შინა მფრინვალედ დაეებადე ღმერთსა (სწავ. 184,33).

4. მოებირა: გამოვიდეს კერპთ-მსახურნი იგი, რაითა სიტყუა-უგონ ნაქარს, რომელი საგონებელ იყო, ვითარმედ ბალაქვარ არს, რომელი-იგი ზემო ვავსენეთ, რომელ-იგი მოებირა რაქისს (ბალ. 112,31 = გაადებირებინა).

5. დაებრმო: უკუნადასკენელ აღძრა იგი, რომელსა დაებრმო, და სწყევლა წმიდასა მას (კიმ. I, 334,36).

6. ებრძანა: დაღაცათუმცა არა პირველვე ებრძანა შენდა, ჯერ-იყო შენდა მორჩილობა ღმერთსა შენისა და მიტეეება ძმისა შენისა და მიტეეებად ძმისა შენისა თანა-ნადები იგი (სწავ. 34,6); ბრძანება დაწყნარებულებისა შენისა შევიწყნარე, რომელი ებრძანა ყოველთათვის (კიმ. II, 22,23); მცირედ შემდგომად ებისტოლენი იგი ნეტარისა იგნანტისნი, რომელ ჩუენ თანა იყენეს, წარმოვსცნეთ თქუენდა, ვითარცა ებრძანა (აღწ. 183,12); ვითარცა ებრძანა მისა ღმერთსა (სწავ. 113,5); ახალსა ამას მოსეს ებრძანა ახლისა ისრაჰლისა წინამძღურობა (ზარზმ. 334,32); ვითარ ღმერთსა ებრძანა კათალიკოზობაი არსენისი სისრულისა მისისათვის (ხანძთ. 288,5).

7. გარდაეგორვა: იგი ლოდი, რომელი პირველად გარდაეგორვა საფლავისა მისგან, იგი წამებს დღენდელად დღედმდე მღებარც (სინ. 165,35).

8. ედიღნეს: რომელნი მათ ედიღნეს, ადიღნეს (კიმ. I, 97,8 = ედიღებინათ).

9. შეევედრა: მოკულა ჭაბუკი იგი, რომელი შემოგვედრა ჩემდა (სწავ. 292,15); პოვა კაცი იგი, მას ჟამსა ოდენ შეევედრა სული თვისი ღმერთისა (კიმ. I, 23,30 = ჩაებარებინა სული, ე. ი. მომკვდარიყო); ვითარცა შევევედრა სული ჩუენი სიწმიდით ღირსებასა შენსა, აწცა გვედრებით (ხანძთ. 303,18).

10. დაევიწყა: სრულიად დაევიწყა სხეული და არარად შეერაცხნეს საშუებელნი სოფლისანი (ასურ. 43,8 = დაევიწყებინა).

11. მოველინა: მაშინ მაჰა ეპიფანე ძმათა მათ დაუბრკოლდა არა სმენისა მისთვის, რომელცა-იგი პირველ მოველინა კაცი (ხანძთ. 292,29 = გამოვეზაენა); არა იყო მუნ ლიკინიოზ, რამეთუ წარველინა წმიდასა პანსოფის ქალაქად ძმათთვის სყიდად საზრდელისა (კიმ. I, 59,22); მონაზონი იგი ამბა მოდისტოს, რომელი

<sup>29</sup> განეახლა = განახლებინა. ზოგს განეახლა ენებითი ჰგონია, მაგრამ არა: ამისი ენებითი ღონიანია: განახლდა.

წარველინა პატრიარქსა შეკრებად ბერძენთა ლაშქრისად (წარტყ. 15,7); გან-რად-თუნა. მოიწია ფილიპე ეპისკოპოზი, რომელი წარმოველინა კრებასა მას ეპისკოპოზთასა (ასურ. 21,30); ყოველივე ზედა მიწვევით ცნა კაცთა მათ მიერ, რომელნი მას წარველინნეს (ზარზმ. 333,12).

12. შეეზავა: იხილეს ესე მათ, რომელთა შეეზავა (ლიბ. 46,9).

13. ეთხრა: ბერსა ეთხრა მათა (Sin. 36, 391a,19); რამეთუ არა ეთხრა წინამძღურისადა. თუ უვის ვის (ნოვ. I, 13,15.4 = A-1105).

14. განგუთვნა: სიწმიდითანვე ღვთისა და ჯორცი არა შეედა პირსა მისსა, ვინათვან ქრისტესსა განგუთვნა სული თვისი სამკვდრებელად (ხანძთ. 249,36):

15-16. ეკურთხა. ესწავა: ქჷონდა მის თანა ყრმაი თვისი, მისი ნაშობი იყო იგი. ათხუთმეტისა წლისაი და მონაზუნად ეკურთხა იგი წმიდასა მას და მას ვანეზარდა იგი სიყრმით მისითან და ესწავა მისდა პატრიოსანი მონაზონება (კიმ. I, 40, 1,2); აგებულება თვისი ვერ ესწავა უმაღლოთა მათ ნათესავთა და მსგავსებამა მთავრობისა თვისისაი ვერ გულისჴმა-ეყო (გობრ. 173,16).

17. აღემაღლა: მივიღოდა წმიდისა მის თანა ამბოხი მრავალი ღვთისა და მამებისაი. სიმრავლემ ურიცხვ, რამეთუ უკანა შეუღვეს, უმაი აღემაღლა და ტიროდეს (შუშ. 138,21).

18. დაემდაბლა: ხოლო თეკლას არად შეეცაცხა იგი ყოველი, არამედ დაემდაბლა თავი და ყოველი გონება მისი და ერჩდა სიტყუათა მათ ჰველმისთა (თეკლა 97,13).

19. მოეშადა: მოვიდეს საფლავსა მას და მოაქუნდა, რად-იგი მოეშადა სულნელები (ლ. 24,1 = მოეშადებინათ); ქრქუა მას ყოველი იგი სიტყუა, რომელი მოეშადა (ლიბ. 133,23); ვითარცა დაეცა იგი საჯდომსა მას, რომელი განეშადა მისთვის წინაშე კერპისა მის (კიმ. II, 33,9); დაღვეს საფლავსა, რომელი-იგი თვთ შეეშადა მას აღმოსავალით საკურთხეველისა (ზარზმ. 342,35); დასხდეს უკუ ქუაბსა მას მახლობელად, რომელი შეეშადა ეკლესიად (ასურ. 87,7).

20. დაემოწაფა: რამეთუ იგი ნეტარსა ღვთისა ფებრონიას განეზარდა და მამისა გრიგოლისდა დაემოწაფა (ხანძთ. 286,19 = დაემოწაფებინა).

21. განემტკიცა: განემტკიცა პირი თვისი აღსლუად იერუსალმდ (ბოლნ. 78,14).

22. დაემშვდა: მოწყალეებასა მას მისსა არა დაემშვდა იგი (სინ. 182,21).

23. განემწარნეს: რომელნი-იგი ეშმაქსა განემწარნეს სიმწართა თვისითა (სწავ. 180,29).

24. მოენადა: მოენადა სასყიდლით ერი მრავალი ჩემთვის, რადთა შევიშინო (ნეებ. 6,13 = დაექირავებინა, მოესყიდა).

25. შეენელა: რომლისაი არა მინდა გამოცხადებაი მისი წინაშე შენსა, რადთამცა მხიარულად შეგენელა საქმე შენი (ბალ. 101,35).

26. მოენიჭა: უკუეთუმცა შეძლებაი იგი მოენიჭა (Sin. 35, 241rb,9 ქვ. = მოენიჭებინა, მოეცა, ერუქებინა).

27. მოეოჯრა: რადთა განაახლოს ქუეყანაი, რომელი მოეოჯრა მატუჴრსა (კიმ. I, 17,5).

28. აღესრულა: არა ეპოვე ღონე, რადთამცა ნებაი გულისაი აღმესრულა (მოქც. 161,24 ლ); მე უკუე განშადადებულ ვიყავ მწველებელთა ღუაწლისა მიმართ წყობად, რადთამცა ნემტი იგი თანა-მღები აღმესრულა თქუენდა (Опис. 260,4); არა



ღირს ვიყენით, დაღაცათუმცა ნება მისი ყოველი აღგუესრულა (სინ. 36, 37a,16); ელიას, მთავარებისკოპოსსა ირუსალამისასა, არღა დაესრულა მეორე წელი ებისკოპოსებასა (კიმ. II, 179,17); დაღაცათუმცა ცხორებულ იყავ მრავალთა ეამთა და ნებასა შინა ქრისტესსა აღგესრულნეს დღენი შენნი ... მაშინცა არა ჯერ-იყო შენდა წარკუეთაი სასოებისა წყალობისაგან ღმრთისა (სწავ. 1125,6 = კიდევ რომ შეგესრულებინა).

ესწავა 6. 15-16.

29. დაეტევა: ამა ნეტარსა ღმრთისათვის დაეტევა ებისკოპოსობა თვისი და მოწეუნულ იყო იგი მახლობელად სოფელსა (ლიმ. 44,17); კეთილად წარმატებულა ყოველი საბრძანებელი მისი, რომელი დაეტევა დისა მისისა თეკლასისა და შვილთა მისთადა (ზარზმ. 340,6); არარა დაეტევა მას საიფქლესა მას შინა (ლიმ. 12,12); რომელნი მცველად დაეტევენეს, მათ ვერევი მისცა დავით ნაწილი (კიმ. II, 184,21).

30. ეშმნა, აღეშმნა: ბლუარით კერძო მას თვით აღეშმნა სენაკი (კიმ. II, 173,29 = აეშენებინა); რომელი-იგი მათ აღეშენა სახელად წმიდისა პეტრესა (ლიმ. 94,3); მათთა მოწაფეთაგანსა აღეშენა მონასტერი იგი (ნეკრ. 246,3); რათამცა მუნ გუეშენა უდაბნოი დიდი და მაღალი (ზარზმ. 327,36); დაუღუა მათ კანონი ნეტარმან მან, ვითარცა სხუთა მონასტერთა, რომელნი მას ეშმნენეს (კიმ. II, 173,37). ნაბუქოდოსორს მოეყვანნეს და დაეშენნეს ქუეყანასა მას გალილეელთასა და პალესტინელთასა (თუალთ. 90,6).

31. განემორა: ვითარცა შეშწუხრდა, მივიდა მამაი აღექსანდრე, რამეთუ მაშინ ოდენ განემორა ფურცელი იგი (ნოე. I, 13,2.9 = დაეშთავრებინა, დაესრულებინა).

32. ქუენა, შექუენა: უკუეთუმცა ერთი ხოლო გზაი ქუენა შენდა, ნუკუემცა კმიზეზობდი და სთქუ: ვერ შემძლებელ ვარ ამას გზასა მისლუად (სწავ. 7,25); ხოლო დიდსა დრაკონს მრავალი ბოროტი ქუენა ეპიფანსისდა სიტყვთა და საქმითა (საკ. წ. II, 121,36); ესენი იყენეს, რომელთა შექუენა თქუბული კრებულისა ქალკილონისაი (კიმ. II, 180,7); რომელნი მათ განეკუეთნეს და შექუენნეს, შეაჩუენნეს (კიმ. I, 97,7).

33. განეტხადა: უკუეთუმცა ჩემ თანა და-რაი-შთომილ იყო მტირედიცა საფასეთა ჩემთაგან წარსაგებელი, არამცა განმეტხადა თაეი ჩემი პირველ მისა წარგებაძე (საკ. წ. II, 123,17).

34. განეშენა: ჟმაი ყო ეშმმან მან, რომელსა სენი იგი მისი ეგოდენ განეშენა (კიმ. I, 270,36 = გაეშწვაეებინა, გაემშენიარებინა).

35. შეეწყნარა: იყო საფლავი ცალიერი ახალი, ახლად გამოკუეთილი კლდისაგან, ... არაენ სხუაი მკულარი შეეწყნარა (ΟΠΙΙ. 175,9 = შეეწყნარებინა ანუ მიელო).

II თურამობითის წარმოების ეს ძველი წესი დღეს გადმონაშთის სახით დატულა ქართული ენის შთის დიალექტებში. უფრო მეტად ხვესურულსა და ფშაურში<sup>20</sup>. აქედან კი ზოგჯერ გადმოსულია პრესასა და მწერლობაში. აი, რამდენიმე მაგალითი: აქაურ მღვდელს აღნივეს დაუბეზღა /ვაჟა/ (თ.რაზიკაშვილი, მოთხრობები, I, 1972, გვ. 8 = დაუბეზღებინა); მეტი რა ღონე იყო, უნდა თაეი დაემდაბლა და და-შმებისთვის ეთხოვა შველა (იქვე, გვ. 134); უნდადა უფრო

<sup>20</sup> ფშაურის შესახებ იხ. ი. იმნაიშვილი, ვაჟა-ფშაველა და ძველი ქართული ენა, 1968, გვ. 111-119.

დემონა ბეკია (იქვე, გვ. 177 = დემინებინა): გურიისაკენ მე გავემგ ზაერე, / ძველი ხსოვნები რომ განმეახლა (ვრ. ცეცხლაძე, ოთხი მუხური, ლექსები, 1935, გვ. 92. შდრ. ძველი ქართულის ზემოთ მოყვანილი: სადა-იგი მე განმეახლა აპოლონი / გვ. 475/); ძლიეს ასწია მკლავი, რომ თვალებზე დაეფარა (ვრ. ჩიქოვანი, ამორძალი: მნათობი, 1, 1972, გვ. 61); ღრმად ამოჭრილი მკერდი ეამოუნდა, არც უფიქრია ხელი დაეფარა (თ. გოდერძიშვილი, კვირადღე: მნათობი, 6, 1965, გვ. 45). რა თქმა უნდა, აქ საჭირო იყო დაეფარებინა და არა დაეფარა. ამგეარი მაგალითები სხვაც ბევრი მოიხივება. მაგრამ სანიშნოდ ესეც საკმარისია: ძველი, ე.წ. მოკლე თურმეობითი უკვალოდ არ დაკარგულა, იგი დღესაც ცოცხლობს კილოებში და აქედან ზოგჯერ თავს იჩენს სალიტერატურო ენაშიც.

რაც აღინიშნა II თურმეობითის შესახებ, იგივე ითქმის აგრეთვე III კავშირებითის შესახებაც, მაგრამ ახლა აქ ამაზე აღარ განვეგრძობთ საუბარს, მით უმეტეს, რომ გარდამავალი ზმნის III კავშირებითი ძველ ქართულში მეტისმეტად იშვიათად გვხვდება (სახარების ენში, მაგალითად, ორი-სამი მაგალითი თუ იქნება). მეორე მხრივ, ამ ნაკვეთში აღძრული საკითხის ნათელყოფისათვის II თურმეობითის ჩვენებაც საკმარისად მოვეაჩნია.

## XII. ფუჰემონაცვლე ზენები

ქართულში (ძველსა და ახალში) არის ისეთი ზნები, რომლებიც საკუთარი საშუალებებით ვერ აწარმოებენ ამა თუ იმ კატეგორიის ფორმებს: რიცხვს, მწკრივს (მწკრივებს), გეარს. ამ დანაკლისს ისინი სხვა ფუძის ფორმებით ივსებენ. ეს მოვლენა, ბუნებრივია, უფრო მეტად ძველთაძველი წარმოშობის ზნებს ახასიათებს.

შენაცვლება, საერთოდ, შეიძლება ზნის ბევრ კატეგორიაში შევნიშნოთ. მაგრამ ქართულში მაინც ის ყველაზე მეტად ზნის რიცხვსა და მწკრივებს ეხება. რამდენადმე აგრეთვე გეარსაც: ალალო პირი — ალაზუნა ბაგენი, იტყვს ჰამბაესა — თქუა ჰამბაევი, არა ჰნებავს მოსლუაი აქა — არა ენება მოსლუაი აქა<sup>291</sup>.

შენაცვლება უმთავრესად ზნის პირიან ფორმებს ეხება, მაგრამ არაიშვიათად იგი ახასიათებს უპირო ფორმებსაც — საწყისსა და მიძლეობას: შემოღება — შემოხუბა, განღებული — განხუშული.

ფუძემონაცვლე ზნებში საპირისპიროდ ჩვეულებრივია ორი განსხვავებული ფუძე (დასდვა ველი — დაასხნა ეელნი. ზის — ჯღა...), მაგრამ მოიპოვება აგრეთვე სამი (ხან მეტი) პარალელური ფუძე, რომელნიც ერთმანეთის გვერდიგვერდ დგანან: ჰხამთ — იქმთ — ჰყოფთ, განაგლო — განამო, განასხნა — განყარნა.

რიცხვთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ მრავლობითის ფუძე შეიძლება მხოლოდობითშიც ვიხმაროთ. ეს ხდება ორი მკაცრი პირობის დაცვით: ა) როცა საქმე ეხება მხოლოდ და მხოლოდ მესამე პირს; ბ) ეს პირი კრებითი სახელითაა გამოხატული, იგი თვით ფუძით გულისხმობს მრავლობითს: მე ეჯველ, შენ სჯველ, ჯღა კაცი და სხდა ერი (სიმრავლე, კრებული, დასი, გუნდი).

არის შემთხვევა, როცა რიცხვში მონაცვლე ზნის ერთი და იგივე ფუძე ორივე რიცხვში იხმარება (დავარდა იგი — დავარდეს იგინი), მაგრამ ამ შემთხვევაშიც უფრო ხშირი და უფრო ბუნებრივია მრავლობითში სხვა, სწორედ მრავლობითისთვის დამახასიათებელი, ფუძის გამოყენება: დავეკვით (დავეკვენით), დასცევით (დასცვენით), დაცვეს (დაცვენეს).

რატომ ხდება ასე? ამ გარემოებას რამდენიმე მიზეზი განაპირობებს:

ა) ეს ზნა (მრ.) სამ მწკრივში თითქმის ერთი ფორმით იხმარება. ეს მწკრივებია: აწყო, წყვეტილი და II ხოლმეობითი. მაგალითად:

**აწყო:** დავეკვით, დასცევით, დაცვიან.

**II ხოლმე:** დავეკვით, დასცევით, დაცვიან.

**წყვეტი:** დავეკვით, დასცევით, დაცვენს.

ბ) რომ მწკრივები ერთმანეთში არ აირიოს, ორ გზას მიმართავენ:

ა. ფუძეში შეაქვთ პრეფიქსიანი ენებითებისათვის დამახასიათებელი ენ(—ნ)

<sup>291</sup> შენაცვლებას ახალი ქართული ენის მასალის საფუძველზე ვრცელად განიხილავს ა. მანიძე. იხ. მისი "ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები". გვ. 500—530.

სუფიქსი (დაცვევნით, დასცვევნით, დაცვევნეს).

ბ. მრავლობითშიც მხოლოდობითის ფუძეს იყენებენ (დაეკარდით, დაეკარდით, დაეკარდეს...). და მაინც, ვიპოვებთ, ქართული ენისათვის მრავლობითში სხვა ფუძის (დაცვევით, დასცვევთ, დაცვევნეს...) გამოყენება უფრო ბუნებრივი და გავრცელებულია. ყოველ შემთხვევაში, ძველ ქართულში მრავლობითში ცვე ფუძე გაცილებით უფრო ხშირად გვხვდება, ვიდრე მხოლოდობითის ვრდობა (დაეკარდით, დაეკარდეს).

აქ აღწერილი მარტივი შემთხვევების გვერდით ძველ ქართულში გვხვდება ე.წ. ორმაგი შენაცვლება: ერთი და იგივე ფუძე ერთდროულად შენაცვლებულია რიცხვშიც (პორიზონტალურად) და მწკრივებშიც/სერიებშიც (ვერტიკალურად). მაგალითად:

<u>აფაჟო</u>	ზის	სხედან (სხენან)
<u>ფაჟატ</u>	ჯდა	სხდეს

<u>აფაჟო</u>	მივის	მისხენან
<u>ფაჟატ</u>	მესუა	მესხნეს

ასეთ შენაცვლებას შეიძლება ორმაგი ან ჯვარედინი შენაცვლება ეწოდოს. ამ ტიპის მონაცვლე ზმნები, უნდა ვიფიქროთ, ერთ-ერთი პირველთაგანია, რომლებიც ჩვენმა შორეულმა წინაპრებმა შექმნეს.

ახლა კონკრეტულად განვიხილოთ სხვადასხვა ტიპის მონაცვლე ზმნები.

#### A. შენაცვლება რიცხვში

რიცხვში შენაცვლება ეხება მხოლოდ სუბიექტურსა და პირდაპირ ობიექტურ პირებს. ირიბ ობიექტურ პირს რიცხვში შენაცვლება არ ახასიათებს, რადგან მას ძველ ქართულში მრავლობითი რიცხვის გამოხატვა საერთოდ არ შეუძლია: შესძინა მან მას ნაყოფი დიდი — შესძინა მან მათ ნაყოფი დიდი, უყუარს ძმასა დაი თვისი — უყუარს ძმათა დაი თვისი, ერუნა კაცსა ანგელოზი უფლისაი — ერუნა კაცთა ანგელოზი უფლისაი.

როდის ხდება შენაცვლება სუბიექტური პირების მიხედვით და როდის — პირდაპირი ობიექტური პირების მიხედვით?<sup>292</sup>

ა) გარდამაკალ ზმნებში შენაცვლება გვაქვს მხოლოდ პირდაპირ ობიექტურ პირებში: განალო კარი — განახუნა კარნი, განაძო ეშმაკი — განასხნა ეშმაკნი, დასდვა ველი — დაასხნა ველნი...

ბ) გარდაუვალ ზმნებში შენაცვლება ეხება მხოლოდ სუბიექტურ პირებს, რადგან ორპირიანობის (გამონაკლის შემთხვევებში — სამპირიანობის) შემთხვევაში აქ, სუბიექტის გარდა, შეიძლება იყოს მხოლოდ ირიბი ობიექტი (ობიექტები), ხოლო ირიბ ობიექტს, როგორც უკვე ითქვა, ძველ ქართულში მრავლობითი რიცხვის აღინიშნა საერთოდ არ ძალუძს<sup>293</sup>. უკვე ითქვა, რომ (სუბიექტის რიცხვის

<sup>292</sup> რიცხვში მონაცვლე ზმნების შესახებ იხ. ი.კუთარაძე, რიცხვნაკლი ზმნები ძველ ქართულში. იკე. I. 1946. გვ. 141—166.

<sup>293</sup> იხ. გვ. 73. საინტერესოა, რომ ახალ ქართულში გარკვეული ტიპების ირიბი ობიექტები თანხმებენ ზმნებს მრავლობით რიცხვში. შტრ. უყუარს ბავშვს ბებია (ბებიები) — უყუართ ბავშვებს

მიხედვით მონაცვლე ზმნებში) მრავლობითის ფუძე შეიძლება ვიხმართ მხოლობითმიც მხოლოდ შესამე პირში. ამ შემთხვევაში აქ სუბიექტად წარმოდგნილი იქნება კრებითი სახელი: ერი სხდა, ფურცელი დაცვა (ფურცელი დაცვა ხეს).

რიცხვში ფუძემონაცვლე ზმნათაგან ძველ ქართულში ყველაზე გავრცელებულია და ძალიან ხშირად იხმარება ლ ძირის შემცველი ფუძეები სხვადასხვა ზმნისწინითა და სხვადასხვა მნიშვნელობით. მრავლობითში მას ენაცვლება ხუ მარტივი ფუძე (ძირი), ეს მყარი წესი თანაბრად ეხება ორივე გვარის — მოქმედებითის და ენებითის — ფორმებს. პირველ შემთხვევაში, ცხადია, შენაცვლება პირდაპირ ობიექტურ პირებში გვექნება, მეორეში — სუბიექტურებში. განვიხილოთ ისინი ამ რიგით.

## წ. შენაცვლება ობიექტის რიცხვის მიხედვით

### 1. ლ — ხუ

შეიყრეს იგი კაცთა მათ მის ქალაქისათა და აღმოუხუნეს მას თუაღნი (აპოკრ. 21, 13). ერთ თვალზე ითქმობა: აღმოუღეს (აღმოჰადეს) მას თუაღი. შდრ. სახარების ეს ადგილი: უკუეთუ თუაღი შენი გატუნებდეს შენ, აღმოიღე იგი და განაგდე შენგან (მ. 18, 9; მრ. 9, 47 DE. C-ში ორივეგან "აღმოიჴადე" იკითხება). ბარემ აქვე აღვნიშნავთ, რომ მაშინაც, როცა პირდაპირი ობიექტი მრავლობითში იგულისხმება, საწყისიც მრავლობითის ფუძით არის მოცემული: შემდგომად თუალთა აღმოხუნისა ასუეს წამალი იგი საცთურებისა (აპოკრ. 21, 14).

პოვნა სამნი ჯუარნი დაფლულნი, აღმოიხუნა და შეიხუნა ივინი ქალაქად (სინ. 242, 14). ერთზე იტყოდნენ: აღმოიღო და წარიღო (შეიტანა) ქალაქი; პოვნეს ძუაღნი იგი ... და აღმოიხუნეს (საკ. წ. II, 91, 18); ჰე ლათუ ინებოს ღმერთმან და აღმოვიხუნეთ ივინი ადგილისა მისგან (ისტ. ქრ. II, 85, 31. ერთი: აღმოვიღოთ); მაშინ /ღმერთმან/ აღახუნა პირნი მათ ყრმათანი (სინ. 135, 25. შდრ. უკუეთუ გუელი იგი ... აღაღებს პირსა თვისსა, ვითარ არა უფროის ადლო პირი მონისა შენისა; საკ. წ. II, 2, 24); აღახუნენ, უფალო, თუაღნიცა გონებისა ჩემისანი (იქვე, 3, 26. თუაღი: აღაღე); აღვიხუნეთ ჯორცნი იგი წმიდათა მოწამეთანი ჟამობითა და ლოცვითა სიხარულით (სინ. 278, 34. გუამი: აღვიღეთ).

რად უყოთ გრძნეულსა მას, რამეთუ განახუნა კარნი ესე მანქანებითა გრძნებისათა (აპოკრ. 16, 15); მაშინ განუხუნა გონებანი მათნი (ლ. 24, 45); გამოუხუნა ეპიფანე რკინანი იგი ჭაბუკსა მას (საკ. წ. II, 109, 24. რკინა: გამოუღო); გინებსა, რადითა გამოვიხუნენ რკინანი ესე კელთაგან შენთა (იქვე, 109, 18).

ბართლომე და მარიამ გარდამოიხუნეს ჯორცნი იგი მისნი (აპოკრ. 13, 14. გარდამოიღეს გუამი მისი).

რომლისათვისცა კლიტენი სასუფეველისანი მიიხუნა (სინ. 195, 20); ამით მიიხუნეს და ცნეს ჭეშმარიტად (ი. 17, 18. შდრ. მიიღეს თითოი ღრაქანი: მ. 20, 9, 10); კეთილნი იგი, რომელ აღუთქმან ღმერთსა წმიდათადა. არა მიუხუნან (გამოცხ. 6, 11 თ). უკანასკნელი მაგალითი (მიუხუნან = წაურთმევია) მრავალხრივ არის

ბეზა (ბეზები). მოსწონს მასწავლებელს ბეჯითი მოწაფე (მოწაფეები) — მოსწონთ მასწავლებლებს ბეჯითი მოწაფე (მოწაფეები). პირდაპირი ობიექტი კი ამ შესაძლებლობას მოკლებულია.

საყურადღებო: ქვერ ერთი, მესამე სერიის (I თურმეობითის) ფორმა და ამგვარი მაგალითები ნაკლებად გვხვდება ძველ ქართულში; მეორე: პირდაპირი ობიექტი მრავლობითშია, რაც აქ იშვიათია; მესამე: ამიანი ზმნაა, ამგვარი ფორმა სულ 15—20-მდე თუ იქნება ძველ ქართულში; მეოთხე: ამ თემის ნიშანი აქ ჩვენთვის საინტერესო ნხუ ფუძეს ერთვის (ხუამ), რაც ძველ ქართულში მეტად იშვიათია; დასასრულ, განსახილველი ზმნის I თურმეობითის ფორმას გვერდში უდგას აგრეთვე ამიანი და ისევ იმავე I თურმეობითში (ისიც ობიექტით მრავლობითში) მდგარი ალუთქუჰან.

მოიხუნა შვდნი იგი პურნი (მრ. 8,6 C. შდრ. მოილო პური იგი: ი. 21,13); მოიხუნეს სულელთა მათ სანთელნი მათნი და არა მოიღეს მათ თანა ზეთი (მ. 25,3. მოიხუნეს სანთელნი, მაგრამ: მოიღეს ზეთი!); მოიხუნის რტონი დიდ-დიდნი (მრ. 4, 32. მაგრამ: რომელი ითხოვნ, მოიღის: მ. 7,8 C); ველთ ღებულნი მისგან მოუკუნა (სინ. 102,12); ესევეთარნი მცნებანი მოგუიხუნან ჩუენ უფლისა ჩუენისაგან იესუ ქრისტესა (საკ. წ. II, 36,2).

შეიხუნა იგინი ქალაქად (სინ. 242,14); ნაწილნი იგი მისნი ... შეიხუნეს ეკლესიად (საკ. წ. II, 141,32). შდრ. რაჟამს შეიღის მარცუალი საღგურსა (სახ. 238, 21). საწყისშიც გვაქვს მრავლობითის ფუძე: ერთნი ისი კიღობანნი არა ღირს არიან შემოხუნად ტაძარსა შინა შენსა (ბალ. 33,29 ყ). შემოხუნად და არა შემოღებად, რადგან აქ ანგარიში ეწევა ქვემდებარის (კიღობანნი) რიცხვს.

მუნ შუვა წარმოიხუნინან სიტყუანი იგი ცხორებისანი (აბო 159,38); წინაშე მათსა წარმოიხუნეთ საქმენი მათნი და აღვძრნეთ მიბაძვებად (სინ. 116,6 = მაგალითად მოვიყვანოთ). შდრ. მაშინ ეპიფანე წარმოილო სიტყუად საღმრთოთაგან წიგნთა და იყო ყოველთა მათ სწავლად აღდგომისათვის: საკ. წ. II, 112,7); მოიწია რღუნაი და წარიხუნა ყოველნი (მ. 24,39 C. მაგრამ: წარილო ყოველი DE); გუამნი წარიხუნენ ეელოგიად ყოველთა მორწმუნეთა ყოველთა კიღეთა ქუეყანისათა (საკ. წ. II, 81,28).

ბოლოს, დაეძნეთ, რომ გვხვდება II თურმეობითის ჩვენთვის ამჟამად საინტერესო იშვიათი ფორმა: იყო ვინმე ავაზაკი ერთი... და მრავალთა ბოროტთა იქმობა და ურიცხვნი სისხლნი დაეთხინეს და ფრიადნი მონაგებნი წარეხუნეს კაცთაგან, რომელი სხუასა კაცთაგანსა არავის უქმნიეს ბოროტი სწორად მისა (ლიმ. 60,23). მხოლობითში გვექნებოდა წარელო.

ჩენი მაგალითები, ბუნებრივია, არსებითად, II სერიის ფორმებს წარმოგიდგენენ. ამიტომ იყო მონაცვლე ხუ ფუძის შემდეგ ენ—ნ სუფიქსები, რომლებიც სახელობითში მდგარი პირდაპირი ობიექტის მრავლობითობას გამოხატავს.

როგორღა საქმე, როცა პირდაპირი ობიექტი მიცემითშია, ე.ი. ზმნა I სერიის რომელიმე მწკრივში დგას? ფუძე იქაც იცვლება, ენ—ნ სუფიქსები კი არ იხმარება და არც შეიძლება გექონდეს, რადგან, როგორც არაერთხელ გვაქვს აღნიშნული, ძველ ქართულში მიცემითში დასმული სახელის მრავლობითობა ზმნაში არ აღინიშნება, სულ ერთია, ეს სახელი — ობიექტი — პირდაპირია თუ ირიბი. ზმნის ფუძე კი, ემიჯრებით, მრავლობითში საერთო წესით იცვლება, ე.ი. ხუ იქნება, რომელსაც ამ თემის ნიშანიც ემატება. აი, ორიოდ სანიმუშო მაგალითი:

მე მიეხუნამ შენგან გულის-სათქუემელთა თუალთა შენთასა (ეზუკ. 24,16 ყ); რომელი მოიხუნამ ფერად-ფერადთა ნაყოფთა (მ. ცხ. 81v); რომელი ბჭეთა ცათასა განახუნამ (ნოვ. I, 13,9,3); ხოლო გონიერთათვის უამი იგი იოვანსი ყურთა

განუხუამს (სინ. 78.7): კუალად სხუათა ღონეთა მოიხუამს (A-35, 27v); შინაგან შეიხუამნ ასოიფთა შუკულის-ღებათა (უღაბ. 51v).

ღ ძირს ფუძე სუბიექტის რიცხვის მიხედვითაც ეცელება:

ვითარ აღგებუნეს თუაღნი შენნი (ი. 9,10 C).

განებუნეს ცანი (მ. 13,16); წიგნნი განებუნეს ღა სხუა წიგნი განუღო (გამოცხ. 20,12). შესანიშნავი მაგალითია: წიგნნი განებუნეს, მაგრამ: წიგნი განუღო. ახლა რამდენიმე ბრძანებითის ფორმატ: ქრქუა მას: ეფფათა! რომელ არს: განგებუნედ (მრ. 7.34 C); განებუნედ ბჭენი ცათანი (ისტ. ქრ. II, 94.6. ბჭი: განუღენ).

ვითარცა მე მარტოღ დავუთი. ღა იგინი მიძებუნეს ჩემგან, არა დავიმაღუ. არამედ ცხადაღ განვაცხადე თავი ჩემი (საკ. წ. II, 22.12 = წამართვა).

რად კეთილი უყავ ძმასა შენსა, რამეთუ ასუ მას ღვნოღ დღაათრეე იგი? მოუღო მას ძალი იგი ძლიერებისა მისისაღ მისგან, მიძებუნეს მას კელნიცა დღა ფერვნიცა; მოუღო მას სიძენე იგი ძარღუთაგან მისთა, მოქუღა წესიერი იგი ფერი პირისა მისისაგან, ენაცა მისი მო-ვე-ღო მისგან (ისტ. ქრ. I, 254.17). ამ ნაწყვეტში მიძებუნეს (მრ.) მხოლოდ ერთხელ იკითხება, ხოლო მოუღო (მშ.) — სამჯერ. ორივე "წართმევეს" ნიშნავს: მთვრალს წაერთვა ხელი დღა ფეხი, ძალა, გამბეღაობა, ენა. რაკი ხელი დღა ფეხი მრავლობითშია (კელნიცა დღა ფერვნიცა). ამიტომაღ. რომ ზმნას მრავლობითის ფუძე აქეს გამოყენებუღი — მიძებუნეს; სხვა სახელები მხოლოდობითშია (ძალი, სიძენე, ენაღ). სწორედ ამიტომ მათთან მხოლოდობითის ფუძეა წარმოღგენიღი — მოუღო, მო-ვე-ღო. ეს მაგალითიც ნათელ წარმოღგენას გვიქმნის მონაცვლე ფუძეთაგან თითოეუღის ხმარების არეღა დღა საზღერებზე.

## 2. (ღა)ღება — (ღა)სხმა

სხ ძირი მრავლობითში ბერ ზმნას ენაცვლება. მაგალითად: განავღო მან იგი. მაგრამ: განასხნა იგინი; განადო იგი—განასხნა იგინი, დღასუ იგი—ღასხნა იგინი, დღანერგა იგი—ღასსა ვენავი, დღასხნა ვენავნი (სამოთხენი)... ასეთიღ აგრეთვე დღღება ზმნაც. მართალიღ. სხვადღასხვა შემთხვევაში სხ ძირს სხვადღასხვა ზმნისწინი ერთვის (განასხნა, შესხნა, შთასხნა. გამოსხნა. გარღასსხნა, წარასხნა...). მაგრამ უძეტეს შემთხვევაში ასევე სხვადღასხვა ზმნისწინი გვაქეს მხოლოდობითის ფუძებთანაც (განავღო, გამოავღო, შთავღო. შეავღო...). მთავარიღ, რომ მრავლობითში სხვა, სხ ძირიანი, ფუძე გვაქეს. ამ ტიპის შენაცვლება ძველ ქართულში ძალიან გავრცელებულიღა დღა მრავალნაირი განმტობაც მოუპოვება, მაგრამ ჩვენ აქ მხოლოდ რამდენიმეს, უფრო ტიპურსა დღა დღამახასიათებელს, გუჩვენებთ.

ღღება საწყისი შეესაბამება ორპირიან დღა სამპირიან ფორმებს:

ღავღე	ღა	ღავსღე
ღასღე		ღასღე
ღადვა		ღასღვა

ამთ მრავლობითის ფუძეში შესაბამისად აქეთ:

ღავსხენ	ღა	ღავასხენ
ღაქსხენ		ღავასხენ
ღავსხნა		ღავასხნა

უკანასკნელ შემთხვევაში (მრავლობითის ფუძით) ზმნას მრავალი

მნიშვნელობა აქვს (ბევრი რამის დადება, დაყრა, სახელის დარქმევა, თავდასხმა, დასხმა, დასმა, დარგვა-დანერგვა, ცხენის, ჯორის, ვირის შეკაზმვა...), მაგრამ ფორმა უღლების წესი ყველგან ერთი და იგივეა. ამიტომ ჩვენც სათანადო მაგალითებს ერთად, გაუდიფერენცირებლად მოვიყვანთ.

იხილა ვინმე ქურივი გლახაკი, რომელმან დადგა ორი მწულილი (ლ. 21,2), მაგრამ: მოვიდა ქურივი ერთი გლახაკი და დასხნა ორნი მწულილი (მრ. 12,42).

დამდგა მე წყლულებამ (რავახ. 81,35); გამოვიდა ეშმაკი იგი უფლისაგან და დასდგა იობს წყლულებამ ბოროტი (იობ 2,7), მაგრამ: შეკრეს იგი, და განითრის გარეშე ადგილისა მისგან, და წყლულებანი მრავალნი დაასხნეს მას, და დაუტევეს იგი შეკრული (აპოკრ. 84,39).

დამდგას ველი თვისი კეთროვნებას ამას (4 მეფ. 5,18); რადთამცა ველი დასდგა მათ (მ. 19,13), მაგრამ: ქნერწყუა თუალთა მისთა და დაასხნა ველნი მისნი (მრ. 8,23 C); უკუეთუ არა... დაესხნე თითნი ჩემნი ადგილსა მას სამშკულთასა და დაესდგა ველი ჩემი გუერდსა მისსა, არასადა მრწმენეს (ი. 20,25. აქ ორივე სახეობა გვხვდება ერთად: დაეასხნე თითნი და დაესდგა ველი); დაასხნით თითნი სახესა მას სამშკულთასა (სინ. 160,7); დამასხნა ველნი მისნი მკართა ჩემთა (მოქც. 85,7); დაასხნე ველნი მოხუცებულთა მათ ერისათა (ლევ. 4,15); გამოარჩიეს ბასილი საეპისკოპოსოსა საყდარსა და ველნი დაასხნეს (სევან. 276b); იოსებ დაეასხნეს ველნი თუალთა შენტა (დაბ. 46,4); დაუსხმან ველნი ველთა კერპთა მათთასა მოსპოლვად (ესთ. 4,17); ველნი დაისხნით პირსა (იობ 21,5); რუი გამოიღო ქსნით და დასხნა კაცნი მერუენი (მოქც. 48,21); ცაი მანვე შექმნა და მას შინა მზც და მოთეარპ და ეარსკულაენი დასხნა (სევან. 340b); /ძულნი მისნი/ დაესხნით ლარნაკსა შინა ახალსა და აღემართეთ მას ზედა ჯუარი (ზარზმ. 181,8); მიიღეთ წიგნი ესე გამოცხადებისა ჩემისა და გარდაწერეთ ესე და დასხნით ეკლესიათა (სევან. 256a = დაღვეით).

დასხმა იხმარება აგრეთვე ცხენის, ჯორის, ვირის შეკაზმვის გამოსახატავად. თუმცა პირდაპირი ობიექტი უშუალოდ არა ჩანს, მაგრამ იგი მრავლობითში მდგარ სახელად იგულისხმება, მისი რიცხვის ნიშანი ყველგან კარგად ჩანს (აქ მხედველობაში უნდა აქონდეთ თოქალთო, უნაგირი მთელი მისი ნაწილებით, აღვირი და სხვ.); არამედ დამისხნე სავედარსა, და მე თვთ წარვიდე (ი—ე, 112,13); ჰრქუა ძეთა თვისთა: დამისხნით მე კარაულსა. და დაუსხნეს კარაულსა, და დაჯდა მას ზედა (3 მეფ. 13,13). გვხვდება სათავისო ქცევის ფორმაც: დაისხნა კარაულსა თვისსა (3 მეფ. 13,23).

მრავლობითის ფუძე (სხ-ამ) იხმარება I სერიის ფორმებთანაც. ამ შემთხვევაში პირდაპირი ობიექტი მიცემით ბრუნვაში დგას და თა სუფიქსითა წარმოდგენილი. ე.წ. კრებით სახელებთან (ან მათთან ახლო მდგომთან) ობიექტი შეიძლება მხოლოდობითიც იდგეს.. აი, ორიოდ ნიმუში: სხვსა თესლისაგან არს კულად, რომელ-იგი კურცხსა დაასხამს (უძე. რედ. 97,28. ლაპრაკია თეეზთა და მის მაგვართა კურცხზე—ქერიითზე); დაასხმიდა ველთა მათ ზედა (მრ. 10,16); წინადაგისხამ ასოთა ჩემთა აღრაცხად (სინ. 173,34).

დასასრულ. სხ იხმარება I და II სერიებში მხოლოდობითი დასმული პირდაპირი ობიექტის აღსანიშნავად. აქაც ეს ობიექტი კრებითი სახელია ანდა მისი შინაარსის შემცველი (შედგება მრავალი წერილ-წერილი ელემენტისაგან, როგორცაა: საკუმეველი, ნაცარი, ცერცვ, წერილი ფიჩხები, ქარქუეტი, ეენავი, შემა, თვით



ცეცხლი და სხე.). აი, რამდენიმე მაგალითი: ენაჟი დაეასხ და ზღუდე გარე-მოესდე მას (ექუსთ. 57,19); მერმე აილო საცეცხური და დაასხა საკუმეველი და იწყო კუმეველ (კომ. I, 217,16); შეიყვანე იგი სამოთხედ. რომელ დაასხა მარჯუენებან შენმან (ეზრა სუთ. ა.6); დაასხო სამოთხეები და ჭამეთ ნაყოფი მათი (იერ. 29,5). თუმცა აქ პირდაპირი ობიექტი მრავლობითია (სამოთხეები), მაგრამ, რადგანაც სახელის მრავლობითობა ებ სუფიქსით აღინიშნება, იგი ზმნაზე ვერ ახდენს გავლენას, ვერ ითანხმებს მას რიცხვში (არა გვაქვს: დაასხენით სამოთხეები). როგორც ზემოთ ითქვა, ებ სუფიქსს ძველ ქართულში ჯერ კიდევ არა აქვს მოპოვებული შეთანხმების ძალა. ეს პროცესი იქ მხოლოდ საწყის ფაზაშია; ითვისე ყანები და დაასხეს ეენაჟი (ფს. 106,37); გულის-წყრობითა აღიესნეს ეფესელნი და აღილეს ქეები და დაასხეს იოჟანეს (სენ. 223ა); ხოლო იგი განრისხნეს სიტყუათა მისთა ზელა და კუალად დაასხეს მას ქეაი (იქვე, 223ბ = დააყარეს). საინტერესოა, რომ პირდაპირი ობიექტი ერთ შემთხვევაში მრავლობითია — ქეები. მეორეში — მხოლობითში: ქეაი. ორივე შემთხვევაში ბევრი წერილი ქეა ნაგულისხმევი. ამიტომაც სწორედ დაასხეს. ძველად ჩვეულებრივ იტყოდნენ ხოლმე: ქეაი დაქრიბეს. ქეაი იქაც ბევრს გულისხმობს. ამიტომ იყო დაქრიბეს და არა ესროლეს. დაარტყეს თუ მსგავსი რამ სხვა: არამედ მიწაი ხოლო დაასხიან ქუეყანასა ზელა მდებარეთა (პარხ. 912ა); მე ეითარ დაეასხა ცეცხლსა საკუმეველი ესე (სინ. 26,7); დაასხან შეში ცეცხლსა მას ზელა (ლევ. 1,7 ო. პარალელურ ტექსტში სხვა ზმნა პირდაპირ ობიექტს მრავლობითის ფორმით წარმოგიდგენს: რაითა დააწყენენ შემანი ცეცხლსა ზელა G); დაასხან ეენაჟი და სუმიდენ ღვნოსა მათსა (ამოს 9,14 ო. I-ში ეენაჟები იკითხება. ძველ ქართულში. რა თქმა უნდა. უფრო ბუნებრივია მხოლობითის ფორმა. როგორც ომკის ხელნაწერს დაუცავს).

სულ ბოლოს მოვიყვანთ ერთ მაგალითს, რომელშიც დაედმა — დასხმა ფუძე დამასსოერების გავებით არის გამოყენებული: ყოველთა სიტყუათა რომელთა გეტყოდენ შენ, დაისხენ გულსა შენსა (ეზეკ. 3,10). შდრ. ამას: მარიაჰს დაესხნეს ყოველნი ესე სიტყუანი და დაედმა გულსა თვისსა (ლ. 2,19).

### 3. (გან)გლება — (გან)სხმა

რიცხვში ფუძეთა შეთანხმებით განსაკუთრებით მდიდარია გლება / სხმა ზმნები. ამასთანავე თითოეული მათგანი ფართოდაა წარმოდგენილი სხვადასხვა ზმნისწინით. მხოლობითის ფუძით უფრო გავრცელებულია გამოგლება, განგლება, გარდაგლება, დაგლება, მიგლება, შეგლება, შთაგლება, წარგლება.

ამ ფუძის გვერდით ხშირია აგრეთვე მისი სინონიმური მეწყვილენი: გამოძება, განძება, მოძება, წარძება. მრავლობითში ყველას ერთნაირად ენაცვლება სხმა ფუძე სათანადო ზმნისწინებით, როგორცაა: გამოსხმა, განსხმა, გარდასხმა, შესხმა, შთასხმა. სინონიმური პარალელებით მრავლობითის ფუძე უფრო მდიდარია. რომელთაგან უფრო ხშირად გვხვდება თხვეა და ყრა სათანადო ზმნისწინებით. მაგალითად: გამოთხვეა, განთხვეა, გარდამთხვეა, დათხვეა, მითხვეა, შთთხვეა. შთათხვეა, წარმთხვეა... აღმოყრა, აღყრა, გამოყრა, განყრა, გარდაყრა, დაყრა, მიყრა, მოყრა, შემოყრა, შეყრა, შთაყრა.

რა თქმა უნდა, ყველა შემთხვევაში ფორმათა მნიშვნელობა ზუსტად ერთნაირი არაა, მაგრამ ძირითადად ყველა მათგანი ფართო მნიშვნელობით გლებასა და ყრას

უკავშირდება, ამ ცნების უმთავრეს შინაარსს შეიცავს. ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ამ ტიპის ზნეები ძველთაძველი წარმოშობისაა, როცა გრამატიკული რიცხვის (მრავლობითის) ფორმები ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული და მხოლოდობითა და მრავლობითს ოდენ ფუძეებით ასხვავებდნენ. ამდენად, კიდევ უფრო მეტად მნიშვნელოვანია ფუძემონაცვლე ზნათა წარსულის გაცნობა და შესწავლა.

ახლა ზემოთ აღნიშნული სქემის მიხედვით წარმოვადგენთ სათანადო ტიპურ ნაშუქებს:

უმრძანა უფალმან ექშაპს მას დიდსა და გამოავლო იონა ვმელად (იონა 2, 11); ეხილე ზღვსაგან მორდკილი ღლევაი ვმთა დიდითა, და გამოავლო იოვანე (აპოკ. 58, 11). მაგრამ: წარმართნი და კურიანი თანა-ექცეოდეს სტრატოტთა და სახლებისაგან და ქუბებისაგან გამოზიდვიდეს და გამოასხმვიდეს ქრისტეანეთა (ისტ. ქრ. II, 102, 12).

ზოგჯერ პირდაპირი ობიექტი მხოლოდობითში დგას, ზნა კი მრავლობითის ფუძით არის მოცემული: ხოლო თავადმან გამოასხა ყოველი იგი შფოთი (მრ. 5, 40); გამოასხა ყოველი ტადრით (ლიტ. ქრ. 26, 2); რაჟამს გამოასხა ერი იგი (მ. 9, 25); შევიდა იესუ ტადარსა მას და გამოასხა ყოველი იგი განმსყიდელი (მ. 21, 12); ყოველი იგი მოფარდული და კერმის მსყიდელი გამოასხა შოლტითა (სინ. 140, 20). ეს მოვლენა იმით აიხსნება, რომ ობიექტი ან კრებით სახელს გამოხატავს (ერი, შფოთი), ანდა მას წინ უძღვის სიმრავლის აღმნიშვნელი ყოველი (ყოველი განმსყიდელი, ყოველი მოფარდული). ერთგან პირდაპირ ობიექტად მართო ყოველი გეკქეს (გამოასხა ყოველი). სხვა შემთხვევაში, როცა პირდაპირი ობიექტი ნარიანი მრავლობითის ფორმით არის წარმოდგენილი, მრავლობითის ფუძესთან ერთად ზნაში პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის აღმნიშვნელი ენ-ს სუფიქსიც არის მოცემული. მაგალითად: რომელნი ქალაქთაგან და სახლთაგან გამოასხნეს (იობ. 24, 12); /მან/ მკლავითა მალლითა გამოასხნეს იგინი ქუეყანით მისით (გამ. 6, 1). არის სათავისო და სასხვისო ქცევის ფორმებიც: ალკვონი...შედ დღე დაატფობს და გამოისხამს მართუეთა (ექუსთ. 98, 1); არწივი...ორთა გამოისხამს მართუეთა (იქვე, 98, 16); რომელსამე მახვლითა ნაწლევნი გამოუსხნიან გარე (სინ. 276, 6).

გაცილებით უფრო ხშირია ორივე (მხოლოდობითისა და მრავლობითის) ფორმის გან ზნისწინით ხმარება. სიტყვის ძირითადი მნიშვნელობაც უფრო ხელშესახებად სწორედ აქა ჩანს: ნუ განმაგდებ მე, უფალო ღმერთო ჩემო, ნუცა განმეშორებ ჩემგან (ფს. 37, 22); რომელსამე მოლებით მოილებს გარეშით და რომელსამე განგდებით განაგდებს შინაგანით (უძე. რედ. 225, 7); განაგდებდა ყოველსა სიმაღლესა, რომელი აღმაღლდების უფროის ღმრთის-მეცნიერებისა (კიმ. I, 16, 26); განმაგდე მე ცხოვრებისაგან (იობ 30, 22); ხოლო მან სრულიად საღმრთოი შიში განაგდო ამპარტუანებისაგან ძლეულმან (ხანძთ. 305, 14); განვაგდოთ ჩუენგან უღელი მათი (ფს. 2, 3); განაგდეთ ვე ბნელსა მას გარესკელსა (მ. 22, 13).

უფრო იშვიათად სათავისო და სასხვისო ქცევის ფორმებიც გვხვდება: განიყვეს სამოსელი ჩემი მათ შორის და კუართსა ჩემსა ზედა განიღვეს წილი (მ. 27, 35); განუგდო მათ წილი (ისუ ნ. 18, 10 G). მაგრამ ამ ზნას მრავლობითში თხევ ფუძე შეესაბამება: შთაუთხინა ... წილნი (იქვე, M).

დაახლოებით განგდება-ს მნიშვნელობით იხმარება აგრეთვე განძება-ც. ამიტომ ორიოდ მაგალითს ამ ზნაზეც მოვიყვანთ: არა მე განგაძებ, არამედ უფალი ჩუენი იესუ ქრისტე გიბრძანებს. რაითა გამოხვდე ღდაკაცისა ამისგან (მამ. ცხორ.

271.38); განაძო ბნელი იგი, რომელი დგა ზედა უფსკრულთა (სინ. 177.10); რომელი მოვიდეს ჩემდა, არა განაძო იგი გარე (ი. 5.37); რაითა განაძონ სული ესე ჭაბუკისა ამისგან (საქ. წ. II, 109,8).

როცა პირდაპირი ობიექტი მრავლობითშია. ყველაზე ხშირად გვაქვს სხ (განასხა), მერმე თხ (განსთხინა) და ყარ (განყარნა). თითოეულ მათგანს თავ-თავისი ნიუნასი აქვს, ორი უკანასკნელი პირველს ყოველთვის ვერ შეცვლის. მაგრამ მხოლობითისა და მრავლობითის ფორმები იქაც კარგად უღვას ერთმანეთს გვერდით. აქაც ამავე რიგით მოვიხმობთ სათანადო მაგალითებს.

ა) უკუეთუ მე ბერზებულითა განვასხამ ეშმაკთ, ძენი თქუენნი რაითა განასხმენ (მ. 19.27); ბრალეულთა სინანულად მოაქცეულა და ურჩთა სამართლისადა სრულიად განასხმიდა (ხანძთ. 143.33); სნეულთა განაქურნებდით, კეთროვანთა განსწმედდით, ეშმაკთა განასხვებდით (მ. 10.8); სახელითა ჩემითა განასხმიდეთ ეშმაკთა (ურკ. 331.29); მოკუარეს მას ეშმაკეულები მრავალი. და განასხა სულელები იგი უკეთური სიტყვთა (მ. 8.16 E. მაგრამ CD-ში ებიანი ფორმა ითანხმებს ზნას მრავლობითში: განასხნა სულელები. საინტერესოა, რომ იქვე მეორე ასეთი წყვილი სამივე ხელნაწერში შეუთანხმებელია: მოკუარეს მას ეშმაკეულები მრავალი DE, მაართუეს მას ეშმაკეულებ მრავალ C). ებიანი მრავლობითი შეთანხმების ძალას ძალზე იშვიათად ამჟღავნებს.

ახლა სწორედ რიცხვში შეთანხმებული (ენ- სუვიქსიანი) ფორმები ვნახოთ: განასხნა უფალმან ამორეველნი (ისუ ნ. 24.18 M); რომლისაჲ ჰბრძანე, რაათა განადიდენ, განასხენ და დაამბაღენ (ისტ. ქრ. II, 89.22); ცხოვარი და ზროხაჲ თქუენი განასხთ და ვიდოდეთ (გამ. 12.32); /ძერათა/ ცემითა და ჭუნებითა განასხნან ივინი /მართუენი/ ბუღეთაგან (ექუსთ. 98.29); არა განვასხნე ივინი წელიწადსა ერთსა (გამ. 23.29); წარეაუვლინო ბზიკი უწინარჲს შენსა და განასხნეს ამორეველნი იგი და ეველნი. იებოსელნი, ქანანელნი იგი და ქატელნი შენგან (გამ. 23.28); კრებულისაგან განვასხნენ თქუენ (ი. 16.2 DE; განგვადენ C).

ბ) სიღრმისაგან უფსკრულისა გამოსთხინა ივინი (სიბრძ. 10.19); /ღმერთმან/ მოსლეთა თვისითა სოფლად მიგუაქციენა ჩუენ სამოთხედვე, რომლისაგან გამოგუთხინენს მამათა ჩუენთა გარდასლეთა მით პირველისა მცნებისადათა (მამ. ცხორ. 262,5); რომელმანცა განმთხინე ჩუენ და არა გამოხუედ ღმერთი ძალად ჩუენდა (ფს. 59.12); განსთხინე ჩემგან ყოველნი ცოდენი (ეს. 38.17); ესევითარნი არიან მამა-ღედანი იგი, მიზუხითა სიმკოდესადათა განთხინან ჩველნი (ექუსთ. 98.23); განგთხინე თქუენ ამის ქუეყანისაგან (იერ. 16.13); განუთხევა ზლუასა გუამები იგი კაცთაჲ მათ ზლუასა დათქმულთაჲ (საქ. წ. II, 31,2).

აქა-იქ გვხვდება სასხვისო ქცევის ფორმა ცოტა განსხვავებული მნიშვნელობით (განუთხინე: გამ. 25.13; განუთხინა: გამ. 40.16.18). უფრო ხშირია ენებითის ფორმები (ამისთვის. რამეთუ არა დავიძარხეთ, განვითხინით სამოთხისა მისგან: უდაბ. 52vb; და უნდა, რაითამცა არა განითხინეს ღმრთისაგან: ევსტ. 169.3). ამით ჩვეულებრივი მნიშვნელობა აქეთ (ვაგდება, გაძეება, გაყრა), მაგრამ აქ ამაზე ვერ შევიჩრდებით.

გ) განაყარნე ჩემგან ყოველნი ცოდენი ჩემნი (ეს. 38.17 G); უკუეთუ კრებანი განყარნა, ვითარ მოსაუხენებელთა შინა წერილ არიან (კომ. I, 74.19); განყარნეს ჩაუნნი იგი კელთაგან მათთა (მსაქ. 7.19 M); განყარნეს კელნი (ზორ. 22.2); ნუ კორცთა წმიდათა განყარნენ შენ უკეთურებანი შენნი (იერ. 11.15); განვიყრან

შენგან ისარნი განკითხვისა და შესმენისანი (სწავ. 137,18); მტუერი რომელი აღგუკრა ფერუთა ჩუნთა ქალაქისაგან თქუენისა, განვიყრით თქუენ ზელა (ლ. 10,11 DE; განვიყარეთ C); განვიყარეთ მტუერი ფერუთაგან თქუენთა (მ. 10,14).

დასასრულ. გდება ფუქე ამავე მნიშვნელობით ასევე ხშირად იხმარება შე და შთა ზმნისწინებით. ასევე გავრცელებულია ამთ გვერდით სათანადო მრავლობითის ფუძეებიც — შესხმა და შთასხმა. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს.

1) **გოლოზიითის ფუძით:** ნუ შეაგდებ თავსა შენსა ამბოხსა მას მათსა (ზირ. 7,7); მიმცა მე უფალმან ველთა ცრუისათა და უღმრთოთა შემაგლო მე (იობ 16,12); ხოლო დიაკონი მარხეასა და მღვდარებასა შეაგლო (სევან. 282a); გურწამს ჩუნცა, რამთუ ელისეს მკუდარსა ზელა მკუდარი სხუაი შეაგდეს, და შეეხო მას და აღდგა (სინ. 162,30); გუემასა და ტანჯეკასა ღიდსა შეაგდოს შენ (შუშ. 3,25); მათ შეაგდონ შენ საყრობილესა (მ. 5,25); შემომადგეს მე სახლსა ამასა ქურღმულისასა (დაბ. 40,15).

შთაგლო იგი საყრობილესა (მ. 18,3 D; შეაგლო E, შესუა C); შთაგდეს იგი ქურღმულსა მას (დაბ. 37,24); შთამადგე მე სიღრმესა, გულსა ზღვსასა (იონა 2,4); შთაგდის ქოჯოხეთა და აღმოიყვანოს (1 მეფ. 2,6); აწ მოვიდით და მოკლათ იგი და შთაგდოთ ერთსა ქურღმულსა (დაბ. 37,20); მოხუცებულთა გულსა შთაგდის შიში ჭაბუქთაი (სწავ. 274,4); ვითარცა სერისა ჟამი იყო, ეშმაქსა შთაგდო გულსა თესსა. რაითა მისცეს იგი იულა ... სკარიოტელმან (ი. 13,2 C).

2) **გაალოაითის ფუძით:** შემსხნა ჩუნ საყრობილესა, ვითარცა მსტუარნი ქუყანისანი (დაბ. 42,30); ჩუნ უუუ შემსხნე საყრობილესა (სევან. 229b); ჯაჭვ დასდევით ქელსა მაგათსა და ბორკილნი შეუსხენით ფერუთა და შესხენით ეგენი საყრობილესა (ეესტ. 146,9,10); ოდეს ჰკითხიან, თუ ვინ შეგისხნა ბორკილნი ეგე, მიუგის მან და პრქეს: ვის შეესცოდე, მან შემისხნა (ნოე. I, 3,28,8,9); მათ მოიხუნეს და შეუსხნეს ხუნდნი ფერუთა მისთა და სცივდეს იგინი გარეშე კართა მის საყრობილისათა (საკ. წ. II, 38,26).

მოიხუნა საწამებელნი იგი და შთასხნა იგინი კიღობანსა მას (გამ. 40,18); კიღობანსა მას შთასხნე საწამებელნი იგი, რომელ მოგცნე შენ (გამ. 25,20); შთავსხნეთ იგინი ლუსკუმათა რეალოსათა (ისტ. ქრ. I, 108,22); შთასხმიდა ნაცარსა საცეცხურთასა პინაკსა თესსა (კიმ. I, 24,14); შთასხეს საკუმეველი ანგელოზთა მათ მას ზელა (ლიტ. ქრ. 11,36); შთასხ მას საესებით საწყაული მანანაი (გამ. 16,33); მომართუთ მე სარწყული ახალი და შთასხით მას მარილი (4 მეფ. 2,20); იგი მოვიდეს და შთასხას ნელსაცხებელი მადლისა მისისაი (სევან. 378a); სხუამან მღოგვ შთაუსხა ცხერთა (კიმ. I, 207,13).

#### 4. სუმა — სხმა

ძველ ქართულში ფართოდ არის გავრცელებული სუმა და სხმა ფუძეების შენაცვლება. უზმნისწინოდ ხმარებისას ფუძეებს (განსაკუთრებით მხოლობითისას) სხვა მნიშვნელობა აქვთ: ისინი ყოლა-ს აღნიშნავენ (ყოლისას, ქმრისას, შეილებისას). მრავლობითის სხმა, გარდა ამისა, სხვა მნიშვნელობებსაც შეიცავს, მაგრამ ამჟამად ეს მნიშვნელობანი იძღუნად არაა მთავარი: მთავარია, რომ ყველა მნიშვნელობით მრავლობითში ფუძე შენცვლებულია. შესატყვისად მხოლობითში სხვა ფუძე გვაქვს.

ზმნისწინთაგან უფრო აქტიურია და. შე. შთა: დასუა, შესუა, შთასუა, დასხა, დასხნა, შესხნა, შთასხნა. უკანასკნელნი (დასხნა, შესხნა, შთასხნა), როგორც ზემოთ ენახეთ, მხოლობითის დააგლო, შუაგლო, შთააგლო ფორმებს ენაცვლებოდნენ. მაგრამ ეს ადელი ასახსნელია: სხ ძირი მრავლობითში მხოლობითის ძალზე ბევრ ფუძეს უწევს მომსახურებას, სულ ერთია, ამ ძირით პირდაპირი ობიექტის მრავლობითობაა გამოხატული თუ სუბიექტისა. ეს წესი დღესაც აქტიურად მოქმედებს. შდრ. საქონელი წაასხა, ოფლი დაასხა, ხოტბა შეასხა, ფოთოლი მოისხა, ისინი სხედან და ბევრი სხვა. ამიტომ არც ძველი ქართლისათვის უნდა გვიკვირდეს, რომ მხოლობითის სხვადასხვა ფუძეს მრავლობითში ერთი სხ ძირი ენაცვლება. მნიშვნელობათა გარკვევისათვის რამდენადმე ზმნისწინები გამოგვადგება, ოღონდ არა ყოველთვის. მაგრამ კიდევ ვიმეორებთ, აქ ჩვენთვის მთავარია თვით ფაქტი, ლექსიკურ-გრამატიკული მოვლენა, რომ ერთი და იმავე მნიშვნელობის ფორმებს მხოლობითისა და მრავლობითში სხვადასხვა ფუძე აქვთ, მხოლობითის ფუძეს მრავლობითში სხვა ფუძე ენაცვლება. ახლა ენახოთ სათანადო საილუსტრაციო მასალა:

### სუმა — სხმა

**მხოლობითი:** ისმინე ჩემი...და ნუ ქურივ სუამ ცოლსა შენსა და ობოლ შეილთა შენთა (ეესტ. 154,33); ძენი ცოლიერთანი არა ისუბენ ცოლსა და ძენი ქმრიელთანი არა შეეხებთან დედათა (სევან. 470a); ისუა მან თავისა თვისისა ცოლი (დან. 13.1 I; მოიყვანა მან ცოლი O); ისუთ ცოლებ და ისხთ შეილებ, ძებ და ასულებ (იერ. 29.6 I); შსახურსა ვისმე დედაკაცსა დედისა თვისისასა ქმარი უსუა, და ბასილი, მაძაი ხანძთელი. მისგან იშუა (ხანძთ. 123.5); სხუა ცოლიმცა უსუა (თუალთ. 68,23).

მხოლობითის ფუძე სათანადო შემთხვევებში გვაქვს აგრეთვე საწყისსა და მიმღეობაშიც: უკუეთუ ესრეთ არს ბრალი კაცისაი დედაკაცისა თანა, უბჯობეს არს არა სუმა ცოლისაი (მ. 19,10 C); საულისა სუბულ იყო ხარჭი ერთი (2 მეფ. 3,7).

**მრავლობითი:** შეილ ვისხენ და აღვიზარდენ. და მათ მე შეურაცხ-მყევს (სინ. 176,18); ისხნაველა დაეით მერმე ცოლ და ხარჭ (2 მეფ. 5,13); ეცოდეთ უფლისა ღმრთისა ჩუენისა და ვისხენით ჩუენ შეილნი უცხო-თესლთაგან მის ქუეყანისათა (2 ეზრა 8,89); ისხენით თავისა თქუენისა მეგობარნი (ლ. 16,9); მათ ელოდით თქუენ... რაითა არა ისხნეთ ქმარ (რუთ 1,13); შემოქმედმან გვსხნა ჩუენ და ჩუენ შეურაცხ-ყვაეთ იგი (სახ. 7,27); რუანი ესე ძენი, რომელნი უსხნა მელქა ნაქორს (დაბ. 22,23); უსხენით ძეთა თქუენტა ცოლ (იერ. 29.6 I; ცოლებ O).

### აღსუმა — აღსხმა

**მხოლობითი:** შეუხზა წყლული იგი...და აღსუა იგი თვისსა კარაულსა (ლ. 10, 34); აღსუეს იგი კაპრაულსა და წარგზენეს (სინ. 250,31); უბრძანა მონასა. რაითა აღსუან ჰუნესა და მიიყვანონ მის თანა სახილ თესა (ბალ. 12.5 ლ).

**მრავლობითი:** აღსხნა ივინი თხემსა ზუდა მთისასა (მსაჯ. 16,3 G; აღიზუნა M. ესეც მრავლობითის ფუძეა, ოღონდ მხოლობითში მას კორელატად ჩვეულებრივ დ ძირიანი ფორმები აქვს: აღილო, წარილო, მიილო, მოილო...); აღსხნეთ თქუენ აქლემსა ერთფერად (საქ. წ. II, 100,36); აღგისხენ თქუენ. ვითარცა ორბმან ფრთეთა ზედა, და მოგიყვანენ თქუენ თავისა ჩემისა (გამ. 19,4).

### დასუმა — დასხმა

მხოლოდობითი: დასუა იგი მარჯუენით თავისა თვისისა (სინ. 169,12); დასუთ ნაბუთუ მთაერად ერისა (3 მეფ. 21,9); იგი პირველად დასუთ პატივით (საკ. წ. II, 72,6); შორის მლიდართა დასვს იგი (ზირ. 11,1); ნუ დაისუამ მას მარჯულ შენსა (ზირ. 12,12); დაისუა იგი ღედამან თვსმან მუკლთა თვსთა ზედა (4 მეფ. 4,20); ქალწული წმიდაი მიიყვანიან და დაუსვან მას (სახ. 25,10); დასუას იგი ძლიერთა თანა (1 მეფ. 2,8).

მრავლობითი: ესრჸით ყოველნივე იგი დასხნა სახელით და შემდგომითი შემდგომად (საკ. წ. II, 72,9). სხვა მაგალითები დასხმა-ზე ცოტა სხვა მნიშვნელობით ზემოთ იყო ნაჩვენები და აქ აღარ გავიმეორებთ.

### შესუმა — შესხმა

მხოლოდობითი: მიიღა და შესუა იგი საყრობილესა (მ. 18,30 C; შეაგლო E, შთააგლო D); შესუა იგი სახლსა საყრობილისასა (2 ნეშტ. 18,26 M); ხოლო თქუენ ... განპშადეთ საუედარსა ზედა კუბაი ჩემი და შესუსით მას შინა (Sin. 11, 187v).

მრავლობითი: შესუმა და შეგდება სინონიმებია, ამიტომ ორივე მათგანს მრავლობითში ზიარად აქვს შესხმა. შეგდება-სთან დაკავშირებით მრავლობითის ფორმები უკვე დამოწმებული გვაქვს. ახლა აქ მათ აღარ გავიმეორებთ, მაგრამ რამდენიმე ახალ ნიმუშს მაინც დაეუმატებთ სურათის სისრულისათვის: ბრძანა, რადთა ყოველნი ... წინამძღუარნი ქრისტეანეთანი შეიპყრნენ და შესხნენ საყრობილესა (კომ. I, 6,16); ფარაო პრისხეიდა მონათა თვისთა და შესხნა ჩუენ საყრობილესა, სახლსა მას მზარაულთმოდღურისასა (დაბ. 41,10); შეიპყრნა იგინი და შესხნა საყრობილესა (ლიტ. ქრ. 260,8); შესხნეს იგინი საყრობილელ დამარხვად ხვალისამღე (მოც. 5,18).

### შთასუმა — შთასხმა

მხოლოდობითი: ამის მიზეზისათვის ინება ერმან მან, რადთა შთასუან მთავარებისკოპოსი მათი და ... მოწამეი საყდართა მისთა, მაშინ აღდგეს მღღელნი იგი ყოველნი და შემოსეს მას სამოსელი საპატრეაქაი და შთასუეს იგი საყდართა (ისტ. ქრ. II, 83,17,20).

მრავლობითი: რომლისა /საბლისა/ მიერ შთამსხენ ჩუენ (ისუ ნ. 2,18 G; ეინაი-იგი გარდამოუესხენ M).

### 4. შენადალაპა სუბიექტის რიცხვის მიხედვით

ზოგი ზემოთ განხილული ზმნა ენებითის ფორმითაც იხმარება. ამ შემთხვევაში ზმნის ფუძე სუბიექტის რიცხვის მიხედვით იცვლება. ასე, მაგალითად, თუ, ერთი მხრივ, გვაქვს: დადეა მან იგი და დასხნა მან იგინი, მეორე მხრივ, აქვეა: (და)იდეა იგი — (და)ისხნეს იგინი. ამ მხრივ ყველაზე მეტად მლიდარია ღ/ზუ ძირის შემტველი ფუძეები: აღალო მან პირი — აღახუნა მან ბაგენი, განალო მან ბჰჰ — განახუნა მან ბჰენი. ასევე თავისუფლად და ხშირად იხმარება ენებითის ფორმებიც: აღელო მას პირი (ენაი...) — აღეხუნეს მას ბაგენი (თუალნი...), განელო მას ბჰჰ — განეხუნეს მას ბჰენი (თუალნი...). სწორედ ამიტომ იყო, რომ ჩვენ ზემოთ ამ ზმნის ობიექტური და სუბიექტური პირების რიცხვში მონაცვლე ფორმები ერთად

განვიხილოთ (ობიექტ. გვ. 481; სუბიექტ. გვ. 483). ამიტომ მათი კვლავ აქ წარმოდგენა არაა საჭირო. აქ განიხილება ისეთი ფუძემონაცევე ზმნები, რომლებიც, ჩვეულებრივ, მხოლოდ სუბიექტური პირის მიხედვით ენაცვლებიან ერთმანეთს რიცხვში:

## 1. ჯრღმა— ცვენება

ცვენება ბერის დაეარდნაზე ითქმის, იგი მუდამ მრავლობითს გულისხმობს და არასოდეს არ ითქმის ერთზე. საპირისპირო ჯრღმა კი არაიშვიათად მრავლობითშიც იხმარება. მაგალითად: ნუმცა შევარდებით მახეთა მათ სიკუდილისათა (საკ. წ. II, 6,25); ყოველნი გლოვასა და მწუნარებასა შევარდებოდეს (სინ. 108,1); ხოლო მათ ვითარცა იხილეს ეარსკულაი იგი, განიხარეს სიხარულითა ღიღითა ფრად ...და დაეარდეს და თაყუანის-სცეს მას (მ. 2,11); რადითა არა განვარდენ ერისა მისგან (ი. 12,42 C. DE-ში მოქმედებითი გვარის ზმნაა: რადითა არა კრებულისაგან განასხნენ).

ეს განსაკუთრებით ითქმის ამ ფუძის შე ზმნისწინიან სასხვისო ქცევის ფორმებზე (შეუერდებოდეს, შეუერდეს, შეუერდიან, შეუერდენ). ამით ცოტა განსხვავებული მნიშვნელობა მიიღეს და უფრო დარქებას (დაწოქა...) და ვედრებას ნიშნავს. ამიტომ უნდა იყოს, რომ ესენი მრავლობითში შეუზღუდავად და შეუნაცვლებლად იხმარება, მათ ამ შემთხვევაში ცვენება, როგორც წესი. აღარ ენაცვლება. მაგალითად: შვიგვრდებით, დააყენე ერი ესე, მოსრული ღღესასწაულსა ამას ენებისასა (სინ. 55,28); ვედრებითა შვიგვრდებით, რადითა მეოხებითა შენითა ჰყო ღზინებაი შეცოდებათა თქუენთაი (ზარზმ. 182,6); ხოლო ჩუენ ქეთა და ძელთა არა შეუერდებით და არცა თაყუანის-ესცემთ (ებ. VIII, 87,31); ვიცი მამისა ჩემისა სიმშუღმ, შეიწყალნის ყოველნი, რომელნი შეუერდებიდ მას (ბოლნ. 37,9); ვითარცა მფრინველნი ყოვლით კერძოვე მოფრინვიდეს მისა და შეუერდებოდეს და ლობიერად ევედრებოდეს (საბა ას. 6,7); ჰურიანი ... შვიგვრდებოდან და ითხოვდენ შენგან ნათლის-ღებასა (გამოცხ. 3,9 თ); ხოლო იგინი მოუცდეს და შეუერდეს ფერკთა მისთა და თაყუანის-სცეს მას (მრ. 28,9); სულთა მათ არაწმიდათა ოდეს იხლიან იგი, შეუერდიან მას (მრ. 3,11 C); უდიდესსა მას ნაშობთა ღედათასა შეუერდეთ, ერნო (მოდრ. 74v,8).

სხვა შემთხვევებში, როგორც ითქვა, მხოლობითის ჯრღმას მრავლობითში ცვენება ენაცვლება. ამჯერად სწორედ ამ სახის ფორმებზე გვექნება საუბარი.

ა) **ჟრღმა**: მაქუს მარგალიტი ფასდაუღებელი. რომლისაი ფასი არა დაეარდების (სევან. 246b); /უფლისა/ თვნიერ არა შევარდების სირი ერთი მახესა ქუყყანასა ზედა (პარხ. 1081a); დაიწუების კელი ჩემი და წარშვარდების ჩემგან (აღწ. 192,3); არა გამაქვარდებოდა პირსა მისსა სახელი მისი (ანტიოქ. 122,16); ვაიმე, ვინაი ესე გამოვევარდი, ვითარ დაბნელდა გონებაი ჩემი, ვერ ცვან (ლიტ. ქრ. 313,24); გარდამოვევარდი ქუყყანად (სევან. 398a); ეგრეცა მე დავეთი ყოველთა მიერ. წარეწყმდი და სახლისაგან განვევარდი (იობ 6,18); ესე ეიხილე და დავევარდი პირსა ზედა ჩემსა (ებუქ. 2,1); ცოდვაი არა ჰქმენ და წყევასა მას ადამისსა არა შექვარდი (სევან. 359a); განვარდა მეფმ ისრაქლისაი (ოსე 10,15); ჩამოვარდა ზედაით სახლისაგან სართულისა ქვაი (მ. ცხ. 154r); დაქვარდა საპარსეული იგი კელთა მისთაგან (ურკ. 337,12); აღიფხუერ და შთავარდი ზღუად (მრ. 11,23); საშქელსა

შეკარდინ ამის კანნიერებისათვის (საკ. წ. II, 42,11 =ბრძ.); მრავალ-გზის შთაქარდის იგი ცეცხლსა და მრავალ-გზის წყალსა (მ. 17,15); ნუკუკუ მუ-სამე-კვარდე უკლთა საულისთა (1 მეფ. 27,1); რომლისა თანა იპოვა ამპარტავანება, იგი გამოვარდეს მაგას ადგილსა (ლიტ. ქრ. 12,35); რომელსა ედგას ცხოვარი ერთი და შთაქარდეს იგი დღესა შაპათსა ჯ-ურღმულსა (მ. 12,11).

იშვითად, როგორც ითქვა, ამ ფუძესთან სუბიექტი მრავლობითშიც გეხვდება. რაც შენაცვლების წესის მოშლისა და მხოლობითისა და მრავლობითის ფუძეთა ნიველირების ნიშანია. აი, ამის ორიოდ ნიმუში: ვეკრძალნეთ თავთა ჩუნთა და ნუმცა შევარდებით მახეთა მათ სიკუდილისათა (საკ. წ. II, 6,25); შევევარდით ჩუნ ელთა უფლისათა (ზირ. 2,18); მრავალნი ... შესცეთს და შევარდეს დიდსა ცოდვასა დღათათვის (ეზრა ზორ. დ.27); ვიტყოდე და არარაა დაეარდენ სიტყუანი ესე ჩემნი (იედ. 6,9); /მოგუნი/ დაეარდეს და თაყუანის-სცეს მას (მ. 2,11); მუნ დაეცნენ ყოველნი მოქმედნი უმჯულოებისანი, განვარდენ და ვერღარა უძლონ დადგომად (ფს. 35,13); განვარდენ სახლთაგან შუებისა მათისათა (მიქ. 2,9 G; განცვენ O).

ბ) **ცეცხვა:** ცვე ფუძიან ფორმებს ძველ ქართულში რამდენიმე მნიშვნელოვანი თავისებურება ახასიათებს, რომელთაგან აქ აღვნიშნავთ უმთავრესთ:

1. ცვე ძირი შეიძლება მამინაც იქნეს გამოყენებული, როცა სათანადო სუბიექტური პირი მხოლობითის ფორმით არის წარმოდგენილი. ამ შემთხვევაში მტკიცედ უნდა იქნეს დაცული ორი პირობა: ა) სათანადო პირი უნდა იყოს კრებითი სახელი, რომელიც თავისი ფუძით შინაგანად გულისხმობს ბევრ (წვრილ-წვრილ) ერთეულს, ბევრ ელემენტს, მუდმივად ერთად შეყრილ გროვას, გუნდს, ჯგუფს... (როგორიცაა: ერი, გუნდი, დასი ... ხის ნაყოფი, ყუაილი, ფურცელი... თრთილი ... თმაი, ქეცი, მატლი...); იშვითად გეხვდება ებიან მრავლობითში დასმული სახელიც (ძულები...); ბ) თავისთავად იგულისხმება, რომ პირველ პუნქტში აღნიშნული სიტყვები მესამე პირის სახელებია, რადგანაც I და II სუბიექტური პირები ყოველთვის თითოა, ცვე ძირიანი ფორმები მათთან არასოდეს არ იხმარება; აქ საქმე ეხება მხოლოდ III სუბიექტურ პირს.

2. ცვე ძირიანი ზმნები საშუალი გვარისაა, იხმარება საარვისო და სასხვისო ქცევის ფორმებით, მაშასადამე, გვაქვს ერთ- და ორპირიანი ზმნები (დაცვეს ივინი და დასცვეს ივინი მას, შეცვეს ივინი და შეუცვეს ივინი მას). ორივე სახის ფორმები გავრცელებულია და ხშირად გამოიყენება.

3. მათ აქვთ საკუთარი უპირო ფორმები — საწყისი და მიძლეობა: განცვენება, გარდამოცვენება, დამოცვენება, დაცვენება, შეცვენება, შთაცვენება, წარმოცვენება ... დაცვენებული, გარდამოცვენებული, შეცვენებული, წარმოცვენებული და სხვ. ცვე ძირსა და ებ თემის ნიშანს შორის ყველგან უგამონაკლისოდ არის ნ. ეს ძველი ქართულის ნიშანდობლივი თვისებაა. შდრ. მოწვენა — მოწვენული, დატვენა — დაუტვენელი. პოენა — მომპოენებელი და სხვ. (ამის შესახებ მსჯელობა უფრო დაწვრილებით ქვემოთ, საწყისის წარმოების განხილვისას, გვექნება).

4. ყველაზე მთავარი მაინც ისაა, რომ ამ ზმნის სამი მწკრივის ფორმები I და II პირში ერთმანეთს ემთხვევა. ეს მწკრივებია: აწმყო, წყვეტილი და II ხოლმეობითი. მაგალითად:

აწმყო:	და-ე-ცვე-ი-თ	და-ს-ცვე-ი-თ	და-ცვე-ი-ან
წყვეტ:	და-ე-ცვე-ი-თ	და-ს-ცვე-ი-თ	და-ცვე-ეს



II ხოლმე: და-ე-ცვე-ით და-ს-ცვე-ით და-ცვე-ი-ან

აწმყოსა და II ხოლმეობითის ფორმების დამთხვევა ძველ ქართულში კარგად არის ცნობილი (ჩვენს შემთხვევაში ეს მწკრივები სამივე პირში ემთხვევიან ერთმანეთს) და რაიმე დავასა და გაუგებრობას არ იწვევს<sup>24</sup>. მაგრამ მეტად თავისებურია ის შემთხვევა, როცა ამათ წყვეტილიც უერთდება. წყვეტილის ფორმები, საერთოდ, კარგად განსხვავდება II ხოლმეობითისა და, მით უმეტეს, აწმყოს ფორმებისაგან. მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ საჭმე უნდა გვჭინდეს ქართულში მწკრივთა ჩამოყალიბების უძველეს პერიოდთან, როცა წყვეტილსა და II ხოლმეობითს შორის ჯერ კიდევ არ იყო მკაცრი საზღვარი და, გარკვეულ (I და II) პირებში მაინც, ისინი ერთმანეთს ემთხვეოდნენ. ხოლმეობითიდან კი, როგორც ცნობილია, მერმე აწმყოს მწკრივი წარმოიშვა. მაშასადამე, ასეთ ზნებში მთავარია წყვეტილისა და აწმყოს დათხვევა<sup>25</sup>.

ამ დამთხვევის აცილების ცდა უნდა იყოს, ალბათ, ერთ-ერთი მიზეზი, რომ აღნიშნულ (დაცვეს) ზნას წყვეტილში (და II სერიის მწკრივებში, საერთოდ) უნდებდა ენ-ან სუფიქსი, მორფოლოგიური ფორმანტი, რომელიც ძველ ქართულში II სერიის მწკრივებში ერთოდა თავსართთან ენებილებს. სწორედ ასეთ ენებილებს ჰგავს შინაარსით ჩვენი ზნაც და ენ-ან სუფიქსის დართვა მისთვის არ წარმოადგენს დიდ უცნაურობას. აი, ამის ორიოდ ნიმუში წყვეტილისა და II კავშირებითის მწკრივებისათვის: ეშმაკან პრქუა: სატანა მეფე ჩუენი არს: ვერეინ შემძლებელ არს ცნობად ნათესავისა ჩუენისა, რამეთუ ზეცით გარდამოვცვენით ყოველნი მისთანანი (პარხ. 691a = გარდამოვცვეით); ხოლო ვითარ ესე ვიხილეთ, შიშმან და ძწოლმან დიდმან შემეპყრა ჩუენ. და დაეცვენით პართა თვისთა ზედა თაყუანის-ცემად უფლისა (სინ. 267.25 = დაეცვეით); ვითარ ვერ ვიპოვეთ მიშუებაი განსყილად მათა, სამართლად შეეცვენით ამას განსაცდელსა (კობ. I, 306.17 = შეეცვეით); უკრძალველობითა ჩუენითა შთაეცვენით ზაკუეთ შეთხზულთა მათ საბრვეთა მტერისათა (ანტიოქ. 68,6 = შთაეცვეით); დაუცვენეს იგინი ანგელოზსა მას ღმრთისასა და პრქუეს (გულანდ. 221,2 A).

ესევეითარისა საეშმაკოდსა მის ქარისაგან შეირყინენ და დაეცვენენ (გამოცხ. 6,13 თ C = დაეცვენენ). AB-ში ამ საინტერესო ფორმის მაგიერად გვაქვს სწორედ ენანი ენებითი, მაგრამ სხვა ზნისა: დაეცენ. დაეცენ და დაეცვენენ შინაარსით მსგავსი ფორმებია. ამიტომაც, რომ განსახილველი ზნა სწორედ იმ თავისებურებას იჩენს, რომელიც დაეცენ ზნას (და, საერთოდ, ინ-ენიან ენებითებს) ახასიათებდა: პრავლობითში II სერიის მწკრივებში ენ-ან სუფიქსს ირთავდა (დაეცენით, დაეცენით, დაეცენს, დაეცენთ, დაეცენთ, დაეცენენ). აღნიშნული მოვლენის ისტორიის შესწავლისათვის ზემოთ წარმოღვენილ და მათ მსგავს მასალებს მეტად

<sup>24</sup> ა. შანბძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზნებში. 1920, გვ. 6. შმშ. 2: ა. ჩოქოძე, ურავტიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში. I, 1948, გვ. 73-74.

<sup>25</sup> წყვეტილი (II ხოლმეობითი) და აწმყო სხვა შემთხვევებშიც ემთხვევიან ერთმანეთს (მდრ. განქარცხი, განარცხი, განარცხის — განარცხი, განარცხი, განარცხა; ეპრძავე, პძრძავე, პძრძავეს — ეპძრძავე, პძრძავე, პძრძა: ეწვე, სწვე, წვეს — ეწვე, სწვე, წვა). მაგრამ აქ ახლა ამაზე ვერ შევჩერდებით. ამის შესახებ იხ. *მ. მთაბერილი*, იოანეს გამოცხადებისა და მისი თარგმანების ძველი ქართული ვერსია: ძქვეშ. 7, 1961, გვ. 145-147.

დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს მოვლენა დიდი ღირებულებისაა აგრეთვე ზოგადი თვალსაზრისითაც: იგი გვიჩვენებს გზებს, თუ როგორ. რა საფუძველზე ხდება ზმნის ერთი გვარიდან მეორეში გადასვლა.

ახლა კი ვუწვინებთ ამ საინტერესო ფუძემონაცველ ზმნის ტიპურ მაგალითებს. აქ თვალშისაცვია ზმნისწინთა მრავალფეროვნებაც:

ვითარცა ფურცელი გამოცენებული ხეა ზედა ვარჯივანსა, რომელიმე დამოსცვის და რომელიმე გამოესხმის (ზირ. 14,19); გული უთქუამ და სწადინ მას განძიბად ნაბიჭვეისაგან. რომელი გარდამოცვინ ტაბლისაგან მის მდიდრისადა (ბოლნ. 68,22); გულის-წყრომა შენი მსგაეს არს ფურცლისა განვმელისა, რომელ დამოცვინ ბეთაგან (კიმ. I, 139,33); ოფლი სცოდა პირთა მათთა (სპევს. 79,1); რომლისაგან დამოსცვოდეს ნაბერწყალნი რისხვისანი მიუახლებელნი (პარხ. 1059a); რომელნიმე იძლეოდეს და განცვოდეს სარწმუნოებისაგან ჭეშმარიტისა (იქვე); მის წინაშე დაცვოდინ ყოველნი (ფს. 21,30<sup>1</sup>); შემდგომად მცირეთა დღეთა უორცი თითთა და ნებთა მისთაი მოსცევა ვიდრე ძულადმდე (კიმ. I, 317,23); ყოველი ერი იგი განცევა მისგან და საულ დაშთა მარტოი (1 მეფ. 13,7); ხოლო ებიფანეს არღარა რაი ზრუნეაი აქნდა მოლებად ფერეთა შესაცუმელთაი მათ, რომელ-იგი წარსცევს ფერეთაგან მისთა (საკ. წ. II, 96,34); გარდამოვარდა ვეშაპი იგი დიდი...და ანგელოზნი მისნი მის თანა გარდამოუცვეს (გამოცხ. 12,9. ორივე მონაცველ ფორმა ერთადაა: ვეშაპი გარდამოვარდა. ანგელოზნი გარდამოცვეს!); წამწმინი თუალთა მისთანი მოსცევს ტირილთა მისთა (Περგ. გვ. 31); მეოტნი იგი, რომელ შეუცვეს მეფესა ბაბილონისასა, და ნეშტი იგი ერისაი წარტყუნენ ნაბუზარდან მატაკარანმან (იერ. 52,15); ოდესღა ეიხილით ელეაი და გუესმის ქუხილი ძლიერი, შეეძრწუნდით და დაცევით პირთა თვისთა ზედა ქუეყანად შიშისაგან (სწავ. 211,18; დავეცნით B); რომელთა ჰნებაეს სიმდიდრე, შეცვეიან განსაცდელსა და მახესა ეშმაკისასა (კიმ. I, 243,13); ბრმაი ბრმასა თუ წინა-უძღვენ, შესტოიან და ორნივე მთხრებლსა შთაცვეიან (მ. 15,14); ქუემე-ეკრძო ძირნი მისნი განვმენ და ზედა-ეკრძო ნაყოფი მისი დასცევს (იობ 18,16); წინამძღუარნი ერისა ჩემისნი განცვენ სახლთაგან საშუებელისა მათისათა (მიქ. 2,9); პაერნი შეიშალნენ და ვარსკულაენი დამოცვენ, ვითარცა ფურცელნი ზეცით (სწავ. 212,3); შთაცვენ სიღრმესა ზღვსასა ცოდენი ჩუენნი ყოველნი (მიქ. 7,19); თუალნი მათნი წარმოსცვენ ბუღეთაგან მათთა (ზაქ. 14,12; აღმოსცვენ ps).

ამ ტიპური საშუალი გვარის ზმნისაგან იშვიათად ნაწარმოებია მოქმედებითი გვარის ფორმები, მაგალითად: შთაცევა /მან მას/ ნაველი იგი თევზისაი თუალთა მისთა (ტობ. ია.11). საინტერესოა, რომ ორივე ვარიანტი, რომლებიც წაკითხვას ახლავს, აგრეთვე მოქმედებითი გვარისაა: შთაცრცვა O, შთაწვეთნა S. ესენი შინარსითაც ზუსტად იმავეს გამოხატავენ, რასაც ჩააცევა (ჩაწვეთა, ჩაბნა, დაყარა). მეორე მაგალითში სათაეისო ქვეყის ფორმაა წარმოდგენილი: წარვიცვენთ ველნი, რაითა /არა?! აქნდეს კადნიერებაი აპყრობად უფლისა მიმართ (პარხ. 33b).

## 2. ძეს. წევს — სხენან

ძე ფუძე მხოლოდ აწმყოსა და აწმყოს ხოლმეობითში იხმარება, სხვაგან ის არა ჩანს. ჯერჯერობით დადასტურებულია ოთხგვარი ფორმა: ვძე, სძე, ძეს და ძენ. მრავლობითში მონაცველ გვექვს მხოლოდ ერთი — სხენან — ფორმა III პირისათვის,

I და II პირისათვის შესატყვისი არ მოიპოვება.

ძეს და მისთანებში ვ ძველ ქართულში არა გვაქვს. შესაძლებელია იგი მერმე წევს ზმნის ანალოგიით გაჩნდა: მათ ხომ თითქმის ერთნაირი მნიშვნელობა აქვთ. ესაა, რომ წევს მხოლოდ სულიერზე ითქმის, ძეს კი ადამიანზეც ითქმის და ნივთზეც. მაგალითად: და მე ესერა ჯურღმულსა შიდა ებე. ვითარცა კაცის-ძელგელი (საქ. წ. II, 61,8); უმაი კაცისაი მესმის და იგი ვერ ვიხილი, არამედ ებე მე ბნელსა შინა (ტობ. ე,10); რაისა სძე და ხურინაე (იონა 1.6); ამა ცული ძირთა თანა ხეთასა ძეს (მ. 3,10); იხილე ... სადა ძეს წიგნები საესენებელთაი (ეზრა 3.20); პოვის ტბური თივოჲანი, ანუ თუ სადა ბზც ძენ. ინგორის, ანუ თუ უყსა და ბზესა ზელა ინგორის და ზე უყუნწვის (ისტ. ქრ. I, 239,7); ვითარცა ტვრთი რაიმე, რომელი გზასა ზელა ძენ (ზარ. 21.19); უწყინ, რაი ძენ ბნელსა (სინ. 178,15).

ძეს ზმნას მრავლობითში სხენან შეესაბამება. ეს უკანასკნელი ხშირად შესატყვისება წევს ზმნასაც. ამიტომაც სხენან ზმნის ორივე რიგის მაგალითებს ცოტა ქვემოთ ერთად მოვიყვანთ. ახლა კი ისევ წვე ფუძეს მივუბრუნდეთ. იგი ბევრ რამეში მოგვაგონებს ვრდომა -ცვენება ფუძეების თავისებურებებს: წვე მრავლობითშიც იხმარება (როგორც ვრდომა: განუარდენ...). მას ერთნაირი აქვს აწმყოსა და წყვეტილის I—II პირების ფორმები (მოვიგონოთ: დავცკვით — დავცკვით). დამახასიათებელია, რომ ორივე ზმნას ფუძის ბოლოს ვ თანხმოვანი აქვს (ცკვ. წვე). არის მესამე (სხვა ტიპის) ზმნაც, რომელსაც ფუძის ბოლოს ვ აქვს და აწმყოსა და წყვეტილის ერთნაირად წარმოგვიდგენს:

აწმყლ: ეწეე, სწევ (წვეს)  
 ეწეეთ, სწეეთ (წვენან)  
 წყვეტ.: ეწეე, სწევ (წეა)  
 ეწეეთ, სწეეთ (წვეს)

შღრ. ამას:

აწმყლ: მე ეპბრძე, შენ ეპბრძე (იგი ეპბრძეს)  
 ჩუენ ეპბრძეთ, თქუენ ეპბრძეთ (იგინი ეპბრძენან)  
 წყვეტ.: მე ეპბრძე, შენ ეპბრძე (მან ეპბრძო)  
 ჩუენ ეპბრძეთ, თქუენ ეპბრძეთ (მათ ეპბრძეს)<sup>376</sup>.

ეს დამთხვევა შემთხვევითი არ უნდა იყოს. აღნიშნავენ, რომ ამ ზმნაში ევ სუფიქსია, მაგრამ ჭირს მისი გამოყოფა<sup>377</sup>. ისიც შენიშნულია, რომ "თუკი ევ მართლაც სუფიქსია, იგი, ალბათ, ძალიან ადრე შეუხორცდა ფუძეს. ამაზე მეტყველებს ან სუფიქსის დართვაე (წვენან)"<sup>378</sup>.

ეწეე I სერიაში, ჩვეულებრივ, უზმნისწინოდ იხმარება (ეწეე, წვენან. წვებოდეს...). სუფიქსიან ფორმებში ფუძე შეკუმშულია — ე ამოღებულია (ეა არს მისა, რომელი დაწვების სარეცელსა ზელა რბილსა: სწაე, 249,33) და ასეთ შემთხვევაში წყვეტილის I და II პირებთან დამთხვევაზე ზედმეტია ლაპარაკი. II სერიაში თანაბრად იხმარება ზმნისწინიანი და უზმნისწინო ფორმები (ეწეე და დაეწეე), თუმცა საფიქრებელია, რომ ზმნისწინიანი ფორმები უფრო დაწვების რიგის

<sup>376</sup> ი.მნათიშვილი. იოანეს ვამოცხადებისა და მისი თარგმანების ძველი ქართული ვერსია. გვ. 145—147.

<sup>377</sup> ი.ქაჯთარაძე. ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის. გვ. 200.

<sup>378</sup> რ.ენუქაშვილი. დასახ. ნაშრომი. გვ. 132.

აწმყოს შესატყვისია. აქ აღბრული საკითხისათვის საინტერესოა უზმნისწინონი (ცნევე, სწევე...). ფუძეთა შენაცვლების საჩვენებლად კი ორივე თანაბრად გამოგვაღებება.

ახლა წარმოვადგენთ სათანადო მაგალითებს ორივე რიცხვისათვის.

ა) ნუ დღეს ქვეყანასა სწევე და ხვალე ცხედართა ზედა (აღწ. 229,40); შენ, რომელ-ვეე მოყურე ხარ იესუსი, მით სწევე და ქუნესი (ლიტ. ქრ. 27,15); მას ღამეს ცოლისა თვისისა თანა ეწევე (საკ. წ. II, 120,13); ხოლო იგი თავადი წვა თავით კერძო სასთაულსა ზედა (მრ. 4,38 C); დედაკაცი წვა ფერუთა თანა მისთა (რუთ 3,3); დაეწევე კუნესით და არა ვპოვე განსუენება (იერ. 45,3); შენ დასწევე გუერდსა შენსა ზედა მარცხენსა (ეზეკ. 4,4); დაწვა იგი ცხედარსა ზედა (3 მეფ. 20,4); მიწვე შენ ცხედარსა და მიზეზ-იდგ სნეულება (2 მეფ. 13,5 O); ოდეს დაეწვი. ვთქუ: ოდეს-მე განთენეს (იობ 7,4); რომელსა სწევე შენ გუერდსა შენსა ზედა (ეზეკ. 4,9 I); დაწვეს და დაიბინოს (1 ეზრა 3,6).

ბ) ფრიად არიან თქვენ შორის უძღურ და სნეულ და წვანან მრავალნი (1 კორ. 11,30); წებოდესცა ძენი მისნი დედათა მათ თანა (1 მეფ. 2,22); ძოდენ და დაწებოდენ (სოფ. 3,13 M); დაეწვეთ სირცხვლითა ჩუენითა (იერ. 3,25); ოდეს წვიან, მივიდი და განვალუიბნი იგინი (საკ. წ. I, 37,31); მოვედ და ვასუათ მამასა ჩუენსა ღვნიო და დაეწვეთ მის თანა (დაბ. 19,32).

## სხენან

სხენ ფუძე ძეს ზმნას მრავლობითში ყველგან და ყოველთვის ენაცვლება, წეეს ზმნას კი ენაცვლება ჩვეულებრივ, მაგრამ არა ყოველთვის (სხენან ჩვეულებრივია აგრეთვე ზის ზმნის მონაცვლედ, მაგრამ ამაზე ქვემოთ). ორივეს შესაფერის მაგალითებს ერთად მოვიყვანთ და ზოგჯერ იქვე მიუთითებთ, როდის გამოხატავს საზიარო სხენან "ღებას" (ძეეს) და როდის "წოლას" (წეეს).

ქვანი...სხენან პირსა ზედა მის ქუაბისასა (ისტ. ქრ. II, 108,24. ქვაი ძეს); მივიდეთ და ვიხილნეთ საყოფელნი მათნი და ვითარ-იგი სხენან ვითარცა მკუდარნი საფლაეთა შინა (საკ. წ. II, 54,24. ერთი წეეს); სხენან იგინი მალნართა შინა და შვირიან (იობ 38,40 ლაგ.); დაერდომილნი სხენედ. ვითარცა მკუდარნი (სვან. 476a. წვანან).

## B. შენაცვლება მწკრივებში (საქრივებში)

ზმნათა ფუძეების მწკრივებში (სერიებში) შენაცვლებაც ძველ ქართულში მრავალფეროვანია. ეს მოვლენა ყველაზე მეტად ძველთაძველი მარაგის ზმნებისთვისაა დამახასიათებელი. ასეთია, მაგალითად, ვარ—ვიყავ, იტყვის—თქუა, ეტყვის—ქრქუა. ზამს—იქმს—კყოფს. ერთმანეთს ენაცვლებიან უმთავრესად I და II სერიის ფორმები, იშვიათად მონაცვლეობა ხდება ერთი (I) სერიის შიგნითაც (ზამს—იქმს). განვიხილოთ მწკრივში მონაცვლე ზმნები ცალ-ცალკე.

### 1. ვარ — ვიყავ

ვარ ფუძე მხოლოდ აწმყოსა და აწმყოს ხოლმეობითში იხმარება, ყავ — II

სერიის მწკრივებში (აქედან III სერიაშიც გადადის). აქედან ერთი ყველაზე უძველესთაგანი არის ვარ. მას დღემდე შემონახული აქვს ხანმეტობა — ხ-არ, ხ-ართ. ესაა (უძველესი წარმოშობის) ერთპირიანი ზმნა, რომლის ორპირიანად გადაკეთება არ შეიძლება. მას არ მოუპოვება ქცევის ფორმები. მართო ამ თვისებებითაც კარგად ჩანს მისი სიძველე. ასეთივე არქაიზმი ახასიათებს ამ ზმნას რიგ ენებში, მაგრამ ამაზე სიტყვას ვერ გვაგვარძლებთ. ახლა ეუწევნოთ სათანადო მაგალითები:

აფშარ: მე ვარ (მ. 14,27); ვინ ვარ მე (მ. 16,13 C); მე ვარ თქვენ შორის ვითარცა მსახური (ლ. 22,27); ნუჯუე მე ჟურიაა ვარა? (ი. 18,35).

რომელი ხარ ცათა შინა (მ. 6,9); ვინაი ხარ შენ (ი. 19,9); შენ ხარ მეუფე ჟურიათა? (ლ. 23,3 C); შენ ხარა სიმონ. ძე იონაის? (ი. 1,42 C).

ვინ არს იგი ძმ კაცისა (ი. 12,34 C); ლეგეონ არს სახელი ჩემი (მრ. 5,9); ანუ არა ესე არსა ხუროისა მის ძმ? (მ. 13,55); რომელნი აცილობენ, ვითარმედ აღდგომაი არსო (ლ. 20,27).

არს ფორმის შეკვეცის პროცესი უძველეს ქართულში დაიწყო და მერმე და მერმე თანდათან ღვივდება. ხოლო დღეს (გარკვეულ შემთხვევებში) ჩვეულებრივი ნორმა გახდა. ამის კვალი ჩანს სახარების უძველეს რედაქციებში, მაგალითად: /ქუეყანა/ კუარცხლბერკია ფერვთა მისთა (მ. 5,35 C); რომელი მადლია თქვენდა (ლ. 6,34 C); ესე მათგანივეა (მრ. 14,69 C); რომელი მოსრულა სოფლად (ი. 6,14 C); უადვილესა ზომთ საბლისაი ვურელსა ნემსისასა განსლვაი (მ. 19,24 C); ყოველივე შესაძლებელია მორწმუნისა (მრ. 9,23 D); ჩემი ყოველ შენი არს და შენი ჩემია (ი. 17,10 C).

აქა უდაბნოსა ადგილს ვართ (ლ. 9,12); ჩუენ მოსესნი ვართ მოწაფენი (ი. 19,28); ნუჯუე ჩუენცა ბრმანი ვართა? (ი. 9,40 D).

თქვენ ხართ მარილნი ქუეყანისანი (მ. 5,13); მოშიშ ხართ (მრ. 4,40); ნეტარ ხართ (ლ. 6, 20,21); აწ თქვენცა უგულისვმოვე ხართა? (მ. 15,16 C).

შინაგან არიან მგელნი მტაცებელნი (მ. 7,15 C); რომელნი ბოროტსა სენსა შინა არიან (ლ. 5,31); არა ათორმეტნი ჟამნი არიანა დღისანი? (ი. 11,9 E); შეპძლებელ არიან-მე ნაშობნი ქორწილისანი ... მარხვად? (მრ. 2,19 C).

ვარ, ხარ ზმნათა გვერდით ძველ ქართულში გვხვდება ინიანი პარალელური ფორმები: ვარ-ი. ხარ-ი. ესენი წარმოშობით ხოლმეობითის ფორმები უნდა იყოს<sup>299</sup>. როგორც ჩანს, ძველ ქართულში გაიძრევა ამ ზმნის ორი სახეობა: ინიანი: ვარი, ხარი, არის, ვართი, ხართი, არიან, ერთი მხრივ, და ვარ, ხარ, არს, ვართ, ხართ, \*არან, მეორე მხრივ. ინიან სახეობასთან ხოლმეობითობა უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. მაგრამ ძველ ტექსტებში ისინი ისე ნათლად აღარაა ერთმანეთისაგან გარჩეული. ეს კია, რომ ვარი, ხარი ფორმებს გარკვეულ გარემოცვაში ვხვდებით<sup>300</sup>.

მაგალითისთვის შეიძლება შევნიშნოთ, რომ ეს კონსტრუქცია საკმაოდ ხშირად გვხვდება Sin. 11 ხელნაწერში. რამდენიმე ნიმუში: მხოლოდ-შობილ და

<sup>299</sup> ა.ჩიქაძეა. შესამე პირის სუბიექტის უძველესი ნიშანი ქართველურ ენებში. ენიშკის მამბე. 5-6. 1940. გვ. 23; ი სუფიქსიან ფორმათა ხმარების შესახებ იხ. ა.მანაშვილი. ქართული ენის ისტორიული. ქრესტომათია. II. 1963. გვ. 206-207.

<sup>300</sup> ვარი, ხარი ფორმების შესახებ უფრო ვრცლად იხ. გვ. 83-87.

ვლახაყ ვარი მე (62.11)<sup>301</sup>; მონაი ვარი მე ღმრთისა მალღისა (39r,4 ქვ.); საღვური

ღმრთისა ვარი მე (41v,12); რომღისა შკუღისა ვარი მე (233r,8 ქვ.); მე ჰურიად ვარი (86.11); ძმ ვარი სოკრატისი, მთაერისა ათენელისა (179v,11).

ეს კონსტრუქცია სხვა ხელნაწერებშიც დაახლოებით ასეთივე პირობებში იხმარება: ძმ ღმრთისა ვარი მე (მ. 27,43); კაცი ცოდვილი ვარი მე (ლ. 5,8); მეცა მიციტ და უწყით, ვინაი ვარი (ი. 7.28 C); შენ იტყვ, ვითარმედ მეუფემ ვარი მე (ი. 18,37 E); ძმ ღმრთისაი ხარი შენ (მ. 14,33); უკუეთუ მეუფემ ხარი შენა? (ი. 18,37).

**აფაჟოს სოღაჟოაითი:** არა საკმარ არნ (მ.5,13); არნ ეგრეთ (ლ. 11,54); რომღისაი არნ სძალი, იგი არნ სიძმ (ი. 3,29); ნათელი არა არნ მას შინა (ი. 11,10 C).

რომელნი არიედ სახლსა მას შინა (მ. 5,15); არა დამტკიცებულ არიედ ძირნი მისნი, არამედ საწუთრო არიედ (მრ. 4,17); რომელნი ბოროტსა სენსა შინა არიედ (ლ. 5,31); რომღისანი არა თვსნი არიედ ცხოვარნი (ი. 10,12).

არნ და არიედ ხოღმეობითის რიგში უნდა იღგეს ზემოთ მოყვანილი ვარი და ხარი ტიპის მაგალითები.

ესა და ეს. ამ უძველესი (არ, არი) ფუძის მქონე ზმნა ამის იქით არ მიღის არც ძველსა და არც ახალ ქართულში, სხვა ფორმები მას არ გააჩნია. მას აქ მონაცვლეობას უწევს ყოფა ზმნის სათანადო (ენებითი გეარის) ფორმები:

**უწყამტაღი:** გარე უღაბნოთა ადგილთა იყოფოღდა (მრ. 1,45); ყრმაი იგი იყოფოღდა უღაბნოთა (ლ. 1,80 C); მუნ იყოფოღდა მათ თანა (ი. 3,22); მას ფინიკოკანსა შინა იყოფოღდეს უმრავლმსნი მონაზონნი (სინ. 269,24).

**I კაჟიკაჟი:** განაძე ჩემგან არაწმიდაი ესე სული, და ვიყოფოღდი შენ თანა (საკ. წ. I, 108,9); რაითა უფღისა ჩემისა თანა ვიყოფოღდი (იქვე, 38,13).

**ფყამტაღი:** შიშულე ვიყავ და შემბოსეთ მე, სნეულ ვიყავ, და მომხედეთ მე, საყრობილეს ვიყავ, და მოხუდით ჩემდა (მ. 25,36); უკუეთუმცა არა იყავ (ი. 11,21); რომელთა თანა იყო მარიამ მაგდალენელი (მ. 28,56); უკუეთუმცა ვიყვენით დღეთა მათ მამათა ჩუენთასა, არამცა ვიყვენით მათ თანა ზიარ სისხლსა მას წინაწარმეტყულთასა (მ. 23,30); რომელნი იყენეს ბეთლემს (მ. 2,16 C).

**II არაჟაჟი:** იელტოღე ეგვტედ და იყავ მუნ (მ. 2,13); იყავ ველმწიფე ათთა ქლაჟთა ზედა (ლ. 19,17); წმიდა იყავნ შენი სახელი (მ. 6,9); გიხაროდენ და მხიარულ იყვენით (მ. 5,12); მასეე სახლსა შინა იყვენით (ლ. 10,7); ესენი იყენელ მაგასეე ჭალაკსა შინა (საკ. წ. II, 134,35).

**II სოღაჟოაითი:** ჰნათობნ იგი ყოველთა, რომელნი იყენიან სახლსა შინა (მ. 5,15 G).

**II კაჟიკაჟი:** ვიდრემღის თქვენ თანა ვიყო (მ. 17,17); იყო შენ დაღუმებულ და ვერ შემძლებელ სიტყუად (ლ. 1,20); ესე ყოველი იყოს დასაბამი საღობათაი (მ. 24,8 C); იყენეთ თქვენ მოძულებულ ყოველთაგან (მ. 10,22); მაშინ რომელ ჰურიასტანს იყენენ, იელტოღედ მთად (ლ. 21,21).

ვარ, ხარ ფუძის ასეთი მონაცვლეობა, როგორც ითქვა, მისი დიდი სიძველით აიხსნება. ეს, ალბათ, ერთ-ერთი იმ უპირველეს ზმნათაგანია, რომელიც ჩვენი ენის

<sup>301</sup> რ და v რომ ახლავს. ასეთი ადგილები თვით ხელნაწერის მიხედვით არის დამოწმებული, დანარჩენი (62.11, 86.11) გამოცემის მიხედვით: ი. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, II, 1963.

ჩამოყალიბების დასაწყისში შეიქმნა, იმ დროს ზნის რიცხვისა და მწკრივების მწყობრ სისტემაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

## 2. იტყვს — თქუა

ვიტყვ, იტყვ. იტყვს ძველ ქართულში აწმყოს მწკრივის ფორმებია და დღევანდელი ქართულით იქნება: ვამბობ. ამბობ, ამბობს. დღეს ვიტყვი. იტყვი. იტყვის მყოფადის მწკრივისა და მომავალ დროს გამოხატავს. როგორც ეხედავთ, აქ შენაცვლება ახლაც გვაქვს. ოღონდ დღეს მონაცვლე ფორმებია ვამბობ — ვიტყვი, ვამბობ და მისი გაგრძელება ძველმა ქართულმა არ იცის, იქ პირველის ადგილზეა ვიტყვ, ხოლო მის მონაცვლელ გამოდის ვთქუ (სთქუ, თქუა...). ორივე ეს ზნა (ვიტყვ—ვთქუ) ენაში ხშირად იხმარება და შენაცვლებაც, მასალადაც, ასევე ხშირად გვაქვს. ტყუ ძირის შემცველი ფორმები ამ შინაარსით არ მოგვეპოვება II სერიაში, თქუ ძირისა კი ხშირად გვხვდება I სერიაში (ჩვეულებრივ, ზნისწინებით): აღმოსთქუამს, შეუთქუამს... იხმარება უზნისწინოდაც (იგი მე მითქუამს, გითქუამს, უთქუამს), მაგრამ ამ შემთხვევაში სხვა მნიშვნელობა აქვს: დამუქრება. მითქუამს: მემუქრება ... თქუმა გვაქვს რთულ ზნაშიც (გული მითქუამს), მაგრამ ზნის მნიშვნელობა აქაც სხვაა: ძალიან მსურს, მენატრება. დავძენთ აქვე, რომ ვიტყვ, იტყვ, იტყვს... უსრული ასპექტისაა, ხოლო მისი მონაცვლე ვთქუ, სთქუ, თქუა... — სრულია, სულ ერთია, ეწება მათ ზნისწინი თუ არა. ვთქუ ზნამ ეს თვისება დღემდის შემოინახა: თქვა ახალ ქართულშიც სრული ასპექტის ფორმაა, თუმცა ზნისწინი არ ახლავს. ერთი სიტყვით, ამ წყვილი ფორმის სახით მეტად საინტერესო შენაცვლება გვაქვს. ვნახოთ ამ წყვილის ტიპური ნიმუშები.

ა) **იტყვს**: ვითარცა მასწავლა მე მამამან. მას ვიტყვ (ი. 8.28); შენ რასა იტყვ მისთვის (ი. 9.17); თვთ იგი დავით იტყვს სულითა წმიდითა (მრ. 12.36); რომელი ვიციოთ, ვიტყვთ (ი. 3.11); ვითარ იტყვან მწიგნობარნი იგი (მ. 17.10); ოდეს იტყვნ ტყუეილსა, თვისისაგან გულისა იტყვნ (ი. 8.44 = ამბობს ხოლმე); ლალადებენ და იტყვედ (მრ. 3.31 C = ამბობენ ხოლმე).

ებევე ფუტეა I სერიის სხვა მწკრივებშიც, ოღონდ ფუძისეული უ ო-ს წინ მოხვედრისას იკარგება: ვიტყოდე გულსა ჩემსა (სინ. 276.1 = გულში ვამბობდი); ქადაგებდა და ეტყოდა (მრ. 1.7); მოგუნი იტყოდეს (მ. 2.1); მოძღუარ, იტყოდე! (ლ. 7.40, ბრძ. = თქვი!); ალვლო პირი ჩემი და ვიტყოდი ივანეთა (მ. 13.35 = ვიტყვი); ნუ წინაისწარ ჰზრახავთ, რასა იტყოდით (მრ. 13.11 = რას იტყვით).

ბ) **თქუა**: განხილულ ზნას II სერიაში (და III-შიც). როგორც აღინიშნა, თქუ ძირიანი ფორმები ენაცვლება. რომლებიც სრულ ასპექტს გამოხატავენ: ესე არს, რომლისათვის-იგი ვთქუ (ი. 1.15.30 = ვთქვი); ჭეშმარიტად სთქუ (მრ. 12.32); მოსე ესრეთ თქუა (მ. 22.24); არა კეთილად ვთქუთ, ვითარმედ სამარიტელ ხარ (ი. 8.48 C); თქუენ რად სთქუთ ჩემთვის (მრ. 8.28); თქუეს მწყემსთა მათ ურთიერთას (ლ. 2.15); თქუ, რადითა ქვანი ესე პურ იქმნენ (მ. 4.3 C, ბრძ. = თქვი!); თვთ თავისა თვისისათვის თქენ (ი. 9.21, ბრძ. = თქვას); ესრეთ თქუთ (მ. 28.13 = თქვით!); მაშინ თქეს (მ. 12.44 = იტყვის ხოლმე); თქუენ სთქეთ (მ. 15.5 = ამბობთ ხოლმე); რამეთუ თქვან და არა ყვიან (მ. 23.3 = ამბობენ ხოლმე და არ აკეთებენ); რად ვთქუა (ი. 12.27); ვთქუათ, რადითა ცეცხლი გარდამოვდეს ზეით (ლ. 9.54); ამა ესერა მე განძირინებთეს და მითქუამს (Sin. 62. 38ra.4); ესე აღმითქუამს ღმრთისა, რადითა

წარვიდე მე მუნ (ლომ. 49,31); აქა დავითს უთქუამს (თუალთ. 81,18); აუწყეს მეფესა და პატრიარქსა ყოველივე, რაიცა ეთქუა ნეტარსა მაქსიმეს (კიმ. I, 82,17); მუნთქუესვე წარვიდა იგი უფლისა თვისისა, ვითარცა-იგი აღეთქუა (ლომ. 45,4); რაოდენცა ვის ფარულად ექმნის ანუ ეთქუს, ყოველივე ცხად იყო წინაშე მისსა (ქ. ცხ. I, 355,2).

### 3. ეტყვს — ჰრქუა

ეს წყვილი არსებითად იგივეა, რაც ზემოთ განვიხილეთ (იტყვს—თქუა). მათ შორის განსხვავება ისაა, რომ პირველ წყვილში შემავალი ზმნები ორპირიანია: იტყვს იგი მას, თქუა მან იგი; მეორე წყვილში შემავალი კი—სამპირიანი: ეტყვს იგი მას მას, ჰრქუა მან მას იგი. წყვილების მეორე წევრები (თქუა და ჰრქუა), ერთი შეხედვით, სხვადასხვა ფუძის მქონე გვეგონება, მაგრამ არა: ამათში ძირეულად თვლიან ქუს: თ პირველში წარმოშობით პრეფიქსად არის მიჩნეული ისევე, როგორც მეორეში რ (ვ. თოფურია, ი. ქეთარაძე). შინაარსით ორივე თქმას აღნიშნავს. ჩვენთვის ამჟამად საინტერესო ძირი ორივეს ერთი და იგივე აქვს. აქ სწორედ ფუძეების მონაცვლეობაზეა საუბარი. მაშასადამე, ისევე ტყუ I სერიაში და რქუ — II-ში. ტყუ ძირი და სათანადო ფორმები (მეტყვ, გეტყვ, ეტყვს...) აქაც აწმყოს მწკრივისა და ახლანდელ დროს გამოხატავს (=მეუბნები, გეუბნები, ეუბნება...), როგორც ეს ზემოთ ორპირიანი ზმნების მაგალითზე ვნახეთ. ამიტომ აქ ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. გავეცნოთ სათანადო მაგალითებს:

ა) **მეტყვს**: მე გეტყვე შენ (მ. 16,16 = გეუბნები); ამისთვის იგავით ვეტყვე მათ (მ. 13,13 = ვეუბნები); რაღას მეტყვე მე სახიერით? (მრ. 10,18 რატომ მიწოდებ კეთილს?); ვითარ ეტყვე ძმასა შენსა (მ. 7,4 C = ეუბნები); არარას ეტყვიან მას (ი. 7,26).

მოვიდის მისა და ეტყვენ (ლ. 18,3 = ეტყოდა, ეუბნებოდა ხოლმე); რომელნი მოუწოდებ მოყუასთა თვისთა და ეტყვედ მათ (მ. 11,17 E).

არა გეტყოდუა თქვენ? (დაბ. 42,22); მეტყოდა ჩუენ კაცი იგი (დაბ. 42,30); მოიხსენეთ, ვითარ-იგი გეტყოდა თქვენ (ლ. 24,6); აღადგინეს იგი და ეტყოდეს (მ. 8,25); მი-რაი-ხედეთ, ქადაგებდით და ეტყოდეთ (მ. 10,7 = ბრძ. — უთხარი!); არღარა მრავალსა გეტყოდი თქვენ (ი. 14,30 C = გეტყვი); ყოველსა რომელსა გეტყოდინ თქვენ, დაიმარხეთ და ყავთ (მ. 23,3 = გეტყვიან).

ახლა ვნახოთ ამათი შესატყვისი ფორმები II სერიაში

ბ) **გარქუა**: გარქუ შენ (ი. 1,50 = გითხარი); არა გარქუ შენ? (ი. 11,40 = არ გითხარი შენ?); ვარქუ მოწაფეთა შენთა (მრ. 9,18 C = ეუთხარი); მან მრქუა მე (ი. 1,33); ჰრქუა მას ერთმან მოწაფეთა მისთაგანმან (მ. 8,21); ანუ სხუათა ვიეთ გრქუეს შენ ჩემთვის (ი. 18,34 C); აწ მარქუ ჩუენ (მ. 22,17 = ბრძ. — გითხარი!); არქუთ ასულსა მაგას სიონისასა (მ. 21,5 = უთხარი).

ვარქვ ამას: წარვედ! და წარვიდის (მ. 8,9; ლ. 7,8 = ვეუბნები ხოლმე); მოუწოდის მეგობართა და მოძმეთა და ჰრქვს მათ (ლ. 15,6 D); რომელთა მოხადიან მოყუასთა მათთა და ჰრქვან (მ. 11,17 C).

მას ჟამსა შინა ვარქუა მათ (მ. 7,23 = ვეტყვი); რომელმან მრქუას მე (მ. 7,21 = მეტყვის); გურქუას ჩუენ (მ. 21,25); უკუეთუ ვინმე გრქუას რაიმე, თქვენ არქუთ (გეტყვის, უთხარი); რაი ვარქუათ შენთვის (ი. 1,22 C); მრქუათ სამე იგავი ესე (ლ. 4,23 = მეტყვი); მრავალთა მრქუან მე მას დღესა შინა (მ. 7,22) რომელი რაი



გრქუან თქუენ ბნელსა შინა (მ. 10,27).

ამ ზმნებს საწყისებიც თავ-თავისი აქეთ: პირველს — სიტყუა. მეორეს — რქუმა. ერთი მხრივ გვექნება: მრავალი მაქუს სიტყუად თქუენდა (ი. 16,12 C); რაი უადვილეს არს სიტყუად (მ. 9,5), მეორე მხრივ: უყუარ... მოკითხვად უბნებსა ზელა და რქუმად მათლა კაცთაგან: მოძღუარ! (მ. 23,7 C); თუალს-უყოფდეს მამას მისსა. რამ-მე უნდეს სახელი რქუმად მას (ლ. 1,62 C).

ზომ ასე მკაცრადაა განაწილებული ტყუ და რქუ ფუძეების სამოქმედო არე. მაინც ხდება ხოლმე ზოგჯერ, როცა ამათგან ერთი მეორის ადგილას იხმარება. ეს ბუნებრივია, აიხსნება გასაგები სურვილით, რომ ერთი და იმავე მნიშვნელობის გამომხატველი ფუძე ერთი იყოს ორივე სერიაში (როგორც არის კიდევაც უმეტეს ზნაში). აი, ამის გამოხმაურება შემდეგი ადგილი: და მან გატყუას შენ (გამ. 4,16). გატყუას II კავშირებითა (=გეტყვის) და ჩვეულებრივი "გრქუას", "გითხრას" მნიშვნელობით არის ნახმარი. თბილისურ გამოცემაში სწორედ ეს მეორე შესატყვისი უხმარიათ: და მან უთხრას შენგან ერსა მას. არის საწინააღმდეგო შემთხვევებიც, როცა II სერიის მკვიდრი იხმარება I სერიაში. მაგრამ ახლა ამაზე სიტყუას აღარ გავაგრძელებთ. აქ ჩვენთვის მთავარია, ფუძეთა დაპირისპირება და შენაცვლება ვუჩვენოთ.

### C. ორმაგი შენაცვლება — მჟკრივებსა და რიცხვში

აქამდე ჩვენ ვარჩევდით ისეთ შემთხვევებს, როცა ერთ ფუძეს მეორე ენაცვლებოდა ან მხოლოდ რიცხვში (განაღო კარი — განახუნა ბჭენი), ანდა მხოლოდ მწკრივებში (იტყვს—თქუა, ეტყვს—უთხრა). პირველ შემთხვევაში მწკრივებში მდგომარეობა უცვლელი იყო, ე.ი. რიცხვში შენაცვლება აღწერილ პირობებში ისევე იმავე წესით ხდებოდა (მან კარნი განახუნა, განახუნის, განახუნეს). მეორეშიც იგივე სურათი იყო — მწკრივებში სხვადასხვა ფუძე, რიცხვში კი იგივე, შენაცვლებული (ეტყვს—პრქუა, პრქვს, პრქუას). სხვანაირად რომ ეთქვათ, ერთდროულად შენაცვლება მხოლოდ ერთ კატეგორიას ეხებოდა, ფუძე სხვა მხრივ უცვლელი იყო.

მაგრამ ძველ ქართულში არის ისეთი ზმნები, რომლებიც ერთდროულად ორივე აღნიშნული კატეგორიის მიხედვით ენაცვლებან ერთმანეთს: რიცხვის მიხედვითაც და მწკრივების მიხედვითაც. ამას ორმაგი, ანუ ჯვარედინი, შენაცვლება ჰქვია. თუ სათანადო ფუძეებს დაეჯალაგებთ მწკრივების მიხედვით ვერტიკალურად და მარჯვნივ (ჰორიზონტალურად) მრავლობითი რიცხვის ფორმებს მიეწერეთ, შენაცვლება გვექნება ორივე მიმართულებით — ჯვარედინად.

ამის მარტივი სქემა ასეთი იქნება:

<u>აფჟო</u>	მას უეის შვილი	მას უსხენან შვილნი
<u>ფჟუვტ.</u>	მას ესუა შვილი	მას ესხნეს შვილნი

<u>აფჟო</u>	იგი ზის	იგინი სხედან
<u>ფჟუვტ.</u>	იგი ჯღა	იგინი სხდეს

სწორედ ეს ორი ზმნაა, ყველაზე ხშირად რომ გვხვდება ძველ ქართულში ორმაგად (ჯვარედინად) შეცვლილი ფუძით. მრავლობითში ყველაგან სხ-უნ, სხ-ელ ფუძე მეორდება. მას ჩვენ უკვე ვიცნობთ ზმნათა რიცხვში შენაცვლების შემთხვევებიდან (განაძო ეშმაკი—განასხნა ეშმაკნი, შეაგლო იგი საყრობილესა—შესხნა იგინი საყრობილესა, ძეს იგი—სხენან იგინი...). ამიტომ ამაზე

საეციალურად არ შეეჩერდებით და პირდაპირ მოვიყვანთ სათანადო მაგალითებს.

### 1. უვის — უსხენან, ესუა — ესხნეს

ა) უწყოდე, რამეთუ არღარა ხილკად გივი კულად ვორცითა და რადსათვის ხარ შენ, ასულო, შფოთ და უდებ? (მამ. ცხორ. 167.2 = გყავარ); შენ ხოლო მარტოი მივი (ქრისტინ. 13.14 = მყავხარ); უკუეთუ მამაი თქუენი ცოცხალ არს, ანუ გივის ძმაი (დაბ. 43.7); არა უვის მას სხუაი შვილი (ტობ. გ. 15); მამაი გვიის ჩუენ აბრაჰამი (მ. 3.9); ცხოვარნი, რომელთა არა უვინ მწყემსი (3 მეფ. 22,17).

ესაა და ეს. ვ ძირს სხვა მწკრივთა ფორმები არ გააჩნია არც I და არც II სერიაში. ამას სუ ძირი ენაცვლება ენანი ვნებითის ფორმით. ეგევე ე პრეფიქსი წარმოჩნდება II სერიის ფორმათა მრავლობითშიც (ესხნეს შვილნი). თუ ამ გარემობასაც მივიღებთ მხედველობაში, მაშინ უნდა ვთქვათ, რომ ასეთ შემთხვევებში სამმაგ შენაცვლებასთან გვექნება საქმე: ფუძეები ენაცვლებიან ერთმანეთს რიცხვის, მწკრივებისა და გვარის<sup>102</sup> მიხედვით. ვნახოთ მაგალითები:

ბ) მესუა მისგან ტობია (ტობ. ა.9 = მეყოლა); ნუ გეშინინ, რამეთუ ესეცა ძმ გესუა შენ (დაბ. 35.17); არა ესუა მას შვილ (მ. 22,25 C); ესუა მას ცოლი და ესხნეს შვილნი (ხანძთ. 136,38). ესაა რიცხვში შენაცვლების საუკეთესო ნიმუში: ცოლი ესუა. მაგრამ: შვილნი ესხნეს!); ჩუენ არა გუესუა სოფელსა ჩუენსა გუელი და არა თაყუანის-ვისცემლით (ისტ. ქრ. II, 48,39); ქმარი თუ ესუას, ლამით და დლით სიტყვთა დაკუებურნ (სინ. 214,17). ამ ფუძეს თავისი საწყისი და მიმღებობაც აქვს: არღარა შემბლებელ ვარ მე ქმრისა სუმაღ (რუთ 1,12); საულისა სუშულ იყო ხარჭი ერთი (2 მეფ. 3.7).

ეს არის მწკრივებში (სერიებში) მონაცვლეობა. მაგრამ ამ ზმნას, როგორც ითქვა. ფუძეთა მონაცვლეობა იმავდროულად ახასიათებს აგრეთვე რიცხვის მიხედვითაც: მხოლობითში, როგორც ვნახეთ, ვ და სუ ძირები გვაქვს, მრავლობითში კი ამას სხენ ფუძე ენაცვლება, სწორედ ის სხ, სხენ ფუძე, რომელიც ბევრი სხვა ზმნისათვის არის ერთადერთი შესაძლებელი კორულატი (შდრ. აბს—ასხს, განაგლო—განასხნა, დასდეა—დასხნა, დაადეა—დაასხნა, წეეს, ძეეს—სხენან, ზის—სხედან, სხენან და სხვ.). ამ ორმაგი (ვივარედინი) მონაცვლეობის გვერდით II სერიის მწკრივებში გამოვლინდება კიდევ ერთი შენაცვლება—გვარის მიხედვით: ეს საშუალი გვარის ზმნა იქ ენანი ვნებითით არის შენაცვლებული: უვის—უსხენან—ესხნეს. ოღონდ ენანი ვნებითი გვაქვს მხოლოდ II სერიაში, მხოლობითსა და მრავლობითში, I სერიაში საშუალი გვარის ფორმებია ორივე რიცხვში (მივის—მისხენან, უვის—უსხენან). მაინც ნიშანდობლივია, რომ ეს (ნაკლული) სამმაგი შენაცვლება (რიცხვში, მწკრივებსა და გვარში) სწორედ განსახილველი ზმნისთვისაა დამახასიათებელი.

ეს ზმნა თავისი შინაარსითაც იქცევს ჩვენს ყურადღებას — ოგი მხოლოდ ადამიანთან მიმართებით გამოიყენება: მივის, გივის, უვის, მესუა, გესუა, ესუა მხოლოდ და მხოლოდ ადამიანის ყოლაზე მიუთითებს. ამ გაგებით სხვა შემთხვევაში იხმარებოდა აგრეთვე მაქუს, მქონან, მაქუნდა, მაქუნდეს ფორმები. მაგალითად: კაცი არა მაქუს (ი. 5,7); გაქუს თქუენ დასისაგანი (მ. 27,65); იოვანე ყოველთა

<sup>102</sup> აქ მქლო.ასიისათვის დამახასიათებელი ჩუეულებრივი მონაცვლეობა გვაქვს.

წინაწარმეტყუელად აქუს (მ. 21,26 C); რომელსა აქუს სძალი, სიძე არს (ი. 3,29); აქუს მსაჯული თუსი (ი. 12,48); მქონან ჩემ ქუეშე ერისაგანნი (მ. 8,9); მქონან მე კაცნი (საქ. წ. II, 124,27); ქიონან მოსე და წინაწარმეტყუელნი (ლ. 16,29); ყოველსა წინაწარმეტყუელად აქუნდა იოვანე (ი. 11,32); იყნეს იგინი დამაპურალ და დაცვენებულ, ვითარცა ცხოვარნი, რომელთა არა აქუნ მწყემს (მ. 9,36). ასევე არ ასხვავებს ადამიანისა და ნიეთის ყოლასა და ქონებას რუსული, გერმანული და ბევრი სხვა ენაც. ქართულმა შემდეგში აქაც გაატარა განმაზოგადებელი ხაზი: აქუს ფუძე ნიეთის კატეგორიის საგნებისთვის დატოვა. ხოლო ადამიანთათვის მივის ზმნის მემკვიდრედ მყავს დააკანონა. აქ თქმული მხოლოდ მხოლობითის ვ, სუ ფუძეებს ეხება, სხ. სხენ ფუძე ორივე კატეგორიის სახელთა მიმართ იხმარებოდა (უსხენან, ესხნეს შვილნი და ესხნეს კელნი, ფერხნი) და ასეთადვე დარჩა (სხედან კაცნი, ასხია ფურცელი, წაასხა საქონელი...).

ახლა მოვიყვანთ რამდენიმე უფრო დამახასიათებელ მაგალითს I და II სერიის მრავლობითის ფორმებისათვის.

გ) მე სხუანი მისხენან მევობარნი (ბალ. 38,28). ვარიანტიში მისხენ იკითხება. სწორი ფორმაა მისხენან, რომელშიც სხენ ფუძეა, ხოლო ან — მესამე სუბიექტური პირის მრავლობითობის ნიშანი (შდრ. მოვლენან და მოვლენ). ვარიანტისეულ ფორმას აკლია ან სუფიქსი. ეს უნდა ხდებოდეს იმის გამო, რომ ფუძისეული ენ (მისხენან, მოვლენან) მრავლობითის ნიშნად ესმით და ამიტომ აღარ უწერენ ან სუფიქსს. ძველ ქართულში ორივე სახეობა გვეხვდება. ქვემოთ ამ გარემოებას აღარ აღვნიშნავთ; არა გისხენ შენ მთავარ, არცაღა მონა (2 მეფ. 19,6); რავდენნი გულითადნი მონანი უსხენან ღმერთსა (ლომ. 17,5. უსხენ S); მტერნი გვსხენ უკეთურნი და მზაკუვარნი ბოროტნი ეშმაკნი (მამ. ცხორ. 21,2).

დ) ძენი შენნი, რომელნი გესხნეს ეგვპტეს, ჩემნი არიან (დაბ. 48,5); კაცსა ვისმე ესხნეს ორ ძე (მ. 21,28); ესხნეს ძეებ და ასულებ მრავლად (მოქც. 1,8); კაცსა თუ ესხნან ორნი შვილნი და იხილნის იგინი ჭირსა შინა, წუხენ იგი და შეიძუსრვიან მათ ზედა (წარტყ. 30,29); დალათუ ბევრ მხარდულ გესხნენ ქრისტესს მიერ, არამედ არა მრავალ მამა (I კორ. 4,15 CD).

როგორც აღნიშნული გვექონდა, სხენ ფუძის შემცველი ფორმები ზემოთ ნაჩვენებ მწკრივებში ყოველთვის ყოლას კი არ აღნიშნავს, არამედ ნიეთის კატეგორიის სახელთა ქონასაც. აი, რამდენიმე სათანადო მაგალითი:

ვითარცა ვის ესხნეს ცოცხალნი კელნი (ისტ. ქრ. II, 11,10); ვიხილე ... კაცი ერთი სპილენძისაჲ, და ტანსა მისსა ჯაჭვ ... და ჩაფხუტი ოქროისაჲ და სამყარნი ესხნეს (მოქც. 92,5).

## 2. ზის — სხედან (სხენან), ჯდა — სხდეს

ა) მე აქა მშვედობით ვზი (კომ. I, 204,21). ძველად ეს ზმნა არ საჭიროებდა მეშველი ზმნის დამატებას: არა გვაქეს ვზივარ, ზისარ<sup>303</sup>; ზე ზის იგი ვირსა და კიცუსა, ნაშობსა კარაულისასა (მ. 21,5); რომელი თანამეინაჲედ უზის (სინ. 124,12); ზინ იგი მახლობელად სენაკსა ბერიასა (კომ. I, 33,13 = იჯდა ხოლმე); ლომი... ზინ

<sup>303</sup> ჯერჯერობით ჩვენთვის ცნობილია მეშველზმნიანი ფორმის გამოყენების მხოლოდ ერთი მაგალითი: რომელი ბნელსა შინა ეზოვარ (ტობ. ე.12 ვ = აპოკრ.).

და სკან ლეკუთა მათ (ისტ. ქრ. I, 236,8).

ეს არის სულ. I სერიის სხვა მწკრივები ამ ზმნას არ გააჩნია (სხვა სერიების ფორმებზე ისედაც ზედმეტია ლაპარაკი).

ბ) II სერიაში ამ ფუძეს ჯედ ენაცვლება. მაგალითად:

ღლითი-ღლედ თქვენ თანა ტადარსა შინა ვჯედ და გასწავებდ (მ. 26,55); რომელსა ზედა ვჯელი (ნემ. 2,12 O); კარაული... რომელსა ზედა შჯელი სიჭაბუკით შენითგან (რიცხ. 22,30 G); ჯდეს /იგი/ შორის ყოველსავე ადგილსა (2 შჯ. 39,10 M); მოპეუარეს ვირი იგი...და აღჯდა მას (მ. 21,7 C; დაჯდა DE); ნუ დასჯდები პირველსა საინავესა (ლ. 14,8 C); დაჯედ მარჯუენით ჩემსა (მ. 22,44; მრ. 12,36); არა-მე პირველად დაჯდესა და აღირაცხოს (ლ. 14,28 C).

სათანადო საწყისი და მიმღობა მხოლოდ ამ უკანასკნელ ფუძეს მოეპოვება: დაჯდომად მარჯუენით ჩემსა და მარცხენით არა ჩემი არს მიცემად (მ. 20,23); ჯდომად შენი და გამოსლვია და შესლვია შენ უწყი (4 მეფ. 19,27 O); იხილა იგი მკუეალმან ვინმე მჯდომარც ნათელსა მას (ლ. 22,56); რომელსა კაცი არა დაჯდომილ არს (მრ. 11,12; ლ. 19,30).

ბრავლობითში ორივე ფუძეს (ზის, ჯდა) სხედ ენაცვლება, პირველ მათგანს (ზის) ამასთან ერთად სხენან ზმნაც. ეს ის ზმნაა, რომელიც ადრე ძვეს და წვეს ფორმების ბრავლობითის შესატყვისადაც ენახეთ. აი, ჩვენთვის საინტერესო შენაცვლების რამდენიმე ნიმუში:

გ) ვრი ესე, რომელი სხედს მთასა მას (იედ. 5,3 O); აწ თქვენ რად სდუმით და ჰსხედთ (2 მეფ. 19,10); რომელთა შორის თქვენ ჰსხედთ (მსაჯ. 6,10 G); რამსა სხედ(თ) და მტავთ მე (აპოკრ. 19,42).

ესენი სხენან წინაშე ჩუენსა (ექუსთ. 87,10); ხოლო თავადსა კვრიაკესა სხენედ იგინი სენაკებსა მათსა (სინ. 266,27); მსგავს არს ყრმათა, რომელნი სხენედ უბანთა ზედა და მოუწოდედ მოყუასთა თვისთა (მ. 11,16).

დ) ვრი რომელი სხდა ბნელსა, იხილეს ნათელი დიდი (მ. 4,16); ულოცეთ მას და ვსხედით (ხნძთ. 116,25); მიუგო ყოველმან ერმან, რომელნი სხდეს ბჭეთა ზედა (რუთ 4,11); თქვენ დასხედით ქალაქსა ამას შინა იერუსალ(მ)სა (ლ. 24,49); ვითარცა-იგი ჩუენ ვსხდით ცხენთა ზედა, ვერეცა სუფევენ იგი ქართა ზედა (სინ. 133,7); რომელნიმე სხდიან და დაიყენიან ყურნი მათნი (სვან. 476a); კართა ზედა კარვისა საწამებულისათა სხდეთ შვედ ღლე და ღამე (ლევ. 8,35); დასხდეთ თქუენცა ათორმეტთა საყდართა (მ. 19,28).

ამ ფუძესაც მოეპოვება თავისი უპირო ფორმები (საწყისი და მიმღობა): სხდომასა მას მათსა ტაბლასა ზედა (3 მეფ. 13,20); უკუეთუ დასხდომით დასხდეთ ქუეყანასა ამას (იერ. 42,10); იყენეს ვინმე მუნ მსხდომარენი მწიგნობართაგანნი (მრ. 2,6); საყდართა ზედა მოსესთა დასხდომილ არიან მწიგნობარნი და ფარისეველნი (მ. 23,2 C).

#### D. შენაცვლება გვარში

ზმნათა ფუძეების შენაცვლება ხშირია გვარის მიხედვითაც<sup>304</sup>. უფრო გავრცელებულია ისეთი შემთხვევები, როცა საშუალი გვარის ზმნას (უმთავრესად

<sup>304</sup> ა. შანიძე, საფუძვლები, გვ. 500 და სხვ.

სერიიდან სერიაში გადასვლისას) ენანი ვნებითი ენაცვლება (ჰნებაეს—ენება, ჰშორავეს—ეშორა...). ასეთ მდგომარეობაში აგრეთვე სტატიკური ვნებითებიც (ჰეიეს—ეეო, აღეს—ელგა...). ეს გასაგებიცაა: საშუალი გვარისა და სტატიკური ვნებითის ზმნები მეტად ღარიბია ფორმებით, მათ თავისი, საკუთარი, თითო-ორიოლა მწკრივი თუ მოეპოვებათ. ამიტომ აღნიშნული მწკრივენაკლი ზმნები დანაკლის ფორმებს ივსებენ მოქმედებითი გვარისა და (ენანი) ვნებითისაგან. კერძოდ, ენანი ვნებითისაგან სესხულობენ ფორმებს სტატიკური ვნებითები, რომლებიც წარმოშობით ორპირიანი ზმნებია, და მდგომარეობის გამოძხატველი საშუალი გვარის ორპირიანი ზმნები. შდრ. ჰნებაეს მას — ენება იგი მას, თანა-აც იგი მას — თანა-ელვა იგი მას.

ჩვეულებრივ, ამგვარ ვნებითს საჭირო ფორმები მხოლოდ II სერიაში აქვს და ამას ესესხება სტატიკური ვნებითი თუ საშუალი გვარის ზმნა: ენება იგი მას, ელვა იგი მას, ძალ-ელვა იგი მას. ამ ვნებითებს არა აქვს I სერიის ფორმები, ვთქვათ, ასეთი: \*ენებების, \* ედგმების, \*ძალ-ელების... მაგრამ ზოგჯერ ვნებითს მოეპოვება I სერიის ფორმებიც. შდრ. სწორავს — ესწორა. ესწორა ვნებითი გვარის წყვეტილია. მისი შესატყვისია I სერიაში ესწორების, ესწორებოლა, ესწორებოდეს, ხოლო II სერიაში — ესწორის, ესწოროს. შენაცვლებისას ასეთი შემთხვევა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, იშვიათია.

ამ რიგის საშუალი გვარის ზმნებსა და სტატიკურ ვნებითებს I სერიიდან, ჩვეულებრივ, საკუთარი მოეპოვებათ მხოლოდ აწმყოსა და აწმყოს ხოლმეობითის ფორმები, ზოგს, ძალზე იშვიათად, უწყვეტლისაც. I სერიაში ეს ზმნები ამით კმაყოფილდებიან, ხოლო II სერიის ფორმებს ყოველთვის სესხულობენ. ამასთან — თითქმის ყველა მწკრივისას.

ახლა ვნახთ კონკრეტულად სათანადო მაგალითები.

## 1. ჰშორავს — ეშორა

მახლობელ ხარ პირსა მათსა და ჰშორავ თირკუმელთა მათთა (იერ. 12,2 = დაშორებული ხარ); რომელი ჰშორავს ლავრასა ვითარ ოც უტევან (მამ. ცხორ. 70,42); რომელი ესეზომ შორავს ჯორციელისა მის შეერთებისაგან, რაზომ ნათელი ბნელსა შორავს და სიმყრალე სულნელებასა (გამოცხ. 19,9 თ). ჰშორავს ორპირიანი ზმნაა. ირიბი ობიექტი მიცემითში უნდა იდგეს და დგას კიდევ (შორავს ... ლავრასა, ბნელსა, სულნელებასა), მაგრამ უკანასკნელ მაგალითში ერთგან მიცემითის ნაცვლად გან თანდებულისანი ნათესაობითი აუღიათ: შეერთებისაგან. ეტყობა, შორავს ზმნის ორპირიანობის შეგნება შერყეულია. ზოგჯერ ის ესმით, როგორც "დაშორებულია": ამას კი სწორედ გან (დღევანდელი დან) თანდებულისანი კონსტრუქცია სჭირდება (დავძენთ აქვე, ამ კარგი ფორმის ბედი აქ აღნიშნული გზით განვითარდა, იგი შეცვალა დაშორებულია-მ, თვითონ კი დატოვა სამოქმედო ასპარეზი. შორავს ფორმას ჰ აკლავ თავში. ეს ძველი (და ახალი) ქართულის წესია: ჰ შ-სთან იკარგება. სხვა მაგალითები: აბ ესერა ორნი მათგანნი მივიდოდეს მასვე დღესა შინა დაბასა, რომელი ხშორავს იერუსალემსა ას სამეოც უტევან (ლ. 24,13 X); რომელი შორავან ურვათა (უდაბ. 59ra).

რადღენ უკუე შორეული და გეშორა დღენდელი ესე დღე (სწავ. 256.29). აქ პირველი ხაზგასმული ფორმა უწყვეტლისაა, რაც, როგორც ითქვა, ძალზე იშვიათად გვხვდება, ხოლო ხოლო მეორე (წყვეტლისა) სწორედ ის ნასესხები ფორმაა.

რომლის შესახებაც ითქვა ზემოთ. ქვემოთ მოყვანილი ფორმებიც II სერიისაა: რომელი ემოჯრა დაბასა მისსა მიტალიკსა ოცით სტადიონით (მამ. ცხორ. 57,22); ვიდრე ემოჯრინან ურთიერთს, არასადა აღედვის ცეცხლი (სახ. 4,4); ძმანო, გაქუნდინ ესე საჭურველად უძლეველად. რაითა ემოჯროს მონაზონი ხილვად პირსა დედათას (სწავ. 182,6).

## 2. მწორავს — ესწორა

სხუად სიყუარული არა სწორავს სიყუარულსა მისსა თანა (ისტ. ქრ. II, 1,27 = ვერ უტოლდება, ვერ უსწორდება, ვერ შეეფარდება); ოდეს შეიმკვის მით მეფე, არა სწორავს იგი ერთსა ცა ყუავილსა მთისა თივისასა (სწავ. 191,9).

ამათ II სერიაში ენანი ვნებითი ენაცვლება: აწ ვემსგავსე საცხოვართა უგულისხმობა და ვესწორე მათ (სევან. 399b = გაუუტოლდი, გაუუთანასწორდი); შენ ავაზაკსა მას ესწორე სარწმუნობითა და სამოთხესა განენესე (აბო 175,31); ნუუკუე ახალი იგი არა ესწოროს მას (ზირ. 9,12); თუ მცურვალნი შეკრბენ, ვერ ესწორენ ერთსა ბოლოისა მისისასა (სევან. 313b); დიდი იყო იოვანეცა, არამედ რაა სწორება უც უფლისა თანა (სინ. 87,21).

ამ ფუძეს, როგორც ითქვა, ენანი ვნებითის ფორმები, სხვათაგან განსხვავებით, სრული სახით აქვს წარმოდგენილი I სერიაშიც. ძრავალთაგან ვუჭვენებთ მხოლოდ რამდენიმეს: შორის მდიდართა ნუ ესწორები (ზირ. 35,13 O); კეთილ იყოს ქადაგი იგი, არამედ რაა ესწორების მეუფესა (სინ. 87,22 = რა შეედრება); სხუად რჩული ვერ ესწორების რჯულსა ქრისტანეთასა (ევსტ. 146,3); არცაღა ესწორებით მთავართა და ძლიერთა (ისტ. ქრ. II, 105, 26); ესწორებან მკლველნი იგი მოწამეთანი ჯუარის-მცუმელთა მათ ქრისტ(ს)თა (სევან. 456a).

## 3. ჰგიეს — ვგო

ძველთაძველი ზმნაა. აღნიშნავს (მუდმივ) ყოფნას, არსებობას, ითქმის აღამიანზეც და ნივთზეც. I სერიაში სტატიკური ვნებითის ფორმითაა წარმოდგენილი, II-ში — ენანი ვნებითისა, ორივე შემთხვევაში ზმნას ერთი პირის გაგება აქვს, თუმცა ფორმა ორივეგან ორპირიანია. დაკარგულია ადრე არსებული ორიბი ობიექტი, მაგრამ მისი ნიშანი შემონახულია (ჰ-გიეს). II სერიაში თვით ე გულისხმობს, რომ ფორმა (წარმოშობით მაინც) ორპირიანია. ძველ ქართულში ეს ზმნა ძალიან გავრცელებულია. როცა ვინმეს ან რაიმეს მუდმივ არსებობასა თუ ყოფნაზე ჩამოვარდება საუბარი, მაშინვე ამ ზმნას მიმართავენ. დამახასიათებელია, რომ ძველ ხელნაწერებში ხშირად გვხვდება გადამწერის (თუ სხვათა) მიწაწერი: ველი მწერლისა მიწასა შინა ლპების, ხოლო ნაწერი მისი ჰგიეს, ე.ი. სამუდამოდ არსებობსო. ჰგიეს ზმნის ორივე სერიის ფორმები ზემოთ (გვ. 374) უკვე გვქონდა წარმოდგენილი. ამიტომ აქ მხოლოდ თითო მწკრივის თითო ნიმუშს მოვიყვანთ.

ა) შენ ჰგიე უკუნისამდე, და ჩუენ წარვეწყმდებით უკუნისამდე (ბარ. გ,3); თარგმანება ამის ასკიასა და საკორციელოისა ესე არს: ტაბლად, რომელსა ზედა ჰგიედ ერთი ხოლო საჭმელი (სწავ. 316,11);

ბ) ვგო უენებელად და თუაღნი ცოცხლად ვენეს (მამ. ცხორ. 52,36); ნაყოფი იგი თქუენი ვენ (ი. 15,16 C); არღარა თავს-იდვის შეერთება სხვსა, არამედ ვვის უმეულლოდ (ექუსთ. 98,12 = იყო ხოლმე); ნაყოფი თქუენი ვგოს (ი. 15,16).

ამ ზმნას აქვს საკუთარი საწყისი გება და მიძლეობა გებული. ეს ფორმა "შუმანიკის წამებაში" გვხვდება: ხოლო მან...ყოველივე მომიძღუნა და მივართუ პიტიახშსა, და მან მიილო ჩემგან, აღიხილა და იაოვა ყოველი გებულად (შუმ. 7,39). ეს ნიშნავს: ყველაფერი ისე აღმოჩნდა, როგორც თავიდან იყო (არსებობდა).

#### 4. ადგს, უდგს — ედგა

განსახილველ ფორმათა საწყისია დგმა. ეს ზმნაც ფართოდაა გავრცელებული ძველ ქართულში. იგი ორპირიანია, იხმარება საარვისო და სასხვისო ქცევის ფორმებით: მადგს, გადგს, ადგს... მიდგს, გიდგს, უდგს. თავისი ძირითადი მნიშვნელობით იგი ყოლასა და ქონას აღნიშნავს: უდგს ცხოვარი, კარი... ადგს პირი, ცხვრი...

ადგ-ს, უდგ-ს და მსგავს ფორმებში დგ ხშირად ყრუდება და თქს იძლევა: ათქს, გითქს...

როდის იხმარება (ანანი) საარვისო, როდის სასხვისო? პირველი ძირითადი და უმთავრესად მაშინ, როცა მორფოლოგიური სუბიექტი ადამიანის (ცხოველის) სხეულის რაიმე ნაწილს შეადგენს (ადგს თავი, პირი, ცხვრი, თუალი, ყური, ველი, ფერვი, მუცელი, რქა), აგრეთვე მაშინაც. როცა ერთ-ერთი ამათგანის (განსაკუთრებით, თავის) საჭიროებისათვის არის დანიშნული (ქუდი, შარავანი, კენკული...). სხვა გარეშე საგნების ყოლა-ქონა კი სასხვისო ქცევით აღნიშნება (უდგს ცოლი, ცხოვარი, ვარი, კარაული, ძაღლი, აქლები, ტაძარი, სახლი, სენაკი, კარი, ადგილი... წყალი, ღვინო, ზეთი...). ეს მსჯელობა I სერიის ფორმებს ეხება. II სერიაში ორივე სახეობას ყველგან ენიანი ვნებითი ენაცვლება (ედგა პირი, ცხვრი, თუალი... ცხოვარი, ვარი, აქლები...). ვნახოთ სათანადო ნიმუშები:

#### I სარია

ა—2: ყოვლადვე გულსა მადგს და ვიგონებ. თუ რომელსა ადგილსა წარვიდე ვედრებად ღმრთისა (საბა ას. 15,31); პირ ადგს და არა იტყვან (ფს. 113,13 წ; ო: ათქს; პარხ. 1051a); შინაგან ადგია მას გვრგვნი სულოერი (კობ. I, 106,17); უფლისა მოსლვაჲ კართა ზედა გუადგს, და ჩუენ ორგულეობთ (საკ. წ. II, 52,28); დედალსა მას...არა ადგნ მუცელი, რათამცა მართუენი იტვრთნა (ისტ. ქრ. I, 237, 38).

ბ/უ—2: უკუეთუ გიდგს ღვინო (კობ. II, 176,23); ნუკუე სახლებ არა გითქს ჭამად და სუმად (I კორ. 11,22); წყალი არა გვდქს (მამ. ცხორ. 173,5); მიდგან მელა ორნი ზუარაკნი (თეკლა 117,20); იხილის კაცი გლახაკი, რომელსა კარნი არა უდგან და თესლი არა აქუს (Опнс. 185,4).

#### II სარია

აქ, როგორც ითქვა, ორივე ჯგუფი გაერთიანებულია და ერთ ტაფუმა მოქცეული, ორივეთ ენიანი ვნებითის ფორმები აქვს მხოლოდ: ველი განვმელ ჰედგა (მრ. 3,3 X); უკუეთუ არა მედგას ვარი (სინ. 67,20); რომელსა ედგას ცხოვარი ერთი (მ. 12,11); ამა ვეშაპი ცეცხლისა დიდი, რომელსა ედგნეს თავნი შვდნი და რქანი ათნი (გამოცხ. 12,3); ცხოვარნი თუ ვისმე ედგნენ მრავლად. არა მოიგნენა მათთვის ძაღლნიცა მკველად (ლიტ. ქრ. 82,30. უდგს ცხოვარი — ედგნენ ცხოვარნი!).

## 5. უც — ეღვა

ცალკე აღებული მიც. გიც და უც "ქონას" თუ "ქონებას" აღნიშნავს. მას მხოლოდ აწმყო და აწმყოს ხოლმეობითი მოუპოვება, II სერიაში ეღვა-ს ინაცვლებს (მიც — შეღვა, გიც — გეღვა, უც — ეღვა). ამის დახმარებითაა შექმნილი რთული ზმნები: ზეღა-აც, თანა-აც, ძალ-უც, რომელთაც ქვემოთ წარმოვადგენთ. როგორც ვხედავთ, ჩვენი ზმნაც ორაპირანია (უც იგი მას). როგორც ამ თავში შემოტანილი ყველა სხვააც, ჩვეულებრივ ესეც სასხვისო ქვეყის ფორმით იხმარება (მიც, გიც, უც). თუმცა გამორიცხული არ არის საარვისო ქვეყაც. ერთი ასეთი მაგალითი დადასტურებულია "სახისა სიტყუაში": /ვაჰანაკრასა/ სხუა სამარადისოა სახს აც (ისტ. ქრ. I, 239,36). ნ.მარი ჩვენთვის საინტერესო სიტყვის აზრს ასე გადმოსცემს: у него еще другой природный нрав. იგულისხმება აქვს. აც რთულ ზმნებში ჩვეულებრივია (ზეღა-აც, თანა-აც).

ახლა ვნაბოთ სათანადო ნიმუშები:

ა) გულსა შიდა მიც იჭვ (სინ. 243,16 =მაქვს); რაიცა გიც, განყიდე (მრ. 10.21 C); უც მამულსა თანა თქვენსა დასა ამას თქვენსა (ხანძთ. 200,25 =ნაწილი აქვს, წილი უბევს); უკუეთუ ვისმე ყანაი უცნ უქმარი და უნაყოფი და ეკლოვანი (სინ. 139,11 =აქვს ხოლმე); უწყინ კაცად-კაცადმან, რაი ვის უცნ თვისსა ვანსა გინა თუ სიმდიდრე, გინა თუ სოგლახაკ (ისტ. ქრ. II, 3,12).

ბ) განყიდა ყოველი, რაიცა ეღვა (მ. 13,46 C =რაც ჰქონდა, რაც მოუპოვებოდა); ამან ... ყოველივე, რაიცა ეღვა, შეწირა (მრ. 12,44); არა თუ გლახაკთაი რაიმე ზრუნვაი ეღვა მას (ი. 12,6); ბრძანა განსყიდა...შვილთაი და ყოველი, რაიცა ეღვა მას (მ. 18,25 C); არა ეღვა მას სიზრქე (მრ. 4,5 C).

ნიშანდობლივია, რომ ამ მეტად არქაული ლექსიკური და გრამატიკული ფორმის მაჩვენებელი 5 მაგალითიდან 4 ადიშის ოთხთავს აქვს დაცული. ადიშის ოთხთავი კი, როგორც ცნობილია, სხვა თავისებურებებთან ერთად სწორედ ამ არქაიზმითაც ხასიათდება<sup>35</sup>.

## 6. ზეღა-აც — ზეღა-ეღვა

ა) მეტეა ზეღა-მაც ევე ყოველი (საკ. წ. II, 129,25 =დაე მე მმართებდეს, მემართოს, ჩემზე იყოს); ამისთვის თითოეულსა ზეღა-აც კითხვაი, უკუეთუ სარწმუნობით დაიმარხა და მცნებანი ერთგულად დაიცენა (მამ. ცხორ. 27,4 =ეველება, მოვალეა).

ბ) ამისგან შევარდა იგი საყრობილესა, რამეთუ ზეღა-ეღვა მას ასი დრაჰკანი (საკ. წ. II, 118,13 =ემართა); ასეთი ენანი ვნებითი I სერიაშიც მოიპოვება: ნუმცა ვერიდებით, რამეთუ სიკუდილი ზეღა-ვე-გუდედბის, მოვწყდეთ უფლისათვის, რომლითა ვცხომდეთ ჩუენ სრულიად (სინ. 120,10); აი, აქედან შესწულობს საჭირო ფორმებს ზეღა-აც და მისი ტიპის სხვა ფორმები. შევნიშნავთ ბარემ, რომ ზეღა-აც (ზეღა-ღება) ამ ვკუფში (უც, ძალ-უც, თანა-აც ...) ყველაზე ღარიბია ფორმებით და თითო-ორიოლა მაგალითითაა შემორჩენილი.

<sup>35</sup> ი. იშანიშვილი. ადიშის ოთხთავი რედაქციულად: თუმ. 28. 1946. გვ. 119—162; 30b—31b. 1947. გვ. 183-236. სხვა ლიტერატურა ნ. იქვე.



## 7. თანა-აც — თანა-ელვა

თუ ამ ტიპის ფორმებში ზედა-აც ყველაზე ნაკლებად გვხვდება, თანა-აც პირიქით, ყველაზე გავრცელებულია. შინაარსით იგიც იმავეს გამოხატავს — მართებს, ევალება, მოვალეა. ასევე ფართოდ იხმარება შემცველი ვნებითებიც: თანა-ელვა, თანა-ელვას...

აქ მოვიხმობთ ბევრიდან მხოლოდ რამდენიმეს:

ა) აწ თანა-მაც მოლუაწება შენი სულიერად და ჯორციელად (ხანძთ. 222,3); რაოდენი თანა-გაც უფლისა ჩემისაი (ლ. 16,5 = რამდენი გამართებს); უკუთეთუ სულიერთა მათთა ხეზიარნეს წარმართნი, თანა-ხაც ჯორციელითათა მსახურებად მათა (პრობ. 15,27 X); მსგავსად ჩუენისა თანა-აც მაგას სიკუდილი (ი. 19,7 C); შეილითი შეილაღმდე თანა-გუაც თქუენი ლუწაი (ხანძთ. 210,24).

ბ) ორივე პირი უფრო ნათლად ჩანს მონაცვლე ფორმებში. ამის მიზეზია ვნებითის ე, რომელიც მხოლოდ ორპირიან ზმნებს აწარმოებს. აი, ამის მაგალითები: რაი-იგი თანა-მელვა ყოფად, ვყავ (საკ. წ. II, 118,4); მონანი უკმარ ვართ, რომელი თანა-გუელვა ყოფად, ვყავთ (ლ. 17,10); მიუტევეთ, რაიცა თანა-ვის-ელვას (მრ. II, 25 C);

ძველ ქართულში ასევე ხშირად იხმარება უკანასკნელი ფორმების საფუძველზე შექმნილი მიძღვობანი: თანა-მღები (მოვალე, ვალდებული, ვინც ვალი აიღო, ვინც იკისრა) და თანა-ნადები (ვალი, ნაკისრი, ვალდებულება); რომელმან მოკლას, თანა-მღებ არს იგი საშუკელისა (მ. 5,21 C); ფრიად თანა-ელვა კაცთა ბუნებასა, და თანა-ნადებსა მას მიცემად ვერ ჰპოვებდა (სინ. 42,16).

## 8. ახს, მახს, მახს — მიეხო, მოეხო

ახს, მახს, მახს ძირითადი მნიშვნელობით ახლო ყოფნას, მახლოებას და მახლოებას აღნიშნავს: ახს — ახლოა, მახს — უახლოვდება, ახლოა მასთან...

ა) ნუ განმეძორები ჩემგან, რამეთუ ჭირი მახს მე (ფს. 21,11); რომელი ახს ქალაქსა ემეწასა ათორმეტით მილიონით (კობ. II, 14,38 = ახლოა, დამორებულია მისგან, ქმორავს მას); აჰა ესერა მე მივან აღსრულებად (დაბ. 25,32 ლატ.; მახლოებულ ვარ O); შეიძინეთ ძმაი ვინმე მღებარე, რომელი მახსს სიკუდილად (კობ. I, 300,2 = სიკვდილს მახლოებულა, სული ამოსდის); ნუმცა ვინ დააკლდების სანატრელსა მას სამკვდრებელსა, რამეთუ ესერა მახსს მოსლვად (ისტ. ქრ. II, 21,29 = მახლოებულა); რომელნი მახან სიკუდილდ (Sin. II, 328,1 ქვ.); ესევეთარსა ღუაწლსა შინა არნ კაცი იგი, რომელი მახს სიკუდილსა (სწავ. 227, 23); ხოლო უფალი ეცინინ მას, წინაისწარ ხედაენ, რამეთუ მახსნ დღე მისი (ფს. 36,13).

გვხვდება ამ ტიპის ზმნებისათვის მეტად იშვიათი უწყვეტელიც: ასისთავის ვისიძე მონაი სნეულ იყო და მახსნდა აღსრულებად (ლ. 7,2).

გამოთქმულია მოსაზრება, რომ ან სუფიქსი "ღანდება ახს ზმნის ნამყო

უსრულის ფორმაში<sup>306</sup>. ვარაუდობენ, რომ "ნ თანხმობანი აქ ძველი დეტერმინანტი ან (→აღ) სუტიქისის ნარჩენია, რედუცირებული სახით"<sup>307</sup>. ისეთი მაგალითებიც მოიხილება, როცა ნ არც უწყვეტელში გვაქვს: ვიდრემდის ლოცვა იგი მათი მიახდა აღსრულებად (Опид. 207,28); ოდესმე მიახდა დღესასწაული წმიდისა ამაღლებისა (ასურ. 207,37)<sup>308</sup>. ამიტომ საინტერესოა ამ საკითხის შესახებ გამოთქმული სხვა მოსაზრებაც, რომ ნ ბგერა ვითარდება დ-ს წინ<sup>309</sup>.

აღნიშნავენ, რომ ჩვენთვის საინტერესო თვალსაზრისით მეტად საყურადღებოა მიახლნ ფორმა: რომელი მიახლნ .სიკუდილსა (სწავ. 227,23 C). შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ აქ ორი მეზობელი ნარიდან ერთმა ლ მოგვცა დისიმილაციით, რასაც ახლო-სთან ასოციაციაც შეუწყობდა ხელს, ე.ი. ლ(←ნ) ან სუფიქსის წარმომადგენელია ზნნაში, აქედან კი დავასკვნათ, რომ ან სუფიქსი აწმყოშიც გვქონია. მაგრამ ეს ერთადერთი მაგალითია და, იქნებ, საეჭვოც. ამიტომ ამ ზნნაში ან სუფიქსის არსებობის საკითხი ღიად რჩება<sup>310</sup>. ჩვენც ვფიქრობთ, რომ ნ-ს წარმომავლობის საკითხი კვლავაც საძიებელია.

ბ) განსახილველი ზნნის ენანი ფორმები, ჩვეულებრივ, მოახლოებასა და შეხებას გამოხატავს: მანგალი იგი მუშაკისა იყოვლადე არა მიგებო შენ (სინ. 205, 2); რაჟამს მიგებო ჟამი ნაყოფისა (მ. 21,34; მოიწია DE); ბოროტი არა მიგების (სწავ. 240,19); ხოლო ხისა მისგან...არა შჭამოთ, არცა მიგნეთ (სინ. 101,29).

ჩვეულებრივია ამ ენანი ენებითის I სერიის ფორმები: პრქუა მას იესუ: ნუ მომეხები, რამეთუ არა აღსრულ ვარ მამისა ჩემისა (ი. 20,17 C; შემომეხები DE); სადა-იგი მპარავი არა მიგნების (ლ. 12,33).

### 9. ჰმოსიეს — ემოსა

ესეც თავისებური ზნნაა: სტატიკურს აქვს აწმყოსა და აწმყოს ხოლმეობითის ფორმები (ჰმოსიეს, ჰმოსიენ, ჰმოსიედ) და ფართოდ არის გავრცელებული, ხოლო შემცველი ენებითი (ემოსა) მხოლოდ II სერიაში იხმარება (სწორედ აქ ენაცვლება სტატიკურებს), არა აქვს I სერიის ფორმები (ემოსების, ემოსებოდა...). ხშირად გამოიყენება პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობითა და სხვადასხვაგვარი ნოუანსებით. მაგალითები:

ა) ვითარ შემოხუედ აქა, რომელსა არა გმოსიეს სამოსელი საქარწინმ (მ. 22,12); რომელთა ჰმოსიეს სამოსლები საეტაკები (გამოცხ. 7,13); ვითარცა-იგი ვის სამოსელი რაი ბრწყინვალჲ ჰმოსიენ (სინ.9,15); შე-რად-იმოსიან იგი, ვითარცა მოძღურება მისი, ჰმოსიედ (მამ. ცხორ. 52,29).

ბ) თავადსა იოვანეს ემოსა სამოსლად მისა სტევისაგან აქლემისა (მ. 3,4); ხატიცა მონაზონებისა ემოსა, რამეთუ თავისუფალ იყო სიძღერისაგან ყრმათადას (ხანძთ. 100,29).

<sup>306</sup> შ. სუხიშვილი. სტატიკური ზნნები ქართულში. გვ. 214.

<sup>307</sup> ი. ქუთარაძე. ზნნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის. გვ. 195.

<sup>308</sup> რ. ქუთარაძე. საშუალო გვარის ზნნები. გვ. 137.

<sup>309</sup> შ. სუხიშვილი. ფონეტიკური პროცესები ძველ ქართულში. გვ. 119.

<sup>310</sup> რ. ქუთარაძე. იქვე.

## 10. ანებაეს — ენება

ა) განტყეუება მათი უხმითა არა ანებაეს (მ. 15,32); გნებაესა, რათა მივიღეთ და გამოვარჩიოთ იგი (მ. 13,28); რომელსა ანებაეს კუალსა ჩემსა შედგომად (მ. 16,24 C); გუნებაეს, რათა რომელი გთხოვოთ, მიყო ჩუენ (მრ. 10,35); მცნებანი მისნი ანებუან ფრად (ფს. 111,1); ღმერთსა არა ხოლო თუ სიტყუანი ანებვენ. არამედ საქმენი შედრებელთა მისთანი (სწავ. 5,11); ხვლოდი, ვოდრეცა გნებაენ (ი. 21,18); რაჟამს ანებვიდა მოციქულთაი სოფელსა ზედა ქადაგებად წარულონებაი (ურთ. 148,14).

ბ) შედგომად სამთა დღეთა, რომელნი დაყენეს, ენება მათ წარსლვის (კომ. I, 310,1); რადუნცა ენების დაფარვის, ესმინე საზრასაუი მრავალთა მიერ (იქვე. 183,11); რაჟამს გენებოს, ველმწიფე ხართ მათა კეთილის-ყოფად (მრ. 14,7 C); რომელსა ენებოს თქვენ შორის, რაითამცა დიდ იყოს, იყვენ იგი თქუენდა მსახური (მ. 20,26 C).

ი.ქეთარაძის შენიშვნით, ამ ზმნას იშვითად II სერიაში გადასყება სუფიქსისეული ე<sup>11</sup>, რომელიც შესაძლებელია თემის ნიშნადაც ჩაითვალოს: ენება, რათა წარვიდეს კესარიად (არიმ. 45,42,7); რომლისთვისცა ენებოს ღმერთსა ამათ ორმოცთა დღეთა აწუნოს სასწაული (იქვე, 66,87,8).

დასასრულ, ყურადღებას გავამახვილებთ ერთ საინტერესო მაგალითზე: რომელთა-ესე არა ენებეს სმენად სიტყესა მის (ამოკრ. 7,26); თუ კორექტურული შეკდომა არაა გასარული, მაშინ, ტექსტის მიხედვით, ენებეს = ენებოს. ე.ი. მწკრივის ნიშნის მონაცულებასთან გვაქვს საქმე.

## 11. გასმეუს — გესმა

ა) მე მასმეუს შენთვის: ვითარ თქვანი ჩუენებაი, განსმარტი იგი (დაბ. 23,15); არცა ამას ქალაქსა მასმთა და არცა სხუასა, შენ რომელ მძიეთა იტყვე (ლიტ. ქრ. 26,24); გასმეუს, რამეთუ ითქუა პირველთა მათ მიმართ (მ. 5,2; 27,33); არა გასმთა ემად ათანასე მკურნალისა (ლიტ. ქრ. 26,31); საუკუნითგან არავის ასმეუს, თუ აღვინმე-უხილნა ბრძისანი (ი. 9,32 C); ხოლო ჩუენ გუასმეუს მისი იგი უძღურებაი (მამ. ცხორ. 30,22); რომლისათვის მასმეოდ ბრალი რაიმე (Sin. 35, 294vb,7); მასმთან მე თქუქულნი უდაისისნი და ულუკაისისნი (კომ. I, 195,3); არასადა ასმთან მამასა ჩემსა ესეეითარნი სიტყუანი (ლიტ. ქრ. 284,18).

ამ ტიპის ზმნებს, როგორც ითქვა, I სერიაში, აწმყოსა და აწმყოს ხოლმეობითის გარდა, ჩვეულებრივ, სხვა მწკრივები არ გაჩნიათ. ძალზე იშვითად აქა-იქ ამოტივტივდება ხოლმე ამგვარი ძვირად სანახაუი ფორმები. განსახილველ ზმნასაც მოიპოვება ასეთი იშვიათი ფორმები. მაგალითად: მრავლით ეამითგან არა მეხილუა მამაი გრაგოლ, არამედ მასმოდა, ვითარმედ... (ხანძთ. 131,10); რომელთაცა ასმოდა დიდი ესე საკრეველები (ზარზმ. 333,8); რამეთუ მრავალ-გზის ასმოდა სახელი საღმრთოისა მის მოქალაქიბისა მისისა (კომ. I, 66,15).

<sup>11</sup> ი.ქეთარაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 134.

ბ) II სერიაში ენებითის ფორმები (ესმა, ესმის, ესმეს...) უხვადაა წარმოდგენილი, ძალზე ხშირად იხმარება. სწორედ ამას ესესხება სტატისტიკური მასხვებს, ვასმესს, ასმესს და კარგადაც უხამებს და იყენებს თავისი საჭიროებისათვის (რა თქმა უნდა, ძნელია მტკიცება, II სერიის ფორმები როდისაა შესმის ზმნის ვაერძლება და როდის — მასმეს ზმნისა). რადგან ამგვარი ფორმები II სერიაში ძალიან ხშირად გვხვდება, აქ მხოლოდ მცირედს მოვიხმობთ: რამ-ოგი შესმა მისგან, მას ვიტყვ სოფელსა შინა (ი. 8,26); გესმა, რამეთუ გარქუ თქვენ (ი. 14,28. შდრ. ვასმესს, რამეთუ თქემულ არს: მ. 5,38); ესმა გარემოთა და ნათესავთა (ლ. 1,58); ჩვენ ვუესმა მავისი სიტყუაი (მრ. 14,58); რომელი ყურთა გესმეს თქვენ, ქადაგეთ ერლითა ზედა (მ. 10,27); არცა ესმეს ვის... უმაი მისი (მ. 12,19).

სიმტკობურთა, რომ ასეთ მდიდარ და მრავალფეროვან ფორმებში არა ჩანს II ხოლმეობითის მაგალითები. წესით II ხოლმეობითის ფორმა ასეთი უნდა ყოფილიყო: \*მ-ე-სმ-ი-ს, \*გ-ე-სმ-ი-ს, \*ე-სმ-ი-ს

შდრ. წყვეტილი და II კავშირებითი:

მ-ე-სმ-ა,	გ-ე-სმ-ა,	ე-სმ-ა
მ-ე-სმ-ე-ს,	გ-ე-სმ-ე-ს,	ე-სმ-ე-ს.

რატომ არ არის II სერიის ამ ერთ-ერთი ძირითადი მწკრივის მაგალითები? საჩქე ისაა, რომ შესმის, გესმის, ესმის და სხვა მსგავსი ფორმები ენამ გამოიყენა აწმყოას (ახლანდელი დროის) შინაარსის გადმოსაცემად, ისინი მერმე აწმყოში დამკვიდრდნენ, აწმყოს ფორმებად იქცნენ და I სერიის მკვიდრნი გახდნენ. ძველ ქართულში შემონახულია ნიმუშები, როცა შესმის ფორმას ჯერ კიდევ ძველი, II ხოლმეობითისეული, შინაარსი აქვს შემორჩენილი და მასში ხოლმეობითობა ჯერ კიდევ ხელშესახებად იგრძნობა. აი, ამის ორიოდე მაგალითი: "ეპიფანე კვირელის ცხოვრების" ერთ ადგილას იკითხება: უმაი იყო მისა /ეპიფანესა/ მიმართ და თქუა: ეპიფანე! ხოლო ეპიფანე ჩუეულ იყო, რამეთუ მრავალ-გზის ესმის ესე უმაი, და შეუწყითებულად თქუა (საქ. წ. II, 123,23). აქ ესმის ნიშნავს: ესმოდა ხოლმე. ამ გაგებას, სხვათა შორის, აძლიერებს აგრეთვე ტექსტში "მრავალ-გზის" ზმნისხელის დასატება: ხშირად ესმოდა ხოლმეო.

მეორე ადგილას, ხოლმეობითის ფორმებით ძალიან მდიდარ წიგნში, კითხულობთ: ოდეს შესმის ცუდი ზღაპრობაი, მხიარულად ვისმენდი; და ოდეს შესმის სინანულისათვის, გარე-მივიქციი სასმენელი ჩემი; და ოდეს შესმის კითხვაი წიგნისა, მიმერულის, და ოდეს შესმის საშუკელი და უღობაი, განღვებულ ვიქმნი (სწავ. 262,12—15). აქ შესმის ოთხივე შემთხვევაში იქნება: შესმოდა ხოლმე. ამას ადასტურებს მათ გვერდით უწყვეტლის ხოლმეობითისა და II ხოლმეობითის ხმარება: ვისმენდი (უწყ. ხოლმ.); გარე მივიქციი, მიმერულის, ვიქმნი (II ხოლმ.). აქ ყველგან წარსულში მომხდარ განგრძობილ (განმეორებულ) მოქმედებაზეა ლაპარაკი, აწმყო შეუთავსებელია. ეს არის II ხოლმეობითის ძველი შინაარსის მარკენბელი გადმონაშთები. შემდეგ და შემდეგ შესმის, გესმის, ესმის მტკიცედ დამკვიდრდა I სერიაში, ხოლო მისი ადგილი II სერიაში, მონათესავე ფორმათა შორის (ესმა — ესმეს), ცარიელი დარჩა. აი, რატომ არ არის ზემოთ ჩვენს მაგალითებში წყვეტილისა (შესმა, გესმა, ესმა) და II კავშირებითის (შესმეს, გესმეს, ესმეს) გვერდით II ხოლმეობითის არც ერთი ნიმუში.

## 12. ძალ-უც — ძალ-ელვა

ა) ხოლო სახეს მას შობისასა ვერ ძალ-მიც მიწოდლუად (სინ. 35.5 = არ შეიძლია მიწვდომა); ვერ ძალ-გიც ერთისა თმისა განსჯებუკებად ვინა დაშაგებად (მ. 5,36); ძალ-გიცა შესუგად სასუქელი, რომელ ჩემლა შესუგად არს (მ. 20,22; მრ. 10,38); კერძოა ოქროსა და ვეტხლისა და ქვისა და შემისათა... ვერცა ხელუად ძალ-უც. ვერცა სმენად. ვერცა სლუად (გამოცხ. 9,20); უკუეთუ სკონებო თქუენ. ვითარმედ ძალ-რაიმე-უც კერძოა მათ თქუენთა, მატადუთ მე დამუხრუად მათა (საქ. წ. II, 24,7; ვინაი ძალ-გვც აქა განძებად ... ესოდენი ვრი (მრ. 8,4 E).

ენახოთ კიდევ ერთი საინტერესო მაგალითი, როცა გრამატიკული სუბიექტი წარიან მრავლობითში დვას და ამ რთულ ზნაში მისი მრავლობითობა არის ასახული ფუძის გამოცვლით (ვიც — ვისხენ): ორგულნო, ცისა სამე პირი იცით ცნობად. ხოლო სასწაულნი ჟამთანი ვერ ძალ-ვისხენ გულისვიმის-ყოფად (მ. 16,3 C). DE-ში. საერთო წესის მიხედვით, ჩვეულებრივი და საყოველთაო ძალ-გიც იკითხება. მაგრამ კვლავ აღენიშნაეთ: აღიშმის ოთხსავეს ბევრი ულტრაარქაული ენობრივი თავისებურება აქვს დატული.

ბ) II სერიაში აქაც გვაქვს ჟიანი ენებითის ტრაფარეტული ფორმა ძალ-ელვა (მღრ. ზემოთ უკვე განხილული: უც — ელვა, ზელა-აი — ზელა-ელვა, თანა-აი — თანა-ელვა. ამიტომ აქ მოკლედ მოეკრით და მხოლოდ ორიოდ მაგალითს დაეკუსტებთ): არა ძალ-ელვა მას აღდგომად (საქ. წ. II, 93,38 = არ შეუძლო); აღავსენით ძამანი მაგათ კაცთანი საზრდელითა, რავდენ ძალ-ელვას წარლებად (დაბ. 44,1 = რამდენის წაღებაც შეეძლება); რომელ შენ, წმიდარ ქალწულა, ტვრთვად ვერ ძალ-გელვა (სინ. 10,1).

## 13. უძლავს — ეძლო

ა) საქმედ არა მიძლავს, თხოვად მრცხუენის (ლ. 16,3 C); გიძლავს შესუსდ სასუქლისა მის, რომელსა მე შეევსობიდე (მ. 20,22 C; ძალ-გიცა DE); შესულებულ არს და მით ვერ უძლავს სიტყუად (კომ. I, 144,24 = იმიტომ არ შეუძლია ლაპარაკი); ვერ გეძლავს ჩუენ მაგისი მოკლვაი (ამოკრ. 37,28).

შეენიშნაეთ, რომ ოთხთავებიდან ასეთი ფორმები აღიშმის ხელნაწერისათვის არის დამახასიათებელი. სხვებში ამის ბაღლად ზემოთ განხილული რთული ზნა გვაქვს: ძალ-მიც, ძალ-ვიც, ძალ-უც... სწორედ ამგვარი წარმოება არის უკრაინაში გავრცელებული ძველი ქართული ენის ცნობილ ძეგლებში.

II სერიაში მიძლავს ზნას ჟიანი ენებითი ენაცვლება. აი, რამდენივე მათგანი:

ბ) სძმ გასუ თქუენ და არა საქმელი, რამეთუ არა გეძლო, არცაღა ან გიძლავს (I კორ. 3,2. აქ ორივე სახის წარმოება ერთად გვაქვს: გიძლავს — გეძლო!); არავის ეძლო დაყენებად მისა (მრ. 5,4); არამცა ეძლოა ამას...ყოფად რაისამე (ი. 11,37); რაოდენცა ეძლოს ველსა მისსა (ეზეკ. 46,11).

## 14. ჟგონიეს — ვგონა

ა) ვინ ეჯგონიე ერსა ამას (ლ. 9,18); თქუენ ვინ გგონიე მე (მ. 16,15; ლ.

9,20); შენ ღმერთი ძილსა შინა ნუ გვონოეს (შუშ. 13,26); რომელღა-იგი ჰგონიეს, ვითარმედ აქუს (ლ. 8,18); ვერეცა თქუენ გარეშე ჰგონით კაცთა მართალ (მ. 23, 28); ხოლო ჯჯარი ესე ნუ გვონიენ, რომელ-ესე ჩას, ვითარცა შეურაცხი (სინ. 247, 19); რაჟამს ჰგონიენ მამალსა მას (სახ. 237,35); მეგობარნიცა ჩუენნი და მწუხარებაი მათი ნუვეშინის-ცემა ჩუენდა გუგონიედ (სწავ. 29,15).

ბ) მეგონა მე, ვითარმედ იგი ჩემდა მოეპეტყო (შუშ. 5,8); მათ ვგონა, ვითარმედ მძინარებისათვის ძილისა თქუა (ი. 11,13); ესე თუ ძისად მეგონოს, მამისად ექდაგო (სინ. 138,9).

## 15. უპყრიეს — ეყრა

ამ სტატიკური ფორმის მნიშვნელობა არის: აქეს, ქეაეს, უპყრიავს, უკეაია (დაკავებული აქეს); მიანნია, თელის...ამდენად, იგი აესებს ხარეუზებს აქუს და უკის 'ხმებისას, რომელთაც სტატიკური ფორმები არ მოეპოვებათ. უნდა დაეძნოთ ისიც, რომ ეს ხმნა მეტად ვაერცელებულია ენაში.

ა) არა ხეთა რტოდ მიპყრიეს, არცა ქნარი მაქუს, არცა ლამპარნი მიპყრიან აღნიებულნი, არამედ სახიობისა წილ და ქნარისა ქრისტის სახუეველნი მქონან და იგი არს ჩემდა ქნარ და იგი არს ჩემდა ლამპარ (სინ. 32,19. აქ მაპყრიეს და მიპყრიან ფორმებს ვეერდით აქეს სინონიმური პარალელი მაქუს და მქონან. მაშასადამე, პირველნიც ამასვე აღნიშნავენ); რომელი რჩული გიპყრიეს (ეესტ. 145,3,37); ეტყოდეს მას..., ვითარმედ: ჩუენი არსო და შენ რაისათვის გიპყრია (სინ. 70,7); ყოველთა ვითარცა წინაწარმეტყუელი უპყრიეს იოვანე (მ. 21,26); ერთი იგი მეცემან შეჭამა მთასა შინა, ხოლო ერთი იგი მას უპყრა (საკ. წ. II, 73,31); მცირელი რამე გუპყრიეს (ხანძთ. 112,28); ველთა შინა მისთა უპყრიეს წმიდა ევანგელმ და მე დლე (საკ. წ. II, 119,11). ეს აწმყოს ხოლმეობითია. აწმყოს ხოლმეობითია აგრეთვე ქეკათო მოხობილი ღონიანი ფორმებიც: მსგაეს არს ევეითარი იგი კაცსა, რომელსა ყანაი უპყრიედ და ნაყოფი მისი ჭიათა დაუჭამიედ (ნოვ. II, 192,15); თუალთა წინაშე უპყრიედ იგი (იქვე. 307ra,14); მრავალთა წელთა უპყრიედ წესი და სამართალი და მსჯავრი მისი (ბალ. 47,35); მოაჩჩეს მეცელი და ესნილად უპყრიედ (თუალთ. 6,29).

ჟუნდა ღათუ მისი მოკლეად, ჟეშინოდა ერისა მის, რამეთუ ვითარცა წინაწარმეტყუელი ჟეყრა იგი (მ. 14,5 Z); ჟეყრანეს მას ორნი ბარძიძნი (გულანდ. 223,6).

## 16. კიდაეს — ეკიდა

ა) რად არს ძუალები ევე, რომელ გკიდაეს (ბალ. 94,32 ყ); ვისი არს მაფორი ისი სადღოდა, რომელი კიდაეს (მ. ცხ. 162r); ჩუენ კაცნი ვართ ღმრთის მსახურნი და ამისთვის გუკიდაეს ძუალები ესე, რაითა ზედაისზედა მოგუაესენებდეს სიკუდილსა (ბალ. 94,35 ყ); გუადრუცი იგი აქუნდა მას, და მთასადებელი იგი მას კედაეს (ი. 12,6; მას აქუნ C).

ბ) ეკიდა მას თვთი ჯჯარი თვისი (ი. 19,17); იყო შორის მათსა კაცი ერთი, რომელსა ეკიდა ძუალები მეუღართად საბლითა რაითამე ძუელითა (ბალ. 94,30).

## 17. ქმარხაეს — (ეპარხა)

ა) მოვედ შენ საფლავსა ჩუქსა, საღა ეპარხაე (Sin. 36, 491a,2 =ლილ. 83,4 S); აქ ქმარხაეს მამაი ჩუენი (მამ. ცხორ. 316,5).

სტატიკური ენებითის იშვიათი ფორმებია. ეპარხაე აქ ნიშნავს: ეპარხიეარ, ღამარხული ეარ; ქმარხაეს — ღამარხულია.

ბ) ამ ზნის სტატიკული ენათის ენებითის ფორმა არ შევსებულა.

## 18. ქმატს — ემატა

ა) არარაით ვინ ქმატს სახლს ამას შინა (ღამ. 39,9); რაოდენთა სასიყდლით-ღადგინებულთა მამისა ჩემისათა ქმატს პური (ლ. 15,17; გარდაერევის C =მეტი. ძალიან ბუერი აქეს, ჭარბად აქეს); რაოდენ ჟამ მკვლრი იგი ყრმაღა არნ, არა ქმატს მონასა, უფალ დათუ არნ ყოვლისა (გალატი. 4,1); იყო ვინმე მთავარი დიდი და წარჩინებული ქუეყანასა ამას, რომელი ყოველთა ქმატღა სიძლიერითა და სიძრავ-ლითა ერთა და აგარაკთათა (ზარზმ. 190,43); არა თუ მატღეს სიძრავლე თქუენი უფროის მწიგნობართასა და ფარისეველთასა, არასაღა შეხვედეთ სასუფეველსა ცათასა (მ. 5,20 C; ალემატოს DE).

ბ) რომელმან ფრიად მოიღო, აღარა ემატა (2 კორ. 8,15).

## 19. ქნათის — (ენათ)

ა) რომელ აღანთის, მის თანა წარიღის, და საღაცა-იგი ანთიენ, ყოვლაღკე მუნ არნ (პარხ. 441a); ბრწყინვალეებაი მისი ... ვითარცა საწითელი ანთიელ (თუალო. 11,32).

ბ) ძველი ქართულის ძეგლებში ენთო არ შეგვხვედრია.

## 20. ქრთავს — ერთო

ა) უფალო, არა კეთილი თესლი დასთესე აგარაკსა ამას შენსა? ან ვინაი ქრთავს ღუარძლი ესე (მ. 13,27 C =ახლა საიდან ურევა ღუარძლი?); იგი ხოლო გურთავს ჩუენ შორის მოწამელ (სინ. 66,30 =გვირევა).

ბ) არასაღა ვურთო შეკრებასა მას მათსა (სინ. 240,6 =ვერიე); ქრისტეანნი რომელ ერთიენს მათ დღეთა შინა, ნაზარეველითი ერქუხოღა (იქეე. 238,6); მოვედ ღა გურთო შეუებას ამას ჩუენსა (ეესტ. 144,16 =შემოგვიერთიღი); /ღვნიო/ უკუეთუ კულა ძმრიანი არნ ანუ მეტი წყალი ერთის, შემდგომად ტრაპეზით აღღობისა დაე-უბნის შევაინენსა (ი—ე. 70,6 =ურევა ხოლმე).

21. არტყა<sup>12</sup> — ერტყა

ა—ბ) შერტყეული სარტყლითა იქროისათა არა წელთა ზეღა, ვითარცა-იგი

<sup>12</sup> ამ ზნის სტატიკური ენებითის ფორმა მხოლოდ ია დაბლობითი, ე.ი. ახლებური წარმოებით. არის დადასტურებული.

სხუათა კაცთა არტყთა აღვრ-სასხმელად გულოს-თიქუმთა... არამედ მკერდსა ზედა ერტყა ძუქუთა თანა (ვაძოცხ. 1,13 თ); რომელსა იგი ერტყა სარტყელი წელთა მისთა (ეზეკ. 9,3 28 ლ; რომელსა აქუნდა წელთა მისთა სარტყელი 'ს).

## 22. უჯლიეს — ეულო

ა) უფალმან ჩვენმან იესუ ქრისტემან თიქუა: მიფლიეს გუამი ჩემი დაღებად /და/ მიფლიეს მერამე აღებად იგი (სახ. 10,1,2); ყოველსა კაცსა არა უჯლიეს მიახლებად მავისა (ეზრა ზორ. დ,28); ნუ გიფლიეს შენ ჭამად ურიდად საკლეელისა მისგან (2 შჯ. 16,5 M); ხოლო სხუასა ნუქის უჯლიოდ ჩუენ თანა შემოსლეად (შუშ. 6,3); არა უჯლიოდ განღებად (ნემ. 13,19 I).

ბ) ესე სასწაული მესჯლო თხრობად შენდა (ეზრა სუთ. გ,13).

## 23. აცეეს — (ეცუა)

ა) მომამყარ სამოსელი ჩემი, რომელი გაცეეს შენ, და განამარტე (რუთ 3,15 პარიზ.). ოშქის ბიბლიაში ჩვეულებრივი გმოსიეს იკითხება.

ბ) მოსალოდნელი ეცუა არ შეგვხედრია.

## 24. სწადის — (ეწადა)

ა) ანუ გწადის. ვითარმცა უქერენსი ტანჯვანი შეგემთხვნეს (კიმ. 1, 142,4); რამეთუ გუწადის სმენად ვმისაი მამათ-მთავრისაი ამის (სინ. 110,29); სწადინ აღესებად მუელისა თვისისა რქისა მისგან, რომელსა ჭამედ ღორნი, და არაენ სციის მას (ლ. 15,16 C); დასცხერ, აბა! რომლისათვისცა-იგი გწადოდა, მოგეცა შენ (კიმ. 1, 137,27); ქეროდე ვითარცა იხილა იესუ, განიხარა დიდად, რამეთუ მრავლითი ეამითგან სწადოდა მისთვის სასწაულის ხილვად მისგან (ლ. 23,8 C); წინაწარ-მეტყუელთა და მართალთა მსწადოდა ხილვად და ვერ იხილეს (სინ. 207,23; ბოლს. 58,24); ნუჯუე აწ გუწადოდამცა მარხვისა მის (უდაბ. 52va); მოვიდენ დღენი, და გწადოდის თიქუნ ხილვად დღე ერთი დღეთაგან ძისა კაცისათა და ვერ იხილოთ (ლ. 17,22 C; გული-გითიქუმიდეს DE); არა შევიწყნარო მე შედგომად კუალსა მისსა და დღენი კაცთანი მე არა მწადოდიან (სინ. 228,3).

ბ) II სერიის საგულეებელი ფორმები (ეწადა, ეწადის, ეწადოს...) ჯერჯერობით არაა დადასტურებული. ამ ნაკლულეენებას აქეს ერთგვარი ახსნა: ეს ზნა, ზემოთ ჩამოთელილთა დიდი უმრავლესობისაგან განსხვავებით, მდიდარია I სერიის ფორმებით, მათ შორის, ნორმალურად ეწარმოება უწყვეტელი (სწადოდა, მსწადოდა) და I კავშირებითი (გწადოდის, მწადოდიან). ეს გარემოება რამდენაღმე ანელეებს მოთხოვნას, შემკეული ფუქები ეძებონ II სერიაში, მაგრამ მაინც უნდა ვთავიქროთ, რომ ჯერ გამოუქვეყნებელი ძველი ტექსტების გამოცემის შემდეგ შეიძლება აღმოჩნდეს ასეთი მაგალითები. სხვა არა იყოს რა, ვაჟას გახმაურებული ლექსის ეწადა (ეწადა ბეჩაეს ადგომა, მაგრამ ვალარა დგებოდა) არ უნდა იყოს პოეტის მიერ შექმნილი და პირველად გამოყენებული: ეწადა და მსგავსი ფორმები ძველი ქართულის სიღრმეებიდან მოდის. თუ იღვეს არა ჩანს, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ არც ოდესმე არსებულა.



## E. პარალელური (სინონიმური) შენაცვლება

აქ განვიხილავთ ისეთ შენაცვლებას, რომელშიც სათანადო ფორმები არც რიცხვის მიხედვით ენაცვლება ერთმანეთს, არც გეარისა თუ სხვა რომელიმე კატეგორიის მიხედვით ღვანან ერთჯეროთის გვერდით. მხედველობაში გვაქვს უმთავრესად უთხრა და პრქუა ზნეები. ძველ ტექსტებში ისინი ძალიან ხშირად გვხვდება ერთსა და იმავე ძეგლებში ერთმანეთის პარალელურად. ამ ზნეებს თანაბრად ეხედებით მხოლოდობისა და მრავლობითში (სუბ.): ვარქუ, არქუ, პრქუა, ვარქუთ, არქუთ, პრქუეს... უთხარ, უთხარ, უთხრა, უთხართ, უთხართ, უთხრეს... შეუძლიათ პირდაპირი ობიექტის გამოხატვატ. პირველს—ძველად. მეორეს — ადვილად; II სერიის მწკრივითა ფორმების წარმოების უნარიც თანაბრად მუშაობათ: პრქუა, პრქეს, პრქუას... უთხრა, უთხრის, უთხრას... ესაა, რომ პირველს არ მოეპოვება I სერიის მწკრივები, მეორეს — კი: უთხრობს, უთხრობდა, უთხრობდეს, უთხრობდენ. ამ დანაკლისს პრქუა ინაზღაურებს ეტყეს, ეტყოდა, ეტყოდის ფორმების სესხებით ანდა თვით უთხრა-ს I სერიის ფორმების გამოყენებით: უთხრობს, უთხრობდა, უთხრობდეს.

ორივე განსახილველი ზნა სამიზიანია. პირველი ანაირი საარვისო ქცევის ფორმებით იხმარება (ვარქუ, არქუ, პრქუა...), მეორე — სასხვისოთი (მითხრა, გითხრა, უთხრა... ). სხვა ქცევის ფორმები მათ არ გააჩნიათ. მართალია, აქა-იქ გვხვდება პირველის სათაისო ქცევის ფორმებიც. მაგალითად: ხოლო თქვენ პირქუამთ თაეთა თქვენთა მოძღუარს (მ. 23,8 C); მოძღუარს ნუ ირქუამთ თაეთა თქვენთა (მ. 23,10 C), მაგრამ აქ რქუა ზნის მეორე მნიშვნელობასთან გვაქვს საქუ, ესაა სახელის წოდება, სახელის ღარქუა. თხრობის მნიშვნელობით. ეიმორებით, რქუას-ს სხვა ქცევის ფორმები არ მუშაობება.

ენებითის ფორმები არც ერთს არ გააჩნია, საჭიროების შემთხვევაში ორივე ტყუ ძირის ფორმებს სესხულობს: ეტყეს, ეტყოდა, ეტყოდის. მაგრამ ამ ენიან ფორმებს დიდი ხანია მოქმედებითის შინაარსი აქვს მიღებული და მათ ახლა (არც ძველ ქართულში) ენებითად ვერ მივიჩნევთ. განსახილველი ზნეები სისტემატურად ენაცვლება ერთმანეთს, ერთსა და იმავე ძეგლში ერთ ხელნაწერში ერთი რომ იკითხება (ვთქვათ, უთხრა), მეორეში მეორეს ეხედავთ (პრქუა). მაგალითად, წარუჭ-პარხლის ოთხთავებში ჩვეულებრივ უთხრა, უთხრას... რომ გვხვდება, აღიშნის ოთხთავი ამთ ნაცვლად, ასევე ჩვეულებრივ, პრქუა, პრქუას ფორმებს იყენებს. ქვემოთ ჩვენი მიხვნებისათვის ამ ორი (DE და C) რუდაქციების მონაცემებს წარმოუდგენთ. აი, სათანადო მაგალითებიც:

სუუთუ ქუეყანისაი გითხარ (გითხრა D) თქვენ (ი. 3,12 E).

მღრ. ხოლო აწ ქუეყანისაი ესელა გარქუ თქვენ: C.

გითხარ თქვენ, და არა გრწამს (ი. 10,25 DE).

მღრ. გარქუ თქვენ, და არა გრწმენა ჩემი: C.

რომელან მითხრა მე ყოველი, რაიცა ექმენ (ი. 4,29 DE).

მღრ. რომელან პრქუა მე ყოველივე: C.

წარვიდა ქალაქად და უთხრა კაცთა მთ ქალაქისათა (ი. 4,28 DE).

მღრ. შევიდა ქალაქად, პრქუა კაცებსა მას: C.

მოვიდეს მონანი იგი და უთხრეს სახლისა უუალსა მას (მ. 13,27 DE).

მღრ. მოვიდეს მონანი იგი მამასხლისისანი და პრქუეს მას: C.

უთხრეს იესუს მისთვის (მრ. 1,30 DE).

შდრ. მუნქუესეე არქუეს მას მისთვის: C.  
მითხარ ჩუენ, ოდეს იყო ესე (მ. 24,3 DE)

შდრ. მარქუ ჩუენ, ოდეს ყოფად არს ესე: C...

ორიოდე შემთხვევაში რიგი შებრუნებულია: რქემა DE-ში გვაქვს, თხრობა — C-ში: მოვიდა ფილიპე და არქუა /უთხრა C/ ანდრიას (ი. 12,22 DE).

შდრ. იხილეს და არქუეს /უთხრეს C/ (მრ. 6,38 DE).

თუ, მაშასადამე, ასეთ და აღიშის ხელნაწერი ჩვეულებრივად და უმთავრესად არქუა ზნის ფორმებს იყენებს, როგორც იქვეა იგი იმ შემთხვევაში, როცა DF: და სხვა ხელნაწერები I სერიაში უთხრობდა 'ხმას ხმარობს? I სერიაში კი, როგორც ცნობილია, არქუა და მისთანანი არ იხმარება. გამოსავალი სხვადასხვაა.

ა) ზოგჯერ აღიშის ოთხთავი ისევე თხრობა ფუქსის მიმართავს, მაგრამ I სერიის ნაცვლად ჩასვამს II სერიაში:

უთხრობდეს მათ, რომელთა-იგი ეხილვა (მრ. 5,16 DE)

შდრ. მოუთხრეს მათ, რომელნი-იგი ხედვიდეს: C.  
უთხრობდეს მოციქულთა ამას (ლ. 24,10 DE).

შდრ. რომელთა უთხრეს ესე მოციქულთა მათ: C.

ბ) აქა-იქ აღიშის ოთხთავი ტყუ ფუძიან მონაცვლეს იყენებს:

ხოლო მათ არა ცნეს, რამეთუ მამასა თვისსა უთხრობდა მათი (ი. 8,27 DE)

შდრ. არა გულისხმაყვეს, რამეთუ მამისა თვისისათვის ეტყოდა მათ: C.

გ) რამდენიმე შემთხვევაში აღიშის ოთხთავი, როგორც სხვა რელაქციები, ამ ზნის I სერიის ფუქსის ტოიებს:

არქუა მას იესუ: იხილუე, ნუვის უთხრობ (მ. 8,4; მრ. 1,44 CDE).

ნუვის უთხრობთ ხილუასა ამას (მ. 17,9 CDE).

უთხრობდეს მას სხუანი იგი მოწაფენი (ი. 20,25 CDE).

იმეიათად შებრუნებული რიგიც არის: I სერიის ფორმა სწორედ აღიშის ხელნაწერს აქვს წარმოდგენილი, ხოლო DE II სერიისას გვიჩვენებს:

რადითა არაეის უთხრობდენ მისთვის (მრ. 8,30 C); შდრ. უთხრან DE.

ბოლოს, კვლავ უნდა გავიმეორო, რომ ამ პარალელური ფუქსების ხმარებაში (აღიშისა და სხვა ხელნაწერებში) რაიმე განსხვავებული შინაარსი არ უნდა ჩანდეს, ისინი სრულიად ერთი მნიშვნელობისანი არიან, ერთნაირი ნიუანსის ფორმები, და ვის რომელი უფრო მოსწონს, უფრო ხშირად იმას ხმარობს. ესენი ბუნებრივი სინონიმური ფუქსებია, რომლებიც შეიძლება სხვადასხვა დიალექტური წრიდან მომდინარეობდნენ. ასეთი პარალელური ფორმები, რომლებიც წარამარა ენაცვლებიან ურთიერთს და შინაარსითაც სრულებით არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, სხვაც ბევრია ძველ ქართულში (ძალ-მიტ, მიძლავს, შემძლებელ ვარ...). აქ ერთ-ერთ ასეთ პარალელურ ფორმაზე კიდევ ვიტყვი: ორიოდე სიტყვას.

ეს წყვილია იქნას და .ყოყს (ქნა — ყო), რომლებიც ასევე სისტემატურად გვხვდება ერთმანეთის მიანაცვლედ. ეს ზნები, გასაგები მოხუხის გამო, ძალზე ხშირად იხმარება ყოველ ენაში და ძველ ქართულშიც ასევე ბევრჯერ ვხვდავთ ერთმანეთის გუქრად.

ვერ ვიტყვი, რაიმე ისინი აბსოლუტურად ერთნაირი მნიშვნელობისა არიან და ყველგან ერთნაირი სიხშირითა და რაოდენობით ენაცვლებიან ერთმანეთს. ვარკვეულ შემთხვევებში ჩნა მეტია ყოფა-ზე, იგი შექნას, გაიქნას აღნიშნავს. "ლაბალებას"

(ბიბლიას, საერთოდ, და, კერძოდ, მის პირველ წიგნს, სადაც ქვეყნის შექმნასა და განენახუა ლაპარაკი) მეორენაირად ტყუილად არ ქვეა "შექმნათაი". შექმნა, განენა გაცილებით მეტია, ეიღრე უბრალო გაკეთება.

შეიქმნა ზმნიდან გეაქეს ისეთი მანაარსობრივად ლაიტერიოული მიძლეობები, როგორიცაა მოქმედი, შემოქმედი, რომელიც შემქმნელის, გამშენის მინაარსით იხმარება და ამ გაგებით "ღამბაღბელს" უტოლდება, ე.ი. იგი აქ დმქრთას სინონიმა. ყოფა-ს კი ამ ტიპის მიძლეობა (ყოფელი) იშეიათად ეწარმოება და მამინაც უბრალო გამკეთებელს, მქმნელს აღნიშნავს და არა შემქმნელსა და შემოქმედს, გამშენსა და ღამბაღბელს (ძველი გაგებით). აი, ორიღე ნიმუში: იყენით მყოფელ სიტყვსა მის და ნუ ხოლო მსმენელ (იაკ. 1,22 უკვე არსებული, სხვის მიერ შექმნილი სიტყვის უბრალო შემსრულებელი იყავი); არა მსმენელნი შჯ:ულისანი განმართლდენ წინაშე ღმრთისა, არამედ მყოფელნი შჯ:ულისანი განმართლდენ (პრომ. 2,13).

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ამ ორ ფართოდ გავრცელებულ ზმნას გვერდში უდგას კიდევ დაახლოებით ამავე შინარის შესაძე ფუძე — ზამ: ეზამ, ქზამ, ზამს, ეზამთ, ქზამთ, ზემნ, ზემლ, ეზმიღეთ. ეს კია, რომ იგი მხოლოდ 1 სერიაში იხმარება და ისიც იშეიათად (არა ყველა მწკრივში).

საინტერესო სურათს გვიჩვენებს სხვადასხვა ხელნაწერში ღაცული ერთი და იმავე ძველის მონაცემების შედარება ერთმანეთთან. ხშირად, როცა ერთ ხელნაწერში ყოფა ზმნის ეს თუ ის ფორმა წარმოდგენილი (ეიქვათ, იყოფდეს), მეორეში მას ენაცვლება ქმნა ფუძის სათანადო მაგალითი (იქმოდეს).

გვევე უნდა ითქვას ზამ ფუძის შესახებაც: მასაც ერთ შემთხვევაში ქმნა ენაცვლება, მეორეში — ყოფა: ქზამთ — იქმთ, ქზამ — იყოფ, მაინც უნდა ითქვას, რომ 'ზამ-ს უფრო ხშირად ქმნა ენაცვლება. ქზამ — იყოფ (იყოფ — ქზამ) შეუფარდესა უფრო იშეიათა.

ეს დაპირისპირება (ქმნა — ყოფა / ყოფა — ქმნა) დადასტურებულია მოქმედებითშიც და ენებითშიც, აგრეთვე საწყისსა და მიძლეობებშიც.

ქართული ოთხთავის ორ ძველ რედაქციაში ამათი ხმარების არე სხვადასხვაგვარია: DE უფრო ხშირად ქმნა ფუძეს იყენებს, C — ყოფა-ს. ასეთი შენაცვლება გეხვდება 27-ჯერ (ზოგი საღაეო მაგალითის გაუთვალისწინებლად), შებრუნებული რიგი კი (ყოფა DE — ქმნა C) — 14-ჯერ. როგორც ეხვდაეთ, აღიძის ოთხთავს არჩევანი უმთავრესად ყოფა-ზე შეუწერება, DE-ს კი ქმნა-ზე (იშეიათად თითოეულ მათგანს სრულიად სხვა ფუძეც ენაცვლება ხოლმე). ზოგჯერ ეს სხვადასხვაგვარი ფუძე ერთისა და იმავე ადგილას სხვადასხვა მწკრივში (ხან სერიაში) დგას, მაგრამ ეს კი არ არის მთავარი, არამედ ის, რომ ასეთ შემთხვევაშიც ხელნაწერებს სხვადასხვა ფუძე აქეთ გამოყენებული, და ჩვენც სწორედ ფუძე გვანტერესებს.

მეორე ძველი, რომელიც ამ თვალსაზრისით შევისწავლეთ, "ეზბიელის წინასწარმეტყველება" იყო<sup>11</sup>. ამ გამოცემაში კარგად არის წარმოდგენილი ორი (1 და 2) რედაქციის ტექსტები. ყოფა და ქმნა ფუძეების ხმარების გარკვეული კანონზომიერება აქ უფრო ნათლად ჩანს: საერთო 75 შემთხვევიდან ყოფა 4 — ქმნა

<sup>11</sup> ეზბიელის წიგნის ძველი ქართული ვერსიები: ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკლეკა და ლექსიკონი ღაცროო თ. ცუცტიშვილს, 1976.

ღ შეფარდება ვაცილებით სჭარბობს შებრუნებულ რიგს: ქნა ლ — ყოფა ლ. პირველი 63 შემთხვევაშია, მეორე — 12-ში.

თუ ორივე ვანხილული ძველის მონაცემებს ერთმანეთს შეეუდარებთ, ნათლად გამოიკვეთება საერთო დასკვნა: რამდენადაც რედაქცია (ხელნაწერი) ძველია, იმდენად იგი უპირატესობას ყოფა ფუძეს ანიჭებს, და რამდენადაც იგი მოვიანო ხანისაა, იმდენად ქნა ფუძეს ირჩევს. პირველ ჯგუფს მიეკუთვნება ოთხთაიის C რედაქცია (ადიშის ხელნაწერი) და ეზეციელის ლ რედაქცია, მეორეს — ოთხთაიის DE (ჯრუჭ-პარხლის) ხელნაწერები და ეზეციელის ლ (გიორგისეული) რედაქცია. რიცხვებით რომ გამოვხატოთ, გვექნება: ყოფა — ქნა შეფარდება უდრის 90 : 26, ანუ დაახლოებით 78% : 22%. კიდევ ვიმეორებთ, ყოფა — ქნა ფუძეთა შენაცვლებისას ძველ რედაქციებს (ხელნაწერებს) ვაცილებით უფრო ხშირად ყოფა აურჩევიათ (78%), ხოლო უფრო გვიანდლებსა და უფრო ახლებს — ქნა (22%). ეს დასკვნა სხვა შემთხვევაში შეიძლება ზოგი სადავო თარიღის გარკვევაში დაგვეხმაროს.

დასასრულ, ორიოდ სიტყვა ამ პარალელური შენაცვლების შესამე, ნაკლებად გამოყენებული, წერის — ზამ ფუძის — შესახებ. როგორც აღინიშნა, პრაქტიკულ ტექსტებში ზამ ხან ყოფას უღვას გვერდით, ხან — ქნას-ს, სხვაგან კენტად იხმარება, საერთოდ კი, გაქსოვიანობა, ნაკლებად გვხვდება. აი, უფრო ტიპური ნიმუშები:

გრქუან შენ: რასა-ვეგ ჰზამ (ეზეკ. 12,9 ლ) — რასა ყოფ შენ ლ; შენ რასა ზამ და რაი ქეს შენი აქა (მსაჯ. 18,3 M) — რასა ყოფ G; რასა ჰზამთ /ზამთ D/ და აღქსნით კიქუსა მავას (მრ. 11,5 ლ) — რასა იქსთ C; ამას არა შიქისათვის სიკუდილისა ჰზამთა (ბალ. 17,22 ლ) — იქსთ ლ; იხილე, რასა ჰზამენ /ზამენ E/ მოწაფენი შენნი შაბათსა შინა, რომელ არა ჯერ-არს ყოფად (მრ. 2,24 — რასა იქსან შაფათსა შინა C. აქ ერთსა და იმავე მავალითში ორი პარალელური დაპირისპირება: რასა ჰზამენ — რასა იქსან და რასა ჰზამენ — რომელ არა ჯერ-არს ყოფად (ზამ/ყოფ/ /ქამ!); იხილე, რასა ესენი ზამენ (ეზეკ. 8,6 ლ) — რასა ესენი იქსან ლ.

ეს საინტერესო ზმნა დღესაც შედარებით შებოჭილად იხმარება, სრულებით არა აქვს II და III სერიის შწკრეები, I სერიაში არ მოეპოვება ძველებური ნულიანი საარვისო ქცევის ფორმები (ეზამ, ჰზამ, ზამს...), სამაგიეროდ ხშირია სათაიისო ქცევის ხმარება: ეიზამ, იზამ, იზამს, ეიზამდი, იზამდი, იზამდა, ეიზამდე, იზამდე, იზამდეს. იშვიათად თვით სასხვისო ქცევის ფორმებსაც შეხვდება კაცი: რას უზამ, რას უზამდა.

ძველ ქართულში სხვაც არა ერთი და ორია ფუძემონაცვლე ზმნა, მაგრამ აქ წარმოდგენილი მასალა ვიკმართ და მორიგ საკითხზე გადავიდეთ.

## XIII. რთული ზმნები

ძველ ქართულ ენაში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ე.წ. რთული ზმნები<sup>114</sup>. ამ ტერმინით აღენიშნაეთ ისეთ ზმნებს, რომლებიც შედგება ორი ნაწილისაგან. ერთი მათგანი (პირველი) სახელია ფართო გაგებით, მეორე კი — ზმნა. ესენი შეერთებული და შედუღებული არიან, ერთ ცნებას გამოხატავენ, ერთი მნიშვნელობა აქვთ. როცა, მაგალითად, ძველ ქართულში შეგვხვდება "კაცმან მან ღაღაღ-ყო", ეს მხოლოდ ამას ნიშნავს: ხმაამღლა დაიძახა, იყვირაო. ასევე ბრძოლა-სცა იქნება: შეებრძოლა, ბაგე-უყო; დასცინა, აღთქემა-ყო; დაპირდა, აღუთქვა. შეურაცხ-ყო; არაფრად ჩააგდო (არაფრად მიიჩნია), ჯერ-იჩინა; საჭიროდ მიიჩნია (ნათვალა). გზა-გაყვე; გაგყვები, გაგაცილებ და სხვა მრავალი. აქ ცალკე შემადგენელ ნაწილებს (სახელებსა და ზმნებს) ზუსტად თაე-თაეისი მნიშვნელობა კი არა აქვთ. არამედ ორივეს ერთი, ახალი, შინაარსი აქვს შექმნილი, ორივე ერთ მნიშვნელობას შეიცავს, ერთ ცნებას გამოხატავს. აღამიანთა აზროვნების განვითარების უძველესი საფეხურებისათვის სწორედ ესაა ღამახასიათებელი: რთულ ცნებებს გამოხატავენენ სათანადო სიტყვების შეერთებით, ცალკე, ერთსიტყვიანი, ტერმინები ნაკლებად გვხვდება. ეს მხოლოდ გვიანდელი, განვითარებული, აზროვნების ნაყოფია.

ზემოთ ითქვა, რთული ზმნის პირველი შემადგენელი ნაწილი ფართოდ გაგებულ სახელიაო. აქ იგულისხმება, კერძოდ: არსებითი სახელი (არა კაც-ქალი, ადგილ-ეც, თავ-უცაე, თავს-იღვა...<sup>115</sup>), ზღვსართაეი (უძლებ-ქმნა, წმინდა-ყო, უღებ-ყო, უგულბელ-ყო, შეურაცხ-ყო...), საწყისი (ხრახე-ყო, ღვენა-უყო, ძიგსა-ყო, ღოცა-ყო...), მიმღობა (სრულ-ყო, უხრუნველ-გყენეთ, კრულ-ყო...).

სახელადი ნაწილი რთულ ზმნაში ყოველთვის მარჯვლად იღებება, მისი აქედან დაძერა და ბოლოში გადატანა შეუძლებელია. ამიტომ ჩვენ არ ვთვლით მარაუბულად, როცა შესაძლებლად მაჩინათ სახელადი ნაწილის ბოლოსკენ გადატანა. მაგალითად, ე.კალანდაძე თაეის ერთ შრომაში შენიშნავს: სახელი, როგორც წესი, წინ უსწრებს ზმნას<sup>116</sup>. არა როგორც წესი, არამედ ყოველთვის. თუ ეს წესი

<sup>114</sup> რთულ ზმნას ზოგი მკვლევარი კომპოზიტს, კომპოზიტ ზმნას ეწოდებს. ე.ბაქრაძის, კომპოზიტ ზმნები ძველ ქართულში (თხუ ასპირანტთა V სამეცნიერო კონფერენცია, მოხსენებათა თეზისები, 1951, გვ. 21-22); ე.იხიძე, "ღაღაღ-ყო" ტიპის ზმნები ძველ ქართულში (ივე, 12, 1961, გვ. 270) და სხვ. ამ ტიპის ზმნებისათვის ნ.მარხ გამოყენებული ჰქონდა ტერმინი "აღწერილი ზმნები" (Грамматика древнехитературного грузинского языка, СПб. 1925). რომელიც მოსახერხებელია ჩათვალოს და გამოიყოს სხვებმა (იხ. რ.ენუქაშვილი, აღწერითი ზმნები ახალ ქართულში, ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, 2, 1975, გვ. 37—41). ჩვენ ვეთუქვობთ, რომ ტერმინი "რთული ზმნები" დამკვიდრდა ენაში და იგი უნდა დარჩეს.

<sup>115</sup> ზოგი მკვნიერი ამ ტიპის რთულ ზმნებს (სიტყვა-ვიგუბო, ჯუარს-აუცხვ, ჯუარს-უეუა, თავს-იღებოთ...) შედგენილ შემასმენლად თვლის (იხ. ქ.მარჭვილი, ენოტიკური ხმოვანი ძველ ქართულში: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, 1956, გვ. 219), რაც არაა სწორი: აქ მხოლოდ რთული ზმნა და არა შედგენილი შემასმენელი.

<sup>116</sup> ე.კალანდაძე, აქადემიკოსობს და შეურაცხყოფის ტიპის ზმნების მართლწერისათვის

ღარიღვა, მაშინ აღარ გვექნება რთული ზმნა, მაშინ სახელი და ზმნა ცალ-ცალკე კრთიულულები იქნება, თითოეული ცალ-ცალკე შეიცვლება: სახელი — ბრუნვასა და რიცხვში, ზმნა — ზმნურ კატეგორიებში. ასეთი აზრი სხვებსაც გამოუთქვამთ, მაგრამ მათ ვერ დაეთანხმებით.

მაგრამ რთული ზმნის I შემადგენელ ნაწილად, სახელის გარდა, ხშირად გვევლინება აგრეთვე ფორმაუცვლელი სიტყვები, განსაკუთრებით ზმნიზედები, როგორცაა: გარე, ზედა, თანა, შინა, შუა (შოვა), წინა. მაგალითად:

გარე-მოგადგენ, გარე-მოაკრბან, გარე-მოვასხნე, გარე-მიაქცია, გარე-მოიქცა, გარე-წარვაქცინით, გარე-წარვდა...

ზედა-დაადგინენ, ზედა-მოადგეს, ზედა-მომივალოთ, ზედა-მიუღეს, ზედა-მოუღეს, ზედა-მიუტყენეს, ზედა-დაგვრიოს, ზედა-მიაწიე, ზედა-მიიწიე...

თანა-აღიბასკა, თანა-წარქულით, თანა-შეეზავა, თანა-ეზიარებით, თანა-ემსგავსნით, თანა-წარიტანა, თანა-აღვრეით, თანა-შთაქცვა, თანა-წარესცოდავთ, თანა-შემრაცხე, თანა-წარიცთუნე, თანა-შეპრთავს, თანა-შეერთო, თანა-შეეტყუების, თანა-შეეწოდა...

შინა-განსცემდენ

წინა-დაუღვა, წინა-აღუღგეს, წინა-დაგვყრის, წინა-დასცვთა, წინა-წარუძლუა, წინა-წარუძლუნა, წინა-განეწყობიან...

ამ ორი ტიპის რთულ ზმნებს შორის ერთი თვალსაზრისით მკვეთრი განსხვავებაა: როცა I შემადგენელ ნაწილად სახელია, ზმნა ყოველთვის უზმნისწინოდ იხმარება, თითქოს ზმნისწინის ფუნქციებს ეს სახელები ასრულებენო. მაგრამ როცა რთული ზმნის I შემადგენელ ნაწილად ზმნიზედებია, ზმნა, ჩვეულებრივ, ზმნისწინს დაირთავს, მხოლოდ პირველ ნაწილს აღარ ძალუძს ზმნის გეზის, ორიენტაციისა და სხვა კატეგორიების გამოხატვაში აქტიური მონაწილეობის მკლება. ზემოთ თქმული აბსოლუტური ხასიათისა არ არის. თითო-ორჯულა საწინააღმდეგო შემთხვევა არის მხოლოდ ერთ მხარეს (ზმნიზედების დართვისას), მაგრამ, როგორც წესი, გარე, ზედა, თანა და მისთანათა დართვისას ზმნისწინიც აქვს ზმნას, სახელებთან კი — არა. მაგალითები:

ა) ერთი მხრივ, გვაქვს: შიშთილი-ობა, დაღად-ყო, წილ-იგდეს, თუალ-აგნა, სიტყუა-უგო, სახელ-სდუა, ველით-იგდოს, ველით-იდუა, თაეს-იდუა, აღერ-ასხნა, გულს-იდგინეთ, ინავ-იდგა, კაც-ქცლა, სულთ-ითქუნა, მადლ-იყრა, ნათელ-ილო, ნათელ-სცა, გულად-ილო, თუალ-ახუნის, გულს-ეტყვენ, სათნო-იჩინა, ბრძოლა-სცა, გზა-სცა, ვმა-სცემდეს, ჯვარს-აცუა, ველ-იწიფა, ამბორ-უყო, ბრძოლა-უყო, დენა-უყო, დრო-უყო, თუალ-უყო, იავარ-ყო, ლოცვა-ყო, გზა-უყო, მზირ-უყო, მიზეზ-უყო, პატივ-უყო, საენე-ყო, სისრა-უყო, სრულ-ყო, უკულებელ-ყო, დაღად-ყო, შებმა-უყო, წამ-უყო, წმიდა-ყო, წყალობა-ყო, წყობა-ყო, ველ-ყო, ვმა-ყო...

ბ) მეორე მხრივ კი, არის ზმნისწინიანი ფორმები: გარე-მოგადგინენ, გარე-მოგადგა, გარე-წარვიღეს, გარე-მოქელის, გარე-განივლტოდა, გარე-მოზღუდე, გარე-ვანუიხედა, გარე-მოაკრბიან, გარე-მომასხთ, გარე-მოვასხნე, გარე-მოერთხა, გარე-შეერთყა, გარე-წარქაქრინვიღეს, გარე-მიაქცევ, გარე-წარვაქცინით, გარე-მოიქცა, გარე-უწინიქციოდეს, გარე-მოიციეს, გარე-მოიციენენ, გარე-წარმოცოდა, გარე-

წარმყადე, გარე-განჯაღნეს, გარე-წარაქადა...

ზელა-ლაღინენ, ზელა-მოაღგეს, ზელა-მოძივალთ, ზელა-მიეტეუნეს, ზელა-მოიწიე, ზელა-მოჴიელ, ზელა-შეჴიელეს, ზელა-მოჴიელეს...

თანა-წარკეაღს, თანა-შეეზავა, თანა-ეზიარებოთ, თანა-წარიტანა, თანა-შეერაცხა, თანა-შერიტინენ, თანა-წარეჩენეს, თანა-წარაყენისა, თანა-შაჴიკეა, თანა-შეეტეუების, თანა-წარსცა, თანა-წარმყოლა, თანა-შეეწეოლა, თანა-წარაქადა, თანა-წარკეაღით...

შინა-განსცემუნ

წინა-ლაღუღა, წინა-ლაღუღა, წინა-აღუღა, წინა-მოუთხრა, წინა-ღასცვთა, წინა-წარვიღდე, წინა-წარუღღანა, წინა-განეწყობიან...

ამ შწყობრი სისტემის გვერდით, როგორც ითქვა, უკანასკნელი ტიპის როლს ზმნებს ზმნიზღებთან, ისევე როგორც სახელებან, აღარ მოეპოვებათ ზმნისწინები და ესენი უფრო ძველ წარმოებას მისდევენ:

ზელა-ელეა, ზელა-ქხელაქს...

თანა-ექცეოლა, თანა-ზრახვილეს, თანა-ქეა, თანა-ღიცის, თანა-გელეა, თანა-ენამები, თანა-უღვა, თანა-უღვა, თანა-ქუნესის, თანა-ელმის, თანა-ემსგავსებინ, თანა-ურბიოლა, თანა-უნყოლა, თანა-ექმოლა...

წინა-უგეეს, წინა-უყიოლა (შღრ. წინა-ღაგეკეყრის), წინა-უქლოლა...

რით უნდა აიხსნას ამ უკანასკნელთა შედგენილობაში ზმნისწინის უქონლობა? ამ ზმნათა ღიღ ნაწილს ზმნისწინი საერთოდ არ ღაერთვის მაშინაც კი, როცა ზმნა ცალკე, ზმნიზღის გარეშე, იხმარება. მაგალითად: თანა-ზრახვილეს (ელაპარაკებოდნენ): ზრახავს, ზრახვილა, ზრახვილეს, ზრახვილენ. არ ითქმის: მიზრახავს, მოზრახავს, აზრახავს, შეზრახავს, წარზრახავს (განიზრახავს სულ სხვა და ზმნისწინითაც იხმარება). ასევე უნდა ითქვას იცის (თანა-ღიცის), უწყის (თანა-უნყოლა), ელმის (თანა-ელმის), ქუნესის (თანა-ქუნესის), უგეეს (წინა-უგეეს) და მათ მსგავსთა შესახებაც, რომლებთანაც ძველ ქართულში ზმნისწინი არასოდეს არ იხმარებოდა. ეს თვისება მათ გაღმოქეათ როდელი ზმნების შემადგენლობაშიც.

ამგვარად, შეიძლება დავასკვნათ: როცა რიული ზმნის პირველ შემადგენელ ნაწილს სახელი წარმოადგენს, ზმნა უზმნისწინოდ იხმარება, მას ზმნისწინი არ შეიძლება ღაერთოს. ხოლო როცა ამ ადგილას ზმნიზღა აღმოჩნდება, ზმნაშიც ზმნისწინია წარმოდგენილი: ღრო-მუც, ადგილ-ეც, პატიე-სცა, ნათიელ-სცა, გზა-სცა, ბრძოლა-სცა, მგვრამ: შინა-განსცემუნ, თანა-წარსცა. კიდევ გავიშორებთ: პირველი შემთხვევა, როცა გარკვეულ პირობებში ზმნა მხოლოდ უზმნისწინოდ იხმარება, ქართული ენის განვითარების უძველეს პერიოდს ასახავს, როცა ზმნაში ზმნისწინი ჯერ კიდევ არ იყო შესული, ზმნები უზმნისწინოდ იხმარებოდა. უკვე ეიცით, რომ თვით ძველ ქართულში ზმნისწინს ჯერ კიდევ არა აქვს მოპოვებული ისეთი ძალა და ბეჭი ისეთი თვისება, რითაც ის ახალ ქართულში ხასიათდება. ერთი სიტყვით, ზმნისწინი ზმნის გვიან, ძალთან გვიან ღაერთო და არცაა ვასაკერი. თუ ის ისეთი უძველესი წარმოშობის ფორმებში არ გვხვდება, როგორიცაა: ბრძოლა-სცა, ადგილ-სცა, თაე-უყო, ღაღად-ყო და მისთანანი.

ზემოთ ითქვა, რომ როდელი ზმნები ერთი ცნების გამომხატველი მყარი ფორმებია, მათი გათიშვა და გაღასმ-გაღმოსმა არ შეიძლება. ამ ღებულებას, რასაკერივღელია, ვერ შეარყეეს ის გარემოება, რომ ზოგჯერ როდელი ზმნების შუაგასაყარზე ჩნდება სიტყვა (სიტყვები), რომელიც სახელადსა და ზმნურ ნაწილს

შორის თავსდება. ამ მოვლენას განკვეთას (ტემესს) ეძახიან და იგი კარგადაა ცნობილი სამეცნიერო ლიტერატურაში. აი, რითულ ზმნებში ტემესის გამოვლენის ორიოდე მაგალითი: ველ-მე-ეწიყებისა ძეთა სიძისათა ვლოვად, ვიდრემდის სიძე იგი მათ თანა არს (მ. 9, 15); არცა ველ-ვის-ეწიყების შესლვად სახლსა ძლიერისასა (მრ. 3, 27 D); ველ-თუჟცა-ეწიყებოდა, გამო-მცა-უსწრო დღედ დროდმდე წესისა თვისისა და იხილამცა დედაი უჟღისაი მოსრულ (სინ. 207, 11); ჯერ-თუ-არს ქმრისა ცოლისა დატყეხვად (მრ. 10, 2 C).

მაგრამ აქ წესის არავითარ დარღვევასთან არა გვაქვს საქმე. ეს მოვლენა, ტემესი, გვაქვს თვით მარტივ ზმნაშიც. რაღა გასაკვირია ამის შემდეგ, რომ ტემესი რითულ ზმნაშიც გამოვლინდეს. პირიქით: ასეც უნდა მოიხდარიყო, რადგან, როგორც ცნობილია (ი. იმანიშვილი, ჭ. თიყუხაძე...), რითულ ზმნაში პირველი ნაწილი (სახელი ფართო ვაგებით), ერთგვარად ზმნისწინის როლს ასრულებს. სწორედ ამიტომაც, რამ ზმნას ნამდვილი ზმნისწინი არ ერთვის. ტემესი სწორედ სახელადი ნაწილის შემდეგ გვაქვს, ჩამატებული სიტყვა ზმნისწინს უნდა მოჰყვებოდეს. ერთი სიტყვით, ტემესიანი რითული ზმნების მთლიანობა და როგი ტემესის გამო კი არ ირღვევა, პირიქით, მტკიცდება, მყარი ხდება და შეუქალი.

რითული ზმნების ერთი დიდი ნაწილი მხოლოდ II სერიის მწკრივებში გვხვდება: ღაღად-ყო, ემა-ყო, შებმა-უყო, ბრძოლა-სცა, აღვილ-სცა, დრო-მეც, გზა-მეც, ვულად-ილო, მეტლად-ილო, ყურად-იყო... მათ, ჩვეულებრივ, არა აქვთ I და III სერიის ფორმები. ეს ვარემოებაც სწორედ მათს სიძველეზე მეტყველებს... ქართულში ხომ, რიგობრივ ითქვა, ყველაზე უფრო ძველი სწორედ II სერიის ფორმებია. I და განსაკუთრებით, III სერია გაცილებით უფრო გვიან არის ჩამოყალიბებული და ამიტომაც, რომ შორეული წარსულის ვადმონამოები უფრო ფართოდ და ხელშესახებდა II სერიაშია დარჩენილი.

შემთხვევითი არც ის ვარემოებაა, რომ რითული ზმნების უმეტესობა ზმნურ ნაწილად ყოფა-ს იყენებს, ერთ-ერთი უქველეს ზმნას.

დასასრულ, აქ კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ ამ საინტერესო ზმნის ერთ თავისებურებას: ხომ ასე ხშირად იხმარება იგი რითული ზმნების მეორე, ზმნურ, ნაწილად და მთელი ფორმის ნამდვილ ბატონ-პატრონად, მას პირველ შემადგენელ ნაწილად აქვს მხოლოდ სახელები და არა ზმნიზებები: გარე, ზედა, თანა, შინა, წინა შეუძლებელია შეგვხვდეს მასთან<sup>11</sup>. ამიტომაცაა, რომ თვით მას (ყოფას) რითულ ფორმებში ზმნისწინი არასოდეს არ ერთვის: არ არსებობს თუნდაც ერთი მაგალითი, სადაც რითულ ზმნაში ყოფა-ს ზმნისწინი დაერთოდა. მაგრამ რაღა შორის მივიღივართ. ყოფა ზმნას ასეთივე თვისება აქვს მაშინაც, როცა იგი ცალკე, მარტივი ზმნის სახით იხმარება, მას არც ერთი ზმნისწინი არ დაერთვის. ეს ზმნა უზმნისწინოდ იხმარება ყველან, როცა ის ძველი, პირველადი მნიშვნელობით არის გამოყენებული — ესაა "კეთება". ესაა ამ ფუძის უქველესი, პირველადი მნიშვნელობა. ჩვენს მსჯელობაშიც ყველგან სწორედ ეს მნიშვნელობა იგულისხმება.

მართალია, ამ ფუძეს შემდეგ და შემდეგ ზმნისწინებიც დაერთო და თითოეულმა მათგანმა მას სხვადასხვა მნიშვნელობა მიანიჭა: აღყოფა (აღყენა ველნი თვისნი ზეტად); გაყოფა, დაყოფა, მიყოფა (მიყენა ველნი), მოყოფა, შეყოფა, შოა-

<sup>11</sup> თითო-ერთი კვიანდელი მაგალითი, რომელსაც აქა-იქ ვხვდებით და სხვების ანალოგიით უნდა იყოს ვარაუდი, საერთო სურათს ოდნავაც ვერ შეცვლის.



ყოფა. წარყოფა და სხვანი, მაგრამ, ჯერ ერთი, ეს შეღარებით ახალი შენაძენაა, როცა ზმნისწინამ მჭიდროდ დაიჭირა თავისი ადგილი ზმნაში და ზმნის მინაარსის განსაზღვრაში მოთხოვნილია. მეორე: აქ აღნიშნული ზმნისწინაანი ფორმებიდან არც ერთი არ შეიტაცეს ძველ მნიშვნელობას — „ყოებას“, ყველა მათგანს სულ სხვა, საგრძობლად განსხვავებული მინაარსი აქვს.

ამგვარად, ეს ზმნისწინანი ფორმები ერთობ გვიანდელია და ვერც ღაღავე ხმარება და ვერც ხელის შეკეთების ძველი უზმნისწინაო ყოფიას პირვანდელი მნიშვნელობისა და ხმარების არეალის კვლევამი. კიდევ ეიმეორებთ, სრულებით არ არის შემთხვევითი, რომ ძველი, ნამდვილი რთული ზმნების აბსოლუტურად დიდი ნაწილი სწორედ ყოფიას შეიტაცეს მეორე (ზმნურ) ნაწილად.

ა. რთული ზმნების უღლებიას სახელადი ნაწილი უცვლელად რჩება, უღლების მთელი სიმსიმე ზმნაზეა გადატანილი. ზმნა იცვლება ყველა ზმნური კატეგორიის მიხედვით: შეურაცხ-ვაჟე, შეურაცხ-კაჟე, შეურაცხ-ყო, შეურაცხ-კაჟეთ, შეურაცხ-კაჟეთ, შეურაცხ-ყვეს, შეურაცხ-ყვის, შეურაცხ-ყვინ, შეურაცხ-კყო, შეურაცხ-კყო, შეურაცხ-ყოს, შეურაცხ-კყო...

პირველი ნაწილი (სახელი) უცვლელია, უღლებამი არ ღებულობს მინაწილეობას. მაგრამ მაინც რა ფორმით არის წარმოდგენილი ეს სახელი? რომელ ბრუნვაში გაიყინა იგი? აქაც არის შეუვალად დაცული ერთი კანონზომიერება: აბსოლუტურად უნარელეს შემთხვევაში ეს სახელი ფუჟის სახით არის წარმოდგენილი (ეს აბსოლუტური თვალსაზრისით). უფრო ზუსტად რომ ეთქვას (უცვლელის ბრუნვების გათვალისწინებით), ყველა ასეთი სახელი (ძველ) წრფელობით ბრუნვამა დასმული. ეს არის ახლანდელი სახელობითის ძველი წინაპარი, რომელიც უსქელესსა და თვით ძველ ქართულში მრავალი ფუნქციით იხმარებოდა. მისი ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია იყო სწორედ რთული ზმნების სახელადი ნაწილის როლის შესრულება. მას რთულ ზმნაში ადგილი ეჭირა: შეურაცხ-ყო, უღლებელ-ყო, ღაღად-ყო, ბრძოლა-სცა, სახელ-სდვა, გზა-შეც, ვაჟ-ყო, ღრო-შეც, სათნო-იზინა, საჟანე-ყო... ადრე ეს წყვილ-წყვილი სიტყვა სრულყოფილ სინტაქსურ შესიტყვებას წარმოადგენდა. სახელისა და ზმნის ნორმალური შეთანხმება იყო და ნიშნავდა: შეურაცხი (არაფრად ჩასავდები, არაფრად მისაჩვევი, არად ჩასათვლელი) ვახანდა: დაიყვინა. ხმამაღლა დაიძახა; შეებრძოლა. ბრძოლა გაუძარია; სახელი დასდვა (დაარქვა). ეხა მომეცი; ხმა ამოიღო (იყვინა, დაიძახა); ღრო მომეცი; მოიწონა, მოსწონად ჩათვალა; ბინა დაიღო და სხე. ამ მაგალითებში შეურაცხ, უღლებელ, ღაღად, ბრძოლა, სახელი, გზა, ვაჟ, ღრო, სათნო, საჟანე არის წმინდა წყლის პირდაპირი დამატება. რომელიც უსქელესს ქართულში სწორედ წრფელობით ბრუნვამი იღვა. სუბიექტად ყველგან მოთხოვრებითი იგულისხმება: მან ღაღად-ყო, ბრძოლა-სცა, სახელ-სდვა, საჟანე-ყო. ეს წრფელობითი გვიან სახელობითმა შეცვალა (არა ყველგან), რომელიც, როგორც ცნობილია, ასრულებს ძველი წრფელობითის ფუნქციებს<sup>111</sup>.

<sup>111</sup> იხ. ი. იმნაიშვილი, წრფელობითი ბრუნვის საკითხისათვის ძველ ქართულში (საკანდიდატო დისერტაცია, ხელნაწერი, 1941, გვ. 148—164), კ. თევზაძე, რთული ზმნები ძველ ქართულში, კუპსონის სახ. თბილისის პედინსტიტუტის შრომები, 13, 1959, გვ. 397—409, მისივე, რთული ზმნის მიმართება შედგენილ შენაძენებთან: იქვე, 14, 1959, გვ. 185—191, მისივე, რთული ზმნები ძველ ქართულში წარმოქმნის კატეგორიების მიხედვით: იქვე, 15, 1960, გვ. 190—201.

რაოგორც ითქვა, ძველ ქართულში ყველაზე დიდი რაოდენობით სწორედ ამ ტიპის რთული სიტყვები გვხვდება, ე.ი. ისეთები, რომელთაც სახელადი ნაწილი ფუძის სახით (ე.ი. ძველი წრფელიზობითის ფორმით) აქეთ წარმოდგენილი. ესაა ძველი ქართული ენის ერთ-ერთი გამოკვეთილად დამახასიათებელი თვისება.

აღნიშნული გვქონდა და აქაც გავუხვამთ ხაზს, რომ ღალად-ყო ტიპის ზმნები მხოლოდ II სერიის ფორმებში გვხვდება, იგი, ჩვეულებრივ, არა გვაქვს I (და, მით უმეტეს, III) სერიის მწკრივებში.

მოვეიანო ხანაში, როცა I სერიის მწკრივები ჩამოყალიბდა, ცადეს, აღნიშნული ტიპის სიტყვები იქაც გადაეტანათ. პირველ ხანებში სახელი აქაც ფუძის სახით გვქონდა: ნათელ-იღებს, ნათელ-სცემს, პატივ-სცემს, ამბორ-უყოფს, ბრძოლა-სცემს, ჯერ-იჩინებს... მაგრამ შემდეგ და შემდეგ I სერიის მწკრივთა მოძალებით და ანალოგიით ეს ფუძე მიცემითში ჩასვეს: ნათელს-იღებს, ნათელს-სცემს, პატივს-სცემს, ამბორს-უყოფს, ბრძოლას-სცემს, ჯერს-იჩინებს...

ამ უკანასკნელითა გავლენით (ხაზის გასამართიად) ეს უკანონო ს აქა-იქ II სერიის ფორმებშიც ამოყოფს თავს: უგულბებელს-ყო, ამბორს-უყო.

გამოთქმულია მოსახრება, რომ პირველი სახის დარღვევა (ნათელს-სცემს, ამბორს-უყოფს, ჯერს-იჩინებს, წამს-უყოფდა, პატივს-უყოფს, სიტყუას-სყოფს...) უფრო ძველი დროების გამოხმაურება უნდა იყოს, ხმნებს ასეთი ფორმებში "ისტორიულად არსებული ფორმაცვალების უნარი შენარჩუნებული აქეთ"<sup>119</sup>. ჩვენი აზრით, შენარჩუნებული კი არა აქეთ, ანალოგიით შემდეგ აქეთ დამატებული ს. მხოლოდ ასეთი დაძვებით შეიძლება აიხსნას იმავე ს-ს გაჩენა II სერიის ფორმებთანაც — უგულბებელს-ყო, ამბორს-უყო და სხვ.

ადრე I სერიის ფორმებში ღალად-ყო და მისთანათა შესატყვისად იხმა-რიკობდა მარტივი ფორმები, მაგალითად:

### II სერ.

ღალად-ყო

მაგრამ

ზრახვა-ყო

მზირ-უყევს

ბრძოლა-უყო

მოხედვა-ყო

ლოცვა-ყო

სათნო-იჩინა

წყალობა-ყო

აღუთქუამს-ყო

კრჩხილ-ყო

ვმა-ყო, ვმა-უყო

ძიება-ყო

ღახინება-ყო

### I სერ.

ღალადებს

ზრახვიდა

უმზირდეს

ქბრძავს, ქბრძოდა

მოქხედავს, მოქხედვიდა

ილოცვიდა, ულოცვიდა

სთნავს, სთნდა

შეიწყალებს, შეიწყალებდა

აღუთქუამს, აღუთქუმიდა

იკრჩხილავს, იკრჩხილავდა

ვმობდა, უვმობდა

ეძიებას, ეძიებდა

უღახინებს, უღახინებდა.

ღალად-ყო და შეურაცხ-ყო ტიპის ზმნებში ძველი პირდაპირი დამატება თან-დათან მიიღო და მიიქსალა, რადგან სიტყვის მნიშვნელობის განსაზღვრაში აქტიურ მანაწილუობას იღებდა თვისი ზმნა; იგივე ზმნა იცვლიდა ფორმებს, თავის ნებაზე

<sup>119</sup> ქააქუჩაძე, რთული სიტყვები ძველ ქართულში, გვ. 398

იუდელებოდა. ამიტომ შესაძლებელი გახდა ძველი, მიღებული და შემდეგ სულ დაკარგული პირდაპირი ობიექტის ნაკელად ახალი პირდაპირი ობიექტის გაჩენა (როგორ შეიძლება გარდამავალი ზნა II სერიაში პირდაპირი ობიექტის გაჩენა იყო!). მაგალითად, ძველი "შეურაცხ-ყო" სუბიექტად მან-ს შეიწყობდა, პირდაპირი ობიექტად "შეურაცხ"-ს გულისხმობდა, მაგრამ ამ სახელის შიშისგან გამოსვლის ერთგვარი დაბნელების შემდეგ ახალი (პირდაპირი) ობიექტი გაჩნდა, უფრო რეალური და თვალნათლივი, და მივიღეთ: რომელმან შეურაცხ-ყო ფიცი იგი (ეზეკ. 17,16 ს. "ს-ში სხვა რთული ზნაა, მაგრამ კონსტრუქცია იგივეა: რომელმან უსტიო-ყო ფიცი ჩემი); ხოლო მან შეურაცხ-ყო სიტყვაჲ მისი (მაი. ცხორ. 307,7); ყოველივე დღეჲჲ ამის სოფლისაი შეურაცხ-ყო (ი-ე, 8,2); ვითარცა ვინ შეურაცხ-ყვის სასწორი ერთი რეალი (იქვე, 19,5); სიტყვაჲ უფლისაი შეურაცხ-ყო (რიცხ. 15, 31 pb); ვითარცა შენ შემოქმედი შენი უვარ-ყავ, ვგრეცა მე შენ შეურაცხ-გავ (შუშ. 4,27). აქ მეორე რთული ზნაც ამავე თვისებას ამჟღავნებს: უვარ-ყავ შემოქმედი; რაისათვის შეურაცხ-შეყენით წუნენ (2 მეფ. 19,43). აქ პირდაპირი ობიექტი მრავლობითია, რაც ზნის ფორმაშიც არის ასახული. ასეთივე მაგალითია კიდევ: შეურაცხ-ყენე ქრცნი მათნი (სინ. 269,28); შეურაცხ-ყევენ... მტერნი ერისა შენისანი (ივლ. 13,22).

გულისხმა-გავაჲ სამინელი იგი საშუალი (ისტ. ქრ. II, 5,31); რომელი ვიხილე და რომელი გულისხმა-გავაჲ (სინ. 275,5); რამეთუ არა გულისხმა-გავაჲ ფაჲ მოხელისა შენისანი (ლ. 19,44 E); გულისხმა-ყო იესუ ზნახუჲ იგი მათი (მ. 9,4 C; DE; იცნოდა); გულისხმა-ყავთ ესე ყოველი (მ. 13,51 E); გულისხმა-ყევს სიტყვაჲ იგი (ლ. 2,17 E); გულისხმა-ყოთ ჭეშმარიტებაჲ (ი. 8,32 C; DE; სენათ).

როცა პირდაპირი ობიექტი მრავლობითია, იგი ზნაშიც აჩენს ენ-ს სუფიქსს: ხოლო მან გულისხმა-ყენა ზნახუნი მათნი და არ-ყენა (სინ. 1254, 5); რად არა სიტყუანი ჩემნი გულისხმა-ყეენით (ი. 8,43 C); არცა გულისხმა-ყენეს ძაღანი მისნი (მარ. გ.21); აწ გულისხმა-ყეენ სიტყუანი და ზნახუანი კეთილისანი და სახიერებისანი (საქ. წ. II, 9,29); ერთი მაგალითი სამპირიანი ფორმისა: ამან ღღეს წერილნი იგი წმიდანი გულისხმა-გვეყენა და სასუფიქელი მოგუატყუა (სინ. 75,13).

არა უგულებელს-გყო შენ ღმერთმან (4 მეფ. 232,6); მღღელთა მათი უგულებელს-ყევს დღანე და არა ზნახვიღეს მის თანა (ამაკრ. 82,43); მოწყალებმან ღმერთმან რომელმან არა უგულებელს-ყვის თხოვაჲ, რომელნი ითხოვედ მისგან ყოველითა გულითა (სინ. 267,21); თვისი ნათესავისა შენისაი არა უგულებელს-ყო (ეს. 58,7); უგულებელს-ყოს ძმამან მხეი თვისა (ლევ. 26,37 G). ახლა ენახით ისეთი მაგალითები, რომლებშიც პირდაპირი ობიექტი მრავლობითი დგას. აქაც ეს მოვლენა ზნის ფორმაშია ასახული: ქართლნი, ვითარცა...ქლანი, უგულებელს-ყენა და შეამტირან (ი-ე, 49,33); უფალო იესუ ქრისტე... უგულებელს-ყეენ შეკოლებანი ჩემნი (სინ. 242,9); არასადა უგულებელს-ყენის უფალმან მოსაჲნი თვისნი (მაი. ცხორ. 14,31).

ხოლო შენ ქალაქი ერთი დიდი ... უღებ-ყავ (სინ. 106,35); რომელთა უღებ-ყევს სიმართლნი და უფლისაგან განღგეს (სიბრძ. გ.10 ს); ვითარცა უღებ-ყო დღსი (სინ. 255,8); არა უღებ-ყოთ ესე (სუქ. რედ. 44,18); მისთვის უღებ-ყენა და მიუტევენა დგინი ეელთა სიკუდილისათა (სინ. 255,4).

ვითარცა შენ შემოქმედი შენი უვარ-ყავ, ვგრეცა მე შენ შეურაცხ-გავ (შუშ. 4,27); რომელსა უნღეს ჩემდა შემოდგომად და მოსკვად, უვარ-ყავნ თაჲნი თვისი და აღიღენ ვ-ყარი და შემოძიდვიენ მე (მ. 16,24); რომელმან უვარ-ყავს მე წინაშე კაც-

თა, უუარ-ვერი დე მკეა წინაშე მამისა ჩემისა ზეცათაისა (მ. 10,33); უუარ-ვერენე ღმერთანი ჩემნი (11-341, 809); უუეთუ უარ-ვერით, მანცა უარ-მეყენეს ლუქნ (2 ტიმ. 2,12).

კედელი დაარღვა და საფასე ვერ იავარი-ყო (სწავ. 84,25); იავარ-ვერეს დე ყოველთა თანა-წარისვალთა გზისათა (ეს. 88,42); არცა უქლოს ვინ შესლუად სახლ-სა ძლიერისასა და ქურქველი მისი იავარი-ყვის, ვიდრე არა პირველ შეკრას ძლიერი იგი და მაშინლა სახლა იგი მისი იავარი-ყოს (მრ. 3,27 C); მონაგებნი, რომელნი იავარ-ვერენით მშჯავრითა, თანა-გუაც გარადედა მისი (ბალ. 143,8).

იქროდე ჟამსა შობისა მისისასა მზა-უყო ქური მთავართა მისთა (მრ. 6,21); მზა-უყვეს სუჯალი და წარიქმართნეს ვანსლუად (ტობ. ე,17 1<sup>ს</sup>); ქური ჩემი მზა-მიყოფიეს (მ. 2,22 DE; დამიზადებოეს C); შუდნი ბოიონინი მზა-მიყოფიან (რიცხ. 23,4 G); უბრანა, რათა მზა-ყენეს უხანი, მიმეყანებულნი ადვილსა მას, რომელსა ცა იყენეს წმიდანი იგი (ისტ. ქრ. 1, 192,28).

რომელმან უსატო-ყო ფიცი ჩემი (ეზეკ. 17,16 1<sup>ს</sup>); რომელი კმწესიდეს არაწმიდებასა, უსატო-ყოს მამად (ივან. 28,7).

მესინჯარება იყო ჩემ შორის და ხუცისა და კრულ-ყო (ლიმ. 103,10); რომელი კრულ-ყვეს ბერძენთა მათ (უძე. რედ. 220,32).

რამეთუ არცა ვინ იყო ვეგეითარი კაცი, რომელმანმცა სრულ-ყო ნებად გულისა მათისა (ი-ე, 18,2); მენ სრულ-ყო თუ განათუქლებად ყოველისა ათიულისა ნაშრომთა ქუყანისათა (2 შჯ. 26,12 G).

შენ ხარ ძქ ჩემი საყვარელი, შენ სათნო-გიყავ (მრ. 1,11); დღე იგი დიდი არა სათნო-ვიყავ (ეს. 1,13); სათნო-გიყო შენ უფალმან (ისტ. ქრ. II, 93,38); სათნო-ყო უფალმან სილნი (ეს. 131,13); ყოველთაგან დაბადებულთა შენთა საცხოვართა სათნო-ვიყავ შენდად ერთი საცხოვარი (ეზრა სუთ. გ,26); სათნო-ვიყენე ფინი, ვითარცა სათნო-იყვის მამამან ძქ თვისი (გალატ. 3,17).

რომელი-იგი ღმერთმან წმიდა-ყო, შენ იგი ნუ შეგინებულ გინ (მოც. 10,15); წმიდა-ყვეს ტამარი უფლისა (2 ნეშტ. 29,17); უფალი თავადი წმიდა-ყავით, და იგი იყოს შინ თქუენდა (ეს. 8,13).

ველ-ყვეს გამრცლად მისი (მ. ცხ. 234r).

რომელი ვმა-ყო შემდგომად წარკითხვისა (დ. სჯ. კან. 265,33); ვმა-ყევენ ჩემ ზელა სიტყუანი შენნი, რომელნი მესმნეს (ეზეკ. 35,13 1<sup>ს</sup>).

არა თუ სხვისათვის რაი კიცესა მას ზელა ჯერ-იჩინა დაჯდომად (სინ. 132,9); ვინაძცა ვერდარა დავთმეთ, ჯერ-ვიჩინეთ ათინას შინა დამთომად მარტოთა (1 თესალ. 3,1); ხოლო აწ მევეალთაცა არა ჯერ-იჩინიან ვეგეითარი საქმე /როკვაი/ ყოყად (ისტ. ქრ. II, 39,23);

იყყო კითხვად, რათა შეს-ყენენ ფინი (ბალ. 33,23).

ასეთია რთული ზმნების ერთი ჯგუფის გვიანდელი სახე, როცა ჯერ მიჩქალული და შემდეგ სულ გამქრალი პირდაპირი დამატება აღადგინეს და იქვე, ვერდში, მიუწერეს. ამეკარად, თუ ისტორიული თვალსაზრისით განვიხილავთ ამ ფორმებს, ადვილად დაკინახავთ, რაი მათში რაი პირდაპირი ობიექტი (დამატება) არის წარმოღვენილი. მაგალითად, წინადადებაში "რომელმან შეურაცხ-ყო ფიცი იგი" სუბიექტია რომელმან. შემასმენელია ყო, ოდინდელი პირდაპირი ობიექტია (დამატება) შეურაცხ (მან შეურაცხ ყო). ხოლო ფიცი არის გვიანდელი, მეორეული, პირდაპირი ობიექტი, როცა შეურაცხ უკვე აღარ იყო დამოუკიდებელი წევრი. იგი

ზნას შეუერთდა და ორივეს ერთი ცნების, ერთი შიშქენლობის გამოხატვა დაე-  
ვალა: რომელმან შეურაცხო ფიცი. შეურაცხო ღღეს ერთად იწერება, ძველ ქარ-  
თულში ჯერ კიდევ იგრძნობა მისი ორელემენტანობა, წარმოამკობის გზა. ამიტომ  
ძველი ქართული ტექსტების თანამედროვე გამოცემებში მას ღღესით წერენ (შეუ-  
რაცხო). ეს გზა აქვს გამოვლილი ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ფორმას და მსგავსი.  
მაგრამ ეს არის აღნიშნული ტიპის რთული ზნების ერთი, უფრო გვიანდელი. ჯგუ-  
ფი. ამის გვერდით უფრო მეტი რაოდენობით გვხვდება მეორე ჯგუფი. უფრო ძველი,  
წარმოშობისდროინდელი, ფორმით, როცა ზნასთან მხოლოდ ერთი, პირვანდელი,  
ობიექტია და მეორე არა ჩანს. ეთქვათ, ისეთები, როგორცაა: მან ღღად-ყო, მან მას  
ამბორს-ყო, ბრძოლა-სცა, შებმა-ყო და სხვანი. ამითი ღღესით რთული ზნების  
პირვანდელი, შეუბღღავი, სახე და გვიანდელი გააზრების კვალი არ ამჩნევია.  
ქვემოთ ზნის ძირის ანბანის რიგზე უწევნებთ ამ ტიპის ფორმების ნიმუშებსაც:

/იულა/ შიშქილ-ობა და მოკულა (მ. 27,58 DE; შიშქილ-ობა C).

არა შეეშინა,... არამედ სიტყუა-უგებდა მათ გულითა მწუხარითა და ქრქუა  
(სინ. 275,7; ისტ. ქრ. I, 184,39).

ღღად-გიგლო კანჯარან. და არა გულისხმა-ქიკე (კიმ. I, 152,36); ნუკუკე  
ღღად-უგღონ გეთელთა, ვითარმედ დაეთი ამას იქმს (I მეფ. 27,11). საწყისში ეს  
ფუძე, ჩვეულებისამებრ, ნათესაობითმა: ვიძულე ღღადლის-გღებად კეისრისა (მოც.  
28,19).

განიყვეს სამოსელი ჩემი თავისა მათისა და კუროსა ჩემსა ზედა წილ-იღღეს  
(მ. 27,35 C). DE-ში აღარაა რთული ზნა, სახელი და ზნა ცალ-ცალკე სინტაქსი-  
ერთეულებს წარმოადგენს: განიგღეს წილი. ყურადღება მიაქციეთ: აქ ზნას  
ზნისწინი მუხობეობა, რაც რთულ ზნაში დაუშვებელია (მღრ. აგრეთვე მსგავსა  
მაგალითი—ლ. 23,34—და კიდევ უკეთესი: განიგღეს მას ზედა წილი: მრ. 15,24 E).  
არა განეპოთ ვე, არამედ წილ-ვიგღოთ მაგას ზედა (ი. 19,24 C. აქ DE-ში სახელს  
უკვე გასჩენია გვიან ხანებში დამატებული ს, რომელიც თვითონ I სერიის ჩვეუ-  
ლებრივი ფორმების ანალოგიით დაერთო: წილს-იგღეს — წილს-იგღო.

მრავალნი...ინა-იღგმიღენ აბრაჰამის თანა (მ. 8,11); კაცად-კაცადსა  
თქუენგანსა თითოეულად გიუმობღეს და ინა-ს-უღგმიღეს მათ ღასთა მათ თანა  
წმიდათასა (ისტ. ქრ. II, 23,14. ს აქაც შერევა გაჩენილი ზემოთ მოხსენიებული  
მიზეზების საფუძველზე); ვითარცა შევიღეს უფალი, ინა-იღგა (სინ. 211,2); ინა-  
იღგეს პურისმტებმან ას-ასმან და ერგასის-ერგასისმან (მრ. 6,40 C); აღრე-აღრე  
წარმოყედ, ინა-იღგ (ლ. 17,7 C); /მრავალთა/ ინა-იღგან აბრაჰამის თანა (მ. 8,11  
C); ქრისტესა ინა-უღგამს (სინ. 211,11); რაჟამს ინა-იღგა მას სახლსა მას შინა.  
მრავალნი მეზუერნი და ცოდვილნი მოსრულ იყენეს და ინა-იღგა იესუს თანა და  
მოწაფეთა მისთა თანა (მ. 9,10 C); ინა-უღგთ კაცებსა მაგას (ი. 6,10 C. DE აქაც  
გვერდს უვლის (ამ) რთულ ზნას და სხვა, მარტივი, ზნას მიმართავს: დასხხით კ(ი)-  
ბი ესე, ზემომოყვანილი მაგალითებიდან ნათლად ჩანს, ამ რთულ ზნას (ისე როგორც  
სხვებს) აღიშნის ხელნაწერი გაცილებით უფრო ხშირად იყენებს, ვიდრე DE. ეს არ-  
ცაა გასაკვირი: აღიშნური რელაქციის ტექსტი, როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ,  
სწორედ ულტრამარქული ფორმების სიუხვით ხასიათდება.

მიზეზ-იღგამ შენ უძღურებასა გუამისასა (სწავ. 38,24).

გულისხმა-ყო, ვითარმედ ქრისტესა სახელ-სღღეს (სინ. 59,27; ისტ. ქრ. I,  
245,11); უკუეთუ ძედ ღმრთისად სახელ-მღღებენ, თქვენ რასა ვანრისხნებით (სინ

150,1); სახლისა მაიხრებელად სახელ-სდებდა (შუშ. 136,31); სიხარულითა ღმრთიუებისა სამებისათა სახელ-სდებდით (სინ. 53,38); მე მაშინ ... ქრისტესა სახელ-კსდევ (მამ. ცხორ. 29,29); მაშინ სახელ-სდვა ქრისტესა და არქუა (იქვე. 240,23).

იბრვიდეთ და კაც-კლვიდეთ და იბრუშებდეთ და ჰეუკვიდეთ ცილსა (იერ. 7,9 O. 1-ში გვიანდელი კაც-კლვიდეთი არის. ეს გასაგებია: იგი საქმო მანძილით "იშორავს" ომტის ხელნაწერს); მცნებანი იცნი: ნუ კაც-კლავ, ნუ იბარავ (მრ. 10,19; ლ. 18,20); ვასმიეს, რამეთუ ითქუა პირველთა მათ მიმართ, ვითარამედ: არა კაც-კლავ (მ. 5,21; 19,18).

ვითარცა ესმა, ვითარამედ სნეულ არს, ადვილ-იყრა მუნ, სადა იყო, ორ დღე (ო. 11,6 C. DE: და-და-ადგრა. აღიშნის ხელნაწერი აქაც უპკველეს ფორმას ვკათაუზობს, DE-ში სხვა, მარტივი, ზნაა).

ნუუკუე მაღლ-იყრას მონისაი მის, რამეთუ ყო ბრძანებაი მისი? არა ვკვირებ (ლ. 17,9 DE. C-ს ტმესიანი ფორმა აქეს დაკული: ნეთუ მაღლ-რად -იყრას.

განკრევენ ქალი ჩემი და უძლებ-ქქენ (მამ. ცხორ. 301,15); სემეონ სალოსმან უძლებ-ქქენა (იქვე, 301,13); ვინ უძლებ-გქენა (იქვე, 301,12).

შენ რაჟამს ქველს-იქმორდი (მ. 6,3 C); ქველს-თუ-იქმორდი (ზორ. 12,1); ქველ-ქენა მის ზედაცა ქრისტემან და ყო იგი ვითარცა ერთი დიდებულთაგანი (სინ. 240,20). უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ ქენა ზენა ძალიან იშვიათად თუ შეგვხვდება რთულ ზნებში. ამ ზნის ხვედრითი წონა ძველ ქართულში მცირეა, ვიდრე მისი ასე ვაერცვლებული ყოფა სინონიმისა. ახალ ქართულში იგი გარკვეულ კილოებში (უფრო დასავლურში) ძალიან ხშირია.

აქვე წარმოვადგენთ ერთ სრულად თავისებურ რთულ ზნას, რომელსაც მხოლოდ პირობით თუ შეიძლება ეწოდოს ეს სახელი. საქმე ისაა, რომ სახელადი ნაწილი (თუ ასეთად ჩაივთლით) ზმნისწინსა და ზმნას შორის არის ჩართული:

აღ-თავ-იქცა ტობა და ამბორს-უყო გაბაეოს (ტობ. თ.6). შდრ. აღ-თავის-იქცა იონათან ტაბლისა მისგან (1 მეფ. 20,34); აღ-თავის-იქცინა ლომმან მან ძემან ... შეიყრა დათვ და განხეთქა (თეკლა 115,2).

თუჯალ-ღება და თუჯალ-ხუმა ერთი თავისებურებით ხასიათდება: როცა მხოლოდობითს ღ ძირიანი ფორმები გვაქვს, თუჯალ მრავლობითში იხმარება (თუჯალი-აღებ. თუჯალი-აღებდა, თუჯალი-ღებით...), ხოლო როცა მრავლობითის ხუ ძირიანი ფორმებია მოცემული, მათში თუჯალ მხოლოდობითში, ფუძის სახით არის წარმოდგენილი (თუჯალ-ახ-უნის, თუჯალ-ახ-ქუე, თუჯალ-ახ-უნის...). მიზეზი ვასაგები უნდა იყოს: ღ ძირი თავისთავად მრავლობითს ვერ გამოხატავს (გამოსახატავი პირდაპირი ობიექტი კი ორია), ამიტომ მას (პირდ. ობ.) მრავლობითში სუამს, თ-ს ურთავს. ხუ ძირი კი მხოლოდ მრავლობითში იხმარება, ის ისედაც მოუთითებს მრავლობითზე, ამიტომ რთულ ზნაში მისი სახელადი ნაწილი ფუძის სახითაა მოცემული<sup>100</sup>. რადგანაც ჩვენ აქ მხოლოდ ფუძის სახით წარმოდგენილი სახელადი ნაწილი გვიანტერესებს, ბუნებრივია, ხუ ძირიან ფორმებს ვანიხილავთ (მრავლობითში დასმული სახელები სხვა ადვილას, მიცემისში დასმულ სახელებთან ერთად, იქნება განხილული).

<sup>100</sup> შდრ. ვ.ინაიშვილი, ძველი ქართული ენის ლექსიკონი.4. თუჯალ ღება, თუჯალ ხუმა: ისუ ახალგაზრდა მკენიერა საბჭო. პრობები, 7 (კუმანიტარულ და საზოგადოებრივ მკენიერებათა სერია), 1981. გვ. 48-52.

არა შეიკლიმა განმწარება სიხარულის ჩემისა შქათვის? და არცა თუჯლ-მახუნენ აღძრვად ნაწლუეთა ჩემთა ტკივილით შენ ზედა (ბალ. 101,21); არა შეძრ-წუნდა ყოულადე სასტიკებისაგან ჩემისა და არცა პატივის-ცემისაგან ჩემისა თუჯლ-მახუნა (ისტ. ქრ. II, 39,37); რომელმან არა თუჯლ-ახუნის, არცა მიიღის ქრისამი (2 შჯ. 10,17 pb); არა თუჯლ-ახუნე გლახაკა (ლევ. 19,15); უკუეთუ თუჯლ-ახუნე და სიმართლით არა განსპჭო, კაცის-კლეა არს ესე (სწავ. 53,4); არა არს თუჯლ-ხუნა მის წინაშე (ზირ. 32,15).

უკუეთუ რაედენნი ქრისტის მიერ ნათელ-ილებდენ, ქრისტე შეიძოსეს (სინ. 77,18); ნათელ-ილებდეს მისგან იორდანესა მდინარესა (მრ. 1,5); რომელსა მე ნათელს-ვილებდე (მ. 20,22 C. მიც. I სერაიში!); ნათელ-ილო იესუ (მ. 3,16); ნათელ-იღეს ნათლის-ცემითა იოვანესითა (ლ. 7,29); ნათელ-იღე, ნათელ-იღე, იერუსალემ (სინ. 76,15); ნათელ-იღენ წყლითა მით ცხოვრებისათა (სინ. 227,26); ძალ-გიცა... ნათლის-ღებაი, რომელ მე ნათელ-ვილო, ნათლის-ღებად (მ. 20,22,23); უკუეთუ აღადგინო ყრმაი ესე, ჩუენ გურსმენეს და ნათელ-ვილით (საკ. წ. II, 127,35); ნათლის-ღებაი ... ნათელ-ვილით (მ. 20,23); რომელთა ქრისტის მიერ ნათელ-ვილებიეს, ქრისტე შევიძოსიეს (სინ. 219,11).

იშვიათად არის შემთხვევა, როცა გვიანდელი ფორმების მოძალებით ზნა ირთავს ზნისწინს, რასაც მექანიკურად მოხდევს სახელისათვის სახელობითი ბრუნვის ი ნიშნის დართვა და რთული ზნების ძველი მწყობრი სისტემის დაშლა: ნათელი მოილო ჰილატე და ცოლმან მისმან და სიმრავლეგან ერისამან (სინ. 61,33); ხოლო შენ ნუ მწუნხარე ხარ, არამედ ნათელი მოილო და მყოფლით საყვანებელსა ჩემსა ყოველსა ყამსა (სინ. 61,29); რომელთა მუქქეეს ოღენ ნათელი მოვლო (სინ. 64,30). ეს უკვე აღარაა რთული ზნა, აქ თითოეულ წევრს თავისი ფუნქცია აქვს და იმას ასრულებს: სახელი ბრუნვის ნიშანს ირთავს. ზნა — ზნისწინს. ნამდვილ რთულ ზნაში ეს გამორიცხულია. აღსანიშნავია ერთი გარეგნობა: წესის დარღვევის სამივე დამოწმებული მაგალითი მოყვანილია სინური მრავალთავის ორი ძველიდან (წამებაი წმიდისა სტეფანსი, გვ. 58—62; პოქნაი წმიდისა სტეფანსი, გვ. 63—69). რომლებიც გამოცემაში ერთმანეთის მიყოლებითაა დაბეჭდილი, ე.ი. შეიძლება ვთქვათ: როცა ეს ფორმები ერთი გადამწერის ნახელაყა და შეიძლება მხოლოდ მისი სტილის თავისებურებად ჩაითვალოს. მაგრამ იგივე თხზულებები სხვა ხელნაწერის (A-19, ე.წ. სინური მრავალთავი) მიხედვითაც არის გამოცემული და იქაც ამ სახით გვხვდება: განახლებული და ახლისაყენ გადმოწეული<sup>121</sup>.

სინურ ხელნაწერში აღნიშნული მტკიცე წესი სხვაგან ყველგან დაცულია. სახელი მხოლოდ ფუძის სახითა წარმოდგენილი, ზნას ზნისწინი არსად ახლავს. ჩუენი აზრით, ეს დარღვევა გაქსარეთა ერთ-ერთ ვეაძმწერს, რომელმაც ეს მცირე მონაკვეთი გაღაწერა. სიხლისადმი მოსწრაფება ყველგან გვხვდება. ასე რომ არ ყოფილიყო, ბევრი ახალი გრამატიკული მოვლენა დიდხანს, ძალიან დიდხანს სინათლეს ვერ ნახავდა. საბედნიეროდ. ენაში, ტექსტების გადამწერთა ნაშრომებში, ხშირად ამოტივტივებოდა ესა თუ ის ახალი ლექსიკური და გრამატიკული ფორმა. რომელთაც შემდეგ ფართო გასაქანი ეძლეოდა.

ახლა რომ დაეუბრუნდეთ ზემოთ მოყვანილ სადავო მაგალითებს, შეიძლება

<sup>121</sup> ი. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტ. ქრისტ. ტ. I, ნაწ. I, გვ. 246,41; 247,4; 248,34.

დავხვდეთ კითხვა: ვაქციათ, სინური მრავალთავის ამ ნაკვეთის გადამწერმა იხმარა ახალი ფორმები. საიდანღა გაჩნდა იგი სვანურ მრავალთავში? სწორედ იმ ადგილას, სწორედ იგივე მაგალითები, სწორედ ისე განახლებული! შეუძლებელი არაა, რომ ორივე ხელნაწერის ამ ადგილების გადამწერებმა დამოუკიდებლად მიმართეს ახალ ფორმებს, ორივემ დამოუკიდებლად შემოიტანა ენაში ისინი, მაგრამ უფრო დასაშვებად მოგვაჩანთ ვივარაუდოთ, რომ სათანადო ტექსტი ერთმა გადაწერა მეორიდან, ვაქციათ, სვანური მრავალთავის ამ ნაკვეთის გადამწერმა ვაღმოიღო სინურიდან. შევეცდლო თეორიულად ესეც დავევსვა: ორივემ გადამწერა უფრო ძველი მესამიდან. მაგრამ ეს მოსაზრება ნაკლებად არის დასაჯერებელი: სინური მრავალთავი 864 წელს გადაწერეს, ის დაშვებული მესამე ამაზე ადრე (კარგა დიდი ხნითაც) უნდა ყოფილიყო შექმნილი, ამის შესახებ კი ჩვენ ჯერ არაფერი ვიცით. თანაც IX საუკუნის იქით არც იყო მოსალოდნელი ასეთი სიახლეები. ასეა თუ ისე, ჩვენ ჯერ კიდევ სინურ მრავალთავში ვვაქცეს დადასტურებული რთული ზმნების ერთი ჯგუფის რღვევის შემთხვევები: რთული ზმნის სახელი წრფელობითის ნაკულად სახელობითში დგას, ზმნას კი ზმნისწინი დაურთავს. ამ ზმნაში, ყოველ შემთხვევაში, რღვევის ისტორია აქედან იწყება. ახლა დაუბრუნდეთ რთული ზმნების აღნიშნული ტიპის ზმნათა გაცნობას.

როგორც ითქვა, განსახილველი ტიპის რთულ ზმნებში (სახელადი ნაწილი წრფელობითში რომ აქეთ დასმული და ეს წრფელობითი ოდითგანვე პირდაპირი დამატების როლს რომ ასრულებდა) ყველაზე მეტი და ყველაზე მრავალფეროვანი ფორმები ყოფა ზმნასთან არის წარმოდგენილი. გარდამავალ ზმნებში მასთან ამ მხრივ, რასაკვირველია, ვერც ერთი ზმნა ვერ მოვა. აქ არის ძველი პირდაპირი დამატება, გაქვევებული სახით დატული, და ახალს ვერ იგუვებს (მან ლაღაღ-ყო, თუალ-ყო, დეენა-ყო, ბრიძლა-ყო, შებმა-ყო...), აქ არის ძველ პირდაპირ დამატებასთან ახლად გაჩენილი პირდაპირი დამატებაც (მან იბი შეურატხ-ყო, უვულებელ-ყო, გულისხმა-ყო, იავარ-ყო, სრულ-ყო, შხა-ყო, უდებ-ყო...), აქ არის ორიპირიანი და სამპირიანი ფორმები, აქ არის სახელი წრფელობითშიც და მიტყმითშიც. აქ არის II სერიის მწკრივებთან ერთად I და III სერიის მწკრივებიც... და ყველაფერი ეს ვვაქცეს უხეად.

აი, სათანადო ნიმუშები:

ამბორსმცა-ყოფ მუკლთა მისთა სიხარულით (საკ. წ. II, 73,9); მირბიოდა იგი და დაეარდა ქელსა ზელა მისსა და ამბოერს-ყოფდა (ლ. 15,20 E); შემდგომად ლოციისა დასხდეს და ამბორს-ყოფდეს თითოეულად ბორკილთა მათ მოყვისსა თვისსასა სიხარულით (საკ. წ. II, 80,8; ამბოერს-ყოფდეს 4); მაშინღა მივიღა, შევხვა და შეიტყებო და ამბორს-ყო (სინ. 229,34); მივახლენს მას და ამბორს-ყუყეს ყოველთა ასოთა მისთა (ისტ. ქრ. II, 65,8); ამბორს-მიყავ მე ამბორის-ყოფითა პირისაფთა (სინ. 228,14); რომელსა მე ამბორს-ყო, იგი არს, შეიყარო იგი (მ. 26,48).

ანღებ-ყო დავითი და აღიხილა ვრი იგი თვისი (2 მეფ. 18,1); ანღებ-ყოს მამკებელისა თანა მისისა (ლევ. 25,50 G). ანღებო ჩანდერაძი.

აღთიქჳსა-ყო მოქმედსთა მათ მამართ თითოთა სატირი დღისა (მ. 20,2 C = აღუთქჳა, და.პირდა); აღთიქჳსა-ყო ჰერიათა მათგან (ი. 9,22 C).

ახილჳა-ყო ვრასა მის (1 მთქ. 11,8); ახილჳა-ყო დავითი ვრისა თვისსა (2 მეფ. 18,1); ახილჳა-ყო მათ ზელა (იერ. 22,13)



განაახლებს მათ და ახოვან-ქყოფს (მ. ებ. 287v).

ნუკუეე მომცენ მე ყელთა მათთა და ბაგეს-მოყოფენ მე (იერ. 38,19); იხილა მან მახვლი და ბაგე-უყენა მას და ვეცხლის-მოყოვარებაი შეურაცს-ყო (ისტ. ქრ. II. 39,33); ნათლ არიან ქმნულნი ბაგის-საყოფელნი (იერ. 51,18).

ბრძოლა-ყვეს თქუენდამი (ისუ ნ. 24,11); რაჟამს ესრეთ მძიმელ ბრძოლა-გვეყვეს (ი—ე. 118 C,19); შდრ. ბრძოლის-ყოფად იულაის მოძრათ (მსაჯ. 10,9 C).

არა გარეწარ-ეყოფთ მოძღურებას (A-144, 312); ხოლო მე, დაღაცათუ სიტყუაი იგი არა მართალ არს, არავე გარეწარ-ყო (უქუ. რელ. 48,18); რომელმან გარეწარ-ყოს სასმენელი არა სმენად შვეულისა (იგაე. 28,9).

ეთიარცა შენ გნებავს, გამოგიყენე გელ-ყოფა ესე შენგან და გელ-ყო მძასა მაგას შენსა (კობ. I, 140, 13,14); გამოიყენა გელ-ყოფაი იგი ნეტარისა მისგან და გარდაიტუა და გელ-ყო შეფესა მას და ღამოქილა იგი აერთა (იქვე. 140,15); ეთიარცა ღვა გელ-ყოფილი, იხილა მარჯუენით კრიო ანგულოზი ღმრთისაი (იქვე. 140,10).

უფალო, სადა გზა-მიყავ მე თხრობად, ვისყო სიტყუად შენ წინაშე (ეზრა სუთ. გ.50); გზა-უყავ მას ყოველსა შინა ქუეყანასა ქანანისასა (ისუ ნ. 24,3).

ეთიარცა გულისყმა-ვქყოფთ კეთილის-ყოფასა ღმრთისასა ჩუენდა მოძრათ შეფობითა შენითა (ისტ. ქრ. I, 211,32); ვგრეცა შენ დღითი-დღედ მწუხრი და დღიუულად კეთილად გულისხმა-ქყოფდ, ეთიარ მოივაჟრე საეაჟროი (ისტ. ქრ. II. 7,5); რომელი აღმოიკითხვილეს, გულისყმა-ქყოფილი (მ. 24,15 C); რამეთუ არა გულისხმა-ქავა ჟამი მოხედვისა შენისაი (ლ. 19,44 E); ხოლო მან გულისხმა-ყქა ზრახუანი მათნი და არქუა (სინ. 154,4); არცა გულისხმა-ყქენეს აღაუნი მისნი (მარ გ.21); ეთიარ არა გულისხმა-ქეთით (მრ. 8,21 E); ეთიარ უკუე ყოველნი იგაენი გულისხმა-ყენით (მრ. 4,13 E); ამათი უფალი ვერ გულისხმა-გიყოფის (საქ. წ. II. 34,26); გულისყმა-ყო მას, რომელი-იგი იქნა მის ზედა (მრ. 5,33 C).

ხშირია სამპირიანი ფორმებიც (სასხეისო ჭკევით): გულისხმა-უყავ და ეასწავე მათ (ისტ. ქრ. I, 248,34); ეინ გასწავა ანუ ეინ გულისხმა-გიყო, ანუ ეინ შეგკრიბნა /თქუენ/ (სინ. 142,35); ამან დღეს წერილნი იგი წმიდანი გულისხმა-გვეყენა (სინ. 75,13); განსწაველი იგი შენითა შვეულისა და გულისხმა-უყვი მას შენითა მეცნიერებითა (ეზრა სუთ. ე,12).

/აბრაჰამ/ დენა-უყო შებდგომად მათსა ვიდრე დანდმდე (დაბ. 14,14); სახლით თვისით სიველტოლაი იკუმა, ვინაცა დენა-უყვეს უკუანა მისსა (ისტ. ქრ. I, 202,17); დენა-უყავთ უკუანა მათსა (ისუ ნ. 2,5 M; სლექცილიუი C); შეინანონ და დენა-უყონ მათ (სიბრძ. 19,2).

ხოლო იგი კუალადცა უბრძანებდა, რაითა ღრო-ყოს, და თვით მოვალს ჟამი, რომელსა იქნეს მონაზონ (ისტ. ქრ. I, 201,40); ნუ ღრო-უყოფ მისცემელსა ნაკლუ-ლეუანისათვის (ზირ. 4,3); ღრო-უყო ფილიქს (მოც. 24,22); ღრო-უყავთ მაგას მტარელთა დღეთა, რაითა ასწავოს თავსა თვისსა (საქ. წ. II, 41,32).

ფარისეველნი იგი გამოვიდეს და ზრახვა-ყვეს (მ. 12,14); ზრახვა-ყვეს მისთვის, რაითა სიტყუთა საფრუც უვონ მას (მ. 22,15).

ღმერთმან თქუა: თაე-უყავ მაძასა და დელასა (მ. 15,4 C; მრ. 7,10 C); არა თაე-ქუყოს მაძასა თვისსა (მ. 15,6 C); რომელთა არა თაე-უყონ მოწამეთა, ... შეურაცხ-იქნეს (სინ. 259,27).

უცელელი ფუქე გაღადის საწყისშიც: ეთიარ ვერ-არს ერთი-ერთისა მოძრათ

თაე-ყოფითი ფერკეთა ბანაი უხ-უცესისა შწეშისა მიმართ (ისიტ. ქრ. I, 48,36). ეს სიტყვა სხვა ხელნაწერიდან (აიან. II, 77v) სწორედ ამავე ადგილის გადმოცემისას ი. აბულაძის ლექსიკონში დამოწმებულია ამ სახით: თაეყოფილი (და ახსნილია, რაიგორც "შორჩილი"). შეცდომა უნდა იყოს. ჩვენი აზრით, აქ ნ-უსხურის რთ და რთ უნდა იყოს აღრეული: ძველ ქართულში თაე-ყოფა, თაე-ყოფად, თაე-ყოფით ძალიან ხშირად იხმარება, ხოლო თაეყოფილი სხვაგან არსად შეგვხვედრია. მერმე: ამ რაიული ზმნის მნიშვნელობაა პატივისცემა და არა მორჩილება. შემთხვევითი არაა, რომ, როცა აღიშნის ხელნაწერი თაე-უყავ (მ. 15,4; 19,19; მრ. 7,10; 10,19) ფორმას იყენებს, იქვე DE პატიუ-ეც-ს ხმარობს. ასე დაპირისპირებულია აგრეთვე თაე-უყოს (მ. 15,6 C) და პატიუ-სცეს (DE).

თუალ-ყოფედეს თუალითა მათითა (ფს. 34,19). უფრო ხშირია სასხვისო ქცევის ფორმები: თუალ-ყოფედეს მამასა მისსა, რამ-თა უნდეს სახელის-ღებად მის (ლ. I,62). C უფრო ახალ ფორმას გვითავაზობს: თუალს-ყოფედეს; თუალს-ყოფედეს Z; თუალ-მიყენა სოფრონი, და წარედით მიერ (ლიმ. 38,18); თუალ-უყენა მას სიმონ-პეტრე (ი. 13,24 C); თუალთ-უყენეს ნიკოდემოზს სიტყუად მისა (ანან. ებრ. 427 = ი. აბულაძის ლექს., გვ. 183).

მერმე შეიქცა და...დატყუენსა ყოველნი დიდებულნი საბერძნეთისანი და მონაგები მათი იუვარ-ყო (ი-ე. 21,7); იუვარ-ყევს იგი ყოველთა თანა-წარმავლთა გზისათა (ფს. 88,42); მონაგებნი, რომელნი იუვარ-ყეენითა შშეჯაერთთა, თანა-გუც ვარდაუად მათი (ბალ. I,43,8); არცა უძლოს ვინ შესლუად სახლსა ძლიერისასა და ჭურჭელი მისი იუვარ-ყვის, ვიდრე არა პირველ შეკრას ძლიერი იგი და მაშინდა სახლი მისი იუვარ-ყოს (მრ. 3,27 C); იუვარის-ყოფა იგი ნაყოფთა თქუენთაი სიხარულად შეპრაცხეთ (ებრ. 10,34 Q). არის სახელის შეკუმშული ფუძეც: იუვარის ყოფად (გულანდ. 214,30). მაგრამ იქვეა სრული, უკუმშველი ფორმაც: იუვარ-ყოფად. აქ პეტრეპაპია, აუჟე ხელუხლებელი იყოს, რაკი მას ბრუნვის ის ნიშანი არ ვრთვის.

როგორც ვხედავთ, ამ რაიულ ზმნაში პირობე, შემდეგ განიხილი, პირდაპირი ობიექტი (დამატება) ყველგან თან ახლავს ზმნას. უმისოდ არც გვხვდება. ამ ნიშნით იგი უფრო გვიანდროინდელ ვითარებას ასახავს (ამ მიზეზის გამო ჩვენი მავალითე-ბიდან ზოგი, რომლებიც ზემოთ სხვა საკითხთან დაკავშირებით გვქონდა მოყვანილი, გვ. 528, აქ სხვა მიზნით კვლავ გავიმეორეთ).

მათ კმა-იყოფს და მათ დასჯერდის (ექუსთ. 108,24); სხუანი მწუნავილთა კმა-იყოფენ, რომელნი მდგომარე არიან წყალთა შინა (იქვე, 83,22); რაითამცა სნეულთა პური და ლენოთ აიღეს, არამედ მათთა პურსა და, თუ ევმარებინ, კრასო-ეულსა მათსა კმა-იყოფედეს (ი-ე. 104,8 = კმარობდნენ, სჯერდებოდნენ); კმა-ყავ მტერობაი (ზორ. 28,6); მინდა დუძილი და კმა-ყოფად ქებაი ესე წმოდისათვის ქალწუ-ლისა მარიაშისა, არამედ რაკამს მოვიკსენი მე ნაყოფი მუკლისა მისისა, არა მიტევის მე კმა-ყოფად (სინ. 201,20,22). მაგრამ უფრო გაერკვლებულია ამ რაიული ზმნის ენებთათვის ფორმები (კმა-ეყო, კმა-ეყან, კმა-ეყოს...). მათი ქვემოთ ენებთათა ვგუჯუში განვიხილათ.

მესინჯარებაი იყო ჩემ შორის და ხუციასა, და კრულ-მოყო (ლიმ. 103,10); მაშინ თიოფილე კრულ-ყენა იგინი სამისა წლისა ჟამთა (საკ. წ. II, 135,16); მაშინ იოვანე გაუნსა კრულ-ყოფილნი იგი ორნი ძმანი (იქვე, 135,23).

გამოუცხადლო, რომელი-იგი კრულ-ყევს ბრძენთა მათი მეცნიერებისა მისისათვის წიგნთა შინა ზედა-მიწეებითი (უქე. რედ. 220,32 = გამოიკვლიეს).

ვითარცა შებენილის, გამოვიდნან თვისთა სენაკთაგან და ლოცვა-ყვიან (ი-ე, 52,6); მათ პრქუეს: გიბრძანებოეს, უჟალო, ლოცვა-ყაე, ვითარცა გნებავს (კობ. I, 159,29); ლოცვა-ყაეთ წუენითვის, წმიდანი მამარი, ლოცვა-ყაეთ (სინ. 282,19); რაითა უმეტესად ლოცვა-ყაით შენისვის (ისტ. ქრ. I, 156,32).

დადგა ფინებ და ლხინება-ყო და დააყენა სრუაი (ფს. 105,30 Ⴕ); ოდეს რისხეაი გულის-წყრომისა ჩემისაი იყოს, კუღლად ლხინება-ყო (ფს. 7,4); ან ევედრენით წინაშე ღმრთისა თქუენისასა, და ლხინება-ყოს თქუენითვის (მალაქ. 1,9); შუორესა დღესა მოხსუნენ ორნი თიკანნი თხათაგან უბნოთა ცოდვისათვის, და ლხინება-ყოს სალხინებელისა მისთვის, ვითარცა ლხინება-მყევს ებოთა მით (ებუკ. 43,22).

ნეტარ არს მისა, რომელმან შხა-ყო საგზალი გზისა მისთვის საუენოისა (სწაე. 250,21); ედნას, ცოლსა თვისსა, პრქუა, რაითა შხა-ყოს პური დიდი (ტობ. Ⴕ,19); შემდგომად სამისა დლისა უბრძნა, რაითა შხა-ყენენ გზანი, მიმკანებულნი ადგილსა მას, რომელსაცა იყენეს წმიდანი იგი (ისტ. ქრ. I, 192,28); პური ჩემი შხა-მიყოფიეს (მ. 22,4); შედნი ბობონნი შხა-მიყოფიან (რიცხ. 23,4); პეროდე... შხა-ყო პური მთავართა მისთა (მრ. 6,21); შხა-უყევს მას პასქაი იგი (მ. 26,19); შხა-მიყავ შე, რაითა ვისერო (ლ. 17,8); სადა გნებავს, და შხა-გიყოთი შენ ჭამად ენებაი ესე (მ. 26,17).

შხორ-უყევს მას და მაელინენს შხორნი ორგულნი (ლ. 20,20); წარვედით და შხორ-უყაით ეენაეოენასა შინა (მსაჯ. 21,20).

ხოლო თაეადმან მიზეზ-ყო უშორესადრე წარსლუად (ლ. 24,28).

ესრეთ მიყო მე უჟალმან დღეთა ამათ, რომელთა მოხედვა-ყო მოსპოლუად ევედრებაი ჩემი კაცთა შორის (ლ. 1,25 DE; C: მოხელა მე); მოხედვა-ყო ღმრთისან ერსა თვისსა (ლ. 1,16 C; DE: მოხელა. აქ შებრუნებულადაა მარტივი და რთული ზმნების განაწილება); მოხედვა-ყოს უჟალმან ... სამწყსოსა თვისსა (ზაქ. 10,30 O).

ჩემ თანა ეშმაკი არა არს, არამედ პტიე-უყოფ მამასა ჩემსა, და თქუენ მაგინებთ მე (ი. 8,49 C; პტიე-ესტე DE); ყოველნი დაბადებულნი შემწე არიან მისა და მის წილ პბრძენან და პტიე-უყოფენ სიხარულით (სწაე. 169,1); ყოველნი პტიე-ესა-უყოფდენ ძესა (ი. 5,23 C). აქ ორი შეცდომა დაშვებული: ა) ძველი წრფელობითის ნაცულად ახალი ფორმების ანალოგიით I სერიაში მიცემითია ნახმარი; ბ) მას ემფატიკური ა დაერთვის. აქ რაღა დარჩა ძველი რთული ზმნისაგან? შუორე სერიის ფორმებში კელაე ძველებური მდგომარეობა: ეგრევე სახედ პტიე-ყო ძემან მეფისამან (მალ. 30,9); მე თუე ეინმე (მ)მსახუროს. პტიე-უყოს მას მამამან ჩემმან (ი. 12,26 C. DE-ში აქ სხეი რთული ზმნა, მაგრამ წესი აქაც ძველია და ძველი: პტიე სცეს მას მამამან ჩემმან).

ნეტარ არს, რომელი ეალს გზასა მას სიმართლისასა და ... საეანეს-ყოფს დღითი-დღედ კეთილითა სიყარულითა და სარწმუნოებითა (საქ. წ. II, 4,38); ესენი არიან, რომელნი საეანეს-ყოფენ (იქვე, 9,40); არამედ დაგებულად ხვლოდი და დღითი-დღე საეანეს-ყოფდენ (იქვე, 9,35); აქაც I სერიის ფორმებთან სახელადი ნაწილი წრფელობითიდან მიცემითიშა გადასული, II სერიის მწკრივებში ძველებურად წრფელობითი ბატონობს: ეიდრეცა მიყუვის დღს, მუნცა საეანე-ყვიან (იქვე, 56,24) რაითა ღაქესა მას საეანე-ყაით სახლსა მისსა (ისტ. ქრ. I, 195,10).

რომელი მე სათნო-ეიყავ (მ. 3,17; 12,18; სინ. 191,24); იხილე, რამეთუ სათნო-გიყო შენ უჟალმან და ინება მოქცევაი შენი ცოობილებსაგან შენისა (ისტ.

ქრ. II, 93,38); სათნო-იყო უფალმან სიონი (ფს. 131,13); სათნო-იყავე შენდად ერთი ცხოვარი (ებრა სუთ. ვ.26); სათნო-იყვენე ივინი, ვითარცა სათნო-იყვის მამამან ძმ თვისი (მალაქ. 3,17). საწყისშიც ძველი წრფელობითა დატული: რომელსამე, ვინ უწყის, მთავრისა მის უნდა სათნო-ყოფა (სიბრძ. იდ.19).

მეის სისრა-უყო მათ, და არა შეიშინეს (ფს. 63,5 წ; სისრა-უყევს ლ: BCD; მეის სისრა-უყონ მას, და არა შეიშინონ: ლ). სამივე რედაქცია სხვადასხვა წაკითხვას იძლევა, მაგრამ ძველი წესი სამივეში მტკიცედაა დატული. რთული ხმის სახელადი ნაწილი ყველგან წრფელობითით არის წარმოდგენილი ... აქ ესაა მთავარი; მოავლინა პირველ მოსლესა თვისისა, და არა შეიწყნარეს, არამედ სისრა-უყევს ისრითა მათითა (კომ. I, 177,8).

არცა ვინ იყო ვევეითარი კაცი, რომელმანცა სრულყო ნებაი გულისა მათისა (ი—ე, 16,7); ესრეთ სრულ-უყევს წესი სამკურთხო (ისტ. ქრ. I, 201,26); სრულ-ყო თუ განათლებულებაი ყოელისა ათეულისა ნაშრომთა ქუეყანისათაი (2 შჯ. 26,12 G; უკუეთუ გამაასრულო M). ძველი წესია შენარჩუნებული საწყისსა და მიმლეობაშიც: უკუეთუ გნებავს სრულ-ყოფაი, წარვედ და რაოდენი გაქუს, განცილდე და მივე გლახასა (მრ. 10,21); სრულ-ყოფელი (გამოცხ. 12,3 თ).

ამისთვის უგულებელს-ეყოფ ნათლის-ღებასა (ლიტ. ქრ. 21,4); ნუ უგულუბელს-ყოფ და ნუ დამიტყეებ ესრეთ (სენ. 296b); გულს-ვიდგინე, არა უგულუბელს-ყავე (კომ. I, 44,25); ამისთვის უგულებელს-ყოფ მე ქრისტემან (იბოლ. 4,14); არა უგულებელს-გყო შენ ღმერთმან (4 ძვე. 232,7); ფაში იგი უმეტრებისანი უგულებელს-ყენა ღმერთმან (მოც. 17,30); უგულებელს-ყავითი ჭირი სულისა მისისა (დაბ. 42,21); არასადა უგულებელს-ყენის უფალმან მოსაენი თვისნი (მამ. ცხოვრ. 14,31); ქრისტესა დაუტყეებითი და უგულებელს-ყოფითი (წარტყ. 34,22). ამ რთულ ხმაში ყველგან მერმინდელი სანია დამატებული და გაქეავებული.

მიისწრეთე სახიდ შენდა და ნუ უღებ-ყოფ (ხირ. 32,13); რად უღებ-ყოფ და არა ახუდე და უთხარ იოვანე ებისკოპოსსა (სინ. 65,37); მამონ უღებ-ყოფ შჯული იგი მამედისი (აბო 185,32); მისთვის უღებ-ყენა და მიუტყენა ივინი ველთა სიკუდილისათა (სინ. 155,4); რა-ფაშს უღებ-ყავითი ლოცვაი (წარტყ. 12,18); ფაში სინანულისაი უღებ-ყევს (ლიტ. ქრ. 18,29); რად უღებ-გიყოფიეს, აგრძა (აბოკრ. 44,12); უკუეთუ-ქცა არა უღებ-ყოფ მტრედ ფაშსა ჭირისა მათისასა, და-მცა-ფეარნეს შინაგანნი შეწიერებანი მარტკლთანნი (სინ. 255,6). საწყისსა და მიმლეობაშიც ასეთსავე ფორმას ვხედავთ: არცა კუალად უტეობდა მათ უღებ-ყოფად ცხოვრებასა სულთა მათისასა (კომ. I, 16,8); აწ მე ვევედრები შენთვის...მეტწიერსა და არა უღებ-ყოფელსა (ბალ. 56,7).

ამას ჩუენცა არა უარ-ეყოფითი, რომელსა თქვენ აღიარებთ (კომ. I, 7,20); ქურდანი უარ-ყოფდეს უცხოისა მას შობასა (სინ. 31,22. მაგრამ ამავე ხელნაწერში სხვაგან ვევედ ფორმა სანის დართით არის წარმოდგენილი: უვარს-ყოფდეს მათ მას ფაშსა ნათესაენი მათნი: სინ. 259,6); განმთავისუფლებელსა მათსა უფალსა უვარ-ყოფდენ (2 ებისტ. პეტ. 2,1); უკუეთუ ამას იქმ, ეფრემ, მე უარ-ყოფ, ვითა არა შენი მოძღვარი ვარ (ხანძთ. 130,25); ეარსქენ უვარ-ყოფ ქვეშარიტი ღმერთი (შუშ. 2,14); რომელსა უნდეს ჩებდა მოსლედ, უვარ-ყავნ თავი თვისი (მ. 16,24; მრ. 8,34); არასადა უვარ-გყო შენ (მ. 26,35); უკუეთუ უვარ-ყოფთ, მანცა უვარ-მყენეს ჩუენ (2 ტიმ. 2,12); უვარ-ყოფიეს მას ნათესაობაი იგი ხეცისა (სწავ. 106,5). აქ საწყისსა და მიმლეობაში უყრარ გვიან შესული ნათესაობითი ბრუნვის მარტივი ნიშანია:

უკარის-ყოფითა (მუშ. 1,23); უკარის-მოფეული (ხანძი. 145,20; სვან. 463b).

ღალაოუ ესმეს ესე მთაყარსა მას, ჩუენ ვარსმუწროთ და თქვენ უზრუნველ-გყინეთი (მ. 28,14; სან. 161,35). ეს რთიჯლი ზნა ძალზე იმეოთად გეხილება ძველ ქართულში.

ნუ უსატო-ყოფ მას (ზირ. 3,15); ძე უსატო-ყოფს მამასა (მიქ. 7,6 pl. ომის ხელნაწერში ძველ ქართულში ძალიან გავრცელებული შეურაცხ-ყოფის იკითხება); რომელმან უსატო-ყოფი იქნა (ეზექ. 17,16 ἄ. მუორე რელაქციამი აქსო ისევე სხვა ფუძე გვაქვს: შეურაცხ-ყო); რომელი მწესილეს არაწმილებსა. უსატო-ყოფს მამაი (იგავ. 28,7).

ღალად-ყოფა ერთ-ერთი უძველესი რთული ზნაა. მას რამდენიმე თავი-სებურება ახასიათებს. ამათგან მთაყარსა ის, რომ მას მუორეული პირდაპირი ობიექტი არასოდეს არ უწოდება. არის: მან ღალად-ყო, ღალად-ყვის, ღალად-ყოს. მათ ღალად-ყევს, ღალად-ყონ, მაგრამ არასდროს არ შეგვხვდება მან ღალად-ყო ფე. მათ ღალად-ყევს ფე. რაკი მუორეული პირდაპირი ობიექტი არ ერთვის. ბუნებრივია, არც მისი ბრავლობითობა იქნება აღნიშნული. ღალად-ყო ძველი წესები მტკიცედ შეინარჩუნა. შემდეგ: ამ რთულ ზნას არა აქვს I სერიის ფორმები, რაც ისევე მის სიმკვლეზე მიუთითებს; როცა ენაში ასეთი ფორმები ყალიბდებოდა, მაშინ მხოლოდ II სერიის ძირითადი მწკრივები გვქონდა. შემდეგ ჩამოყალიბებული I სერიის ფორმები ჩვენს რთულ ზნას მარტივად აქვს ნაწარმოები (მეცელილი): ღალადებს, ღალადებდა, ღალადებლეს. რაკი თავისი I სერიის მწკრივები არ გააჩნია, არც იბადება ტუნება, რომ სახელადი ნაწილის ფუძეს მიცემიანის ს ნიშანი დაემატოს. შდრ. უკვლებელს-ყო, ამბორს-უყო, თუალთ-უყო, პატვის-უყო ... დასასრულ. იმასაც აღნიშნავთ, რომ ამ ზნაში საინტერესო ფონეტიკური ცვლილებები ხდება: ვერ ერთი, დე-ს შეხვედრისას დ ერუცდება და ტ-ლ იქცევა: ღალად-ყო → ღალატ-ყო. ღალად-ყევს → ღალატ-ყევს და სხვ. მუორე: რთული ზნის ორივე ნაწილი ისე მტკიცედ არის შეერთებული და შერწყმული, რომ ისინი ერთ მთლიან, დაუმღულ-ერთეულად არის გააგებული და ამიტომ ზნის სუბიექტური პრეფიქსები სულ თავში გადმოღის. მაგალითად: ვალატ-ყოთ ყოველთა ერთიანთა და ვაქეთა (ასოკრ. 40, 10. E ხელნაწერში სწორი ღალად-ყოთ იკითხება). ზოგან ვ თავში კი გადმოსულა, მაგრამ თავის ნამდვილ ადგილზეც მკვიდრად ზის: ემასა მას ანგელოზისასა ჩუენცა შეუდგინოთ და ვალატ-ყოთ (სინ. 20,25). ბოლოს დაეკნით, რომ ღალად-ყო ზნა მწკრივითა ფორმებით საკმაოდ ღარიბია, არ გვხვდება ყველა მწკრივი (ყოველ შე-მთხვევაში, ძალიან იშვიათია ბრძანებითი), ობიექტად მხოლოდ შესამე პირსა ნაგუ-ლისხმევი (არ არის I და II პირის მაგალითები: ღალად-ყო, ღალად-გყო, ღალად-გაქე, ღალად-მყო). ყველაფერი ეს ამ რთული ზნის ღიდ სიმკვლეზე მიუთითებს. სწორედ ამიტომაც იგი ასე საინტერესოა. ასლა ენაზეთ მაგალითები ტექსტებიდან: აღვიმადლე ვმა ჩემი და ღალად-ყავ (დაბ. 39,15); მე შენდამი, უფალო, ღალად-ყავ (სინ. 58, 29); შეეშინა და იწყო დანთქმდ და ღალად-ყო /ღალატ-ყო CD/ და თქუა: უფალო, მი-უსენ მე (მ. 14,30); ღალად-ყევს ყოველთა (ისტ. ქრ. II, 61,20); ღალად-ყავ ყოველ-მან ერმან (ისტ. 6, 6,5 M); სულმან უკეთურმან შვიკრის იგი და შეესეულად ღალად-ყვის (ლ. 9,39); ღალად-ყოთ ღმრთისსა მამართ ებითა სიხარულისათა (სინ. 141,23); ემასა მას ანგელოზისასა ჩუენცა შეუდგინოთ და ვალატ-ყოთ (იქვე. 20,25).

შებმა-უყო სამოსელსა იოსებისსა და ეტყოდა: დაწვე ჩემ თანა (დაბ. 39,12); ანგელოზისასა მას შებმა-უყევს მადლსა (სინ. 10,17); ვითარცა-იგი მან თვისა

უღოდსას მარცხელსა მას იუქლოსას შებმა-უყვის გულს-მოღვინელ (აბო 157,21); აღვედ ფინიკსა ამას და შებმა-უყო სიმაღლესა მისსა (ქცხ. 7,8 O); გულითა წმიდითა შებმა-უყოთ საღმრთოსა კალობასა (სინ. 150,24).

ნუ შეურაცხ-კყოფ სიტყუასა ბრძენთასა (ზირ. 8,9); რომელი შეურაცხ-კყოფს, შეურაცხ-კყოფდინ (ეს. 21,2); ხოლო წმიდა საბა არავის შეურაცხ-კყოფ-და, რომელნი ევედრებოდეს მას (საბა ას. 19,19); ვითარცა შენ შემოქმედი შენი უვარ-კყავ, ვვრცა მე შენ შეურაცხ-გყავ (შუშ. 4,27); რასათვის შეურაცხ-კყავ მე (დაბ. 31,44); შეურაცხ-კყვენ ... მტერნი ერისა შენისანი (ივლ. 13,22 O); /თქვენ/ შეურაცხ-კყავთ ბრძანებაი ჩემი, და მე შეურაცხ-გყვენ თქვენ (ლიტ. ქრ. 7,46); ვითარცა ვინ შეურაცხ-ყვის სასწორი ერთი რეალი, რაითამცა შეიძინა ასი სასწორი ოქროი (მამ. ცხორ. 19,5); ვხელავე, რამეთუ ლოცვაი უღებ-გიყოფიეს და შჯული და კანონი შეურაცხ-ვიყოფიეს (წარტყ. 59,21); რომელთანი შეურაცხ-მეყენეს მამანი მათნი (იობ 30,1).

საწყისში, ჩვეულებრივ, ფუქვა (ძველი წრფელობითი): შეურაცხ-ყოფაი (ლ. 9,22), ზოგჯერ კი (იშვითად) — ნათესაობითი: წყევია და შეურაცხის-ყოფაი ჩუნდამო ესე არს (კურთხ. იაკ. 18,11). ასეთივე სიჭრელეა მიძღობებშიც, ოღონდ აქ ნათესაობითი უფრო ხშირად იხმარება: შეურაცხ-ყოფილი (კურთხ. მოს. 190,1); შეურაცხ-საყოფელი (მამ. ცხორ. 25,3), მავრამ: შეურაცხის-საყოფელი (იქვე. 25,15; Sin. 35, 222r); შეურაცხის-ყოფელი (მოც. 13,41; ეს. 33,1; სოფ. 3,4).

არამედ შეჩვენებულ-ყვეს იგი და მიუღეს პატივი მთავრობისა მისისაი (სინ. 65,7). სხვა ზმნური ფორმა ჯერჯერობით არა ჩანს.

ხოლო ნეტარმან მამამან გრიგოლ ძიება-ყო გულს-მოღვინელ და ჰოვა ადვილი კეთილი (ხანთი. 210,32); უკუეთუ ძიება-უყო სისხლი მისი, დამენჯვოს უსამართლოდ, რამეთუ მე მოვსწყედენ ივინი (ბაღ. 128,18).

იგი წამს-უყოფდა მათ და დაადგრა უტყუად (ლ. 1,22); წამს-უყოფდეს, რომელნი იყენეს ერთსა მას ნავესა, რაითა მოვიდენ და შეეწინენ მათ (ლ. 5,7. წამს-კყოფდეს Z); წამ-უყენა მას სიმონ-პეტრე, რაითა ჰკითხოს, ვინ არს, რომლისათვის იტყვის (ი. 13,24. თუალ-უყენა C); შღრ. წამის-ყოფაი (ისტ. ქრ. 1, 230,32).

მათივს მე წმიდა-ეყოფ თაქსა ჩემსა (ი. 17,9); რომელი-იგი ღმერთიმან წმიდა-ყო, შენ იგი ნუ შევინებულ გინს (მოც. 10,15); წმიდა-ყევს ტაძარი უფლისაი (2 ნეშტ. 29,17 M); წმიდა-ყვენ ესენი ჭეშმარიტებითა, რამეთუ სიტყუაი შენი ჭეშმარიტ არს (ი. 17,17); უფალი თაქადი წმიდა-ყავთ (ეს. 8,13); შევიდეს მღვდელნი იგი შინაგან სახლსა ... წმიდა-ყოფად მისა (2 ნეშტ. 29,16).

წყომა-ვყოთ ქანანელისა მიმართ (მსაჯ. 1,3 G; ეპრობოდით ქანანელსა მას M); წარვილო ... წყობის-ყოფად მათდამი (მსაჯ. 11,32 G; წარვიდა ... ბრძოლად მათა M).

ველ-კვავე აღესებად მისგან ჭურჭელისაცა (მ. ცხ. 423v); დადგეს და ელოდეს, ხოლო ნომერიანოს ველ-ყო შესლვად გულესად (კომ. I, 44,13); მრავალთა ველ-ყვეს ზევარდმო განწესებად თხრობისაი მის (ლ. 1,1 C. შღრ. ეელი შეყვეს DE); შეწეწინითა საღმრთოითა ველ-ყოთი შსნებად (ისტ. ქრ. 1, 193,18); რაჟამს ველ-ყონ ველავენთა მუშაკთა, მამის იხილოს თუალმან მხილველთამან შეწინიერებაი ადგილისაი ამის (იქვე. 193,29); მიბრძანეს ამისი ველ-ყოფაი (ი—ე. 14,17).

ღლისი ვმა-კვავე და ლამე წინაშე შენსა (სინ. 158,21); ვმა-ყო იესუ ემითა დიდითა და თქუა (მ. 26,46,50 C; ლ. 23,46); შეწუნსა ერთი იგი და შეშყოთინა და ვმა-

ევეს (ისტ. ქრ. II, 82,29); მიველ და ემა-ევე წინაშე მეფისა (კობ. I, 147,6); საეკრძან ემა-ევის ჟამსა ბრძოლისასა (სწავ. 17,37); არა ემა-ეოს შენთვის უფლისა მიმართ (2 შჯ. 24,15 G; ნუკუჲნი ღალაღებღის M); ემა-ეო მახლობელსა თქსთა (მა). (ეხორ. 84,29); ამისა შემდგომად ემა-ევის მათ, ვითარცა ერისთავმან (ისტ. ქრ. II, 7,31).

დასრულდა განსახილველი ტიპის (წრფელობითი მღვარი სახელი + ხნა) ყველაზე გაერცლებული და ყველაზე მრავალფეროვანი ყოფა კომპონენტისათვის. ლი ზნების ნიმუშები. აქ სახელად ნაწილში არის მრავალი ფურცე (ამბორ, ბაგე, ბრძოლა, გელ, გზა, გულისხმა, ღენა, დრო, თუაღ, ლოცვა, შხა, სათნო, სრულ, უგულებელ, უღებ, ღალად, შებმა, შეურაცხ, წამ, ეულ, ემა...), ასაძლე თუ მეტი. რომელთაგან ჩვენ მხოლოდ უმთავრესი და უფრო გაერცლებული დაეძინეთ; აქ არის ისეთი ფორმები, რომლებიც მხოლოდ II სერიაში იხმარება და სხვა სერიებში არ გვხვდება (ღალად-ეო, ზრახვა-ეო...), ესა ძველი ფონდის მემკვიდრება; ამით გვერდითაა ისეთებიც, რომლებიც I სერიაში ხშირად გვხვდება (უგულებელ/ს/-სყოფს, შეურაცხ-სყოფღეს, ამბორ/ს/-სყოფღა...); აქვეა, რაც, საერთოდ, იმეო-ათობას წარმოადგენს, III სერიის ფორმებიც (შეურაცხ-გიყოფღეს, უღებ-გიყოფღეს, გულისხმა-გიყოფღეს, შხა-მიყოფღეს, შეურაცხ-შეყენეს); ბოლოს, აქვეა ნიმუშები, როცა მეორეული პირდაპირი ობიექტი მრავლობითა და ხნასაც ეს მოუღენა სათანადოდ აქეს ასახული თავის ფორმაში (გულისხმა-ყენა ზრახვანი მათნი, უგულებელს-ყენ შეცოდებანი ჩენნი); აქ გვაქვს გარდამავალი და გარდაუვალი ზნები (სათნო-იყო მან იგი, სათნო-ეყო იგი მას — ამ უკანასკნელის ვჯუფის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი). ერთი სიტყვით, ყოფა ზნის მუშეობით ჩვენ გვაქვს რთული ზნების ერთი ტიპის უძველესი, მრავალფეროვანი და მრავალფეროვანი ფორმები. ამ ფურცეს შემდეგ ყველა დაეუბრუნდებოთ, როცა გარდაუვალ ზნებზე გვექნება საუბარი. ახლა კი განვიკვირობთ შეწყვეტილ მსახელობას და ეწინააღმდეგეთ განსახილველი ტიპის ზნების (დარჩენილ) ნიმუშებს:

იორდანისა წყალთა სათნო-ჩინე განბანა. უცოდველი (მოღრ. 74v,38). მესნელმან ჩუენმან სათნო-ჩინა. დაეკვდრებაო საშოსა ყოვლად უბიწოსასა (მოღრ. 30v,21); ესრე სათნო-ჩინეს (მოღრ. 2,16); ხოლო შენ კუალად დათმინენ აქა სხუნნი შედნი ღღენი, რათა ჩუენებულ იყოს ყოველი, რომელი სათნო-გინინოს მალაღმან ჩუენებად შენდა (3 ეზრა იბ.39 შ).

გაუნყო შენ შრომისა მისთვის, რომელსაცა ვერ-ვიინებ თხრობად შენდა (ეზრა სუთ. გ,37); ძემან მეფისამან ვერ-ჩინა შენდობაი ნაქორისი (ბაღ. 16,9); ვერ-ვიინეთ ათინას შინა დაშობაი მარტოთა (1 თესაღ. 3,1); ვერ-ჩინეს და თანამღლებცა არიან მათა (პრომ. 25,27); ვერ-ჩინენ /მან/ მეორელცა და მესამელ ჩუენებად (სინ. 66,5); ხოლო აწ შევეალთაცა არა ვერ-ჩინინან ვეკეთიარო საქმს ყოფად (სინ. 224,23); უკუეთუ ვერ-ჩინო, ითხოვე სოფლები სამსახურებელად მონასტერთათვის (მამ. ცხორ. 110,27); ვერ-ჩინებთა შენითა და შეწეწებითა საღმრთოთა ველ-ყოთ შინებად (ისტ. ქრ. I, 193,18);

იწყეს თხრად ადგილისა მის. და ადგილმან არა ადგილ-სცა რაითურითი რკინასა მას, რომლითა თხრიღეს (ისტ. ქრ. II, 86,36); ვითარცა თქუა პაულე: ადგილ-უც რისხეასა (ლიმ. 90,30). თვით პაულეს ნათქვამი აქვს: ვით ადგილ (პრომ. 12,19 გამოც.), მაგრამ ეს უკვე აღარაა რთული ზნა. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ ხელნაწერში (L) ადგილ-უცით ყოფილა. სწორედ ესა ძველი ქართულის მართებული ფორმა; ღალაღებდა და იტყოდა: ადგილ-მეცით, რათა განვიღე (ისტ.)

ქრ. II, 26,33); ადგილ-მცედ აქა ყოველია, რომელნი დგანან ჩემ წინაშე! (საქ. წ. II, 74,4); რათა ადგილ-სცე რისხეასა და არა წინა-აღუდგე (ლომ. 90,28); უბრძანა მზარ-დულსა, რათა ადგილ-სცეს და განვიდეს მათგან (ბაღ. 30,11).

ბრძოლა-სცემდა მინასა მას ღმრთისასა (კიმ. I, 191,29); ბრძოლა-ვსცე მას, და ვერ შემოვიდეს სიბორვილე მტერისაი შენ ზედა (ბაღ. 120,25); რაჟამს ესრე ქურიათა მათ ბრძოლა-სცე და ... სძლო, მერმე მოვედ გარდამატებულსა მას მაცხოვ-რისა დიდებასა (სინ. 167,28).

გზა-ვც სულსა წმიდასა, წრფელ-ყევენ ალაგნი მისნი (ბოლნ. 83,19); გზა-მეცით მე, რათა ვანიდე (სწაე. 282,35); გზა-მეცით მას, რომელი-იგი ზის და-საქადითი (ფს. 67,5); გზა-მეცითი ჩუენ, რათა ვწარივიდეთი (მამ. ცხორ. 76,37).

ღორ-მეც კვრიაკელმდე (მ. ცხ. 273v).

რომელი საყუანის-გცემს შენ (ეზრა ზორ. ბ.13); ჩუენ თაყუანის-ესცემთი, რომელი ვიცით (ი. 4,22); ახლად მოსრულთაცა ქუე მოდრკით თაყუანის-სცემს სიტყვით და საქმით (ი—ე, 68,24); თაყუანის-სცემედ მას (მრ. 15,19); მამანი ჩუენნი მთასა ამას თაყუანის-სცემდეს (ი. 4,20); ოდეს ჭეშმარიტნი თაყუანის-მცემელნი თაყუანის-სცემდენ მამასა (I. 4,21); უკუეთუ თაყუანის-მცე (თაყუანის-მცე CD) შენ ჩემ წინაშე, იყოს შენდა (ლ. 4,7).

გახედება ძველი ქართულისათვის მეტად იშვიათი კაუზატივის მაგალითიც: ტადარი კერძათი განქადო და თაყუანის-ვატეძინე მას ყოველნი კაცნი (საქ. წ. II, 137,36).

ჩუეულებრივია საწყისისა და მიმლეობის ფორმები: თაყუანის-ცემაი (მ. 6,5 C); თაყუანის-მცემელნი (ი. 4,23); თაყუანის-საცემელი (მ. 21,13 C; მრ. 11,17 C).

ამ რთულ ზნანში სახელადი ნაწილია წრფელობითში დასმული თავ, ხოლო ყანის მისი მსაზღვრელია<sup>122</sup>.

მე ნათელ-გცემ /ნათელს-გცემ C/ თქუენ წყლითა (მ. 3,11); რად ნათელ-სცემ, უკუეთუ არა ხარ ქრისტე (სინ. 229,21); აჲ იგი ნათელ-სცემს და ყოველნი მოვლენან მისა (ი. 3,26); აწ წარედით და მოიძოწათენით ყოველნი წარმართნი და ნათელ-სცემდით მათ (სინ. 197,32); არაეის თქუენგანსა ნათელ-ვეც, გარნა კრისპეს და გაიოსს (I კორ. 1,14); მაშინ მომიყენა დიდმან ილარიონ... და ნათელ-მცა მე (საქ. წ. II, 29,12); მან ნათელ-გცეს /ნათელს-გცეს C/ თქუენ სულითა წმიდითა (მ. 3,11); შღრ. ნათლის-ცემაი (მ. 21,25; მრ. 11,30).

წმიდაი ანასტასია მოქელნი მათ ყოველთა და კმსახურებნ და ნუჯეშინის-სცემს (საქ. წ. II, 21,9); ქურიანი ... ნუჯეშინის-სცემდეს მათი (ი. 11,31); ნუჯეშინის-იცემდეს ურთიერთას და იტყოდეს (სინ. 258,32); ნუჯეშინის-იცა ერმან მან სიტყუასა მას ზედა (2 ნეშტ. 32,8); მოაელინენ ღმერთმან წყალობაი მისი და ნუჯეშინის-გეცინ თქუენ (სინ. 265,24); რომელი ვიხილი მწუხარედ, ნუჯეშინის-ესცი (საქ. წ. II, 22,9); ვინცა წუართის თენიერ ყოველსა მიზეზისა, ნუჯეშინის-სცის და ალაშენის (ი—ე, 68, 26); ნუჯეშინის-ცემაი (ლ. 6,24); ნუჯეშინის-მცემელი (ი. 14,16), ნუჯეშინის-საცემელი (ი—ე, 37,7). მართალია, ამ უცნასკნელი ფორმის მნიშვნელობა ცოტა სხვაა (კანსატკიცებელი, კანსამკლიერებელი — საზრილო, საქმელი...), მაგრამ ფორმა სრუ-

<sup>122</sup> ამ საინტერესო სიტყვის შესახებ იხ. ი. იმნაიშვილი, სინური მრავალთავის ზოგიერთი ფორმების კრიტიკული საკისებურება (თუშ. 93, 1960, გვ. 54-60. ლიტერატურაც იქვეა მოთავსებული.



ლიად ისეთია, როგორც ჩვეულებრივი შინაარსის ნუგეშინის-სცა-ს შეეფურება.

რა არის ამ ზნაში პირველი, სახელად ნაწილი? ესაა ნუგეშინის. ნუგეშინის ისტორიულად პირიანი ზნის ანუ იყო ნაწილაკადი უფროა: ნუ გემინის (გ-ე-შინ-ი-ს) და ნიშნავს: ნუ გემინა, ღრითა ვითარებში ნუ გემინის გაიყინა ამ სახით და, როგორც დამოუკიდებელი ერთეული (მთლიანად), რთულ ზნაში შევიდა პირველ წევრად. ნუგეშინის-სცა პირველ ხანებში ამას ნიშნავდა: ნუ გემინაო. უთხრა.

საინტერესოა ამ მეტად საყურადღებო სიტყვის შემდეგი ბედიც. ცალკე აღებისას ფორმას მოაკლდა ს. წარმოშობით მესამე სუბიექტური პირის ნიშანი, და მივიღეთ ნუგეშინი. ეს ფორმა ასევე ინმარებოდა კარგა ხანს. მაგრამ, რადგანაც ფორმა ნათელი არ იყო და მისი წარმოშობის ისტორიაც დაეწეებას მიეცა, ბოლო ი (ნუგეშინი), რომელიც ისტორიულად ამ ზნის თემის ნიშანი იყო. სახელობითი ბრუნვის ნიშნად გაიგეს და სიტყვას ასე აბრუნებდნენ: ნუგეშინ-ი, ნუგეშინ-მა, ნუგეშინ-ს ... შემდეგში ამ გაუგებარ ფუძეს ს-ც ჩამოსცილდა (ძირეული შინ-ის ბოლო ბგერა) და ახლა ახალ ფუძედ ნუგეში მივიღეთ. დასასრულ, ძველი ფუძის ძირისეული ი კვლავ სახელობითი ბრუნვის ნიშნად იქნა გაგებული და სიტყვამ საბოლოოდ ასეთი სახე მიიღო: ნუგეში. ისტორიის ქარცეცხლში გამოკლილი ამ სიტყვის პირველი მარცხალი არის ძველი ნუ უარყოფითი ნაწილაკი: მომდევნო გ არის მეორე ობიექტური პირის ნიშანი (ნუ გ-ე-შინ-ი-ს). ე ენებითი გვარის გამოშხატეულია. იმ ზნური გაფორმებული ფუძიდან დღეს მხოლოდ შ შემოგვრჩა. ნუ-ს ხელი არ ახლეს იმიტომ, რომ ის ყოველთვის უარყოფით ნაწილაკად ესმოდათ და აუცილებელ კომპონენტად მიანდათ. ე, ინ, ი, ს კი სამულამოდ გაქრა და ისტორიის კუთვნილებად იქცა.

ზ. სარჯველაძეს და დასტურებული აქვს ვასარტიკული კარიანტები ამ რთული ზნისა: ნუგეშინ-სცეს (H-622, 48r, 25-26; ნუგეშინ-ესცი (Sin. II, 96v, 4-5); ნუგეშინ-ესცემდი (იქვე, 96v, 23-24)<sup>123</sup>.

პტიე-ესცი მამასა ჩეისა, და თქუენ მაგინებთ (ი. 8, 49); ერი ესე ბაგითა მათითა პტიე-სცემს მე (მ. 15, 8); რაითა ყოველნი პტიე-სცემდენ ძესა, ვითარცა-იგი პტიე-სცემენ მამასა, რამეთუ რომელმან პტიე-სცეს ძესა, მან პტიე-სცეს მამასა. რომელმან მოაუღინა იგი (ი. 5, 23); პტიე-ესცემდეთ მღდელთა უზეშთაესითა პტიე-ითა (სწავ. 67, 4); მრავლითა პტიეითა პტიე-გუცეს ჩუენ (მოც. 28, 10); პტიე-სცედ წარმართთა მოწამეთა მისთა (სინ. 259, 34); პტიე-გუცე შენ (რიცხ. 24, 11); შღრ. პტიეის-ცემი (იგა. ე. 25, 27); პტიე-ცემულ (გამოცხ. 14, 14 თ).

ნუეან ფერე-სცემს მე (ბარ. 4, 12); ფერე-სცემს ტუეუოპასა მის ისრაელისასა (ს. გბ. 101, 30).

ენაი ონაისი მსაე-ულსა მას რიცხუსა მისცემდა სიმართლისასა და უნებლიათ ძლევა-სცემდა მსაე-ულსა მას და საშჯელსა შინა განამართლებდა მართლ მსაე-ულსა (ისტ. ქრ. II, 47, 11).

წყობა-სცა ისრაელსა (რიცხ. 1, 23). შღრ. ბრძოლა-სცემდა, ბრძოლა-ესცე. ბრძოლა-სცე (გვ. 540).

კმა-სცემდეს ნესტთა (I ნემტ. 15, 28 M); უწოდე წყალთა. და კმა-გცეს

<sup>123</sup> ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, გვ. 342.

(სწავ. 66, 23).

ამით დაემათავროთ ცემა კომპონენტები რთული ზმნების ასე თუ ისე სრული სა. ამ რიგის რთულ ზმნებში წინა, სახელად, ნაწილად გვაქვს წრფელობითის ფორმით წარმოდგენილი სახელები: ადგილ, ბრძოლა, გზა, დრო, თავყვანის, ნათელ, ნუგეშის, პატივ, ფერვ, ძლევა, წყობა, ემა (სია, რა თქმა უნდა, სრული არაა). აღსანიშნავია, რომ ამ 12 ფუძიდან განსახილველ ზმნას 6 (ნახევარი) ზიარი აქვს ყოფა-სთან. შდრ.

ბრძოლა-ყო (უყო)	და	ბრძოლა-სცა
გზა-მიყავ		გზა-მეც
დრო-უყავ		დრო-მეც
პატივ-უყო		პატივ-სცა
წყობა-ყო		წყობა-სცა
ემა-ყო (უყო)		ემა-სცა.

ეს შემთხვევითი არ უნდა იყოს: ორივე ძველთაძველი ხანებიდან ერთად მომდინარეობს, მათ ერთად აქვთ გამოვლილი გრძელი ისტორიის ქარტეხილები, რომელიც დადიც ორივეს აშკარად ემჩნევა. მათ ბევრი რამ აქვით საერთო და თითოეულ მათგანს — ცალ-ცალკე მკვეთარი თავისებურებაც. ასე, მაგალითად, ყოფა ერთადერთი ზმნაა ჩვენს ენაში, რომელსაც ოფ თემის ნიშანი აქვს (სხვა ასეთი ზმნა არ გავგაჩნა). ასევე, ცემა-ც ერთადერთია, რომელსაც ემ თემის ნიშანი მოუპოვება (აქაც არა გვაქვს მეორე ზმნა, ემ რომ ახლდეს). ცემა კვლავ ერთადერთია (?), რომელსაც ძირი ე ხმოვნით ეწყება: ე-ეც, ეც, ე-ეც-ი-თ, ეც-ი-თ (აქ იგულისხმება მოქმედებითი გვარის ფორმები).

ყოფა ორიპირიანია, მესამე პირისათვის მას სასხეისო ქცევის ნიშანს უმატებენ და ზმნას სამპირიანად აქცევენ: ემა-ყო, მაგრამ: ემა-უყო, ასევე: ბრძოლა-ყო — ბრძოლა-უყო, გულისხმა-ყო — გულისხმა-უყო, მზა-ყო — მზა-უყო, ცემა კი თავისი ფუძის საშუალებით უჩვენებს მესამე პირსაც, იგი სამპირიანია: (მან მას იგი) ადვილ-სცა, თავყვანის-სცა, ნათელ-სცა, ბრძოლა-სცა ... ამიტომ, რომ მას სასხეისო ქცევის ნიშნები არ სჭირდება. ასე გვაქვს რთულ ზმნაშიც: არა ადვილ-უცა, ბრძოლა-უცა, პატივ-უცა, არამედ: ადვილ-სცა, ბრძოლა-სცა, პატივ-სცა. ვნებითებიც ამის კვალობაზე განაწილებული: ყოფა-ს, ჩვეულებრივ, ინიანი (ერთპირიანი) ვნებითი აქვს (უფრო ნაკლებად — წინიანიც), ცემა-ს — წინიანი ორიპირიანი (ძალზე იშვიათად ინიანიც). შდრ. იყო (ჯერ-იყო), მაგრამ: მიეცემის, მიეცემოდა, მიეცა, მიეცეს. ინიანი ვნებითი, როგორც ითქვა, ძალზე იშვიათად გამოჩნდება ხოლმე, მაგალითად: ყოვლისაგან დაბადებულისა თავყვანის-იციემების (სინ. 148, 6); პირველ ჯუარისა ეშმაკი თავყვანის-იციემობოდა (იქვე, 234, 2). მაშასადამე, ცემა ზმნას თავისი შინაგანი ბუნების გამო (სამპირიანი რომ იყო) არ სჭირდებოდა სასხეისო ქცევის ნიშნები და, ჩვეულებრივ, არც აქონდა<sup>124</sup>. ყოფა და ცემა რთული ზმნის ფორმებშიც მაქსიმალურად გვიჩვენებს ძირითად ზმნურ კატეგორიებს (როგორცაა: გეზი, ორიენტაცია, გეარაი, ქცევა)<sup>125</sup>.

<sup>124</sup> იშვიათად იხმარება: ფუტკარმან (გველმან) უცა (= უცინა), ნუცან ფერვ-მაცუნ მე (ნ. ზემოთ). ემიკრები, ეს დღელი იშვიათობაა.

<sup>125</sup> ქ. თქმაუბნე, რთული ზმნების ძველ ქართულში წარმოქმნის კატეგორიების მიხედვით, ვვ. 190-201.

უკანასკნელ, კიდევ ორი ზნის შესახებ:

უნდა მოკლეთ მისი და ვერ ველს-იწიფებდა (მრ. 6,19 C); რაისა ველ-იწიფა ჩემ ზელა ცოლმან ჩემმან ესეითარისა საქმელ (მუშ. 4,16); ევრღარა ველ-იწიფის მან ქალაქელ ცხადელ შესლავდ (მრ. 1,45 C); ვითარ ველ-იწიფიო მოღებად მისგან, რამეთუ არა ვითი იგი დე არცა მან მითის მე (ტომ. ე.2); სისხლი შენი მიწოდლის ქვეყანასა ზელა, ვითარცა წყალი. გარნა მოკლეთ შენი ვერ ველ-იწიფონ მათ (ამოკრ. 30,29). ამ რთულ ზნას უფრო მრავალფეროვანი ფორმები აქვს ენებითში. სადაც წრფელობითი გადმოცემული სახელი ისტორიულად სუბიექტს აღნიშნავდა. მაგრამ ამაზე ქვემოთ, როცა გარდაუვალ ზნებს განვიხილავთ.

პირ-იყსენ და ჭამე რაი ჭამადი (ეზრა სუთ. გ.18); პირ-იყსენ ჩემ თანა (Sin. 35, 275ra,8); ჯერ-არს მონაზონისა, რაითა არა პირ-იყსენს უწინარეს ცხრაემისა (იქვე, 274vb,7); რაითა მიზეზითა ჩემითა პირ-იყსენს ბერმან (ლიმ. 27,29). ეს საინტერესო რთული ზნა უკვე ძველ ქართულში იწყებს დაშლას და მისი ნაწილები ცალ-ცალკე, დამოუკიდებლად მოქმედებენ, როგორც წინადადების წევრები. მაგალითად: მიძიეპო ერთმან ძმათაგანმან, რაითა პირი ეიქსნა მის თანა (მამ. ცხორ. 176,41); ევეღრა მას, რაითა პირი იყსნას მის თანა (იქვე, 263,40). ერთადერთი, რაც რთულ ზნებს ძველთაგან მტკიცედ გადმოაყვია, როგია: ჯერ სახელი, მერმე — ზნა. ესაა და ეს. მაგრამ აქ უკვე აღარა გვაქვს რთული ზნა. არამედ ორი დამოუკიდებელი სიტყვაა, რომელთაგანაც თითოეულს თავ-თავისი ფუნქცია აკისრია.

როგორც ვნახეთ, I ტიპის რთულ ზნებში სასიყვარულ ნაწილად გამოყენებული წრფელობითი ბრუნვის ფორმა (ფუქე) მტკიცესტად ხშირი და ფრთხილ დამახასიათებელი მოვლენაა ძველი ქართულისათვის, იგი ამავე დროს ძველისძველი დროების ლეიძლი შეიღა და ძველ ქართულამდე თითქმის უცვლელი სახით მოაღწია. მართალია, აქა-იქ ვეკობა ცვლილება, ენაში შესიქარად ახალ ფორმებთან შეგუება, ერთგვარი გამარტივება და სისადავე, მაგრამ არსებითად რთული ზნების ეს სახეობა სხვა სახის რთულ ზნებთან შედარებით დიდი არქაიზმით ხასიათდება. სხვა რომ არა იყოს რა, მარტო ის რად ღირს, რომ უსქველესი ქართულის პირველი ბრუნვა — წრფელობითი — აქ, ასე თუ ისე, ხელუხლებლად არის დაცული და საშუალებას გვაძლევს, მისი ძველი ფუნქციებიდან ზოგი უფრო ნათლად წარმოვადგინოთ და განვსაზღვროთ.

ამდენ ხანს ჩვენ საუბარი გეჭირნა ისეთი რთული ზნების შესახებ, რომელთა პირველი (სახელადი) ნაწილიც წრფელობითი ბრუნვის (ფუქის) სახით იყო წარმოდგენილი და ეს ფორმა ისტორიულად პირდაპირი ობიექტის წარმოადგენდა. სხვანაირად რომ ვთქვათ, აქამდე ჩვენ განვიხილავდით მხოლოდ გარდაამავალ ზნებს. მაგრამ რთული ზნის სახელადი ნაწილი წრფელობითი გარდაუვალ ზნებშიც გვხვდება. მაგალითად: სათნო-ეყო, ვერ ველ-ეწიფების, ძალ-ვიც, ჯერ-მინდა, სახელ-ელების ... აქ რაღაა წრფელობითი ბრუნვის (ფუქის) სახით წარმოდგენილი სახელი? წარმოშობით, ისტორიულად, ეს სიტყვა სუბიექტია. შემდეგში და შემდეგში, როცა ფუქის მნიშვნელობა მიიქმალა და მერმე სულ გაქრა, იგი აქაც სახელობითა შეცვალა: სათნო-ეყო იგი ღმერთსა (სულ ძველად: სათნო-ეყო ღმერთსა). მას ველ-ეწიფების განწმენდა მისი (ადრე: ველ-ეწიფების მას). ერთი სიტყვით, ამ ტიპის რთულმა ზნამაც ისეთივე გზა გამოიარა და ისეთივე ცვლილება განიცადა, როგორც გარდაამავალმა რთულმა ზნებმა. ამიტომ აქ ამაზე სიტყვას აღარ გვაეგრძელებთ და მხოლოდ სათანადო მაგალითების ჩვენებით შემოვიფარგლებით. აი, უმათერესი მათ-

კანნი:

რათამაცა გზა(ღ)-მევეს ჩუენ შემწეობისათვის მათგან, რომელნი-იგი წინა-აღკვედგეს (1 ეზრა 8,52). ი.ბ.ბლადის ლექსიკონში საწყისად ნაჩვენებია გზა-ყოფა და გზად-ყოფა. ყოფა აქა არაფერ შუაშია, წაყოლაზეა ლაპარაკი, ამიტომ გზა(ღ)-ყოფა უნდა ყოფილიყო საწყისად; წარმოსლევას მისსა გზა-მევეს შამაი თუოდორე და შამაი ქრისტეფორე (ლიტ. ქრ. 124,25); შვილო საყუარელო, გზა-მევე წმიდათა მათ (ისტ. ქრ. I, 194,11); გზა-მევიან იგინი მათ (უქე. რედ. 114,24); არამედ მტირედ გზა-მევე და მერამე მთიეცე ზრუნეად თავისა ჩემისა (უქე. რედ. 39,4); ლოცვილეს, რათისა გზა-მევეს მათ ვიდრე ბერისამდე (მ. ცხ. 224r).

/ქრისტე/ ყოველისაგან დაბადებულისა თაყუანის-იქემების (სინ. 148,6); პირველ ჯუარისა ეშმაკი თაყუანის-იქემებოდა (სინ. 234,2). შდრ. გარდამავალი ზნის ნიშნები (გვ. 540).

სათნომცა-გეყოფით შენ, ვითარცა საკურთხი ვერძთაი (სინ. 120,12); სათნო-ვეოფოდენ თანაზარებაი ჩუენი (კობ. I, 198,21); უკუეთუმცა კაცთა სათნო-ვეოფოდე, ქრისტის მონამცა არა ვიყავ (გალატ. 1,10); ენუქ სათნო-ვეო უფალსა (ზირ. 44,15); ღმერთსა არა სათნო-ვეენეს (1 თესალ. 2,15); რათა მათიცა ნაშრომი სათნო-ვეოს ღმერთისა (მამ. ცხორ. 116,18); ღმერთსა სათნო-ვეევენეთ (სწავ. 304,6). შდრ. გარდამ. ზნა, გვ. 535.

უკუეთუ სათნო-გინს (ისტ. ქრ. II, 53,3); სათნო-უნდეს სიტყუანი ესე წინაშე ფარაიისსა (დაბ. 41,37); რათცა სათნო-გინდეს (1 მეფ. 11,10); უკუეთუ არა სათნო-უნდეს, არცა ინებოს მამამან მის ქალისამან მიცემად მას იგი ცოლად (გამ. 22,17). შდრ. გარდამ. ზნა, გვ. 539.

ხოლო დღეს ჯუარისა ქადაგებითა ქრისტე სახელ-იდების (სინ. 234,1); რომელთა სახელ-იდების ვარსკულაუად (გამოცხ. 1,20 თ); ერთისაცა მათგანისა არა სახელ-გედვა შენ ცოლად (ტობ. გ,8); რომელსა სახელ-ედვა მამად მისა (სინ. 38,8). შდრ. გარდამ. ზნა, გვ. 529.

გრწამსა, ვითარმედ ძალ-მიც ესე ყოფად (მ. 9,28); უკუეთუ გინდეს, ძალ-გიც განკურნებად ჩემდა (ლ. 5,12); ეს უფრო ძეგლია, ვიდრე ვითარებითის ნაცულად სახელობითის გამოყენება: ძალ-გიც განწმენდა ჩემი (მ. 8,2); ძალ-უც ღმერთსა აღდგინებად ქვათა ამათგან ნაშობად აზრაპამისა (ლ. 3,8); უკუეთუ ჰგონებთ თქუენ, ვითარმედ ძალ-რამიე-უც კერპთა მათ თქუენტა (საქ. წ. II, 24,7); მათ პრქუეს: ძალ-გვც (მ. 20,22; მრ. 10,39). მოგვიანო ხანებში ზნის ფორმაში აისახება მერამე დამატებული მორაყოლოგიური სუბიექტის მრავლობითობა: ხოლო სასწაულნი ჟამ-თანნი ვერ ძალ-გისხენ გულისხმის-ყოფად (მ.16,3 C). ABDEG-სა და ბევრ სხვაში ისევე ძველებური ძალ-გიც არის ხელუხლებლად დატოვებული.

რთული ზნების რღვევის პროცესს ასახავს აგრეთვე სახელადი ნაწილის სახელობითი ბრუნვის ნიშნით გაფორმება: უსლური არს და ძალი არა უც (ისტ. ქრ. II, 9,39); მას ძალი არა უც და უსლური არს (იქე, 17,19). გარდა ამისა, აქ აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოება, რომ ყოფილი რთული ზნის ნაწილებს შორის არა ნაწილაკი მოუთავსებრათ (ეს ტექსტში არ უნდა აგვერიოს!).

II სერიაში ამ (და ბევრ სხვა ამ ტიპის) საშუალო გვარის ზნას სხვა ფუქე (დება) ენაცლება, იცლება გვარიც, საშუალის ნაცულად ენიანი ენებითი გვაქეს: ვერ ძალ-მედვა მიხედვად (მ. ცხ. 241v); ტვრთვად ვერ ძალ-გედვა (სინ. 10,1); ტიროდა მწარედ და არა ძალ-ედვა მას აღდგომად (საქ. წ. II, 93,38); ვერ ძალ-ედვას

ძეთა ისრაელისათა პირის-პირ დადგომა (ის. ე. 7, 12 G).

ძალ-მიც ფორმა გაღმობიდა ახალ ქართულში ძველზე უფრო ადრინდელი სა-  
ხისი<sup>26</sup>; ძალმისი (დღეს ერთად იწერება), ძალემისი, ძალუმსი, ძველ ქართულში.  
როგორც ცნობილია, ძ და ს შერწყმულია და აქედან ც არის მიღებული: ძალ-მიც.  
ძალ-გიც, ძალ-უც).

ჯელ-მენიოების დაღებად მისა და ჯელ-მენიოების კუთვალ მოღებად მისა (ი.  
10, 18); არღარა ჯელ-გენიოების შენ ამიერითვის შრობად (ლ. 16, 2); არცა ჯელ-კის-  
ენიოების შესღვად სახლსა ძლიერისასა (მრ. 3, 27 D); ჯელ-მე-ენიოებისა ძეთა სი-  
ძისათა ვლოვად, ვიდრემდის სიძლ იგი მათ თანა არს (მ. 9, 15); ვერ ჯელ-გენიოების  
შთასღვად (დაბ. 44, 26); ნუცა ხარკი... ჯელ-ენიოებინ მაგათვან მოღებად (ეზრა ზორ.  
C, 22); ჯელ-თუმცა -ენიოებოდა, გამო-მცა-უსწრო (სინ. 207, 11); არავის მონასა  
ჯელ-ენიოის ორთა უუჯლოთა მონებად (ლ. 16, 13 D); მოუღლს ლაძი, ოღეს ვერვის  
ჯელ-ენიოის საქმედ (ი. 9, 4). შღრ. გარღამ. ზმნა, გვ. 543.

ჯუუუთუ ჯერ-არს კაცისა განტეკება ცოლისა თვისისა (მ. 19, 3); ჯერ-არსა  
ხარკისა მიცება კეისარსა ანუ არა (მ. 22, 17); ჯერ-თუ -არს ვისაზე განტეკება  
ცოლისა თვისისა ყოვლითა მიხეზითა (მ. 19, 3 C); იგინცა ჯერ-არღან ჩემღა მო-  
ყვანებად (ი. 10, 16).

ჯერ-იყო დაღებად შენღა ჩემი სავაჭროსა (მ. 25, 27 DE; გიღორღა C); არა  
ჯერ-იყოა შენღაცა, რაითამცა შეინჯალე მოყუასი იგი შენი (მ. 18, 33); რაჯამს  
იხილოთ ბიღწი იგი მოჯერებისა მღგომარე, საღა არა ჯერ-იყოის (მრ. 13, 14 C).

ზოლო მე ჯერ-მიჩნს, რაითა სახე ვიყო შეთვისა (ბალ. 113, 37); ვორცთა  
ჩემთა ნუ ჯერ-გიჩნს განღებად გარე (ისტ. ქრ. I, 147, 32); აწ მარჯე ჩუერ, ვითარ  
ჯერ-გინს; წეს-არს ხარკისა მიცება კეისარსა ანუ არა (მ. 22, 17 C); ჯერ-მიჩნღა  
მიწერად თქუენღა (იულა 1, 3); ესრე ჯერ-უჩნღა მოწაფეთა მათ თვისთა (სინ. 225,  
27); ჯერ-გიჩნღინ და ბრძანე, რაითა შეორედცა და შესამღელცა გამოშეცხადოს (ისტ.  
ქრ. I, 249, 34); თუ ჯერ-გიჩნღეს შენ, შეფესა, მოუღ (ესთ. 5, 4); აწ ჯუუუთუ ჯერ-  
უჩნღეს უუჯალსა ჩუენსა, შეიჯყრნელ მშობელნი მათნი (ისტ. ქრ. II, 107, 27). შღრ.  
გარღამ. ზმნა, გვ. 539.

II. შეორე ბრძნეა, რომელსაც რთული ზმნების სახელად ნაწილად იყენებ-  
დნენ, არის მიცემითი. ამ შემთხვევაში სახელი არსებითად ადგილის გარემოებად იყო  
გაგებული, მოქმედების ადგილს მიუთითებდა. რა თქმა უნდა, მიცემითი ასეთ შემ-  
თხვევაში მხოლოდ უძველესი და მარტივი ს ნიშნით იყო წარმოდგენილი და ემუხატი-  
კური ა არასოდეს ახლდა. სხეანიარად შეუქლებულია ვიოვიკროთ: ემუხატიკური ა გვი-  
ანდელი მოუღნაა, რთული ზმნების ეს სახეობა კი ქართული ენის განვითარების  
უძველეს საფეხურს მიეკუთვნება.

მეტად ღარიბია იმ სახელთა რიგი, რომლებიც მიცემითში ღგანან. აქ უფრო  
გავრცელებული ხუთიოღე ფუქეა (გული, სული, თაგი, კუალი, კული, ჯუარა...);

<sup>26</sup> ამგვარი შემთხვევა სხვაე არაერთია. დეასახელებთ კიღვე ერთს: ეღ. მოუღ. მოუღ  
ფორმების საწყისი ასეწარმოება: ეღ + ა + ეღა. საწყისის ს. პრეფიქსის ღამტებით: სულა, მოსულა,  
მოსულა. ეს პირენდელი ფორმა შემოინახა ახალმა ქართულმა. ძველ ქართულში კი ხღება ბგვრათა  
გაღასმა და შღღვად გეაქეს: სღუა, მოსღუა, მოსღუა. სწორედ ეს (შეორეული) ფორმები არის  
ძველი ქართულის კუთვნიღება. დღეენდელი სულა, მოსულა, მოსულა კი. როგორც ითქვა. უფრო  
შორეული ღროის. პირენდელი წარმოება.

რომელითაც ვეღაზე ხშირად. ბუნებრივია, გული იხმარება სხვადასხვა ზმნასთან: გულს-ღვინება, გულს-ღვმა, გულს-ღვმა. ჩვენს მაგალითებშიც მიცემითი დასმული სახელი თავიდანვე აღვიღოს მიუთითებდა, აღვიღოს გარემოება იყო (მიცემითის ეს ძველი ფუნქცია დღემდე შექორწინა). რთულ ზმნებში მიცემითის ეს ფუნქცია უფრო ნათლად ჩანს თავ სახელითან დაკავშირებით, ამიტომ მაგალითების ჩვენებას ჩვენც აქედან დაიწყებთ. დავძინებ აქვე, რომ, რადგანაც გარდამაველ და გარდაუვალ ზმნებს შორის ამ მხრივ არსებითი განსხვავება არ არის, მათ, სადაც საჭირო იქნება, ერთად ვუჩვენებთ.

მე თავს-ვიღებ თქვენსა (ეს. 46,4); ჭირი და სივლახაკი უორციელიო, რომელსა თავს-ვიღებ ურწმუნოთავან და ამისთვის მდიდარ ხარ სულითა (გამოცხ. 2, 9 თ); არამედ ჩუქნისა ცხორებისათვის ამას ყოველსა თავს-ვიღებს (კომ. I, 12,18); არა კაცნი ხოლო თავს-ვიღებენ სიკუდილსა სახელისა შენისათვის (ისტ. ქრ. II, 61,28); არა თავს-ვიღებდ მრავალსა მას იძულებასა (საკ. წ. II, 123,13); რომლისა ამპარტავანებასა ვერ თავს-ვიღებდეს ანგელოზნი მთავარსა მათსა მიქაელს თანა (გამოცხ. 12,7 თ); თავს-ვიღებდით ურთიერთას (კოლას. 3,13); თავს-ღვებით თავს-ვიღევით ვვე (რუთ 2,16); თავს-ვიღვედ ჭეშმარიტებაი ესე (სინ. 259,36); თავს-ვიღვას კაცმან და დაუთმოს მეგობართა თვისთა (საკ. წ. II, 83,19); მონასა შენსა თავს-ვიღვებთ ყრამი ვვე მამისავან (იქვე, 73,35); რომელთა თავს-ვიღვებთ შენი ვვე უგუნურება (II-341, 811). გვხვდება I თურქობითის ასლებური (ია დაბოლოებანი) წარმოება: აქამომდე თავს-ვიღვებთა თქუენი, ეკვებ მოქცევასა თქუენსა (საკ. წ. II, 78,36).

როგორც ჩვეულებრივ გარდამაველ ზმნას, შეიძლება განსახილველ რთულ ზმნასაც ობიექტად I და II პირიც ქაინდეს. მართალია, რთულ ზმნად ქვეყისას ამ ტიპის ზმნებს უჭირთ მრავალფეროვანი ფორმების თავისუფლად წარმოება<sup>17</sup>, მაგრამ არაიშვიათად ისინი ამასაც ახერხებენ. ჩვენს შემთხვევაშიც გვაქვს I პირი ობიექტად: ვითარცა უგუნური ოდენ თავს-ვიღვით მე, რაითა მეცა მკირედ რამე ვიქადო (2 კორ. II,16); მან თავადმან თავს-ვიღვას მე და დამიკვას მე ყოველთავან ბოროტთა გუემათა შენთა (ებ. III, 192,9). აქ რთული თავს-ვიღვას და მარტივი დამიკვას დაუბრკოლებლად არის ნახმარი გვერდიგვერდ.

მეორე მხრივ, ეს პირდაპირი ობიექტი, რომელიც ამ (და სხვა ამ ტიპის) ზმნასთან დამკვიდრებულია, შეიძლება მრავლობითშიც იყოს წარმოდგენილი. ეს მოვლენა აისახება ზმნის ფუძეში. ჯერ ერთი, ფუძე გამოიკვლება (ღვბს ფუძე-მონაცვლე ზმნა. ნ. ამის შესახებ ზემოთ, გვ. 483); სხამ →სხ, მერმე: II სერიაში პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის აღმნიშვნელი ენ-ნ სუფიქსი დამატება. აი, სათანადო მაგალითები: ორთა ბრძოლათა თავს-ისხამ (მ. ცხ. 108v); შენ, რომელმანცა თავს-ისხენ ქრისტესთვის ურიტხუნი ვნებანი (სას. პ. 124,96); მან ცოდვანი ჩუენნი თავს-ისხნა და უშჯულოებანი ჩუენნი იტვრთნა (კურთხ. იაკ. 20, 12); იესუ ცოდვანი სოფლისანი თავს-ისხნა (სინ. 88,32); ცოდვანი მათნი თავს-ისხნეს მან (ეს. 53,11 ლავ.).

ს-ს გვიჩვენებს ამ ზმნის გარდაუვალი ფორმა: აქუს მისა მიმართ სიუყარული, რამეთუ მრავალი შრომა თავს-უც მართლისა სარწმუნოებისათვის (კომ. I, 81,22). ვგვიან ს გვაქვს აგრეთვე საწყისსა და მიმალუბაში. მაგალითად:

<sup>17</sup> ქ. თეთრაძე, რთული ზმნები ძველ ქართულში წარმოქმნის კატეგორიების მიხედვით, გვ. 190-201.

გამოეცალოთ თავს-ღებამ განბოროტებისა მისისა (სიბრძ. ბ.19); მე თავს-მღებ ვეკმნე ქრისტეს მიმართ (ისტ. ქრ. I, 223,24).

აქ შეიძლება ამ მრავალხრივ საისტორიო ზმნის შესახებ საუბარი დაგვეთავაზოთ, მაგრამ გესურს კიდევ ორიოდე დამახასიათებელ მაგალითზე შევამჩროთ მკითხველის ყურადღება. საქმე ეხება ამ ზმნის ტემსთან ფორმებს. მაგალითად: ვითარ ვერ თავს-იღებდა პატივის ყოფას მას (კომ. I, 207,17 L). მეორე (E) ხელნაწერში, რომლის ჩვენებაც სქოლიოშია ჩატანილი, იკითხება: ვითარ თავს-ვერ -იღებდა დიდებასა და პატივსა ყოველთასა. აქ ვერ ნაწილაკი რთული ზმნის სახელად ნაწილსა და ზმნას შორის მოთავსებულია; არს, რომელმან სირცხვ-ლისათვის თავს-რაიმე -იღვის შეგობრისაგან (ზირ. 20,23). ამისა და ამ ტიპის ზმნათა შესახებ შენიშნულია: "ამის მიხედვით არ შეიძლება ითქვას, რომ ეს არაა ერთი (თუნდაც რთული) ზმნა, რაკი შესაძლებელია მისი ნაწილების დატოვება და შივ სხვა სიტყვის ჩართვა. ამნაირი მოვლენა ძალიან დამახასიათებელია ძველი ქართუ-ლისათვის მარტივ ზმნებშიც. იქ, როგორც ცნობილია, შესაძლებელია ზმნისწინი და ზმნა დაშორდეს ერთმანეთს და მათ შორის ნაწილაკი, სიტყვა ან სიტყვებიც კი ჩა-ერთოს, მაგალითად: მო-ინმე-ვიდა, შე-ხოლო-ვიდეს, შე-ხოლო თუ-ვასო ფესუსა სამოსლისა მისისასა (მ. 9,21) და სხვ. მაშასადამე, თავს-ღება (და ამ ტიპის ზმნები) გვერდში უდგას ჩვეულებრივს მარტივ ზმნებს და იმათს ბელს იზიარებს ამ მხრივ. აქ ისიცაა აღსანიშნავი, რომ რთული ზმნის სახელადი ნაწილი ზმნურ ნაწილთან ისეა შეერთებული და შეხორცილებული, როგორც ჩვეულებრივი ზმნისწინი. ის აქ ერთგვარად ზმნისწინის როლს თამაშობს. სწორედ ამიტომაც, რომ ამნაირ რთულ ზმნებს არ შეი-ძლება რაიმე ზმნისწინი დაერთოს, ყველა ისინი უზმნისწინია. ეს, როგორც ვნახეთ. გასაგებია: თუ ჩვენს მაგალითში თავს ზმნისწინის როლს ასრულებს, რასაკვირ-ველია, აღარაა საჭირო, მას მეორე ზმნისწინი დაერთოს. მაგრამ ამ საკითხს ცალკე შესწავლა უნდა. აქ კი იმის აღნიშვნით დაკმაყოფილდებით, რომ ჩვენ მიერ მოყვანილი და ყველა სხვა შესაძლებელი ფორმა ამ რთული ზმნისა სახელადს ნაწილს შე-ღამ მარტივი ნიშნით წარმოვიღვენს, ს-ს სახით. ამიტომ ათასში ერთხელ შესველ-რილი აღართული ფორმა (როგორც, მაგალითად, ასეთი: რომელსა ძნად შეუძლეოთ თავს-ღებად: კომ. I, 323,5) ხელნაწერის ან გამოცემის შეცდომა უფროა. ვიდრე ცოცხალი ენის სურათის ამსახველი მოვლენა"<sup>218</sup>.

განმარტებულითა გულითა გულს-იღვინე მე ესე ყოველი (I ნემტ. 29,17 M); გულს-იღვინა ნეტარმან თამარ (იპოლ. 2,167); რომელთა-იგი მისთვის გულს-იღვინეს (თუალთ. 15,10); საკუთნოსა მის მიმართ ხოლო გულს-იღვინე (4 ძვე. 203, 14); გულს-იღვინეთ ამიერითგან ვმისა მისთვის (სვან. 453a); უკეთო მოსწრაფელ გულს-იღვინო, განგემარჯოს (სწავ. 258,5); რომელსა უკუარდეს შეილი თვისა, გულს-იღვინოს გუჟამ მისი (ზირ. 30,1); მიცემითის ს შენახულია აგრეთვე მიძლე-ობაში: გულს-მოღვინე (მ. 26,41; მრ. 14,38); აქედან ნაწარმოებ აბსტრაქტულ სახელშიც ს შენარჩუნებულია: გულს-მოღვინებითა (წარტყ. 61,16).

მეცნიერებითა მით შეიგნობრებისა მათისადათა კუალს-აღვინებენ ერსა (ზირ. 44,4); ვინ ცნა გონება ი უფლისა, ანუ ვინ თანა-შზარახეალ ეყო მას, რათამცა კუალს-აღვინა იგი (ეს. 40,13); ბრძენთა კაცთა მცირედნიცა სიტყუანი შეგძლებულ-

<sup>218</sup> ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნეთა ფუნქციები ძველ ქართულში, 1957, გვ. 136

არის კვალს-ღვინებად და მოქცევად (სინ. 110,27; უდაბ. 56vb).

გულს-მადვს, რამეთუ მათ გიწინნეს თქვენ (სინ. 260,17; სენ. 466b); ხოლო ქერადას ვუღოს-ედვა მისი და უნდა მოკლეთ მისი (მრ. 6,19).

თქუა... იუდა სიმონისმან, ისკარიოტელმან, რომელსა გულს-ედვა მიცემა მისი (ი. 12,4 DE; ვგულებოდა C); ესე თქუა, არა თუ გლახაკთა რაი გულს-ედვა მას (ი. 12,6 C. C-ს ხელნაწერში "გულს-ევა" იკითხება, მაგრამ "გულს-ედვა" აქ შეუთავსებელია, აქ სწორედ "გულს-ედვა" უნდა. ექვთიმესა და გიორგის ეს ძველი რთული ზნა დაუშლიათ. შემადგენელი ნაწილები გადაუსვამთ და დამოუკიდებელ ერთეულზედ უქცევიათ: არა თუ გლახაკთა რაიმე ზრუნვანი ედვა გულსა მისსა. ამ შემთხვევაში ემფატიკური ა-ს დამატებაც აუცილებელი იყო. აქ ისიც უნდა ითქვას, რომ ორიოდე მუხლის წინ (ი. 12,4) DE-ს ტექსტის იგივე ფორმა (გულს-ედვა) სხვა, მარტივი ზნით შეუცვლიათ: ვგულებოდა. მაგრამ დიდ საინტერესებს აქ ადიშის ხელნაწერის გადამწერმა დაასწრო, პირველად მან შეცვალა ძველი "გულს-ედვა" უფრო ახლით (ვგულებოდა). როგორც ცნობილია, ეს ტენდენცია ადიშის ხელნაწერისათვის საკმაოდ დამახასიათებელია<sup>129</sup>.

უკეთურებისა მის სახისა ქმრისა მისისა მარადის გულს-ეტყვენ (შუშ. 1, 13); გულს-ეტყვედ მოღებად ხისა მისგან (სენ. 24a); ხოლო მამაი გრიგოლ გულს-ეტყოდა, ვითარმედ... (ისტ. ქრ. 1, 213,27); რომელნი ეცხლსა გამოქქანდაკებდეს და გულს-ეტყოდეს (ბარ. გ. 18); ესე ყოველი გუჯავსობნ და გულს-ვეტყოდით სიკუდილისათვის და სინანულისა (სწავ. 225,29).

მაგრამ თვით ძველ ქართულში დაწყებულა ამ რთული ზნის დამტოვების პროცესი. ამის პირველი ნიშანია სახელისათვის ემფატიკური ა-ს დამატება, ისიც უძველეს ძეგლებში. მაგალითად: გულსა-ეტყოდა პიტახში იგი სიტყუათა მათთვის (შუშ. 13,6); ეთარცა წყენ ამას გულსა-ეტყოდეთ, მაშინ ემა გუქსა შინათი გამო (კომ. 1, 209,9).

ჯუარს-აცუეს იგი და განიყოფდეს სამოსელსა მისსა (მრ. 15,24); ჯუარს-აცუნეს მის თანა ორნი აუახანნი (მ. 27,38; მრ. 15,27); მღვლელო-მოძოვართა და მსახურთა ღაღად-ყვეს და თქუეს: ჯუარს-აცუ, ჯუარს-აცუ ვეე (ი. 19,6); მიიყვანეთ ვეე და ჯუარს-აცუთ (იქვე); მეუფე თქუენი მე ჯუარს-ვაცუა (ი. 19,15; ვაცუა C); მათგანნი მოსწყენდნეთ და ჯუარს-აცუნეთ (მ. 23,34).

სახელადი ნაწილი ვნებთიშოე მიცემითს გვიწინებს უცვლელად: კუალად ჯუარს-ეცუმა, უფალო ჩემო? (სინ. 246,25); ქრისტე ჯუარს-ეცუა (სინ. 235,21); ხოლო იგინი უმეტეს ღაღადებდეს და იტყოდეს: ჯუარს-ეცუნ (მ. 27,23); რაითა ჯუარს-ეცუას (მ. 27,26).

სახელადი ნაწილი საწყისსა და ვნებთი გვარის მიმღობაში ფუძისა და მიცემითი ბრუნვის ფორმით არის წარმოდგენილი (ზოგან ს დაკარგულია), მოქმედებითი გვარის მიმღობა კი — ყოველთვის ნათესაობითის ფორმით: ჯუარ-ცუმათა თავს-იდვა თქუენთვის (სწავ. 106,29); ფლობა-მაქუს ჯუარს-ცუმათა შენი (ი. 19,10 C: ჯუარ-ცუმათ DE); ჯუარს-ცუმულსა მას მსახურებთ (კურთხ. იაკ. 18,19); რომელ ჯუარს-ცუმულ /ჯუარ-ცუმულ CE/ იყენეს მის თანა (ი. 19,32); ჯუარის-მცუმულსა (სწავ. 103,16)...

<sup>129</sup> იხ. ი. ი. ანაბუჯი, ადიშის ოთხთავი რედაქციულად: თუშ. 28. გვ. 119-162; 30b-31b, გვ. 133-236.



თუ რთული ზნის სახელადი ნაწილი არის: ელი. იგი მრავლობითი დგას. ეს ადელი ასახსნელია. რაკ აღამანს ხელი ორი აქეს. ამიტომ მისი მრავლობითი სასმე გასაყვება. აღრე ამკერაი შეხისკეა თუელ-თან ლაკემარებით გეჭინლა: თუელ-უყო და თუელთ-უყოფლა. იქ ორივე რიცხვის ფორმები გეჭინლა (კლ-ტალქ). აქ მხოლოდ მრავლობითისა გვაქეს. თქმა არ უნდა. მრავლობითის ნიშნად აქ მართი თ გვაქეს და არა ა საერკობანი რთული თ-ა. აი. რამდენიმე ნიმუში:

ადელიად ელთ-გიგლი (მ. ცხ. 48r); უეუთუ ელთ-იგლოს კაქმან მარაქმან სული მათაგან მისთა (2 შჯ. 24,7 G).

მბრძოლა. კაც-კლა ფრიად და ელთ-იღვა იერუსალ-მში ვითარ ოც თუესა (მამ. ცხორ. 161,31); ძნიად ელთ-იღვის ზოგი ოღენ (ზირ. 29,7); მიეჭევენ. ვითარცა ლომნი და ლეკუნნი ლომთანი, და ელთ-იღვას და აღიზახოს (კურთხ. მოს. 184,6); უეუთუ ელთ-საღამე -იღვას კაცი მარაქმან მათაგანი (2 შჯ. 24,7 M); მონადირეთაგან ვერ ვეების ელთ-ღებად იგი (სახ. 236,11); განმხიარულდეს ელთ-ღებულნი იგი წმიდანი (4 ძვე. 193,15).

როცა პირდაპირი ობიექტი მრავლობითია, ზნა ფუქსაც იცელის და ობიექტის სიმრავლესაც გამოხატავს ენ-ს სუფიქსით: ელთ-ვისხნეთ ცოცხალნი (4 მეფ. 7,12).

ასევე მრავლობითი აქეს ხშირად სახელადი ნაწილი ძველ ქართულში ფრიად გავრცელებულ სულთ-თქმას: დღეაკაცო, რასათვის სულთ-თქმად და სტირ? (პ. ლაზ. 138); მაშინ ეტაროდე და სულთ-თქმედ ღმრთისა მიმართ ცთომათა მათთვის (მოქც. 92,17); ყოელადე ვერ იკადრებლა იგი აღმოთქმად სიტყუასა, არამედ სულთ-თქმედა (ბილან. 13,9); სულთ-თქმედ მართაზნი (ივაკ. 28,28); ხოლო სუსნა სულთ-თქნა და თქვა (დან. 13,22); რაგამს მოიქცე და სულთ-თქნე. მაშინ სცხონდე (ეს. 30,15). მრავლობითობის თ ბოლოსართი საწყისებშიც გვხვდება: სულთ-თქმით (იოზ 23,2). მაგრამ საწყისებში ერთად იყრის თავს ორი თ. ამიტომაც ხშირად ერთი მათგანი იკარგება: სულ-თქმითა (ფს. 6,7); სულ-თქმანი (სუან. 477a). მაგრამ მრავლობითობის თ სუფიქსი შენარჩუნებულია მიმღებამდე: სულთ-მთქმელი (ეხეკ. 5,15<sup>4</sup>).

ამით დაეასრულოთ იმ რთულ ზნათა განხილვა, რომელთა სახელადი ნაწილიც მიცემით ბრუნვაში დგას. როგორც ვნახეთ, წრეელობითთან შედარებით რთული ზნების წარმოქმნისას მიცემითის როლი მეტად მცირეა, მას მხოლოდ რამდენიმე ფუქსთან ეხვდებით (და არც თუ ხშირად). მაგრამ სხვა ბრუნვები კიდევ უფრო ნაკლებად იხმარება. მაინც საჭიროა, ორიოდ სიტყვით ამთხვე შევჩერდეთ.

C. ნათესაობითი თითქმის ყველგან მხოლოდ საწყისებში გამოიყენება. ეს განსაკუთრებით თითქმის I ტიპის ზნებზე, რომლებთანაც სახელად ნაწილად წრეელობითში მდგარი ფორმა არის წარმოდგენილი, ხოლო მათ შორის უფრო მეტად — ყოფა და ცემა ფუქსების შემკველ ფორმებზე. მაგალითად: ამბორ-უყო — ამბორის-ყოფა, გულისხმა-ყო — გულისხმის-ყოფა, იაერ-ყო — იაერის-ყოფა, ლოცვა-ყო — ლოცვის-ყოფა, პტიე-უყო — პტივის-ყოფა... თაყუანის-სცა — თაყუანის-ცემა, ნათელ-სცა — ნათლის-ცემა, ნუგეშინის-სცა — ნუგეშინის-ცემა, პტიე-სცა — პტივის-ცემა... მაგრამ ზოგჯერ აქაც ფუქვა დატოვებული ხელუხლებლად: გელ-უყო — გელ-ყოფა, სათნო-იყო — სათნო-ყოფა, სრულ-ყო — სრულ-ყოფა, უზრუნველ-ყო — უზრუნველ-ყოფა, ელ-ყო — ელ-ყოფა, უღებ-ყო — უღებ-ყოფა. არის შემთხვევები, როცა ერთ ფორმასთან ორივე სახეობა გვხვდება ერთ-

დროულად. მაგალითად: შეურაცხ-ყოფა (უყრო ძეგლი) და შეურაცხის-ყოფა (უყრო მოგვანო). ნათესაობითი კიდევ უყრო ხშირია მიმღობებში. ზემოთ გვქონდა შენიშნული, რომ ჯუარ-ცუეს რთული ზნის ენებით გვარის მიმღობებში ყოველთვის ფუძე არის წარმოდგენილი უცვლელად, ხოლო მოქმედებითი გვარის მიმღობებში — ნათესაობითი: ჯუარ-ცუესული, მაგრამ: ჯუარის-მცუესელი. რაღას ვაგრძელებთ, რთულ ზნებში სახელად ნაწილად ნათესაობითი იხმარება მხოლოდ საწყისებში, ნაწილობრივ — მოქმედებითი გვარის მიმღობებში.

იმის კითხვა: არ იხმარება ნათესაობითი რთული ზნის პირიან ფორმებში? შეიძლება აქ ეს მაგალითი გამოდგეს: მოიღეს ოც და ათი იგი ვეცხლი, სასყიდელი იგი პატრონისისა, რომელი-იგი სასყიდლის-ყვეს ძეთა ისრაძლისათა (მ. 27,9 C). DE-შა ამის ნაცვლდ იკითხება: რომელი მოიცილეს ძეთაგან ისრაძლისათა. შეიძლება, რასაკერძეულად, სათაო-რაიულა მაგალითი სხეც იყოს, მაგრამ მაინც ცხადია, რომ ნათესაობითი პირიან ფორმებში ძალზე იშვიათია.

D. კიდევ უყრო ნაკლებად არის გამოყენებული მოქმედებითი. იგი გვხვდება დადგინება ზნასთან, ხოლო სახელად ნაწილად აქაც იგივე სასყიდელი გვაქვს, რომელსაც ზემოთ ნათესაობითის განხილვისას შევხვდით. აი, ორიოდ მაგალითი: სასყიდლით-დამიდგინა მე (მსაჯ. 18,4 M); სხვა რედაქციაში (G) ამის ბაღლად არის მომისასყიდლა. მოქმედებითი უცვლელად გვხვდება მიმღობაში: სასყიდლით-დადგინებულ (= დაქირავებული, მოვამავორე) არს და არარაი სჭირს ცხოვართა მათთვის (ი. 10,13 C).

E. ვითარებითი თაქისი ერთ-ერთი ძირითადი მნიშვნელობით ადგილის გარემოებას აღნიშნავს (იხე რივორც მიცემითი) და რთულ ზნებშიც არის გამოყენებული. იგი აქაც მიმართულებას უჩვენებს. დავასახელებთ რამდენიმე მაგალითს, რომლებშიც ვითარებითი დასმულია გულ, მუცელ და ყურ ფუძეები:

ღმრთისა მკურ გულად-ილო საქმ ესე, რაითა დამდაბლეს და არა აღმალდეს სიდიდითა წვერითათა (მამ. ცხორ. 69,4).

და იყო მას ფამსა შინა, რაემს დამკლებიედ ცხოვარნი და მუცლად-ილებედ, დაახის იაკობ წინაშე ცხოვართა წყლის სასუმელსა მას, რაითა მუცლად-ილონ მათი კურთხებისა მის სახედ (დაბ. 30,41); ამისთვის მუცლად-ილო და შეე ძმ და უწოლო სახელი მისი იესუ (სინ. 4,5). ორივე ტექსტი ვერდნობა ესაიას წინასწარმეტყველების ცნობილ ადგილს: ამა ესერა ქალწულმან მუცლად-ილოს და შეეს ძმ და უწოლოს სახელი მისი ენსანოელ (ეს. 7,14); რომელი გამოეძიებს უფსკრულსა და საწრჯეთა მათთა; რომელი აღწყავს ზღუასა და მუცლად-ღებასა მისსა (ეზრა სუთ. იე. 58); მუცლად-ღებულთა მათი ნუჯეშინის-სცეს (ეს. 40,11). ვითარებითის ნიშანი აღზნას ვადაკეება საწყისსა და მიმღობაშიც. ეს მის სიძველეს გახაზავს.

ყურად-ილე, უყალო, ვედრებისა ჩემისა (საქ. წ. II, 62,16); რომელთა-ვეე ვერ-არს სმენად, ყურად-ილეთი (სინ. 247,34); როცა პირდაპირი ობიექტი მრავლობითია, როგორც ამ ზნას შეეფერება, II სერიის ფორმებში ფუძე იცვლება (ღ — ხუ) და ფორმას ერან სუფიქსი ერთვის: სიტყუანი ჩემი ყურად-იხუნ, უყალო, გულისემა-ყავ დალაღება ჩემი (ყს. 5,22); ესე ცხად იყავს თქუენდა და ყურად-იხუნით სიტყუანი ჩემნი (მოც. 2,14). ამ რთული ზნის საწყისი ყურადღება დღეს ძალიან ვაერტყელებული სიტყეაა.

საერთოდ კი, ამ ტიპის რთული ზნებიდან დღევანდელ ენაში გადმონაშთად შემოგვრჩა: გულმოდგინე, გულმოდგინება (ს დაიკარგა), თავს იღვა, თავლები, თავ-

დებობა, კმაყოფილი (აქედან: უკმაყოფილო, დაუკმაყოფილები), სრულყო, სრულყოფილი, უკვლავებელიყო, უკვლავებელიყოფა, უხრუნველიყო, უხრუნველყოფა, შეურაცხყო, შეურაცხყოფა, ხელიყო, ხელყოფა, ძალბძის, თაყვანი სცა, თაყვანისცემა, პატივი სცა, პატივისცემა, ნათლისღება, ნათლისცემა, ჯვარის აცემა, ჯვარცემა, ჯვარცემული, ხელენიფლება, ხელმწიფე, სახელმწიფო და სხვანი. ამით თარგზვა გაკეთებული დღევანდელი ფორმები: ნათელიყო, ცხადყო, უკანებელიყო, უკანებელყოფა, იავარყოფა.

ამით დასრულდა ძველი ქართლის რთული ზმნების I ტაბის მიმოხილვა. როგორც დავინახეთ, ძველ ქართულში რთული ზმნების ეს სახეობა ფართოდ არის გავრცელებული და მრავალნაირ ფორმას წარმოგიდგენს. მათი გამოძახელობითი ძალაც დიდია და ახალ-ახალი ერთეულების შექმნასაც ხელს უწყობს. ამ რთული ზმნების შემადგენლობაში ბევრი სახელი და, განსაკუთრებით, ბევრი ზმნა შედის, მაგრამ ყველაზე მეტად ექსპრესიული ძალისა და მდიდარი ფორმების წარმოების თვალსაზრისით განსაკუთრებით ორი გამოირჩევა—ყოფა და ცემა (ორივე უზმნისწინოდ), რომელთა მიერ ნაწარმოებ ფორმებსაც, როგორც ძველად იტყვოდნენ, "არა აქვს რიცხუ". ბევრი ამ ძველისძველ ზმნათაგან დღემდისაც შეგოვკრნა და ახლაც განაგრძობს აქტიურ სიცოცხლეს. აქ იმასაც დაეუმატებდით, რომ ამ საინტერესო რთულ ზმნათა ანალოგიით დღეს იქმნება ახალი ფორმები, რომლებსაც საგრძნობი წილი უძევს ჩვენი ენის ლექსიკისა და გრამატიკული ფორმების გამდიდრებაში. ენის გამოისახელობითი ძალის გაძლიერებაში.

\* \* \*

ახლა გვაქანალიზოთ რთული ზმნების II ტაბი. ეს, როგორც თავშიც ვუქანია აღნიშნული, ისეთი რთული ზმნებია, რომელთაც პირველ შემადგენლად გამოიყენებული აქვთ არა სახელები, არამედ მეტყველების ფორმათუკვლელი ნაწილები, ზმნი-ზედები. ესენია: გარე, ზედა, თანა, წინა (ძალიან ზმირად) და შინა და შუვა (ძალზე იშვიათად). არ უნდა გვატოვნოს იმ გარემოებამ, რომ ზედა, თანა, წინა, შინა და სხვა ამგვარი ფორმები თანდებულებიყა. უფრო ადრე ესენი და ყველა სხვა ამ ტიპის დამხმარე სიტყვა ცალკე, დამოუკიდებელი ერთეული იყო. შემდეგ და შემდეგ აღნიშნულმა ზმნიზედებმა დაკარგეს დამოუკიდებელი მნიშვნელობა და დამხმარე სიტყვებად იქცნენ: ზოგი — თანდებულად (სახელს ერთოდ), ზოგი ზმნიზედად (ზმნას ახლდა მუდამ)... თან(ა), ზედა, წინ(ა) დღეს თანდებულადაც იხმარება (ხესთან, სახლის წინ, სახლზე) და ზმნიზედადაც: თან გასევა, წინ უდგას, ზედ შეატყა. ეს ზმნიზედები წინ უსდის ზმნას და რთული ზმნების I ტაბის სახელის ადგილს იკვირენ. ისინი, რა თქმა უნდა, ყველგან უცვლელია, მათ აქვთ არა აქვთ ფორმისცვალების უნარი. ფრიად საყურადღებოა მეორე გარემოებაც: თვით ზმნებს, I ტაბის ფორმებში უზმნისწინოდ რომ იხმარებოდნენ და ზმნისწინის დართვა არ შეუძლოთ, ახლა თათქმის ყოველთჳის ერთჳის იგი. შდრ. სრულყო, ნათელ-სცა, ნათელ-იღო, მაკრან. გარე-შეაქცია, ზედა-მოძივალთ, ზედა-მოტყენეს, თანა-წარავსოვლეთ, წინა-წაროქცინეს, წინა-დასცემა, შინა-განსცემლენ... ამას აქ კანონის სახე აქვს. აქედან ისიც ნათლად ვამოსჩვივის, რომ I ტაბი უფრო ძველია, რაცა ზმნისწინი ზმნაში უფრო კადრე არ იყო შესული, როცა უფრო კიდევ უზმნისწინო ფორმები იხმარებოდა; II ტაბი კი შედარებით გვიანდელია, როცა ზმნისწინი ზმნაში დამკვიდრდა. სხვა არსებითს ნიშნებთან ერთად ეს გარემოებაც გარკვეულად მიგვიითბებს I და II ტაბის:

სიძველე-სიახლოს მიხედვით განაწილებაზე. მაშასადამე, I ტიპის ზმნებში რამდენადმე სახელი ეხმარება ზმნას, და ეს უკანასკნელი ზმნისწინს არ დაირთავს, ხოლო II ტიპის ზმნებში — ზმნიზედები (გარე, ზედა, თანა, წინა...) ამ მხრივ უსაქონა და ზმნაც ზმნისწინს იყენებს. ამიტომ ბუნებრივია, თუ მეორე სახეობის რთული ზმნები სწორედ ზმირი ნაწილის მრავალგვარობით იქცევენ ყურადღებას.

ენბითებში ყველგერი რიგ ზეა, საწყისები უხვად მოიხიუება: იყო მათ ზელა განჯრთობა (2 ნეშტ. 14,14); ვერ დაითმინა ელისაბეტ შვილისა თვისისა კრთობაი (სინ. 29,12); თესსა დედასა კრთობისა მისგან აუწყებდა (იქვე, 29,10); განჯდრიკოს შენ დღესა მას განჯრთობისასა (ზირ. 11,30); განჯრთობით განჯკრთენ და ქუეყანასა დასხდენ და შემინდენ წარწყმელისათვის შენისა (ეხეკ. 26,16); ისმინე: რაითა შკრთობითა მათ გუერდისათა იელტოდის (სინ. 128,20); განჯრთობათა შეუესრიგ მე. და სიტყუაი ჩემი მოუყოლველ არს თქუენ წინაშე (ისტ. ქრ. II, 113,33).

## 6. მოკედნება — (მო)სიკუდილი

მოქმ.: ნუ გეშინინ, რამეთუ არა მოკედნებად შენდა მოვედ (გამოცხ. I, 18a თ); მოკედნებაი მათი განაწესეს (Jer. 12, 8v); წესი იყო ესე ძუელთა მათი მოლუწეთაი სახედ მოკედნებისა ჯორცთაისა (იქვე, 123r).

პირან ფორმებში მოკედნებას ზოგჯერ მოკლვა ენაცვლება: მღდელთ-მოძღუარნი იგი და ყოველი კრებელი ეძიებდეს ცრუსა წამებასა იესუსისთვის, რაითამცა მოკედნეს იგი (მ. 26,59 C). DE-ში იკითხება: რაითამცა მოკლეს იგი. მერმე ეს უკანასკნელი წაკითხვა დაამკვიდრეს ექვთიმემ და გიორგიმ. მიმღობებში დაცულია იწ—ებ აფიქსებანის წარმოება: მოამკედნებელი (უდაბ. 53v); მოღებად ცოდვასა მოამკედნებულსა (რიცხ. 18,22 pb).

ენ.: აქც ორნაირი ფორმა გვაქცს: მოკედლობა (იშვიათად) და საყოველთაოდ ვაჯრცელებული საწყისი სიკუდილი, მოსიკუდილი: შეჯობს სიკუდილი ვიდრელა არა თხოვასა (ზირ. 40,29); ვრქუა რაი მე უმჯულისა სიკუდილით მოკედლობაი (ეხეკ. 3,18 4); მათ დღეთა შინა... სუჯოდის მოკედლობად, და იელტოდის მათგან სიკუდილი (გამოცხ. 9,6); სიკუდილია თუ შეხუდეს შენ თანა, არავე უარ-გყო შენ (მ. 26,35 C); ხიჯლი რაკდენ ვინდა შენ მოსიკუდილი შენისა უფლისა (საკ. წ. II, 94,4); მაშინ ბრძანა მათ ყოველთაი შიშუელთაი აერთა ქუეშე... ნეუხვითა მოსიკუდილი (სინ. 118,40); სიკუდილსა არა მიმცა მე (კომ. I, 156,18); სიკუდილითა მოსიკუდილ ვართ (ლიტ. ქრ. 3,11); ყოველნი მოსიკუდილ ვართ (სწავ. 224,14); მე შენ თანა მზა ვარ სასიკუდილად და მოსიკუდილად (ლუ. 22,33 C); შეწუხებუელი არს

სული ჩემი ვიდრე სიკუდილშიღე (მრ. 14,34).

მოსიკული /ვითარ. ბრ./ ფორმისაგან მერზე ნაწარმოებია ახალი მოსიკული: არცა უღებ იქნა, არცა მკონარ, არამედ ესრეთ იყო, ვითარცა ღლითაღლედ მოსიკული (ლიტ. ქრ. 317,2 = მომაკდაცი, მოსაკლავი).

### 7. რგება — რგობა

მოქმ.: უძღურ არიან და ვერ ველ-ენიოების დაბადებად და რგებად (ბალ. 145,9); რომლისა მიერ რგებად ანუ ვნებად ეითოდაჲ შემძლებელ იყენეს (დ. სჯ. კან. 264,27).

ენ.: უკუეთუ ვისმე არა უნდეს რგობის, არა ბრალეულ არს მზე (ბალ. 46,20); რამეთუ ეზიარა მკუდართა მწუხარებითა და სიხარულითა და უღონოებითა და ვერ რგობითა თავსა თვისსა და ვერ გულისხმის-ყოფითა კეთილთა ღმრთისათა (იქვე. 57,8); ვერას შემძლებელ იყენეს შეწვენად და რგობად (Sinn. 36, 65a, 10 ქვ.).

### 8. განრინება — განრომა

მოქმ.: რომელსა უნდეს თავისა თვისისა განრინება (ლ. 17,33); ესრით შეუძლებდა განრინებად შეურგებულსა მას ქალაქსა მრავლისა მისგან ურვისა (სრ. 108,4).

ენ.: მათ გასწაონ შენ, ვითარ ვერ-არს განრომაჲ სიფრევთა მტერისათა (Sinn. 36, 33b,8); ენ-მე შემძლებელ არს განრომაჲდ ველთა მათთაგან (ასურ. 63,11 C).

### 9. (გან)ტება — (გან)ტყლომა

მოქმ.: იყო აღტებაჲ მათ შორის (ეზექ. 30,9); განტებაჲ განტებისა წილ (ლევ. 24,20); რომელი დაებნა ასუროა მათ აღტებასა მას მათსა (4 მეფ. 7,15); ვითარ-ოგი გამოეცხადა მათ განტებასა მას პურისასა (ლ. 24,36).

ენებითის საწყისი (აღტყლომა, განტყლომა)... არ შეგვხვედრო, თუშტა პირიანი ფორმები მრავლად მოიხვევა.

### 10. დაშონება — დაშომა

მოქმ.: მოქმედებითის საწყისი—დაშონება—ვერგერობით დადასტურებული არაა, მაგრამ შემონახულია იშვიათი პირიანი ფორმები, რომელთაც სათანადო საწყისი ვერღობა. ვუწვენებთ რამდენიმე მათგანს: ერი იგი ქუეყანისაჲ დააშონებდა ველთა კრებულისა მის პურასტანისასა (2 ეზრა 4,4 I); არაჲ დააშონებდა მე კურთხევაჲ, მამარ (დაბ. 27,36); განაბნა, რომელი აქუნდა იგი საიფასტ და დააშონა მტორელი რაიმე (კიმ. II, 45,5). რაკი არის დააშონებდა (უწყე.). მის საწყისად უნდა იყოს დაშონება. დაშონება-ს იშვიათად უფრო ძველი ღონიანი ფორმა ენცვლება: დაშლუნება (აქ ხმოვანიც შეცვლილია: ი-ს ნაცვლად უ გვაქეს); მრავალნი ღელანი განაშორნეს ქმართა თვისთა, და მრავალნი ქალწულნი დააშლუნეს უქმარად (ასურ. 5,34).

ენ.: და უნდა ღმერთისა შენი ვორცითა დაშომაჲ (კიმ. I, 23,19); რაიმელნი

დამოუკიდებელი არიან ცხოველნი მოსლუკას მას მისსა და მამისასა (სინ. 154,29).

### 11. დამრეტა — დამრეტომა

მოქმ.: უბრძანა დამრეტად ცეცხლისად მის (პარხ. 660ი); რადთა შეუძლო ყოველთა მათ ისართა ემსაკისათა ვანუერეებულთა დამრეტად (აბო 189,18).

ენებიითი ფორმები ძველ ქართულში ერთობ ბევრი და მრავალფეროვანია, მაგრამ მათი შესატყვისი დამრეტომა არსად შეკვხვედრიან. "ვეფხისტყაოსნის" სიმ-ფონიასა და ლექსიკონში და-ცა-მრეტების, დამრეტეს ფორმებისათვის საწყისად მი-თითებულა "დამრეტომა", თუმცა პოემაში დამრეტომა არსად არის ნახმარი. ჩვენც უკუყონაოდ მოქვანია დამრეტომა "დამრეტა", "დამრეტეს" და მსგავს ფორმათა შესა-ძლებელ საწყისად და ყოყნებით მას. იმედი გვაქვს, რაიმ იგი სადღაც, რომელიმე ძველ ძეგლში, უკვველად აღმოჩნდება.

### 12. დამურაბა — დამურაბომა

მოქმედებითში საწყისი არ არის დადასტურებული, მაგრამ ის, რასაც საწყისი უნდა ვერდნობიყეს — სათანადო პირიანი ფორმები — ხშირად გვხვდება. მაგალითად: ნუცა დამარობ სტუნენითა თუჯალთა ნაკლულევენთასა (ზირ. 4,1). რაკი აქმყოში არის დამარობ, ცხადია, მისი საწყისი უნდა იყოს დამარობა.

ენ.: დაიყენის ყრთენი და თესაეე შტიკრიბნის დამურაბისაგან (სახ. 7,11); ვითარცა სახედ დამამურაბლი ვინ მრავალითა დამურაბითა აღდევს განსუენებად ცხედარითა ზედა, რადთა მამურაბობად იგი ვანიშორის განსუენებითა მით (იბოლ. 27,12); კიდითვან ქუეყანისათი შენდამი ლაღად-ყუა ვიდრე დამურაბადმდე გულისა ჩემისა (ყს. 60,3); მაიყუენდა უცხო-თესლანი იგი ვიდრე დამურაბადმდე ეულისა მისისა (2 მეფ. 23,10).

ეს ყუქე მო ზმნისწინითაც იხმარება (მოაშრომებ, მოშურები...), მაგრამ ყველაზე ხშირია უზმნისწინოდ (სხვადასხვა მნიშვნელობით: შრომა, ღვაწლი, ტანჯვა, წვალება... შდრ. რუს. труд და трудливый). მათ შესახებ საუბარს აღარ ვამიუღვებთ. ჩვენი მთავარი დებულებისთვის (ორ გვარს ორნაირი საწყისი აქვს) მიყვანილი მაგალითებიც საკმარისია.

### 13. ცოუნება — ცოიამა

მოქმ.: შენ ვაბეუ ხარ და ვნებავს ცოუნებად ბერთად და ბრძენთა ვეფესელთად (ისტ. ქრ. II, 113,22); ცოუნებითა ემსაკისათა დაეცემოდის იგი სიძეთა (მ. ცხ. 101v); მიყოფენ სასწაულებსა ღიღ-ღიდსა და ნიშებსა, ვითარცა ცოუნებად, უკუ-თოქცა შეუძლეს, რჩეულთა მათცა (მ. 24,24); ვაი ჩემგან ბერისა ამისგან მედგრისა, რამთოუ ვერ შეუძლე ვამსაცა ერთსა მოცოუნებად მისა ლოცვისაგან (სინ. 270,21).

ენ.: მიკლის შეცოიამად იგი (ს. გაბ. 93,32); ცოიამასა ჩუენსა სხუათა ე.მნიხეზობდით და ვაბრალობდით (სწავ. 161,26); რადთა მოაქციოს იგი ცოიამისაგან და ღამტოქყოს იგი ქეშმარაჭებასა ზედა (საკ. წ. II, 77,10); ვერა...ცოიამით სცოა შესაწყნებელისა მისგან (ისუ ნ. 22,20 M).



## 14. ლაცხრობა — ლაცხრომა

მოქმედებითის საწყისი (ვანცხრობა, ლაცხრობა) ჯერჯერობით არა ჩანს, მაგრამ გვაქვს I სერიის ობ თემისნიშნისანი პირიანი ფორმები. აგრეთვე სათანადო მიმღეობა. ნიმუშად თითო-თითო მაგალითს მოვიყვანოთ: აწ .იხედაუ, ვითარ სიმდაბლით ლაცხრობს ყოველთა მათ ამაღლებულთა (სინ. 132,17); არა თუ მე ვიყავ ლაცხრობელი მათი და გამქარებელი, არამედ უკალი (მამ. ცხორ. 29,41).

ენ.: აუჯ არს მონაზონისა განცხრომისა, სიცილი და მხიარულება (სწავ. 167,39); არა არს განცხრომისა ჩუენი უძღებებით (სენ. 169a); ხოლო ლაცხრომისა თქვენგან არა არს (ობ 21,34); არა მოუსყრნეთ სასმენელნი ჩუენნი ფანდურთა განცხრომასა და სტურისა ემა-ტკიბილობასა (Sin. 36,246a,14); ვითარცა-იგი ტრელი მაშინ ახარებდა ნოვეს ლაცხრომასა მას წყალთასა (სენ. 366b); მოვილოდნ არა თუ თაყუანის-ტემისათვის, არამედ ზუაობისათვის და განცხრომისა (სენ. 475b); ესმოდა ემა სიხარულისა და განცხრომისა (ლ. 15,25); მოცხრომით შეურაცხევენს სულნი განრყენად ტყუენითა (ეხეკ. 16,5); მოხუდ აქა მოცხრომად სიტყუთა მაგითა (საკ. წ. II, 133,17); ემითა წყალთა მრავალთათა საკრეველ არიან განცხრომანი ზღვსანი (ფს. 92,4); ივინი განყენებულ და განმორებულ არიან ყოველთაგან აღძრეთა და განცხრომთა (სინ. 101,13).

## 15. განძლება — განძლობა

მოქმ.: ვინა ძალ-გვც აქა განძლებად ესოდენი ვრი უდაბნოსა ზედა (მრ. 8,4); გული ეტყოდა განძლებად ნაბიჭვეისა მისგან გარდამოცვენებულია ტაბლისგან მის მღაღრისა (ლ. 16,21 DE; განძლობად C); მისგან მე ვუტებულ ვარ ნების-ყოფად და განძლებად ცხადად ვინა იღუმალ სიკეთისა მის იოსებისა და ფრიად შუენიერებისა-გან მისისა (საკ. წ. II, 67,17). აქ უფრო შეეფერებოდა განძლობად, მაგრამ ამ ორ საწყისს ხშირად ერთმეორის ადგილას იყენებენ.

ენ.: წურბელმან/ არა იცის განძლობა (A-92, 327); სწადინ განძლობად ნაბიჭვეისა მისგან (ლ. 16,21 C. ეს უფრო შესაფერისი ფორმა, ვიდრე DE-ს განძლებად); ესუემდით ვიდრე განძლობამდე ჩუენდა (Sinn. 6, 173r.1 ქვ.).

## 16. წარძლუანება / წარძლუანება — წარძლობა

მოქმ.: უჯერო მიწის მოძლუანება პერაბილისა (მოც. 25,27); უხრუენვიდექს მას მოძლუანებად პურისა (მამ. ცხორ. 34,7); ათულა მოწაფეთა თვისთა აღსლუად ნაესა და წარძლუანებად ბეთსაიდად (მრ. 6,45 C); ერთი წინა ფრინავნ ვამ რაოდენემე და მერემე ზეუკუნ იქცის და სხუას მისცის წინა-ძლუანება იგი (უქვ. რედ. 114,20); იცვალებოდან ივინი წინა-ძლუანებას (იქვე, 114,18); უკუეთუ სიტყუა ესე პყო ... შეუძლო წინა-ძლუანებად (გამ. 18,23); ათულა მოწაფეთა შესლუად ნაესა და წინა-წარძლუანებად მისა მიერ კრამო (მ. 14,22).

ენ.: ღავეტობიეს გზაი ქემმარტებისა და ძლობა წმიდათა (მ. ცხ. 50v); წინა-ძლობით სხუათა მიერ შევიდა .აჟელე დამასკელ (სწავ. 87,15); ნებითა ღმრთისათა კუალად ღავემკვდრა აღვილი ჩუენი და საყოფელი წინა-ძლობითა და მოღუენებითა გრიგოლისითა და არსენისითა (ი—ე. 118b,2 ქვ.).

## 17. (და)წვენა — (და)წოლა

მოქმედებითი გუარის პირიანი ფორმები ბევრია (დააწვენა, დაიწვენა<sup>111</sup>, დააწვენსა, დააწვენინ, შეაწვენსა, შთაწვენსა, მიაწვენსა, მიიწვენსა...), მაგრამ ჯერ არა ჩანს საწყისი, თუმცა მის არსებობაზე რამდენადმე მიგვითითებს სათანადო მიმღეობა, მაგალითად: პიეს... ყმათი იგი, შთაწვენილი ბავასა (ლ. 2,16 C).

ენ.: არა აგრძნა დაწოლაჲ მისი და აღღლომაჲ (დაბ. 19,33); არამედ დაწოლით დაწვეს საწოლისა ზედა (ვაბ. 21,18); მიწოლით დაიძინა ვითარცა ღოშმან და ვითარცა ღვეკემან ღოშისამან (სინ. 156,13); არა ერჩდა იოსებ დაწოლად მის თანა (დაბ. 39,10).

## 18. (მი)წულა / (მი)წულენა — (მი)წლიმა / (მი)წლილეა

მოქმედებითის საწყისი აქაც არა ჩანს ჯერჯერობით, სათანადო პირიანი ფორმები კი მრავლად არის. ექვი არა, ამთ მიხედვით საწყისი უნდა იყოს განწულა, აღმოწულა, მიწულა (თუ მიწულენა). ამის გამო აქ ვაჩვენებთ პირიანი ფორმების მაგალითებს: ვაჩიწული ფერეთა ჩემთა (მ. ცხ. 205r); მაშინ აღმოსწულა აქლემმან მან ფერვი და წარვიდა შწრაფულ უჯალთა მისთასა (ისტ. ქრ. II, 95,24).

ენ.: მიწლიმიღო მიწლიმასა მალლისასა (რიცხ. 24,16 G); ვიხილოთ, უკუეთუ შე-ძი ვითა(რ)-უძლონ გამოწულილვით მიწლიმად განყოფასა მას ჟამისასა (ექესთ. 70,9); ხოლო სახესა მას შობისასა ვერ ძალ-მიც მიწლილეად (სინ. 33,5).

## 19. მოწყუდა — მოწყლიმა

მოქმ.: იყოს ძრეა ადვილ-ადვილ და სიყმილი და წყუდაჲ (მრ. 13,8 C); მაკთური არს განშორებაჲ სიყლისაჲ ... და უძიროდ აწყუდაჲ კაცისაჲ (ბალ. 93, 35); დასასრული კყო სიყერაჲლისა ჩემისაჲ და განაწყუდაჲ იმედისა შენისაჲ დღეს და შებღვომადცა ჟამთა (ბალ. 20,18); განამრავლეს... მოწყუდაჲ ყოველთა ქრისტეანეთაჲ (ბალ. 18,4); აწყუდასა ჭაბუკთასა უწყალოდ ურთიერთას მახვლითა (გამოცხ.-ანდრძი, 210r); შგრიბენ იგინი დღესა მას დაწყუდისა მათისა (იერ. 12,3); და იყენენ სიყმილნი და წყუდანი და ძრეანი ადვილ-ადვილ (მ. 24,7 C).

ენებითის შესაფერისი საწყისი — მოწყლიმა — ჯერ არაა მიგნებული, თუმცა პირიანი ფორმები ძალზე ბევრია (მოყსწყლებით, მოწყლებიან, მოწყლებოდელ, მოსწყდა, დასწყდენ, მოწყდეთ... ს ზოგან არის, ზოგან — არა). გვაქვს მიმღეობა: მოწყულარი (სინ. 11,37; სწავ. 188,25) და მოწყლარი (მსაჯ. 16,30).

## 20. დაქნობა — დაქნომა

მოქმ.: გვრვენი დაკიდგათ ვარდისა რტოთაჲ ვიდრე დაქნობადმდე (სიბრძ. ბ.8:1). ამას ექყარება ახალი წარმოება: იკლტობდე სიყლით, რამეთუ ყუკვილი არს

<sup>111</sup> ეს ფორმა იშკითხვად ენებითის შინაშენლობითაც იხმარება. მაგალითად: რომელი საყდართა ზეჲა აღმადღებულთა და აღმაცხებულთა მკაღმარ(ი) არს, ბავასა შინა დაიწვენსა ველი-შუეხებელი იგი და წრეკელი და უხსენელია (ი.აბულახუ. მრავალთაჲ: ენიქოს მაიაბუ. 14, 19-14, ვვ. 283,3).

მწეხრი დაქნობადი, და ნუცა გაყოქებს შენ (სწავ. 258.34).

ენებითში სასანადო საწყისი (დაქნობა) აქაც არა ჩანს, მაგრამ მისი არსებობა დასტურდება შესაფერისი მიმღებობით: დაუქნობელი (ისტ. ქრ. II, 12.35; I კვტ. 5.4; კომ. I, 158.13; უდაბ. 84ra).

## 21. განხეთქი — განსთქლომა

მოქმ.: დიოსკორისის იყო განხეთქაჲ. და განეფინენ წყალნი (ეზეკ. 30.16 ს.); ახს ესერა უფალმან ამცნოს და დასცეს სახლი იგი დადი წყლითა და სახლი მტორე განხეთქითა (ამოს 6.11); ესე კუალად საუნჯესა შინა განხეთქად წინაშე ჩემსა დვას (საქ. წ. II, 63.39).

უზმნისწინო საწყისებში ხშირია ნ-ზე აფიქსებით ნაწარმოები ფორმები: არა ინება კაცმან მან ხეთქებად მისა (3 მეფ. 20.35); რადითა აღიყრინენ მახვლნი მათნი ხეთქებად მისა (ლომ. 7.15); აღიყრა ლახუარი თვისი ხეთქებად ჩემდა და მოკლად (იქვე, 8.2); ხეთქებად მისა ვერ შეუქლო (ანტოქ. 368.14). მაგრამ ამ შემთხვევაში შინაარსიც სხვა უნდა იყოს: დარტყმა, დაკრა, პირველ შემთხვევაში კი არის: გახეთქა, გახეუა, გაგლეჯა...

ამის ენებითად ღონიანი განსთქლომა ივარაუდება: განხ(ე)თქლა—განსთქლა—განსთქლა. ამ უკანასკნელისაგან ახალ ქართულში გასკდა მივიღეთ<sup>36</sup>. სასანადო საწყისი და მიმღებობა ჯერჯერობით არაა მიგნებული, პირიანი ფორმები კი ბევრია. რომელთგან მტორელს აქ უწევნებთ: არა განსთქდა ბადი იგი (ი. 21.11 Y); გამოსთქდა ლოდი მთისა მისგან თვნიერ კელისა (დან. 2.34); განსთქებოდეს ბაღენი მათნი (ლ. 5.6); ვითარცა ესმა ესე, განსთქებოდეს გულითა მათითა და იღრქენდეს მის ზედა კბილთა მათთა (მოც. 7.54 ე.გარიითის გამოცემა. ი. აბულაძის გამოცემაში იკითხება: განიხერხებოდეს). ამ მდიდარ ფორმებს, რომლებიც უძველესი დროიდან შემოგვრჩა, თავისი საკუთარი საწყისი უნდა ქონოდა, მაგრამ ჯერ მიგნებული არაა.

## 22. განულა — განულომა

ყველაზე მდიდარი და მრავალფეროვანი ფორმები მაინც ვად და ვედ ფუქის საწყისებს აქვს. აქ ხშირია უზმნისწინო მაგალითები (ქედებით, უედების, მოედებოდა, უედებოდა, უედებოდეს, კლომაჲ, კლომით...), აგრეთვე ყველა უზმნისწინის საშუალებით ნაწარმოები ფორმები (აღმოულა — აღმოულომა, აღულა — აღულომა, გამოულა — გამოულომა, განულა — განულომა, გარდამოულა — გარდამოულომა, მოულა — მოულომა...).

ამ წყვილ-წყვილი ფორმებიდან პირველნი (აღულა, განულა...) მოქმედებითად არის მიჩნეული, მეორენი კი (აღულომა, განულომა...) — ენებითად. ვ.თორეურას სპეციალური გამოკვლევა აქვს მიძღვნილი ამ ტიპის ზმნებისათვის, რომელშიც საგანგებოდ ჩერდება ვად და ვედ ფუქის ზმნებზე და უკანასკნელი ფორმის ე (ვედ) ენებითის ნიშნად მიაჩნია<sup>37</sup>. სხვანი ამათ უჩინო ენებითს ეძახიან. ამ საკითხზე

<sup>36</sup> ა. შანიძე. ნასახელარი ზმნები ქართულში. ტუპ. I. 1919-20. კვ. 89.

<sup>37</sup> ვ.თორეურა. შესამე ტიპის ენებითის წარმოება ქართულში: სსპ. ტ. III. №9. 1942. კვ. 965-972.

ენებიანი გვარის ზნეების კანხილუკასთან დაკავშირებით გვექნადა საუბარი და ახლა აღარ დაუბრუნდებით. მთავარია, რომ, ორივე შეხედულებით, ეად ფუძიანები მოქმედებითა, ვეად ფუძიანები კი — ენებითი. ამათი დახორისპირება აქაც ისეთი მკაფიო და ნათელია, რაოვარიც სხვა ტიპის ენებითებსა და სათანადო მოქმედებითებს შორის. ოგივე უნდა ითქვას შესატყვის საწყისებსა და მიძლეობებზე: მოქმედებითის საწყისებს ყველგან ა სუფიქსი აწარმოებს, ხოლო ენებითისას — ომ-ა: განუდ-ა — განუდ-ომ-ა, მოუდ-ა — მოუდ-ომ-ა, წარუდ-ა — წარუდ-ომ-ა ... ჩვენთვის აქ სწორედ ეს გარიშებაა აღსანიშნავი: აქაც მოქმედებითსა და ენებითს თავ-თავისი საწყისები (და მიძლეობები) მოეოვებათ.

აქ დამახასიათებელ პირიან ფორმებს აღარ მოვიყვანთ, ვუჩვენებთ მხოლოდ სათანადო საწყისებს (იშვითად — მიძლეობსაც). შევნიშნაეთ ბარემ აქვე, რომ საწყისი მოქმედებითი გვარისათვის აქცს, ჩვეულებრივ, ზმისწინიან ფორმებს, ხოლო ენებითი გვარისათვის — ასევე ჩვეულებრივ — უზმისწინოებს.

მოქმ.: უბრძანა ... აღმოუდა ითუალთა (H-341,5); არა ემისაგან დაცემისა შენისა აღმოუდას შინა მახვლისასა შეიძრნენ ჭალაქნი (ეზეკ. 26,15 Ⴕ); მახვლო, მახვლო, აღმოუდალო კლუად და აღმოუდალო მოსრულებად, აღდეგ (ეზეკ. 21,33).

შენ სუავ პირულისა მის კაცისა გამოუდა სამოთხითი (აპოკრ. 31,35); ვითარცა თქვენ ჩუქსისკს კუკრცხისა დაღუკითა და მართვსა გამოუდათა დაშუკრით და განგუზარდნით, ვერცა ჩვენ მას სახესა მოგაგებთ (სახ. 11,20).

ჩუქს რად ვერ შეუძლეთ განუდად მისა (მ. 17,19); ვითარ-მე შემძლებელ არს ეშმაკი ეშმაკისა განუდად (მრ. 3,23 C).

და ვითარ არაია აქუნდა გარდაუდად, ბრძანა მისი უფალმან მან მისმან განსყდა ცოლისა მისისა, შვილთა და ყოველი (მ. 18,25 C); ხოლო მან პრეტუა მათ: გარდაუდადნით ტვრთინი თქვენნი, რაითა აღვიხილო. და მათ ისწრაფეს გარდაუდად კარაულოთაგან ტვრთისა მის (საქ. წ. 11, 72,30); მოივლინა რაფაელ ანკელოზი განკურნებად ორთავე: ტობის გარდაუდად თეთრი თუალთაგან; და სარა, ასუელი პრავულისი — მიცემად ტობისა, ძესა ტობისა, ცოლად (ტობ. გ.17).

არა სტირი სირცხვლისა მის გარდარეულებასა, საქმესა მას ჯერკუალსა და სასყიდლისასა მას აღოქუმასა და მუდასა (სინ. 209,35); მივლით მოგვადოს უფალმან ლერითან შენმან (2 შჯ. 23,21 M).

მოუდად უსამართლოებაი (მსაჯ. 9,24); რომელსა ზრახვიდეს იოვანე ხარკის-მოძვლელი და ნეტარი საბა (მამ. ცხორ. 109,17).

გნ.: მეუწყა მე თქვენთვის, ძმანო..., ვითარმედ უღობა რაიმე არიან თქვენ შარის (1 კორ. 1,11); სადა შური და უღობა, მუნ არს შფოთი და ყოველი ჯერკუალი საქმ (იაკ. 3,16); უღობით ვიდრემე უღებოდეს საშნი იგი მეფენი (4 მეფ. 3,28); უღობით უღობ ვექსნე (3 მეფ. 11,34 O).

## B. საწყისის სასაქმური კატეგორიები

საწყისს სახელთან საერთო აქცს ორივე სახელური კატეგორია — ბრძენება და რიცხვი (ჩვეულებრივი გავებით: ბრძილა — ბრძილანი). ამასთან ორივე კატეგორია უფრო მეტადა დამახასიათებელი საწყისისათვის, ვიდრე ზმანსთან საზიაროთი. ეს გასაგებია: საწყისი დიდი ხანია ზმანს თანდათან დასცილდა და სახელს შეუერთდა. ეს მათი სახილოვე და დიდხანს ერთად ეყიხდაიეხ სიარული ზოგ შემთხვევაში

იმით დამთავრდა, რომ ბევრი საწყისი მოლიანად არსებით სახელად იქცა და დღეს მხოლოდ ჩაკვირებული ძიებითა და ჩხრებით შეიძლება მათს ისტორიულ სათავეს მივაგნოთ და მათი საწყისობა დაეადგინოთ. შდრ. სიჭყეა, ბრძოლა, სიკვდილი, სიხარული, საქმე, სირცხვილი, კრება, აღსარება, სიმღერა, მივლინება, წარსტეპა, შრომა, ელეა, ღვაწლი და სხვა ბევრი (ნ. ქვიციანი). განვიხილოთ მოკლედ, როგორ გამოვლინდება საწყისებში აღნიშნული კატეგორიები.

## წ. ბრუნვა

საწყისი ძველ ქართულში ისე იბრუნვის, როგორც სათანადო არსებითი სახელი. მას იქ ყველა ბრუნვა მოეხოვება, როგორც არსებით სახელს. ამთგან ზოგი ძალიან ხშირად იხმარება (სახელობითი, ეთარებითი, მოქმედებითი). ზოგი ნაკლებ (წრფელობითი, წოდებითი), მაგრამ, ვიშორებთ, საწყისი, სერთოდ, ყველა ბრუნვაში გვხვდება. სწორედ ამ ბრუნვებში მეღაენდება ნათლად საწყისთა ფუნქციები. ამიტომ საწყისთა თითოეული ბრუნვის ფორმების მიმოხილვა იმავე დროს მათი ფუნქციების შესწავლაც იქნება. მივეყუთ მათ როგრიგობით.

### 1. წრფელობითი ბრუნვა

წრფელობითი ყველაზე ძველი ბრუნვაა, ის პირველი სახელობითია. სახელობითის ჩამოყალიბებამდე წრფელობითი ასრულებდა მის ფუნქციებს. ამ მივლენის გადმონაშთები შემონახულია ძველ ქართულში. ასეთი წრფელობითი აქ. ჩვეულებრივ, (გარდაუვალ ზმნებთან) ქვემდებარის ფუნქციით იხმარება, იშუათად (გარდამაველ ზმნებთან) პირდაპირ დამატებას აღნიშნავს. საამისო ნიმუშებია:

#### ა) საწყისი ყველაზეაბოლ:

ხოლო თავადი აღდგა და შეჩრისხნა ქარსა მას და დღეჟსა წყაღთსა; და დასიხრეს, და იყო დაყუღება დიდ (მ. 8,24 C. DE-ში, როგორც უფრო გვიანდელ ძეგლებში, ახალი ფორმებია: დაყუღება დიდი, სამგვიწოდ სინურ მრავალთავში, როგორც მოსალოდნელი იყო, C-ს მსგავსი ძველებური წარმოება გვაქვს; და იქნა დაყუღება დიდი (სინ. 163,21); და იყო გამოძიება მოწაფეთა მათ იოვანესთა იჰრიათა მიმართ განწმედისათვის (ი. 3,25 C. DE-ში კვლავ უფრო ახალი გამოძიება იქითხება); და იყო წვალება შორის ერსა მას მისთვის (ი. 7,43 C. D და E ახლა ერთმანეთის დასცილდნენ: I; ამ შემთხვევაში C-ს ეჩხრობა: იყო განწვალება, ხოლო D აქაც უფრო ახალ ფორმას გვასაუზობს: იყო განწვალება); ღიხიქსამცა არს შეწია, უფალო, და ნუშტა იყოფინ (მ. 16,22 C. C-ს ახლა დანარჩენი შატბერდული ხელნაწერებზე მიაყვება: შენდობა იყავ შენდა DE); იყოს შენდა სიხარულ და მსათრულება (ლ. 1,14 CDE, ოღონდ D-ს გადაწერის მხარულება აქაც გვიანდელი სახელობითის ფორმით დაუწერია: მხარულება); ფლობა მატეს ვ:არს-სუსთა შენი (ი. 19,10 C; ველმწიფება მატეს DE); ძრვა იყო დიდი ზღესა მას ზედა (მ. 8,24 DE. C-ს საწყისი სახელობითის ფორმით წარმოუდგენია, მაგრამ მსაზღვრელი ძველებურად წრფელობითში დაუტოვებია: ძრვა იყო დიდი); დიდი იყო იოვანესა, არამედ რაი სწორება უც უფლისა თანა (სინ. 87,21); არა არს მონება, არცა აზნაურება, არა არს რჩევა მამაკაცისა, არცა დედაკაცისა, რამეთუ თქუენ ყოველნი ერთ ხარო ქრისტე იესუსს მიერ (გალატ. 3,28).

ა) საწყისი პირდაპირ ღიაობაზე:

შთაუვლის მანცა შეუხარება, უბეცრებითა საცსე, რომელთა ვიეთმე ურვა არქე/ინ (სოე. II, 240,18); შეკრება თაეები საღმრთოთა მათ სასწაულთაი და აღწერილსა მას უწოდა სახარება სახელად თავისა თვისისა (კომ. I, 105,12); შეიღწო ჩემსო საყუარელსო, ... წმიდისა ნებისა მისისა აღმსრულებელსო, რომელმანცა ბრძანებთა თვისთა სახარება უწოდა (ხანძთ. 148,17).

ბ) საწყისი უღმრთოთა უმეცრებისა სახელად ნაწილად:

სიტყუანი თქუენნი ტყუელ არიან (ეზეკ. 13,8 ს); /მეუფენი/... იყენეს... ქუემარტთა ქრისტანთა სიქაულუ და მოწამეთა სიხარულ (ხანძთ. 146,39); იყოს სიტყუაი შენი ჩემდა სიხარულ (იერ. 15,16).

გარდა ამისა, წრფელიობითი დასმული საწყისები გეხედება რთული ზმნების /შესაღვრულ ნაწილად (ლაილად-ყო, მიხილდა-ყო, შექმნა-ყო, ბრძიოდა-სცა, ლოცვა-ყო...), მგვრამ აქ ახლა ამაზე არაუყრს ვიტყვით. ამის სათაბაზე იხ. ზემოთ, გვ. 521 და შემდ.

2. სახელოებითი ბრუნვა

საწყისი ძველ ქართულში ყველაზე ხშირად სახელოებითი იხმარება. სახელოებითი დასმულ საწყისს ორი ძირითადი ფუნქცია აქვს: ა) იგი გამოყენებულია ქებულდარედ (იქნა ბრძანება შენი: ლ. 14,32) და ბ) პირდაპირ დამატებად (უბრძანა ვოსა მას დასხლომა თივასა ზედა: მ. 14,19); ამ ორი შემთხვევიდან გაცილებით (დაახლოებით ორჯერ) უყრო ხშირია პირველი.

ა) სახელოებითი შემადგარედ:

გამოიყოფა რამდენიმე გვუფი იმის მიხედვით, თუ როგორ იწარმოება საწყისი. განვიხილოთ ისინი რიგრიგობით.

1) ერთთემიან (უთემისნიშნო) ზმნათა საწყისები:

თქუენცა თანა-გაც ურთიერთას დაბანაი ფერუთაი (ი. 13,14 C); უბანელითა ველითა ჭამაი არა შეაგინებს კაცსა (მ. 15,20); აწ თხოუაი ცა იგი არა თუ ლიქისაი არს (სინ. 139,4); რომელმან მკედარნი აღადგინა, გინდა მკედრად შერაცხაი მისი (სინ. 238,36); იყოს აღტეხაი მათ შორის (ეზეკ. 30,9 ს); უნდა განხეთქაი მისი (იქვე, 60,6); შეუენის მონაზონსა თვსაგან ყოჲაი ... და ტკივილი და ტირილი და გლოუაი (სოე. I, 3,29,3); რომელ არს გემოის-ხილუაი, ხედუაი და სმენაი, შეხეხაი და ყნოსაი (უქ. რედ. 161,11).

2) ფუქედარედ ზმნათა საწყისები: ძალ-გიც განწმუდა ჩემი (მ. 8,2); მუენ იყოს ტირილი და ღრქენაი კბილთაი (მ. 8,12); რომელსა შინა შვდეული იგი დღეთა მოქცევაი იქმნების (გამოცხ. 1,4 თ); ურვისა რაისაგანმე შეემთხვა ესოდენი განლევა გუამისა მისისაი (ბალ. 90,27); მის გამო იქნა ძრუაი ველისაი და მიმოდრეკაი თავისაი (უქ. რედ. 223,19); ახუდა მას საკუშეველისა კუქევაი (ლ. 1,9 E); შეხავებაი არა თუ სხუაი რამე არს, არამედ შერევაი სტყქისთაი (უქ. რედ. 211,31); შექყლემაი იგი ვულთაი, რომელი საგონებელ არს მისთვს, არა გულისაი არს (იქვე, 165,3); წინადატუთაი იგი პირველი დასწინდების თვნივს ველთა (სინ. 75,24).

3) ავთემისნიშნის ზმნათა საწყისები: ახალ ქართულში ზოგი ავთემისნიშნის ზმნის საწყისში, რომელთაც ფუქის ბოლოს აქვთ რ, ლ, ნ სონორები,

ხოლო ამათ წინ — ბაგისმიერი და უკანაენისმიერი თანხმოვნები, საწყისის მარ-  
მოებელი ა სუფიქსის დართვის შემდეგ (რომელიც ფუძისიულ ხმოვანს ამაჯდებს  
ხოლმე) ხდება გადასმა, მარტოდ დარჩენილი ვ წინ გადაზღვის და რ. ლ. ნ თან-  
ხმოვნებს უდგება წინ: დაფლვა→ დაფულა, შენიშნა→ შენიშვნა, მოკლვა→ მოკვლა,  
ხნვა→ ხვნა, ხრვა→ ხერა და სხვ.<sup>334</sup> ძველ ქართულში ეს წესი არ მოქმედებდა, იქ  
თემის ნიშნისეული ვ ყველა შემთხვევაში ფუძის ბოლოს იდგა ხელუხლებლად: და-  
ფლვა, შენიშნვა, შეკრვა, მოკლვა, ვნვა და სხვ. ყველა აფიანი ზმნა ერთიაროდ  
იწარმოებოდა: ყოველი ცოდვა და გმობა მიუტევოს კაცთა (მ. 12,31); რომლისა  
თანა ზაკევაი არა არს (ი. 1,47); უყუარნ .. უხანთა ზედა ღვობათ და ლოცვაი (მ. 6,  
5); სთნდა ჰეროდეს როკვაი მისი (მ. 14,6); ზარუნეაი ამისი და გამოკითხვაი თანა-  
მაც (ისტ. ქრ. II, 68,36); მოწვენად არს შენ ზედა ტანჯვაი (სინ. 67,8); განქარდეს  
მსახურებაი ღმერთთაი და ზარეაი მათი (იქვე, 58,30); დაცვაი საბოსლისაი, ქეთილ-  
თა ზედა მოსწრაფებაი არს (გამოცხ. 16,16 თ); ცეცხლითა ვერ ეგებოდა დაბურვაი  
მისი (უქვ. რედ. 32,1); ფრიალი კრძალვაი უყის (ნოვ. I, 1,6,2); დაესრულა ლენეაი  
(იერ. 8,20); ამას ესეუა ასული მხოლოდ-შობილი, და უნდა ამისი შერთვაი ეიოჲანსსა  
(საკ. წ. II, 94,35); იყო ღრტუნვაი მისთვის ერსა შორის (ი. 7,12); შუენის მონაზონსა  
თვსაგან ყოფაი ..., თავისა თვისისა განკითხვაი (ნოვ. I, 3,29,5); წარწყმდა ხილვაი  
(ეხეკ. 12,34).

აფიანი ზმნების საწყისებთან დაკავშირებით კიდევ ერთ საწყისს უნდა  
შევეხებით. ესა ვალ ფუძის შემცველი ფართოდ გაერთელებული ზმნა: მი-ვალ, მი-  
ვალ... ამისი საწყისი ნორმალურად (თეორიულად) უნდა ყოფილიყო სულა (-“ს-ვალ-  
ა). შეიძლება დავუშვათ, რომ აქ საწყისის მარჯომოებელი ა-ს დართვის შედეგად  
ძირის შეკუმშვის შემდეგ ფუძისეული ვ (ვალ) ავ თემის ნიშნის შეკუმშულ ნაწილად  
იქნა გაგებულნი და საწყისის მარჯომოებელი ა სუფიქსის წინ გადატანული, როგორც  
გვაქვს ლ-ზე ფუძედამთავრებულ აფიან ზმნებში: კლ-აე→ კლვა, ფლ-აე→ ფლვა, წილ-  
აე→ მო-წყლვა (ასეა აგრეთვე რ-სა და ნ-ს შემთხვევაშიც: კრ-აე→ შკრვა, ძრ-აე→ და-  
ძრვა, ვნ-აე→ ენვა...). სწორედ ამიტომაც ძველ ქართულში ყველგან და ყოველთვის:  
სლვა, წარსლვა, მისლვა, მოსლვა, შესლვა, გარდამოსლვა, მიმოსლვა და სხვანი.  
ორიოდე ნიშნით: უადვილესა ზომთ-საბლისაი უურელსა ნემსისასა განსლვათ. ვიდრე  
მდიდრისაი შესლვად სასუფეველსა ღმრთისასა (მ. 19,24 C); ელიაჲსი ჯერ-არს  
პირველად მოსლვაი (მ. 17,10); ვერ ეძლია წარსლვაი ქუეყანად თვსა (სინ. 277,29);  
ვპოვეთ მზაი ნაჲი, რომელსა უნდა წიაღსლვაი აღექანანდრად (საკ. წ. II, 110,36).

ახალ ქართულში როგორღა დამკვიდრდა თეორიულად სავარაუდოებელი უყ-  
რო ძველი სულა, მისვლა, მოსვლა, წასვლა და მათი მსგავსი ფორმები? — ისევე  
მტდარი განაზღვიების საფუძველზე: ახალ ქართულშიც იყო დაშვებული, რომ ესეც  
ავ თემის ნიშნისი ზმნაა, რომელსაც ფუძის ბოლოს ლ აქვს (ვალ). თემისნიშ-  
ნისეული ვ კი ახალ ქართულში, როგორც ითქვა, წინ გადაზღვის: მოკლვა→ მოკვლა,  
დაფლვა→ დაფულა. ასევეა რ და ნ თანხმოვნისი მიგალითები: დაკრვა→ დაკრა,  
დახნვა→ დახვნა... ამგვარად, მისვლა, მოსვლა, წასვლა... ზმნის ფორმანტთა ამ  
მტდარი კვალიფიკაციის საფუძველზე გვაქვს სწორედ უცნაური რიგი: უძველესი  
ახალში და უახლესი ძველში.

<sup>334</sup> ვ.ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, 1940. გვ. 207.

4. ამ თემისნიშნისა ზნისათა საწყისები: უნდა შეღებდა მისი და დაღვამა წინაშე მისა (ლ. 5,18); განსრულდა გულის-თქუმა მისი (ისტ. ქრ. II, 98,7); ივლტის თქუენვან ვნება და საღიზიბა და სუულ-თქუმა (საკ. წ. II, 128,30); რომელსა აღუტკეპო პირი და ეველებიდა შთანთქმა მისი (ბალ. 37,5); რომელ არს ვორცთა შესხმა (ვაპოცხ. 13,6 თ); ხილო ახუმა ბავეთა და დაწებუა მსგავს არს ძრვასა მას თითიასა (უქვ. რედ. 159,11); განხუმა ცითა მოსილკისა მისისა ხილვასა მასწავებს (ვაპოცხ. 19,12 თ); ფლობა მაქუს ქუარს-ტუმა შენი (ი. 19,10 C).

5. ამ თემისნიშნისა ზნისათა საწყისები: ებ თემის ნიშანი ყველაზე აქტიურია ქართულში, ძველსა და ახალში<sup>111</sup>, ამიტომაც ვბანი ზნების საწყისები ძველადაც ბლომად გვქონდა. ენახით ზოგიერთი მათგანი: გამოუდა ბრძანება აგვსტოს კეისრისაგან (ლ. 2,1); რომელსა უნდეს თავისა თვისსა განრინება, წარიწყობოს იგი (ლ. 17,33); რომელსა თქუას ვიზობა სულისა წმიდისათვის, არა აქუს მატყუება (მრ. 3,29); ესე არს ცხოვნება ყოველთა კაცთა (ვაპოცხ. 19,18 თ); არა კეთილ არს მოღება ჰურისა შეილთავან და დაღებად ძაღლთა (მ. 15,26 C); ვერ ველ-ეწიყების სოფელსა ამას მოძულება თქუენი (ი. 7,7 C); დაღება იყო ყოველსა ქვეყანასა ვეკტისასა (საკ. წ. 113,29); არა ჯერ-არს შენდა ცოლები მაგისი (მ. 14,4 C); დაცვენება ვარსკლავთა არს (ვაპოცხ. 6,13 თ); დინება წყალთა არს ბრძანებითა ღმრთისათა (უქვ. რედ. 56,9); და იყოს შეტყუენება ეთიოპისა (ეზეკ. 30,4); ბრძოლის კეთება იყო ველსა ზედა (სინ. 241,5); ვითარ ვამს დაუღება (სოვ. I, 2,21,1); კეთილ არს შენება ქალაქისა ქვეყანათა და მოღება საშუებულთა მისთა, და მაცთურ არს განმარება სოფლისა და ნებსით მოკლდინება თავისა თვისსა და უხიროდ აწყუდა (ბალ. 93,32,34,35); შჯულის -ღება სოფლად შემოუდა მისის მიერ (სინ. 120,22).

ძველ ქართულში არის რამდენიმე ზნა, რომლებიც ებ თემის ნიშნით იხმარებოდა, ახლა კი ან სრულიებით არა აქეს თემის ნიშანი (დაადგინებს—დაადგენს, წარიწყნებს—წაიყვანს, მოაწყნებს—მოაწყენს, გამოაჩინებს—გამოაჩენს...), ანდა სხვა თემის ნიშანი მოეზოვება (შეატყუებს—შეატყობს, შესეკვალებს—შეეკვლის, მოაცალებს—მოაცლის, დააცალებს—დააცლის, განმარტებს—განმარტავს, აღმართებს—აღმართავს...). ქვემოთ ვუჩვენებთ რამდენიმე მათგანის ძელებურ საწყისებსაც: გამოჩინება იგი სიყვარულისა თქუენისა და ჩუენისა სიქადულისა თქუენთვის მათა მიმართ არუენთ წინაშე პირთა ეკლესიათასა (2 კორ. 8,24); ბრძანა წარმოღვინება მუორისა მის (დან. 13,56 O); საჩინო არს სათნოებისა მისისა წარმართება და წინაწარსწრობა და განმარტება გულისა მისისა ღმრთისა მიმართ (კომ. II, 143, 21,22); იწროებისათვის ადვილისა მნებაეს სიტყუსა ამის დაცადება (სინ. 37,29); ჯერ-არს მარადის მათდა ლოცვა და არა მოწყინება ლოცვასა შინა (ლ. 1,18 C); დიდად უმჯობის არს შეტყუება (ზორ. 20,1); რადენი შეეკვლება იყო კაცთა ნათესავთა შორის (სინ. 234,14); ბრძანა... სენაკსა ერთსა შეყვანება და კრძალულად დაცვა მისი (შუშ. 6,27). რაც შეეხება დამუება-ს (დაამუებს, დაამუება,

<sup>111</sup> მოქმედებითი გვიან ახლად შექმნილ ზნათა ამსილტვური უბეტესობა ებ თემის ნიშნითა წარმოები (ვაედაქტორებს, ვადარექტორებს, ვედასხორტსინებ, ვამინისტრებს...). ასე იყო ძველადც ზღლის, თუ მხუჯელბაში მოიღება, რამე ნასახულარი ზნების აქტიური ფორმები უნაარეხად ებ თემის ნიშნით იწარმოება (აბერებს, ამიწებს, ამხეცებს, ახეცებს, აშეშებს, აქევეებს, აყარებს, აუყენებს .). ვასაკვი იქნება ამ ტიპის ზნათა ასეთი პრაქტიკულობა და სიხშირე.



დაამკურთხა, დაამკურთხა), მის პარალელურად ძველსავე ქართულში დამკურთხა-ცა და დამკურთხა-ც გვხვდება, ამიტომ ასეთი სახაარი საწყისებს აქ აღარ უწყვიტებთ.

6. ვეთემისნიშნან ზმნათა საწყისები: კრთხევაი ძესა დაეთისსა (მ. 21,15); სადა იყო ძლევაი შენი, ვოჯოხეთო (სინ. 88,25); შენი არს ძლევაი (როუს. 169,25).

7. ვეთემისნიშნან ზმნათა საწყისები: ასეთი ქართულში (ძველსა და ახალში) ერთადერთია — ცემა. მართალია, მას ბევრი მნიშვნელობა აქვს (მიცემა, გაცემა, დაცემა, თავდასხმა, საყვირის დაცემა, კენა გველისა ან მორიელის მიერ, კარვის, ბანაჯის აღმართვა და სხვ.), მაგრამ ფორმები, კერძოდ, საწყისი, ყველგან ერთნაირია, ენაში ერთნაირადვე გამოიყენება და ძალიან ხშირადაც გვხვდება. ენახოთ რამდენიმე მათგანი: იყო დაცემა სახლისა მის დიდ (ლ. 6,49); უკეთეთ თქვენ უკეთურთა იცით ნიჭისა კეთილისა მიცემა შეილთა თქვენთა (მ. 7,11 C). ვერ-არსა ხარკისა მიცემა კისარსა ანუ არა? (მ. 22,17); რომლისგან-იგი გამომაველ არიან ყოველნი მიცემანი მადლთანი (მ. ცხ. 428v); ბრძანა პრარადევისა განცემა (ურთ. 96,11).

ცემა გვაქვს რთულ ზმნათა საწყისებშიც: უკუარს მთ შორის შესაკრებელთა და ურაკარაკთა თაყუანის-ცემა (მ. 6,5 C); ნათლის-ცემა იოვანესი ვინა იყო: ზეცით იყო ანუ კაცთაგან (მ. 21,25); ვაი თქვენდა, მდიდარო, რამეთუ მოვიღებთეს ნუგეზინის-ცემა თქვენი (ლ. 6,24); ჰატივის-ცემა სიტყუთა დიდებულთაი ღირს (იგავ. 25,27 O).

8. ი თემისნიშნან ზმნათა საწყისები: გუნებაეს ჰატივითა წარმოგზავნა თქვენი ქვეყანადვე თქვენდა (ურთ. 98,15); წარვიდა შკაი და დაეხრულა ლენკვაი (იერ. 8,20); შეა მან ძმ წულო, რომელსა ვეულების მწყსაი ყოველთა წარმართთაი (გამოცხ. 12,5); იყო დანყება შეხუდობისა მათისა ნატრათა მათი (უქვ. რედ. 204,8); რომელსა ანებაეს განრყენაი შეილისა შენისაი (სინ. 66,33); იყო მეყსეულად ზეცით ოხანა, ვითარცა ქარისა სასტიკისაი (სინ. 87,26); განრცხაი სასუწებლებისა და სტანებისა და ქვაბებისა და ცხედრებისა (მრ. 7,4); კერ-მესა კს-გუა მის წუთადი ესე სწავლაი აქაი (სინ. 215,3); იყოს სწრაყაი ჩუენი ჟამისა მისთვის მომავლისა (უქვ. რედ. 127,14); ხოლო ენათა ცოხნაი ... საღმობათა სახმ არს (გამოცხ. 16,11 თ); ფიცხელ არს შენდა წიხნაი დეხსა (სინ. 134,14); ღმრთისა მიმართ ხოლო იყო წურთაი მისი და ცხორებაი (საქ. წ. II, 4,21); შევიდა ერთ-ვხის სიწმიდესა მას და საუკუნს გამოკნაი პოვა (ებრ. 9,12).

9. ი თემისნიშნან ზმნათა საწყისები: ევერა ან გვიმა ბასარობა იგი მისი (მ. 26,65 C); იგალობა ისრაელისა გალობა ესე ვეკრამულსა ზელა (როცხ. 21,17); მესმა გმობაი მრავალთაი (იერ. 20,21); განიკურნოს ძე შენი და შვეული შენი და შეყოზაი შენი (ბალ. 129,8); ენება შესერობაი მისი (სწავ. 310,35); წარვიღეს პალატად და ყვეს სერობაი დიდი (ბალ. 148,15); აქწედეს ფლობაი განსინად ეშმაკთა (მრ. 3,15 C); იესუ ქრისტეს შობაი ესრეთ იყო (მ. I,18); იყო ცილობაიცა მთი შორის (ლ. 22,24); ესმოდა საბინსსგან წყალობაი დავერდობილისა მისთვის (საქ. წ. II, 131,9); ამით ვეულების განეშობაი წყალთაი და დაკლებაი მათი ყოველადვე (უქვ. რედ. 49,23).

10. ოუ თემისნიშნან ზმნათა საწყისები: ოუ თემის ნიშანიც (როგორც ვი) ერთადერთ ზმნასთან იხმარება: ყოფა (+ყოფ-ა + \*ეყოფ-ა + \*ყოფ-ა). გვხვდება ცალკე და ზმნისწინებითაც. ცალკე (უზმნისწინოდ აღებული) იგი ნიშნავს: კეთება.

ქნა. ხილიო ზმნისწინების დართვისას სხვადასხვაგვარ შინაარსს გამოხატავს: ვაწყოჲ — ვაყოჲ, დანაწილება, დაყოჲ — დახურვა, დაკცევა, გარკვეული დროით დარჩენა (დროის, ხანის ვატარება), ხელის შეყოჲ — წამაწყება, შთაყოჲ — ჩაყოჲ, ჩაღება და სხვ. იგი ხშირად გვხვდება აგრეთვე რთული ზმნების (მეორე) შემადგენელ ნაწილად. ენახოთ რამდენიმე მაგალითი: რაი თქჳან ჩემთვის კაცთა, ძისა კაცისაჲ ყოჲთა? (მ. 16,13); რაი ჯერ-არს შაბთსა: კეთილისა საქმ ანუ ბოროტისა ყოჲთა (ლ. 6,9). აქ ერთად ნახმარი ზმნები — საქმ და ყოჲთა — სინონიმებია, რომლებიც ხშირად გვხვდება ერთმანეთის გვერდით; ესე არს განყოჲთა, რომელი განუნაწილა მოსემან ძეთა ისრაელისათა (ისუ ნ. 13,14 M); ესე განყოჲთა ჟამისა შეუღღს სიარძილსა მზისასა და განაგებს ცხორებასა ჩუენსა (უქვ. რედ. 89,24).

რაიძელსა ესმოდა მისი გულისხმის-ყოჲთა იგი (ლ. 2,47); რამეთუ თვნიერ მათ ირასასა ქვი ვეგბის სრულ-ყოჲთა (სინ. 84,28).

### ბ) სახელობითი პირდაპირი დამატება

სახელობითი დასმული საწყისი პირდაპირ დამატებად, ბუნებრივია, გვხვდება მხოლოდ და მხოლოდ გარდამავალ ზმნებთან. სუბიექტი ასეთ ზმნებთან მოთხრობითშია და იმას ქვემოთ ცალკე განვიხილავთ.

ზმნები, რომლებთანაც სახელობითი დასმული საწყისი გვხვდება, ბევრია. მაგრამ ვანსაკუთრებით ხშირად იხმარება ბრძანება სხვადასხვა ფორმით. ამათგან ყველაზე ხშირია ბრძანა და უბრძანა, შემდეგ მოდის ხილვა, ყოჲთა (ცალკე და რთულ ზმნებში), ღება, მიცემა (მოცემა), ცოლნა (იციის, იციოდა...), პოვნა, ქნა და სხვანი. თვით სახელობითში დასმული საწყისები კი ენაში მრავლად მოიპოვება. ენახოთ ტიპური ნიმუშები:

მაიე გულ-ფიცხელობისა თქვენისათვის გიბრძანა განტევენა /დატევენა C/ ცოლთა თქვენთა (მ. 19,8); უბრძანა მათ ინაჲით-დასხდომა მწუანვილსა ზედა (მრ. 6,39); ბრძანა შესხმა მათი საყრობილესა (საკ. წ. II, 67,39); რომელმან ყო ზაკეჲთა (საკ. წ. II, 131,29); ისმინე და გულისხმა-ყავ უწუიმროებისა იგი განგრძობა (სინ. 127,37); მე წამება კაცთაგან არა მოვილო (ი. 5,34); რომელმან... მოგუცა ცნობა ღმრთიებისა ... და სიძულული წარდევნა (სინ. 146,31,32); ისმინე ლოცვა მონისა შენისა და მოეც თხოჲთა მედრებელსა შენსა (სინ. 73,12,13); არცა სიყუარულისა დამარხვა იციის, არცა მზახობისა შეზავება (სინ. 214,22,23); განვედ ვხათა ზედა და ფოლოცთა და აიძულე შემოსლვა (ლ. 14,23 C); აწ უკუე პურათა განჯრდოსა და წარმართთა შეყოყანება ადვილად გუაუწყა (სინ. 14,24); საეჯეს მისი ქითა განტყენვა (სინ. 240,13); ღალეჲთა აღადგინეს ჩუენ ზედა (სინ. 65,26); /მარხვამან/ ველთა ასწავის ვლაზაჲთა ღუწოლად და ფერეთა ასწავის სლვაჲთა და ხილვაჲთა სნეულთა (სინ. 113,17,18); ანუ რაი წინა-წარვიძლუნეთ ზეცად... გინა ლოცვაჲთა ცრემლითურთ, გინა მღვმარებაჲ წმიდაჲთ ანუ ფსალმუნებაჲ ტირილით, ანუ მარხვაჲთა სიმდაბლით, ანუ თუ ჯმნაჲ საქმეთაგან ამის სოფლისათა, გინა თუ სიყუარული შეუარგულელებელი სრული ქრისტეს მიმართ (ისტ. ქრ. II, 3, 18-20); თაეს-იდეა ვინეჲთა და წიჯრებაჲთა, პარისა ცქჲთა, ბასრიაჲთა, ამარაჲთა და ნაყელელი, უყუარითა დასჯაჲთა და სიყუარული (ას.ქრ. 136,18-20).

### 3. მოთხრობითი გრუნა

საწყისი მოთხრობითი ძალიან იშვიათად იხმარება. აქ მას, როგორც ყოველ არსებობს, ერთადერთი ფუნქცია აქვს: აღნიშნოს ქველდებად. უცნაური ისაა, რომ მეტად იშვიათ ფორმებში მრავლობითის 3 მაგალითიც გამოვჩინო. მრავლობითის ნიშნები კი სხვა ბრუნვებისთვისაც (მიც., მიქს., ვით.) იშვიათაა, შედარებით მეტია ნათესაობითში. მაგრამ ამაზე ბოლოს ცალკე გვექნება საუბარი. ახლა კი გავუცნოთ სათანადო ნიშნებს:

ურვამან ღიღამან შემიყრა და ძრწოლამან საქმისა საშინელისა შესწუხებელისამან (ბალ. 91,22); ანუ თუ მკურვალეზამან ერთმან, გინა გუერდისა ტკივილმან, ანუ თუ ფირტვსამან, აღიტაცის იგი კაცთაგან და წარვიდის (უძე. რედ. 65,31); მუნთქევსე შეიყრა იგი კურვებამან (ნოე. II, 43,20); სიტყვამან საშინელმან შეაძრწუნის გული კაცისა მართლისა, სახარებამან კეთილმან ახარის მას (იგაე. 12,25); ღვწონან და სახიობამან ახარინან გულსა (ზირ. 49,20); ურვამან შემიყრა მე ცოდვილთამან (ფს. 118,53); სიყმილმან ვერ შეუქლის მას, ვითარცა სულმოკლე იქნა (ისტ. ქრ. II, 15,25); ვინ განმამოვრნეს ჩუენ სიყუარულსა მას ქრისტესისა: ჭირმან ანუ იწროებამან, ღვემან ანუ სიყმილმან, შიშულობამან ანუ ურვამან ანუ მახვლმან (იკომ. 8,35).

პრობლემა მიმართ პელებს ეპისტოლის ეს ადგილი გადმოტანილია "ეესტათის მარტივობის" ტექსტში მცირე ცვლილებით. საყურადღებოა, რომ ჩვენს ხელთ არსებული მრავლობითის სამი მაგალითიდან ორი სწორედ აქ გვხვდება: ამიერიოვან ვერვინ განმამოვრნეს მე სიყუარულსა შენსა და სარწმუნოებასა და სურვილსა. ვითარცა წერილ არს: არცა ტანჯვათა, არცა გუჟათა, არცა სიყმილმან საჭრობილესა შინა, არცა მახვლმან, არცა სიყდილმან ამთ ვირცთა ჩემთამან შემოძლოს მე განყნებად შენდა, უფალო იესუ ქრისტე (ეესტ. 154, 28-29). ამას ემატება კიდევ ერთი მაგალითი ოთხთაიდან: ზრუნვათა ამის სოფლისათა და საცთურმან სიმღიდრისამან შეაშთივის სიტყუა იგი (მრ. 4,19 C). ეგვე ადგილი მათეს თავში მხოლობითის ფორმით არის გადმოცემული: ზრუნვამან ამის სოფლისამან და საცთურმან სიმღიდრისამან შეაშთივის სიტყუა იგი (მ. 13,22). ასევე ბერძნულსა და სხვა ენების თარგმანებშიც: მათეს თავში — მხოლობითი, მარკოზისაში — მრავლობითი. ასე რომ, ქართველ მთარგმნელს ორივე შემთხვევაში ზუსტად აქვს გადმოცემული ორიგინალის რიცხვის ფორმა.

### 4. ვიცავითი გრუნა

ხშირად გვხვდება მიცემით ბრუნვაში დასმული საწყისიც. აქ ის სხვადასხვა ფუნქციით იხმარება. სხვებზე ხშირადაა გამოყენებული პირდაპირ დამატებად. ირბი დამატება სამიზიან ზმნებს ახლავს I და II სერიაში. მაგრამ ასეთ ზმნებთან უფრო ხშირად ტექსტში წარმოდგენილია პირდაპირი დამატება, რადგან ირბი, ჩვეულებრივ, აღამანს გულისხმობს და უფრო მეტად რეალურად არა ჩანს.

ორიზიან გარდაუკალ ზმნებთან მიცემითში დასმული საწყისი ყოველთვის ირბი დამატებაა (ეკრძალენით ქველის-საქმესა თქვენსა: მ. 6,1).

ხშირად მიცემითში მღვარი საწყისი სხვადასხვა გარემოებას გამოხატავს. მიცემითში დასმული საწყისი რაოდენობრივადაც ბევრია და სინტაქსური შინაარ-

სითაც მრავალფეროვანი.

ახლა ამ რიგით ვნახოთ სათანადო მაგალითები მოკლედ.

ა) საწილი ძირდადრი დაპატივად: ესე გმობას იტყვის (მრ. 2,7); რაისთვის მიწაყენი იოვანესნი ... ვეღრებას ჩყოფენ (ლ. 5,33); რასა შესმენას მოიღებთ კაცს ამას ზედა (ი. 18,29); კურნებას აღვასრულებ დღეს და ხვალე (ლ. 13,32 C); წამებას ჩუენს არა შეიწყენარებთ (ი. 3,11); მრავალთა ბრმათა მოძადლოებდა ზედვას (ლ. 7,21 C); ნუის უთხრობთ ხლევას ამას (სინ. 197,24); წარმოადგინებს ამას კულად წიგნი ღუქილითა და აღბაძვებას უჩუენებს (სინ. 116,4); თავს-ვიღებთ ჩუენ ურმის თუალისა დაკრევას და ხუცვასა და განზერხვას (სინ. 118,30); დაამტკიცებდა შერუნებასა და განკუეთას არიოსისსა (ისტ. ქრ. II, 78,10); კაცი დაირწმუნებენ მათ ვაჟი დაქსნასა შუკულისასა (საკ. წ. II, 77,22); ამა ესერა შენ ქხედავ სიბორჯილსა ამის ღუდაკაცისასა (იქვე, 66,17); ყოელად ბრძენსა მას ღმრთისა მიშუებას იტყვის (ვაჟი. 6,4 თ); რაჟამს მოვიშთო წყერითითა და ესუა ამისგან, ფრადსა საღმობასა შემოქმს (ასურ. 183,25); ზრახვენ ზრახვასა ბოროტსა (ეზექ. 11,2 5); რომელნი ქხედეიღეს ტუევილსა და იმისნიღეს მისნობასა (იქვე, 13,6).

ბ) საწილი ირიბ დაპატივად: რომელნი მოელოდეს ვსნსა მას ისრაქლისასა (ლ. 2,38 C); ვითარ-იგი არა დაემორჩილებოდეს ზნასა მას, სხუად სახედ მანქნებად იქცა (სინ. 117,39); ნუკუე სიცონილსა და უღებებასა მისცე თავი თვისი (ისტ. ქრ. II, 7,22); წამის-ყოვასა ხოლო ელიან (საკ. წ. II, 9,3); ნუ იყოფენ ესე ჩუენდა, რათამცა მიუაქციეთ სიციბილსა მას და სიღორწევას (ლიმ. 117,27); თანა-წარქედეს შუდობითი აღტენასა ღელეათასა (ბალ. 162,27); კულად-ვაქციით სიტყუა დაშობილსა მას თარგმანებასა (უტე. რედ. 44,29); შეყოფილ არს სიორიძლსა ვარსკულავთასა (იქვე, 83,21); პრქუა მას ეშმაქმან: შეეყავ ესენებასა და ზრჩევასა საემართასა და სიუეროულსა ამის სოფილისასა (ნოვ. 1, 6,12,16); მაკას საღმობასა ოთხი სახს აქუს (სივ. II, 168,5); რაიმელმან ქმნეს წინა-აღდგომა და ვარდაქედეს აღოქმასა (ეზექ. 17,15).

ბ) საწილი უბრალ დაპატივად: ციომასა მას შინა იყო მეფე იგი (ბალ. 9,12); შეიყვანოს იგი წყევასა ქუეშე (ეზექ. 17,13); ცოდვასა შინა შობილ ხარ შენ ყოელად (ი. 9,34); უჯეეთუ დაადგრე განზრახვასა მაგას ზედა (ისტ. ქრ. II, 58,40); რომელი შევალნ წყობასა და შეიჭურნის კორცნი იგი თვისნი ყოელად (იქვე, 11,20); რომელნი ურევასა შინა არიედ (საკ. წ. II, 129,16); მრავალნი შთავარდებან დაცემასა და წარწემებასა (ლიმ. 140, 34); მესმა, რამეთუ დიდი ღუაწლი აღასრულე ბრძოლასა ზედა ეშმაკათასა (ბალ. 119,31); მათ იდენ საემარ არს ცეცხლი, ვითარცა ქსლის-ქსოვასა და ხუროვებასა და ქედასა და ქუეყანის-საქმესა (უტე. რედ. 45, 3,3-4).

ღ) საწილი ღრწის ვარაძეობად: დაყოვნებასა მას მის სიძისასა მიერულა ყოედითა (მ. 25,6); იქრეოდეს სლევასა მას ნავისასა (მ. 13,4; მრ. 4,4); მერმესა მას მოსლევასა... დასხდეთ თქუენცა ათორმეტთა საყდართა (მ. 19,28); მოკლებასა ღწინისასა პრქუა ღუდამან იესუს (ი. 2,3 C); ნუკუე მოძარგლასა (შეკრებასა DE) მას ღუარძლისასა აღმოფხურათ მის თანა იფქლიცა (მ. 13,29 C); შეეყანებასა მას მამადღელისა მიერ ... მოიქუა იგი მკლავთა ზედა (ლ. 2,27); მრავალთა შობასა მისსა განიხარონ (ლ. 1,4); წმიდაი მისი ბეჭედი გუაქენდინ — ჯუარი აღდგომასა და დაჯდომასა, ვარე ვანსლევასა და შინა შემოსლევასა, ანუ თუ დაძინებასა, ანუ ვანღე-

ქებას, ანუ ქამასა, ანუ სუჴსასა, ანუ თუ ზრახეას (სინ. 53,25,26); დაიწერა საბერძნეთის ოკრებასა გლახათასა და აწიქლასა ჭაბუკეთასა (გამოცხ. 210r=ან-ღერძი); ნუჯეუ ... მიზერეასა თანა ქარისა ცეცხლისასა განუქეს? (ეზექ. 17,10); ყოველი მასკი და ყოველი მოწესტ გვინა კერთხეეასა მას და გალობასა უგაღმან (სინ. 142,15).

### 5. ნათესაობითი ბრუნვა

ნათესაობითი მრავალი ფუნქციით იხმარება ენაში. ასევე მრავალფეროვანი შინაარსის შეტყველოა ამ ბრუნვაში დასმული საწყისიც.

ნათესაობითში საწყისები იხმარება თანდებულანად და უთანდებულად. ხშირია ერთიცა და მეორეც. დაიწყოთ თანდებულანი ფორმებიდან. ყველაზე ხშირია გან და თვის თანდებულების გამოყენება. უფრო ნაკლებად გვხვდება ებრ, თვნიერ, წილ.

#### ა) გან თანდებულანი საწყისები.

1. ყველაზე ხშირად გან თანდებულანი საწყისი უბრალო დამატების როლს ასრულებს: ვითარცა დასცხრა ლოცვისაგან (ლ. 11,1 CE); /იესუ/ აღდგა სერობისაგან (ი. 13,4 D. E-ში ნაწევრანი საწყისია; სერობისა მისგან, ხოლო C-ში არსებითი სახელი: სერისა მისგან); უგალო, იესენ სული ჩუენი სიკედილისაგან... და ფერენი ჩუენნი ბრკობისაგან (სინ. 281,9,10); ვიდრედე არღა პრწმენა მათ სიხარულისა მისგან და საკერელებისა (ლ. 24,41. აქ "სიხარულისა მისგან" შეიძლება ასეც გაიგოთ): სიხარულით, მკვრამ ესეც არსებითად იმავეს ნიშნავს, რასაც სიხარულისაგან); რათა თქვენ მიერ განუწინეთ ჩუენ დღესა მას სამინელსა განკითხვისა ჩუენისა ტირილისაგან თუჯალთასა და ღრქქისაგან კბილთასა (სინ. 280,21); განარინა იგი დათქმისაგან (საკ. წ. 11, 30,22); რომელი-იგი ძრვისაგან დაცემულ იყო (ლიმ. 15,19); რომლისა მიერ განსუენებასა მოყულით ურვათაგან (ბალ. 17,11).

2: გან თანდებულანი საწყისი მიზეზის გარემოებას გამოხატავს: არა დაჰმარხეს იგი მრავლისა მისგან პასუხობისა (საკ. წ. 11, 141,33); ემსგავსის იგი ცხენთა მათ დამაშურლათა სრბისაგან (უქე. რედ. 169,15).

#### ბ) თვის თანდებულანი საწყისები.

თვის თანდებულანი საწყისი სხვადასხვა დანიშნულებას ასრულებს. აქ მივუთითებთ სამ მათგანზე, რომლებიც უფრო ხშირად გვხვდება.

1. თვის თანდებულანი საწყისი გამოხატავს მიზეზის გარემოებას, თვის თანდებულა, ჩვეულებრივ, სათანადო საწყისს ერთის. ზოგჯერ, თუ ასეთ საწყისს ნაწევარი ან სხვა რომელიმე მსაზღვრელი ახლავს, ამ უკანასკნელებზე გადადის: რომელი-იგი აღძრვისათვის რაისმე ქალაქსა შინა და კაცის-კლეისათვის შეყენებულ იყო სასაყრობილესა შინა (ლ. 23,19,25 C); განმრავლებითვის უსჯულოებისათვის განუქეს სიყვარული მრავალთა (მ. 24,12 C. DE: განმრავლებითა. ესეც მიზეზს აღნიშნავს); არცა შეემინა თქმისა მისთვის (სინ. 117,15); არღარა ინება ეიოფანე ყოფა ადგილსა მას განსმენისა მისთვის მოგზაურთა მათ მიერ (საკ. წ. 11, 98,9).

2. თვის თანდებულანი საწყისი გამოხატავს მიზნის გარემოებას, როგორც დღეს გვაქვს: ხალხის განთავისუფლებისათვის იბრძოდა, შხად არის თესვისათვის... ეს უქველესი დროებიდან განუხრელად მოდის დღემდე. ენახით საამისო ნიშნები:

ნუკის რას უთხრობ, არამედ მიუყვება და უწინააღმდეგოა შენი მღვდელსა და შეწირვ განწყობისა შენისათვის (მრ. 1,44; ლ. 5,14); რომელმან წარიწყმობოს თავი თვისი ჩემთვის ვინა სახარებისათვის / სახარებისა ამისთვის C/, მან აცხოვნოს იგი (მრ. 8,35 DE); მძებრებით მე არა თუ სასწაულისა ხილვისათვის, არამედ რამეთუ ჰქაამეთ პურისა მისგან და ვანსძელით (ი. 6,26 C); წამება იგი ღმრთისაი კეთილისათვის არა თუ თუალთა მიხედვისა შენდობისათვის ოდენ არს, არამედ სარგებელისათვის, რომელსა მიიწიო მისგან უკუანადსენელ (უძე. რედ. 38,11).

3. თვის შინაარსით არის დღევანდელი "შესახებ", რომელსაც ეხმარობთ ასეთ შემთხვევებში: საკითხის შესახებ, ამ საქმის შესახებ, წესის შესახებ და სხვ. აი, ორიოდ მაგალითი ძველი ქართულიდან: ხოლო აღდგომისათვის მკუდართადას არა აღმოვიკითხავსა თქუქული იგი ღმრთისა მიერ (მ. 22,31); იყო გამოძიება მოწაფეთაგან იოანესთა პურათა თანა განწყობისათვის (ი. 3,25); ხოლო იესუ თქუა სიკუდილისა მისისათვის, და მათ ეგონა, ვითარამდ მძინარებისათვის ძილისა თქუა (ი. 11,13).

ც) შოროს თანდებულისაი საწაიში უბრალო დამატებაა, ყოველ შემთხვევაში, ამ მაგალითში: ხოლო ესე ებრაელი შოროს ქენებისა და თქუებისა დავადგინე და ეპოვე ორკერძოვე განრინებული (ისტ. ქრ. II, 39,32).

დ) შოროს თანდებულისაი საწაიშითა მსგავსებას აღნიშნავს და გამოყენებულა ვითარების გარემოებად: მაშინ პილატე საჯა თხოვისაებრ მათისა (ლ. 23,24); იყენენ მუნ სარწყულნი ქვისანი, მდგომარენი ექუსნი, მსგავსად განწყობისა მისებრ პურათადას (ი. 2,6). აქ ებრ თანდებულს მეტი სიზუსტისათვის ეხმარება მსგავსად, რომელიც აგრეთვე ვითარების გამოსახატავად იხმარება. C-ს აქვს განსაწმენველად (მოძველის მიძლეობა ვითარებითში), რომელიც აგრეთვე ვითარების გარემოებას ვადმოსცემს.

ეს იყო თანდებულანნი ნათესაობითი. მაგრამ, რა თქმა უნდა, უფრო მეტია უთანდებულო ყოირამები. ამ შემთხვევაში ნათესაობითში დასმული საწყისი არის განსაზღვრება, მსაზღვრელი. ნათესაობითის მთავარი ფუნქცია სწორედ ესაა.

#### ა) საწაიში ცალკეობი ბრუნდებისა

განიზრახა საქმედ ვინებისა (საკ. წ. II, 65,31); და ყოველთა დასაჯეს იგი: ყვეს თანა-მდებ სიკუდილისა (მრ. 14,64 C); უწინარეს ყოჲისა ჩემისა სოფელისა ამას (ი. 17,5); ხოლო აღმართებით ამით და ცხებითა აღშენებისა დიდებასა აჩუენებდა (სინ. 195,25); რათა შევიერთნეთ ერთითა სულითა ლუაწლისა მის დათმენად და წამებისა აღსრულებად სახელისა შენისათვის (საკ. წ. II, 22,23); განხუმა ცათა მოსლვისა მისისა ხილვასა მოასწაეებს (გამოცხ. 11,12); მიიყვანნან მეფენი მათნი შემდგომად განმარტუვისა და გინებისა მათისა (ბალ. 41,29); დაფარის უბეთა შინა ანგაკრებისა თვისისათა უსუსური (უძე. რედ. 99,10); ანუ არა ტყუეილისა სიტყუაი იხილეთ (ეზექ. 13,7).

#### ბ) საწაიში ორგანი ბრუნდებისა

რათ არს სასწაული შენისა მის მოსლვისა (მ. 24,3); ესმა ვამა სახიობისა და პართი მემღერთაი (ლ. 15,25 C); ვამა პრამით ისმა გოდებისა და ტარილისა და ღალადებისა მრავალი (მ. 2,18 C); რაჲამს ვესმოდის თქუენ ბრძოლია და ვამა წყობისა, ნუ აღტყდებით (მრ. 13,7 C); მოვიდა რაისხვამა და ვამი მკუდართა შუჩისა (გამოცხ. 11,18); წესამა რღუნისა იყოს რისხვისა ჩემითა (ეზექ. 13,13 I); არს სულის-ღება იგი მწრაულ ზედაისხვდა მადლად კუეთით ვამა ვურეებისა (უძე.

რედ. 225,26); რადიომატა უზნობლით ჩვენ ცუდსა საუბნარსა ლაღობისა და გან-  
ცხრომისასა (ნოვ. 1, 11, 16, 8); ყოველთა ერთბამად თქვან სახელი თვისი და ადვილსა  
მას ლაწწლისასა მიდვიან (სინ. 117, 23); ვიხილე მეგეცი ერთი აღმომავალი ზღვთ.  
რომელსა აქუნდა ასინი რქანი და შეღნი თაყნი...და თაყსა ზელა მისთა სახელნი  
გმობისანი (გამოცხ. 13, 1); ელისაშეთისნი აღიესნეს დღენი შობისანი, და შვა ძმ (ლ.  
1, 57 C).

ბ) ზემოთ განხილული შემთხვევების გარდა, ძველ ქართულში კიდევ არის  
ერთი სპეციფიკური შემთხვევა, როცა ნათესაობითი დასმული საწყისი სხვა, ახა-  
ლი, ფუნქციით არის გამოყენებული, იგი იხმარება უცხო ენების ინფინიტივის გად-  
მოსაცემად.

როგორც ცნობილია, ამ მიზნით ძველ ქართულში მიმართავენ იმავე სა-  
წყისს, ოღონდ ვითარებით ბრუნვაში დასმულს<sup>100</sup>: იწყო მან სიტყუად (დაიწყო ლა-  
.არაკი), ვის ველ-წიფების მიტევებად ცოდვათა, რომელსა უნდეს საშტელად შენდა  
და მოღებად კუართი შენი, ნუ გეშინინ მიყვანებად მარიამისა, შესძინა მიჯლინებად  
სხუა მონა, მიბრძანე პირველად მისლვად და დაფლვად მამისა ჩემისა და მრავალი  
სხვა. ეს არის ძველი ქართულის მტკიცე ნორმა, როცა უცხო ენების ინფინიტივის  
გადმოტანა სურთ.

მაგრამ ძველ ქართულში იყო სხვა ცდაც, რომ ასეთი ინფინიტივი ნათე-  
საობითის ფორმით გადმოეღოთ. ამ შემთხვევაში ისევ საწყისს მიმართავენ:  
რომელსა უნდეს სესხების შენგან, ნუ გარე-მოიქცევ .ირსა შენსა მისგან (მ. 5, 42).  
უფრო ადრე საწყისი აქ ვითარებითი იყო მხოლოდ, როგორც ვეკაცეს კიდეც ზეოთ  
მოყვანილ ადვილას აღიშის ოთხთაუმი: რომელსა უნდეს ვასხებად შენგან. ეს მორე  
გზა. ეტყობა, ამქარად ზელოენური იყო და ენაში გზა ვერ გაიკაფა. მალე ჩაკვდა.  
გარდა ამ ზელოენურობისა, მას აქონდა კიდევ ერთი დიდი ნაკლი: იხმარებოდა  
მხოლოდ რამდენიმე (დღესდღეობით დადგენილ 12) ზმნასთან, სხვა ზმნებთან ის არ  
გვხვდება.

ინფინიტივის გადმოსაღებად აღებული საწყისი მხოლოდ და მხოლოდ  
მარტივი ის ნიშნით იხმარებოდა, ემუხტიკურ ა-ს არ ირთავდა. ასეთია ზემოთ  
მოყვანილი მაგალითი სესხების და სხვებიც; არა დაცვის უნდა, არა უნდა სუშის.  
რამეთუ ლაღობის ეგონა მას და სხვ. ბუნებრივია, ამდენი შეზღუდვით შებოჭილი  
გრამატიკული კატეგორია კონკურენტის ვერ გაუწევდა ენაში დიდი ხნით დანერგვლ  
და შეუზღუდეულად ხმარებულ ვითარებითი დასმულ საწყისს და სწორედ ამ უკა-  
ნასწებლმა გაიმარჯვა. მაგრამ ეს გამარჯვება საბოლოო არ ყოფილა: ახალ ქართულ-  
ში აღნიშნული მიზნით დღეს ვიყენებთ იმავე საწყისს, მხოლოდ სახელობითი და-  
სმულს: უნდა სესხება, წასვლა, მისვლა, დაწერა, ქამა და სხვ. მაგრამ ამასთან  
დაკავშირებით ქვემოთ გვეჩვენა საუბარი. აქ კი ენახოთ უფრო დამახასიათებელი  
ნიმუშები ნათესაობითისა:

ხოლო მას ყოველსა ზელა არა ჰრწმენა ფილოსოფოსსა მას ეკიჟანსი იგი  
სიტყუად, რამეთუ ლაღობის ეგონა (საკ. წ. II, 109, 15).

უფალო, რად არს, რამეთუ ჩვენდა გვეულების გამოცხადების და არა  
სოყელსა (ი. 14, 22 C); ეველებოდა სწავლის (მრავ. 256, 19; პარხ. 14ა).

<sup>100</sup> დ. ჩხუბანიშვილი. ინფინიტივის საკითხისათვის ძველ ქართულში. 1972. გვ. 35 და შემდ.

ოღეს ემსკას მანქანასა და შხაყუარისა ბოროტის და ენების გული-უთქუამნ კაცისა მიმართ (Sin. 35, 190vb).

გულსავედა რაისა მოგიოდა ღმერთ ყოფის (Sin. 97, 167vb).

მინებს უცხოების (Sin. 35, 288va, 6 ქვ.); უკუეთო გინებს ცხორების (ნოე. 1, 10, 10, 17); ოღეს უნებან გარდამოსლვის და აღშენების (Sin. 35, 10rb).

მნებაეს სლვის ყოველთა დღეთა ცხორებისა ჩემისათა და მისლვის, სადა ცაი დასრულდეს (ეც. 11, 50, 14); მნებაეს სწავლის მკეა (სვან. 246a); გნებაესა სწავლის, რაელენ მარხვაი სოფლისათვის მკველ არს (მარხ. 444b).

რაიმელსა ენებოს სესხების შენგან, ნუ მიიქვევი მისგან (სწავ. 298, 10).

მინდა დაღუპების (უღაბ. 176rb); არა მო-ვინმე-უკდა მამასა სისოის თებელსა და უნდა მონაზონ-ყოფის (ნოე. 1, 10, 3); გულისხმა-ყო იესუ, რამეთუ უნდა კოთხვის, და პრქუა მათ (ი. 16, 19. C: კოთხვად); უკუეთო გინდეს შენ მთავრობის, იღუაწე (უღაბ. 85ra); თუ ჩემისა სახელისა და უკორსებისაი გინდეს ცნობის (მ. 11, 27; ლ. 10, 22 C); უკუეთო ვისმე არა უნდეს ... საქის, ნუცადა ჭამნ (2 თესალ. 3, 10); უკუეთო გვნდეს შუების, ვიშუებდეთ (მრავ. 295, 11; სვან. 60b).

აწ ამისთვის რაი-მე ვთქუათ, რაითა გულისხმა-ყოთ, უკუეთო კიცხვის რაიმე ღორს ჯუარი? (მამ. ცხორ. 45, 8).

ნუ წუნობის გინს თქვენ იგი და ნუცა ხართ გულს-მოდგინე (სწავ. 271, 16); ცხადად შეძინების უნ (სწავ. 52, 29); განკიცხების უნდა მისგან განტევეება საძთაი მათ მონაზონთაი (ლიმ. 56, 27).

ხოლო მას ვერ ეძლო მიგების ნაგუემისა მისგან (Sin. 6, 196v, 12).

ხოლო მრავალთა წინაწარმეტყუელთა და მამათ-მთავართა სწავლიდა ხილვის, რომელსა-ესე თქვენ ხედავთ (ბოლნ. 58, 24); ნუკუე აწ გუწადოდამცა მარხვისა მის (უღაბ. 52va). ემეატკური ა საწყისს იმიტომ აქეს, რომ განსაზღვრული ნაწევარი ახლავს: ეს ნაწევარი რაი არა, უქველად იქნებოდა მარხვის, როგორც გვაქსს კლდეკ ამავე ზმნასთან აქვე, ზემოთ: სწავლიდა ხილვის.

ხოლო რომელთა-იგი ესმა, პრქუეს: და ვის-მე კელ-ეწიფების ცხორების? (ლ. 18, 26 C). DE-ში კვლავ ჩვეულებრივი წარმოება, საწყისი ვითარებითში დგას: ცხორებად.

ასეთია ის მაგალითები, რომლებიც ჩვენს ხელთ იყო. ახლა შეიძლება შევა-ჯამოთ ზოგიერთი შედეგი.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ მოვლენა, რომელზეც საუბარია აქ, იშვიათია: ერთგან რომ ირენს თავს, მეორე, სრულიად ისეთსავე შემთხვევაში, ის არ გვხვდება, იქ მას ცულის ძველი ქართულისათვის კარგად ცნობილი ფორმა: იგივე საწყისი ვითარებითში. მაგალითად: არა უნდა სუქის (მ. 27, 34 DE) — სუქად C; რამეთუ უნდა კოთხვის (ი. 16, 19 DE) — კოთხვად C; ვისაცა უნდეს ქესა გამოცხადების (ლ. 10, 22 C) — გამოცხადებად DE; სწავლიდა ხილვის (ბოლნ. 58, 24) — სწავლიდა ხილვად (ბოლნ. 78, 1) და სხვ.

უფრო იშვიათად ანაირ ნათესაობითს სახელობითი ენაცვლება: რომელსა უნდეს დიდ ყოფის (სწავ. 266, 24 A) — დიდ ყოფაი (იქვე, B C); რაიმელსა უნდეს თქვენ შორის დიდ ყოფაი (მრ. 10, 43 DE) და სხვ.

ხანდახან ერთი ზმნასთან წარმოადგენილი ირაი საწყისიდან ერთი ნათესაობითშია, მეორე — ვითარებითში: უნდა ხილვის და სენად (ლ. 10, 24 C).

ეს საპირისპირო ადგილები აღებულია სხვადასხვა ხელნაწერებიდან,



რომლებშიც ერთი და იგივე ადვილია გადმოცემული. მაგრამ მსვაესი შემთხვევები ერთსა და იმავე ხელნაწერშიც გვხვდება. მაგალითად: არა უნდა განყენების (იხილ. 25,23). მაგრამ: არა უნდა განყენება (იქვე, 23,45).

აღსანიშნავია, რომ ხშნები, რომლებთანაც ასეთი კონსტრუქცია გვხვდება, მეტად მცირერიცხოვანია. ესენია (ეჭვგეგნებთ ყველა ფორმას, რომლებიც კი შეგვეხვდა ნათესაობითი დასმულ საწყისთან):

1. გონ(ება): ვგონა, ვგონოს.
2. გულ(ება): გეგულები, გეგულებოდა.
3. გული-თქუმა: გული-უთქუამ, გული-მითქუმიდა, გული-უთქუმიდა.  
გული-უთქუმიდეს, გულმან-უთქუა.
4. გულსა მოვლომა: გულსაველა ... მოვიდა.
5. ნება: მინებს, გინებს, გინებსა, გინებ, უნებ, გვენებ.
6. ნება-აე: მნებაეს, გნებაეს, გნებაესა; ენ.: ენება, ენების, ენებოს.
7. ნლომა: მინდა, უნდა, გინდეს, უნდეს, გვენდეს.
8. ღირ(ება): ღირს, ღირსა.
9. ჩენა: გირს, უჩნ, უჩნდა.
10. ძლება: ეძლო.
11. წადილი: სწადოდა, გუნადოდაცა.
12. ველ-წიფება: ველ-ეწიფების.

ადვილი შესამჩნევია, რომ აქ ჩამოთვლილი ხშნები, არსებითად რომ ეთქვათ, სურვილის გამოხატავს. მართლაც, ერთი ხელნაწერი რომ ერთ ამთავანს ხმარობს, მეორეში იგი სხვა ხშნითაა შეცვლილი: უნდა ხილვის (ლ. 10,24 C) — სწადოდა ხილვის (ბოლნ. 58,24). ამათვან ცოტა დაცილებულია მნიშვნელობით გულ(ება) და ჩენა, მაგრამ მათი დაახლოება ძირითადად აკუთვან ძნელი არაა (ვეგულებოდა — აპირებდა, სურდა, ფიქრობდა და სხვ.). ამით ვგონა-ც ადვილად მივედლება (ფიქრობდა).

ღარჩენილი საბი ხშნის ამითვან მოყვანა გაძნელება, მაგრამ ორი მათვანი ერთმანეთთან კი ახლოს დვას: უძლავს და ველ-ეწიფების (ეძლო და ველ-ეწიფა) ცნობილი სინონიმებია და ხშირადაც იხმარება ერთმანეთის ნაცვლად. სურვილი და შეძლება (შესაძლებლობა) — აი, ამ მათვარ მნიშვნელობებს შეიცავს ამ საინტერესო ხშნების ორივე აკუთვანი. აქედანაც კარვად ჩანს, რომ განსახილველი ნათესაობითის ფორმები საწყისისა მეტად იშვიათად, განსახილველ შემთხვევებში იხმარება. ხშნები, რომლებთანაც ამეგვარი ნათესაობითი გვხვდება, მეტად მცირერიცხოვანია. თუ ამას იმ გარემობასაც დაეუკატებთ, რომ ზოგიერთ ამ ხშნასთან მხოლოდ თანამო-ოროლა მაგალითი გვაქვს (ვეგონა, გულსა მოვიდა, უჩნდა, ეძლო, სწადოდა, ველ-ეწიფების...), შეიძლება დავასკვნათ, რომ ამ ფორმების გამოყენება ხელოვნურ ხასიათს ატარებს.

აღნიშნული ფორმების შეზღუდულად ხმარებას კიდევ ერთი გარემოება აიტყუებს. ესაა ის, რომ ნათესაობითი წარმოდგენილი სიტყვა თითქმის ყოველთვის საწყისია.

საწყისების მოთხოვნის აუცილებლობამ მოიყვანა ენა იქამდე, რომ ისეთი ხელოვნური ფორმები შეექმნა (საწყისებად). როგორცაა: ეისკოპოსობის, მსაყრობის, წუნობის და სხვ.

ბოლოს, ინტერესმოკლებული არ იქნება აღვნიშნოთ, რომ ნაჩვენები

კონსტრუქცია უმთავრესად (თუ არ ვიტყვით, იითქმის ყოველთვის) ნათარქმ ტექსტებში გვხვდება, ორიგინალური ლიტერატურის ენაში კანტიკუნტად თუ გამოჩნდება. ყველა ზემოთ თქმულიდან ირკვევა, რომ ამ კონსტრუქციის სახით საქმე გვაქვს ენაში შექმნილ ხელაოვნურ ფორმასთან, რომლის გავრცელების არეუ მეტად ვიწრო და შეზღუდულია. კარვად არის ცნობილი, რომ ქართულ ენას ინფინიტივი არ მოეპოვება, ისიც ცნობილია, რომ ძველ ქართულში იყო ერთი ცდა, ეს ხარვეზი ვითარებითში დასაული საწყისით შეეცხო: იწყო მან სიტყვად, არცა ვის ველ-ენითების მოტაკებად და სხე. მაგრამ ეს ცდა საბოლოოდ უშედეგოდ დამთავრდა. უცხო ენების ინფინიტივისათვის შესაფერ საშუალებათა გამოანახვის მეორე ცდას წარმოადგენს სწორედ ჩვენი შემთხვევა (მას არა უნდა ნუგეშინის-ცემის). მაგრამ იგი უფრო უღლეური გამოდგა, ენამ მას ზურვი შეაქცია და უკუაგდო, როგორც შეუფერებელი ჩვენი ენის ბუნებისა და მისი შინაგანი კანონებისათვის. ორივე ამ ცდის ჩაშლის შემდეგ, როგორც ვაკვრით თავშივე გვაქვს აღნიშნული, ენაში თანდათან გაიკაფა გზა სახელობითში დასაულმა საწყისმა (უკეთუ გინდეს სრულ-ყოფად), რომელსაც ენა ძველადაც მიმართავდა. ეს ფორმა უფრო შესაფერი აღმოჩნდა უცხო ენათა ინფინიტივის გადმოსაცემადაც. სახელობითში დასაული საწყისი მტკიცედ დამკვიდრდა ახალ ქართულში და მას სრული დატვირთვით იყენებს ენა მრავალნაირი საჭიროებისათვის<sup>41</sup>.

## 6. გოგამდებითი ბრუნვა

საწყისი მოქმედებითში ხშირად გვხვდება სხვადასხვა ფუნქციით. იგი აქ ყველაზე მეტად გამოიყენებულა ვითარების გარემოების აღსანიშნავად (გალობით, ტირილით, მარხვით, ლოცვით...), ასევე გავრცელებულია ე.წ. პარონიმაზიულ გამოქმედებში (თრეუთი მოგიორიო, სენით გესმოდის, სიკედილით მოკუდინ...), უფრო ნაკლებად აღნიშნავს დროის გარემოებას (აღლებით, შობითგან...) და სხე. ყველა ამ შემთხვევაში საწყისი მოქმედებითი ბრუნვის მარტივი თთ ნიშნით არის წარმოდგენილი და სწორედ ამით უპირისპირდება რთული თთ-ა ბრუნვის ნიშნით მოცემულ საწყისებს (გუგამითა შეკობილთა, შეწეწითა, გარე-მოქცევითა...), რომელსაც სხვადასხვა ფუნქცია აკისრიათ. ამრიგად, ემფატიკური ა-ს დართვა-დაურთველობას საწყისის ფუნქციის დადგენისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

### ა) საწყისი პიოსარების გარემოებად

აღნიშნული ფუნქციის შესრულებისას საწყისი შეიძლება წარმოდგენილი იყოს ზნისწინითაც და უზნისწინოდაც (კითხვით, გამოკითხვით, მოკითხვით, კრძალვით, ვანკრძალვით, შეკრძალვით). ვუქვენებთ სათანადო მაგალითებს და წამოჭრილ კითხვებს გზადაც ვუპასუხებთ: გალობით გამოვიდეს მათასა მას ზეთის-ხილთასა (მ. 26,30 C); კითხვა ერთმან მან მათგანმან შჯულის-მღებელმან გამოცდით (მ. 22,35 C); კითხვიდეს მას ზაკუვით და პრქუეს (მრ. 12,14); ლოცვით და მარხვით აღვასრულეთ დღამ იგი (მარხ. 86ნ); სიცილით იქმნ უგუნური ბოროტსა

<sup>41</sup> უფრო ერკლად იხ. ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, 1957, გვ. 174-183.

(იგაე. 10,22); რომელ თქვა მოსწავებთ (ი. 18,32 C); მეცხეულად სისარულით მიიღის იგი (მ. 13,20); ყოველი განგება მათი არს...სიყვარულით (საქ. წ. 11, 87,27); მიიღო ბრძანება წიქსებით ანგლოზისაგან წარსილად გააღივად (ი. 2,22); ჯერ-არს თქვენდა ღუბლით განსვენება მათა მსახურებისაგან (საქ. წ. 11, 24,18). მაგრამ: წარმოადგინებს ამას კუალად წიგნი ღუბლითა და აღბაძვებასა ჟიქვებს (სინ. 116,4). ეს უკვე ამ კონსტრუქციის რღვევის პრაქტისა. თვით ერთი და იგივე ხელნაწერი (თანაც პირველი თარიღიანი, 864 წლისა!) წერს: ღუბლით (32,38) და ღუბლითა (116,4). და ეს ხდება სრულიად ერთნაირ პირობებში — ვითარების გარე-მოების აღსანიშნავად! ძველი, ით ნიშნაინი წარმოება ნელ-ნელა მიდოდა და ქრებოდა, ახალი, ემფატიკური ხმოვანი ფორმები ასევე ნელ-ნელა შემოდიოდა. პირველის ადგილს იჭერდა, ხდებოდა ყველა ენაში ასე გაერცლებული უნიფიკაცია.

და იყო მენ სულ-თქუმით და ურეთ (ეზგ. 5,15 ო). მაგრამ: ეძიებდა მას სამ დღე ურეთა გულისათა (სინ. 98,13). რატომ არის ერთ შემთხვევაში ურეთ, ხოლო მეორეში — ურეთა? აქაც შემთხვევითი განხილული ღუბლით და ღუბლითა-ს შესახებ ნათქვამი უნდა გაიძიოროთ? აქაც ძველი წესის რღვევასთან გვაქვს საქმე? არა, აქ სხვა წესი მოქმედებს, სახელდობრ: აქ განსახილველ სიტყვას (საწყისს) ახლავს განსახლერება — ურეთა გულისათა, ხოლო როცა ბრუნებად სიტყვას (ამ შემთხვევაში საწყისს) ახლავს რაიმე სახის განსახლერება, მათ შორის ნაწილად, იგი უქვეყნად ემფატიკური ა-თი უნდა იყოს გაერცობილი. ამის გარეშე იგი არ შეიძლება იყოს არც ერთ საერცობიან ბრუნებაში (მიც., ნათ., მიქს.). აი, ამ ტიპის კიდევ რამდენიმე მაგალითი: მაშინდა დიდითა სისარულითა და წაღილითა წარაელინა დედა და თვის აღმოსავლად ქრთო გამოძიებდა ჯუარისა ქრისტოსისა და აღმწინებელ ადგილთა მათ (სინ. 238,16); რათა მტერთა მათ წყნისა იხილონ ესე სასწაული და დიდითა შინათა და ძვილითა იცლტოდან წიქსეგან (სინ. 53,28).

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ენაში ნამდვილი დარღვევა არ გვაქონდეს. რომ ემფატიკური ა აღნიშნული მიხეზების გარეშე (როცა სათანადო საწყისს რაიმე სახის განსახლერება არ ერთვის) არ იხმარებოდა. არა, ასეთი დარღვევებიც გვაქვს: საწყისს არ ახლავს მსახლერელი, ნაწილად, ემფატიკური ა კი მაინც ერთვის. ეს გვიანდელი მოვლენაა, მერმე და მერმე უფრო გაერცელდა და ამ ირგვარი ფორმების გათანაბრება გამოიწვია.

ვითარების გარემოებად შეიძლება მოგვევლინოს რთული ზმნების საწყისებიც. ესენი სრულიად უცვლელად იმეორებენ მარტივი საწყისების ყველა დამახასიათებელ თვისებას. რამდენიმე ამგვარ მაგალითსაც დავიმოწმებთ:

დაეწესო მენ ზედა რისხვათ და შექვენება იემი გულის-წყრომით (მალ. 133,17); რომელიმე იმარსვენ დღე-გამოდებით და რომელიმე იმარსვენ ყოველთა დღეთა (პრომ. 14,5); ზედა-გარდასლვით ზედა-გარდახლდიან (1 მეფ. 5,5 ლავ.); მიერთვანცა გულისხმა-ყო ზედა-მიქვენით (სინ. 105,33); დათვ მას მარჩილ ექმნა ... თავ-დადრეკით და მყუდროებით წარვიდა (ლიტ. ქრ. 159,2); ნუ ქმჯით თუალთ-ლებით (თუალთ-ხუმით C), არამედ მართალი საშჯელი საჯეთ (ი. 7,24); თქვენსხედავთ ერთმანერთსა და თუალ-ყოფით მბრძანებთ (უქ. რედ. 110,2); მარადის მუელ-დადგმით დგან და ილოცენ ღმრთისა მიმართ მოტყუებისათვის ყოველისა ერისა (სინ. 55,13); მოგება წმიდასა იოვანეს და დაეცა პირ-დაქვეით ფერეთა თანა და გოდებდა (სწავ. 293,12); და იყო მენ სულ-თქუმით და ურეთ წარმართთა შორის (ეზგ. 5,15 ო); კვედრებით ქვე-დავრდომით სახიერებასა შესა ყოველად კეთილსა

(ხანძთ. 143, 14); რომელსა მოეუთა თაყუნის-სცეს ვარსკულავთა წინა-ძლოძითა (სან. 203, 35)<sup>42</sup>.

გვაქვს შებრუნებული წყობის რთული ზმნები, რომლებშიც მოქმედებითში დასმული საწყისი რთული ზმნის პირველი შემადგენელი ნაწილია. მაგალითად: შეიყუარა სარწმუნოებაჲ, ქდაგებული მოციქულთაჲ, ღუაწლით-შემოსილმან კაბო (სას. 3. 183, 53); რომელი-ესე ღუაწლით-შემოსილთა მოწამეთა თანა დაუთხვეველად სისხლთა გვრგვინოსან ქაიოეს კაცსა (ზარხმ. 175, 26); მხარულუებით რაჲ მოითმინნა და ძლეუით-შემოსილი იდიდა ცათა შინა და ქუეყანასა ზედა (ხანძთ. 109, 14).

## ბ) საწაჲსი პარონომაზიულ ბაჲოთაჲბაჲო

პარონომაზიულ გამოთქმებში, ჩვეულებრივ, გვაქვს ზმნის წყვილი ფორმა, რომელთაგან ერთი საწყისია, მეორე — პირიანი ზმნა. მაგალითად: ხედვით .იხედვიდენ, მისლვით მივიდეს, სმენით გესმოდის, თრევიით მოვითრიო და სხვ.<sup>43</sup> ეს ფორმები ზოგჯერ ერთგვარ რიტორიკულ ხერხს წარმოადგენს, რომელიც განსაკუთრებული ენერგიული ტონითა და კატეგორიული კოლოთი ხასიათდება. სხვა შემთხვევაში (უფრო ხშირად) ის გამოხატავს მოქმედების აუცილებლობას, კატეგორიულობას, ინტენსიოზას და სხვ.

ჩვენ პირველ რიგში გვანტერესებს პარონომაზიის ერთი მხარე, სახელდობრ ის, რომ მისი ერთი წევრი (ჩვეულებრივ პირველი) საწყისია და ყოველთვის დგას მოქმედებით ბრუნვაში, რომელსაც ბრუნვის ნიშნად აქვს მარტივი ით.

პარონომაზიული წყვილის ორივე ცალი, ჩვეულებრივ, ერთი და იმავე ძირის ფორმებია. მაგალითად: წარწყმედით წარწყმდენ (ივდ. 6, 4); განკაფით განიკაფენეს (ზარ. 28, 1); სიტყვით იტყოდე (ეზრა სუთ. 4, 38); ჭამით არა იჭამოს (ლევ. 7, 14); არა მოკლათ იგი მოკლვით (დაბ. 37, 21); განმართლებით არავე განამართლდე (იერ. 49, 12); დაწოლით დაწვეს საწოლსა ზედა (გამ. 21, 18) და სხვ. ესაა მეტად გავრცელებული და ჩვეულებრივი სახე აღნიშნული გამოთქმისა.

ამის გვერდით არის შემთხვევები, როდესაც პარონომაზიული წყვილის თითოეული ცალი სხვადასხვა ძირის ფორმაა, რომელთაც ერთი შინაარსი ან დაახლოებით ერთი შინაარსი აქვთ. ესაა ე.წ. სინონიმური წყვილები, რომლებიც ერთიმეორის გვერდით სხვა შემთხვევაშიც ხშირად იხმარება. აი, რამდენიმე ამგვარი ნიმუში: რამეთუ განთხევით განმიშორენ ჩვენ (გოდ. 5, 22); მოწყვლოს... მოსრვითა დიდითა (2 მეფ. 17, 9); განგსწავლო შენ განკითხვით და უბრალოებით უბრალო გყო შენ (იერ. 46, 28); გულის- სიტყვით გულო მითქუმიდა პას-ქასა ამას ჭამად თქვენ თანა ვიდრე ვნებადმდე ჩემდა (ლ. 22, 15); აღმოცენებით აღმოჰყედ ძირთაგან იესესთა სიწმიდით (სას. 3. 44, 25); წარვიდა და უთქუმიდა მრავალსა შინებით (ასურ. 204, 7).

აქ მოყვანილი მაგალითების წყვილი ფორმები — განთხევა (მრავალზე ითქმის) და განშორება, მოწყვლდა და მოსრვა, აღმოცენება და აღმოვლომა, გულის-თქუმა და გულის-სიტყუა, თქუმა და შინება — კარგად ცნობილი სინონიმებია და ხშირადაც

<sup>42</sup> უფრო ვრცლად იხ. ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება, გვ. 199-203.

<sup>43</sup> პარონომაზიის შესახებ იხ. კ. წერეთელი, პარონომაზია ქართულში; ივე, 6. 1954, გვ. 461-499

იხმარება ძველ ქართულში ერთმანეთის გვერდით არა მარტო პარონომასიულ წყვილებად, არამედ სხვა შემთხვევებშიც და სხვადასხვანაირი ფორმებით.

ზოგჯერ პარონომასიული გამოთქმების წყვილები წარმომობით ერთ ძარზეა აღმოცენებული, მაგრამ სხვადასხვა ფუნქციის სახით არის წარმოდგენილი. მაგალითად: ესე ცხორებით არა ცხონდეს (ეზეკ. 18,13); ჭაბუკნი თქვენნი ხილვით (ხელედიანი (იოელ 2,28); აღდგომით აღადგინო შენ მიერ დაბადებული (3 ეზრა, 5,56); უკეთეს დადგრომთა დასჯილეს გული შენი (ეზეკ. 22,14); გიოსხრა, თუ არა სიკუდილით მომკლდნო შე (იერ. 38,15); ზელა-გარდასლვით ზელა-გარდასლდანი (1 მეფ. 5,5 ლაგ.).

როგორც აღვნიშნეთ, პარონომასიის მეორე წევრი, ჩვეულებრივ, ზმნის პირიანი ფორმაა, მაგრამ ორიოდე შემთხვევაში, როგორც იშვიათი გამოხატვის, აქაც საწყისია ნახმარი, რომელიც სახელობითში დგას: უბრძანა შეკრევა მათი და თრევით მითრევად საყრობილედ (პარხ. 425); ერქვა /ასეა/ რად მე უმჯულოსა სიკუდილით მოკლდნო (ეზეკ. 3,18 ო. 5 რედაქციაში ძველი, სწორი, პირიანი ფორმა: რაემს ერქვა მე უმჯულოსა მას; სიკუდილით მოკლედ).

პარონომასიული წყვილის ორივე წევრი ჩვეულებრივ ერთნაირად ირთავს ზმნისწინს ან ერთნაირად უზმნისწინოდაა წარმოდგენილი. მაგრამ ზოგჯერ ეს წესი ირღვევა. ეს ხდება ტექსტის ავტორის (მთარგმნელის თუ გადამწერის) სურვილით, რომ ზმნის პირიანი ფორმაში მეტი კონკრეტულობა შეიტანოს, რის გამოც მას ურთავს ამა თუ იმ კონკრეტული შემთხვევისათვის საჭირო ზმნისწინს, ხოლო მოქმედებითში დაბოლოებული საწყისი რჩება უზმნისწინოდ. მაგალითად: უთმინოსა ბაგითა ბრკუნით შეუბრკუნეს (ივანე, 10,8); ნადირობით მომნადირეს მე, ვითარცა სირი, მტერთა ჩემთა ცუდად (გოდ. 3,52. ნ.კ. აღწ. 96,3; სას. პ. 274,25; 312,120. ამ ძველებში არის ნადირებით); რჩეულნი ფქვით დაიფქვნეს (იქვე, 5,13); თხრობით მოუთხრეთ მეფესა ყოველნი სიტყუანი ესე (იერ. 36,16); მ უფალო, ანუ ტყველით შემე-იტყუე ვრი ესე და იერუსალმში (იქვე, 4,10. შდრ. ტყველით ტყუადის: იქვე, 9,4); მოვიბარეს შენ რეცა თუ პარვით მისთა მაგათ შენთა (2 მეფ. 19,41); უკეთეს შევარდეს იგი ერთსა ქალაქთაგანსა, წილით განიწილონ იგი (იქვე, 17,13); სწავლით განმსწავლა მე უფალმან და სიკუდილსა არა მიმცა (კომ. 1, 156,17); უკეთესუცა ვინმე წონით აღწონან რისხვანი ჩემნი (იობ. 6,2); ყოველი მთა ვნით მოივნას (ეს. 7,25); წყალობით შევიწყალო შენ ვმისებერ დაღადებისა შენისა (ეს. 30,19); ვრწნით განივრწნე შენ უთმინოებითა (გამ. 18,18); სიხარულსა ყოველისა ქუეყანისასა მოგაოჯრო შენ ოჯრებითა (ეზეკ. 35,16); ვსენებით მოვივსენენ ესენი (გოდ. 3,20); არა დადგის ფერვი ზღურბლთა ზელა, არამედ ბრეკებით გარდაბიჯიან ვიდრე მოაქაბადმდე (1 მეფ. 5,5).

ზმნისწინების დართვა პირიანი ფორმებისათვის ბუნებრივიც არის: სწორედ ესენია, რომ ამა თუ იმ მოქმედების კონკრეტულ მიმართულებას თუ ხასიათის გამოხატავენ. საწყისი ასეთ შემთხვევაში უძღურია, რიცხვში ფუძემონაცვლე ზნა ღება/ ხუმს ორჯერ შეგვხვდა პარონომასიულ გამოთქმაში. აღსანიშნავია, რომ ორივეჯერ საწყისი მხოლოდითის ფუნქციით არის მოცემული, ხოლო პირიანი ფორმები — მრავლობითის ფუნქციით: ალებით აღიხუნან ივინი, რამეთუ ვერ ელენედ (იერ.10,5); განღლებით განეღუნენ ბუნენი ქუეყანისა მის შენისანი (ნაუ 3,13). მოსალოდნელი იყო: აღხუნით აღიხუნან და განხუნით განეხუნენ.

როგორია პარონომასიული გამოთქმის რიგი? ჩვეულებრივი რიგი ასეთია:

პირველად არის საწყისი, მას მოსდევს ზნის პირიანი ფორმა: მოღებთ მოვილო მშველი ჩემი (საუბ. 3,9). ესა წესი, ძირითადი სორამა. მაგრამ ზოგჯერ გვხვდება შებრუნებული რიგიც, რაიცა პირველად ზნის პირიანი ფორმაა წარმოდგენილი და მას მოაყვება საწყისი: უწყა უწყებთი (იერ. 40,14).

ხომ არ შეიტყავს ვანსხეავებული რიგი ვანსხეავებულ შინაარსს? როგორც მაგალითებზე დაკვირვება გვიჩვენებს, სხვადასხვა წყობისას სხვადასხვა შინაარსი არ უნდა იყოს გადმოცემული, ე.ი. რიგი თავისუფალია, მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივ: შემთხვევათა აბსოლუტურ უმრავლესობაში პირველ ადგილზე საწყისია, მეორეზე — ზნის პირიანი ფორმა. ამის მიუხედავად, შეგვეძლო გვეთქვა, პირიანი ფორმა თავში უმეტეს შემთხვევაში მაშინ დგას, როცა ბრძანებითი ან კავშირებითი კოლოა გადმოსაცემი. ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ სხვა შემთხვევებში წინ არ იდგას პირიანი ფორმა ან კიდევ ბრძანებითი და კავშირებითი კოლოს გადმოცემისას აუცილებლად წინ იყოს იგი. აქ ლაპარაკია მხოლოდ უფრო გავრცელებულ შემთხვევებზე.

ზოგჯერ შეიძლება ისიც იყოს მნიშვნელოვანი, რომ ავტორი (მთარგმნელი, გადამწერი) ორი ზედიზედ მიყოლებული პარონომასიზული წყვილის გადმოცემისას სტილის ერთფეროვნების თავიდან ასაცილებლად ერთი შემთხვევაში ცვლის რიგს, ხოლო მეორეში ჩვეულებრივს რიგს ტოვებს. მაგალითად: განესწყალო შენ განკითხვით (შებრ. წყობა) და უბრალოებით არავე უბრალო გყო შენ (ჩვეულ. წყობა): იერ. 46,28; მო-ნუ-იქცისა მოქცევით (შებრ. წყობა) მერმე მისავე და შევინებით შეოგინოს დედაკაცი იგი (ჩვეულ. წყობა): იქვე, 3,1.

დავასახელოთ შებრუნებული წყობის სხვა მაგალითებიც, რომლებშიც მხოლოდ თითო წყვილი ნიშნდება: შეჭამდეთ ჭამით და განსძღეთ (იოველ 2,26); უწყებულ იყავ უწყებთი, რამეთუ მოკლედ (3 მეფ. 3,4); არს თუ რამე ჩემ თანა უკეთობდა, მომაკლდინე მე სიყვლით (2 მეფ. 14,32); არა თავს-იღვა დედოფლისაი მის, რადითამცა განარყუნო იქნა განარყუნით (იოლ. 2,179); დასფლეს იგი ქებასა მას მჩობლსა, რომელ-იგი მოიგო აბრაამა მოგებით (დაბ. 50,13).

პარონომასიზული წყვილები ერთ ცნებას შეიტყავს, შინაარსით ერთი ერთეულია. ამიტომ ბუნებრივია, თუ ისინი ერთად გვხვდება, ერთმანეთის მიყოლებით, სულ ერთია, რომელი უსწრებს რომელს. მაგრამ ზოგჯერ გვხვდება გათიშული წყვილები, როცა მათ შორის სიტყვა ან სიტყვებია მოთავსებული. ყველაზე ხშირად ასეთ შემთხვევაში გამთიშველად ვხვდებით ნაწილაკებს, კავშირებს ან ნაცვალსახელებს, უფრო ნაკლებად სხვა სიტყვებსაც. მაგალითად: დღისი აჯოცით აღიზისაებრ აჯოცოს შენ მას დღესა შინა (მიქ. 7,11 ლაგ.); ფლვით ვირებრ დაიფლას (იერ. 22,19); მოკლვით ნუ მოკლას ეზკია მეფემან და ყოველმან იოუდამან (იერ. 26,19); ესნით ვერ იესნეს იგინი ჟამთა მათ ჳირისა მათისათა (იერ. 11,12); ყოფით თუ ჰყოთ სამართალი (იერ. 9,4).

როგორც აღინიშნა, პარონომასიზულ გამოთქმაში ერთ-ერთი (ჩვეულებრივ — პირველი) წევრი, საწყისი, მოქმედებითში დგას ყოველთვის და ეს მოქმედებითი ასევე ყოველთვის მარტივი ით ნიშნით არის წარმოდგენილი. აღნიშნული წესი იმდენად მკვიდრია, რომ ასეულ მაგალითში მხოლოდ ხუთიოდე შემთხვევა შეგვხვდა, როცა მოქმედებითს ემუხატოური ა-ც ახლავს. მაგრამ ხუთივე შემთხვევა მარტივად იხსნება: ყველა მათგანში საწყისს ერთეის განსახლებრება ("დოდი" ხუთიდან რაიხ შემთხვევაში), ხოლო ეს განსახლებრება სხვანაირად არ შეიძლება დაუკავშირდეს

საზღერულს, თუ არა ამ ემფატიკური ა-ს მეშეობით. აი, ეს მაგალითებიც: ეტყებდეს მას ტყებთა ღიღითა (დაბ. 50,10); ტირაღეს ტარილთა ღიღითა (მსაჯ. 21,2); მოწყვლას ერისა მაგისვან ... მოსრეთა ღიღითა ( 2 მეფე. 17,9); დაჯერეს დაცემთა ღიღითა წინაშე მტერთა მათთა (ივდ. 8,19); გაკურთხოს შენ კურთხეთთა ზეტისაითა ზეგარდამო (დაბ. 49,25). ასე რომ, ეს "გამონაკლისიც" გარკვეულ წესს ემორჩილება და ამის მიხედვით საერთო დებულების დარღვევაზე ლასარაკი არ შეესაძლება.

ბოლოს შეიძლება დავსვათ კითხვა: რამდენად ქართულაა ეს მოვლენა? რამდენად დამახასიათებელია იგი ქართული ენისათვის? ძველის სხვა ენიდან თარგმნისას ზომ არ არის ის გადმოყოლილი? სხვა ენიდან მექანიკურად გადმოტანაზე. რასაკვირველია, არ შეიძლება აქ სერიოზულად ლასარაკი: შეუძლებელია ესა თუ ის ენობრივი მოვლენა ასე ფართოდ დამკვიდრდეს ენაში, თუ მას ამ ენაში არა აქვს გარკვეული შრობილური საფუძველი. არაფერს ამბობს ის ვარებობა, რომ ზოგ ნათარგმნ ძველში (მაგალითად ბიბლიაში), ის უფრო ხშირად გეხვდება, ზოგში — ნაკლებად. ბიბლიის მიხედვით ამ საკითხზე სპეციალურად მუშაობდა კ.წერეთელი. მას ასეთი საგულისხმო დასკვნა აქვს გამოტანილი: "ქართულ პარონომასის ზოგჯერ ებრაულ ტექსტში შეესატყვისება ზმნის მხოლოდ ერთი ფორმა. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ შემთხვევაში სხვა ბიბლიები (სომხური, სირიული, ბერძნული) ჩვეულებრივ ებრაულ ტექსტს მისდევენ"<sup>341</sup>. მაშასადამე, ზოგჯერ არც ებრაულ, არც სომხურ, არც სირიულ, არც ბერძნულ ტექსტში არაა პარონომასია, ქართულში კი არის! ეს იმას ნიშნავს, რომ ქართული პარონომასია ყოველთვის არაა დამოკიდებული სხვა ენაზე, ეს იმის თვისებატაა. ეს მოვლენა რომ ქართულისთვისაც იყო დამახასიათებელი, იქიდანაც ჩანს, რომ იგი გეხვდება ორიგინალურ ძეგლებშიც. გაკიხისენოთ, მაგალითად: "შემსანიკის მარტილობის" თრეუთ მოგიორიო (235,27). თრეუთ მოითრია (137,41), "მოქცევა ქართლოსას" სმენით გუესმონა (159,16 !); ანდა: არა ნებით ვინებო სიკუდილი (იოანე ბოლნ. 57,16) და სხვ.<sup>342</sup>

### с) საწყისი დროის პარონომასია

საწყისი დროის ვარებობადაც გამოიყენება. აქაც იგულისხმება, რომ ბრუნვის ნიშნად მხოლოდ ვაუერცობელი ით ვეაქვს და არა სავერცობანი ით-ა. ჩვეულებრივია გან თანდებულისანი ფორმები, თუმცა იშვიათად უთანდებულოდაც გეხვდება:

მოუწოდეთ მოწაფეს ჩემსა, რამეთუ აღებით არაარაის გემოი უხილაეს (კომ. I, 166,13 = აღებითდან, აღებითდან მოყოლებული, აღების შემდეგ).

და იყო იგი უტყვ და ყრუი შობითვან მისით (კომ. I, 310,11); ხოლო აღესებითვან ვიდრე ახალ-კვრიაკებლე ჭირისა კანონი არა თქვან (ხანძთ. 113,22 = აღდგომიდან); წელსა ოც და მუოთხესა დაყულებითვან მისით (კომ. I, 23,9).

<sup>341</sup> კ.წერეთელი. პარონომასია ძველ ქართულში: საქ. მეცნ. აკადემ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის IV სესია. 1947, მოხსენებათა თეზისები, გვ. 14.

<sup>342</sup> უფრო ერცლად იხ. ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება, გვ. 334-344.

დ) საწილის უბრალო დამატებად

ასეთ შემთხვევაში საწილის სრული ბრუნვის ნიშნით (ით-ა) არის წარმო-  
დგენილი და სწორედ ამით განსხვავდება იგი ზემოთ განხილული შემთხვევებისგან,  
რომლებშიც საწილის ყველგან მარტივი ით ნიშნით იყო მოცემული.

საწილისთი გამოხატული უბრალო დამატების ნიმუშებია: მართუმიდეს მას  
ყოველსა სნეულებსა ჰირად-ჰირადითა სენითა და გუქითა შეპყრობილთა (მ. 4,24  
C); მოტევებთა ცოდეთა ჩუენსათა (ლ. 1,77. C-ში იგივე საწილის ვითარებითში  
დვას: მოტევებად ცოდეთა მათთა); რომლისა ფარეთა სულმან წმიდამან ძედ და  
პკედრად გეწოდა (სინ. 10,8); მერამე შეთქუბითა... და ეშმაკისა მათისა შეწეწითა  
ეძიებდეს ესენი მისლვად ებიფანსა (საკ. წ. II, 131,21,22); გული მისი იხარებდა  
აღსარებითა (ისტ. ქრ. II, 115,16); მიეცა მას ველწიფებაი ... მოსრვად მათდა  
მხვლითა და სიყმილითა (კამოცხ. 6,8).

7. ვითარებითი ბრუნვა

საწილის ვითარებითში მრავალი ფუნქციით გვხვდება. იგი აქ გამოხატავს  
მიზნის გარემობას, დროის გარემობას, უბრალო დამატებას; ფართოდაა გამო-  
ყენებული უცხო ენათა ინფინიტივის გადმოსაცემად, აგრეთვე მომავალი დროისა და  
კაუზატივის გამოხატავად, (ზმანსთან ერთად) ახალი ფუძეების საწარმოებლად.  
ზოგი ამთვანის გადმოსაცემად საწილის ძალიან ხშირად იხმარება, ზოგისა —  
ნაკლებად. მაგრამ, საერთოდ, ვითარებით ბრუნვაში დასმული საწილის რილი ჩვენს  
ენაში მეტად დიდაა, განსაკუთრებით ძველ ქართულში, რამდენადმე ახალშიც (შდრ.  
ტერმინები: ბრუნებადი, უღლებადი, ღრეკადი, მყოფადი, მსხვერველადი, თხევადი,  
უყთქებადი, კრებადი, ღნიობადი...).

ა) საწილის მიზნის ბარაშობად

ვითარებითში დასმული საწილის ერთი ყველაზე გავრცელებული ფუნქციაა,  
აღნიშნოს მიზნის გარემობა. დღევანდელ ენაში ეგვეკ მიზანი გართულებული სა-  
შუალებებით (უფრო გრძელი მიძღობით და არსებითი სახელებით გადმოიცემა: გა-  
სახარებლად, მოსასვლელად, დასაკმაყოფილებლად, წასასვლელად და სხვ. ძველად  
უფრო მარტივი წარმოება გვექნდა:

მისცენ იგი წარმართთა კოცხევად და ტანჯევად და ჯუარ-ცუმად და შესამესა  
დღესა აღდგეს (მ. 20,19); ას ესერა შემოიყვანე მონაი ესე ებრაელი გინებად ჩემდა  
და კოცხევად ჩემ თანა (საკ. წ. II, 67,25); ვითარცა განუტევა ერი იგი, აღვიდა მათსა  
ლოცვად თესგან (მ.14,23; ლ. 9,28); მიუგო იუდა, რომელს მიცემად ვილოდა მას (მ.  
26,25 C; ი. 13,11 C); მახელი და სიყმილი და მეცი ბიროტი და სიკუდილი მოვა-  
ვლინო იერუსალიმსა ზედა მოსპილვად (I: მოსრულვებადი) მისგან კაცი და საცხო-  
ვარი (ეხეკ. 14,21 E); დასხდეს სუმად, და წარმოვიდეს მროცვალნი როცვად და  
მსიხობელნი იგი სუქასა ზედა საქიქლსა ხილვად (სინ. 206,14,15); სიკოცხევად  
დგეს (სინ. 188,16); რაითა აღაღოს პირი მისი აღსარებლად ღმრთეებისა მისისათვის  
(ისტ. ქრ. II, 1,14); ბრძანა მოსხმად აღვილი იგი ოქრო-სეფითა (იქვე, 116,6).

მიზნის გარემობის ასეთი ფართოდ გავრცელებული საშუალებისგან დღეს



სალიტერატურო ენაში აღარაფერი დარჩა. ამ ხარკეზს ახალი ქართული, როგორც გაკრით ეთქვით, აესებს სხვადასხვა სახის მოძღვრებითა და დანიშნულების სახე-  
ლებით. მიზნის გარეუბების ძველებური წარმოების გადმონამოები დღეს მთის კუ-  
ლოებში შემორჩენილი: განსაკუთრებით ნათლად ჩანს ხეესურულში<sup>116</sup>.  
მოხეურში, ფმაურში<sup>117</sup>.

## b) საწყისი უსარ ანათა ინფინიტივის პალეოსატაპალ

უცხო ენათა ინფინიტივის გადმოსაცემად<sup>118</sup> უძველესი დროებიდანვე იყე-  
ნებდნენ ვითარებით ბრუნვაში დასმულ საწყისს: იწყო სიტყვად, ვერ ეძლო აღდგო-  
მად, რომელსა უნებს მიღებად... ეს არის ძველი ქართულის ძირითადი ნორმა. ამ  
მიზნით ვითარებითი დასმის ყველა ხმის საწყისი, რომელთაც კი მოეპოვებათ იგი.  
ზოგს (ძალიან ცოტას) საწყისი არ გაჩნია და ამიტომ იძულებულია, სხვა, მონა-  
თესავე ხმის, საწყისი გამოიყენოს (ქარ, ხარ, არს — ყოფა; ეზი, ქზი, ზის —  
ჯღამა; ეძე, სძე, ძეს — წოლა, ჯღამა...).

მერმე, როგორც აღნიშნული გეჰანდა, ამთ გვერდით გაჩნდა საწყისი  
ნათესაობითში, მაგრამ ძალიან შეზღუდულად. დასასრულ, ახალ ქართულში ამავე  
მიზნით ფართოდ არის გამოყენებული იგივე საწყისი სახელობით ბრუნვაში: სწავლა  
ბრნდა, დაიწყო ხელნაწერის გადაწერა, დაიწყოა გახეთის მოტანა, გადაწყვიტა  
სამკურნალოდ წასვლა და სხვ. ყველა ამ ცდას ერთი საერთო დამახასიათებელი  
თვისება ახლავს — ყველა ამოსავლად იყენებს საწყისს: ზოგი — ვითარებითში, ზოგი  
ნათესაობითში, ზოგი (ახალი ქართული) — სახელობითში.

რომელ ხმებთან იხმარება ასეთი საწყისი? არჩევანი ძალიან დიდია, მაგრამ  
ყველაზე ხშირად მაინც გვხვდება: წყება (იწყე, იწყე, იწყო... იწყეს). (მე)ძღუბა  
(უძლო, უძლეს, შემძლებელ ვიყავ, იყავ, იყო... იყენეს). გერ-არს, პნებაეს, უნებს  
(ენება, ენებოს), უნდა, ველ-ენიფების, ძალ-უც, ბრძანა, შეეძინა, ვერ ევების და  
სხვ. ჩვენ მიერ მოსოვებულ ნიმუშებში წყება ხმისათან 77 მაგალითია დადას-  
ტურებული, მეძღუბა-სთან — 73, გერ-არს-თან — 24, პნებაეს/წინა-სთან — 14, ველ-  
ენიფების-თან — 13, ძალ-უც-თან — 11, ბრძანა-სთან — 10 და ა.შ.

ენახოთ ზოგიერთი მათგანი შერჩევით: იწყო დაბანად /ბანად C/ ფერვთა  
მონაფეთა მათ თვისთა (ი. 13,5); არა კთილ არს მოღებად პური შვილთაგან და  
დაგებად /დაღებად CE/ ძალთა (მ. 15,26 D); გუიბულებ ჩუენ განშორებად  
ღმრთისაგან ჩუენისა ცხოველისა და გებად ეშმაეთა (საქ. წ. II, 83,14,15); იწყო  
დასულებად და ურვად (მრ. 14,33); ვერ ძალ-გიც ერთისა თმისა განსატყაყებად  
გინა დაშეებად (მ. 5,36); მოსე ბრძანა წოგნი განსატყევებელი დაწერად და გან-  
ტყეებად (მრ. 10,14 C); რომელი თანა-გუედვა ყოფად. კყავთ (ლ. 17,10); რომელსა  
უნდეს ვასხებად /სესხების DE/ შენგან, ნუ გარე-მოიქცეე პირსა (მ. 5,42 C); საქედ  
არა ძალ-მიც, თხოვად მრცხუენის (ლ. 16,3); განიზრანა ... საქედ გინებისა (საქ.  
წ. II, 65,31); მთხრობად სიძენისა მისისა ღირსად ვერეინ შემძლებელ არს (საქ. წ.

<sup>116</sup> ა.კონჭარაული, ხეესურლის თავისებურებანი, 1960, გვ. 59.

<sup>117</sup> ა.კონჭარაული, ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი, 1969, "ნაღობა", გვ. 211.

<sup>118</sup> ძველ ქართულში ინფინიტივის საკითხს საკუთალური მონოგრაფია მოუძღვნა  
დ.წიშვიანიშვილმა: ინფინიტივის საკითხისათვის ძველ ქართულში, 1972.

II, 32, 25); ხუდა მას კუქეკად საკუქეკელისა (ლ. 1, 9 C); ბრძანეს დამარხვად ჭაბუკი იგი (იოსტ. ქრ. II, 112, 32); რაისა ვერ ძალ-მიც მე მოღვენებად შენდა (ი. 13, 36); შეეშინა მუნ მოსლუად (მ. 2, 22); არცა ვის ველ-წიოყების მიტაცებად მათა ველი-საგან მამისა ჩემისა (ი. 10, 19); არა იპოვნეს მოქცეკად და დიდებისა მიცემად ღმრთისა (ლ. 17, 18 C).

#### c) საწაჲსი ღროის მარაჲობაჲდ

ვითარებით ბრუნებაში დასმული საწყისი გამოხატავს ღროის გარემოებასაც. ამ შემთხვევაში მას უეჭველად (გამონაკლისის გარეშე) ერთვის მღე თანდებული. მღე თანდებულიან საწყისს, როგორც წესი, წინ უძღვის ვიდრე: ვიდრე ვმობადმღე, ვიდრე ყოყადმღე... არის შემთხვევები, როცა ვიდრე არ არის წარმოდგენილი, მაგრამ ამ შემთხვევაში მას ცვლის ღროის გამოხატველი სიტყვები და გამოთქმები: წინაისწარ, წინავე, პირველ, მცირედ, ოთხისა თვისა ჟამთა... ძალზე იშვიათად შეიძლება შევხვდეს შემთხვევა, როცა მღე თანდებულიან სახელს წინ არ უძღვის არც ეს აუცილებელი ვიდრე ან მისი შემცველი სხვა რამ საშუალება. მაგალითად: უკეთუ მინდეს, რამთა დგეს ვე ჩემდა მოსლუადმღე, შენდა რაი? შენ მომღედე მე (ი. 21, 22 C).

ვნახოთ რამდენიმე ტიპური ნიმუში: ვიდრე ქათმის ყოილმღე სამ-გზის უვარ-მყო მე (ქ. 26, 34 C; მრ. 14, 30 C); უწოდეს სახელი მისი იესუ, რომელ-იგი ეწოდა ანგელოზისა მისგან ვიდრე ყოყადმღე მისა მუკელსა დედისასა (ლ. 2, 21); იქნა მორჩილ ვიდრე სიკულიდმღე (სინ. 194, 36); ვიდრე შეახლებაიმღე ჩუენდა გონებასა წერილისასა, ვისწრაფოთ დაქსნად სიტყვსა (უქვ. რედ. 42, 35); ვიდრე ოხრადმღე ქუყანისა და ვიდრე გამობრწყინებადმღე ვარსკულავთა და ვიდრე დამყარებადმღე საფუძველისა სამოთხისაისა (ეზრა სუთ. დ, 2).

რომელ მაქნდა წინაისწარ შესაქმლმღე სოფლისა შენგან (ი. 17, 5); ნეტარ იყუნენ, რომელთა საქნები მათნი შეამკენენ პირველ აგზებადმღე ცეცხლისა (ნოვ. II, 286, 18); იქნის იგი თიეა განსრულებითა სიორჩილისაითა მცირე-მცირედ მიწვენადმღე თესლისა გამოღებისა (უქვ. რედ. 63, 14); ოთხისა თვისა ჟამთა გარდასლუადმღე ეკლესიაი დეა ქერივად შენისა ძიებისათვის (საქ. წ. II, 143, 25).

#### d) საწაჲსი უბრალო დამატებაჲდ

ძველ ქართულში ვითარებითში დასმული საწყისი უბრალო დამატებად ძალზე იშვიათად გვხვდება. სადაც კი ამ ფუნქციით არის წარმოდგენილი, ეტყობა, არსებით სახელად ქვეყის გზაზეა დამდგარი. შემთხვევითი არაა, რომ ამგვარი საწყისები პრეფიქს-სუფიქსებით არის ნაწარმოები (სინანული, სიქადული, სიყმილი, სიყვარული, სიძულილი, სიხარული...). საწყისებიდან პირველად სწორედ ამ ტიპის წარმოებამ იწყო გარისებითება. დღეს ყველა ესენი ნამდვილ არსებითებად არის ქვეული, არაოცის სათავე კი, როგორც ითქვა, თვით ძველ ქართულში ძვეს. შემდეგ და შემდეგ ამ გარისებითების გზას სხვა საწყისებიც დაიდგნენ და დღეს მათი რიცხვი ასეულობით აღირიცხება, მაგრამ ამაზე ქვემოთ ცალკე გვექნება საუბარი. ახლა კი ვნახოთ საწყისის უბრალო დამატებად გამოყენების რამდენიმე ნიმუში:

ვიხაროდენ განმაქარვებელი ყუედრებისაო და წყევისა მის პირველისა

ქროთხეად<sup>349</sup> შექცეულბელი (აღწ. 160,20); რაითა შეერაცხოს აბრაამსა მოთმინება სიქალულად (საქ. წ. II, 60,20); გუაქედეს წმლია იგი გური ქრისტსი სიქალულად, სიხარულად, საჭურველად, ფარად და შექცულად სულთა და ჯორტა ჩუნთა (სინ. 236,14); ცხოვრება მისი შევეურაცხა სიბილად (სობრძ. 5,3); აწ უკე ნუ სიყუარულსა მას სიძულად გარდაქცეთ (პარხ. 424b); გარდაქცეთ გლოვა მათი სიხარულად (იერ. 31,13); სიცილი თქენი გლოვად გარდაქცეთ და სიხარული თქენი მწუხარებად (იაქ. 4,9 რ<sup>1</sup>).

c) საწმისი პოპაალი ღროის საწარმოებლად

მეღ ქართულში მოძეულ ღროის ჩეულებრივი წესით I და II კეძირებითი გამოხატეა<sup>350</sup>, მაგრამ ამის გეერლით, როგორც აღნიშნული გექონდა, იყო მოძეული ღროის გამოხატვის მეორე საშუალება. ე.წ. აღწერიითი წარძობა: ვითარებითი დასმულ საწყისს ერთოდა ყოფა მეშეღი ზმნის ფორმები, უმთავრესად აწმყოს სახით: მოსლვად არს, მოწეუნად არს, შეყუარებად არს. მაგრამ ასეთ წარძობას პირველისაგან მკეეთრად განსხეეებული ნოუნსი აქეს: იგი გამოხატეეს მოქმედების აუცილებლობას, უეჭველობას. ასე, მაგალითად, I სახის მოვიღოდის, მოვიღეს დღეენადელი ქართულით იქება: მოვ, ხოლო II სახის მოსლვად არს იქება: უეჭველად მოვ, აუცილებლად მოვ.

განსახილველ შეთხეევაში ვითარებითი დასმულ საწყისს ემატება ყოფა მეშეღი ზმნის აწმყოს ყველა ფორმა (ვარ, ხარ...არიან), მაგრამ ყველაზე ხშირად მინც შესამეპირის მხოლოდითის ფორმა არს (მოსლვად არს) გამოიყენება, იშეითად — წყეეტლიც (რომელი შეთხეევა იყო).

როცა ოპირიანი ზმნის შინარსის გადმოცემა საჭირო, აღნიშნულ ერთპირიან ფორმებს ოპირიანი ზმნები ენაცელება: გამოხანხვად უც (მიც, გიც), უსხენ, უსხენან.

რადგანაც ამ საკითხზე უფრო ვრცელად ზემოთ გეაკეს მსგელობა მოძეული ღროის წარძობასთან დაკეძირებით (გე. 398-401), აქ ნიშეებს შეზღულულად მოვიყვანთ: მე აქა არღარა მოქცევად ვარ (ეესტ. 147,23 = უეჭველად ვეღარ დაეზრუნდები); მომეც რიცხვ საზნოსა შენისა, რამეთუ არღარა ყოფად ხარ ჩემდა ეზნოს-მოძღუარ (ლ. 16,2 C = ჩემი მოურავი აღარ იქნები); მოწეუნად არს შენ ზედა ტანჯევა (სინ. 67,8); არა ემინი თხრობად, უკეთუ კბილი აღმოფხურად არნ (ისტ. ქრ. II, 40,11); სიძესა მას ნათლისასა მოგებებად ვართ (სინ. 78,21); რომელნი წარედეს და წარსლვად არიან, და მათგან, რომელნი დამოთმოდ არიან ცხიყუნის მოსლვასა მას მისსა (სინ. 154,29); უფალმან აწყა მათ, რაი-იგი ყოფად იყო (უსქ. რედ. 203,28); აწ ოდეს არა იყო სამოთხესა შინა შეულღებაი და არცა ცნობაი საწოლისაი და არცა შობაი და არა იძულებით შესტოეს, არა ვიდრეუე ყოფად იყენეს ნათესენი (უსქ. რედ. 183,6).

დიდძალი ნაყოფი მოღებად უც (ს. შეს. 27,26); უწყებულ იყო მისა, ვითარმედ ფრიად შეყუარებად უც მას კეთილი სარწმუნობა ქრისტსს ღბრთისაი და მოძულებად უსხენი კერისი კელით ქმნულნი (ეტ. VIII, 123,20); გამოცხადებად

<sup>349</sup> ქროთხეად ხ.

<sup>350</sup> იხ. ამის შესახებ უფრო ვრცელად გე. 396-398.

უსხენ ყოველნი საქმენი შენნი (Sin. 36, 110b,3).

ი) საწაისი შუალოებითი კონტაქტის საწარმოებლად

შუალობითი კონტაქტის გამოსახატავად ჩვენს ენას სხვადასხვა საშუალება აქვს: ორგანული და აღწერიითი. ორგანული წარმოება სხვადასხვა სუფიქსს იყენებს, აღწერიითი კი ორი ერთიეულს ვერძნობა: ვითარებითში დასმულ საწყისსა და ცემა ზმნის პირიან ფორმებს (I და II სერ.). ძველად ორივე წარმოება გვექონდა ერთმანეთის გვერდით (მართალია, პირველი — ჩანასახის სახით), დღეს კი სწორედ ის პირველი, ორგანული, წარმოება დაკვრმა მხოლოდ, აღწერიითი წარმოება კი გაქრა და სალიტერატურო ენაში მისი ნაშთიც კი არა გვაქვს.

აღწერიითი წარმოება პირიან ფორმას იყენებს ერთადერთი ცემა ზმნას (მიცემის გავებით), იმასაც ყველგან უზმნისწინოდ. ვითარებით ბრუნვაში დასმული საწყისი, რომელიც ჩვენ ახლა საკანგებოდ გვიანტერესებს, ყველა ამ შემთხვევაში უცვლელი და ხელშეუხებელია, მაგრამ ამ საკითხზე ზემოთ საეციალურად გვაქვს მსჯელობა სერთოდ კონტაქტთან დაკავშირებით (ვე. 468) და აქ ახლა აღარ შევჩერდებით. საილუსტრაციოდ დაეურთავთ მხოლოდ რამდენიმე დამახასიათებელ ნიმუშს: განუგებლად ვქმენ, რამეთუ წოგნი არა მიწერად გეც (ხანძთ. 119,16); ნუ სცემ დარღვევად კილობნისა მის, რომლითა მოღუაწე შენ ხარ (საკ. წ. II, 39,5); მაშინ განრისხნა მთავარი იგი და მოღებად სცა ნაძე იგი და დაგზებად ქუეშე მისა ფრად და შთახნა სცა ფისი და ნაუთი (ქრისტინ. 191,21,22); შეწუნებად სცეს მას ევტვიქისი და დიოსკორძისი შჯუელი (კომ. II, 184,11); ხოლო აღვადგინე ბრძოლა და დავსთხოე სისხლი მრავალი და მოკლვად ვსცენ სიძი და სძალი (ნოე. I, 5,11,23); წარავლინა და მობმად სცნა ზუარაქნი იგი (თეკლა 118,1); წარავლინე ადრე და შეპყრობად ეც იგი და მოყვანებად (I მეფ. 20,31. აქ ეც ორივე საწყისს გეტოვნის: შეპყრობად ეც და ეც მოყვანებად. ორი საწყისთან ზმნის ერთსა და იმავე ფორმას არ იმეორებენ); ეკუთუთ ვინმე მოვიდის მისა ხუცესი, ვაძი შეწირვად სცის ეგუტერსა მას შინა (კომ. II, 150,31); აწვე ამთ დღეთა შინა გარდაგდებად ვსცე ებისკოპოსებასა (კომ. II, 214,14); მობმად ვსცნე იგინი აქა, და გამოვებათ იგი მათ შორის (თეკლა 117,22); აღვადგინო სხუა მეფე, რომელმან უვარი-ყოფად გცეს ჯუარი-კუმუელი და ჩემსა ნებასა იქმოდის (სინ. 242,32); რაითა იგივე ბრძანებანი მეფეთიანი /მან/ წარკითხვად სცნეს მათ ქლაქთა (კომ. II, 205,16).

გ) საწაისი ახალი შუაპიანის საწარმოებლად

ვითარებითში დასმული საწყისი ფართოდ იყო გამოყენებული ახალი ფუქების საწარმოებლად. ასეთ წარმოებასთან ხშირად ახალი გრამატიკული მნიშვნელობაც იყო დაკავშირებული: იგი ასრულებდა მიმღებობის როლს, რომელსაც მომავალი დროის გაკება ქონდა და ერთგვარ აუცილებლობას გამოხატავდა. ასე, მაგალითად, ძველი ქართულის განურწხადი არის ის, რაც აუცილებლად უნდა გაიხრწნას (წახდეს, გაფუჭდეს), რაც აუცილებლად გაიხრწნება, ყოფადი—რაც აუცილებლად უნდა იქნეს (იქნება), დადნობადი—რაც აუცილებლად უნდა დადნეს (დადნება), კლვადი, დაკლვადი—რაც აუცილებლად უნდა დაიკლას (დაიკვლება, უნდა დაკლან) და სხვ.

აღნიშნული ფორმების მნიშვნელობა კარგად ჩანს ისეთ შემთხვევებში, როცა მოცემულია დაპირისპირება ჩვენთვის საინტერესო ფორმისა და წარსული დროის მოძღვობისა. მაგალითად: წარსრული და წარსლვადი. დაცემული და დაცემადი. მოწვეწული და მოწვეწნადი, შობილი და შობადი, ყოფილი და ყოფადი და სხვ. ამგვარი დაპირისპირება ხშირად გვხვდება ძველ ტექსტებში. მაგალითად: რომელ წარსრულ არიან ფაში იგი, უფროის არიანა, ანუ წარსლვადი (ეხრა სუთ. ბ.45 წასული უფრო მეტია თუ წასასლვადი, რაც მოძავალში უნდა წაივადესი); რამეთუ წარსრული უწენი, ხოლო წარსლვადი არა უწენი (იქვე. 4.46); დაუმორჩილებით ბრძანებასა მეფეთასა და განსათვისუფლდეთ სატანჯველთა ამათგან მოწვეწულთა და მოწვეწნდთა (სარხ. 1079ა).

ამ ტიპის წარმოება, როგორც ითქვა, ძველ ქართულში ხშირად გვხვდება. ქვემოთ წარმოვადგენთ სათანადო ნიმუშებს ერთგვარი შერჩევით.

განჯრწნადმან ჯორცმან დაამძიმოს სული (სიბრძ. 9.15); ყოველივე დაღ-პოლვადსა მოაქლდეს და მოქმედიცა იგი თანავე წარწყმდეს (ხირ. 14.20 = რაც უნდა დაღ.ესს აუცილებლად); მიიყვანებოდის ჭენებით და ყურილის-ცემით განკითხვად ... ვითარცა კრავი დაკლვადი (სწავ. 180.11); შეურაცხ-ყვით მყინვარი ესე დაღნობადი და კაცნი მოიძულნეთ (ჭილ-ვტრ. 109); რომელ არიან პირველ წამებულთა მოწამეთა კრებულნი და უკუანასინელ წამებულთაგანი (გამოცხ. 7.10 თ); არა თავს-ვიდებთ პატიესა—უსტიციოებისა ღელასა; ფასი მომცე აქა დაღმომადი და ღიღებათ ყუაილებერ დაცვენებადი (სინ. 118.6); ერი დაბადებადი აქებდი უფალსა (ფს. 101.17); დამწყსენით ცხივარნი იგი კლვადნი (ხაქ. 11.4 O); რომელ-იგი ივაჯი იყო ფაშისა მის მოწვეწნადისა (ებრ. 9.9); არღა ღიღებულ არს ღიღებადი იგი ჯერითა (2 კორ. 3.10); შ ძმანო, აღორძინებადნო და წარამტებადნო (A.484. 313); მათ სამე რაითა განხრწნადნი გვრგვნი მოიღონ, ხოლო ჩვენ — უხრწნელი (1 კორ. 9.25); გვრეცა ღმერთმან დასხნა სარბიელად აერნი არა დაძულებადნი (სინ. 133. 15); რაითა გამოცდილება ივე სარწმუნოებისა თქვენისა უპატიოსნეს ოქროსა მის წარწყმადისა და ცეცხლისაგან გამოცდილისა ილიოს საგებელად (1 პეტ. 1.7 ო); მაძღარ და საესე არიედ ჭამადითა (სინ. 51.13).

უკანასკნელ მაგალითში დადასტურებული ჭამადი (ჭამ-ად-ი) ძველ ქართულში, საერთოდ, საჭმელს აღნიშნავს — ყველაფერს. რაც იჭმევა, იჭერი იჭნება იგი თუ ყველი, ხორცი... მერმე თანდათანობით სიტყვაც გამარტოვდა (ჭამადი → ჭალი) და შინაარსიც შეიცვალა: საქართელოში (უხირატესად დასაულ. საქ.) უფრო გავრცელებულ და მთავარ საჭმელს დაერქვა (ჭალი). ზოგან მერმე თავში მ დაემატა (მჭალი). ადრე ეს მ არ ჩანდა. ძველი ჭამად-ის აღსანიშნავად კი საჭმელი (←სა-ჭამ-ელი) იქნა მიღებული. ეგვე უნდა ითქვას მწვად-ის შესახებაც: წუადი ნიშნავდა იმას, რაც იწევა, რაც შეიწევა, რაც შეიძლება შეიწვას. მერმე კი ჭად-ის ანალოგიით წუადი მხოლოდ შემწვარ ხორცს ეწოდა. მ. როგორც ჭად-ში, აქაც მერმე დამატებული. ზოგ დაღლექტში (მაგ., გურულში) ამ ცნებას ღელესაც წვადით აღნიშნავენ<sup>311</sup>.

ასეთი პერსპექტივიანი გამოდგა საწყისთაგან ახალი სიტყვების წარმოების ეს წესი. ნიმუშების მიხედვით ჩანს, რომ ამ ტიპის წარმოქმნილი სიტყვები ძველ

<sup>311</sup> ამის შესახებ იხ. ი. იმნაიშვილი, მჭადისა და მწვადის ეტიმოლოგიისათვის: რიონი, 1967. გვ. 165-172.

ქართულშიც კარცა ბლაჰამდ ვეკონია<sup>112</sup>.

#### 8. ფილოსოფიური ბრუნვა

საწყისი წოდებითში, ისევე როგორც მოთხრობითში, ძალზე იშვიათად იხმარება. მხოლოდ რამდენიმე ნიმუშია ჩვენს ხელთ: სიხარულო ჩემო, მივსენ მე მათგან, რომელთა ვარც-მოუცავ მე (ფს. 31,7 ო). პარალელურ 5 (უფრო ძველ) ტექსტში სახარულო იკითხება; ესე შენ მა-უწყე და გამიცხადე, სიტყუაო ცხორებისაო (წამ. პეტრ. 722,10). მართალია, სიტყუა აქ ღმერთს (ქრისტეს) ნიშნავს, მაგრამ მაინც საწყისია წარმოშობითა და აგებულებით და ენაც მას ამ შემთხვევაშიც ჩვეულებრივად ეყრობა; სადა ხარ, წმიდაო კერიკე, სიქადულო მოწამეთაო (ლიტ. ქრ. 19,12); ვიხაროდენ, წინაისწარმეტყველთა სიქადულო (იქვე, 15,9); შ-უქლურთა მკურნალო, მონაზონთა რჩეულბაო, მამთა სიქადულო, ქრისტოს მიერ მოქადულთაო (ქებ. წმ. სტეფ. 714,4); სადა არს, სიკუდილო, ძლევაი შენი? ანუ, ჯოჯოხეთო, საწერტელი შენი? (სინ. 164,18). შდრ. ოსე 13,14 M; სადა არს ძლევაი შენი, სიკუდილო? სადა არს საწერტელი შენი, ჯოჯოხეთო?

#### 9. მრავლობითი რიცხვი

საწყისის მრავლობითი რიცხვიც აქვს. ის ამითაც უდგება გვერდში არსებით სახელებს. რასაკვირველია, მრავლობითი აქ მხოლოდ ნ და თა სუფიქსებით არის გამოხატული, ებანი მრავლობითის ერთი მაგალითიც კი არ შეგვხვედრია.

ბრუნვათა შორის აქაც (როგორც მხოლობითში) ყველაზე ხშირია სახელობითი, მერამე — ნათესაობითი, შემდეგ — მიცემითი. მოქმედებითი და ვითარებითი თვით არსებით სახელებშიც შედარებით იშვიათია. აქ, საწყისებში, კი მათი ხმარების არც ერთი შემთხვევა არ დასტურდება.

დასასრულ, აღვნიშნავთ, რომ საწყისებში გვაქვს ორმაგი ბრუნების ჩვეულებრივი სისტემა, რომლის ნიმუშებსაც ქვემოთ ვიძლევი. დამოწმებისას ერთად მოვეყავს სიტყუანი და გულის-სიტყუანი, ზრახვანი და გულის-ზრახვანი, სხვები — ანბანის რიგზე.

<sup>112</sup> დღეს ამ ძველი წარმოების წყალობაა მეცნიერების სხვადასხვა დარგში დამკვიდრებული და ვაერელებული ისეთი საეცოლო ტერმინები და ცნებები, როგორიცაა: დნობადი, კქნობადი, ფუქებადი, მალუფუქებადი, ცნობადი, შეუცნობადი, ვრამნობადი, ფეთქებადი, პობადი, ლობობადი, ბრუნებადი, უღლებადი, კვეცადი, კრებადი, მსხერეცადი, თხვეცადი, რხვეცადი, ტვეცადი, შრომატვეცადი, ჯერადი, ღრეცადი, ფუქერეცადი, შექვეცადი, ხსნადი და ბვერი სხვა. ენის ამგვარი სიმდიდრის შექნაში საწყისის გვერდში უდგას არსებითი სახელიც. პირველად სწორედ არსებითებში უნდა დაწყებულიყო ამგვარი წარმოება. არსებითებსაც ძველთაგანვე მოპყებოდათ ამ წარმოების ისეთი სახელები, როგორიცაა: გულები, სულაბი, პურაბი, ფერაბი, ფერად-ფერაბი, პრადი, პრად-პრადი, კაცად-კაცადი, თავადი, თეალადი, წიგნადი და სხვ. ესენი და ამათი მსგავსი ლექსიკური ერთეულები სავრამირბლად უწყობს ხელს ქართული ენის ლექსიკური მარაგის გაძლიერებას.

## 1. სახელოვნობი

შეაერთნა იესუ ორნივე ოგი აღთქემანი (საკ. წ. II, 14,10); მიწვენად არიან სიყმილნი, ძრუანი და საშინელებანი და აღძრვანი წარმართთანი (საკ. წ. II, 8,33, 34); რაჟამს დაასრულნა იესუ ბრძანებანი ესე (მ. II,1); გესმოდიან ბრძოლანი და კამბაენი ბრძოლათანი (მ. 24,1); აღესრულნეს ჩუენებათა მათ გამოთქემანი ორთანივე (საკ. წ. II, 68,29); ურუნენს მათ განყოფანი ენათანი (სინ. 87,27); გულისხმავენა იესუ გულის-ზრახვანი მათნი (ლ. 5,22); ზრახვანი გულისს თქუენისანი მე ვიცი-ნი (ეზექ. II,5 ሺ); გულისგან გამოვლენ გულის-სიტყუანი ბოროტნი, კაცის-კლევანი, მრუშებანი, სიძვანი, პარვანი, ცილის-წამებანი, გმობანი (მ. 15,19; მრ. 7,22; + ზაკუენი, ბილწებანი: მრ. 7,22 C); ყოველივე მიეტეოს ძეთა კაცთა შეკოლებანი და გმობანი (მრ. 3,28 C); წამებანი ოგი სარწმუნო ვეენეთ (სინ. 155,23); ქუხილნი შეაშინებლენ და ელვანი შეაძრწუნებლენ (ისტ. ქრ. II, 4,38); ნუ გეშინინ, ზაქარია, რამეთუ შეესმნეს ვედრებანი შენნი (ლ. I,13); ზრუნვანი ამის სოფლისანი და საც-თური სიმდიდრისაი შეუედის (მრ. 4,19); მრავალნი კურნებანი ვეენეს (სინ. 269,38); ნუ იქნებინან თქვენ შორის ღალღვანი (ასურ. 135,30); არა ხილვაი ცრუი იხილეთა და მისწობანი ამათნი სთქუენით (ეზექ. 13,7 ሺ); არა არიან ჩუენ შორის მოხუცქანი სიტყუათანი და მეძიებელნი სიკეთესა ვმათასა (უქვ. რედ. 79,19); დაქსნნა საღობობანი ჩუენნი დლითი-დღედნი (სინ. 47,26); ვინ-მე იტვრთნეს ევოდენნი ოგი სირცხულნი და მრავალნი ყუედრებანი (საკ. წ. II, 53,22); ურუნნა მას ყოველნი სუუეყანი სოფლისანი და დიდებაი მათი (მ. 4,8; ლ. 4,5); დღევანი ოგი აღტეხილნი უმჯჯლოებისანი დააყუდნეს (სინ. 218,13); უკეთუ მოუტევენთ თქვენ კაცთა შეკოლებანი მათნი (მ. 6,14); ესე იოვანსი ხლადობანი (სინ. 25,10).

## 2. მოთხოვნობი

მოთხოვნობითი ჯერჯერობით მხოლოდ ერთი მაგალითია დადასტურებული: ზრუნვათა ამის სოფლისათა და საცთურმან სიმდიდრისამან, რომელ შეერინიან, შეა-შთივან სიტყუაი ოგი, და უნაყოფო იქნის (მრ. 4,19 C). შეაშთივან მათ. ამ ზმნასთან შეწყობილი მეორე სახელიც მოთხოვნობითია: საცთურმან სიმდიდრისამან. DE-ში ეს საწყისი სახელობითი დვას, რადგან იქ მასთან უახლოესად გარდაუვალი ზმნაა შე-წყობილი: ზრუნვანი ამის სოფლისანი და საცთური სიმდიდრისაი შეუედის და შეა-შთივან სიტყუაი ოგი. მართალია, შეაშთივან აქაც არის, მაგრამ მას მეორე ადგილი უჭირავს.

## 3. ვიცაითი

მრავლობით რიცხვში მდგომი საწყისი მიცემითში ხშირად გეხვდება. ეს მიცემითი ხან პირდაპირ დამატებად წარმოგვიდგება, ხან — ირიბად, ხანაც — უბრა-ლოდ. ბუნებრივია, პირველ ორ შემთხვევაში ოგი უთანდებულოა, მესამეში — თანდებ-ულიანი. უთანდებულოები უფრო ხშირია. ენახოთ ორივე სახეობის ნიმუშები:

აბა ესერა მე განვასხამ ეშმაკთა და კურნებათა აღვასრულებ (ლ. 13,22. C-ში მხოლოდითია: კურნებასა); იყო ნიაცქარი ქარისა დიდისაი და გარდაასხმიდა დღევან-თა ნავსა მას (მრ. 4,37 C. ახლა DE-შია მხოლოდითი: დღევასა); მწყემსნი იყენეს მასვე ადგილსა გარემყოფნი, რომელნი ეუპილდეს /ეუპილვიდეს DE/ ეუპილვათა და-

მისათა საძწყისათა თვისთა (ლ. 2,8 C. DE-ში აქაც მხოლოდითა: ეუმბილესა ღამი-სასა); კლდე უწოდა გლეხისათა, რომელმან დაუთმის კუთვბათა მათ ღელესათა და არა შერიკის (სინ. 223,5); განკრომათა შეუყროე მე (ისტ. ქრ. II, 113,33); იგინი არიან მღელენი და მკურნალნი სათნონი, რომელნი მკურნებენ ლოცვითა მათითა საღმობათა (საქ. წ. II, 55,34); ტირილითა და სულ-თქებითა აღასრულებდა შველთავე ლოცვათა მისთა (ბალ. 90,12); ამისთვის ტყეულით ხილვა იხილოთ და მისნობათა არა იმისნებდეთ მერმე (ეხეკ. 13,23 ო);

აღიქუა იგი ღელესათა თვისთა ზელა (ისტ. ქრ. II, 60,13); ცოდვათა შინა თქვენთა მოსწყედეთ (ი. 8,21,24).

#### 4. ნათესაობითი

საწყისი ნათესაობითი უმთავრესად თანდებულებით იხმარება (გან, თეს, მიერ, მიმართ, ებრ...). ყველაზე ხშირად მაინც გან თანდებულს ირთავს. უთანდებულოდ მაშინ არის, როცა იგი (საწყისი) მსაზღვრეულად არის გამოყენებული. ენახოთ ორივე რიგის მაგალითები:

რომელთა ისმინან სიტყუაი და ზრუნვათაგან და სიმდიდრისა და გემოთაგან ამის სოფლისათა ელენედ (ლ. 8,14); მან ივსნეს ერი თვისი ცოდვათა მათთაგან (მ. 1,21); იგინი განყენებულ და განშორებულ არიან ყოველთაგან აღძრვათა და განცხრომათა ამის სოფლისათა (სინ. 101,13); მოკლათ ეგე და განვერნეთ ჩუენებათაგან მაგისთა (საქ. წ. II, 58,14); რომლისა მიერ განსუენებასა მოველით ურვათაგან (ბალ. 17,11); არა არს აღძრვაი ესე ზღვსაი ამის ჩუეულებათაებრ და აღძრვათა პირველთა (სინ. 105,34); არამედ წყალობისა და სახიერებისა უფსკრულმან ოხათა მიერ და ვედრებათა ღმერთთემოსილისა მამისა ორანესთა წარიოტნა და განუადნა ადგილისა მისვან...ემბაქნი (ასურ. 29,4); ესე არიან მავენებელინი და წინააღმდეგომნი ნებისა ჩემისანი შუებათა და განცხრომათა მიმართ (ბალ. 9,8).

ვედწიფება აქეს ძესა კაცისასა ქუეყანასა ზელა მიტეეებად ცოდვათა (მ. 9,6; ლ. 5,24); ხოლო ენათა ცოხნაი გარდამატებულთა მათ ჭირთა და საღმობათა სახე არს (გამოცხ. 16,11 თ); აღესრულნეს ჩუენებათა მათ გამოთქუმანი ოროთანივე (საქ. წ. II, 68,29).

მრავლობითი დასმული საწყისი გამოყენებულია ჩვეულებრივი ორმაგი ბრუნებისათვის. როგორც ეს არსებით სახელებში გვაქვს. მაგალითად: ესე იყოს დასაბამ საღმობათა; მრ. 13,8 C (ნათესაობით—წრფელობითი); ესე ყოველი დასაბამი საღმობათაი არს; მ. 24,8 (ნათესაობით—სახელობითი); ოდეს გესმოდინ ბრძოლანი და სამბაქნი ბრძოლათანი: მ. 24,6; მრ. 13,7 (ნათესაობით—სახელობითი, ოღონდ აქ საზღვრულია და მსაზღვრელიც ორივე მრავლობითში).

ამრიგად, როგორც ზემოთ წარმოდგენილი ნარკვევიდან ჩანს, ძველი ქართული საწყისები გაცილებით უფრო ახლოს დგას სახელებთან, ვიდრე ზმნებთან; ზმნებს იგი დიდი ხანია ჩამოსცილდა და სახელებს შეეკედლა. ამიტომ, რომ საწყისი ასე ფართოდ იხარებს არსებით სახელთა ძირითად თვისებებს: იბრუნება ისე, როგორც არსებითი სახელი, აქვს მრავლობითი რიცხვი, როგორც არსებით სახელს, ახასიათებს ორმაგი ბრუნება, როგორც არსებითი სახელს, და, რაც აგრეთვე მთავარია, ასრულებს იმავე ფუნქციებს, რომელთა შესრულებაც მხოლოდ არსებით სახელებს აქვს დაკისრებული; აწარმოებს ახალ ფუძეებს, როგორც არსებითი. ამ თვალსაზრით



სით ზოგიერთ შემთხვევაში აჭარბებს კიდევ არსებითებს. არსებით სახელებთან ამ მჭიდრო სიახლოვის გამო ბევრი საწყისი არსებითთა რიგში მოექცა (სიხარული, სიკვდილი, სიყვარული, ბრძოლა, სიტყვა, საქმე, ღვაწლი, ძილი, მივლინება, ელვა...).

### ც. საწყისის წარმოება

საწყისი იწარმოება აწმყოს ფუძისაგან. აწმყოს სუფთა ფუძეს ემატება საწყისის სხეცალური მაწარმოებლები<sup>33</sup>. ამნაირი მაწარმოებლები ძველ ქართულში ბევრი იყო, ახალში კი შემოგვრჩა ერთადერთი მათგანი — ა სუფიქსი: ყოველგვარ საწყისს, მათ შორის ახლად შექმნილი ზმნებისასაც, ღღეს ა-თი ეაწარმოებთ: წერა, ხატვა, ქამა, სმა, ღაციწყა, ღაოსტატება...

საწყისის მაწარმოებლად ა სუფიქსი ძველ ქართულშიც ყველაზე გავრცელებული იყო, მაგრამ იქ მის გვერდით გვექონდა სხვაგვარი პრეფიქსული, სუფიქსური და პრეფიქსულ-სუფიქსური წარმოებაც ასეთი სქემის მიხედვით:

1. -ა: ბანა, ღრეკა, ქება, ღაბმა, ცემა...
2. -ილ: კივილი, წუხილი, ყივილი...
3. სი- : შიში
4. ს — ა: სლევა, სრბა, სუფევა...
5. სა — ა: აღსაარება, საღმობა, სახარება...
6. სა — ე: საქმე, აღსაქმე, შესაქმე
7. სა — ულ: სახარული
8. სი — ა: სივლტოლა, სიმღერა, სიტყუა...
9. სი — ე: სიმორგილე, სიურვილე, სიციბილე...
10. სი — ილ: სიკუდილი, სიყმილი, სიციონილი...
11. სი — ულ: სიქადელი, სიყვარული, სიხარული...

მივევით რიგზე.

### ღ. -ა საუბითხიანი საწინაშე

როგორც ითქვა, ძველ ქართულში საწყისის საწარმოებელ აფიქსთა შორის ყველაზე გავრცელებული იყო ა სუფიქსი. ამ ჯგუფში შემოდიოდა:

#### 1. აუბითხიანი (პრათითხიანი) ზანაბი

ამ ზმნებში აწმყოს სუფთა ფუძეს ბოლოს ერთვის საწყისის საწარმოებელი სუფიქსი ა და სიტყვის ორივე ნაწილი ხელუხლებელი რჩება: ი-ბან-ს, ფუქეა ბან, ბან + ა → ბანა. მაგალითები<sup>34</sup>:

<sup>33</sup> საწყისის წარმოებას სავანებუო ვამოკლევუა უძღუნა ღ. ბარამახუშ: საწყისი ძველ ქართულში: ქქქმ, 19, 1976. გვ. 39-76.

<sup>34</sup> საწყისზე მაგალითების მოყვანისას ზოგჯერ ჯერ წარმოღვენილია სანიშნუ პირიანი ფორმები, როგორც ამოსავალი სათანადო საწყისისათვის, მერმე — თვით საწყისი, ხოლო ბოლოს — თითო-ორიოლა მაგალითი შესაფერისი მიმღობისაც. შეიძლება რომელიმე პირიანი ფორმის საწყისი

ბანა: პირველად არა იბანა ვიდრე პურისა ქამადმდე (ლ. 11;38). აქედან ნაწარმებია საწყისი: ბანილს მას არა უკმს ბანა, გარნა ფერეთა ხოლო ბანა (ი. 13,10 C); სხუადა მრავალი არს, რომელი უსწაიეს მარხვად: განბანა სასუქლოთა და სტანათა და ქუბათა და ცხედართა (მრ. 7,4 C); თქუენცა თანა-გაც ურთიერთს დაბანა ფერეთა (ი. 13,14 C); არა თუ ჯორცთა იგი მწიკული რაი ენება განბანად, არამედ რათამცა ურვილი იგი სული განასტეგაქეს (სინ. 77,11).

თხოვა: პილატე განაჩინა თხოვა იგი მათი (ლ. 23,24 C; მაშინ პილატე საჯა თხოვისაგან მათის DE); საქმედ არა ძალ-შიც, თხოვად მრცხუნენის (ლ. 16,3); ლაღად-ყო ერმან მან გამოთხოვად მისა (მრ. 15,8).

ტეხა<sup>111</sup>: ამისთვის დიდი აღტეხა იყო და შფოთი ყოველსა მას ქალაქსა (საქ. წ. 11, 144,3); იყო აღტეხა მათ შორის (ეზექ. 30,9); განტეხა განტეხისა წილ. თუალი თუალისა წილ, კბილი კბილისა წილ (ლევ. 24,20); მოაქლონე მებხის-ტეხა ანუ სხუაი რაი ქირი (მ. ცხ. 102r); ნუკუეუ მებხის-ტეხისა ცეცხლი გარდამოედეს ზეითი და დაძწუას მე (სწავ. 260,26).

იმავე მარტივ ფუძეს ეყარება აგრეთვე სათანადო მიძლეობებიც: ესე უწყი, რამეთუ მძენვარ და ძლოურ არს ლომი, განმტეხულ და წარმწყემედულ (სინ. 108,20); განტეხული /ნაი/ (სინ. 277,19).

წერა: ამან იცოდა ეკლოვნება—წერა (Sin. 6, 146v); ესე აღწერა პირველ იყო მთავრობასა ასურეთს კრინძსსა (ლ. 2,26); ყოველივე წერით ეკლითა უფლისაითა მისცა დაეით (1 ნეშტ. 28,10); აღმოვიდა იოსებცა გაილიდაით...აღწერად მარიამის თანა (ლ. 1,5: შთაწერად C); მოსე ბრძანა წიგნი განსატევებელი დაწერად და განტევებად (მრ. 10,4 C); იგივე მიწერად თქუენდა ჩემდა არა სიცონილ არს (ფილიპ. 3,1).

ჭამა: მოუწოდეს ცოლსა ჯოჯიკისსა და ინებეს ერთად პურისა ქამა (შუშ. 6,5); რომელთა არა ჯერ-იყო ჭამად (მ. 12,4); იწყოს...ჭამად და სუბად და დათრობად (ლ. 12,45); ვიდრე უკუდაეთა მათ მატლთა შეჭმასა უმჯობეს იყავნ ამათ მოკუდაეთა შეჭმა აქვე ამას ცხორებასა (შუშ. 141,24,25).

აღნიშნული ზნა და მისი საწყისი ძველ ქართულში ორი მხრივ იქცევის ჩვენს ყურადღებას:

ა) ენებითის ფორმები I სერიის მწკრივებში არ იკუმშება და გვაქვს: ვითარცა-იგი იჭამების ქურციკი და ირუმი (2 შჯ. 12,22 პარიზ.); შევიჭამებით ურთიერთს (სწავ. 266,27); საწუთროდსანი ამისთვის მვლომ არიან ურთიერთსა და შეიჭამებთან და იებინებთან ვითარცა ძაღლნი (ბალ. 8,14); მისციის თევზი და არა იჭამებინ (პარზ. 766b); შეიჭამებინ ცეცხლისა მისგან (Sin. 35, 289ra); შევიჭამებოდით ურთიერთს ცილის-წამებითა და განკითხვითა (სწავ. 268,21)<sup>112</sup>.

ბ) ძველ ქართულში ჭამ ძირის ა ხმოვანი საწყისში, როგორც წესი, დაცულია მაშინაც, როცა საწყისი უზმნისწინაა (ჭამა) და მაშინაც, როცა მას რომელიმე

ჯერჯერობით დადასტურებული არ იყოს ამ თუ იმ ძველის ფურცლებზე. ჩვენ მარც მთავრებს ასეთი პირიანი ფორმები (და მიძლეობები) იმის იმელოთ, რომ შესატყვისი საწყისები ჯერ გამო-სქვეთებული ძველების გამოშხურებით უსათოდ საღმე გამოჩნდება.

<sup>111</sup> ამ თავში განვიხილავთ უმთავრესად მოქმედებითი გვარის ზნის საწყისს.

<sup>112</sup> ი. იშაბაშვილი. ენებითი გვარის ზნათა თავისებურებანი ძველ ქართულში: ძველქ. 11, 1968.

ზმნისწინი ახლავს: შეჭამა, მოჭამა, დაჭამა, ვითარებითში: შეჭამად, მოჭამად, დაჭამად. ჯერ ენახოთ მაგალითები:

ხოლო იგი განრისხებული და შუუხარბი მაშისგავსებენ რისხეასა ცეცხლისასა და მატლისა შეჭამასა (უდაბ. 21va. მაგრამ: შეჭამას: შუშ. 141,24); ოდეს მოასრულოს მოჭამად თივია ქვეყანისაი (ამოს 7,2 1); სხენან ზედა ზღუდეთა შეჭამად მაგათა სკორე თვის (4 მეფ. 18,27 O. მაგრამ: შეჭამდ M); მოხებასა ჩემ ზედა უკეთურთასა შეჭამად ვორცთა ჩემთა... იგინი მოუძღურდეს და დაეცნეს (ფს. 26,2. მაგრამ: შეჭამდ 1); ვერ უძღვებდენ ცხოვარსა შეჭამად (გამ. 12,4 ლაგ.).

შეკუმშევი ფუძეა მიძლიობებშიც: შეშკამული (ეხეკ. 36,13; არამ. 29,10,7); შეშკამულსა (ასურ. 37,19); შეშკამულნი (იერ. 30,16); შეშკამული (დან. 13/14/,12); შკამულსა (უქვ. რედ. 126,8); შკამულთა (მრ. 7,19 C).

ამ შემთხვევაში ახალ ქართულში ა ამოღებულია ფუძიდან და გვაქვს: შეჭმა, მოჭმა, დაჭმა, გადაჭმა, წაჭმა... შეჭმული, შეშკმული... ა-ს ამოღების პროცესი, როგორც ენახეთ, თვით ძველ ქართულშია დაწყებული, იქ პარალელურად გვხვდება შეჭამასა და შეჭმასა, შეჭამად და შეჭმად, შეჭამული და შეჭმული... არ შეიძლება ვიფიქროთ, ამის მიზეზი იყოს ის გარემოება, რომ ა ხმოვნის შენარჩუნებისას ერთმანეთს ემთხვევა საწყისი და წყვეტილის ფორმა (მხოლოდ. III პირში: შეჭამა — შეჭამა) და მათი გარჩევის სურვილით ა-ს იღებენ. მაშინ რატომ უზმნისწინო ჭამა-ში დატოვეს ეს ა ხელ-უხლებლად? აქაც ხომ ხდება დამთხვევა (ჭამა — ჭამა)? ამას გარდა, ასეთი დამთხვევა სხვა ერთთემიან ზმნებშიც ხდება, მაგრამ ამის გამო ფუძისეულ ხმოვანს არ იღებენ: ბანა — ბანა, ტეხა — ტეხა, წერა — წერა.

შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ განსახილველი ზმნის ფუძისეული ამ ამ თემის ნიშნის აგობრივად, ამ თემისნიშნის ზმნებში კი თემის ნიშნისეული ა ამოღებულია ყველგან (მათ შორის მარტივ, უზმნისწინო, ფუძემიც): დაბმა, გაბმა, მიბმა, შებმა, გადაბმა... დაღმა, გაღმა, გადაღმა, შეღმა... შთანთქმა, გართხმა, დარტყმა, დასხმა, სმა, შესმა, მოსმა, დასმა, ჩაცმა, აღქმა, შერწყმა. ჭამა ამან ზმნად განსაკუთრებით იმიტომ შეიძლებოდა მოსჩვენებოდათ, რომ თავისი შინაარსის გამო იგი ძალიან ხშირად იხმარება სმა (ნამდვილ ამ თემისნიშნის) ზმნასთან: შეჭმა და შესმა, შეჭამა და შესეა, ჭამდა და სეამდა... ერთი სიტყვით, ძველ ქართულში ჭამა ზმნის საწყისის ზმნისწინიან ფორმებში ფუძისეული ა ხმოვანი უმეტესად ხელ-უხლებელია, ახალში კი ყოველთვის და ყველგან ამოღებულია. ამ ზმნის საწყისის ხმარებაში სწორედ ესაა ძველი და ახალი ქართულის ძირითადი განსხვავება.

## 2. ფუძისეული (ხმოვანი/სა(ა)ლუ) ზმნები

ამ ჯგუფის ზმნებს I სერიაში ე ხმოვანი აქვთ, II სერიაში — ი: აბნეეს — აბნი(ე)ა, დრეეს — დრიკა, გლეჯს — გლიჯა, წარსწყმედს — წარწყმედა, იუპეეს — იუმი(ე)ა. სხვა მხრივ ესენი კვალდაკვალ მისდევენ ერთთემიანებს. საწყისის მაწარმოებელია ა სუფიქსი:

ბნეეა: სასტიკი განბნეეა იქნა (ურთ. 88,1); არა ჯერ-არს დაბნეეა საჰმართაი (მ. ცხ. 46v); უბრძანა შებნეეა ყოველთა მათ მღდელთა და დიაკონთა ქალაქისათა (H-341, 727); ბრძანა დუქსმან მან შეკრება ძუალთა მათთაი და შთაბნეეა მათი მღინარესა მას (საკ. წ. II, 91,9); განუთესნე ივინი განბნეეთ (იერ. 15,7); იწყეს მიმოდაბნეეად ბაიასა მისსა (მ. ცხ. 189v).

მიძლეობებში I სერიის ფუტეა: განმბნეული (ლ. 16, I C); განბნეული (ი. 11, 52).

გლგვა: უკუეთო რაიმე მაჰყდის მტერთა მიერ...წურთა დაგლეჯაი ვინა მიძთხევაი (ი-ე. 35, 33); ვერ ძალ-მაც უცხოთა ეკალთა გლეჯად კელითა ჩემითა (მ. ცხ. 368r). მიძლეობაში ენაინი ფუტეა დატული: გაგლეგოლი (ქ. ცხ. 174, 9);

ღრეკა: განღრეკასა იტყოდე უფლისა მიმართ (იერ. 28, 16); და ლათუ სიკუდილსა მიეც არა თუ ბუნებისა მოკლებითა. არამედ...მოდრეკისათვის სიფიცხლისაგან გულისასა და შეწყალებისათვის (სინ. 127, 24); მათ ცემულთა შემდგომად ცემისა მუცლ-მოდრეკით თაყუანის-სიკან (ი-ე. 36, 19); რომლისა არა ღირს ვარ მე დაღრეკად და განჯნად საბელთა ვაძლთა მისთასა (მრ. 1, 7 C); ვითარცა იწყო დაღრეკად (ლ. 9, 12). მიძლეობის ფუტეში, როგორც ყველგან, ე გვაქვს: დაღრეკოდ (2 ეზრა 9, 5 O); მოდრეკოდ (ლ. 24, 29; საკ. წ. II, 8, 27).

თხევა: დათხევაი სისხლისაი არნ ლალეასა ამპარტაენისასა (ზირ. 27, 16); თენიერ სისხლისა დათხევისა არა იყო მოტევებაი (ებრ. 9, 22); მოსწრაფე არიან ფერენი მათნი დათხევად სისხლისა უბრალოისა (ეს. 59, 7); განვიდის გარე დათხევად წყლისა (A-92, 108r). ამ ზნის სხვა ზნისწინანი საწყისები ჯერჯერობით არ არის დადასტურებული. ამავე ზნისწინით გვხვდება მიძლეობაც: დათხეულ (ზირ. 25, 31); დათხეული (მ. 23, 35).

კრება: კრება და ამბოზი განმრავლდებოდა (რიფს. 169, 37); არს ჩუეულთა მათ დღესასწაულთაი კრებაი ესე (სინ. 100, 6); რაოდენ გზის ვინებე შეკრებაი შეილთა შენთაი (მ. 23, 37); ნუკრეე შეკრებასა მას ლუარძლისასა აღმოქოხურათ იექლოცა (მ. 13, 29); უბრძანო ქვისა დაკრებაი (სინ. 60, 17); გეძიებდეს შენ ქვისა დაკრებად (ი. 11, 8). მიძლეობა: შეკრებულ (მ. 27, 11).

ღარეკა: ვითარ ქრისტეს ეკლესიათა დაეცა ღარღრეკაი (წარტყ. 2, 20); რამეთუ ყოვლითურთ საესე იყო უღბრთოებითა და განკრძალულ ქალაქთა ღარღრეკასა და ეკლესიათა მოოჯრებასა (იქვე. 8, 25); ღარღრეკით დაარღვნე და შემუსრვით შესუსრნე ძველნი იგი მათნი (გამ. 23, 24); თუ უბრძანის...ღარღრეკად. დაარღვიან (ებზრა ზირ. 4, 9). მიძლეობა: ღარღრეკული (ზირ. 21, 21); ღარღრეკეულად (წარტყ. 21, 24).

რეკვა: უკუნანსკნელი მისი მიმორეკვა ბოროტ (ეკლ. 10, 13); არა სცეს შერეკვაი უკუნისამდე მართალსა (ფს. 54, 23); რომელი სახრევაი გრძნეულთაი შემძლებელ არს შერეკვად მისა (უქვ. რედ. 94, 17). მიძლეობა: შერეკულისა (მ. 11, 7).

ჩრეკვა: ვერ შემძლებელ არს ბრმაი გამორჩევად ფერებისა ურთიურთისაგან (სწავ. 193, 28); ესე არს განჩრეკვაი შჯულისაი (რიცხ. 19, 2); განჩრეკვად კეთილისა და ბოროტისა (ებრ. 5, 14). მიძლ.: გამორჩეულ (I ნეშტ. 16, 41); განსარჩეველად (ლევ. 10, 10 G).

ფენა: ჯერ-ჩინა განფენაი მადლთაი (მრავ. 296, 28); მოფენასა შხისასა შეკრბან (ფს. 103, 22); ნუ ჯგონებთ, ვითარმედ მოვედ მოფენად მშვდობისა ქვეყანასა ზედა; არა მოვედ მოფენად მშვდობისა, არამედ მახვლისა (მ. 10, 34).

ქკევა: დაქკევაი მსგავსად ნიაქარისა მოვიდეს (ივავ. 1, 27 O); მოქკევაიან დაძთქა მე (ფს. 68, 3); მიქკევასა მას იესუსისა მუნვე შეიწყალა იგი ერბან მან (ლ. 8, 40); მოქკევასა მას მის მეფისასა იყო მშვდობა დიდ (კობ. 1, 156, 8); არა მოვედ წოდებად მართალთა. არამედ ცოდვილთა, მოქკევად მათა (მ. 9, 13); შეიყუარა მან

ყოველი სიტყვა და ქვეყნისა (ეს. 51,6). მიმღ.: მოქცეულ (დაბ. 43,10).

შრეტა: უბრძანა და შრეტად ცეცხლისა მის (მარხ. 660a); აწ მოსპოვება ეგულები და და შრეტა ნაბერწყალისა მის და შთომილისა (2 მეფ. 14,7); წყალნი მრავალნი ვერ შემძლებელ არიან და შრეტად სიყვარულისა (ქებ. 8,7).

ღაზრება: შემინდევთ, წმიდანო ღმრთისანო, უცბად ჩხრეკისათვის (Sin. 11, 360r); ჰავად ჩხრეკისათვის... შემინდევით (პალეოგრ. 50); ძხზრეკალი მისი იოვანე-ზოსიმე (იქვე).

წუევა (იძულება, ძალის დატანება): სულისა მიერ წმიდისა წუევითა იტყოდეს წმიდანი ღმრთისა კაცნი (2 პეტ. 1,21); წუევითა ვერ მოსცალდებოდა (მამ. ცხორ. 105,5); მაწუეველ (საკ. წ. II, 77,5).

წარწყმედა: რომელთა აღსასრულ წარწყმედა არს (ფილოზ. 8,19); წარწყმედა და ყოველსა ბრძენთა ბაბილონისათა (დან. 2,12 O); წარწყმელით წარწყმელით ქვეყანისაგან (2 შჯ. 4,26 G); მოძიებად ეალს ჰეროდე და წარწყმედად ყრმასა მავს (მ. 2,13); არაჲნ მათგანი წარწყმდა, გარნა ძი იგი წარწყმელისა (ი. 17,12); წარწყმელელ (საკ. წ. II, 77,32); წარწყმელელი (ლ. 15,6).

ხუევა: ჯერ-არს მკუდარსა ზედა სახუეველითა შეხუევა და დაღება საფლავსა (უძვ. რედ. 207,4); წყლულება არს შეხუევა (ზირ. 27,22); შეხუეული (სწავ. 106,26).

კუევა: ამათი სხუა რაიმე არს კუევა და შსაჯულ არს თივის-მოქმედი (სიბრძ. იე,7); კუევა იგი თესლთა ჩუენთვის განსაზღვრებულ არს (ექუსთ. 50,30); რამეთუ მათთავე მათ სიტყუათა ვიძულები კუევად (იქვე, 72,4). ზოგჯერ ძირისეული უ იკარგება: გერწყმუნა საქმს, რომელსა ვერ შეუძლებდ კუევად (ამოკრ. 59,8); მკუეველად (ექუსთ. 56,29).

### 3. ჰ თაბინიონიანი ზანეაი

ბრძანება: მიიღეს ბრძანება ჩუენებით ანგელოზისაგან (მ. 2,12,22); ვერ გარდაკედის ბრძანებასა მისსა (I ეზრა 4,3); განძლოერდა ბრძანებითა თესითა მოძღუერისაითა (ხანძთ. 142,15); რაჲმს დაასრულნა იესუ ბრძანებანი ესე (მ. 11,1); ბრძანებულ (ლ. 2,26 C).

კადრება: რომელთა-ვე ჰურიათა კადრება გესმოდა და უშჯულოება იგი მათი (სინ. 155,7); კადრებული (ხანძთ. 142,35).

ღამძიმება: ანიანი საარეისო ქცევა სამი პირის გაგებით იხმარება (ღამძიმ მან მას იგი). ესა ამ ზნის ერთ-ერთი თავისებურება. ჩვეულებრივია სასხვისო ქცევის ფორმებიც. ამ შემთხვევაში მისი სამპირიანობა ბუნებრივია. აქ ჩუენ ანიანი ფორმები გვიანტერესებს. მაგალითები: ნუ მე ღამძიმებთ (საკ. წ. II, 129,8); არა-ვერაი ვის თქვენგანსა დაეამძიმე (2 კორ. 11,8); არა ღამძიმო მას შრომითა (ლევ. 25,43 pb); არაეის ღამძიმოს ამისთვის (მამ. ცხორ. 34,15); რაითა არაეის დაეამძიმოთ თქვენგანსა (I თესალ. 2,9 AB. CD-ში დაუმძიმოთ იკითხება, მაგრამ აქ მიცემითი ისედაც გასაგებია); მე არა მნებაეს შუნდა ღამძიმება (საკ. წ. II, 122,15); ღამძიმებელი (სინ. 134,21); დაუმძიმებულად (მამ. ცხორ. 34,16).

ოტება: რომელთა მიერ ღმერთმან ყვის ოტება ვნებათა (ბალ. 44,40); შიშისაგან ვერ გამოიხუედ, ვიდრემდის სკან ოტება მტერთა ჩუენთა მიერ (ბალ. 121,6); ოტებულ (ექუსთ. 2,10).

ფუტება: მაშინ იწყო ფუტებად ჩუენდა და მეტყოდა (ლიმ. 69,11).

ქარწინება (სართოდ: შერთვა, შეერთება; კერძოდ: ცოლის მოყვანა. განქორწინება—ვათხოვება, შეშოქორწინება—ცოლის მოყვანა, ცოლის შერთვა): უმჯობეს არს ქარწინება, ვიდრე განუკრებება (1 კორ. 7,9); უკეთესი ესოდენ ბრალი არს კაცისა დედაკაცისა თანა, არა შეპყავს ქარწინება (მ. 19,10); რაითამცა განიცადეს ქარწინება იგი უგუნურებისა მათისა (სინ. 208,15); ქარწინებული (1 კორ. 7,34); უქარწინებულსა (სინ. 28,10).

განშორება 1. გამოშორება, მოცილება; 2. დამთავრება, დასრულება: განშორება ბოროტისაგან არს მეცნიერება (იობ 28,27); განშორებასა მას მათსა მისგან პრქუა პეტრე იესუს (ლ. 9,33); მაშინ პრქუა ღმერთმან აბრაჰამს შემდგომად განშორებისა მის ლოტისა მისგან (დაბ. 13,14); შენ გეწამე ჩუენ და გუარქუ განშორებად მათსა ამას და წმიდა ყოფად (დაბ. 19,23); განშორებულ (მ. 15,8); განუშორებულ (ბანძთ. 152,18).

შუება: იყო აბესალომ შუება დიდ მსგავსად ტაძრობისა მის სამეუფოისა (2 მეფ. 13,27 O); მოვედ შენ... შუებად, რომელი შუა გიყო ხვალე (ესთ. 5,4); შუებანი და გემონი სოფლისანი სიკუდილსა შობენ (სწავ. 189,13); სიყუარული შუებათა შენთა (ქებ. 7,6 M); შუებული (სწავ. 291,13).

წამება (დადასტურება, დამოწმება): ჭეშმარიტ არს წამება მისი (ი. 5,32); წამებასა ჩუენსა არა შეიწყნარებთ (ი. 3,11); წამებით მიწამებდა ჩუენ კაცი იგი და თქუა: ვერ იხილოთ პირი ჩემი (დაბ. 43,3); მრავალთა პრწმენა იგი სიტყუთა და წამებით (ი. 1,7 C); აწ ისმინე აღდგომისათვის, და წამებანი იგი სარწმუნო კყენეთ (სინ. 155,23); საწამებელად (სინ. 157,32); წამებული (სინ. 75,31).

წვალება (განყოფა, განცალკევება, განხეთქილება, ერესი): იყო წვალება შორის ერსა მას მისთვის (ი. 7,43 C); მერმე წვალება იყო შორის პურათა მათ სიტყუთა ამათვის (ი. 10,19 C); დაიცვეს კაცმან სარწმუნოება უბიწოებით წვალებისგან (სწავ. 208,22); არა არს განწვალება პურათისა და წარმართისა (პრომ. 10,12 = არ არის განსხვავება); ნუკუეე იყენენ თქუენ შორის: წვალებანი, ცუნდრუკებანი, განლალებანი (2 კორ. 12,20); განწვალებულ (ბალ. 71,36); განუწვალებულსა (ათონ. 11, 128v).

ჭენება (ბიძგება, კერა): იწროებებისა მისგან ოდესმე გამოვიდის მწრაფლ გამოჭენებითა და განიერცის ადგილთა შინა ერცელთა (უძე. რედ. 165,1).

#### 4. გვ თვეისნიშნინანი უძნები

კურთხევა: საუკუნომცა არს საკსენებელი და კურთხევა მათი (ი—ე, 118b,16; 118d,11,13); კურთხევამან მამისამან დაამტკიცინის სახლნი შვილთანი (კომ. 1, 143,24); კურთხევასა მას იესუსსა მათა მიმართ განეშორა მათგან (ლ. 24,51); კურთხევით გაკურთხო შენ (ებრ. 6,14); მაკურთხეველნი მისნი კურთხულ არიან (სინ. 142,10).

ძლევა: სადა არს, სიკუდილო, ძლევა შენი (სინ. 164,19); დათრგუნა ყოველი ძლიერება ცოდვისა და ბრწყინვალე დაიდგა ძლევისა გერგვნი (საქ. წ. 11, 58,18); განვიდა ძლეუითა (გამოცხ. 6,2); შემძლებელ არს ძლეუად მისა (სინ. 223,25); ძლეუ (1 ეზრა 3,10); ძლეული (სინ. 12,9).

### 5. ამ თაბისნიონიანი ზანა

ემ თემის ნიშანი ქართულში (ძველსა და ახალში) ერთადერთ ძირს ერთვის. ეს არის ც. ცემ ფორმას ძველ ქართულში რამდენიმე, ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული, მნიშვნელობა აქვს:

1. ცემა (მიცემა): უბრძანა მათ ცემად მისა პური (მრ. 5,43 C); უკეთუ თქვენ უკეთურთა იცით ნიჭისა კეთილისა მიცემა შეილთა თქვენთა (მ. 17,11 C); აღუთქუ მას მიცემად, რაიცა ითხოვოს (მ. 14,7)

2. ცემა (დარტყმა): მონამან, რომელმან არა უწყინ ნებაი უფლისა თვისისა და არა ყოს ბრძანებაი მისი, მიიღენ ცემაი (სინ. 103,30); ცემითა და გუემითა ... შეიწრებულნი დიდსა ურევასა შინა ვიყვენით (ი—ე, 52,8); ცემად მას ეაღირე და მეგონა, რეცათუ ვეც (მამ. ცხორ. 29,30); ცემულთა შემდგომად ცემისა მუელმოიდრეკით თაყუანის-სციან (ი—ე, 36,19).

3. ცემა (გაცემა, ღალატით): ამას ვეულებოდა მიცემა მისი (ი. 6,71); რომელსა გულს-ელვა მიცემა მისი (ი. 12,4); რომელ მიცემად ვიდოდა მას (მ. 26,25 C); მიმცემული (მ. 26,46).

4. ცემა (კბენა): ცემამან გუელისამან ყვის წყლულებაი (ზირ. 28,21 O); და იყოს დან ვითარცა გუელი დადარანებული ვზასა ზედა ცემად ტერფთა პუნეთასა (კურთხ. იაკ. 90,6).

5. ცემა (მუსიკალურ ინსტრუმენტზე დაკრა): სცემდეს ათძალთა (გამოცხ. 14,2); ანგელოზთა მათ, რომელთა აქუნდეს შვდნი იგი საყვრნი. გან.შზადნეს თავნი თვისნი ცემად (2 ნეშტ. 8,6).

6. ცემა (საროლა, მოხვედრება, მორტყმა): სცეს ისრითა გუერდსა მისსა (ურიო. 122,27); ისარნი შენნი მეცენეს მე (ეს. 37,3 F); რომელსა ცემულ არნ ისარი ტყობსა (იგავ. 7,23).

7. ცემა (დაჯახება, შეხეთქება, კვეთება): გარდამოუდა წვმაი, და აღდევს მდინარენი, და ქრიოდეს ქარნი, და ეცნეს სახლსა მას, და დაეცა (მ. 7,27 C). ცემა ზმნის ამ მნიშვნელობისათვის საწყისი ჯერჯერობით დადასტურებული არ არის.

8. ცემა (დაცემა): და იყო დაცემა იგი მისი დიდ ფორად (მ. 7,27); ვორცნი მისნი დაცემისაგან იყსნა (იობ 33,17 O); ესე ღვას დაცემად და აღდგინებად მრავალთა (ლ. 2,34); ქალაქი ესე დაცემად არს (კომ. 1, 253,2); დაცემულ (მ. 8,6).

### 6. მა თაბისნიონიანი ზანები

გმობა, გმობლვა: შეავგობდეს მას ქოთნითა (რიცხ. 11,8 G); მაშინ არა ვგბო, სხუაი შევაგბე და მივართვ, რამეთუ მრავალთა დღეთა არარაისა გმობი ეხილვა (ხანსთ. 155,40); ამ ზმნის საწყისი ცალკე არ შეგვხვედრია, მხოლოდ ერთ გვიანდროინდელ ძეგლში დადასტურებული კაუზატივის ფორმაში სახელად ნაწილად: რაითა შეგობად-სცეს მათთვის ცერცვ და მხალი (A-689, 207r). მიმღობები კი ხშირია: მგბარი (გამ. 12,9); უმგბარი (მ. ცხ. 211r); მგბოლველი (გამ. 30,35); უმგბოლველი (კომ. 1, 64,4).

გმობა: ყოველი ცოდვია და გმობაი მიუტევოს კაცთა, ხოლო სულისა წმიდისა გმობაი არა მიუტევოს კაცთა (მ. 12,31); ესე გმობასა იტყვის (მრ. 2,7); კეთილისა საქმისათვის ქვასა არა დაგკრებთ შენ, არამედ გმობისათვის (ი. 10,33); ნუჟაქი

მწკალებელთაგან ვინმე გატუნოს გმობად აღდგომისა (სინ. 165,10); ყოველი მიეტეოს ძეთა კაცთა ცოდვანი და გმობანი, რაოდენსაცა ჰგმობდენ (მრ. 3,28); გმობარი (სინ. 217,10).

ღნობა: ვითარ ესმა ესე. ბრძანა შექმნაჲ ტაფაკისა ღიღისაი და განღნობად მას შინა ტყუივი და შთავლება წმიღისაი მის მას შინა (ისტ. ქრ. II, 59,30); რაითა იყოს თუ რაიმე სარგებელი მათ შინა, დაიმარხონ იგი საყსენებელად, და მოსწრაფედ წურთისა მიერ, ვითარცა დაღნობისა, აღმოცოხნისა სარგებელსა მოელოდინ (ექესთ. 39,37); ღამღნარ (სწაე. 168,25); დაღნობილი (ფს. 21,15); გამოღნობილნი (რიცხ. 33,52 G).

შობა, გამოშობა. ფრიად გაერკლეული ზნნა ძეულსა და ახალ ქართულში, განსაკუთრებით ძეულში. ახალში ძირითადი მნიშვნელობით შობა-სთან ერთად დაბადება-ც იხმარება. ძეულად კი დაბადება, საერთოდ, გაჩენის, შექმნის (СОТВОРИТИ) მნიშვნელობით იხმარებოდა (დაჰადა სოფელი, ქუეყანაი, მშპ, მთოვარც, წყალი...).

მეორე მხრივ, ეს ზნნა ძეულად ზნისწინითაც იხმარებოდა — ეს იყო რთული გამო: გამოშობს, გამოშვა, გამოიშვების, გამოშობაჲ. ამ შემთხვევაში მას გაფართოებული მნიშვნელობა ჰქონდა და დაახლოებით დღევანდელი წარმოშობის ბადალი იყო. რომელი გაგებითაც ვიგულისხმებთ, ამ ზნის ძირითადი აზრისათვის გამო გაცილებით უფრო შესაფერისია, ვიდრე წარმო.

თვით საწყისი შობა უხსოვარი დროიდან I სერიის თემას უნდა ეყრდნობოდეს: შეე-აბ<sup>31</sup> → შევ-აბ<sup>32</sup> → შობ-აბ<sup>33</sup>.

იესუ ქრისტეს შობა ესრეთ იყო (მ. 1,18); მრავალთა შობასა მისსა განიხარონ (ლ. 1,14); იყვნეს დღენი შობისა ჰეროდესნი (მ. 14,6); ნამუცაჲ არა მიჰპაიეს შობით ჩემითგან ვიდრე აქამოდე (ებუკ. 4,15); სადა შობად არს ქრისტე (მ. 2,4); ესრეთ იქმნის გამოშობა იგი ბოროტისაი წარდევნითა კეთილისაითა (უძერედ. 167,17); უზჯობად არს... მოყსენებად გამოშობისა მისისა (კურთხ. მოს. 116,17); შ სანატრელთა მათ წყვილთა სანატრელისა მის სიტყვსა შემძლებელ გამოშობად, რომელსა-იგი მამა გულით გამოშობს (იოან. 27,108).

მიღლ.: შობილნი (ლ. 2,41 C); შობილ (ი. 9,34); ნაშობი (ლ. 19,9).

ცნობა: ცნობაი იცის კისაი (სიბრძ. 1,7); მოიყვანა ცნობასა ჭეშმარიტებისასა (ათონ. 57, 294r); დასაბამ ცნობისა — სიბრძნე და სწავლულება უძრითითა შურსაცხ-ყვიან (იგაე. 1,7 M); თქვენდა მოცემულ არს ცნობად საიდუმლოი სასუფეველისა ცათისაი (მ. 13,11); გამოცნობაი ცოდვისაი (პრობ. 2,20); მცნობელი (ბარ. 3,31); ცნობილი (მრავ. 297,29).

წყობა (ბრძოლა, მეომართა საბრძოლოდ დაწყობა, შებმა): მსგავსად ყო, ვითარცა-იგი წყობასა შინა: უკეთუ ვინმე წინასაი განწყობილისაი დაეკის, მეყსეულად ადგილსა მისსა სხუაი დადვის (სინ. 121,17); მეყსეულად გამოიყვანეს იგი ყრმათა მისთა წყობისაგან ბრძოლისა მისგან: ლ/ (ებრა ზარ. ა, 28 წ); ყოვლითა განწყობითა მისითა, მახვლითა დაეცნეს (ებუკ. 17,21 ლ); რომელნი განვიდეს წყობად (I ნეშტ. 5,18 M); განწყობილი (იოველ 2,5).

დაჭნობა: გვრეცა მღიდარი სლუასა შინა თვისსა დაჭნეს (იაკ. 1,11); გვრგვინი დავიღვით ვარდისა რტოთაი ვიდრე დაჭნობადმდე (სიბრძ. 2,8); დაჭნობილი (სარხ.

<sup>31</sup> ე.თოფრთა უძეულეს თემისნიშნად აბ-ს უშვებდა: შეე + აბ → შეაბ → შობ: ფუილერკად ზნნათა სუუიქსაციისათვის. I: თემ. 3. 1936. გვ. 228.



1264b); დაუქნობელი (სინ. 203,20; სკან. 387b).

### 7. ოჲ თიჲისნიშინანი ზენაბი

ყოფა. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ზნა ქართულში, ძველსა და ახალში (ძველში განსაკუთრებით). ამავე დროს იგი ერთადერთია ჩვენს ენაში, რომელსაც ოჲ თემის ნიშანი აქვს. ამ ზნის ძირია ყავ. თემის ნიშნის დამატების შემდეგ ხდება ფონეტიკური ცვლილებები: ოჲ სუფიქსის ო ხმოვანი ამოიღებს ძირისულ ა-ს, ხოლო შემდეგ ო-სთან დარჩენილი ე-ც იკარგება: ყავ-ოჲ → ყე-ოჲ → ყოჲ. აქედან საწყისის ა-ს დამატებით მიღებულია ყოფა. ეს ზნა უფრო ხშირად უზნისწინოდ იხმარება, მაგრამ არაიშვითად ზნისწინებსაც დაირთავს და განსხვავებული მნიშვნელობით გამოიყენება: განყოფს, განყოფა; დაყოფს, დაყოფა; მიყოფს, მიყოფა; შეყოფს, შეყოფა; შთაყოფს, შთაყოფა... მდიდარია საწყისებითა და მიმღებებით.

კეთილ არს ჩუენდა აჲ ყოფაჲ (მ. 17,4); რომელი მაქუნდა მე წინაჲ შენსა უწინარეს ყოფისა ჩემისა სოფელსა აჲს (ი. 17,5); ყოფით ვყო შენ ზელა წყალობაჲ (2 მეფ. 9,7); ოდეს ყოფად არს ესე (მ. 24,3 C); შევიდა დაყოფად მათ თანა (ლ. 24,29); მოვედ განყოფად კაცი მაჲისაგან (მ. 10,35); მყოფნი (ლ. 2,8 C); განყოფელად (ლ. 12,14); ყოფილი (მრ. 13,29).

### 8. ი თიჲისნიშინანი ზენაბი

აქამდე ისეთ საწყისებს ვიხილავდით, სადაც საწყისის მანარამოებელი ა სუფიქსის დართვა ზნაში რაიმე ფონეტიკურ ცვლილებას არ იწვევდა, ზნის ფუძეცა და თემის ნიშანიც ხელუხლებელი იყო: ბრძან-ებ + ა → ბრძანება, კურთხ-ევ + ა → კურთხევა, ც-ემ + ა → ცემა, მიცემა, წყ-ობ + ა → წყობა. თუ სადმე ფუძე შეკუმშულია, ეს ა-ს დართვამდე ხდებოდა, თემის ნიშნის მიერ იყო გამოწვეული: ჭენ + ობ → ჭნობ, ცან + ობ → ცნობ.

სულ სხვა სურათი გვაქვს ი, ავ. ამ თემისნიშნის ზნებში: აჲ ა სუფიქსის დართვა იწვევს თემის ნიშანთა ხმოვნების (ი-სა და ა-ს) ამოღებას, რის გამოც ი თემისნიშნის საწყისებში სულ გამქრალია თემის ნიშანი, ხოლო ავიანსა და ამანებში ა-ს დაკარგვის შემდეგ დარჩენილია მხოლოდ თემის ნიშნის თანხმოვითი ნაწილები ე და მ: გამოსცდ-ი → გამოცდა, ჰეარ-ავ → ეარება, სდვ-ამ → დგმა, დადგმა. გარდა ამისა, ავიან ზნებს ახალ ქართულში სხვა, ახალი, ცვლილებაც დაემატა, მაგრამ ამაზე ქვევით, თვით ავიანი ზნების განხილვისას. ახლა კი ენახოთ ი თემისნიშნის ზნათა საწყისების ნიმუშები.

გვა: უბრძანეს მას გამოგვაჲ ლეემლისაჲ (ლიმ. 43,12).

გზავნა: მაშინ წარმოუთხრა ყოველივე საქმ წმიდისაჲ მის და გზავნაჲ მათი და ვითარ-იგი განარინნა საშნი იგი კაცნი (ისტ. ქრ. II, 71,15); ყოველი გზავნაჲ თქუენი ცხად არს წინაჲ ჩემსა (მამ. ცხორ. 269,28); ესევითარსა კეთილსა განზრახვასა და გზავნასა მისსა პოენა მიყუასნი კეთილნი (ხანძთ. 102,27); ინება გავზავნად მის თანა საემარსა მისსა (მ. ცხ. 195v); გუნებავეს პატივითა წარმოგზავნაჲ თქუენი (ურთ. 98,15).

ზრდა (ჭმევა, კება): მოიხსენე სულიერი ზრდაჲ (რიფს. 172,27); მუნ უბრ-

ძანი ყოიანსა გამოზრდაი შენი (სინ. 128,6); ვითარ შეუქლო გამოზრდად და შემოსად ასულისა შენისა (მ. ცხ. 132v); შხარდელი (მ. ცხ. 328r); შხარდელი (დაბ. 35,8 O; ბაღ. 10,23); შხარდელი (სწავ. 190,23); გამოზრდოსა (სწავ. 190,23).

თხრა: ითხოვეს ჩუენგან, რაითა თავს-ვიღებდეთ დათხრასა (ექესთ. 57,32); ხელისგან მსთუად მიკრებთ თხრად ბირცუსა მას ოდენ (სინ. 68,21); სადა იპოვის ადვილი ნელი, დათხრად სციის მრავალთა კელითა (კომ. II, 197,22); მოთხრად (ექესთ. 58,2).

შეყსა (მოელა, პატრონობა): რომელსა ეგულებიშ შეყსაი ყოველთა წარმართთაი კურთხითა რკინისაითა (გამოცხ. 12,5); შეყსით გმეყსილენ თქვენ მკენიერებით (იერ. 3,15); ვერ შეძლებელ იყო შეყსად სამეყსოსა მისსა განსუენებად (სინ. 266,11); დამეყსოლ (იაკ. 3,7).

ოხრა (დიდი ხმაური): მას შინა ოხრიან ემანი შემაკალინი (უქვ. რედ. 164,2); ოხრიდა ყოველი იგი ქალაქი მათ ზედა (რეთ. I, 19); ვითარცა ნესტვ ოხრილეს (იერ. 48,36); ვითარცა ზღუაი ოხრილენ (ეს. 47,12); სადა არს ნესტვ ანუ ემაი ანუ ოხრაი მისი (კომ. I, 134,32); მეყსეულად შეძრწუნდეს უფესკრულინი დიდძალითა ოხრითა წყლისაითა (ფს. 76,18); იყოს... ქუეყანასა ზედა შეკრებაი თესლებიშაი განკრებებითა ოხრისაითა, ვითარცა ზღვსაგან და ძრვისა (ლ. 21,25).

ფრდა: რომელი განსაზღვრინ ნათესავთა სიძვისათა (ნაუმ. 3,4); ჟამსა თქვენ გამოიფრდით (დან. 2,8); რომელინი ძნიად ფრდილენ იფქლსა (იგავ. 11,26); განყოფრდებით მე და ერი ჩემი წარწყმედულად (ესთ. 7,4 M); ძენი ოუდაისნი და ისრაელი—ესენი ვაჭარ შენდა იფქლისა ფრდითა (ეზექ. 27,17 წ; იფქლისა ფრდასა შინა: იქვე. წ); განფრდილ (წარტყ. 4,28); მოფარდულთა (ი. 2,16 DE). ამ ფუძის ძრითადი ძნიშენილობა გაყოფდა. აქედან არის მიღებული დღევანდელი შეფარდება (საჭინლისა და ფასის მიმართება), ფარდული — პატარა გასაყიდი დუქანი, ფარდი — ტოლი, თანაბარი (აქ: ღირებულებით).

ფხურა: უკეთუ ებოლი აღმოფხურად არს (ისტ. ქრ. II, 40,11); იწყო... მოფხურად თმათა მისთა და ტყეზად (მ. ცხ. 207v); იქმნენ ივინი ვითარცა თივაი ერდითა, რომელი მოფხურადმდევე განემის (ფს. 128,6 წ; მოფხურამდე წ).

ყრა: მისი გამოყრაი არს და შენი განყრაი (მ. ცხ. 296r); განყრაი და აღყრაი და გამოსხმაი და გულისა შეძრწუნებაი და მუკლთა დაცხნაი და საღმობანი ყოველთა წელთანი (ნაუმ. 2,10/11 O); უბრძანა ძმასა მას... მოყრაი ორმოცდაათისა მუკლისაი (მ. ცხ. 135r); ბრძანა შეყრაი მათი სახლსა შინა ერთსა (ურთ. 120,34); ნუ ისწრაფი ფურცელთა გარდაყრასა და გარდათუღვასა ოდენ (სწავ. 21,11); ყრასა ცხრილისასა დაშთის ნაცხრენი (ზორ. 27,4 O); მიყრასა მას მარჯუნისა ფერყისა მისისასა წარსკარდა მუკლის თავითგან ფერყი (კომ. I, 149,7); მტერი არა ოდეს დასცხრების შემოყრად სახლსა შენსა ყოველსავე უშუერებასა (მ. ცხ. 296r).

ყდა: კითხა ერთმან მათგანმან შეჯულის მღებულმან გამოცდით (მ. 22,35 C); რომელი-იგი განცადეს გამოცდითა (კურთხ. მოს. 142,20); მაშინ იესუ აღიყვანა სულისა მისგან უდაბნოდ გამოცდად ეშმაკისაგან (მ. 4,1 C); ვერ შეძლებელ ვარ განცდად მომეკლისა მის ჭირისა ამოისა ამას სოფელსა (საქ. წ. II, 52,21); გამოცდელი (მ. 4,3); გამოცდილ (ქ. ცხ. 44,10).

ჭრა: იქმნა აღჭრაი ეკლესიათაი (უდაბ. 32v); ეასების... დაჭრაი ასოთა თვისთაი (მ. ცხ. 49r); მიცემად მათა სიკუდილსა და აღჭრასა ყოველისა ქუეყანისასა (ივდ. 2,6); დაჭრილ (ეს. 15,2); აღსაჭრულად (იერ. 15,13); დამჭრულინი (ისუ. 6.

10,20 G).

ჯრწნა / განხრწნა: უკუეთუ შზე ესე, რომელი განხრწნასა ქუეშე არს, ესრეთი შუენიერ არს (უქვ. რედ. 78,14); რაი უმჯობს არს: ჯუაროსა აღსაარებაი ანუ მრუეშებაი და ყრმათა განჯრწნისა შეხებაი (უდაბ. 29v); არაწმიდებისათჳს განიჯრწნენით განჯრწნით (მიქ. 2,10); ჯრწნით განიჯრწნე შენ უთმინოებითა (გამ. 18,13).

ჯსნა: ყო ვსნაი ერისა თვისისაი (ლ. 1,68); გამოჯსნაი მტერთაგან ჩუენთა (ლ. 1,71); მეფემან შექმნა წოგინი და წარამოსცა, რომელსა წერილო იყო განჯსნაი ექსოროზისა ჩუენისაი (სევან. 259a); მეუღლთა დაჯსნაი და სალმობანი ყოველთა წელთანაი (ნაუმ 2,10/11/); რომელი-იგი მარადის ეშურების დაჯსნასა ჩუენსა (წარტყ. 7,7); რომლისა ვერ ღირს ვარ განჯსნად საბელთა მისთა (მრ. 1,7); დაჯსნილი (სინ. 92,8); დაძესნელ (კიმ. 1, 189,38).

ჯმნა: პირველად მიბრძანე ჯმნად სახლეულთა ჩემთაგან (ლ. 9,61); აწ გამცნებ თქვენ შემდგომად ჯმნისა ჩემისა ჯორცთაგან, მშედობაი თქვენი დაამკდრეთ სახლსა მას სტაქესსა (ამოკრ. 10,22); იწყო თითოეულმან ყოველმან ჯმნად (ლ. 14,18); ჯმნულ (მამ. ცხორ. 52,20); უჯმნულად (სინ. 43,9).

### 9. აქ თემისნიშნანი ზმნები

როგორც ზემოთ ითქვა, ავ (აგრეთვე ამ) თემისნიშნანი ზმნებში საწყისის მაწარმოებელი ა სუფიქსის დართვისას იკარგება თემისნიშნისეული ა ხმოვანი და რჩება მხოლოდ ვ (და მ) თანხმოვანი: ბარ-ავ- ბარვა, თეს-ავ- თესვა, ზრუნ-ავ- ზრუნვა, მარხ-ავ- მარხვა, წორ-ავ- წორვა და სხვ. ძველ ქართულში ამჟამ წესს ემორჩილებოდა ყველა ავიანი ზმნა გამოუკლებლად. ახალ ქართულში ძირითადად ეს წესი დარჩა, მაგრამ ავიანი ზმნების ერთ გარკვეულ ჯგუფში ახალმა ფონეტიკურმა მოვლენამ იჩინა თავი: თემისნიშნისეული ა ხმოვნის ამოღების შემდეგ მოხდა ე-ს გადასმა და მივიღეთ: კლ-ავ-ა- კლვა- კლა, კრ-ავ-ა- კრვა- კრა, ფლ-ავ-ა- ფლვა- დაფელა, მუსრ-ავ-ა- მუსრვა- მუსერა, ვნ-ავ-ა- ვნვა- ვენა და სხვ. ამგვარად, ძველი ქართულიდან მომდინარე ავიანი ზმნების საწყისები ახალში ორ ჯგუფად გაიყო: ერთში ვ დარჩა თავის ძველ ადგილზე (ბარვა, ხატვა, ზრუნვა), ხოლო მეორეში გადმოისვა წინ და მივიღეთ: მოკლა, ხენა, დაკრა, შემუსვრა და სხვანი.

როდის ხდება ეს გადმოსმა? რა ფონეტიკურ პირობებში ვერ ძლებს ვ თავის ძველ ადგილზე და გადმოისვინა წინ? სამეცნიერო ლიტერატურაში ამაზე მოცემულია ზუსტი პასუხი: "დადგენლია ქართულისათვის ე-ს გადასმის კანონზომიერება გარკვეულ შემთხვევებში, სახელდობრ:

სონორული თანხმოვნების რ-ლ-ნ-ს მომდევნო ვ გადმოისმება რვერესულად, როცა ამ სონორულ თანხმოვნებს წინ უძღვის ბავისმიერი, წინაენისმიერი ან უკანაენისმიერი ჩქაბიერი თანხმოვანი, მაგ.:

დაფლვა > დაფელა, გასაანვა > გასაანვა, (ა)თრეამეტი > თერამეტი, დათრვა > დათერა, ნატრვა > ნატერა, შენიშნვა > შენიშენა, შეკრვა > შეკერა, მოკლვა > მოკელა, ჩაგრვა > ჩაგერა, ხნვა > ხენა, ხრვა > ხერა და სხვა"<sup>116</sup>.

ამის გამო სათანადო მავალითებს წარმოვადგენთ ორ ჯგუფად: პირველი (A)

<sup>116</sup> გ. ახელუანი, ზოგადი ფონეტიკის საუკულები, ვვ. 207.

გვერდის საწყისებში ეახალ ქართულში თავის ძველ ადგილზეა. ხოლო მეორე (B) გვერდისაში ვადმოსვლია წინ; აქაც საწყისებთან ერთად ნაჩვენებია იქნება მისი ახლობელი გარემო — პირიანი ფორმები (აქა-იქ) და შესაფერი მიმღობები.

A:

ზრუნვა: არაააა ზრუნვა გიც კისთვსვე (მრ. 12,14); ზრუნვამან ამის სოფლისამან ... შეაშოვის სიტყუა იგი (მ. 13,22); ნუკუეე დაძძმდენ გულინ თქვენნი ზრუნეთა ამის სოფლისათა (ლ. 21,34); მათ იწყეს ზრუნვად და სიტყუად მისა თითოეულმან (მრ. 14,19 C); ზრუნენი ამის სოფლისანი და საცთური სომღიდრისა შეუკდის (მრ. 4,19); ზრუნეთათგან და სომღიდრისა და გემოთათგან ამის სოფლისათა ვლენდ და შეაშოიან (ლ. 8,14); მზრუნველნი (H-622, 36); უზრუნველ (მ. 28,14).

თესვა: ას ესერა გამოვიდა მთესვარი თესვად. და თესვასა მას მისსა რომელიმე დეარდა ვზასა ზედა (მ. 13,3,4); მთესველი (ი. 4,36 C); დათესილი (მ. 13,19 C); განთესულთა (ი. 7,35).

დათრგუნვა: ერსა ჩემსა ზედა უბრძანო ტყეენვა და აერობა და დათრგუნვაა ქლასთაი (ეს. 10,6); დღს შეძრწუნებისა და წარწყმედისა და დათრგუნვისა და ცთუნებისა უფლისა მიერ საბაოთისა (ეს. 22,5); არღარა საყმარ არნ მიერიოთან, არამედ აღებად და განგდებად გარე და დათრგუნვად კაცთა მიერ (მ. 5,13); დამთრგუნველნი (ფს. 56,4); დასათრგუნველად (მიქ. 7,10); დათრგუნვილ (სინ. 256,25).

(შე)თხზვა (დაწენა, დაგრესა): რომელ-ესე არს არა გარეშთა მით განთხზითა თძისათა და ოქროისა შესხმითა (1 პეტ. 3,3 5); მნებაეს შეთხზვად შენდა გვრგვნი (ლმ. 1,24); შეთხზული (ბალ. 83,20).

კითხვა: კითხვაა არქეთ ყოველთა წინამძღუართა თქვენთა (ებრ. 13,24); წმინდათა წერილთა აღმოკითხვა (მ. ცხ. 14r); ესმა ელისაბედს მოკითხვა მარია-მისი (ლ. 1,41); ეძინოდა კითხვად მისა (მრ. 9,32); მრავალი მატეს თქვენდა სიტყუად და განკითხვად (ი. 8,26); ნუ გცონინ მეორედ და შესამედ და უფროისა მისა ქცევად და კუალად წარკითხვად (სწავ. 21,14); მკითხველთა (კურთხ. იაკ. 56,9); საკითხავსა (2 კორ. 3,14); აღმოკითხულ (იქვე. 3,2).

ლოცვა: უყუარნ შესაკრებელთა შორის და უბანთა ზედა დგობა და ლოცვა (მ. 6,5); იყო ლოცვასა მას მისსა ზილვა პირისა მისისა სხუა (ლ. 9,29); კითარცა დასცხრა ლოცვისაგან (ლ. 11,1 CE); მარხეთა და ლოცვითა მსახურებდა დღე და ღამე (ლ. 2,37 C); აღვიდა მთასა ლოცვად (მ. 14,23); სასმენელ იქმნეს ლოცვანი შენნი (ლ. 1,13 C); მლოცვი (მ. ცხ. 303v); მლოცველნი (გოდ. 4,7); სალოცველ (მ. 21,13). ძველსავე ქართულში გეხვდება შე ზმნისწინიანი ფორმა, რომელსაც სხვა მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ზმნის ფორმა და საწყისი სრულიად ისევე ეწარმოება, როგორც საერთოდ გავრცელებულ უზმნისწინო ლოცვა-ს: იყო... დედაკაცი ერთი მისანი, შეულოცვიდა იგი და დაუწერდა, დაწერილსა მკერდსა მოკიდებდა (ამ. ცხორ. 308,3); ვაი არს მათა, რომელნი შეულოცვით კურნებას ეძიებენ (სწავ. 47,24); არა მივიდა იგი კითხვად და კურნებად მისანთა და გრძნეულთა, და არცა შემლოცველთა (სწავ. 47,21).

(და)მარხვა: იყენეს მოწაფენი იოვანესნი და ფარიცველნი მარხვასა შინა (მრ. 2,18); ესე ნათესავი კურარათი შესაძლებელ არს განსლვად. გარნა ლოცვითა და მარხვითა (მრ. 9,29); ვერ ველ-ენიფების ძეთა სიძისათა... მარხვად (მრ. 2,19); ასწავებდით მათ დამარხვად ყოელისა, რაოდენი გამცენ თქვენ (მ. 28,20 C); მიგუც

თქვენ დამარხვად ყოველთა დასაბამთა ჩემთაი (რიცხ. 18,8 C); მმარხველ (მ. 6,18 C); დამარხულ (ისტ. ქრ. I, 255,12).

როკვა: სინდა ჰეროდეს როკვაი მისი (მ. 14,6); არა უწყიან, ვითარმედ... როკვისაი არს სწაელადი (უძვ. რედ. 53,15); იწყო როკვად (ლომ. 130,2); დასხდეს სუმაღ, და წარმოუდეს პროკვალნი როკვად და მახიობელნი იგი სუმასა ზედა საქიქელსა ხილვად (სინ. 206,4).

ტანჯვა: ტანჯვა ცხენსა და ღებუ ვირსა (იგავ. 26,3); იყო რაი იგი ტანჯვასა შინა (ლ. 16,23); რომელმან...ქმნეს ღირსი რაიმე ტანჯვისაი, იგუგოს მტირედ (ლ. 12,48); წყალი შენი ჭირით და ტანჯვით სუ (ეზექ. 12,28 O); მოხუდელ აქა უწინარის ფამისა ტანჯვად ჩუენდა (მ. 8,29); გწადის, ვითარმეცა უსერესნი ტანჯვანი შეეგმთხენეს (კომ. I, 142,4); მტანჯველთასა (მ. 18,34 D); ტანჯული (მ. 8,6 C); უტანჯველნი (სინ. 209,27).

განმარცუვა: არცა ჰირველად ეგებოდა მეუციისა მის განმარცუვად და მაშინდა ვორცთა შენთაგან განძღებად (საქ. წ. II, 64,19); არა გენებს განმარცუვად (2 კორ. 5,4); ბაგინთ-მარცუველ (საქ. წ. II, 36,18); განმარცუვოსა (ფილიპ. 7,6).

წირვა: მას ფამსა...არღარა არს სინანული და არცა შეწირვაი ცრებლთაი (წარტყ. 34,11); აღასრულებს ფამის-წირვასა სამ ფამს (ლომ. 11,5); გარადამოვდა შემდგომად შეწირვისა მის მსხუერპლისა (ლევ. 9,22); რომელნი თავ-განწირვით ვლენან ზღუასა შინა და ვმელსა ქეუყანასა შორთა გზათა (სწავ. 156,8); შეკრბეს... შეწირვად მსხუერპლისა დიდისა (მსაჯ. 16,23 M); შემწირველნი (ზაქ. 14,2); შესაწირავი (დან. 2,46); შეწირულ (კომ. I, 217,1).

ხედვა: მრავალთა ბრძათა მიამაღლა ხედვაი (ლ. 7,21); მოხედვაი მათ ორთაი-ვე ყოს უფალმან (იგავ. 29,13 O); არა გულისხმა-ყავ ფამი მოხედვისა შენისაი (ლ. 19,44); რათა ხედვით ქხედვიდენ და არა იხილონ (მრ. 4,12); იწყეს ხედვად (ეზრა ზორ. დ.33); შეაბილწნენ მიხედვანი ჩემნი (ეზექ. 7,22); მხედვარი (მრავ. 297,26); მხედველთა (ეზექ. 28,18).

ხილვა: უნდა ხილვაი მისი (ლ. 9,9); აღხილვაი იგი მათი და რიცხუ იგი მათი (რიცხ. 3,22 pb); ნუვის უთხრობთ ხილვასა ამას (მ. 17,9); მეძიებდით მე არა თე სასწაულთა ხილვისათეს (ი. 6,26 C); მრავალთა წინაწარმეტყუელთა და მუფეთა უნდა ხილვის და სმენად (ლ. 10,24); იყო ყრმაი იგი შუენიერ ხილვითა (ესთ. 2,7 M1); რაისა გამოხუდლით ხილვად (მ. 11, 8,9); განხილვად მათთვის განსასუენებელისა (რიცხ. 10,33 pb); მხილველო (ამოს 7,12); ხილულთა და უხილავთა (შუმ. 3,10); სახილავი (სწავ. 22,25); სახილველად (მ. 23,5).

დაესვა, დაეშვა: ბრძანა უფალმან დაეშვაი საშოისა მისისაი (I მეფ. 1,5); ჰურათაგან დაეშვასა მას იტყეს (სინ. 157,16); დაესვისათეს ძუქუთა საცხოვართაისა და სძისა არა გამოსლვისა (მამ. ცხორ. 55,5); დაეიწყდა დაეშვად კარი სარკუბლისაი (კომ. I, 24,12); ისწრაფეთ და ილუაწეთ კარისა მის დაეშვაძმდე (წარტყ. 29,24); დაეშულ (ლ. 14,7).

## B:

ამ ჯგუფში, როგორც აღნიშნული გეჰქონდა, შემოდის ისეთი ავიანი ზმნები, რომელთა საწყისებშიც ვარკვეულ ფონეტიკურ პირობებში დღეს ე გადმოსმულა: შეკრავს→ შეკრვა→ შეკერა, აღსძრავს→ აღძრვა→ აღძვრა და მსვაენნი. ვნახით საილუსტრაციო მაგალითები ზემოთ მიღებული რიგით:

კლვა: არა ქმნა კლვაი სახლსა შინა (2 მეჯ. 22,8 G); ეკულებოდა მოკლვაი

შენი უფალსა (2 ნეშტ. 25,16); ადგილი იგი მოკლეისა მათისა (ურთ. 19,5); არა მოკლათ იგი მოკლეთ (დაბ. 37,21); რადეს ღირდა ასსქათ იგი დაკლავდ (ლ. 22,7); სულს ვერ კელ-ენიოების მოკლავდ (მ. 10,28); მკლევარი (სინ. 213,37); მოკლულ (კურთხ. მოს. 196,20); საკლევები (დაბ. 43,16). დღეს გვექნება: მოკლა, მოკლით...

კრვა: მწრაფლ უბრძანა გუგმა მისი და შეკრვა (ისტ. ქრ. I, 245,12); ვერცა გატვთა ვერღარავინ უძლის შეკრავდ მისა (მრ. 5,3 C); კრულ (მ. 16,19); შეკრულ (სინ. 100,20,21); საკრვლითა (იქვე). დღეს: შეკრა...

მუსრვა: პირი უგუსურისაი შემუსრვა არნ მისდავე (იგავ. 18,7 O); შეიქნა მუსრვაი დიდი ერსა შორის მას დღესა (2 მეფ. 18,7 O); შემუსრვითა დიდითა შემუსრა (იერ. 14,17); მოწაფეთა მისთა შექმნა და იწყეს მუსრვად თავსა კუვილისასა (მ. 12,1); შემუსრვილ (საქ. წ. II, 90,4). დღეს: მუსრვა, შემუსრვა...

მონათლვა: არცა აქუს კელმწიფებაი მონათლვად მონისა (H-622, 36v). დღეს: მონათლვა.

(შე)ნიშნვა: შენიშნვა არს (ლევ. 13,6 G); ესე არს შვეული ყოველსა ზედა... ბრძვლსა და შენიშნვასა და აელეებასა (ლევ. 14,56). დღეს: შენიშნვა.

(მო)სრვა: მოსრვაი ცოდვილთაი იხილო (ფს. 36,34); აქენდა ჭურჭერი მოსრვისაი კელსა მისსა (ეზეკ. 9,1 O); უკუეთუ მოსრვით მოსრნეს უფალმან...წარმართნი იგი (2 შჯ. 19,1); მოწყვლოს ერისა მაგისგან შენისაი მოსრვითა დიდითა (2 მეფ. 17,9); არღარა შესძინოს უფალმან ნათესავი ესე მოსრვად (ისუ ნ. 23,13 pb). მომსრველი (გამ. 12,23); მოსრულნი (რიცხ. 25,9). დღეს ეს ზმნა აღარ იხმარება. მოსვრას სხვა მნიშვნელობა აქვს.

ფლვა: ვითარცა არს ჩუეულებაი ჭურითაი დაფლვასა (ი. 19,40); მიესცნე უკუთურნი დაფლვისა მისისა წილ (სინ. 156,11); ფლვით ვირებრ დაეფლას (იერ. 22,19); თუ ვინმე თავი მოიკლას ქრისტოს მათისათვის, მოიპაროან გუამი მისი, მატვიცტიან მას დაფლვითა (ამო 172,3); მიბრძანე პირველად მისლვად და დაფლვად მამისა ჩემისა (მ. 8,21); საფლავ და დამოკლველ (უდაბ. 40ra); დაუფლველად (მარხ. 1207a).

ძრვა: ძრვა იყო დიდი ზღუასა შინა (მ. 8,24); აღძრვაი ზღვსაი ყოფად არს დიდი (საქ. წ. II, 140,18); მუშინოდის ჩუენ ძრვასა ქუეყანისასა (ფს. 45,3 ლ); ბრძანა უფალმან შეძრვაი ქუეყანისაი, და ივინი არცალა შეძრვისა მისთვს ქუეყანისა დაემარჩილნეს უფალსა (სინ. 150,12,13); ძრვით იძრას ადგილი იგი, რომელსა შენ სდგა (იედ. 6,14); ვერ ეტლო ასოთა მისთა განძრვად (ეზეკიარსა ზედა (Sin. 11, 329v); და იქმნნეს ძრვანი დიდ-დიდნი და სამინელნი (ამოკრ. 7,38); აღძრული (ურთ. 42,3). დღეს: აღძერა, დაძერა, მიწისძერა.

ვნვა: არა იყოს ვნვა, არცა ლენვა (დაბ. 45,6); ყოველი მთაი ვნვით მოივნას (ეს. 7,25); მვნველი (ლ. 17,7); დავნულ (2 შჯ. 21,4 pb); უვნავსა (მ. ცხ. 218r). დღეს: ხვნა, მხვნელი.

#### 10. და თავისნიშნავანი ზანავი

ამანი ზმნებიც, როგორც აუანნი, საწყისის მაწარმოებელი ა სუფიქსის დართვისას კარგავენ თემისნიშნისეულ ა-ს და საწყისში მხოლოდ მ ჩრება: აბამ—დაბამ, აღუთქუამ—აღოთქუამ, სუამ—შესუამ, დაასხამ—დასხამ...

ამანი ზნები ძალიან ძველი წარმოშობისაა, მათ ბევრი ძველი თვისება და თავისებურება აქვთ შენარჩუნებული. უპირველეს ყოვლისა, ამ თემისნიშნანი ზნა ცოტაა, მათი რაოდენობა ოცამდე ვერ აღწევს. ჩვენ საუბარი გვექნება თითქმის ყველა მათგანზე.

ამ თემის ნიშანი, ძველი მარაგის გარდა, არც ერთ ახალ ზნას არა აქვს (შდრ. ზოგიერთი თემის ნიშნის ხშირი გამოყენება ახალი ზნების საწარმოებლად: დაპროექტება, დაკონკრეტება, გაკონტროლება... მოკალევა, დაპრესვა, დატბორვა, მოქრთამვა...). ის კი არა, ერთი ამანი ზნა ახალ ქართულში ავიანად გადაკეთდა. ძველად იყო: ნთქამს, დაანთქამს, შთანთქამს, შთანთქმიდა... ახლა კი არის: ნთქავს, შთანთქავს, შთანთქავდა, შთანთქავდეს. ეს კია, რომ საწყისებსა და მიმღებებში დღესაც ძველი, ამ სუფიქსიანი, ფორმები დარჩა ხელუხლებლად. ძველისა და ახლის ბუნებრივად შერწყმითი აიხსნება ეს უცნაური ამბავი: ზნის პირიან ფორმებში ავ სუქსის ნიშანია (ახლის მოძღვებით), ხოლო საწყისსა და მიმღებებში კვლავ ძველებური ამ დარჩა: დანთქავს, მაგრამ: დანთქმა, დანთქმული, შთანთქავს, მაგრამ: შთანთქმა, შთანთქმული! მიღებული სქემის მიხედვით ენახოთ ამანთა საწყისები.

ბმა: 1. აბმა, აღბმა (ხეზე) ჩამოკიდება: ბრძანა დიკონისაი მის ძელსა აბმაი (Sin. 8, 358v); არარაი ველ-ენიყების, არცა აღბმაი ძელსა, არცა პყრობილებაი (ეგესტ. 145,18).

2. გაბმა, გამობმა, დაბმა, შებმა: სამოსელსა მათსა განაბმიდეს საბლებითა (ამოს 2,8); დაიბნენ ძირნი ქუე კერძო (ეს. 37,31 O); გამოაბას ვენაჲსა კოცე მისი (დაბ. 49,11); შექვესითა ქრისტსითა მე. ფარნავაზ, და აზარუხტ შეხუბთ ესე კარი სალოცველად სულთა ჩუენთათვის (ისტ. ქრ. 1, 14).

3. შებმა: შეება მეყემან რაფიკი სამარადისოი ტაბლისავან სამეფუიისა და ლუინოი, მეფიისა სასუმელი (დაბ. 1,5 ლატ. = დაუნიშნა, შეაწერა); რომელნი-ოგი მამად გამოჩინებულ, რომელნი მახვლსა ბარკალ-სხვლთა შებმად შექძლებულ არიან (იბოლ. 27,83 = схватиться /ნ.მარი/); მოსე შემობმით იტყვის (ქურთხ. მოს. 190,12 = მიყოლებით, დართვით, დამატებით).

4. მობმა, წარბმა თოკობმული (საქონლის) მოყვანა, წაყვანა: ვისცა უნდეს, შეეჯღოს და აქსნის კარაულსა და წარობამს (ნოე. 1, 4,1,15); მოიბნა ათნი აქლემნი სააქლემოით უფლისა თვისისაით (დაბ. 24,10 პარიზ. ლექს.).

5. დაბმა დაწყება: ოდეს აღესრულა (თ)თუქ ოგი გორპიოსი, მაშინ დაბა მიდგომაი ელისაბედ (მრავ. 272,27; სვან. 32a). აქედან: დასაბამი — დასაწყისი: დასაბამი სოფლისაი არს წყალი, დასაბამი სახარებისაი იორდანსი არს (სინ. 85,16. თავის მხრივ, აქედან: დასაბამითგანი — თავდაპირველი, პირველადი; დასაწყისში, თავიდანვე, იმთავითვე არსებული: ნათესავი კაცთაი კულად მიიღებს დასაბამითგანსა მას პატივსა (სინ. 9,4); აქედანვე დაუსაბამო — უსაზღვრო, უსასრულო (სიტყვისიტყვიით: რასაც არა აქვს დასაწყისი, დასაბამი).

დასასრულ, დაეძნეთ, რომ განსახილველი ზნის საწყისი — შებმა — ხშირად იხმარება რთული ზნების პირველ შემადგენელ ნაწილად. მაგალითად: შებმასუყოფდა თითოეულად კაცი მოყვასსა თვისსა (2 მეფ. 2,16); შებმა-უყავ მას და შუიკარ ვეე (ტიობ. 6,4); დიდითა ძლითა შებმა-უყო სამოსელსა ჩემსა (იობ 30,18); მარბაიდა მკესეულად და შებმა-უყო მესყესა მას (კომ. 1, 154,28); სა-ულ შებმა-უყო სამოსელსა მისსა, რაიდაჲ დაყენა იგი მის თანა (1 მეფ. 15,27 = ხელი, სტაცა, მოქანა მისი ტანისამოსი, რომ გაფრერებინა მასთან); განუტევენეს მის ზელა ორნი იგი

ლონი, მის შესთქრეს მას ორკრახითვე თითოეული და შებმა-უყეეს წმინდასა მას ყელსა მისსა და მოაშთეეს იგი (აღწ. 182,10 = ეცნენ ყელში და მოახრჩვეს).

ეს ფუქე რთულ ზნაში მო ზნისწინითაც იხმარება: მობმა-უყო რქათა მათ საკურთხეველისათ (3 მეფ. 2,28 = ჩაეჭიდა).

ღმა: უნდა შეღება მისი და დაღმა წინაშე მისა (ლ. 5,18); წარღმა ფერკისა უთხრობნ მას (ზორ. 19,27 O); უმჯობე არნ შენდა ... ორთა ყელთა ანუ ორთა ფერკთა ღმასა (მ. 18,8 C); დღესასწაული კარვის ღმისა (ზაქ. 14,16 pb); უნდა შეღება მისი და დაღმად წინაშე მისა (ლ. 5,18 D); არცა შეუფმან, არცა სხუამან მძლავრმან თუალთ-მოდგმად უძლოს შენდა (სიძრძ. 12,14); იქნა სამისნო იერუსალმსა ზედა მოღმად ჰატენი... და ამღლებად ემა ყვილსა თანა ნესტუსასა, მოღმად ჰატენი ბქეთა ზედა მისთა (ეზექ. 21,27<sup>14</sup>); ვერ შემძლებელ იყენეს თუალთა შეღმად ძენი ისრაელისანი პირსა მოსსსა დიდებითა მით პირისა მისისათა (2 კორ. 3,7); დაღმული (იერ. 5,27 O); დასაღმულნი (გამ. 37,17).

თქუმა: მეფისა თქუმა მსგავს არს ბრდღუნასა ლომისასა (იგაე. 19,12); მე მოვიღლო თქვენ აღთქუმა იგი მამისა ჩემისა (ლ. 24,49); შემუსრის თქუმა მან გული გონიერისა (იგაე. 17,10 O); მოქხედე თქუმასა ამას მათსა ზედა (მოც. 4,29); ესე არს სისხლი ჩემი ახლისა აღთქუმისა (მ. 26,28); თქუმულ (მ. 5,21 C); აღნათქუმსა (ისტ. ქრ. 1, 47,18).

(და)ნთქმა: ვაჭრობათა თანა დანთქმა /იპოების/ (H-2251,29r); ძვრისზრახვა ტეფონისი და კრიზიდსი სიელტოლა და შვილთა შთანთქმა და მამისა კლეისა ზღაპრობა (მამ. ცხორ. 44,25); იყო ძრეასა მას ოდენ და დანთქმასა საკურპოისასა ... საშინელება დიდ ყოველსა მას კაცებსა ზედა (კობ. 1, 157,22); დააყენა წყალი არა შესლვად ნავსა და განარინა იგი დათქმისაგან (საკ. წ. II, 30,22); შეეშინა და იწყო დანთქმად (მ. 14,30); მიერიოვან არღარა უტეოს შთანთქმად საშინელისა მისგან ექმისა (სინ. 88,28); დანთქულ (გამოცხ. 12,1 თ); დანთქულ (კურთხ. მოს. 184, 18); შთანთქული (სინ. 163,30).

(მი)რთუმა: დაკედრი მირთუმა წყლისა (მ. ცხ. 183r); მორთუა მას თესლი შებეჭდული ბეჭდითა საღმრთოითა მორთმად ადამისა (ლოც. ქრ. 6,5); მომრთუმულთა (მრ. 10,13 C).

რთხმა: განყო ველი თვისი მარჯუენე ისრაელმან და დასდვა თავსა ზედა ეფრემისსა, მრწემისა მძისასა, და მარცხენე თავსა ზედა მანასესსა, ველი ერთიერთსა ზედა გარდართხმით აკურთხნა ივინი (კურთხ. იაკ. 46,6); მომრთხმულნი (ფს. 77,9); მართხმულ (ეს. 5,28); განრთხმული (ესექ. 2,9<sup>14</sup>); გარდართხმული (ექქსით. 41,15).

(მო)რტყმა: მოუწოდა უფალმან საბაოთ მას დღესა შინა ტირილსა და ტყებასა და პარსევას მორტყმასა მძისასა (ეს. 22,12); სარტყლის-შემრტყმულსა (4 მეფ. 3,21 O); გარე-მოსარტყმული (იერ. 13,1 pb); მორტყმულ (ლ. 12,35 C).

რქუმა: ეს ზნა (უზნისწინოდ) თხრობის სინონიმა. ამ შემთხვევაში აქვს მხოლოდ II სერიის ფორმები და საგულეებელი საწყისი (რქუმა). მი ზნისწინით "შეთვლას" აღნიშნავს, ხოლო და ზნისწინით "დახურვას", სათავისო ქვევით სახელის დარქმევას, წოდებას გამოხატავს. ამ შემთხვევაში I სერიის ფორმებიც აქვს. ძირითადი ფორმები და საწყისი ყველგან ერთნაირია: ვითარ ველ-გენიფების რქუმად ძმისა შენისა (ლ. 6,42); ვერ შემძლებელ ვარ რქუმად მისა (ლიმ. 116,2); დარქუმითა მის მყინვარისათა ვორცნი მათნი დაიბძარვოდეს (სბსტ. 135,19 B).



შერწყმა / შერწყევა. ამ თემის ნიშანს ზოგჯერ ავ ენაცვლება, მაგრამ საწყისებსა და მიმღებებში, ჩვეულებრივ, ამანი ფორმები გვაქვს, უმარცვლო უც ხშირად დაკარგულია, რაკი მას მ ან ვ მოსდევს. მაგრამ უფრო ხშირად ამ (მ) გვაქვს და უც გადარჩენილია (ახალ ქართულში ამ დამკვიდრდა: შერწყმა): მოუთხრეს დარწყემა მახისა (ფს. 63,6 ლ; დარწყმა ლ; დარწყევა BCD; დარწყეა E); ამისი ვერ ეძლო ურთიერთის შერწყემა და ერთ წიგნად შეკრება (კომ. I, 104,32); შესამღებელ არს... ზაკეითი სიტყვაა სწორებად საფრეისა დარწყემა (სწავ. 143,28); შეერთო ბუნებასა ჩუენსა მიწისაგანსა მოწყალებით, არათუ შერწყმით, არამედ შეზავებით (სას. პ. 88,357); დარწყულ (იობ 18,10); შეურწყელი (მოღრ. 19v,31.32).

სუმა: სუმა-ს ბევრი მნიშვნელობა აქვს: 1) სმა, დაღევა; 2) დასმა, დაღება; 3) წასმა; 4) ცოლის შერთვა; 5) შეიღების გაჩენა-შექნა და სხვ. საწყისი, რაც ჩვენ აქ გეოინტერქსებს, ყველგან ერთნაირია, სუმა ყველგან შეირდება. ამიტომ შეიძლება ყველა ერთად მიმოვიხილოთ, დაუნაწევრებლად.

სუჯეუ... განამრავლოთ სუმა ღვინისა (წარტყ. 57,18); იყო სუმა დიდი ყოველთა მონათა მისთა (დაბ. 40, 20); უკეთუ ესრეთ არს ბრალი კაცისა ღელაკაცისა თანა, უმჯობეს არს არა სუმა ცოლისა (მ. 19,10 C); წმიდა მისი ბეჭედი გაქუნდინ... ანუ თუ კამასა, ანუ სუმასა (სინ. 53,26); მეგულების საყდართა მამისა შინისათა დასუმა (მარხ. 641a); არა უნდა სუმის (მ. 27,34); დაქსნნა საღამამანი ჩუენნი დღითი-ღელდნი სუმითა მით სისხლისა ქრისტისითა (სინ. 47,26); ვერ ეძლო სუმად წყალი მდინარისა მისგან (გამ. 7,24); ძალ-გიცა შესუმად სასუმელი, რომელი ჩემდა შესუმად არს (მ. 20,22); მსუმელი (სწავ. 15,2); დასუმულ (კურთხ. იაკ. 98,8); სუმულ (2 მეფ. 3,3).

სხმა: ფუძემონაცვლე ზმნა, იხმარება მხოლოდ მრავლობითში. თვით ისეთი გამოთქმებიც კი, როგორცა: წყალი დაასხა, ეენაჲ დაასხა, დაისხა ნაცარი თავსა ზელა... მრავლობითის გულისხმობს: ბევრი ცალი ვაზი ჩაყარა (ესეც ფუძემონაცვლეა: ერთი ჩარგო), ბევრი წვეთი წყალი გადაასხა, ბევრი წვრილ-წვრილი ცალი ნაცარი გადაიყარა(!) თავზე. ერთი სიტყვით, სხმა ყველა ზმნისწინით მხოლოდ მრავლობითისათვის არის დანიშნული. საწყისებშიც, ცხადია, იგივე შინაარსი ჩანს, ასევე მიმღებებშიც: უბრძანა განსხმა ჭურათთა (სინ. 243,5); უბრძანა დასხმა / შეკაზმეა / კაპრაულთა მონასტრისათა (კომ. II, 158,41); უბრძანო მოსხმა ზროხათთა (საკ. წ. II, 82,35); შესხმა ძმისა თვისისა დიდისა ბასილოსი (ი—ე, 29,20); ზოგჯერ გარე განთხევა უბრძანის და ზოგჯერ საეროსა საჭმელსა თანა ჩასხმა (იქვე. 40,27); იწყო გამოსხმად განმსყიდელთა და მომსყიდელთა მიერ ტაძრით (მრ. II, 15); აქუნდეს მათ უელმწიფეება განსხმად ეშმაკთა (მრ. 3, 15); უნდა მღღელთ-მოძღუართა მათ და მწიგნობართა დასხმად უელთა მათთა (ლ. 20, 19); უბრძანა მოსხმად ნათხარი იგი მიწა ვიდრე ყულადმდე (კომ. I, 156,4); ღვინო ახალი თხიერთა ახალთა ჯერ-არს შთასხმად (ლ. 5,38); დამსხმელი (I კორ. 3,7); განსხმულ (ლ. 8,38).

საწყისები რთულ ზმნებშიც არის წარმოდგენილი: ბრძანთა აღვრ-სხმა პირთა მათითა (ურთ. 50,12); შემსლებელ არს იგი აღვრ-სხმად ყოველსავე გუამსა მისსა (იაკ. 3,2).

ქჷსა. საკმაოდ ძველი ზმნაა. ფორმებით არ არის მდიდარი. ჯერჯერობით არ არის დადასტურებული I სერიის ფორმები, საწყისიც ერთხელ შეგვხვდა, შედარებით ხშირია II სერიის ფორმები და მიმღებანი, რომლებშიც ამ თემის ნიშნისეული მ მტკიცედ დგას თავის ადგილზე. ექვი არაა, ახალი ტექსტების გამოქვეყნებით არა-

ეროვან გამოვლინდება არჩიშული ნაკლები ფორმები:

რომლისა მიქუმად წიაღთა შენთა ღირს იქიქენ (A-162, 76v).

აღმოქმედებანი (კომ. I, 142,27); აღმოქმედენი (ღ. სჯ. კან. 391,26);

აღმოქმედთა (იქვე); აქმეული (მც. სჯ. კან. 97,9); მიქმეული (სინ. 92,12). გვივე მიძლეობა გვაქეს "ორსულის" გამოხატველ ძველ ქართულ ტერმინში "შეუელქმეული" (ოსე 14,1; ლ. 21,23).

(შთა)ცუმა: ძაძასა შთააცუმიდა (სინ. 108,3); ამაიკუა გრკალი ნირურსა მისსა (იაბ 40,21 O); განვაცუ საყური და გრკალი ყურთა შენთა (ეხეკ. 16,12 ს); და თუცა არა იყო წყობა სამარადისო, არამცა საჭურველისა შთაცუმა უბრძანა პაულე ნეტარმან (სენ. 467a); გარდაცუებული (ოსე 7,16 O); განსაცუებლად (გამ. 25,26).

ზუმა: ფუქემონაკლეუ ზნნა. ეს ფუქე მხოლოდ მრავლობითისათვის იხმარება. მხოლობითში მას ლება ენაცელება სხუდასხუა ზნისწინით. ვრცლად ამასე ზემოთ (გვ. 481) საგანგებოდ არის მსჯელობა. ენახით ნიძუშები: განზუმა ცათაი მოსლუკისა მისისა ხილვასა მასწავეებს (გამოცხ. 19,12 თ); იტყოდა ცათა განზუმასა (თუალთ. 34,1); მოსწრაფე იყვის შთამოხუმად ველთა ქვე (მ. ცხ. 305v); გვივე ფუქე შესული რთული ზნის საწყისძი: არა არს თუალთ-ზუმა მის წინაშე (ზირ. 32,15); რამეთუ მართალი კაცი ხარ და თუალთ-ზუმათ არარას იქმ (ისტ. ქრ. I, 242,27); განზუმულ (იერ. 32,19); ახუმულად (მ. ცხ. 94v); წარზუმულ (ისტ. ქრ. II, 87,25).

#### 4. -ილ სუფიქსიანი საწყისები

საწყისის მანარძობელი მეორე სუფიქსია -ილ. იგი უმთავრესად გარდაუკვალ ზნებს მოეპოვებათ: დუმ-ილ-ი, დულ-ილ-ი, წუხ-ილ-ი, ქუხ-ილ-ი, ტირ-ილ-ი, ტყი-ილ-ი, ქად-ილ-ი, ხად-ილ-ი და სხვ. იგივე ილ სუფიქსი გვაქეს აგრეთვე სი პრეფიქსთან ერთად: სი-ბორც-ილ-ი, სი-ქედ-ილ-ი, სი-ყმ-ილ-ი, სი-ცბ-ილ-ი, სი-ცონ-ილ-ი, სი-ძულ-ილ-ი და სხვანი.

ზოგი მკვლევარი ილ სუფიქსს შლის, ი ზნის ფუძის ნაწილად მიჩნია, ხოლო ლ-ს საწყისის (მასდარის) მანარძობელად თვლის<sup>139</sup>. მაგრამ არის მთელი რიგი ზნები, რომელთა ფუძეში ეს სადაეო ი არ არის, მაგრამ მათს საწყისებში ი ხელუხლებლად არის დაცული: დულ-ს, დულ-ილ-ი, ქუხ-ს, ქუხ-ილ-ი, წუხ-ს, წუხ-ილ-ი. ამათ შესახებ შენიშნავენ, რომ ადრე ამათაც უნდა ქიწონდათ ფუძეში ი, მაგრამ იქრძე დაეკარგათ. ყურაყური საბუყაა, ყურწი მართებულთა იქრძეადა, გვეთქვა, რომ ადრე სხუებსაც არა ქიწონდათ ეს ი, მაგრამ მერმე და მერმე დაერთო. რომ ეს უფრო მართებული დაშვებაა, იქიდანაც ჩანს, რომ უფრო გვიან და გვიან თანდათან მატულობს ი-დართული ფორმები: ტირ-ი-ს, კი-ი-ს, ტყე-ი-ს, კი-ი-ს, ყუ-ი-ს, სწყურ-ი-ს / სწყურ-ი-ა...

ამ ტიპის ზოგ ზნას მარტივი აწმყო სულ არა აქვს, მაგრამ საწყისი მაინც ილ სუფიქსით ეწარძება: სი-ქედ-ილ-ი, სი-ყმ-ილ-ი...

<sup>139</sup> ა.ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, 1942, გვ. 65, 222-223); ამავე აზრს იზარებენ აგრეთვე ი. ქეთარაძე, ზნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, 1954, გვ. 83, და ბ. გიორჯიშვილი, მასდარი ძველ ქართულში: სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, 7, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1955, გვ. 199-201.

აეტორიები საწყისის მანქანობებელ მუიარე, ულ, სუფიქსსაც ამგვარადვე შლიან და ახლა უკვე უ მარნათ ფუქის კუსენილებად. მაგრამ აქ უფრო ნათლად ჩანს, რამ უ არსად არ შედის სათანადო ფუქითა შემადგენლობაში, არც სადმე ძველში, არც, მით უმეტეს, ახალში.

სრული ილ და ულ სუფიქსები მარნათ საწყისთა მანქანობებლად ა. შანიქს<sup>160</sup>, გ. დეტერსის<sup>161</sup>, ლ. კიქნაქს<sup>162</sup>, ლ. ბარამიქს<sup>163</sup>, რომელიც საწყისებზე საგანგებოდ მუშაობდა, და სხვებს. ამიტომ აქ ამ საკითხზე დამატებით არაფერს ვიტყვით, ჩვენც გვეონია, რომ საწყისების ილ და ულ სუფიქსები ერთიანი მორიგელოგიური იდენობა და თითოეული მათგანი მთლიანი და დაუმღეულია. ილ რაც შემთხვევაში მარტოა და მხოლოდ ამ სუფიქსით გამოიხატება საწყისი, მეორე შემთხვევაში იგი (როგორც აგრეთვე ულ სუფიქსი) მარტო უძღურია საწყისის საწარმობელად. ამ მიზნით ისინი სი პრეფიქსის დახმარებას საჭიროებენ: სი-ყ-ილ-ი, სი-კლ-ილ-ი, სი-იბ-ილ-ი, სი-ცონ-ილ-ი... სი-ქად-ული, სი-ყვარ-ული, სი-ნან-ული, სი-ხარ-ული. ვერაჯერობით ერთადერთ შემთხვევაში ულ სუფიქსს მეწყველედ სა პრეფიქსი ქაყს: სა-ხარ-ული (= სიხარული).

ახლა შევედგეთ ილ სუფიქსიანი საწყისების განხილვას. აქაც, როგორც ზემოთ გვქონდა მიღებული, საწყისებთან ერთად ზოგჯერ თითო-ორჯულა დამახასიათებელ პირიან ფორმასაც წარმოვადგენთ, რომ უფრო ნათლად ჩანდეს საწყისის გარეშო, საიდანაც ის წარმოშობილია, და მისი საეტიმოლოგიური შინაარსი.

1. **დუმი-ილ-ი**: იყო ყოვლით-ერთ დუმილი (კურთხ. იაკ. 38,6); მაშინ განრისხნა მისთვის მასხიმიოს, დუმილისა მისთვის ელიანოსისა (კომ. II, 34,20); მეშინის მე. ძმანო, ნუკუკუ ემოძღურადე თქვენ ზედა სიტყუთა წესიერთა დუმილისათვის (აღწ. 71,6 ქვ.); აწ დუმილით თანა-წარუკვდე ამას ადვილსა (თუალთ. 79,14); დუმილითა და მარხვითა მიაუძღურებდა იგი ჳორცთა მათ სიჭაბუკისა თვისისათა (აბო 189,16).

2. **დული-ილ-ი**: ფრიალი იყო ძრეაი, და დულილი ქუეყანისაი აუწყებდა მისი-ილევას მკედრითა მისისასა (ანტიოქ. 129,3); ესე რაი თქუა იოვანე, კუალად დულილი იქნა დიდი, და აღდგეს მეესეულად ყოველინივე, რომელნი-იგი მოიკუდარ იქსნიქს (სუან. 225:ii); არავის ძალ-იუე დათმენად ბრძოლათა მტერისათა, არამედ არცელა თუკი დულილსა ბუნებისასა (მ. ცხ. 131v).

3. **ზახ-ილ-ი**. ზახ ფუქე ორი საწყისით გვხვდება ძველ ქართულში: ზახება და ზახილი. პირველი, ჩვეულებრივ, ვარდამაველითათვის არის ვანკუსუნილი. ჩვენ აქ მუიარე შემოსხვევა გვიანტერესებს, როცა საწყისად ზახილი არის წარმოდგენილი: იყო ზახილი მისი საშინელ ფრიალ და სავეს რისხვითა (კომ. I, 277,11); /ლომმან/ მრავალნი ცხიველთაგანნი, წარმატებულნი მისნი სიძალითა, ზახილთა ოდენ თვისითა მიახადირისნი (ექესთ. 106,13); იყო ზახილად, რამეთუ უნდა, რათამცა შესუა სისხლი მისი (კომ. I, 303,5); მოვიდა ჩვენ ზედა სიძრაველ ზახილთა და

<sup>160</sup> ა. შანიქს: ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 563—565; მისივე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, გვ. 136—37.

<sup>161</sup> G. Deeters, Das khartwelische Verbum, Leipzig, 1930, გვ. 217. აქ აეტორის მოქაყს ქარა-ილ-ის მვერული შესატყვისი ორი (= ორი): კოთხხარი...

<sup>162</sup> ლ. კიქნაქს, ძირეული და ნასახელარი ზნები ქართულში. II: ვორის პედინსტიტუტის შრომები, 2, 1947, გვ. 124, 140—142.

<sup>163</sup> ლ. ბარამიქს, საწყისი ძველ ქართულში: ქვეკმ. 19, 1976, გვ. 66.

მახვლთაი (იხ. ქრ. I, 234,11).

4. **ჟგვლ-ი**: ყრამნი ჩხვლნი ჟიოდეს და ეციბდეს მშობელთა თვისთა (II-341, 643); აღიესი ქალაქი სასრისთა ლაშქრითა და შეიქმნა ზარი და ჟივლი, კლეა, და სისხლი ფრად დოდა (მოქ. 140,3 ლ). ლ-ში ჟივლს ორი სინონიმური ფორმა ენაცვლება: შეიქმნეს ზარის-აღსაყდელნი ზრინვანი და ყივლინი; და იყო ყრამთა ჩხვლთა ჟივლი, ვიდრემდის მთანიცა ემა-სცემდეს (იქვე, 151,24 ლ). ჟივლს ახლა უკვე ლ-ში უღვას სინონიმური წყვილი: ტირილი და ჟრინვაი მიიწეოდა ცამდე. მაშასადამე, ჟივლი, ყივლი, ტირილი და ზრინვაი შინაარსეულად ერთ ხაზზე ძეგს<sup>34</sup>.

5. **ჟგვლ-ი**: ჟეული და ჟივლი ფონეტიკური ვარიანტები უნდა იყოს, როგორც ჟივლი და ჟეული, ჭივლი და ჭეული და სხვ. მნიშვნელოვანია შინაარსეული გადახრაც: ჟეული ბეერის არეე-დარეევას, დახვევას ნიშნავს.

პირიანი ფორმის მაგალითია: ძუალი იგი დაშავებულ, ვითარცა ნაყშირი, და მატლი დიდძალი, ვითარცა სიმრავლე ფუტკართაი, ჟუოდა ველთა ზედა მისთა, და სიმქარლესა მისსა ვერეინ დაუთმობდა (ქმ. I, 317,26). ცხადია, ამისი საწყისი უნდა იყოს ჟეული, მაგრამ ჯერ დადასტურებული არაა.

6. **ჟღავლი-ი**: მოვიდეს სახლსა მას შესაკრებელთ მთავრისასა, და იხილა ჟღავლი და მტრალნი და მკობარნი ფრად (მრ. 5,38 C; შუთი DE); ესმა ერისა ჟღავლი (II-341, 534); სადა არა არს ჟღავლი და ანბოხებაი (ათონ. 17, 327r); სადა არს მშეღობაი და ყუდროებაი დიდი, სადა-იგი არა არს ჟღავლი დამაბრკოლებელი ცრებლთაი. არცალა კუალად სიმრავლმ დამყდუნებელი ტირილისაი (საქ. წ. II, 50,3); ესე სიტყუაი მსგავს არს ჟღავლსა მყუართასა და ჩხიკუთასა (უძე. რედ. 215,8); მოვიდან მფირიველნი ცისანი ... გარე მომადვიან ჟღავლით და ეპობედ ჩემდა მოძართ მრავალფერად (მოქ. 123,28).

7. **ქრულ-ი**: არა ესცე ძილ თუალსა ჩემსა, არცა რულილ წამთა ჩემთა, არცა განსუენებაი ვორცთა ჩემთა, ვიდრემდე ეპოვი მე ადგილი უფლისაი (ფს. 131,4 ლ). ლ-ში გამარტივებული (საწარმოებელი სახელის ფუძე) არული იკითხება. იმავე (არულ) ფუძეს იყენებს მი ზმისწინანი ვნებითიც: ჩუენ ყოველთა, ვითარცა მორეალთა, მოგურულებოდა (სინ. 69,20); უკუეთუ მიერულოს, ანუ უღებ იქმნეს. გან-პრეუნბან საცხოვარნი (ბალ. 61,11). ამათი საწყისიც (მი)რულილი იქნება. დასასრულ. დაეძნთ, რომ გვევე არულ ფუძე უძეეს საწარმოებელ საფუძვლად აგრეთვე ერთი ტიპის ოვ სუფიქსიან საშუალი გვარის ზმნას: ივინი გამოერჩევიან, და ჩუენ გურულის (საქ. წ. II, 52,25 ო). ძირითადს ტექსტში ჩვეულებრივად წარმოების გურულის იკითხება; არულიოდა და იძინა, შეეშინა და ოფელი გამოეცა (იქვე, 12, 12); მრისხანებითა შენითა...არულიოდა მათ, რომელნი-იგი ზე-სხდესს. ჩუნებსა (ფს. 85,7); არა ამიოდის, არცა დამურენ, არცა არულიოდის, არცა დაიძინონ, არცა განიყნენ სარტყელნი წელთა მათთაგან (იერ. 5,27). ამის საწყისია არულიოდა და არა არულილი. მღრ. ამ ტიპის წარმოების საწყისები: მალლოვა, პეროვა, სასტოვა, ფურცლოვა, ცისკროვა, ცრებლოვა.

8. **სურვილი-ი**: ყოლადვე სურვილი და წრაფაი აქენდა მონაზონებისათვის (უღაბ. 20v); მაქენდა რაი უკუე სურვილი ესე (მ. ცხ. 61v); რაფამს იხილეიდე მას,

<sup>34</sup> ორი უკანასკნელი მაგალითი დამოწმებული აქვს თავის შრომაში ლ. ბარამიძეს: საწყისი ძველ ქართულში. გვ. 61

დაიდგინებდნენ მის მიერ სურვილსა ძისა შენისასა (კომ. I, 51,25); უფროისლა შესძინა სურვილით ხილვად ბერისა (იქვე, 26,12); მაშინ შიშითა და სურვილითა შეზავებულთა მიეახლა წმიდაი კვირლე (იქვე, 113,22).

9. ტირ-ღ-ი: და იყო ტირილი და ცრემლოვად მათ შორის ფრადი (Sin. 11, 200,6 ქვ.); ვმად ჰრამით ისმა ტირილისა და გოდებისა (მ. 2,18); კაცი ერთი სპარსი მივიდა და შევიდა იგი წინაშე ნეტარისა შუშანიკისა და ტირილით იტყოდა (შუშ. 134,43); იწყო ტირილად და დაღადებად (სინ. 276,22); და იწყო ტირილ (მრ. 14,72); მტრადლთა (სინ. 265,31).

10. ტიკე-ღ-ი: არა შეაწევს გულად ტიკიელი მუსმრისა, ვითარცა-იგი შეაწევს ტიკიელი შურისა (სწავ. 8,30); ტიკიელმან შემპყრა მე სასტიკმან (მ. ცხ. 233v); გუერდისა ტიკიელმან ანუ თუ ფირტესამან აღიტაცის იგი კაცთაგან და წარვიდის (უქვ. რედ. 65,31); მაშინ ტიკიელისა ცრემლითა აღივსნეს ღმრისის მსახურისა მის ველშვიფისა დაცებისათვის (ხანძთ. 111,41); რომელმან წყლულთა ტიკიელნი შეგაგონნეს, არა უვებ შენ ღმერთთა (აღწ. 175,29); ხილვად შრომათა და ტიკიელთა (იერ. 20. 18 M).

11. ტყუე-ღ-ი: აქვს გარდამავალი და გარდაუვალი ფორმები. გარდამავალი — უმთავრესად (შე) ზნისისწინით ხმარებისას. ამ შემთხვევაში პირიან ფორმებში, ჩუქულებრივ, არის პირდაპირი იმპოქტის მრავლობითობის ენ-ნ სუფიქსი (უქუცარნი შეიტყუენა). ილ სუფიქსი კი, რომელიც ამჟამად გვანტერესებს, საწყისებში ირივე სახეობას თანაბრად და უკლებლად აქვს დაცული (ტყუე-ი-ი, შეტყუე-ი-ი):

სიტყუანი თქუენნი ტყუელი არიან (ეხეკ. 13,8); აღავზნას ტყუელი მოწამემან ცრემან (ივაკ. 6,18); ილეს იტყვენ ტყუილსა, თვისისაგან გულისა იტყვენ (ი. 8,44); ტყუილით მიიტაცის ივინი (სახ. 18,5); ყოველი მამა ტყუილით ტყუილის (იერ. 9,4).

მაგით სახით ვეულებოდა შეტყუილი შენი (შუშ. 13,24); მან ვანადიდა ჩემ ზედა შეტყუილი (ფს. 40,10); არცა შეტყუილმან სიმღიდრისამან...ვანგუყენნეს ჩუენ სიყვარულსა მას ქრისტესსა (რიფს. 170,14); ყო ესე შეტყუილით (4 მეფ. 10,19); შეტყუილდ შენდა შემოვიდა იგი (2 მეფ. 3,25).

12. ფუე-ღ-ი: ვითარცა ეპობედ რად მუარანი და ვითარცა ფუედ ჯინ-ჭველნი, ვერეთ შერაცხილ არიან სიტყუანი მათნი (Оиис. 123,13); და ფუოდა მატლი ვორცთა მათთა და გარდამოსცოდა ქუყანად და დაიუღითუოდა ერთი-ერთსა ზედა (4 ძეგ. 211,21). საწყისი ჯერჯერობით არაა ნახული, მაგრამ იგი სწორედ ფუილი უნდა იყოს, როგორც აქვს კიდევ გამოყენებული ი.აბულაძეს (ლექსიკ.). მდრ. ტყუის—ტყუილი, ჭუვის—ჭუვილი, ღუმის—ღუმლი, სწყურის—წყურილი, პრელის—რულილი და სხვ.

13. ქად-ღ-ი: ქად ძველ ქართულში სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარება. ესაა მუქარა, დაპირება, ამყობა, კვებნა. პირველ ორს საწყისად უფრო ქადება (ქად) შეეფერება, ორ უკანასკნელს კი — ქადილი. აქ ჩვენ მეორე რიგის ფორმები გვანტერესებს. ნიმუშები: ნუ იქადით, ნუცა იტყვთ მაღალსა გარდარეულად (1 მეფ. 2,3 O); ნუ იქადინ ბრძენი სიბრძნითა თვისთა (იერ. 9,23); სახელითა მისითა იქადიდან (ზაქ. 10,12 O).

ქადილი ძველი ქართულის ძველებიდან ჯერჯერობით არაა გამოვლინებული, მაგრამ მას იყენებს რუსთველი: ძალი შესწევდეს ქადილსა (611,2). ძველ ქართულშიც მისალოდნელია ამნაირი საწყისი.

14. **ქე-ლი-ი**: სათანადო პირობები ამჟამად ხელთ არა გვაქვს. ერთგან არის აქედან: აქედან და შექრწუნდეს წყალნი მათნი (ფს. 45,4 ს.). 'ს-ში ამის უარად გვაქვს ოხრადეს. აქ ორივე ღოდ ხმაურის ნიშნაეს. ამივე მნიშვნელობით იხმარება იგი აგრეთვე ისევ ფსალმუნში: შექრწუნდეს უფსკრულნი ღოდამლითა ქვილითა წყლისათა (ფს. 76,18 ს. საინტერესოა, რომ 'ს-ში აქაც იგივე ფუძე ენაცვლება: ღოდამლითა ოხრითა წყალთათა).

მეორე მნიშვნელობით, რომელიც ღღემლის შემოგვენახა, შემდეგ წინადადებებში იხმარება: რამეთუ იყოს ჟამი, ოდეს სიცოცხლისა ამის მოძღურებასა არა თავს-იღებდენ. არამედ გულის-თქუბისაებრ თვისსა თავისა თვისისასა შეიკრებდენ მოძღურებასა ქვილითა ყურათათა (2 ტიმ. 4,3). აქედან ეს ადგილი გადატანილი აქვს თავის თხზულებებში იოვანე საბანისაეს (აბო. 49,26)<sup>161</sup>; ატონებენ ვითომე ქვილითა ყურთა მათთათა (დ. სჯ. კან. 311,6). აქ ყურის ქვილზეა ლასარაკი. ღღეს უფრო გავრცელებულია "ენის ქვილი". ორივე შემთხვევაში სიტყვა გადატანითი მნიშვნელობით იხმარება. ღღეს პირდაპირი გაგებითაც გაიგონებთ ამ ზმნის ფორმებს.

15. **ქეხ-ლი-ი**: სახელს-გღებთ, ნეტარო, ძედ ქეხილისა, ღირსო ბასილი, ვითარცა-იგი იოვანე ღმრთისმეტყველსა, რამეთუ ქეხილი, ბრძენო, ვმასა შხის უბრწყინვალესსა ნესტვთა ენისათა (სას. პ. 97,198,199); ერი იგი რომელ ღგა. ესმოდა და იტყოდეს: ქეხილ არს (ი. 12,29 C); იყო ქეხილი ზეციით და წემაი სასტიკი (4 ძვე. 227,27); ქეხილისა წინ ისწრაფის ელეამან (ზორ. 35,13); დასდვა მათ სახელები ბანერეგეს, რომელ არს: ძენი ქეხილისანი (მრ. 3,17).

16. **ღმ-ლი-ი**. ძველ ქართულში ძალზე იშვიათად გვხვდება ამ ზმნის როგორც პირანი, ისე უბირი ფორმები. მაგალითად: კაცი ბრძენი მღკერადად იღობან (ათარს. 17, 289v); ვითარცა იხილნა ივანი მეფესს, მაწელედ მითკითხნა და ამბარს-უყო ღმლით (მოქც. 85,9).

უფრო მეტად გან ზმნისწინანი ფორმები: განიღმა და პრქუა მოძღუარსა მას ადგილისასა (ღოტ. ქრ. 314,3); ნად და მშედად განიღმის (ზორ. 21,23); მაგრამ ამგვარ წარმოებას თავისი საკუთარი, ვბ თემისნიშნანი, საწყისი აქვს: სიცილი მისი არასადა გეპოვნიეს და არცა ყოვლადე განღიმება (სწავ. 133,15).

17. **ყე-ლი-ი** (ყოილი, კივილი, ყვირილი, ღრიალი): ნუ კივით და ნუცა გეშინის (სინ. 274,15); ვითარცა მკეცი მქენვარძ, ყოდა და იხანდა, ვითარცა ცოფი (შემ. 6,17); და მეყსეულად ქათამი ყოა ხოლო (მ. 26,74; ლ. 22,60 =წყევტ.: იყოლა); ღაღად-ყვ და ღაიყოლე (ეზეკ. 21,12).

მასვე ჟამსა ისმა ვმას, ვითარცა ყივილი, ერისა მრავლისა (ი—ე, 56,8); არა უწყით, ოდეს უფალი იგი სახლისა მის მოვიდეს: მწუხრი ანუ შვეა ღამეს ანუ ქათმის ყივილს ანუ განთიად (მრ. 13,35 C); მათ იწყეს ყივილად (მამ. ცხორ. 297,29); ვიდრე ქათმის ყივილადე სამ-გზის უვარ-მყო მე (მ. 26,75 C); ვიდრე ქათმის ყივილადე (მ. 26,34 C).

18. **ყეა-ლი-ი**. ყეაივლს ძველ ქართულში ორი მნიშვნელობა აქვს: 1) ყეაივილი ჩვეულებრივი გაგებით (уветок) და 2) აყეაება, აყეავილება. იგი პირველ შემთხვევაში არსებითა, მეორეში — საწყისი. ჩვენ სწორედ ეს მეორე მნიშვნელობა

<sup>161</sup> ლ. ბარამიძე. საწყისი ძველ ქართულში. გვ. 64.

კვანტრეისებს. ამ გაგებით ყვაილი იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება. ჯერ პირიანი ფორმის რამდენიმე მაგალითი ენახოთ: ვითარცა ყუაილი ქველსა ვერე ყუაინ (ფს. 102,15); სეუაოდე შენ, ვითარცა შირაშანი ზედა მთასა სირისს (უტ. VIII, 38,15); მართალი ვითარცა ფინიკი ყუაილის (სინ. 94,22); აღსეუადლი ვითარცა მტენარეი ღმრთის მეცნიერებისა, ღირსო (სას. 3. 117,55).

სიწრფოებით უყურდა იოსები ყუაილითა მით სათნოებისათა და შეწინააღმდეგებლად მარადის სახლოთგან პასაკით მისით (საქ. წ. II, 59,34). ამ მაგალითში ყუაილი ილ სუფიქსინი საწყისის შინაარსით იხმარება.

19. ყუე-ილ-ი (ყუეილი): ვ-სა და მ-ს ურთიერთშენაცვლება ქართულში ხშირია. შდრ. ქმრიეო—ქურიეი—ქერიეი<sup>166</sup>, ეარსკულაეო—მა(რ)სკულაეი, ვითომ—მითომ, ავსება—ამსება, კიდეუ—კიდეპ, კიდეპ<sup>167</sup> და სხვ. ამნაირი შენაცვლებაა (+მეტათიზისი) ჩვენს მაგალითშიც. პირიანი ფორმა: მგელ იქნა და მახლობელად ღვა და ყუადა (Sin. 11, 325v). ყუადა—ყუეოდა.

საწყისის მაგალითია: ხოლო მგელი იგი ერჩა ბრძანებასა მას ბერისასა ... განთად აღმისთვის და ბორცუსა ზედა მდგომარე ყუეილით უემობნ განსლუად კარაულებსა (ას-ურ. 115,29). აქ ყუეილით ნიშნაეს: "ყუილით".

20. ყვრ-ილ-ი: ლეკუნი ლომთანი ყვრილ ტატებად (ფს. 103,21); დაპბერეთ ნესტუსა საფუქველთა ქეკყანისათა, ყვრილეთ მთანი და ბორცუნი ყოელითურთ მალნარიით, რამეთუ ივსნა ღმერთმან იაკობი (ეს. 44,23).

ისმინიან ყვრილი მონადირეთა მათ, მოვიდნან და მოკლნან იგი (ისტ. ქრ. I, 236,19); აუაზნი იგი აღ-რად-დგის ძილისაგან სადგურით თვისით შესამესა დღესა, ყვრილ-ყვის ემითა დაღადებისათა, და ყვრილსა მას მისსა გამოსცის სული საკუეველთაჲ პირსა მისსა (იქვე, 239,24); იღრკენდა კბილთა მისთა ყვრილითა მძენკრეებისა მისისათა (H-341, 412); ყვრილ იწყის, რამეთუ განრინებაჲ პნებავენ და ვერველ-ეწიყების (ისტ. ქრ. I, 236,17).

21. წარმოშობით ძილ-ილ-ი საწყისია: "ძინ-ილ-იო ძილი (მ-ძინ-ავ-ს), შდრ. "სიცინ-ილ-იო სიცილი (ვი-ცინ-ი)"<sup>168</sup>; არა ესცე ძილ თუალსა ჩემსა (ფს. 131,4); ტკბილ არს ძილი მონისა (ეკლეს. 5,11); განილუმა იოსეფ ძილისაგან (მ. 1,24 C).

22. წად-ილ-ი: მწადის განს-ტენებაჲ შენი (Sin. 35, 183ra); სწადინ განძლიასად ნაბიჭვეისა მისგან (ლ. 16,21 C). ხუცესმან აღავსენ წადილი თქუენი (შუშ. 17,14); ძილისა მისთვის ჯუარისა აღესრულა ჩემი წადილი (სინ. 243,15).

23. წუხ-ილ-ი: ნუ სწუხ, ძმაო (ას-ურ. 106,1); უყუეთუ საქმლისათვის ძმა იგი შენი წუხდეს (პრომ. 14,15). ობოლ და მწირ იქნებოდეს იგინი დედოფლისა მათისაგან, და დიდი წუხილი და ჭირი იქნებოდა სახლსა მას შინა მისსა (თეგლა, 97,11); ურვასა დიდსა და წუხილსა შეცუკეს და იტყოდეს (სევან. 228a); წუხილით შევაწუხენით ჩუენ (A-71, 42r).

24. წყურ-ილ-ი: რაითა სუა მათგან და განიგრილო წყურილი იგი, რომელი ვეზების შენ თანა (სწაე. 74,31); წყურილსა ჩემსა მასუეს მე ძმარი (ფს. 68,22); მოიკუდები წყურილითა (მსაჯ. 15,18 M).

25. ჭივ-ილ-ი (ჩხაილი): ვითარ შეუა-დლე თავთა თვისთაისა უსადლეს არიან

<sup>166</sup> გახვედლანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, გვ. 208.

<sup>167</sup> ს. კლავსტი, ქართული ენის ფონეტიკა, 1956, გვ. 238

<sup>168</sup> ა. შანიძე, საფუძვლები, გვ. 56-ი.

კმთა ენოსითა მით სეროსითა, რომელი-იგი ნესტუთა მთვან მკრდისათა განწვა-  
ლებითა ჯორვისითა მრავალსახელ აღმოუტევის და ქუენ (გქესთ. 100,31); რა  
არს ვანცხრობი იგი ჭიკჭივისა? და ეთარ შუეა-დღესა უმაღლეს არს ვმა მისი,  
რაჟამს იწოსის მან სერი სოცხისა და აღმოუტევის მკრდისაგან თვისისა ჭივილი  
იგი (უქ. რედ. 119,26). ზემოთ ნახსენები ჭიკჭივი უნდა იყოს ფრინველი, რომელიც  
ჭივინ. ეს სახელი აქვე მჟორედაცაა ნახსენები: რამეთუ არა თუ ჭიკჭივი იღეს  
გამოვლენ წვიმისაგან (იქვე, 124,31). ეს ჭიკჭივი დღევანდელი ჭიკჭივი უნდა იყოს.  
შდრ. რიე-რაი, ხირ-ხარი (დისიმილაციით ხირხალი)<sup>69</sup> და სხვ.

26. **ჭუე-ილი** (წუხილი): ვქუეი მე თქვენთვის (ლიტ. ქრ. 9,28); გულმან  
გითქუა და სქუეი მისთვის (იქვე, 7,28); რაისათვის გქუეის გული შენი (I მეფ. 1,8);  
ქუოდეს ადამ და ევა რაოდენ ჟამ (იქვე, 7,14).

ესე მჟორე ქუელი, გლოვაი და ჭირი შეიქნების სახლსა ჩემსა (თეკლა  
112,21); ნაცეალად მხიარულების შემარტყე მე ქუელი (სწავ. 119,25); რაითა  
დასცხრე ქუელისაგან შენისა (ლიტ. ქრ. 7,31); ამას თვთ მოციქული ზრუნვით და  
ქუელით იტყვის (სინ. 103,37); ვინმეცა არა ლმობიერ იქნა გლოათა და ქუელთა  
მათა (A-92, 231).

27. **ხად-ილი**. ხად ფუძით სხვადასხვა მნიშვნელობის ზმნები იწარმოება.  
ერთი მათგანია სახელის დარქვეა, წოდება, მჟორე — მოწვევა, მოხმობა, მოსატი-  
ყება. პირველს უნათერესად საწყისად აქვს ხად, მჟორეს — ხადილი. ეს — უნათერე-  
სად. ზოგჯერ ზესიტად არაა დატული სათანადო საწყისის არჩევა და ერთის ნაც-  
ელად მჟორე წარმოდგენილი. ევეე უნდა ითქვას პირიანი ფორმების შესახებაც. ამ  
გათანაბრების ცდას აქვს ერთგვარი საფუძველი: სახელის დარქვეა, წოდება და  
მოხმობა, მოწოდება დახლოებით ერთნაირი მნიშვნელობის ზმნებია და საწყისთა და  
პირიან ფორმათა მონაცვლეობასაც ეს იწვევს. ჩვენ, ცხადია, ამჟამად ხადილი გვიან-  
ტერესებს (პირიანი ფორმების ნაირგვარობის გამო მათ აქ არ ვუჩვენებთ): ვიდრე  
არა ეცნას ყრმასა მას ხადილი სახელი მამისა გინათუ დედისა, არა დაეპირი-  
ლოს ბოროტსა, არამედ გამოიჩინოს კეთილი (ეურთ. იაკ. 88,5); ეთარ ვერ-იყოს,  
ღირს-იქნეს ხადილსა მას ზეისა სიძისასა (მამ. ცხორ. 139,9); ნუცა დასწყევდ  
ლოცვასა შენსა და ხადილსა ღმრთისა მიმართ (H-622, 11v); რაჟამს მოიწიოს სული  
სიძვისა, იწყე ხადილად ძალსა ქრისტისსა (აღწ. 47,11 ქ.); განეშხადე ხადიდ  
ღმრთისა შენისა (ამოს. 4,12).

28. **ჯუ-ობა**, **ჯუ-ილი**. ამ წყვილიდან პირველი გადატანით უფრო აღმამანებზე  
იხმარება და ნიშნავს კივოს, ყვირილს; მჟორე ცხენებზე ითქმის და ნიშნავს ჭი-  
ხინს, ხეხინს. როგორც ვხედავთ, აქაც პარალელური საწყისი გვაქვს. შდრ.  
ზახება და ზახილი, ქადება და ქადილი, ზადა და ხადილი.

ა) ეთარ იძლია, ვკობდით (იერ. 48,39 I. O-ში ვნებითის ფორმა: იყუებო-  
ღის); მობასა ზედა ვკობდით (იერ. 48,31). და ასა ვკობა და ღაღადება დიდ იქნა  
ქალაქსა მას (კობ. I, 158,22); მას ჟამსა ღაღადებად დგა დევი იგი ვუობითა და თქუა  
(ისტ. ქრ. II, 88,13).

ბ) შედგომად ჟამთა ერუენა ეშმაკი მსგავსად ცხენისა ბოროტისა და მწიხნა-  
რისა და მკებნარისა, და ვუოდა ძლიერად (ისტ. ქრ. II, 96,16). არა მოაკლო მორ-

<sup>69</sup> ა. შანიძე ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები. გვ. 151; ლ. ბარამიძე. საწყისი ძეგლ  
ქართულში. გვ. 65



ბედმან სრბისაგან თვისისა, ვითარცა ცხენმან ოფლიერმან ვეჯელსა შინა მისსა (იერ. 8,6); უმაი დანით ისმეს, სიმაღლ ქუთეთაი მისთა და უმისაგან ვეჯელისა და დამწყისისა სავედართაისა შეიძრა ყოველი ქვეყანაი (კურთხ. მოს. 184,1); მუთთქუეს-ვე ამბოხი ვეჯელისაი /ზახილიისაი B/ შეიქმნა, რამეთუ განაძენებდეს მკეტთა მათი (თეგლა 113,16).

ვევ ფუჟე გამაყენებულთა რთულ ზმნებში შემადგენელ ნაწილად, ითქმის აღამანზე და კივილს, ყვირილს ნიშნავს, მაგალითად: მას ვითარცა ესმა, დაიზო სამოსელი თესი და ტირილდა მწარედ, ვევ-ყო და თქუა (4 ძეგ. 200,17); ტროფიჟე დედოფალი დგა კართა მის თეატრონისათა, ვევ-ყო მეყსეულად ემითა მალლითა და დავარდა პირსა თვისსა, რამეთუ ჰგონებდა სიკუდილსა თეგლაისსა (თეგლა 118,19).

#### 11. სი-პრეზინსიანი სავთისაში

მხოლოდ პრეფიქსიანი წარმოება შეიძლება ერთადერთ ფორმაში იყოს დატყული: \*სი-შინ-ო→ სი-შ-ი. შდრ. ზემოთ ნახსენები \*ძინ-ილ-ო ძილი, \*სი-ცინ-ილ-ო სიცილი, ხოლო სიშ-იდან ადვილად აიხსნება შიშ-ის მიღება (რეგრესული ასიმილაცია)<sup>110</sup>. მართალია, ძველ ქართულში არ გვხვდება მხოლოდ შ-ზე დაყრდნობილი პირიანი ფორმები, მაგრამ ეს ამ დაშვების საწინააღმდეგოდ არ გამოდგება: ვეაქეს საწყისში შემონახული ცალკე შ ბგერა (სი-შ-ი). მეორე მხრივ, ძველ ქართულში არა, მაგრამ "ვეფხისტყაოსანში" დატულია მხოლოდ შ ძირიანი ფორმები: სხვად არად გიზამ, ნუ გემის (234,4); ნუ გემის, ღმერთი უხვია (932,3); აეთანდილ უთხრა: ნუ გემის (1211,1; 1361,1). თვით შში კი ხშირად გვხვდება ძველ ქართულში: რომელსა არცა ჭირი ეხილვა, არცა შიში, არცა მახვლი, არცა პყრობილებაი ქრისტ(ის)თვის (შუშ. 1,19); შიშმან შეიყარას პრამაი, ქალაქი იგი საულისი (ეს. 10,29); სული ჩემი მიიწია შიშსა (ეს. 21,4); არაინ განცხადებულად იტყოდა მისთვის შიშისათვის პურათაისა (ი. 7,13); ჰმონეთი უფალსა შიშით და უგალობდით მას ძრწოლით (ეს. 2,11); ივინი წარვიდეს ... შიშითა და სიხარულითა (მ. 28,8).

#### 12. პრეზინსიანი სავთისაში

ამ ჯგუფში პრეფიქსად ყველგან არის ს თანხმოვანი ან მარტო (ს-ლე-ა), ან ა-სა და ი-ს თანხლებით (სა-ლმ-ობ-ა, სა-ქმ-ე, სა-ხარ-ულ-ი, სი-ტყუ-ა, სი-ურ-ილ-ე, სი-ყმ-ილ-ი, სი-ქად-ულ-ი).

განვიხილოთ ეს საწყისები ზემოთ წარმოდგენილი რიგის მიხედვით.

#### 1. ს - ა

1. ს-ლე-ა. პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ ძველსა და ახალ ქართულში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ზმნა სლვა (სელა). იგი ნაწარმოებია ვალ ფუძი-საგან: \*ს-ვალ-ა→ სელა→ სლვა. ვინის გადასმა ა-ს წინ, უნდა ვიყოქროთ, მოხდა აქიანი ზმნების ანალოგიით: კლ-ა-ე-ს→ კლვა, ენა-ე-ს→ ენვა, დამკრ-ა-ე-ს→ დამკრვა,

<sup>110</sup> გახვეულიანი, ზოგადი ფონეტიკის საუბრელები, ვე. 200: მისივე, ზოგადი ფონეტიკის შესავალი, 1956, ვე. 164.

დასულავს → დაფლავს; აღსძრავს → აღძრავს... ძველად მხოლოდ აშნარი (ე.გ. დაუსმელი) საწყისები იყო. დღეს ყველა ასეთ შემთხვევაში უ გადმოსმულია რ. ლ. 6 თანხმობების წინ: კლა, ხენა, დაიქლა, აღსქრა... და უცნაურია, რომ განსახილველ ზნაშიც იმავე ანალოგიის მიხედვით ფუძისეული უ-ც არის უკან გადმოსმული: სელა, მოსელა, გასელა, წასელა... სწორედ ისე, როგორც უნდა ყოფილიყო თავიდან<sup>111</sup>.

სლვა ზნა ძველ ქართულში ძალიან ხშირად იხმარებოდა უზნისწინოდ, რასაც ვერ ვიტყვით ახალ ქართულზე. ამიტომ ძველი კოლორიტის წარმოსადგენად აქ ექვტენებთ რამდენიმე სათანადო ნიმუშს აწმყოსა და აწმყოს ხოლმეობითის ფორმებისას, რომელთაც ეყრდნობა საწყისი:

ვიცი, ვინაა მოსრულ ვარ და ვიდრე ვალ (ი. 8,14); ხართ ვითარცა საფლავნი უწინონი, და კაცნი ზედა ვლენ (ლ. 11,44 C); არა უწყი, ვინაა მოვალნ და ვიდრე ვალნ (ი. 3,8 C); გემოთაგან ამის სოფლისათა ვლენელ (ლ. 8,14).

ახლა საწყისები ვნახოთ: მე შეუძლო მოცალედ გზასა ზედა სლვათ (დაბ. 33,14); ნუ განიშორებ მას ნუცა სლვასა და ნუცა ჯდომასა (სწავ. 62,13); მაშურალი გზისა სლვისა მისგან (ი. 4,6); მოვიდა მათა იესუ სლვით ზღუასა ზედა (მ. 14,25). ეს — უზნისწინობები. მაგრამ სლვა ყველა ზნისწინით იხმარება, თანაც ძალიან ხშირად. აი, თითო-ორილა მაგალითი: ჯერ-არს მისი იერუსალიმდ აღსლვათ (მ. 16,21); აიძულა მოწაფეთა თვისთა აღსლვად ნავსა (მრ. 6,45 C); აღმოსლვასა მისსა მიერ წყლით იხილნა ცანი განხუტურნი (მრ. 1,10); ხეალისაგან, ვითარ უნდა გამოსლვად გალილედ. პოვა ფილიე (ი. 1,43 C); მუნ დაადგერით ვიდრე გამოსლვადმდე მიერ (მ. 10,11); განსლვასა მას ეშმაკისასა იტყოდა ყრუთ იგი (ლ. 11,14); თანამდებ არს იგი კრებულისაგან განსლვად (მ. 5,22); გარდამოსლვასა მას მათსა მიერ მითი ამცნო მათ (მრ. 9,9 C); დასლვასა ოდენ მზისასა ყოველთა რაოდენთა .ქონდეს უტლურნი... მოიყვანეს მისა (ლ. 4,40); მისლვასა მას მისსა ერთ იგი შეკრებოდა მას (ლ. 8,42); შეეშინა მუნ მოსლვად (მ. 2,22); ელიამისი ჯერ-არს პირველად მოსლვათ (მ. 17,10); რაითა დგეს ეგე ჩემდა მოსლვადმდე (ი. 21,22 C); ვითარცა იყო შესლვათ ჩუენი ნავსა, განვეშორენით (მოც. 21,1); განრისხნა და არა უნდა შესლვის (ლ. 15,28 C); განვედ გზათა ზედა და ფოლოცთა და აიძულე შეგოსლვათ (ლ. 14,23 C); ვერვის ველ-ენიფებოდა წარსლვათ მიერ გზით (მ. 8,28); ნუკავე თქვენცა გნებავს წარსლვის (ი. 6,67); უკეთუ გნებავს სასუშელი ესე თანა-წარსლვად ჩემგან... ნებათ შენი იყავნ (ლ. 22,42); რამეთუ მიერ წარმოსლვად იყო (ლ. 19,4).

2. ს-რბ-ა (სირბილი, რბენა; მიმდინარეობა; სწრაფევა, ჩქარი სიარული, მოძრაობა; მოღვაწეობა, ცხოვრება, სიცოცხლე): ნუკავე ცულად ვრბოდე ვინა ვრბი (გალატ. 2,2).

რაისა გივმს შენ, შვილო, სრბათ (2 მეფ. 18,22); უკეთუ გეძინოს, ვინა გელძოს, ღამე სრბასა მისსა არა დაატადებს, დაღათუ მოსწრაფე იყო, ვინა უღებ, ღლე სრბისა მისისაგან არა დასცხრების (სწავ. 257,20,21); ბრძანებამან შენმან

<sup>111</sup> ლ. კოტაძე, ძირეული და ნასახელარი ზნები ქართულში: თმშ. 28, 1946, გვ. 176; ა. შანაძე, სწრაფი ძრავალთეი 864 წლისა და მისი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის: სწრაფი ძრავალთეი 864 წლისა. სასტამბოდ მაშხალდეს კათედრის წევრებმა ა. შანაძის რედაქციით, წინასიტყვაობით და გამოკლევით. 1959, გვ. 311.

დააყენა მზც სრბისაგან (მოღრ. 105,22); მაშინ სრბით გამოვიდა მოწაფე მისი (სინ. 272,6); იწყო სრბად მკერცხლ მოსლუად, და ყოელისა ერისა სიბრავლ მის თანა (მოქ. 24,15); ხოლო მისე...ბუნებითა მათ სრბათა დაკადებდა (მოღრ. 15,2).

3. სუფევეა. ამ ფუძის ამოსავალი ძირი უფ უნდა იყოს. ეს უფ გვაქვს აქედან ნაწარმოებ ფორმებში, როგორც არის: უფ-ალი, მე-უფ-ე, უფ-როსი, უფ-ლება, უფ-ლებს. შეიძლება უფრო ადრეულ საფეხურზე მარტო ფ დარჩეს და უ გამოიყოს. საწყისის მანარმოებელი ს პრეფიქსი პირიან ფორმებშია გადასული: სუფევეს, სუფევედა, სუფევედეს. შღრ. სყიდა და განისყიდების, მსყიდველი, განსყიდული, სასყიდელი, აგრეთვე ზოგიერთი საწყისისათვის ნიშანდობლივი ნ სუფიქსი: პოვნა და: პოვნის (მან იგი); უპოვნეის, ნაპოვნე და სხე.

სუფევეა-ს პირიანი ფორმები იშვიათად იხმარება. აი, უფრო დამახასიათებელი იკითხვით ნიშნები: ქრისტეს თანა მსუფევე მარადის (სას. პ. 120,137); რამეთუ სუფევედა სიკედელი მოსმსამდე (სინ. 12,7); მსუფევედ შენ უკუნისამდე (Sinn. 6, 218v).

სუფევეა შენი სუფევეა არს ყოველთა ზედა უკუნისამდე და უფლებად შენი ყოველსა შორის თესლსა და თესლსა (სინ. 138,12); სუფევეასა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა... შევისწავეთ მარტვლობად წმიდისა და ნეტარისა ამის მოწამისა... ჯაბოისი (აბო 189,28); და მესამედ სუფევისა ჩემისა მთავრობდე (დან. 5,16); არა ვგრეთ, არამედ სუფევეად განეშაღებდი (ლიტ. ქრ. 168,3); უწუნნა მას ყოველნი სუფევეანი სოფლისანი და დიდება მათი (მ. 4,8).

4. სყიდვა. საწყისის ს ყველაზე მეტად ამ ზმნის პირიან ფორმებსა და, განსაკუთრებით, მიმღობებშია გავრცელებული: ანუ არა ორი სირი ერთის დანვის განისყიდების (მ. 10,29; განსყიდის C); მეტად განისყიდენით (ეს. 52,3 G); მოვესყიდოს შენ (ლევ. 25,39 G; მოგაყიდოს თავი მისი შენ pb); სანი არის თითქმის ყველა სახის მიმღობაში: კერძის მსყიდელთა; (ი. 2,15); განმსყიდელთა და მომსყიდელთა (მრ. 11,15); სყიდულ (აბო 178,14); სყიდულანი (დაბ. 17,23); სასყიდელი (მ. 27,9 C). მიმღობებში დამკვიდრებული ს მერამე საესებით შეუხირცდა ფუქეს და დაუბრკოლებლად გადავიდა აქედან ნაწარმოებ სხვადასხვა ტიპის სახელებში: უსასყიდლოდ მიგიღებდეს, უსასყიდლოდცა მისცემით (მ. 10,8); აქენდეს ქარტანი, რომელთა პრექან სყიდულება ჩუენი (სევან. 222b).

მაგრამ ისე არ უნდა გაიკოთ, თითქოს ცეკლ ქართულში უსანო პირიანი ფორმები არა გვაქონდეს. არა, ასეთი ნიშნებიც არაიშვიათია. მაგალითად: სყიდლა ყოველთა ვეკატელთა (დაბ. 41,56); იყიდდეს და განსყიდდეს (ლ. 17,28); ძენი იუდაისანი და ძენი ისრაელისანი მიწყიდენით ძეთა იონთასა (იოველ 3,6); ქვეყანად არა განსყიდით სრულად (ლევ. 25,23 pb) და სხე. ჩვენ აქ ძირითადს, დამახასიათებელ ხაზზე ვლამარკობთ.

ახლა ვნახოთ თვით საწყისები: ესე კულა სყიდა გინა ღვნისა გინა თევზისა ყოველადე არა ესენებულ არს მონასტერსა შინა თენიერ ზეთისა (ი—ე. 81,1); უბრძანა უფალმან მისმან განსყიდა ცოლისა და შეიღთა მისთა (მ. 18,25); ცუდად იწამებენ განსყიდას ზედა და მოსყიდას კონისა ერთისა მხლისასა (სწავ. 161,7); მათი საუბნარი განსყიდისათვის არს და მოსყიდისა (მ. ცხ. 21v); უკვეთუ მისცე სყიდით მოყვასსა შენსა (ლევ. 25,14 G); ხოლო ნათესაჲსა უცხოთა ვერ ველ-ენიყუბის მისყიდად მისა, ვითარმცა შეურაცხ-ყო იგი (გამ. 21,8).

ამ ჯგუფში განიხილავენ აგრეთვე სწავლა და სწავლა ზმნებსაც, მაგრამ აქ ს საწყისის ნიშანი არ უნდა იყოს. ამას გარდა, ს სწავლა-ში ხშირად საწყისიც არ

არის წარმოდგენილი, არის წრაფით, და რამდენადაც ძველია ძველი, სადაც ასეთი ფორმები გვხვდება, იმდენად იშვიათია მათში ს. ამიტომ ამით სლევასა და მისთანათ ვერ გავეუთანაბრებთ. სულ სხვა საკითხია, თუ რა წარმომავლობისაა სწავლა და სწრაფა და მათი კუთვნილი ს.

## II. ს — ა

1. ს-არ-ებ-ა (ტანჯვა, წვალება, წამება, უბედურება). ეს საკმარად იშვიათი ზნა პირიანი ფორმებით ღარიბია და ნაკლებად მოგვეპოვება, უფრო მეტია საწყისი და მიძღვობა. ამიტომ ვუჩვენებთ თითქმის ყველა ნიმუშს, რომლებიც ჩვენს განკარგულებაშია.

მიზღვოს და ქარისიოს, მუცდონია და ტერტია ღიდად აარნეს, რაითამცა დაიმორჩილნეს იგინი (ამოკრ. 20,3); შემიწყალე მე და მოავლინე ლაზარე, რაითა დააწოს წუერი თითისა მისისა წყალსა და განავრილოს ენასა ჩემსა, რამეთუ ვიარები აღსა მას შინა (ლ. 16,24 C. ასეა აგრეთვე ლატალის ხელნაწერშიც. DE-ს ჩვეულებრივი ვიტანჯები აქეს); ან ესერა ესე აქს ნუგემინის-ცემულ არს და შენ მანდა იარები (ლ. 16,25 C; იტანჯები DE). ლუკას თავის ამ ადგილის თარგმანება დატულია იოანე ბოლნელის ცნობილ შრომაში. იქაც ვეგვე ფორმებია გამოყენებული. მაგალითად: აღიხილნა თუალნი თვისნი, რამეთუ იყო იგი ტანჯვასა შინა დიდსა და იარებოდა იგი საუკუბილსა მას შინა (ბოლნ. 71,15). აქ ტანჯვასა და იარებოდა გვერდიგვერდა ნახმარი; რამეთუ ვიარები მე აღსა ამას შინა (იქვე, 71,21); ან ესე აქს ნუგემინის-ცემულ არს და შენ მანდა იარები (იქვე, 72,12). რამდენიმე ასეთი ფორმა სხვა ძველი ძეგლებიდანაც: დიდისა ქირისა ჩემისაგან ვიარები უდაბნოსა ამას (მამ. ცხოვრ. 207,7); რომელი-იგი მუნ იტანჯებთან და იარებთან (Sin. 35, 67va). კვლავ ერთმანეთის გვერდითაა იტანჯებთან და იარებთან.

რამეთუ არა ღირს ხარ, არამედ საარება გელოს შენ, მიგვადოს შენ ღმერთმან სულები კაცთა, რომელ წარსწყმიდე (კომ. I, 45,28); უსამართლობა და საარება მოისპეთ (ეზექ. 45,9 Ⴎ; უბადრუკება Ⴎ); საარებასა შინა მოეწყდეთ, ცხოვრებით ეცხონდეთ (II-341, 739); გულისხმა-ყავნ დამტკიცება ამის საარებისაგან მკსნელისა ჩუენისა (საკ. წ. II, 16,21); არა უწყია, რამეთუ შენ უძვრესადლა საარებად ხარ ჩემსა (Sin. 62, 41vb); იწყე ჩემდაცა საარებად და იძულებად, რაითა თაყუანის ესცე (ეცხლსა მას (წარტყ. 41,10); მიეცებოდინა ყოველნი ბრალეულნი გუებათა და სა-არებათა. ხოლო მართალნი მათოვის იგლოედენ (ხანსთ. 7,10). მიძღვობა: საარებული (ბოლნ. 68,20).

2. აღ-სა-არ-ებ-ა (სიმაართლის თქმა, აღიარება; ცნობა; გამოტყდობა). იხმარება სათავისო და სასხვისო ქვეყის ფორმით.

აღიარებ /ავიარებ E/ შენ, მამაო, უფალო ცისა და ქვეყანისაო (ლ. 10,21); მან აღიარა და არა უკარ-ყო (ი. 1,20); აღუკარებდეს /ავუკარებდეს C/ ცოდვათა მათთა (მ. 3,6); მან თვით აღუკარა მამასა ანტონის აღსრულებად მის ზედა სიტყუასა მას ფსალმუნთასა (გამოცხ. 12,9 თ).

მეციტ აღსაარება უფალსა ღმერთსა მამათა ჩუენთასა (I ეზრა 9,8); ეწამე მისი აღსაარება /აღსაარება A/ (გამოცხ. 1,2 თ); რომელთა წარიწორნეს თავნი მათნი აღსაარებისათვის სამებისა წმიდისა (ბაღ. 18,10); გული მისი იხარება აღსარებითა (ისტ. ქრ. II, 115,16); რომელ მოვიძღუნე თქვენ აღსაარებად სახლსა

შინა უყელისასა (ბარ. ა. 14 ს.); აღსაარებელი (საქ. წ. II, 76, 12); აღსაარებელი (მამ. ცხორ. 32, 19).

3. **სა-ლმ-ობ-ა** (ტყენა, ტკივილი; გადატ. შწუხარება, ავადმყოფობა, უბედურება). უფრო ნაკლებად იხმარება მოქმედებითად, ხშირია ვნებითის ფორმები. აქედანაა ლმობიერი: ძველად: მტკივანი (ფერვი ლმობიერი, გული ლმობიერი); ახლა: ვისაც სხვისთვის გული შესტკივა — შემზრავლებელი, შემწესარებელი, გულჩვილი, სათნო: ქველ).

გული გულში ჩუენ ერთითა ყელის-საბმელითა მძივისა შენისაითა (ქებ. 4, 9); თაეი აღმვის შეტვევებითა ღვინსაითა და სლვანი ფერუთანი შეურღვის და უქტვენ წრფელად ხელვასა გუგათასა (სინ. 113, 5); ილმო ღელაკაცან ერთსა შინა ღლესა (ეს. 66, 8 pb).

გული ჩემი მელმის (საქ. წ. II, 49, 32); ფირად შეელმის, ვითარცა ელმინ რაი კაცსა შეილის თვისსათვს, რაეამს შეაშთობს მას ეშმაკი (ბალ. 49, 24); მოვიღენ წყლულეზანი ბოროტნი მაშინ, და გულსა მათსა ელმოლის დიდად სალმობითა შწართა (გამოცხ. 16, 2 თ).

მიეც განღვენად მათგან ყოველი სალმობაი (პარხ. 605b); სალმობამან შეიყვინეს იგინი რისხვისაგან (იობ 21, 17); არამედ აქ სნეულთაგან განსღვენიდა სალმობასა (სვან. 153b); სალმობითა აღსაევს გული ჩემი (კიმ. I, 136, 9); არამედ კაცი იშვების სალმობად (იობ 5, 7); რომელმან დაქსნნა სალმობანი ჩუენნი ღლითი-ღლედნი (სინ. 47, 25); ჰკითხვიდა სალმობათა მათთვს (შუშ. 16, 6).

4. **სა-ნქ-ე-ვა** (ძლიერი ქროლვა, ქარიშხალი, გრიგალი). იხმარება უზმნისწინოლად (ანქრევა, ანქრეველეს...) და გან ზმნისწინითაც (განაქრინეს, განაქრაოს...). საწყისებიც შესაბამისად ორგვარი აქვს: პირველი რიგისათვის — **სა-ნქ-ე-ვა** (სა პრეფიქსიანი წარმოება) და მეორე რიგისათვის — ჩვეულებრივი **გან/ქრევა** (ბრძანა ... განქრევა ნიზბითა წინაშე ქარსა ნაცარი იგი ძულათა მისთა წმიდათა (Sin. 11, 366r), მაგრამ აქ მნიშვნელობაც სხვაა: გაფანტვა, გაბნევა, ქარსგატანება. მაგრამ მანც ორგვარი საწყისი რეალობაა. შღრ. ზახება და ზახილი, ზაღა და ზადილი და სხვ. ჩუენ ამჟამად ანქრევს და სანქრევა ტიპის ფორმები გვიანტერესებს.

ნუ ანქრევ ყოელთა ქარითა (ხორ. 5, 11); ქარი ანქრევა (სიბრძ. 17, 17); ანქრეველეს მათ ზეღა ქარნი და განვმენ (ეს. 40, 24; მი. ბერა მათ და განვმენ O); ღუკლფი საუბილისაი, რომელი-იგი ანქრია ზეცად მოსე (A-92, 306).

ნუ დამეარანენ მე დამაბნელებელი იგი სანქრევაი, და ნუცა კუამლი მისი დაეხუეეინ ზატსა სულისა ჩემისასა (აპოკრ. 12, 42). მოიპოვება სათანადო მიმღობაც: განიქრის სანქრეველითა (ამოს 9, 9).

5. **სა-ხარ-ებ-ა** (კარგი, განსხარებელი ამბავი; კარგი ამბის ხარება, ცნობება, მოტანა): მას ვგრე ვგონა, ვითარცა რეცა სახარებასა რას მახარებდა (2 მუჟ. 4, 10); ეხარა სახარებაი მარიამს და სიტყუანი ვორციელი შეა, ცხირებისა საუკუნოისა ჩუენდა მომატყეებელი (სინ. 38, 24; სვან 52a).

ხაილი ესე ყოველი, რომელი ჩას, სახარება არს მათთვს (სინ. 259, 22); დაჯედ და დაქარ ვტრატე ესე და წმიდად დაწერე მას შინა სახარებაი ესე (სვან. 261b); სახარებათაი კეთილი მოაქუნდეს (2 მუჟ. 18, 27); არცა სახარებამან სადაკად თქვა (მრავ. 268, 2); აღივსო სიხარულითა სახარებისა მისთვს (ისტ. ქრ. I, 252, 4); რაი-მე იყოს აღსასრული უჩრთა მათ სახარებისა ღმრთისათა (1 პეტ. 4, 17); იწყი სახარებად (ურთ. 144, 23); სიტყუაი სახარებისაი მართოუა მოყუასითა მათი (რაიკ).

174,2).

სა პრეფიქსიანთა გვერდით გვხვდება უპრეფიქსო ფორმებიც: ვითარცა-იგი ვ:კარს-ცუბისა მისისათჳს სმენაი მწუხარებით იყო, ვერეცა აღდგომისა ხარებაი (სინ. 155,10); მე ვარ გაბრიელ. წინაშე მღვდომელი ჰირსა ღმრთისასა და მოვივლინე სიტყუად მუნდა და ხარებად ამას (ლ. 1,19). მიძლეობები: მახარებულად (ლ. 4,18); ხარებულ (მ. 11,5).

6. სა-ხიობა (სიმღერა, გალობა, მუსიკა). შედარებით იშვიათია პირიანი ფორმები, ხშირია საწყისი, რამდენადაც მიძლეობებიც. პირიან ფორმებში გადმოსუ-ლია საწყისისეული სა პრეფიქსი (მღრ. განისცილების, სუფევს, მიპოენიეს...), თუშეა ძველი, უპრეფიქსო წარმოებაც ვეკაქეს. დღევანდელი მსახობი ამ ფუძიდან არის მიღებული და გაფართოებული მნიშვნელობით იხმარება (იგი არა მარტო მო-მღერალა). სა აქ, რა თქმა უნდა, დიდი ხნიდან არის ძირს შეხორცებული.

ზღვს ქალნი... ზღუასა შინა არიან და სახიობენ სახიობასა ეძითა ტებოლითა (სახ. 16,3); მოიღე ქარი,... კეთილად ებნიდ, ფრიად სახიობდ, რაითა საესენებელი მუნდა იყოს (ეს. 23,16). მეორე ტიპის (უსანო) მაგალითია: ახიობდეს ქებასა (2 ნეშტ. 23,13 M). ახიობდეს და არა სახიობდეს, როგორც პირველი ტიპის ნიმუშების მიხედვით იყო მოსალოდნელი. მაგრამ ახიობდეს უფრო ძველია, ვიდრე სახიობენ, სახიობდ (თუშეა მთლად გამორიცხული არაა, რომ ამ ფორმაში გადამწერს ს გამორ-ჩა).

საწყისებს კი მათი ძველი მწარმოებელი ყველგან აქვთ დაცული: უბოთ უფალსა ჩუენსა კაცი ერთი, რომელმან იცოდის სახიობაი, გალობაი უფლისათაი ქართით (1 მეფ. 16,16); ღვთობან და სახიობამან ახარიან გულსა (ზირ. 40,20); კეთილად გალობდა სახიობასა უფლისასა მეცნიერებით (1 მეფ. 16,18); სახიობით სრულ მყოფეს გალობასა შემოქმედისასა (ექესთ. 39,17); ფერად-ფერადთა სახიობათა განცხრომაი დაგებულ იყო ნესტვსა და სტვრისაი. წინწილისა და ებნისაი (კომ. 1, 223,32); დაღუშნეს ემანი იგი სახიობათანი (მოდრ. 95v,14).

სახიობას აქვს მოქმედებითი და ენებითი გვარის მიძლეობანი: მახიობელი (ზირ. 9,4 O; სინ. 206,15; უსკ. რედ. 157,15) და სახიობელი (რიფს. 171,34; ეზგ. 26,13 28x).

### III. სა — ე

ამ პრეფიქს-სუფიქსით ვ:კრ:ვ:კრობით მხოლოდ ერთი ზმნის საწყისია ცნობი-ლი: სა-ქვე (=კეთება)<sup>172</sup>. მისი პირიანი ფორმებია: ვიქმ... იქნ... ვიქმოდე... ვქმენ... ამის პარალელურად იშვიათად, უფრო გვიანდელ ძეგლებში, ქმნა-ც იხმა-რება: ამისი ქმნაი შეუძლებელ იყო (ი—ე, 20,22); დაცკად და ქმნად ყოველთა წერილ-თა (ისუ 6. 23,6 G; დამარხვად და ყოფად M).

პირიან ფორმებში ამ ზმნას ბევრი ზმნისწინი ერთევის: აღმო.ქმენენ, გამო.ქმნა, გან.უქმნიეს. გარდაქმნა, მოქმნა, შექმნა. სათანადო ზმნისწინებით კი საწყისები შედა-რებით ნაკლებად გვხვდება. ყველაზე ხშირია უზმნისწინო საქმე, მერამე აღ და შე ზმნისწინიანი: აღსა.ქმე. შესა.ქმე.

<sup>172</sup> ა.ო.ჩხავაძის სა.ქმე მიძლეობად მიანდა: სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართულურ ენებში. 1942. გვ. 62, 63, 84.

ერთი საქმე ვქმენ, და გიკვრს ამისთვის (ი. 7,21 C); ჯერ-არს შაბათსა შინა კეთილისა საქმად (მ. 12,12); ჩემდა ჯერ-არს საქმედ საქმესა მომაულონებელისა ჩემისასა (ი. 9,4); რაისა მკითხავ მე კეთილისა საქმისათვის (მ. 19,17); რაისა ველ-ნიყოფა ... ესევეითარისა საქმედ (შუშ. 4,16).

ახლა ზმნისწინანი საწყისები ენახოთ: რომელი-იგი ეტყოდე მოსეს აღსაქმედ მისა (მოც. 7,44); შესაქმად კაცისა მარტოდ ოდენ დამტკიცებით შექმნა დამბადებელ-მან ყოველთამან (უძე. რედ. 148,19); შესაქმესა კაცისასა განზრახვაჲ წინა უსწრებს, ვითარ გამოსახოს შექმნილი (უძე. რედ. 148,3); წინაისწარვე ვიდრე შესაქმედმდე შენდა მოუკელსა შინა გიცან შენ (იერ. 1,5); ესევე ეამი არს სოფლისა შესაქმისა (სინ. 159,17).

#### IV. სა — ულ

სახარულო ჩემო, მივსენ მე მათგან, რომელთა მოუცავე მე (ფს. 31,7 წ<sup>4</sup>). აქ სახარულ უფრო გაერკვლებული სიხარულის პარალელური ფორმაა. საინტერესოა, რომ ეს სა — ულ კონფიქსიანი წარმოება უფრო ძველ, წ და ჯ, რედაქციებშია დაცული. გიორგის სა — ულ წარმოების სიხარულო აურჩევია. ბერძნულშიც სიხარულის აღმნიშვნელი სიტყვაა: τὸ ἀγαλλίαμά μου. სახარულ სხვა ძველშიც გვხვდება: სახარულ ვექმენ მტერთა (მ. ცხ. 143r), შდრ. აგრეთვე: ვითარცა დედაი, შეილთა მიერ სახარულეყანი (ფს. 112,9 წ<sup>4</sup>; სახარულეყანად: წ). რაკი სა — ულ კონფიქსიანი წარმოება ახლა უკვე სამივე რედაქციაში ერთნაირადაა, შეიძლება იგი რეალურ წარმოებად (და არა შემთხვევითის მოვლენად) ჩავთვალოთ და შევიტანოთ პრიფიქს-სუფიქსიან საწყისთა სიაში<sup>111</sup>.

#### V. სი — ა

1. სი-ვლტოლა (გაქცევა თავის გადარჩენის მიზნით, ვინმე რომ გაეცქევა რაიმე უბედურებას; მოძრაობა; ბრუნვა). იხმარება უზმნისწინოდ და ზმნისწინებითაც: მივივლტი, მოვივლტი, განვლტვის, შეივლტვის, წარივლტოდა. ზმნა ვნებითი გვარისაა, მაშასადამე, ოდ საერცობიანი. აქვს ინიანი და ენიანი ვნებითის ფორმები. სი პრიფიქსი, ჩვეულებრივ, უზმნისწინო ფორმებს გულისხმობს, სხვებს (ზმნისწინიანებს) აქვთ თავ-თავისი ზმნისწინანი საწყისები (სი პრიფიქსის გარეშე). მაგალითად: ამა ესერა ქალაქი ახლოს არს მივლტოლუად ჩემდა მუნ, არს მცირდ და განკერე (დაბ. 19,20); იწყეს კუალად შევლტოლუად სიცივისაგან ადგილთა ყუდროთა (ს. მეს. 68,22). ჩვენ ამჟამად მხოლოდ უზმნისწინო ფორმები და მათი (სი პრიფიქსიანი) საწყისები გვანტერესებს: ვიდრე ივლტი, ზ კაკო (სინ. 104,10); ვითარცა-იგი რაი ივლტინ კუამლი წინაშე ქარსა (ისტ. ქრ. II, 96,30); ერთბამად ყოველნი ივლტოლეს, მათ მიერ ოტებულნი (წარტყ. 15,13).

ფორმად წუხდა გული მისი და განიზრახა ფარულად სივლტოლაი თვისთა ქციქანითა საღმრთოითა წიღებითა (ხანძთ. 205,18); და მხედვიდა... ქურათა განლიგებულთა და ეშმაკისა მწუხარებით სივლტოლასა (სინ. 76,2); ხოლო იყო შემდეგი-

<sup>111</sup> სახარულ საწყისად (მასდარად) მოაწნია ა.ჩიქაძეასაც: სახელის ფუძის უქველესი აქვს ულუბა, გვ 229.

მღ სივლტოლისა მის ნერს(სისა ქართლით (აბო 165,42); ველისაგან მისისა სი-  
ვლტოლით ივლტოლის (იობ 27,22); დაღუმნა ხოლო და სივლტოლად იწყო სწრა-  
ვით (შუმ. 138,14).

დღეს სივლტოლა აღარ იხმარება. გვაქვს მტირედ შეცვლილი სახით (ვლტო-  
ლა→) ლტოლუა. მაგრამ მას რამდენადმე სხვა მნიშვნელობა აქვს: მისწრაფება,  
სწრაფუა რამესკნ ან ვინმესკნ. გვაქვს აქედან ნაწარმოები მიძლეობა: ლტოლვილი  
(გამოცხ. 20,11). ეს ფორმა სწორედ ძველი მნიშვნელობით შემოგვენახა დღემდე:  
ლტოლვილი — გაქეული, გადახვეწილი.

2. სი-კცხ-ვე-ა (დაცინება, მასხრად ავდება, შევინება, შეურაცხყოფა).

ეს საწყისი იხმარება მარტო ე პრეფიქსიანი ზმნებისათვის (ეკიცხვეს,  
ეკიცხვედა...). აქვს მხოლოდ I სერიის მწკრივები და (ასევე მხოლოდ) უზმნისწინო  
ფორმები. აქც ორგვარი საწყისი მოგვეპოვება: უფრო მარტივი და შედარებით ახა-  
ლი კიცხვეა და უფრო ძველი სი პრეფიქსიანი სიკიცხვეა (მღრ. ვლტოლა და სიე-  
ლტოლა. მღერა და სიმღერა, ხარება და სახარება... ზახება და ზახილი...). ესენი  
ერთმანეთის გვერდით იხმარებიან. პირიანი ფორმები მათ აბსოლუტურად ერთნაირი  
აქვთ. ამიტომ ორივე სახეობას ერთად ვუჩვენებთ: არავის ვეკიცხვე, არამედ  
უფროსად ვეგლოვ ცხობებასა ჩემსა, რომელ აქამომდე დავიმარხე ხილვად ესე-  
ვითართა საქეთა (კობ. I, 70,17); მასრობნ მდაბალთა და ეკიცხვენ სულ-გრძელთა  
(Sinn. 36, 286b); ხოლო ივინი ეკიცხვედეს მას (მ. 9,24); მეტყოდანი ჩვენ და  
მეკიცხვედენ (ნოე. II, 21,26).

ამ საერთო პირიანი ფორმების შესაბამისად ძველ ქართულში, როგორც ითქვა,  
გვხვდება უფრო ძველი სი პრეფიქსიანი საწყისი (სი-კიცხ-ვე-ა) და უფრო გვიანდელი  
ეპრეფიქსიანი (კიცხ-ვე-ა).

ა) თუ აღმოვდეს სიტყუაი უშუერი და სიკიცხვეაი ამაჟო პირისაგან და  
გონებათა ჩუნთაგან, შევიდეს მკვერად მელიძი (სახ. 31,24); ესემტა პირველად  
უნეთი, რამეთუ მოიწინენ უკანაისკნელთა დღეთა სიკიცხვეით მეკიცხვიელნი,  
გულის-თქუისაგებრ თვისისა მავალნი (2 პეტ. 3,3 წ); მასრობდეს მათ როსპიჩნი  
სიკიცხვეით და უსახურ იქმნენ (სეან. 465a; სინ. 259,13; კიცხვეით); ხოლო ივინი  
ეკიცხვედეს მათ და იტყოდეს, ვითარმედ: ტბილითა განსაესე არიან ესე. ჭეშმა-  
რიტსა დათუ იტყოდეს, არამედ სიკიცხვეად<sup>14</sup> დგეს (სინ. 188,16); შემოვიდა  
ჩემდა მონაი ესე ებრაელი, რომელი შემოიყვანე სიკიცხვეად<sup>15</sup> ჩემდა, და მრქეა მე  
(დაბ. 39,17).

ბ) მრავალი შრომაი დაითმინა და სასიკრიბილედ შეწიქედევია და კიცხვეაი და  
ბასრობაი (ი—ე. 52,30); რომელნი-იგი უფრონი/ს/ თავს-მდებელ არიან ტყუელისა და  
კიცხვეასა (მაღ. 114,28); უკეთუ კიცხვეის რამე ღირს ჯუარი (მამ. ცხორ. 45,8);  
აწ კიცხვეის-მე რაი ღირსა ესე (იქვე, 46,5); მასრობდეს მათ როსპიჩნი კიცხვეით  
და უსახურ იქმნენ (სინ. 259,13); მისენ იგი წარმართთა კიცხვეად და ტანჯვად  
და ჯუარ-ცუბად (მ. 20,19).

სათანადო მიძლეობებიც ხშირია: მოქმედებითი გვარისა მეკიცხველი (2 პეტ.  
3,3 წ) და ენებითისა საკიცხველი (ფს. 78,4; მიქ. 1,10). დღეს მოქმედებითის საწყი-

<sup>14</sup> სქლოში არის მნიშვნა, ასეაო. სწორედ ასე უნდა ყოფილიყო. ეს უფრო ძველია, ვიდრე  
კიცხვეად. რომელსაც აქ ეკოდნენ.

<sup>15</sup> გამოცემაში განსწორებულია: კიცხვეად. "სიკიცხვეად" სქლოშია ჩატანილი.



სად განიკცხვა იხმარება ცოტა სხვა მნიშვნელობით: გაკოლვა, გაკოცხვა.

3. სი-მღერა-ა. ამ ფუძეს მრავალი მნიშვნელობა აქვს. ესენია: მღერა; თამაში (შეთამაშება—შეძერა ბავშვისა დედის მუცელში), ხტუნვა, კუნტრუმი (ცხენისა, კვიცისა); დაცინვა, მასხრად აედება; ხუმრობა. საწყისად აქაც ორივე სახეობა გვაქვს. ძველი (სიმღერა) და გვიანდელი (მღერა). ეს კია, რომ ძველი, სი პრეფიქსიანი, სახეობა გაცილებით უფრო ხშირად გამოიყენება, ვიდრე მარტივი მღერა. ამასთან შეკარად განსაზღვრული არ არის, თუ როდის იხმარება საწყისად სიმღერა და როდის მღერა. უჩვეულო აქ არაფერია: ასეთი ორგვარი საწყისი არც ისე იშვიათად გვხვდება ერთსა და იმავე ზმნებთან. სიმღერა და მღერა-ც ამ ხაზზე დგას.

ა) ესრძით დაუცხრობელ იყო სიმღერა იგი პირუტყუთა მათ და წიხნა (უღაბ. 32vს); გარეშე შეძლერი იგი სიმღერასა მას ბრძოლისასა განაძლიერებნ. და კუი არს მათა, რომელსი იმღერან მას სიმღერასა (სუან. 476a); თაგისუყალ იყო იგი სიმღერისაგან ყრმათაგან და ყოვლისაგან აღრევისა კაცთაგან (ისტ. ქრ. I, 203,13); ამაოთა მით სიმღერითა მტერობა შეიძინეს ურთიერთას (სუან. 476b); იწყეს ცხენთა მათ სიმღერად, ვითარცა ჩუეულ იყვნეს, ურთიერთას (მამ. ცხორ. 49,38); მხედვიდეს რაი ამას, ესმა მუნით გამო უმაი სიმღერისა (ბაღ. 50,15).

ბ) საკიცხელ არს გონიერთა კაცთა კენჭებითა მღერა (A-92, 727); მღერასა შინა ვარდაიქრა ქენებული სხვისა მიერ კლდესა კარაული კონონისი და მოკედა (ასურ. 116,19); იწყის მღერად და პბრამენ პრაკთა მათ (სახ. 236,16). მიძლეობაა სამღერელი (მამ. ცხორ. 22,28) — დასაცინი.

4. სი-სრა-ა (სროლა). პირიანი ფორმები ინიანი და ენიანი ვნებითით იყო წარმოდგენილი, უფრო გავრცელებული იყო ენიანი ფორმები. საწყისად თითქმის ყველგან სისრა-ს იყენებდნენ, მაღზე იშვიათად უფრო ახალი წარმოების სროლა-საც. დღეს ძველ ქართულში ასე გავრცელებული სისრა აღარ გვაქვს, მისი ადგილი ყველგან სროლა-მ დაიკავა.

იწყეს რომელთამე მათგანთა ქეთა სისრა მთავრისა და ერისა მისისა (კომ. II, 32,15); ეზოი კრეტსაბმელისა მის დაებარი სისრითა სარკუმელისა მისგან (რავახ. 81,26); იწყეს სისრად ქეთა ხატსა მეფისასა (კომ. II, 56,26); ვგევე საწყისი გვაქვს რთულ ზნაშიც: მყის სისრა-უყო მათ, და შეიძინეს (ფს. 63,5 ლ); არა შეიწყნარეს, არამედ სისრა-უყვეს ისრითა მათითა (კომ. I, 177,8).

ერთ ადვილას სისრა ნახმარია გამარტივებულად, სწორედ საწყისის ძველი მანარმოებელი სი პრეფიქსის გარეშე: შევიდა ეკლესიად ჟამის-წირვასა და იწყო სრად კანდღეებისა, მოკლევნდა (მამ. ცხორ. 297,33).

ამ უჩველესი საწყისის გვერდით მხოლოდ ერთხელ შევხვებდა უფრო ახალი სროლა: იწყეს კაცთა მათ სროლად და ტყორცებად ისართა (ანტიოქ. 140,22). ამ უკანასკნელისაგანაა ნაწარმოები მიძლეობა სა-სროლი-: აგოს /ზღუდესა/ მას ზედა ფილაკავანთა სიმრავლძ სასროლად ქალაქსა (S-1141, 511).

5. სი-ტყუა. სიტყვა (სიტყვა) დიდი ხანია, რაც არსებით სახელადაა ქცეული (ἀόγος, ὄ, εἰσαα). ძველ ქართულში კი უმსაჯურესად საწყისი იყო ისეთი ტახისა, როგორიცაა: სიულტოლა, სიოციხევა, სიმღერა, სისრა, და თქმას, ლაპარაკი აღნიშნავდა (ἀέγειν, εἰπέειν, ῥοιροίτη, κραζατხ). მას ძველად მრავალფეროვანი პირიანი ფორმები აქონდა. დღეს იმ ძველი გავებით, როგორც ითქვა, ლაპარაკი, თხრობა იხმარება. ამ საწყისის არსებითი სახელად ქვეყნის პრაქტის თვით ძველ ქართულში არის უკვე დაწყებული. ამიტომაც, რომ მას წარამარა ვხვდებით ყველა ბრუნვის

ფორმით, აგრეთვე მრავლობითში (სიტყვანი, სიტყვათა...). მერმე და მერმე იგი მიიღიანად გადავიდა არსებითი სახელების რიგებში, ყველა ზმნური ნიშანი ჩამოეცალა და ტიპურ არსებით სახელად იქცა. მის ადგილას კი, როგორც ითქვა, თქმა, ლაპარაკი, თხრობა დამკვიდრდა.

მრავალი მატეს თქვენთვის სიტყვა და სასჯელი (ი. 8,26 C); ყვის სიტყვათა მის თანა (ისტ. ქრ. II, 54,4 = ელასარაკებოდა, ესაუბრებოდა ხოლმე); ჩუენ ამას სიტყვასა შინა ვიყევით (მუშ. 4,1); მთავარნი დადუნეს სიტყვსაგან და ველი დაიდევს პირთა მათთა (იობ 29,9). სიტყვა ამ გაგებით ყველაზე ხშირად ვითარებით ბრუნვამი გვხვდება—ვითარებითში დასმული საწყისი ხომ უცხო ენათა ინფინიტივის მაგივრობას წევდა: მიერთვან იწყო იესუ ქადაგებად და სიტყუად (მ. 4,17); დასცხრა მიერთვან სიტყუად მისა (რეთ 1,18); არა უტევებდა სიტყუად ეშმაკთა მათ (მრ. 1,34); შესძინა აბრაამ მერმე სიტყუად (დაბ. 18,29); სხუთა ვერღარა სცალდა სიტყუად (მუშ. 10,14). ასეთ შემთხვევებში სიტყვა სხვაზე მეტად დაწყება ზმნის პირიან ფორმებთან იხმარება. სათანადო მიმღებობებიც აწმყოს იმავე ტყე ფუქიდანა ნაწარმოები: მეტყუელი (მ. 10,20); უტყვ (მრ. 7,32 C).

6. სი-ლიღა. ძველ ქართულში გერჯერობით არც ერთი პირიანი ფორმა არ არის დადასტურებული, გვაქვს მხოლოდ საწყისი სილოდა სხვადასხვა ბრუნვისა და რიცხვის ფორმით, აგრეთვე მიმღობა მულოდარი. მისი ძველი მნიშვნელობა უნდა ყოფილიყო: გალობა, სიმღერა, მუსიკალური ხმიანობა. მოგვიანებით მას მნიშვნელობა შეუცვლია და აღუნიშნავს "უნესო სიმღერა სიმთვრალეში", საერთოდ, უნესობა სიმთვრალეში, აყალბაყალი<sup>16</sup>.

იღერდეს...ნესტვთა, ჭარითა, ბობლითა, და პინითა და პირად-პირადითა სილოდითა შემღერთათა (2 მეფ. 6,5); კანის მკულელებრი ცნობა, სეთითს ძეთა ღირწება, გმირთა სილოდით მაეალობა (ლიტ. ქრ. 374,13); ცხად არიან საქმერი კორცთანი; რომელ არიან:...ღირწობანი, მთრეალობანი...სილოდანი და მსგავსნი ამათნი (გალატ. 5,21); სილოდათა იქმოდეს (მ. ცხ. 399v).

ანუ კისა სმენია თუ სხუთა ვიცი მულოდარიოთა (2 მეფ. 19,35).

7. სი-ქვა (გარყენილება, მრუშობა). ძირი, რომლისაგანაც ნაწარმოებია სიქვა, ძვე უნდა იყოს, რომელიც დაეკვლია მეძე-ში. განსახილველი ზმნა მდიდარია პირიანი ფორმებითაც და საწყისებითაც, ამასთან, ძალზე ხშირად იხმარება ძველ ძეგლებში.

უკუეთო გარემე გუამი შენი დაიცივე სიქვისაგან და შინაგან გულის-სიტყვთა ისიქოდე. ვისიძეს გულის-თქუითა შენითა (სწავ. 312,25-26); ისიქვა თამარ, სძალმან შენმან (დაბ. 38,24). რაისათვს ისმის თქუენ შირის სიქვა (სინ. 209,11); ქარწინებასა მას ქება აქუს..., სიქვასა—ენება და ტანჯვა (სვან. 129a); რომელმან დაუტევოს ცოლი თვისი თვნიერად სიტყვსა სიქვისა, მან ამრუშა იგი (მ. 5,32); ურბილოს სიქით იშვა (კობ. I, 54,4); ვანსაცდელი მიუელინა მას ეშმაკმან—ფიცხელი გულის-თქუთა სიქვისა (კობ. II, 172,28); ას ვანმრავლდეს სიქვანი იგი იახაბელინი (4 მეფ. 9,22). მიმღობა: შსიძავი (სწავ. 51,22; 261,18).

<sup>16</sup> შ. შანბე, სილოდა და მულოდარი ძველ ქართულში: მცნე, 5, 1964, გვ. 251, 254.

## VI. სი—ილ

ძველ ქართულში საწყისთა სი—ილ პრეფიქს-სუფიქსიანი წარმოება ერთ-ერთი გავრცელებული სახეობაა. ისეთი ფორმები, როგორცაა სიბორჯილი, სიყმილი, სიციბილი, სირცხელი, სიმშლილი, სიძულილი და მსგავსნი, ფართოდ იხმარება ენაში. ბევრი ამათგანი დღეს უკვე არსებით სახელადაა ქცეული.

1. სი-ბორჯილ-ი, სი-ბორჯილ-ე (სიციე, სიმშაგე, სიყოფე, ჭკუაზე შეცდენა, გადარევა; ცთუნება). გვაქვს პირიანი ფორმები (ბორჯის, ბორჯა, აღბორჯა, განბორჯნა), მიმღობები (აღბორჯებული, განბორჯებული), სხვაგვარი წარმოებაც (ბორჯნეული) და, ცხადია, ფართოდ ხმარებული საწყისებიც, ამასთან, ორნაირად: სი-ბორჯილ-ი და სი-ბორჯილ-ე. ორ უკანასკნელ ფორმას აბსოლუტურად ერთნაირი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ მათი დაცილება და სხვადასხვა აღვილას განხილვა არ იქნება გამართლებული. მაგრამ არც ის ფორმიზირივი გათანაბრება მართებულია, როცა მათ ერთ საწყისად განიხილავენ: სიბორჯილ-თან შეაქვთ სიბორჯილ-ი, სიბორჯილესა, სიბორჯილენი, სიბორჯილეთა, ხოლო სიბორჯილ-ესთან—სიბორჯილი, სიბორჯილმან, სიბორჯილსა, სიბორჯილნი, სიბორჯილთა. ესენი ერთი მნიშვნელობის სხვადასხვა ფორმებია, ამიტომ ისინი სხვადასხვა საწყისთან უნდა იქნენ შეტანილი: ერთნი (სიბორჯილსა, სიბორჯილთა) სიბორჯილ-თან, მეორენი (სიბორჯილესა, სიბორჯილეთა)—სიბორჯილ-ესთან. აქდგება ერთი საჭირობოროტო საკითხი: რომელ საწყისს მივაკუთვნოთ ნათესაობითისა და მოქმედებითის ფორმები—სიბორჯილისა და სიბორჯილეთა, ესენი ხომ ერთნაირი უფლებით შეიძლება ჩავთვალოთ ორივეს კუთვნილებად?—თეორიულად ისინი ორივეს შეიძლება მივაკუთვნოთ, მაგრამ რაღაცნაირ იმ ორგვარი საწყისიდან (სიბორჯილი, სიბორჯილე) ჩვენს ენას ისტორიულად უფრო შეუფერება პირველი (სიბორჯილი) და გაცილებით უფრო გავრცელებულია ენაში (შარ. სი-კედ-ილ-ი, სი-მშ-ილ-ი, სი-ყმ-ილ-ი, სი-ცბ-ილ-ი, სი-რცხ-ილ-ი, სი-მღე-ილ-ი, სი-ც-ილ-ი, სი-ცონ-ილ-ი, სი-ძულ-ილ-ი), სადავო ფორმები (სი-ბორჯ-ილ-ისა, სი-ბორჯ-ილ-ითა) პირველს უნდა მივაკუთვნოთ, სიბორჯილ-ეს კი მხოლოდ ორი საწყისი ამჟღავნება გვერდით: სიორძილი — სიორძილე, სიციბილი — სიციბილე. მაგრამ ესენი მეტად იშვიათად გვხვდება ენაში. მართალია, სი—ილ-ე პრეფიქს-სუფიქსებით ნაწარმოებია კიდევ ერთი საწყისი სიურვილე, მაგრამ ამას პრაქტიკულური ფორმა არ გააჩნია.

ა) არა ებორჯი, მუყე, არამედ მრავალთა სიბორჯილეთაგან აწლა გუდისიკის-ყოფასა მივიწიე (4 ძვე. 199, 21, 22); ნუ .ბორჯით თქუენცა სიბორჯილისა მაგისისა მსგავსად (კომ. I, 143, 28); განრისხნა და ბორჯდა ფრიად ნინოისთვის და ნანა დედოფლისა (ლიტ. ქრ. 224, 36). ამნაირ პირიან ფორმებს სიბორჯილ-ის გვერდით იშვიათად უფრო მარტივი საწყისი აქვს: მღერად და ბორჯად აღიძრნეს (H-2251, 279v). ეს ზმნა აღ და გან ზმნისწინებს დაირთავს: კარაული იგი ზნოანი აღბორჯდა (საქ. წ. 93, 36); განბორჯნენ პირისაგან მახელისა (იერ. 25, 16).

ბ) უღმრთოთა დედათა მკეცებრ სიბორჯილი (სინ. 212, 29); სიბორჯილი სახლსა ღმრთისასა დადგეს (ოსე 9, 8 O; სიბორჯილე I); მრავალი სიბორჯილე იყო წარმართთა (II-341, 766); ვერ შემოვიღეს სიბორჯილე მტერისაი შენ ზედა (ბალ. 120, 26).

ხოლო მაქსიმანოს...განკრძალულ იყო სიბორჯილსა ზედა (ისტ. ქრ. II, 50, 14); აწ უკუე ესოდენსა სიბორჯილსა კინ-მე შევარდეს (Sin. 35, 217rb); იყენს

ყოველნივე დიდსა სიბორვილესა შინა (კომ. I, 190,36); სარწმუნოებითა და მოთმინებითა სსლო მათსა მას სიბორვილესა (ლიტ. ქრ. 67,23). მაგრამ: აწ ცოლიცა მისი შეივრძნო შეწყველ სიბორვილისა მისისა (II-341, 456); მისცა იგი ვრძან მან მსაჯულსა მას სიბორვილითა თვისითა (უდაბ. IIIrb).

სიბორვილად (კომ. I, 190,4), მაგრამ: სიბორვილედ (ანტიოქ. 101,17); სიბორვილთა (სევან. 394b), მაგრამ: სიბორვილეთა (მ. ცხ. 48v).

2. **სი-კედ-ილი-ი.** ეს სიტყვა ძველ ქართულშიც თითქმის მთლიანად არსებითად არის ქცეული. ამიტომაცაა, რომ ფართოდ არის გავრცელებული მისი ორმაგი ბრუნვების ფორმები. უზნისწინო ფორმები იშვიათია, იხმარება უმთავრესად მო ზნისწინით. ეს ზმნები ხშირად გამოიყენება პარონომასიულ გამოთქმებში (სიკედლით მოკედლენ, სიკედლით მოკედლეს...). ძალზე იშვიათია კედლმა და მოკედლმა. ამით ნაკლად უკვლესი საწყისი სიკედლი იხმარება. მოქმედებითის საწყისად მას მოკედლნება და მოკლეა ენაცვლება: სიკედლი არა თუ სხუაი რაი არს, გარნა მოკლეება სულისაი (უქე. რედ. 218,19); რადენ გინდა შენ მოსიკედლი შენისა უფლისაი (საქ. წ. II, 94,4); ვიცი, რამეთუ სიკედლიმან შეგმუსროს მე (იობ 30,23); სიკედლსა ესადე მამად ჩემდა (იობ 17,24); რომელი შეეხოს კაცსა ამას და ცოლსა მისსა, სიკედლისა თანა-მღებ იყოს (დაბ. 26,11); რომელმან უგოს კერპსა, სიკედლით მოკედლენ (გამ. 22,20); განაჩინეს იგი სიკედლი (დან. 13,41); დღეს სიკედლით მოსიკედლი არს აღონა (3 მეფ. 2,24); მოიწინენ დღენი ამისა ჩემისა სიკედლისანი (დაბ. 27,41). ამ ზმნის მიძლეობაა მკუდარი (მრ. 9,26).

3. **სი-მშ-ილი-ი, ში-მშ-ილი-ი.** ამ ორი სახეობიდან მეორე პირველისგანაა მიღებული ასიმილაციის ნიადაგზე<sup>177</sup>.

ნეტარ ხართ, რომელთა გმძის აწ, რამეთუ განსძლეთ (ლ. 6,21 E); სხვა ხელნაწერებში პირველადი გმძის ფორმის ნაცულად გვხვდება ბგერებაკარგული ვარიანტები: გმძის D, გძის CHIK, გძის H; მათ ჰმძის და სხუათა ზრდიან (მრავ. 285,26). სინურ ძრავალთაგანში ხაზგასმული ექვსასოიანი ფორმის ნაცულად უკანასკნელ საზღვარამდე გამარტივებული შის იკითხება (36,16); იმში, რაითა განსძლეთ (სწავ. 289,16); ამ ტიპის ფორმები II სერიაში იშვიათია. შღრ. მის გვერდით მოცემული ინიანი ენებითის ფორმები: იწყურე, რაითა მსუა, ფრად საწყურელ იქმენ, რაითა პატყე-ცებულ იქმენ, იგინე, რაითა იჭო (იქვე, 289, 16,17). ამათ გვერდით გვაქვს ენიანი ენებითის ზნისწინიანი და უზნისწინო ფორმებიც, ამასთან, პირველი მათგანი წყევტილში: შეეშმა ვისმე ძმასა (მ. ცხ. 122r); პურითა არღარა გუეშქოლის (იერ. 42,14 O).

იცის მაძღრობაი და სიშძლი (მამ. ცხორ. 105,14); შეიწინდეთ, მამანო, რამეთუ ჩვენ ვერცა სიშძლსა დაუთობთ, ვერცა სიმაძღრესა (მამ. ცხორ. 109,11); ძრავალნი მათგანნი მოკედლარ იყენეს შენ შინა, რომელნიმე სიბნელითა და რომელნიმე შიშძლითა (წარტყ. 18,28); შეეშმა მე სიშძლითა (1 მეფ. 30,13); სიშძლი და სიყძლი სინონიმური ცნებებია. ამიტომ სავსებით ბუნებრივია გამოთქმა შეეშმა სიშძლითა. ეს ორი სიტყვა სხვაგანაც გვხვდება პარალელურად: იყო შიშძლი ძრიელი სოფელსა მას (ლ. 15,14 პარიზ. ლექც.), მაგრამ CDE-სა და სხვაგან ამ ადგილას სიყძლი იკითხება; ყოველთა მიძართ და ყოველსა შინა შეზნულ ვარ:

<sup>177</sup> ა. შანიძე, საუბულები, გვ. 22.

განძიებად და სიმშილად, აღმატებად და დაკლებად (ფილიი. 4,12. AB რედაქციაში პარალელურად იკითხება: შიმშილ ბ, შიმშილად I. შიმშილ არის აგრეთვე CD რედაქციის ყველა ხელნაწერში). აქ ვითარებითს ბრუნვაში ამ ტიპის სახელების ბრუნვის მთელი ისტორიაა გადამწლილი.

4. სი-ორამ-ილ-ი, სი-ორამ-ილ-ე საერთოდ, (გა)ზრდა, გამრავლება; მცენარის (ამო)ზრდა და გაზარება; მოძრაობა. ესეც სიბოროელი / სიბოროილ-ეს მსგავსი ფორმა, ამასაც ორგვარი საწყისი აქვს. უფრო ძველი და გავრცელებულია სი— ილ წარმოების ტიპისა (სი-ორამ-ილ-ი), შედარებით გვიან განვითარებული — სი — ილ-ე ნიმუშისა (სი-ორამ-ილ-ე). სიორამილი შედარებით ღარიბია პირიანი ფორმებით. არც საწყისები გვხვდება ხშირად.

ხოლო შემდგომს მას არღარა შეესძინებ სიტყუად (სენ. 82a); ბოროტსა ზელ ბოროტსა დასძინებ (მ. ცხ. 142v); არარას შეესძინებს ამისი გამოძიება (საბა ას. 8,41); ხოლო უფალი შესძინებდა ცხოვრებულთა მათ დღითი-ღღელ ეკლესიასა (მოც. 2,47).

არა არს შეძინება და მისგან არა არს გამოკეება (ეკლ. 3,14); მოპოვნებათ თქვენი და შეძინებათ გვნებნ (ისტ. ქრ. II, 37,23); აღმოსცეს გულმან ჩემმან პრავალ-სახმ სიტყუათა შესძინებამ ღირსთა მათ (კომ. I. 136,3); ზაკუეთთა სავსემან მოკლა ფარულად ძმ იგი საბორ სახრსთა მეფისთა პალატსა შინა სიხარბითა ზუეჭისა და შეძინებისა საფასეთა მათ, რომელნი მიეცენს მინდობით მამასა მისსა ნამარხეუად (კომ. I. 5,22); მწუხარებათ იგი მათი შეძინებითა მით მისითა ნუგეშინის-ცემულ იქნა (სინ. 121,16).

როგორც ითქვა, მიძლეობებში არა ჩანს ებ თემის ნიშანი, მაგალითად: შემძინე-სა (ისტ. ქრ. II, 40,6); შემძინელ (კომ. I, 7,4); შესაძინელ (ბოლნ. 21,8). გამონა-კლისის სახით გვაქვს შეძინებულ (კომ. I, 196,3).

11. მოწყონება. ამის მნიშვნელობა: წყენა, მწუხება, თავის მობეზრება. იხმარება უზმნისწინოდ ან მო ზმნისწინით, ძალზე იშვიათად შე ზმნისწინითაც. ფორმებით მდიდარია, ვნებითიც ებით იწარმოება. ზოგჯერ გვხვდება უთემისნიშნო ფორმები—პირანიც და მიძლეობაც. დღევანდელ ენაში ებ თემის ნიშანი აღარაა.

ნუ მწყონებ საქმესა, რომელსა მიწყონეს (სწავ. 257,31); ვითარ არა მოვი-წყონო სოფელი ესე, რამეთუ იგი მოიწყონებს მოყუარულთა მისთა (ბაღ. 106,37); არა მიუხზნინან ადგილსა, სადა აწყონებულ კაცნი (საკ. წ. II, 55,38); აწყონებლან მამასაზღისნი და ძმანი მონასტრისანი (ი—ე, 35,11).

მოწყონებასა შევარდა ფიცხელსა (მ. ცხ. 67r); წყინებისა მისთვის მისისა აღდგეს და მოსცეს, რაოდენი უემდეს მას (ლ. II,8); სარკინოსთა წყინებისათვის და ზელა-მოსლვისა ვევედრებით შენსა სიმშველსა, რამთა უბრძანო სუმოსს ღიღებულსა და აღაშნოს ციხმ (მამ. ცხორ. III,1); ეშმაკი მოწყინებისა მბრძოლა სენაკას შინა ჩემსა (ლმ. III,34); მოცემად...სამკაული ღიღებისა და სულისა მის მოწყინებისა და (ეს. 61,3).

მიძლეობა: მომწყინებელნი (ბაღ. 103,8); მოწყინებულმან (ბარ. 3,10); მოუ-წყინებულად (ასურ. 137,2).

ეს ყველაფერი ძველებურადაა და რიგზეა, მაგრამ იშვიათად გვხვდება მაგალი-თები, რომლებიც გვიჩვენებენ, რომ ახალი ფორმების განვითარების პროცესი დაწყე-ბულია და ებ თემის ნიშანი უკვე დაკარგულია. ეს მოსალოდნელიც იყო. ახალი ქარ-თელის ჩამოყალიბების პროცესი მეტად ხანგრძლივია, მას თვით ძველ ქართულში აქვს სათავე. აი, ორიოდ ნიმუში ჩვენი ზმნისათვის: ვაწყენ მათ (მ. ცხ. 265v და არა: ვაწყინებ); /შმა ვინმე/ წყენილ იქნა ფრად სიძვისაგან (მ. ცხ. 157v).

დასასრულ, აღვნიშნავთ, რომ გვევ უთემისნიშნო ფორმე აღებულია ახალი სახელის საწარმოებლად: რამთა ისწავთ უწყინობამ მონაზონებას შინა (მამ. ცხორ. 30,2).

### ც. ავ — ი

ამ მეტად მტირერიცხოვანი ჯგუფის ზმნებს ძველად რამდენიმე თავისებურება ახასიათებდა: ა) თემის ნიშნად ავ, ქონდათ (დაველურავთ, დავემლავთ...); ბ) ფუ-

ძისეული ა არ იკუმებოდა I სერიის მწკრივებში (II სერიისაში ძველადაც და ახლაც უკუმპველია); გ) ეს ა ენებითშიც ხელუხლებელი იყო (დაიღუარების, დაიშალეების); უკუმპველი იყო საწყისიცა და მიმღობაც (დაღუარვა, დაღუარული, შალვა, დაშალვა, აღშალული). ძველადვე ქართულში დაიწყო გამარტივება. მერამე და მერამე ფუძეც შეიკუმა, გაქრა აჲ თემის ნიშანი და მის ნაცულად ი თემის ნიშანი დაერთო ფუძეს (დაკლერი, დაღერი, დაქმლი, დაშლი). ეს შეკუმული ფუძეები გვაქვს დღეს აგრეთვე საწყისებასა და მიმღობებშიც.

1. დაღუარვა დაღერა, დაქცევა, დაფანტვა, გაფანტვა: რაითა ისწაოთ, ვითარმედ არა ცულად რას დაღუარავით სიტყუათა ამთ (სინ. 218,20); ვეცხლისა მაგის დაღუარვადია რაისა არს თქვენდა (უდაბ. 95ra); არცა გლახაკებასა მას დაძრიდა, არცა შიშულობასა მას დაძრიდა და არცა საფასელთა მათ დაღუარვისათვის რას იტყოდა (იქვე, 64ra). მიმღობა: დაშლუარველ (თუჯაღი, 57,13).

ენებითშიც ყველაფერი რიგზეა ძველის კვალიაზე: გარდაიქცევის იგი და დაიღუარების (მ. ცხ. 145v). მაგრამ: გარდაიქცევის იგი და დაიღუარების (მ. ცხ. 145r); რაისათვის იყო დაღუარა ამის საცხებლისა (იპოლ. 2,253).

2. შალვა. იხმარება უხმნისწინოდ და აღ, და, შე ხმნისწინებითაც: ჰბერვიდა წყალოთაგან ნიაგი და შალვიდა ფურცელსა ხისა მისგან და აძრედა რტოთა მისთა (ისტ. ქრ. I, 235,24. დღეს: შლიდა); ამას იტყოდა და ამისსა უმრავლმსსა და დაიშალვიდა თმათა თვისთა შესამით ჟამითგან ვიდრე მეცხრედ ჟამადმდე (აპოკრ. 61,17); განძლიერდა ჟამი იგი შალვისა და განდგომილებისა (პარხ. 850a); სულმან სიმყარლისამანი/ შევიშალოს ვინებაი გულისა შალვითა (სწავ. 159,16 = არეეთი); ვისნი არიან შალვანი გულისანი (II-2251, 284r).

ენებითშიც და მიმღობაც აღნიშნულ წესს მისდევენ: ჯერ-არს ჩვენდა, რაითა ვწუხდით მარადის, რამეთუ შეთხზულებად ესე ცხორებისა ჩვენისაი დღითი-დღედ დაიშალვიბის (სწავ. 252,24). მიმღობა: აღშალულად (მამ. ცხორ. 182,15).

მაგრამ თვით ძველ ქართულშიც არაიშეიასთა ამ წესის რღვევისა და ახლისა ჩასახვის შემთხვევები. მაგალითად: იყოს...ერისა აშლაი, მეფეთა დაუწყნარებლობაი (მ. ცხ. 32v); ნუვისმცა ველ-ენჭიების არა შეწყნარებაი მათი, ვინათუ შეყოთით განზრხვისა მათისა დაშლაი (ხანძთ. 148,41); ნავსა შინა მყოფთა, რომელთა ველი ეშლებინ (A-92, 270).

! d. ი — აჲ

ეს წინა ჯგუფის შებრუნებული ტიპა: ფუძეს ძველ ქართულში ი თემის ნიშანი ერთოდა, ახალში კი ი ჩამოსცილდა და მის ნაცულად აჲ დაერთო (მწყესის—მწყემსავს, რცხის—რეცხავს).

1. მწყესა დღევანდელი მწყემსვა თავისი ძირითადი მნიშვნელობით, შემდეგ გადატანით და გაფართოებით—მოულა, ჰატრონობა, მართვა, განგება. აჲ ჩვენ უფრო პირველი მნიშვნელობა გვანტერეხებს.

სადა მწყესი (ქებ. 1,6 O); მწყესით ცხოვართა დაკლვისათა (ზაქ. 11,4 rh); უშომად თავთა თვისთა მწყესან (იუდა 1,12); მწყესიდა რაი საცხოვართა ლაბანისთა (ივდ. 8,22 O); მწყესით გამწყსიდენ თქვენ მეცნიერებით (იერ. 3,15).

ჯერ-არს სიმშდით და მოწყალებით მწყესა საშეფოსა თვისსა (ლოტ. ქრ. 301, 21); არცა სხუთა მწყესასა, არამედ სამწყსო-ყოფასა აღსთქუმენ (დ. სჯ. კან. 447, 34); წარვიდეს ძმანი მისნი მწყესად ცხოვართა მამისა მათისათა სჯქმედ (დაბ. 37,12).

არის იზიანი ვნებითის ფორმა: მე უწყით, რამეთუ ასპიტნიცა ნელითა სიტყვითა დაიწყესებთან და კუფხნიცა ფუფუნებით დამშუღდიან (სინ. 214,14).

2. რცხა, განრცხა რეცხუა, გარეცხუა: მუნ რცხედ ყოულად-დასაწყულთა (ეხეკ. 40,38 ო). რცხედ აწყუოს ხოლმობითა. მოსალოდნელი იყო რცხილ ( = там омылиют жертвы всесожжения ); იხილნა მას ზედა ღელანი, რომელნი რცხილეს (ამ. ცხორ. 217,27); ხოლო მესათხელენი იგი გამოვიდეს ნავისა მისგან და განრცხილეს ბადეთა მათთა (ლ. 5,2 C).

სხუაესა მრავალი არს, რომელი მიეღო .იკრობა: განრცხა სასუქელებისა და სტამბებისა და ქუბებისა და ცხედრებისა (მრ. 7,4); რამეთუ სამოსელი დაბაყლებული განრცხითა და გამოწყურითა განსეტაკნის (წარტყ. 32,3); მ ღელანო, რაჟამს დასხდეთ რცხად სთულისა მის თქუენისა, ... მოიყსენეთ თქუენ განახლება ცხოველისა მის (უქვ. რედ. 121,7); იწყეთ განრცხად სამოსელთა თქუენთა სინანულითა, რაითა სასძლოს მას, რომელსა ჩინებულ ხართ, წმიდად იპონეთ (სინ. 83, 21; სჟან. 382a).

მიძღუობებსაც თეორიულად საჭირო ფორმა აქეთ დატული: მრცხელი (უქვ. რედ. 170,4; მალ. 3,2); სარცხელი (მ. ცხ. 172r; სწავ. 281,18).

### c. 0 — o

1. წონა. ამ ზნაში თავიდანვე არ გვქონდა თემის ნიშანი და I სერიის მწყრივებში ჩვეულებრივ წონ ფუძე იხმარებოდა. შემდეგ და შემდეგ მას დაერთო o თემის ნიშანი (წონის, წონილა, წონილეს...). კილოებში აქა-იქ o-ს ავ თემის ნიშანი ენაცვლება (წონავს, წონავდა, წონავდეს...). რაც უმართებულოა. ძველებური წარმოების ნიშნებია: ვითარ ეპგონებ მე. აღვწონ ღიდ-ღიდთა საქმეთა მცირითა სიტყვითა (მრავ. 297,1); ზომსა ვერ იწონს მოტაცებისას (სწავ. 274,13); იხილა ამათი ნებსით უღმწიფება, და რამეთუ აღვილად გარდასწონს უმარებად მიმართ უფროის, ვიდრე უბეობებისა მიმართ (კურთხ. მოს. 140,10); ესეკითარი იგი მსგავს არს, რომელი წონს ქართა (აღწ. 71,10); გონებასა თვისსა აწწონდა (უდაბ. 20v); არა მოეწონდეს კეცხლსა მას, რომელსა მისცემდეს მოქმედთა მათ (4 მეფ. 22,7).

უბრძანა მუსმართა განწონა გუამსა მოწამისასა (H-341,129); განწონა—გარკობა. გამსკვალა, მოხვედრება ისრისა, მახვილისა... განგმირვა.

მიძღუობებიც ძველებური წესით არის ნაწარმოები: გამწონელი (კომ. II, 197,25); აღწონელი (იქვე, 203,28); აღწონილი (I ნეშტ. 28,15).

2. წველა. ძველ ქართულში იშვიათად იხმარება. სადაც გვხვდება, უთემისნიშნა. მაგალითად: წველდა მათგან სძესა და გამოსწყურვიდა ხაჭოსა (H-341, 394); იხილნეს ირეზნი მდგომარენი, და წმიდაი ლუკიანე წველდა ირებთა მათ (ასურ. 163, 20 წ. 4 რელაქციაში პირიანი ფორმის ნაცვლად მიძღუობა ნახმარი: მწველელი); განკუეუთა ხარკი ზედა ავანთა და სოფლებთა ნაყოფიერთა, რაითა მსახურებდენ მათ ნაყოფთაგან მათთა და წველისაგან საცხოვართათისა და ზროხათათისა (ურთ. 70,17).

ღღეს ამთ ნაცვლად o თემისნიშნანი ფორმები გვაქვს (ეწველი, წველის, წველან, წველიდა...). რომელთა გვერდითაც იხმარება ავ თემის ნიშანი. საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ მწველაკი ("წველაში დახელოვნებული პირი" — ქველ). მაგრამ ეს არსებითად ქვეული სახელია. ზნისი პირიანი ფორმების ნორმად



კი ისევ და ისევ ი თემისნიშნის ფორმები რჩება.

### f. 8 — ებ

წოდება) 1) (სახელის) დარიქება; 2) დასახება, მოხმობა; 3) მოწოდება, მოპატრონება. პირიან ფორმებში ებ იშვიათად გვხვდება, ჩვეულებრივია უთემისნიშნო წოდ. ფუქის გამოყენება. საწყისები და მიმღებები კი მხოლოდ ებ თემის ნიშნით იხმარება. ამ ფუქის მისი ძირეული წ-თი კავშირი უნდა პქონდეს წეს ფუქისთან, რომელიც აგრეთვე წოდებას, დასახებას, მოხმობას აღნიშნავს. შდრ. უწესს პიტახ-ში (შუშ. 7,32).

ძველ ქართულში ხშირია ოდენ წოდ. ფუქისანი პირიანი ფორმები: რამეთუ არა სიხარულსა და მხიარულებასა გაუწყებ თქვენ და არცა განცხრომად და შუებად მოგიწოდ თქვენ, არამედ მწუხარებად და გლოვად (წარტყ. 1,23); რომელთა მიერ დღითი-დღედ გიწოდდი შენ (სწავ. 63,11. B: გიწოდდი); მაშინ უმინაგანსს შუწოდ-და სწრაფით მოსრულსა და პრქუა (მრავ. 256,21).

იშვიათ შემთხვევებში ებ პირიან ფორმებშიც შეიძლება აღმოჩნდეს: სამსტუროთაგან მისთა გიწოდებენ (ეს. 41,9 pb; საბგუროით მათით მოგიწოდებ შენ 1); ასა ესერა მიწოდებოეს სახელით ბესელმლ (გამ. 31,2). ეს 1 თურმეობითა, რომელიც აწმყოს ფუქეს ეყრდნობა: უწოდებ—მიწოდებოეს.

საწყისებსა და მიმღებებში, როგორც ითქვა, ებ ყველგან გვაქვს, ოდენ წოდ. ფუქისანი საწყისი და მიმღებობა არ იცის ძველმა ქართულმა. ნიმუშები: არღარა ღირს ვარ წოდებად ძედ შენდა (ლ. 15,21); არა მივედ წოდებად მართალთა, არამედ ცოდვილთა (მ. 9,13; მრ. 2,17); მწოდებელი (სინ. 131,13); წოდებული (ლ. 2,21 C); უწოდებულად (სინ. 28,19).

### გ. ებ — ობ

1. დამკუება. ძველსავე ქართულში გვაქვს უკვე ებ-ის ნაცვლად ობ თემის ნიშანი. ეს უკანასკნელი უფრო ხშირად იხმარება. შეიძლება დავუშვათ, რომ ებ ობ-ად ფონეტიკურ ნივთსავე იქცა: უე-ო. შდრ. ძველი განმარჯუება და დღევანდელი გამარჯობა. მაგრამ ასეთ დაშვებას ხელს უშლის ამ ტიპის სხვა საწყისები, სადაც აღნიშნულის მსგავსი ფონეტიკური პირობები არაა, მაგრამ ებ / ობ თემის ნიშანთა მონაცვლეობა აშკარაა (განაძებს—განააბობს, მოსაძებს—მოსაბობს). ასეა თუ ისე, ებ თემის ნიშანს მაინც ენაცვლება ობ როგორც თვით ძველ ქართულში (ხშირად), ისე თანამედროვე ლიტერატურულშიც (ყველგან). პრაქტის ტერიტორიული და ქრონოლოგიურია. მაგალითებს ცალ-ცალკე მოვიყვანოთ.

ა) რამეთუ არა ვგულებოდა მის მიერ დამკუებაი (უქვ. რედ. 66,11); იქწნენსკა ასონი მათნი შრომისაგან დამკუებულ (იქვე, 169,9); ხოლო იხილა რაი იუვანე პირი დედაკაცისაი მის დამკუებული, ... უყრა ველი მისი (ამოკრ. 62,12); შეეწოდა მას უფალი, რომელმან ვორცნი ჩუენთვს შეისხნა და თავი თვისი მისცა დასამკუებულად ეშმაკისა (უდაბ. 21vb).

ბ) ამას დღესა ცხორებაი სიკუდილსა დაამკობს და უკუდავებაი გამოჩნდების (სინ. 74,25; სევან 336a); მოპონებაი მისი დამკობა არს კაცისა, რომელი-იგი არს ხატი ღმრთისაი (სევან. 59b); იხილა ეშმაკან... რამეთუ ვგულებოდა მის მიერ დამკო-

ბაი (სვან. 225b): უკეთესი პეტრე მოციქული უარის-ყოფითა მათ კინილა და მო-მცა-ე(ა) იგი დაჰობასა. რაოდენ უფროის თქვენ მიუცნეთ წარწყმედასა (წარტყ. 59,5); შუბღვომად მისსა შემსღებელ არს ძლიერი იგი უძლეველი მტერთაცა დაჰობად (იქ-ჰი. 10,33).

მიძლეობა: დაჰობილი (მოც. 15,16); დასაჰობელად (მოცტ. 34,4).

2. განიება გაჰობა, გახევა, გახეთქა; გაყოფა; განხეთქილება. აქ საქმე უფრო მარტივად არის გადაწყვეტილი: ძველში მხოლოდ ებ თემისნიშნანი ფორმებია, ახალში—ასევე მხოლოდ ობანანი:

კაბე უფსკრულთა (მ. ცხ. 52v); სამოსელსა ნუ იებენ (ლევ. 21,10 pხ); განაბებლეს მუცელ-ქუბულთა მათ გაღადელთასა, რაითა განაერცნენ საზღვარნი მათნი (ამოს 1,13); თესთა სამოსელთა დაიებლეს (სვან. 224a).

მაშინ განსკრთე და შესძრწუნდე და ვითარცა მახვლმან განელოს სული შენი, ოდეს იხილო ტადარსა მას შინა თენიერ ეკლისა განიებაჲ კრეტსაბშელისაჲ მის (უღაბ. 48rხ); ესე სასწაულნი თანა-მოდგამ არიან მოსეს მიერ ქმნილთა მათ განიებასა ზღვსასა (ზარზმ. 165,17); სირცხვლმან შეიყრნეს მოქედნი სელისა მის პებით სთულისანი (ეს. 19,9); გამოიძიეს...განიებთა წყლულთათა (უძე. რედ. 221,3); უბრძანა დაიებად პარეგავტი მისი (ურთ. 120,26); ჟამი არს განიებისა და ჟამი შეკერვისა (ეკლ. 3,7).

სათანადო მიძლეობებიც ამ წესს ემორჩილება: პებული (ეზექ. 27,5); განიებულ (ლევ. 11,4,5,6); დაიებული (იგავ. 23,21).

ენებითში ებ თემის ნიშანია დატული: გული ჩემი შეების (იერ. 4,19).

## h. ებ — ი

ძველ ქართულში ამ ტიპის მარტივი ფუძეები (ცეალ, ცად...) I სერიის მწკრივებში არ იკუმშებოდა და გვქონდა: დააცადებს, დააცადებდა... სცეალებ, შესცეალებს, ჩამოიცეალებდა... რაც შეეხება II სერიას, ეს ხშნები არც აქ იკუმშება, მარტივი ფუძე ორივე სერიაში ხელუხლებელია. ამავე წესს ექვემდებარება ენებითებიცა და მიძლეობებიც.

ცეალება უფრო ხშირად იხმარება, ვიდრე დაცადება. ეს ეხება როგორც ძველ, ისე ახალ ქართულს. ახალ ქართულში ფორმათა ეს სიმძირე რამდენადმე ანახლაურებულა ცალ მარტივი ფუძით: არ აცლის, არ აცლიდა, არ აცალა. ძველში ეს ფუძე იშვიათად იხმარებოდა (არცალა პურისა ჭამად აცალებდეს: მრ. 6,31).

1. დაცადება შეწყვეტა. თავის დანებება: ვიდრემდე არლა მოტეიებ და არცა დამცადებ შე (იობ 7,19); ვითარცა შეავდეს იოვანე სასყრობილესა, ხოლო იგი არავე დააცადებდა კადნიერებასა (სინ. 208,19).

არამედ იწროებისათვის ადგილისა მნებაეს სიტყვსა ამის დაცადებაჲ (სინ. 37,29; სვან. 50b); უბრძანა იობ დაბერევი ნესტვსაჲ და დაცადებად სცა ბრძოლაჲ ქალაქისაჲ მის (2 მეფ. 20,22).

ენებითშიც შესაფერი ფორმა გვაქვს: რომელნი-იგი ნათლის-ლებასა დაცადებთან და არა განემზადებთან (სვან. 365a = აცდენენ, წყევტენ, არ ატარებენ).

სრულიად ამგვარადაა ნაწარმოები მიძლეობაც: დაუცადებული (აბო 165,23; კობ. 1, 94,24; სას. 3, 38,33).

2. ცეალება შეცეა, ცელილება; გაცილა, გამოცეა, გადაცეა; სიკელილი.

„უკეთეს კრებულსა შირის ხარ, ნუ იცვალე ადგილსა; უკეთეს არა, დიდად გვენოს (სინ. 35, 305ra); ნუ განსცვალე მეგობარსა შენსა ქრთამად (ზირ. 7,20); ნუ შესცვალე სიყვარულსა ღმრთისასა ცოლისა სიყვარულად (სწავ. 121,24); რომელი იქნს ყოველსა და გარდასცვალე და გარდააქცევს განთიად არიდლოსა სიყდილი-სასა (ამოს 5,8); არა არს ზაკუეა ღმრთისა თანა და არცა ვის ტანჯვით კუალად სატანჯველად მისცვალე (სწავ. 48,9); ნელად ჩამოიკვალე და ხარისხად თვსად მონაკუეთსა (ქ. ცხ. 114,3).

რამეთუ ცვალეხასა თანა მღვდლობისასა ჩას, ვითარმედ შჯულისა (ცვალე-ბაი იყოს (ებრ. 7,12); კარი ესე ძუელი არს სენაკისა და უნდა გამოცვალე (მ. ცხ. 169v); გულისმა-ყავე შეცვალე (სიტყუათა თენიერ თქუეულისა ჩემისა (უქვ. რედ. 123,8); გარდაცვალე (მით დააკრევა მისთანათა მათ (სინ. 121,14); ბრძანე-ბაი უკითხა და სპარსთა და განსინება და წესი, რომელი მეფემან დაამტკიცოს, არა ჯერ-არს ცვალე (დან. 6,15); იდენსე ინება წმიდამან მამამან ჩუენისან ეფთხე აღსლუა მთასა ათონისასა ფერის-ცვალე (ი—ე, 33,12); მუნ არღარავინ უფლებს განცვალე (სამოსლისა, რომლითა წარმოდგეს (სწავ. 281,11).

საწყისი ერთადერთ შემთხვევაში იხმარება ახლებურად — ფუძის შეკუმშვითა და ებ თემის ნიშნის გარეშე: უკეთეს განცვლით განსცვალე იგი (ლევ. 27,15). თუ აქ რაიმე უნებლოე შეცდომა არაა გადაწერისას თუ გამოცემისას, მაშინ ეს იქნება ძველი წესის რღვევისა და ახლის ჩასხვის პირველი მერცხალი.

მიმღობებიც ძველი წარმოების სურათს წარმოგვიდგენენ: კერძის-მცვალე-ბულნი (ი. 2,14 C); გარდამცვალე-ბულნი (ოსე 5,10); ცვალე-ბულ (ი. 4,18 C); უცვა-ლებულ (რიფს. 10,25).

i. ებ — ავ

1. განკიცხება გაკიცხვა, გაკილეა, საყვედურის თქმა; შეურაცხყოფა; დაცი-ნვა. იხმარება გან ზმნისწინით (ძალზე იშვიათად მო-ც გვხვდება), მაგრამ არა აქვს უზმნისწინო ფორმები. გან ზმნისწინითაც პირიანი ფორმები არის მხოლოდ II სერიის მწკრივებში (განკიცხა, განკიცხა, განკიცხეს, განკიცხონ...). I სერიის პირიანი ფორმები ჯერჯერობით არ არის დადასტურებული. გვაქვს მხოლოდ საწყისი: განკი-ცხების უჩნდა მისგან განტევება სამთა მათ მაზაზონთა (ლიმ. 56,27); რაკი არის საწყისი განკიცხების, ცხადია, ამის პირიანი ფორმები I სერიისათვის უნდა ყოფი-ლიყო: განკიცხებს, განკიცხებდა, განკიცხებდის, განკიცხებდენ..., მაგრამ, რი-გორც ითქვა, ჯერჯერობით არ ჩანს. განკიცხების საწყისს გვერდში უღვას ამ პრინ-ციპზე აგებული მიმღობა განკიცხებული (და არა განკიცხული), რომელიც ნახმარი აქვს დ.გურამიშვილს: ეკლის გვირგვინით მოსილი, შიშველი, განკიცხებული (დავითიანი, 1955, გვ. 41,104,2).

როგორც ითქვა, ამ ზმნას ძირითადი მნიშვნელობით I სერიაში უზმნისწინო ფორმები არა აქვს. რამდენადმე მათს მაგივრობას ეწევა უპრეფიქსიანი და ევ სუფიქ-სიანი ფორმები, რომელთა მნიშვნელობაც არის დაცინვა, მასხრად, სასაცილოდ ავ-დება. ეს არის ერთი ნააზლად გამოხატული ცალკე ჯგუფის საშუალო გვარის ზმნები.

რომლებიც მონაარსითაც და ფორმითაც ახლოს არიან მოქმედებითი გვირგვინის ზმნებთან<sup>45</sup>. დაკლებთ აქვე, რომ თუ გარკვეულ-ს გვეუფის ზმნებს არა აქვთ I სერიის ფორმები, ხოლო II სერიისა საესებით თაისსუკლად ეწარმოებათ, ესენი (ეკიცხვეს, ეკიცხვედა, ეკიცხვედეს), პირიქით, II სერიაში სრულებით არ გეხედება. ეს ორი გვეუფი თითქოს ერთმანეთს აესებს. ესაა მხოლოდ, რომ მნიშვნელობაა ცოტა სხვადასხვანაირი: პირველში უფრო გაკიცხვა, გაკილევა, საყვედურის თქმა წინ წამოწეული (მაკრამ არც დატინვა მისთვის უცხო). მეორეში კი წინა პლანზე დატინვაა დაყენებული, თუმცა მისთვის არც გაკიცხვაა უცხო. რამდენიმე მაგალითი:

არაკის ეკიცხვე. არამედ უფროს ევლოვ ცხორებას ჩემსა (კიმ. I, 70,17); ეკიცხვედა და პასარობდა (კიმ. I, 70,29). ეკიცხვედა და პასარობდა სინონიმური წყვილებია, ისინი ხშირად იხმარებთან ერთად და ორივე დატინვას, სასაცილოდ აგდებას აღნიშნავს. ამათი საწყისი კიცხვეა და სიკიცხვეა (ნ. გვ. 636), რომლებიც, როგორც უკვე ვნახეთ, ხშირად იხმარება ძველ ქართულში.

მიძლეობამიც ეს წესია დატული: მეკიცხველი (2 პეტრ. 3,3), თუმცა გვაქვს მარტივფუძიანი საკიცხელიც (ბალ. 5,3).

2. აღმართება. ძველ ქართულში ეს ძირი სხვადასხვა ზმნისწინით მუდამ ებ თების წინით იხმარება: აღმართება, განმართება, დამართება, მიმართება, მომართება, წარმართება, წარმომართება. ახალ ქართულში აქედან მიმართება იხმარება, ისიც განსხვავებული მნიშვნელობით. ჩვეულებრივ კი აქაც ავ თებისწინიანი წარმოება გვაქვს: მიმართება. პირიანი ფორმები დღეს ყველგან ავით იწარმოება: აღმართავს, მიმართავს, მომართავს, წარმართავს.

ამ ფუძეს ძველ ქართულში ბევრი მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა ზმნისწინის ხმარებისა და თვით ერთი ზმნისწინის დართვის შემთხვევაშიც, ფორმა კი ყველგან ერთი და იგივეა. ყველგან ებ თების წინანია. ახლა ჩვენთვის სწორედ ეს გარემოებაა მთავარი. მიმართათ მაგალითები:

სწავლაი განმართებს უწესოსა მას (4 ძვე. 96,17 = გამოსწორებს); ვითარცა მოისარი ისარსა მას თვისსა, რომლისა განგურემაი ევულების, მას დაუმართებს (იქვე. 102,26 = უბიზნებს); უფალი იყო მის თანა, და რაედენსა-რას იქმს, წარუმართებს მას (დაბ. 39,3); განიზრახეს, ვითარმედ: არა გერ-არს ჩუენი მონასტერსა შინა ყოფაი, რამეთუ სხუანიცა მოგუმართებენ და გარე-შექტევია შეუძლებელ არს (ი-ე. 15,5); თავთა მათთა დაატუმიდეს ძელსა და ამმართებდეს წინაშე ბჭეთა ქალაქისათა (ისტ. ქრ. II, 103,11).

რომელი იყო თავ და წარმართება ყოველთა საქითა მისთა (ზარზმ. 199,9); ვერ შეუძლიონ განმართება ეისიკოპოსისა ზედა დასხმულთა მათ ბრალობათა (დ. სჯ. კან. 263,7 = გამოსწორება); მკელობელ ვიქმნენით; ან არა-მე არსა ფერეთა განმართება (უდაბ. 65v = გამართება, გასწორება); კელარი დაიუბნის და ამცნის განმართება (ი-ე. 70,12 საქმლის შეკაზმვა, უკეთესად გაკეთება); ნებაი ღმრთისაი და პირველი მიმართება გონებისა აღძრვისაი არს სიტყუაი ღმრთისაი (უსე. რედ. 40,19 = მისწრაფება); კელთა შინა უფლისათა არს წარმართება (ზირ. 10,5); შევიდეთ, ვიხილოთ ქალაქი, რომელსა შინა ყოველადვე არა არს წარმართება, არამედ სარწმუნოება და სომართლი (ისტ. ქრ. II, 48,6). აქ წარმართება ნიშნავს წარ-

<sup>45</sup> ი. იმნაიშვილი. საკითხავი წიგნი ძველ ქართულ ენაში, II, 1966, გვ. 231-233.

მართობას (ჩახსენებო). იქვე ახლოს წარმართობა-ც იკითხება: მამია ჩემი აქამომღე კმონებს შჯეულსა წარმართობისასა (იქვე, 51,30); ნუ იხადოთ ფართობასა მავას და ნუცა წარმართებასა მავას აკეებით (ურთ. 101,33); გოდებენ ყოველნი მკედრნი ქუეყანისანი ვმისაგან წარმომართობისა მისისა (იერ. 47,3); უკუეთუ განმართებით განმართნეთ ვზანი თქვენნი და სღვანი თქვენნი (იერ. 7,5); ერთი გელესიაა აღაშენა დამართებით ლავრასა წმიდისა ეფთვმისსა (მამ. ცხორ. 166,36 = პირდაპირ, ქვევით); რომელი აშენებდეს აღმართებად ტაძარსა ამას (ანგ. 2,9); ამის უკუე ესევითარისა ცთომისა განმართებად ესევითარი ესე განკრძალული სიტყუაი ივუმა წინაისწარმეტყუელმან და თქუა (ექუსთ. 9,5 = გამოსწორება).

ძველებური ებ თემისნიშნისანი წარმოება კარგადაა შემონახული აგრეთვე მიმღობებში: აღმართებული (4 ძვე. 101,2); განმართებული (სინ. 67,17); აღმართებულ (ი—ე, 117,11); წარმართებულ (ბაღ. 131,4); წარმომართებულ (ეს. 72,12); მომართობული (მ. 12,4+ C); წარმართებულება (უქვ. რედ. 39,28).

ძველ ქართულში დღემდე დადასტურებულია მხოლოდ ერთი ახალი, ავ თემის ნიშნისანი, ფორმა, ისიც I თურმეობითში: მიიწიო ქუეყანასა მას, რომელსა მოგიმართავს (საქ. წ. II, 9,37). ამის საწყისი, ცხადია, იქნება მიმართვა. შემდეგ და შემდეგ ამ ზმნის ათვისი ფორმები გავრცელდა და დღევანდელ სალიტერატურო ქართულში ის ერთადერთი ნორმას წარმოადგენს.

3. განმარტება ამ ზმნას მხოლოდ გან ზმნისწინი ერთვის, უზმნისწინოდ არ იხმარება. მისი ძირითადი მნიშვნელობა: გაშლა, გაღაშლა (გულისა...); ახსნა, განმარტება. წინა მუხლში ვახილულ მართ ფუძიან ფორმებსა და განმარტებას საესეობით ეროსნაირი ფორმები და უკლებს აქვით: ორივე წარმოშობით სამკირიანია, ორივეს გვიან დაკარგული აქვს ირიბი ობიექტი და ორივეს ფორამაში შეგონახული აქვს იმ დაკარგული ობიექტის პირის ნიშანი (წარმართებს, აღმართა, მომართა, მომართა... განმარტა, განმარტოს...). ხშირად იხმარება ამ ფუძის პირიანი ფორმები (უყურაო II სერიისა, რომელიც ახლა აქ იმდენად არ გვანტერესებს), აგრეთვე საწყისები და მიმღობისანი. ვნახოთ ზოგიერთი მათგანი:

ყოველსა კაცსა ნუ განუმარტებ გულსა შენსა (ზორ. 8,22); მომუსრვიდეს წევთა წმიდათა მათ. და ვიდრე მიწვენამღე მტარეალთა მათ წმიდანი ოგი წინაისწარვე განუმარტებდეს ფერეთა (4 ძვე. 226,2).

ანუ რაი განგება და განმარტება არს მათ შინა (თუალოთ. 21,31); სარინო არს სათნოებისა მისისა წარმართება და წინაწარსწრობა და განმარტება გულისა მისისაი ღმრთისა მიმართ (კომ. II, 141,21); ვამი ესე გამოეძიებს კურთხევათა მათთვის განმარტებასა (კურთხ. იაკ. 10,1); ესრეთ იხილა და განრაცხნა და ვზაი განმარტებითი ვმითა (იობ 28,26); ხოლო ლაწუნნი და ენა და ქნულუება ოგი, რომლითა იძრვის ნიებერი მოფოლხუებითა და მოკირებითა, განმარტებითა და შემოკრებითა, ესე ყოველი მსგავს არს ძრვასა ძალთა ებნისათა ვმასა შინა (უქვ. რედ. 159,9); უკუეთუ პერისაი სთქუა განმარტებად სიერცესა ქუეშე ქუეყანისასა (ექუსთ. 10,30).

სათანადო მიმღობები პირიანი ფორმებისა და საწყისების თარგზე აგებული: განმარტებულ (მ. 6,22); განმარტებული (ბაღ. 46,35); განსამარტებულად (გამ. 38,19).

როგორც ვნახეთ, მარტ ფუძეზე დაყრდნობილ ზმნებს ძველ ქართულში კარგად აქვს დატული უძველესი წესები და ჯერისებურ ყველგან ხმარობს ებ თემის ნიშნის, სადაც კი თიერაყოლად უნდა ყოფილიყო. მაგრამ იშვიათად მარტ გვაქვს

ლითებში (თუ. რა თქმა უნდა, ხელნაწერებში ან გამოცემებში რაიმე უნებლოე ლაფსუსი არ არის):

იერუსალემი, ეითარ განვიმარტუან შეილნი შენნი და შეიკრებ ყოველთა ცისცილისა ნათესავთა ფრთეთა ქვეშე შენთა (მოქც. 2,12). მოსალოდნელი იყო განვიმარტებინ; განვიმარტუან კი I სერიის პირიან ფორმებად გულისხმობს: გან-კ.მარტავ, განკ.მარტველ(ი)...

თუალნი ჩუენნი განმარტულ არიან და ქელნი ჩუენნი დადრეკილ არიან წინაშე მისსა (ბაღ. 56,24 წ. 4 რედაქციას ეს ადგილი არ მოეპოვება. განმარტულ "გან-მარტავს" ზმნის კვალობაზეა გაკეთებული).

რამეთუ გუაძნი იგი ჩრვლნი, ნაკლულნი სიყმელისაგან, არიან განუმარტველ და უძრავ, ეითარცაიგი ღრუბელი ზღვსაი (უქვ. რედ. 223,3). ესეც აკონი ზმნის კვალობაზეა ნაწარმოები: განმარტავს — განუმარტველი, უნდა ყოფილიყო კი განუმარტებელი. მაგრამ ეს ახლის ჩანასახი წვეთია ზღვაში. ჩვეულებრივ, ამ ტიპის ზმნათა გამოყენების შემთხვევაში ძველებური (ევ თემისნიშნისანი) ფორმები გვაქვს.

ახალ სალიტერატურო ქართულში ზმნის პირიან ფორმებში გვაქვს ავ თემის ნიშანი: განემარტავ, განუმარტავდი, განმარტავდენ... მაგრამ უცნაურია ის გარემოება, რომ რამ საწყისებსა და ზოგი სახის მიმღეობაში ისევე ძველებური ებანი ფორმები დარჩა. აქ ძველი ქართულის გავლენა ისე ძლიერი აღმოჩნდა, რომ სახელ-ზმნებში კვლავ განავრძობს არსებობასა და ბატონობას ძველი, ებანი, ფორმები. დღეს ისევე ერთადერთია განმარტება, განმარტებული. ამათ მოცილებ არა იყავთ. მაგრამ აქვე უნდა დაეძინოთ, რომ ზოგიერთი ტიპის მიმღეობაში უფრო მეტად ახალი, ავ თემისნიშნისანი, ფორმები დამკვიდრდა. მაგალითად: განსამარტავი, განუმარტავი.

## კ. ებ — კკიბ

ამ ეგვიპტეში გვაქვს (ავრევკრობით) ერთადერთი ფუძე: განძება/განძეკება. იგი 4 ზმნისწინით იხმარება: გამოძება, განძება, მოძება, წარძება. პირველი ორის მნიშვნელობა არის გამოგდება, გამოძეკება, გაგდება, გაძეკება, ხოლო ორი დანარჩენი (მოძება, წარძება) მოყვანას, წაყვანას აღნიშნავს და იხმარება მხოლოდ და მხოლოდ პირუტყვთან დაკავშირებით, უფრო ხშირად ვირზე ითქმის (მოაძი, წარაძი კარული). შემდეგ: ძროხაზე, აქლემსა და სხვებზე. მეორე გაგებით I სერიის ფორმები არ შეგვხვედრია.

მაშინ ეითარცა იხილა უმჯავლომან მან მძლავრმან... შეურაცხები განძება წმიდისა ბაბილას მერ, აღივსო იგი გულისწყყრობითა (კომ. I, 6,6. გამოც.: განძეკე)ბაი. ვეს ჩამატება არ იყო საჭირო); წარეც იგი ქვეყანასა მას უცხოთა, რომელსაოგი მიიყვანნინან მეფენი მათნი შემდგომად განმარტუვისა და განძებისა მათისა (ბაღ. 41,29); ეინ ხარ შენ, უფალო ჩემო, რომელი შეუძლებ განძებად ამისა (საქ. წ. II, 108,5).

მიმღეობებშიც მხოლოდ ებ გვაქვს (და არა ევ ებ): განმამძებულ (სინ. 177,8); განძებულ (საქ. წ. II, 135,34).

როდის ხდება ევ სუფიქსის დამატება? შეიძლებოდა თამამად დაგვეშვა, რომ ების წინ ევ სუფიქსის გაჩენის დროდ ისევე და ისევე ძველი ქართული მიგველო. ამას უფრო ზოგადი მოსაზრებით ვამბობთ, რადგან ზემოთ განხილული ბევრი სხვა ახალი მოკლენის ჩანასახი ჩვენ თვით ძველ ქართულში დავადასტურეთ. რაც შეეხება გან-

განსებულ (საქ. წ. II, 135,34).

რაოდის ხდება ევ სუფიქსის დამატება? შეიძლება თამამად დაგვეშვა, რომ ებ-ის წინ ევ სუფიქსის განჩინის დროდ ისევე და ისევე ძველი ქართული მიგველი. ამას უფრო ზოგადი მოსაზრებით ვამბობთ, რადგან ზემოთ განხილული ბევრი სხვა ახალი მოუკლენის ჩანასახი ჩვენ თვით ძველ ქართულში დაუდასტურეთ. რაც შეეხება განსება-ში პერმინდელი ევ სუფიქსის ჩართვის დასაწყისს, ამას აქ მოყვანილი მაგალითებით ვერ შევძლებთ. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ პირველ მაგალითში (იხილა ... განსქვექება) ეს ევ თვით გამოქცემულს ჩაუმატებია, როგორც ჩანს, ახალი ქართული მოძალებით, და მას ვერ ვენდობით. მეორე: სხვა მაგალითი ასეთია: რამ არს ჩუენი და შენი, შ განუდლო და განსქვეებული უფლისა მიერ (წარტყ. 35,12). ამას გამოკემაში შენიშენა არ ახლავს. როგორც უნდა ვთქვათ, ორივე ხელნაწერში ასეა. მაგრამ იქვე, რამდენიმე სტრიქონის შემდეგ იკითხება: წარტყდ და იყრიდდ უკეთურებათა შენთა, რამეთუ ქრისტე, უფალი ჩუენი, განგედის და დიდებულსა სახელი მისი განგუფიკებს (იქვე, 35,20). ეს განგუფიკებს გამოკეების საფუძვლად დადებულ ერთ (შ) ხელნაწერში განგაძებს ფორმით არის შეცვლილი. განა საეჭვო არ არის, რომ ერთი და იგივე ხელნაწერი (შ) ერთგან განგაძებს ფორმას ხმარობს, ხოლო რამდენიმე სტრიქონით წინ ფუქეში ევ-უმატებს (განსქვეებული)? საერთოდ კი, კვლავ ვიმეორებთ, ამ სახელესაც თვით ძველ ქართულში უნდა აქონდეს სათავე დადებული. მაგრამ ამ განსებას მტკიცე საფუძველი ესაჭიროება, სათანადო მაგალითებით ზურგის გამაგრება.

## I. ი — ობ

1. ნანა ნანობა, სინანული: დაღათუ შეგაწუხებ თქვენ წიგნითა მით, არა ვინანი (2 კორ. 7,8); შემდგომად სიკვდილისა სინანული არღარა არს. და მკუდარი არა ინანის (სწავ. 256,24). აქ საწყისად მოხმობილია სინანული, რომელსაც, ჩვეულებრივ, გარდამავალი ზმნები იყენებენ (შეინანებ, შეინანა, შეინანეს...); შესამესა დღესა ინანიდ, თუ რაისა მოეწევდნით მართუენი თვისნი (სახ. 237,2); ინანდა გარდასრულთა მათ დღეთა (მ. ცხ. 94v); შეიკრძალენ იგინი და ინანდი (ივავ. 24,5); ინანდით, რამეთუ მოახლებულ არს სასუფეველი ზეათათი (მ. 4,17 C; შეინანეთ DE); მცნებათა ჩემთა ინანდე (ზორ. 12,12).

ამ პირიანი ფორმების საწყისა ნანა და არა ნანება, როგორც ზოგ ლექსიკონში გამოყენებული. ნანება (შენანება) მოქმედებითი გვარის ფორმებისთვისაა განკუთვნილი (შეინანებს, მოინანებს, შეინანა...). მისი საწყისა შენანება: შემდგომად აღთქემისა შენანებათა არნ (ივავ. 20,25 O).

ნანა "ვეფხისტყაოსანში" გვხვდება: მე გამაპარეთ, გამიშვით, თვარა დაიწყებთ ნანასა (1194,4); არამ სიკოცხლე უშენოდ, ვარ აქამდისცა ნანითა (1302,3).

ამის გვერდით, როგორც ვნახეთ, სინანულსაც იყენებდნენ. ვინც ინანის, იმას მონანული (მ. ცხ. 99v; ბალ. 143,5) აქვია.

დღეს ჩვეულებრივია ვნანობ, ნანობს, ნანობენ...

2. ნატრა ნატრია: ენატრია წმიდასა ქალწულსა (სინ. 203,6); რომელნი თანა-წარაქლიდდ, ენატრიოდ და ვულს-ეტყვედ მოილებად ზისა მისგან (მრავ. 266,27); მე, ანტრანი... ენატრიოდი ცხორებასა და წამებასა მათსა (ურთ. 61,2); ენატრიოდი მე ყოველნი ნათესაენი (ლ. 1,48).

არააო საყმარ არს ნატრან, ვინა სახელის-დგებად ჯორციელთა სახელთა თქუენთა (ებისტ. ანტ. 26,7); და იყო დანქებად შეხულომისა მათისა ნატრან მათი (უკუ. რედ. 204,8); იწყო შესხმად და ნატრად და იტყოდა (ნოე. I, 13,9,1).

ამ ზნის აქვს პეტად საინტერესო მიძლეობა: მნატრე (მ. ცხ. 49v; 375r). უეყო ჩვეულებრივთა მნატრელი (მ. ცხ. 60r).

არის ირანნი ენებითის მაგალითიც: ფარსიეველნი დაისაჯებთან და მეხუერენი ინატრებთან (სინ. 92,13).

დღეს ეს ზნა ძველი შინაარსითი რბ თემის ნიშნით იხმარება: ენატრობ, ნატრობს, ნატრობდნენ... სათავისო ქცევის ფორმას კი რბ თემის ნიშანი სჭირდება: ენატრებ, ინატრებ, ინატრებს... ეს უკვე სხვა წარმოებაა.

### მ. რბ — ევ

ჭამა, შეჭამა...

ამ ზნის ძველ ქართულში რამდენიმე თავისებურება ახასიათებს.

პირველი, რაც სწორედ აქ გვჭირდება, ისაა, რომ სამპირიანი შინაარსით (საარვ. ქც.) ზმარებისას თემის ნიშნად აქვს რბ და არა ევ, როგორც ახალ სალიტერატურო ენაში. მაგალითად: ვაჭამებ, ვაჭამებთ, აჭამებდეს და სხვ. დღეს ამით ნაცულად გვაქვს: ვაჭმევ...აჭმევენ...

მეორე: ჭამ ფუძე I სერიის მწკრივებში არ იკუმშება: აჭამებს (და არა აჭმებს). II სერიაში ამას (და ამის მსგავს სხვა ზნეებს) ფუძე ყოველვის უკუმშეული აქვს: ეჭამე, ჭამა, ჭამოს. შდრ. მიეკუარე, გამოეზარდე, ეთარგმანე, აღმოეთხარე, დავსაჯე, გავმალე, გამოეცადე, განეცვალე, მოეკადალე...

მესამე: უკუმშეულია მისი ენებითის ფორმები I სერიაში (II-ში სხვებიც უკუმშეულია). მაგალითად: შეიჭამების, შეიჭამებთან, შეიჭამებოდეთ ... ამ შემთხვევაში ჭამა-ს გვერდში უდგას ზემოთ ჩამოთვლილი ზნეები: მიეკუარების, იზარდებოდეს, გამოითარგმანების, დაითხარებოდეს, დავისაჯებით, დაიმალების, გამოიტადებოდა, იცვალების, მოგვეადების...

მეოთხე: დღევანდელ სალიტერატურო ქართულში განსახილველი ზნის უზნისწინო საწყისი უკუმშეულია: ჭამა, ჭამამ, ჭამას, ჭამის, ჭამით..., ხოლო ზნისწინიანები—კუმშვადი: შეჭმა, დაჭმა, მოჭმა, გამოჭმა... ძველ ქართულში კი ყველა საწყისი (უზნისწინოცა და ზნისწინიანიც) უკუმშეულია: ჭამასა, აღჭამასა, გამოჭამასა, დაჭამასა, მოჭამასა, შეჭამასა.

მესხუთე: ასევე უკუმშეულია ხელუხლებელია ძირი მიძლეობებშიც: მჭამელი, შეიჭამელი, ჭამელი, შეჭამელი, ჭამებელი, საჭამი.

შეკუმშულია მხოლოდ საჭმელი. მაგრამ ეს გვიანდელი ფორმა უნდა იყოს: ძველ ქართულში "საჭმელი" (ძიყა) ჭამადი სიტყვით გადმოიტეპოდა.

გვხვდება თითო-ორილა შემთხვევა, რაცა შეკუმშული ფორმა საწყისებსა და მიძლეობებშიც გვაქვს, მაგრამ ეს მერმინდელია და ახალი წარმოების დასაწყისად უნდა ჩათვალოს. ამის მსგავსი ახლის ჩანასახები ზემოთ სხვა შემთხვევაშიც ენახეთ.

ახლა ენახოთ სათანადო ნიმუშები: მაჭამებ ჩუენ პურსა ცრემლით და მასუამ ჩუენ ცრემლთა საწყაულითა (ფს. 79,6); აჭამებდა მათ მტარედ რასმე საჭმელსა (4 ძვე. 223,26); საჭებელ არს...ყუაუი შვილთ-მოყუარებისათჳს, რამეთუ მისდვენ იგი



მას, ვიდრეცა ფრინველ, და აქამუნ მათ მრავალ ჯამ (უქვ. რედ. 117,10).

პეტრნი იგი ... შექამნა და ასცა მისთანათაცა, რომელთა არა ჯერ-არს ქამსა გარნა მღღელითა ხოლო (ლ. 6,4); იწყეს მუსრუად თავისა კოვილისა და ქამად (მ. 12,1 C); მე ქამადი მაქეს ქამად (ი. 4,32); და იყოს, ოდეს მოასრულოს მოქამად თიჯა ქუეყანისა (ამოს, 7,2. მაგრამ: მოქამად O); ხოლო იგი ვანრისხებული და მწუხარამ მამსგავსებნ რისხვასა ცუცხლისასა და მატლისა შექამასა (უდაბ. 21va); უკუეთუ მტირუდ იყენნ სახლსა შინა და ვერ უსლებდენ ცხოვარსა შექამად (გამ. 12,4 ლავ. გ.; შექამად O); მოხებას ჩემ ზედა უკეთურთასა შექამად კირცთა, მაჭირებელნი ჩემნი და მტერნი ჩემნი—იგინი მოუტლურდეს და დაეცნეს (ფს. 26,2 1,4; შექამად U); არა არს ესრეთ მეტნიერება მეცთა თანა—პირველად განძარცუვად და მაშინლა შექამად (საქ. წ. II, 64,23).

ამილეობები: მქამული (ლ. 7,34); შემქამული (ეზეკ. 36,13; იერ. 30,16); ქამებული (ლ. 15,27,30). უკანასკნელი ტიპის სხვა მიმღებობებში უბ არ არის დაცული, მაგრამ ა შენარჩუნებულია: ქამულსა (უქვ. რედ. 126,8); ქამულთა (მრ. 7,19 C); შექამულნი (სწავ. 50,22).

როგორც უკვე აღინიშნა, ძველ ქართულში, ზემოთ მოყვანილი ფორმების ტიპის გარდა, საკმაოდ გვხვდება საწყისები და მიმღებები, რომლებშიც ძირისეული ა ამოღებულია. ამის რამდენიმე ნიმუში ზემოთ იყო მოცემული, ცოტას კიდევ დავუმატებთ: ვიდრე უკუდავთა მათ მადლთა შექამასა უმჯობეს იყავნ ამათ მოკუდავთა შექამა აქვე ამას ცხორებასა (შუშ. 15,10,14); შექამა შექამით ვეცხლი ჩუენი (დაბ. 31,15); განა რომელმან იხილის მეცი ბოროტი და ზუაობით ზედა-მოუდის მას მოკლევად და იგი ძლეულ იქნის და შექმულ მის მიერ (სწავ. 46,32).

რა შეიძლება იყოს იმის მიზეზი, რომ ზამ მარტივი ფუძისეული ა საწყისებსა და მიმღებებში ძველ ქართულში არ იკუმშება, ახალ ქართულში კი ყველგან შეკუმშულია? ამის თაობაზე ზემოთ (გვ. 607) უკვე გვქონდა საუბარი და აქ აღარ გაკვირდებით.

## II. ნ ინჟინიანი საწყისები

ძველ ქართულში არის ორ ათეულამდე ზმნა, რომელთაც საწყისის ა-ს წინ ერთი ან ორი ნიჟინი, მაკალითად: დალუკს—დალუკნა, პოკებს—პოკნა, მოკრევის—მოკრენა, ძიკს—ძიკნა, წიკს—წიკნა და სხვ. ეს უმთავრესად ისეთი ზმნებში ხდება, რომელთა ფუძეც ე-ზე ბიჯლოვდება<sup>167</sup>. თუ ამ ნ-ს სხვა წარმოშობა არა აქვს, შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ იგი ე-ს პოზიციის გასამაგრებლად არის ჩართული. ცნობილია, რომ ე ქართული ენის თანხმეიანთა შორის ყველაზე მერყევი და ხშირად და ადვილად იკარგება (მდრ. ეუწერ—უწერ, კივის—კოდა, დავეარდი—დავარდი, შენ მივედ—მიედ /ზრძ./)... შეიძლება ამ დაშვებას ის გარემოებაც დაემატოს, რომ ნარის გარეშე ზოგ ამ ზმნათაგანში საწყისი წყვეტილის III პირის ფორმას დაემთხვეოდ (მხ. რ.): პოვა—პოვა, მოძოვა—მოძოვა, მოწოვა—მოწოვა... ასეთ თუ ისე, საანალიზო ნ საწყისში უმთავრესად სწორედ ე-ზე დაბოლოებულ ფუძეებს ერთვის. განვიხილოთ აღნიშნული ტიპის საწყისები.

1. დევნა გაყოლა, გაღვენება. უზმნისწინოდ ნაკლებად იხმარება, უფრო

<sup>167</sup> ა. შანიძე, საუკულები, გვ. 561—562.

ხშირია მი და მო ზმნისწინებით:

ვია, რომელნი აღდგებიან განთიად და თაფლუკსა სდევნ (ეს. 5,11); ივინი სდევდეს მათ და ეწინეს (სინ. 253,37); და თუ სდევდე, ვერ ეწიო (ზირ. 11,10); ცხოვართა ჩემთა კმისა ჩემისა ესმის, და მე ეციენი ივინი, და მომდევნ (ი. 10,27 C); ცხოვარნი იგი მისდევდეს მას, რამეთუ იცნიან კმა მისი, ხოლო უცხოთა არა მისდევდეს (ი. 10,4 C, 5 C); გამოსდევდა მას ქრამა ერთი (მ. ცხ. 424v).

ზემოთ მოყვანილი პირიანი ფორმების საწყისებად გამოყენებულია ღვენა და ზმნისწინიანი განღვენა, მიღვენა, მოღვენა, აგრეთვე მიღვევნება და მოღვევნება: ღვენა რამებ ალაღვინოს ეშმაკან გელესიასა ზედა (ლოც. ქრ. 313,43); მაშინ წერონ შემინდა და განემოურა ღვენისაგან მოწაფეთა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა (სინ. 249,37); რაისა შედგომლ ხარ ღვენად ჩემდა (თუალთ. 81,23); ღვენათა და კირთა ღმრთისათვის თავს-მღებელი ქრისტეს თანა მკედრ-ყოფისათვის (ხანძთ. 152, 21); ბრძანა განღვენა მათი გარეშე კართა ქალაქისათა (კიმ. II, 57,3). ნ გვაქეს აგრეთვე მიძღვობებშიც: მღვენულ (I ტიმ. 1,13 AB); განმღვენულ (სწავ. 256,5); წარმღვენული (იერ. 7,33 G); მღვეარნი (იერ. 30,16), განღვენილ (ღევ. 22,13 G); ღვენულ (ფს. 20,13); ღვენილნი (მ. 5,10); ღვენებულნი (სინ. 14,32); საღვენულ (იერ. 30,16).

სადავო ნ შემნახულია აგრეთვე ენებითებშიც: აწ ამის იუდაისგან ვიღვენები (სინ. 242,31); იღვენებოლით თვნიერ მღვენელისა (მიქ. 2,11); ჰურანი... გამოღვენენეს ჰურასტანით ბრძანებითა ღელოფლისაითა (სინ. 243,6); იღვენე შენ და ნუ სღვენი სხუათა (A-92, 167v).

ეს წარმოშობით საწყისისეული ნ შემდეგ გადასულია პირიან ფორმებში და გვაქეს: ესღვენი, სღვენი, სღვენის, სღვენით, სღვენიდა...ნარის გაჩენასა და დამკვიდრებას შედევად ის მოჰყვა, რომ ზმნამ რამდენადმე შინაარსიც შეიცვალა, უბრალო გაყოლიდან თუ გაღვენებოდან მისი მთავარი მნიშვნელობა გახდა განღვენა, გაგვლება, გაყრა, გაძეგება. ფორმამაც წმინდა გარდამავლება შეიძინა, მუღმივი, ნათელი პირდაპირი ობიექტის ძრავლობითობაც სათანადო წესით აღინიშნა. ერთი სიტყვით. ნარის ფუძესთან შეზრდის საფუძველზე მივიღეთ ტიპური მოქმედებითი გვარის ახალი ზმნა. საწყისად კი ისევ ძველებური პირიანი ფორმა დარჩა: ღვენა, განღვენა, გამოღვენა... მიძღვობებიცა და ენებითების წარმოებაც, ცხადია, ძველებური დარჩა. აი, რამდენიმე დამახასიათებელი პირიანი ფორმა:

მე ესღვენილ (მსავ. 8,5 M); მე ვარ, რომელსა შენ მღვენი (თუალთ. 81,25); ივიცა სღვენიდა მორწმუნეთა მისთა (სინ. 240,19); სღვენილეს მათ საცთური (ეს. 30,28); /უფალმან/ ყოველი სოფელი განწმინდა და საცთური და სიძულილი წარღვენა (სინ. 146,32); ურეთუ მე მღვენეს, თქვენთა გღვენენ (ი. 15,20 GHIK); წარღვენეს კაცი იგი (ურთ. 121,16); გამოღვენენე ივინი მახვლითა და სიყმილითა და სიკუდილითა (იერ. 29,18).

ღვენა საწყისი ძველ ქართულში გამოყენებული იყო რთული ზმნის სახელად ნაწილად: ღვენა-უო, ღვენა-უყავ, ღვენა-უყვეს და სხვ. მისი მნიშვნელობა დაღვენება, გამოღვენება: ღვენა-უო შემდგომად მათსა (დაბ. 14,14); ღვენა-უყავთ უკუნა მათსა (ისუ ნ. 2,5); ღვენა-უყონ მათ (სიბრძ. 19,2); ამ უძველესი რთული ზმნის ჩვენებითაც ჩანს, რომ ნ სდევს ზმნის საწყისში ძალიან შორეულ წარსულში არის დამკვიდრებული.

მიძღვობებიდან სდევს, სდევლა, სდევდეს პირიან ფორმებს მღვეარი

შეეყვრება და ესაა სწორედ პირველადი, მდევნული და ღვეწული კი უკვე ნარ-  
დარაუული ფორმებია და შედარებით გვიან არის გაჩენილი. ღვეწულ-იდან ებ-  
სუფიქსის დართვით არის მიღებული ღვეწულება, რომელიც ხშირად იხმარება ძველ  
ქართულში. მაგალითად: შემდგომად მცირედისა ვამისა დასცხრა მცირედ  
ღვეწულება იგი ქრისტანეთთა (კომ. II, 14,21); შენტვს ღვეწულებად ღირს-  
იქმნებთან (აბო 185,18).

2. შეთხზე(ნ)ა შექმნა; დაწენა, დაგრება; მოქსოვა; შეერთება.

ამ ტიპის ზმნათაგან ეს არის ყველაზე ღარიბი ნარიანი ფორმებით. მიზეზი,  
უნდა ვიფიქროთ, ძნელად გამოსათქმელი 5 თანხმოვნის თავმოყრაა. გასაგებია, რომ  
ნარიანი ფორმები უფრო II სერიაში უნდა გვექონდეს: აქ მხოლოდ 4 თანხმოვნანა  
(რაკი თემის ნიშანი არ გადაკეცვებთ II სერიაში) და ამიტომ ერთად შეიკვრება არა  
თხზენ, არამედ თხზნ. ესეც ერთგვარი შედეგათია. რაც შეეხება ულ სუფიქსთან მი-  
მღობას, აქ თემის ნიშნისეული ვ უს სახლოვეს ადვილად დაიკარგებოდა.

აი, გადარჩენილი ნარიანი ფორმები: დათხზნა ორისა სფირიდისა დანაკის-  
კედისა ფურცელი და შეკრება იგი ერთად ფსვრიდად (ნოვ. I, 11,10,2); მან მოიხსნა  
ძონძი იგი, რომელი ებღარდნა წელთა მისთა, და შეთხზნა თითნი მისნი და მიშუე-  
ლი დადგა წინაშე შეფისა და პრქუა მას (ბალ. 122,2).

ნარიანი საწყისი ჯერჯერობით დადასტურებული არაა, მიმღობები კი გვაქვს:  
უთხზნული (ათონ. 79, 54v); შეთხზნულისა (კომ. I, 56,19); შეთხზნულ (ესეკელი-  
მაკ. 178,37). აქედანაა ნაწარმოები თხზნოლება (ბას. კეს. სწ. 128,35).

ბილიოს ენებითიკ დაეიძოწით: ამის მიერ დათხზნვის გვრევი შენი (Jer.  
151, 135r); უყრაიისნი ცოდენაი ენისაგან შეუთხზნებთან (ათონ. 17, 320r). ვუკუ  
ადგილი სხვა ხელნაწერის მიხედვით ასე იკითხება: შეთხზნთან (სწავ. 4,2). აქ  
ძველი ქართულიასთვის ჩვეულებრივით უნარო ფორმა გვაქვს.

გვაქვს ორიოდე ნიმუში საწყისისა ნარის გარეშე: გარეგან არა შესთხაზ  
შენითა ამით შეთხზითა (კომ. I, 199,2); მნებაჲს შეთხზუად შენდა გვრევი (ლიმ.  
I,24); არა ჯერ-არს ცხოვრისა და მგლისა...ურთიერთას თანაშეთხზუად (დ. სჯ.  
კან. 396,35); სცონოდა კუალად თხზუად მათდა მიმართ მერმეკა (A-129, 105v). ეს  
ნ არც მიმღობებს მოეპოვებათ: შეთხზული (A-144, 312; ბალ. 83,20); დათხზული  
(მ. ცხ. 165v).

3. დალევა. ძირითადი მნიშვნელობა გამოლევა, გათავება; მოკლება. ეს  
უმთავრესად და და მო ზმნისწინებით გამოიხატება. გან ზმნისწინიანი ფორმაკი  
"გამოლევასა" და "გათავებასთან" ერთად "გაცეცას", "დაქანცვას" გამოხატავს (ი.  
აბულ.). ძველ ქართულში იგი სმის, დალევის (მოძხ) მნიშვნელობით არ იხმარება.  
ეს განსახილველი ტიპის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ზმნაა: საწყისი მუდამ  
ნარით აქვს ნაწარმოები (ლენა, დალენა), ხოლო პირიან ფორმებში იგივე ნარი  
არსად არ ერთვის. რაც შეეხება მიმღობებს, ნ გვაქვს მხოლოდ და-უ—ულ ტიპის  
წარმოებაში: დაულევნული (მაგრამ: განმლეველი, განლეული, განულეველი). ფრიად  
საინტერესოა დაულევნული — განულეველი ! მათმხოლოდ ზმნისწინებიაქვთ სხვადა-  
სხვა.

დღევანდელ სალიტერატურო ენაში ამ ზმნას და ზმნისწინით გამოყენებისას  
შექმნილი აქვს ახალი მნიშვნელობა: შესმა, დალევა, მაგრამ ზმნის ძირითადი მნიშ-  
ნელობა, ასე თუ ისე, აქაც ივრძნობა: დალია, ე.ი. გამოლია, გათავა ის, რაც  
სასმისში იყო.

ახლა ენახოთ სათანადო მაგალითები: გემინოდენ ცეცხლისა მისვან, რომელი განსლევს ყოველსა (სწავ. 135,12); ეშმაჲი მარადღე განვიღოდა და მოსრვიდა, განსლევდა და შეშუპდა მათ (ლიტ. ქრ. 320,14); დამოღვეიან ღღენი ჩენნი ბოროტთა შინა საქმეთა (სწავ. 247,11).

პირიან ფორმებში არსად საკვლევი ნ არა ჩანს, მაგრამ საწყისებში ის ყველგანაა დატული: მარტსა თუ იქებნენ, იეკლისა და ღვინისა საესება იყოს, და თუ იძრას—ბრძოლანი იყენენ. არე-არეთა ღვენა (ლიტ. ქრ. 31,15); ხოლო შერძო იგი სატანჯველი საუკრებ არს, რომელსა დაღვენდა არა აქეს, იგი სულთა სატანჯავს უკრისამღე ჟამთა და შერმეცა (კომ. I, 10,1); ადრე წარმაველ არიან წელიწადნი დაღვენდა ცხორებასა კაცისასა (ბაღ. 26,1); ყოველივე შერკიბნა გზასა დაღვენისასა, ვიდრე მოღებადმღე საწადელისა მათისა (ბაღ. 8,13). ნ გადმოხსულია ერთი გვერდის (და-ა-ა) მოძღობებში: დაღვენელი (სწავ. 168,22; ხანძთ. 153,38; წარტყ. 33,7), მაგრამ: განძღვეულ (სწავ. 241,32); განღვეულ (კომ. I, 254,19); მოღვეულ (ოსტ. ქრ. I, 151,11); განღვეული (უდაბ. 53v).

ამგვარად, დაღვენა ზმნას შედარებით ძველი ფორმები აქვს შემონახული.

4. პოვნა, პოვნება. ძველ ქართულში ნარიანი ფორმები აქვს შემონახული არა მარტო საწყისებში (პოვნა, პოვნება), არამედ მოძღობებშიც და თვით პირიან ფორმებშიც (მოძოვნებელი, მოპოვნებული, მოპოვნეის, ეპოვნა...). ზმნა ებ თემისნიშნინა. მისი I სერიის ფორმების ნიშნებია: არარას ბრალსა ეპოვებ კაცისა ამის თანა (ლ. 23,4,14); მტირენი არიან, რომელნი აპოვებენ მას (მ. 7,14). ამათი საწყისი უნდა ყოფილიყო პოვნება (მღრ. დაუტევებს—დატევება, მოაშრომებს— მოაშრომება...), მაგრამ პოვნება საწყისად ძველმა ქართულმა არ იცის. ამ კლასის წარმოების წესის თანახმად, მას საწყისის წინ ნ უნდა ჩამატებოდა: პოვენბა, მაგრამ არც ანბარი ფორმა ცნობილი. აქ ნ ემატება ე-ს შემდეგ და გვაქვს პოვნება. ეს არის სწორედ ძველი ქართულის რეალური საწყისი. აქედან ისიც კარგად ჩანს, რომ ნ-ს უშუალო კავშირი აქვს წინამავალ ე-სთან. მისი პოზიციის გასამაგრებლად არის იგი განიხილი.

აი, ასეთი პოვნება-ს ნიშნუები ტექსტებიდან (წინასწარ აღვნიშნავთ, რომ პოვნება და მოპოვნება, მათი ძირითადი მნიშვნელობის გარდა, აღნიშნავს აგრეთვე ზერხს, (ეშმაკურ) ღონისძიებას, გამოგონებას, კერაგობას, ხოლო შეპოვნება — ხათრს, მორიდებას; პირმოთნობას): მოიძულოთ მოკლეთ, რამეთუ შემთხვევა არს ეშმაკისა და პოვნება არს ეშმაკისა მის უკეთურისა (სინ. 210,6); შრომა და ჭირი და შეპოვნება მსგავსი მონათა (სწავ. 115,27); არცა მაცთუნნა ჩუენ კაცთა ბოროტისა მანქანებისა მოპოვნებასან (სობრძ. 15,4); რომელსა შინა ეკვინებდ პოვნებასა მათსა (ოსტ. ქრ. I, 251,25); უკეთუ მოპოვნებისათვს კეთილისა მრისხავ, თანამც სიელტოლაი შენგან და განთავისუფლება უფლებისაგან შენისა (ბაღ. 103,34 წ.; მოპოვებისათვს 4,BCD); განკითხვად ხარ მისთვს, უკეთუ გიყოფიეს შეპოვნებით ვინა ქრთამითა (Sin. 36, 472a,12 ქვ.) რომელნი ბჭობდეს შეპოვნებით (სწავ. 94,2); სხუასა პოვნებად კერ შემძლებელ ვართ (ათონ. 11, 25r); მოსნა ყოველნი იგი მოპოვნებანი მამათა მისთანნი (3 მეფ. 15,12). არის თითო-ორი მაგალითი, როცა ამ ტიპის ფორმებში ნ არა ჩანს (ერთი ასეთი მაგალითი ზემოთაჲ ენახეთ: მოპოვნებისათვს / მოპოვებისათვს), მაგრამ ეს გამოჩანკლისა.

საერთო წესს მისდევნ სხვადასხვა სახის მოძღობანიც, მათ თითქმის ყველგან აქვთ საცილობელი ნ: მოვნებელი (იგავ. 16,2), მოპოვნებელი (სწავ. 22,26; ბაღ. 120,10); საპოვნებელ (ასურ. 48,23 წ.); პოვნებულ (ოსე 14,9); მოპოვნებულ

(ივრ. 39,18).

ამდენ ხანს ჩვენი მსჯელობა ეხებოდა ისეთ ფორმებს, როცა განსახილველი ზმნის პირიან ფორმებში, საწყისებსა და მიმღობებში ხელუხლებლად იყო დატყულებ თემის ნიშანი. მაგრამ ამით გვერდით გვაქვს იმავე სახის ფორმები, ოღონდ ებ თემის ნიშნის გარეშე, ნ კ აქც თავის ადგილას, ე-ს შემდეგ, არის დატყული (პოვნა, მოკუნელი, პოენილი); მრავალნი არიან, რაიმელ შეპრაკხეს სესხი, ვითარცა პოენა (ზარი. 29,4); პოენა წმიდათა სამშქუალთა (სინ. 243,9); რომელნი-ივი უჟალს ჩუენსა იესუ ქრისტესა ესოდეს ;ჯუარისა პოენისათვის (სინ. 243,21); უმზირდეს მას პოენად რასმე სიტყუასა (ლ. 11,54).

მიმღობები: მოკუნელთა (რიცხ. 15,33); პოენილ (კურთხ. იაკ. 48,1).

სანტერესოა, რომ ნ პირიან ფორმებში გეხვდება უმთავრესად I თურმეობითში. ეს მწკრივი კი, როგორც ცნობილია, სწორად I სერიის, სახელდობრ, აწმყო-ს წარმოებას ეყრდნობა. ამდენად, მას უშუალო კავშირი აქვს ზმნათა საწყისების ჩამოყალიბებასთან. აი, რამდენიმე ნიმუში: აქა მოპოენთეს ნათელი ბრწყინვალე (კომ. I, 282,14); მე მოპოენთა მამაი ყოვლისა მპყრობელი (ბალ. 79,2); ჰგონებდა, ვითარმედ საფასე დაფარული უპოენა (კომ. I, 327,6); ვერეთ სტიროდი, რამეთუ ტირილი მესნელისა ჩუენისაი გეპოენთეს წიგნთა შინა, ვითარმედ ტიროდა მრავალ გზის ღაზარიეს ზედა, ხოლო სიცილი მისი არასადა გეპოენთეს (სწავ. 133,13,15); ჰგონებდეს, ვითარმედ უპოენთეს ვამი, რამთა აგინონ და შეურაცხ-ყონ წმიდაი ივი (კომ. I, 293,5). ნ უფრო ნაკლებად შეიძლება სხვა მწკრივებშიც შეგვხვდეთ: იწყო ცრემლით ვედრებად წმიდისა მის, რამთა შეიწყალოს ივი და შეიწიროს სინანული მისი ცოდვისათა მისისათვის, რომელი უგუჟრეობით მოიპოენა (კომ. I, 322,23); ნახალსა მას კლდისასა ეპოენა ქუაბი მკირე, რომელსა შინა აღასრულა მწირობაი სარწმუნოისა ამის ცხობრებისაი (ასურ. 52,2; პოვა 4).

რით უნდა აიხსნებოდეს ეს ორი რიგი: პოენა და მოპოენება, მოკუნელი და მოკუნებელი, პოენილი და პოენებელი? შეიძლება დაეუშვათ, რომ მოკუნებს ფორმის გვერდით (ან უწინარეს) იყო უთემისნიშნო ან ინიანი წარმოება, ვთქვათ, ისეთი, დღესაც რომ გვაქვს: ვიპოვი, იპოვი, იპოვის, ვიპოვით... აქედან: პოენა, ნაკოენი, მოკუნელი, პოენილი, რომლებიც გვაქვს ძველ ქართულშიც. აქ იგულისხმება, რომ ებ თემის ნიშანი მერმე დაერთო, თუ, რა თქმა უნდა, ორივე ერთდროულად არ გეჭონა და ერთ-ერთი მათგანი დიალექტური წარმომავლობისა არ არის. ამ დაშვებას მხარს დაუჭერდა მოენა, წოენა და ახსნიდა იმ უცნაურ მოვლენას, რომ ებ თემის ნიშნის დართვის შემდეგ ვ თავის ძველ ადგილას დარჩა და არ აღმოჩნდა საწყისისეული ა-ს წინ, როგორც ამ ტიპის ყველა სხვა ზმნას აქვს უგამონაკლისოდ: ნ თავიდანვე ე-ს შემდეგ იყო განმტკიცებული და ებ-ის დართვის შემდეგ არ შეუცულოა თავისი ადგილი. მეორე მხრივ, შეიძლება თითოეული მათგანი დიალექტური მოვლენად მიგვეჩინა, მაგრამ ეს უფრო ნაკლებ სარწმუნოა.

5. რევნა. იხმარება უზმნისწინოდ, აგრეთვე აღ, გან, გარდა, მო და შე ზმნისწინებით. ყველაზე ხშირია გარდა და შე ზმნისწინებით, სხვები შედარებით იშვითად გვხვდება. ძველი ქართულის გარდარევა, ახლისაგან განსხვავებით, გადაჭარბებას, გადაამეტებას გამოხატავს და დღევანდელი გარდარევისა და გარდარეულის მნიშვნელობა მას არა აქვს. საწყისისეული ნარი გვხვდება მხოლოდ საწყისსა და მიმღობებში, არსად ჩანს პირიან ფორმებში, აგრეთვე ულ სუფიქსთან მიმღობებში (გარდარეული). თვით ისეთი შემთხვევებში, სადაც ნ იხმარება, მათ გვერდით უნარო ფორმები

უფრო ხშირია: ეთქვათ, შერეუნა-ს შერეუა სჭარბობს და ასე შესაბამისად. საერთოდაც ნ განსახილველ ზნებაში ამ ტიპის სხვა ზნებთან შედარებით უფრო ნაკლებად გვხვდება. ისევე უნახოთ ნარიანი მაგალითები:

რომელნიმე უძღურებისა მათისაგან და სირიუცისა ვერ თავს-იღებენ კაცთა კელისა რეენას (ესე. რელ. 112,11); არა რომელმანე ბოროტმან შეუკლოს მონათა ღმრთისათა რეენად (სინ. 11, 4v,1); არა-მე კმა-იყოა ესოდენი ესე სირიუცხლისა გარდარეენა (სინ. 208,32); ვერ ვეების ვანიყოფა ნათლისა მათისა და ვერცაღა კულად შერეუნა მათი (ხანძთ. 151,12); განსთხიხეს...ნესტორცა და დიოსკორე, ერთი იგი ვანიყოფისა, ხოლო მეორე შერეუნისა თანა-მოღუაწე და წინამძროლი (დ. სჯ. კან. 370,23). ნარიანი ფორმები ხშირად გვხვდება "კეუხისტყაოსანშიც": მო-რეუნა (27,3; 297,4)<sup>104</sup>.

მაგრამ უფრო ხშირად, როგორც ითქვა, ნარი საწყისებში არა გვაქვს: არა მტორედ რაიმე აღრეუა იყო შორის სომეხთა (რიფს. 167,27); ეგდენსა მას შინა ჭირსა და აღრეუას ზღვსასა (სინ. 106,10); შერეუას მას ენათასა მამინ განყოფიანი იყენეს გონებათანი (სინ. 188,5); დაეცნეს ერისა მისგანნი მრავალნი შერეუასა მას სიტყვთა დაეთითისთა (2 მეფ. 11,17); თავისუფალ იყო იგი სიმღერისაგან ყრმათაისა და ყოე-ლისაგან აღრეუისა კაცთაისა (ხანძთ. 203,13); რომელმან დამიკეე მე ვიდრე აქა ჟამდმდე თავისა თვისისად წმიდად და შეუცინებულად ღვდათაგან შერეუისა (კომ. 1, 200,25); და იწყო აღრეუად [თანა] კაცთა (ბალ. 27,24).

მიმღობებშიც ასევე ნარევი ფორმები გვაქვს—ნარიანი და უნარო: გარდარეუ-ნულად (ლიტ. ქრ. 327,37); მაგრამ: გარდარეულად (საქ. წ. 11, 74,3); შეურეუენ-ულად (გამოცხ. 1.15 თ; კომ. 1, 101,13), მაგრამ: შეურეუელი (სევან. 386b).

ულ სუეიქსიანი მიმღობები, ჩვეულებრივ, უნაროა: აღრეული, განრეული, კარდარეული, შერეული და სხვ. (იხ. ზემოთ გამოჩნადისი გარდარეუნულად).

6. დატვენა. შედარებით ნაკლებად იხმარება ძველ ქართულში, არც გრამატიკული ფორმებითა მდიდარი. ამ ტიპის ზნებათა წესებს შედარებით კარგად იცავს. პირიანი ფორმები სათაუისო ქცევით არის წარმოდგენილი:

ვერ იტველა მათ ქუეყანა იგი დამკვდრებად ერთბამად (დაბ. 13,6); რომელი შემძლებელ არს დატვენად, დაიტველინ (მ. 19,12 C).

როგორც უკანასკნელი მაგალითიდან ჩანს, საწყისის ფუძისეულ ე-სა და საწყისისეულ ა სუფიქსის შორის ინფიქსი ნ ემატება. ასეთი მაგალითებია კიდევ: შერებეს მრავალნი, ვითარ ვერღარა [ებლო] დატვენად ვერცა კართა გარეშე (მრ. 2,2 C); მრავალი მატეს სიტყუაი თქვენდა, არამედ ვერ ძალ-გიც დატვენად აწვე (სინ. 185, 22).

მაგრამ ამით გვერდით შიძლება შევხვდეთ უნარო ფორმაც: მერმეცა მრავალი მატეს სიტყუაი თქვენდა, ხოლო ვერ შეუძლოთ დატვენად აწვე (ი. 16,12 C).

პირიან ფორმებს აღნიშნული ნ არასოდეს ემატებათ, ხოლო მიმღობებში იგი ძალიან ხშირია: დამტვეუნელი (სინ. 9,2; უდაბ. 162ra); დაუტვეუნელი (სინ. 203,18; ჰილ-ეტრ. 54,2); დატვენულ (სას. პ. 57,1X); დატვენილი (მამ. ცხორ. 48,16).

7. ქსოვა, ქსოვნა. ამ ზნის გამოყენების შემთხვევები ძალიან ცოტაა ძველ ქართულში. იმ ორიოდ საწყისში, რომელიც დღემდე არის დადასტურებული, სარი

<sup>104</sup> ლ. ბარამიძე, საწყისი ძველ ქართულში. გვ. 52.



223,17 B); ზედა-მსწერანი ვიცინე მე (ეკლ. 1,17).

მიძლეობა: მწვენილი (მსაჯ. 3,26 G); მიწვენილ (კომ. 1, 279,38); მოწვენიულ (სინ. 76,15); შემოწვენიულ (ოცელ 3,13); შესაწვენიულ (სინ. 120,33); შეუწვენიული (სინ. 158,22); საწვენიულ (სინ. 230,29).

ჩვეთთვის ამკამად საინტერესო ფორმებითი უფრო მდიდარი, გაერკვლებული და ნარის თითქმის უკამონაგლისოდ დამკული სხვა უბირო ზნა ძველ ქართულში არ მოიპოვება.

10. წონა. იხმარება საარვისო ქცევის ფორმებით. ნულან საარვისო ქცევას აქვს ორი და სამი პირის გაგება (წონდა, გამოსწოეს), ხოლო ანიანს—სამი პირისა (აწოვებს ოგი მას მას). პირველის საწყისს ნ აქვს დაცული (წონა), ხოლო მეორის ნარიანი საწყისი ჯერ არაა დადასტურებული. სამაგიეროდ მეორეს მოეპოვება მოქმედებითი გეარის ნარიანი მიძლეობები. პირიან ფორმებში ნარი არსად არ არის.

ნეტარ არს მუცელი, რომელმან გიტვრთა შენ, და ტუტუნი, რომელთა სწოვლ (ლ. 11,27 C); განმაქარებულ არს ოგი გამოწოვილისა მის, ვითარცა სახედ, ცეცხლი სანთლისა, რომელი გამოწოვონ პატრუკსა, საზრდელსა მისსა, და მყის განმაქარვის ოგი (უძე. რედ. 47,29,30).

ვითარ-ოგი არა თავს-იღუა წონაჲ მისი, და მყის განუმა (კომ. 1, 218,30); /ყრმა ოგი/ ტიროდა და არა თავს-იღებდა წონასა (იქვე, 218,24); ვინ მოგცეს შენ, ძმაო ჩემო, წონად ტუტუნი ღელისა ჩემისანი (ქებ. 8,1) .

მიძლეობა: მაწონებელი (3 ეზრა ა,28 შ; 2 მეფ. 4,4; მ. 24,19 C).

11. წუვენა ჩრევა, შეთავაზება; წოდება, დაძახება, იძულება, ძალის დატანება. ამ მნიშვნელობათა შორის მანძილ შეთავარი იძულება, ძალდატანება. ფორმა წარმოშობით სამპირიანია, ერთი პირი (იძრ. ობ.) კარგად არა ჩანს, ღროთა განმავლობაში მიქმნაგულია. ამოტობა, რომ ამ ზნის ინტელად მიღებულია ა—(3)2. დღევანდელ ქართულში ამ გაგებით აღარ იხმარება. სამაგიეროდ დღეს სზირად გეხედება მოწვევის, მოყვანის, მოპატიების შინაარსით. ერთეის ბეერი ზნისწინი (გა, გამო, მი, მო, შე...). საწყისად ძველ ქართულში მიღებულია წუვეა და წუვენა, პირველი—უფრო სზირად, მეორე—ნაკლებად. რაც შეეხება პირიან ფორმებსა და მიძლეობებს, აქ ნარიანი ფორმები ჯერჯერობით არაა დადასტურებული.

შემიწინარებიეს, ძეო მეფისაო, რომელსა-ესე მწუვე (ბალ. 117,24); დეკანოზი ოდეს აწუვენ ანუ მნათი გინა წოვნის კოთხეასა... გინა თუ რომელსაცა სამსახურებელსა ეკლესიისასა, გუერდით მივიდის (ო—ე, 59,6); შენ მწუველ... მოყუასთა ჩემსათჳს, და მე არა მთნდა მათოვს (ბალ. 86,1); უფროის ხოლო მწუველესი დასწავლასა დავითისასა (მამ. ცხორ. 114,18).

ნარიანი საწყისის ნიშნუები: ამისთვისცა დიდად თქუბულ არს სობრძისა მიძართ წუვენაჲ წოვნსა ამას შინა (4 ძეგ. 92,21); დაღათუმცა არა ჭეშმარიტსა პეტკოდე. ჯერ-ვიდრებმცა-იყო ჩემდა, რამთა ვიწყინარე წუვენაჲ შენი სიყუარულისა და მგეობრობისა შენისათჳს (ლიტ. ქრ. 20,21). ერთ მოგვიანო ხანის ხელნაწერში ზნისწინიანი დაწუვენისა (A-689, 291r) და მიძლეობა წუვენულმან (278r) გეხედება. ჯერჯერობით ესა მხოლოდ.

უფრო მეტად უნარო საწყისი: ღრუბელნი არა ოდეს მათ უნებნ, და შეკრიბან, არამედ რაყამს წუვეით ებრძანის მათ (საქ. წ. II, 35,10); ორთავე მათ შოურის ძმთა და მღელღელთმთავართა ჯდა და წუვეითა ვერ მოსცალდებოდა (მამ. ცხორ. 105,5); იწყო ...მეუვემან ბაგრატ და სემან მისმან გიორგი...და მთავართა კედრებად და წუ



ვად, რადიო აღმოსავლეთის განვიდეს (ლიტ. ქრ. 203,43).

მიმღეობა: მაწუქველ (ბალ. 93,29 ს.; 163,27 წ.; გამ. 3,7).

12. ვსოვნა. საკმაოდ იშვიათად იხმარება. ხშირად ო-სთან ვ დაკარგულია. იშვიათად ვ-ს ბ ენაცვლება. შედარებით მეტად გვხვდება აწმყოსა და აწმყოს ხოლ-მეობითში, ნაკლებად—საერციობიან მწკრივებში, ხოლო II სერიის ფორმები სულ არ მოეპოვება. რამდენიმე მაგალითი პირიანი ფორმებისა:

არასადა მაცოს, ვითარმცა მეხილეა მე გვევითარი ხატი (Sin. II, 376r); არა ავსოვნ, რა-იგი უქმნიელ (I ეზრა 3,24); ესე ყოველი გუაესოზნ და გულს-ვეტყოლით სიკუდილისათვის და სინანულისა (სწავ. 225,29); რადიო გავსოვდეს დღე გამოსლვი-სა თქვენისაი ქუეყანით ვეკსტით (2 შჯ. 16,3 M).

რეოვიარია თვით საწყისი? ვსოვნა ჯერ არ შეგვხვედრია, მაგრამ რომ ის არსებობს და არსებობს სწორედ ნარის დამატებით, ჩანს ამ საუარაუდო ვსოვნა-ზე დაყრდნობილი ვსოვნება ფორმით, რომელიც "გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში" არის დაცული: რომელიცა დაესწავა, დაუეიწყებელად ავსოვდა. და აქენდა ეპისა ნებიერებაი და ტკბილობისა შუენიერებაი, ხოლო განსაკრევებელ იყო ვსოვნებაი მისი (ხანძთ. 125,30). შდრ. დვენა და მიდევენება, პოვნა და პოვენება, მოპოვენება. ხსოვნა დაცულია "ვეფხისტყაოსანში" (212,4; 698,2).

• • •

აქამდე ჩვენ საუბარი გვქონდა ისეთი ზმნების საწყისებზე, რომელთაც ფუძის ბოლოს (საწყისისეული ა-ს წინ) ვ თანხმოვანი ქქონდათ. სწორედ ამ ვ-ს ვამოქსილა ყოფილიყო სადავო ნ დამატებული ვ-სა და ა-ს შორის (დალეუ-ნ-ა, პოუ-ნ-ა, ძოუ-ნ-ა, მიწუე-ნ-ა, ვსოუ-ნ-ა...). მაგრამ არის კიდევ რამდენიმე ისეთი მაგალითიც, როცა ზმნის ფუძე ვ-ზე არ ბოლოვდება, მაგრამ ნ მაინც ჩნდება ა-ს წინ. შეიძლება ნ ასეთ შემთხვევაში ანალოგიით იყოს გაჩენილი, შეიძლება სხვა, ჯერ დაუდგენელი მიზეზით. მაგრამ მაინც თვით ეს ფაქტი ძალიან საინტერესოა თავისთავად. ეს ზმნებია ტებნა და ხეთქნება. შეეხვით მათ მოკლედ ცალ-ცალკე.

13. ტებნა. "ტებნის" მნიშვნელობით ძველ ქართულში ჩვეულებრივ "ძიება" იხმარება: ვიძიებ, ვეძიებ. იძიებს გარდამავალი ზმნა, II სერიის ფორმებში მას შეუძლია ასახოს პირდაპირი ობიექტის მრავლობითობა: რადიო მე გამოვიძინე საქენი მათნი, მან ივინი გამოიძინა, გამოიძინით, გამოიძინეს... მისი საწყისა ძიება, გამოძიება, მოძიება. მაგრამ ამის გვერდით ძველსავე ქართულში იშვიათად იხმარება აგრეთვე ვეძებ და ვეძებნი, რომლებიც ახალ ქართულში არის გაბატონებული... ძველ ქართულში ორივე სახეობა (ეძებს, ტებნის) საწყისად მხოლოდ ერთ ტებნა-ს იყენებს.

ნუ ეძებ გამოუძებნელსა და ნუ განსცდი გამოუძელელს (მოქც. 149,30)<sup>391</sup>. ამ მაგალითში ისიცაა საყურადღებო, რომ საწყისისეული ნ დაცულია მიმღეობაშიც: გამოუძებნელსა; და ურიდალ სტებნიდეს უშჯულონი იგი მორწმუნეთა მათ (ურთ. 92, 15); ტებნა ქრისტემან მან ბეჭელი იგი და არა პოუა (II-341, 26).

საწყისი იშვიათა: ვირთა ტებნასა (I მეფ. 10,14 O).

<sup>391</sup> ლ. ბარამიძე. საწყისი ძველ ქართულში. გვ. 54.

„ვეციხისტიკოსანში“ უხედადა ერთიკა და მეორეკ. სწორედ ამგვარი ფორმებია ლამკედრებული დღევანდელ ქართულში. პირიანნი: ვუქებ, ვუქებდე, ვუქებნი, მოუქებნილი, ვუქებე, ვუქებო, ვუქებ, ვუქებო; საწყისები: ქებნა, მოქებნა, დაქებნა.

ამგვარად, ნ ზნის საწყისსა და პირიან ფორმებში უქველესი დროიდან მოდის. ასევე უნდა ითქვას ქრანს ფორმებზეც, რომელთა თაკოდურა ე-საც (ეჭებს, ეჭება მან, ეჭებეს მათ) არაფერია აქვს საერთო ვნებთათს. არეუციქულ ე-სიანს (ეჩალებს, დაეჩა-ლა). განსახილველი ზნა მოქმედებითი გვარისაა და სუბიექტად მოთხრობითს შე-წყობს (ეჭება მან იგი, ეჭებეს მათ იგი). შდრ. მსგავსი ე სმოუნანის ფუძეები: მივეც მე (კაცმან), მივეცი თუენ, ეესროლე მე (კაცმან), ესროლე შენ, ესროლა მან, ესრო-ლეს მათ. ესენი გარდამაკალი ზნებია<sup>391</sup>.

14. ხეთქება. ხეთქა ზნა ძველ ქართულში უზნისწინოდაც იხმარება და ზნისწინითაც. ზნისწინებად გამოიყენება გაჰო, გან, და, მო, შე, წარ. აქ ჩვენი საუბარი უზნისწინოებს ეხება: ესენია მხოლოდ, რომელთაც ნ ერთის საწყისებშიც და პირიან ფორმებშიც. ზნისწინანებს კი ჩვენთვის საინტერესოა ნ არ ერთის არც საწყისებში და არც. მით უმეტეს, პირიან ფორმებში. გვაქვს მხოლოდ და მხოლოდ: განხეთქა, დახეთქა, მიხეთქა, მოხეთქა, შეხეთქა, წარხეთქა, ხოლო ხეთქა— არასდროს.

უზნისწინო ხეთქება-ს კიდევ ახასიათებს ორი თავისებურება: ა) მას არ გააჩნია უნარი სახეობა არც საწყისებში და არც პირიან ფორმებში; ბ) იგი გვხვდება მხოლოდ II სერიაში, არ მოგვეპოვება I სერიის რომელიმე მწკრივის თუნდაც ერთი ნიშნში. რატომ ხდება ასე? სანამ ამაზე ვიტყვი რამეს, ჯერ მაგალითები ვნახოთ:

ნუ აღივოს კურთხი ველთა შინა ჩემთა, რომლითამცა გიხეთქენ და განგტეხე (ქმ. I, 139,12. შდრ. კურთხითა გიხეთქენ, მაგრამ: განგტეხე; მიხეთქენ მე, და არა იწება კაცმან ხეთქებად მის (3 მეფ. 20,35); უხეთქა რაა, შემუსრა იგი (3 მეფ. 20,37); ასა ესერა მე უხეთქე კურთხითა მით (გამ. 7,17 პარიზ.; ესცე O); რომელ-სამე მყარსა ეხეთქა და ორად განეხო ეიდრე მკრდადმდე (სინ. 276,7).

როგორც ითქვა, ნ საწყისებშიც მკეიდრია და ხელუხლებელი. ოღონდ ესაა, რომ აქამდე მოპოვებულ მაგალითებში ეს საწყისი ყველგან ვითარებით ბრუნებაში დგას: აღიყრა ლახუარი თვისი ხეთქებად ჩემდა და მოკლვად (ლიბ. 8,2); რაითა აღიყრენ მახვლნი მათნი ხეთქებად მისა (იქვე, 7,15); მსწრაფელ იყადა მახვლი, გარნა ხეთქებად მისსა ვერ უძლო (ანტიოქ. 368,14).

თუ ხეთქ მარტივ ფუძეს ზემოთ აღნიშნულ ზნისწინთაგან რომელიმე დაერ-თო, არც საწყისებში და არც, მით უმეტეს, პირიან ფორმებში ნ აღარ ექნება.

საწყისები: დიოსპოლისს იყოს განხეთქა (ეზეკ. 30,16); დასციეს...სახლი მცირემ განხეთქათა (ამოს 6,12); ესე კუალად საუნჯესა შინა განხეთქად წინაშე ჩემსა დგას (საქ. წ. II, 63,39).

მიიღობაც ჩვეულებრივი წესითა ნაწარმოები: განხეთქილ (მრ. 2,21 C); აქედან ება აფიქსის დართვით: განხეთქილება (მ. 9,16); განახეთქი (ქმ. I, 27,7).

ახლა დაუბრუნდეთ ზემოთ დასმულ კითხვას: რატომ ხდება ასე? რატომ გვაქვს უხეთქა-ს ტიპის ზნები მხოლოდ II სერიაში და არ გვხვდება I სერიაში? რატომ, რომ მათ არც უნარი ფორმები არ მოეპოვებათ სრულიად და არც უნარი

<sup>391</sup> ა. შანიძე, საუბუქლები, გვ. 290—300.

საწყისები? შეიძლება ვითქვით, რომ ნარიან პირიან ფორმებს II სერიაში ზურვს უნდა უმაგრებდეს გარდამავალ ზნნათა უღლება, როცა პირდაპირი ობიექტი მრავლობითია; ვთქვათ, იგივე ფუძე რომ ავიღოთ, ასეთინ: განხეთქნა საკრეულნი, მიხეთქნა მარავანდნი, შეკხეთქნეს კლდესა ერმანი, წარხეთქნეს ველნი, ფურანი...

მეორე მხრივ, შეიძლება დაეუშვათ, რომ უზნისწინო უხეთქნა ფორმაში იმაღლებდეს მერამ გაუჩინარებული და გამქალაი პირდაპირი ობიექტი, რომელიც თავისთავად (თავისი მინაარსით) მრავლობითში იგულისხმებოდა და II სერიის ფორმებში მისი მრავლობითობა ძველი ინტუციით აისახებოდა ზნნაში. ამის კარგ ნიმუშად ითვლება ძველი ქართულის შეხედნა, როცა პირდაპირი ობიექტის მრავლობითობა ძველ ქართულ ფორმებში ასახულია, მაგრამ თვით პირდაპირი ობიექტი არა ჩანს არც მრავლობითში და არც მხოლოდობითში. მაგალითად: ხოლო მარიამ დგა სამარესა მას და ტიროდა, და ვიდრე იგი ტიროდა, შთახედნა სამარესა მას და იხილნა ორნი ანგელოზნი (ი. 20, 11 C; შთახედნა D; შთახედნა E).

მეცნიერთა აზრით, აქ პირდაპირ ობიექტად იგულისხმება ორი თვალი. ამიტომ, რომ II სერიის ფორმებში მათი მრავლობითობა აისახება. აქაც, ჩვენს მაგალითშიც (უხეთქნა), რაღაც ამგვარი პირდაპირი ობიექტი უნდა იგულისხმებოდეს, რომელიც (ფორმითა და მინაარსით) მრავლობითობას უნდა გამოხატავდეს. ახლა საძებარია ასე დაშვებული პირდაპირი ობიექტი. ეს ზნნა წარმოშობით სამპირიანია. ძველი ქართულის მთელ სივრცეზე უხეთქნა ორი უეჭველ პირს შეიცავს, მოთხრობითში დასმულ სუბიექტსა და ირიბ ობიექტს. მას სასხვისო ქცევის ნიშნები აქვს: ი და უ. ყველა გარდამავალი ზნნა, რომელსაც სასხვისო ქცევის ნიშანი მოეპოვება, სამპირიანია: მან მას იგინი დაუწერნა, უთხრნა, აღუშენნა, აღუთქუნა... მისცნა, უწუენნა... ასეა აქაც: მან მას (იგინი) უხეთქნა. ნარი ამქო დაკარგული პირდაპირი ობიექტის შემორჩენილი ნიშანია, მეტყველი მოწმეა. ამიტომ არ გვხვდება ასეთი ფორმები I სერიის მწკრივებში, ამიტომ არა აქვთ უხეთქნას და მისი ტიპის ფორმებს უნარი სახეობანი. მაგრამ ამ საკითხს უფრო გამოწვლილით უნდა შესწავლა.

ზემოთ საუბარი გექნონდა ნ-ჩართული საწყისების შესახებ ძველ ქართულში. მაგრამ ეს პროცესი (ნ-ს ჩართვა) მხოლოდ ძველი ქართულით არ ამოიწურება. იგი გრძელდებოდა საშუალო ქართულშიც. ტიპურ შემთხვევებში ნ ერთოდა ახალ-ახალ ზნნებს და ამ ტიპის ზნნათა სია თანდათან იზრდებოდა. აღნიშნული პროცესი დღესაც გრძელდება, ნარიან ზნნათა რიცხვი კვლავ მატულობს, ნ-ს გარეშე ამ რიგის ზნნები დღეს უკვე აღარ იხმარება (თხოვნა, ტყორცნა, წვრთნა...). აქ უწევნებთ რამდენიმე მათგანის მაგალითებს.

15. თხოვნა. ძველ ქართულში ჩვეულებრივი პირიანი ფორმებია: ესთხოვ, ესთხოვდ(ი), ესთხოვდე; ვითხოვ და ა.შ. საწყისები კი, როგორც ითქვა, ნარის გარეშე იხმარება: პილატე განაჩინა აღსრულებად თხოვად მათი (ლ. 23, 24 C); ვითხოვ მე თქვენგან თხოვასა ერთსა (მსაჯ. 8, 24 M); მაშინ პილატე საჯა თხოვისაებრ მათისა (ლ. 23, 24 DE); თხოვით ცხობებასა ნუ დაიწუე (ზირ. 40, 29); საქმედ არა მიძლავს, თხოვად მრცხუენის (ლ. 16, 3); რა გიკმს თქვენ პირად თხოვადმდე თქვენდა მისგან (მ. 6, 8).

ცხადია, ნ არ იყო სათანადო მიმღობებშიც: მთხოველი (ლ. 18, 35); სათხოველი (სწავ. 145, 16; მ. ცხ. 353r).

ნარი ამ ზნნის საწყისში მიკვიანებით ჩნდება. რამდენიმე ნიმუში: გეტყოდეს თუ შენ...თხოვნითა მღაბლითა (იოზ 40, 22 pb). ეს მაგალითი ბაქარის მიერ მოსკო-

ემი 1743 წელს დაბეჭდილი ბიბლიოდანა და ნარიანი საწყისის გამოვლენა ამ გვიანი დროით უნდა აიხსნას; რა მანქარ ფრიდონის თხოვნა გაიგონა, წყენისაგან უქკოლ გახდა (რუსულანანი, 14,21); თხოვნა — ნდომის ვედრება B (საბა); გათხოვნა — კაცმა რა კაცი საყრდლოდ ანუ სასჯულად მიიზიდოს (საბა); ნათხოვნი — თხოვნით შოენილი და არ წაღებული A (საბა).

ღღეს ამ ხშირად ხმარებული ხმნის საწყისში ყველგან ნარი გვაქვს: თხოვნა, დათხოვნა, მოთხოვნა... ნარი გვაქვს გარკვეული ტიპის მიმღებებშიც: მომთხოვნი, მოთხოვნელი, სათხოვნელი...

16. ტყორცნა. ეს ხმნა ძველ ქართულში ებ თემის ნიშნით იხმარება. პირან ფორმებში, საწყისსა და მიმღებში ნ არსად ჩანს.

სტყორცებს... ისარსა მას სიძისასა (მ. ცხ. 18r). რაჟი არის სტყორცებს, ცხადია, მისი საწყისი იქნება ტყორცება: წარწყმდა იგიცა კელითა ღელაკისაითა და ტყორცებითა ქვისაითა (ბას. კეს. სწ. 198,30); ხოლო შემთხვევა ანუ ფიცხლად ტყორცებითა ანუ სიძიძითა ქვისა მის გინა შემისაითა... სიკუდილი კაცისა (მც. სჯ. კან. 79,16); ამისთვის მიიღო შურღული ქვისა ტყორცებად მისსა (A-689, 238v).

მიმღებობა: ტყორცებული (3 ეზრა 16,7); განტყორცებული (სიძრძ. 5,12); იღუგალ-ტყორცებული (რიფს. 163,26); ისრის-სატყორცებულ (დაბ. 21,16); ქვის-სატყორცებულ (ლ. 22,41), მაგრამ: სატყორციოთა (რიცხ. 24,8); ქვის-სატყორც (ათონ. 17, 27v); ქვის-სატყორცელ (ზარხმ. 201,6).

17. ყოფნა. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მეტად გაერცელებული და ხშირად ხმარებული, მეტად მრავალფეროვანი ფორმებით მდიდარი ხმნა. ამ თვისებებით ხასიათდება იგი ქართული ენის განვითარების მთელ სივრცეზე; გამოირჩევა მნიშვნელობათა სიძრავლით, იხმარება თითქმის ყველა ხმნისწინით. როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები (გვ. 526 და შემდ.), ყოფა მონაწილეობს ბევრ რთულ ხმნაში, რომელთაც ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული შინაარსი აქვთ...

ძველ ქართულში ამ ხმნას ნ არ ერთოდა არსად, არც საწყისებში, არც მიმღებებში და, მით უმეტეს, არც პირან ფორმებში. ეს წესი იქ მტკიცედ იყო დატული. ენახოთ საწყისების ნიშნები ძველი ძველებიდან: სახლსა შინა შენსა ჯერ-არს ჩემი ყოფა (ლ. 19,5); ამბორის-ყოფა არა მომეც მე (ლ. 7,45); ანლა გულისხმის-ყოფასა მივიწიე (4 ძვე. 199,23); რომელი მაქნდა მე წინაშე შენსა უწინარეს ყოფისა ჩემისა სოფელსა ამას (ი. 17,5); ყოფით ვყო შენ ზედა წყალობა (2 მეფ. 9,7). ნ არ არის არც მიმღებებში: ყოფილი, მყოფელი, საყოფელი...

ღღევანდელ სალიტერატურო ქართულში ნ-ს ჩართვის საკითხი ისე ღვას, როგორც ძველ ქართულში იყო ერთის გამოკლებით: ნ ემატება მხოლოდ უხმნისწინო საწყისებს, ყოფას, არსებობას რომ აღნიშნავს<sup>12</sup>: იმის აქ ყოფნა არ შეიძლება... ხმნისწინან საწყისებს ნ არ ჩაერთვის: საკითხის გამოყოფა, მიწის დაყოფა, რიცხვის 5-ზე გაყოფა, თავის გადმოყოფა, საქმისთვის ხელის მიყოფა, ხელის შეყოფა, თავის წამოყოფა... ნ არც რთულ ხმნებს უნდა: უზრუნველყოფა, უკლებელყოფა, შეურაცხყოფა, უკვდაყოფა.

<sup>12</sup> როცა ყოფა განყნებულ ყოფიერებას აღნიშნავს. მას ნ არ აქვს: საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისა და ახალი ყოფის დამკვიდრებისათვის თავდადებული ბრძოლა იყო მამონდელი ახალგაზრდა მწერლების ნაწარმოებთა მთავარი თემა: ნ. ავაიშვილი, კვამუები დარჩენ მარად, 1980, კვ. 387.

ყოფა ფუძეზე დაყარებული ახალი ზმნა ყოფნა: საქარისობა, კმაყოფა. ამ შემთხვევაში საწყისისეული (?) ნ პირიან ფორმებშიც გადავიდა და I სერიის მწკრივებში ყველგან გვაქვს: მყოფნის, მყოფნიდა. II სერიაში ამას ენაცვლება ენიანი ენებითის ფორმები: მეყო, გეყო, ეყო, მეყოს, გეყოს... სხვაგან ყველგან, როგორც აღინიშნა, უნარო ფორმებიც გვაქვს პირიან ზმნებშიც, საწყისებშიც და მიმღობებშიც. რგოლიდან უნდა დაწყებულიყო ამ ზმნაში ნ-ს ჩართვა? ყოველ შემთხვევაში, ყოფნა გვხვდება ერთ აღვილას "ვეუხისტყაოსანში": საწუთრო და სოფელს ყოფნა, კაცი უჩსო, ვით ნადირსა (700,3). აკადემიურ გამოცემაში ყოფა არის შეტანილი. ყოფნა აქ არ მონაწილეობს რითმის გამართვაში, რომ იმით აეხსნათ სარის დართვა. ყოფნა დაცულია FGHIKO ხელნაწერებში, ამიტომ მისი გაჩენა და აქ თავის წამოყოფა შემთხვევითი არ უნდა იყოს.

18. წერთნა. ძველ ქართულში წურთა იყო. უ აქ უმარცვლოა. დროთა ვითარებებში ის ვ თანხმოვნად იქცა, ხოლო საწყისის ა-ს წინ ნ ჩაერთო და დღევანდელი წერთნა, წერთნიდა, წერთნიდნენ, გაწერთნეს მივიღეთ.

წურთა ძველ ქართულში თავისი ძირითადი მნიშვნელობით არის: სწავლა, დასწავლა, დაზებრება, სისტემატური ვარჯიში დასწავლა-დაზებრებაში; გაწერთნა, მომზადება; დასჯა, ცემა, ცემით დასჯა.

ერსადრისი შესაძლებელი და ნამდვილად არსებული საწყისი ძველ ქართულში არის წურთა: აქეს მრავალი საუმალი წურთაი ფალსუმთაი (ნოვ. II, 270,14); გნებაეს თუ განწურთაი ცთომასა თვისასა, ნუ წყოლებითა, არამედ შინებითა (ლიტ. ქრ. 369,61); დაიმარხონ იგი საესენებულად და მოსწრაფედ წურთოსა მიერ (ექესთ. 39,37); აღტირდეს ევკატე და საფუძველნი მისნი, წურთითა მოსრულ იქნეს და წურთითა, რომელი მოუელინოს მას ღმერთმან (3 ეზრა იე, 12); ნუ მოჰმკდგრადები და ნუ მიიზიდვი წურთად და გულის-სიტყუად საძაგელისა ... მოატკების მან წურთად უცეთურებისა (საქ. წ. II, 6,33,36); წურთანი და ღმრთოსა მიერ სწავლანი განანათლებენ ნათესავთა კაცთასა (სინ. 79,12).

როგორც მაგალითებიდან ჩანს, ძველ ქართულში ამ საწყისს ნ არ ერთვის. ცხადია, იგი არც მიმღობებში გვექნება: მწურთილი (ლიტ. ქრ. 193,1; ოსე 5.2 რხ); წურთილი (ოსე 10,11; ბაღ. 144,2); უწურთელად (ი-ე, 36,7).

დღევანდელ სალიტერატურო ქართულში ნარიანი ფორმები ერთადერთი სორმა არის საწყისებშიც, მიმღობებშიც და პირიან ფორმებშიც, მოუხვდავად იმისა, რომ 5 და 6 თანხმოვანი იყრის ერთად თავს.

### 0. ოლ-ა სუმიონიანი საწინაპი

ერთი ტიპის ზმნებს მარტივ ფუძესა და საწყისისეულ ა-ს შორის ოლ, ომ და ოვ სუფიქსები ემატება (ბრძოლა, დგომა, პეროვა...). ეს ზმნები უმთავრესად გარდაუვალია, თუმცა შეიძლება იშვიათად გარდამავალიც გამოერიოს (ბრძოლა); გვარის მიხედვით—საშუალი და ვნებითი (ძაღუზე იშვიათად—მოქმედებითი). ამ წაკრულში შემოჩენილია ძველთაძველი წარმოშობის ზმნები, რომელთაც შემონახული აქვთ ჩვენი ენის უძველესი დამახასიათებელი თავისებურებანი (მარტო ის რად ღირს, რომ, მაგალითად, ბრძოლას, როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, სავსებით ერთნაირი აქვს აწმყოფა და წყევტილის I და II სუბიექტური პირები). ასეთივე თავისებურებას ამჟღავნებს

ოლ სუიქსიანი სხვა ზმნაც—წოლს<sup>33</sup>.

ვაკცენოთ ამ ტიპის ზმნებს უფრო ახლოს.

1. ბრკოლა. ბრკომა. ეს ზმნები იშვიათად იხმარება და, სადაც არის, თითქმის ყველგან ერთმანეთს ენაცვლება ძველის სხვადასხვა რედაქციასა თუ ერთი და იმავე რედაქციის სხვადასხვა ხელნაწერში. ამიტომ, გამოერება რომ არ გამოგვივიდეს, ირიცხვს ერთად მოვიყვანოთ.

შინაარსით ბრკოლა და ბრკომა არის: ცდომა, დაბრკოლება; ბორძიკი, ფეხის შეშლა, ფეხის რამეზე წამოკერა; ხანდახან მათ ბორკილოც ენაცვლება. სინურ მრავალთავში გვხვდება ასეთი ადგილი: უფალო, იყსენ სული ჩუენი სიკუდილისაგან, თუალნი ჩუენნი—ცრემლთაგან და ფერენი ჩუენნი—ბრკომისაგან (სინ. 281,10). ეს წინადადება ფსალმუნდანაა ამოღებული. თვით ფსალმუნში კი იგი ორ ადგილას გვხვდება: რამეთუ იყსენ სული ჩემი სიკუდილისაგან, თუალნი ჩემნი—ცრემლთაგან და ფერენი ჩემნი ბრკომისაგან (ფს. 55,14 წ<sup>4</sup>). ამ რედაქციის CD ხელნაწერებში არის ბრკოლისაგან. გვექვ ბრკოლისაგან გვაქვს აგრეთვე  $\aleph$  (ვიორგი მთაწმიდლის) რედაქციაშიც. ამ სახით მოდიოდა იგი შემდეგაც და დღემდეც ამ ფორმით მოვიდა. ფსალმუნში მეორეგან (114,8) იკითხება: რამეთუ იყსენ სული ჩემი სიკუდილისაგან, თუალნი ჩემნი—ცრემლთაგან და ფერენი ჩემნი—ბრკოლისაგან წ<sup>4</sup>. ახლა აქ ბრკომისაგან გვაქვს მხოლოდ BE ხელნაწერებში.  $\aleph$  რედაქციაში აქაც ბრკოლისაგან იკითხება. აქედანაც კარგად ჩანს, რომ ბრკოლა და ბრკომა ერთმანეთს სისტემატურად ენაცვლება ძველ ქართულში. სხვა მაგალითები: დაამდაზღნეს ბრკალითა ფერენი მისნი (ფს. 104,18 წ<sup>4</sup>). ამას  $\aleph$  რედაქციის BCDE ხელნაწერებში ბორკილითა ენაცვლება. ასევე ბორკილითა აქვს ამ შემთხვევაში  $\aleph$ -საც; კულობად იწყო დავით და ბრკოლად (1 მეფ. 17,39 O; ბრკომად M).

2. ბრძოლა. მეტად საინტერესო ზმნა თავისი შინაარსითაც და, განსაკუთრებით, ფორმებით. ზოგი ნიშნის მიხედვით ძალიან ძველი ფორმების შემცველია. გარეგნულად მისდევს ვარდაუეული ზმნების უღლებას, საერცობიან შერჩევებში აქვს ოდ სუიქსი (ჰბრძ-ოდ-ა), მაგრამ II სერიაში სუბიექტს მოთხრობითში შეიწყობს (ჰბრძო ეშმაკან), გარეგნულად ჰბრძავეს აფიან ზმნას ჰგავს, მაგრამ ნამდვილად აუ ბირისეულია (წყევ. ეპბრძავე მე მას); პირდაპირი ობიექტი დაკარგული აქვს, მაგრამ სამპირიანი ზმნის კონსტრუქცია შენარჩუნებულია; ხშირად იხმარება სხვადასხვა ინდექსის შესატყვისი ფორმებით: 0—(3)2, ი—(2)1, ე—2, ი ენ.; მრავალფეროვან პირიან ფორმებთან ერთად ხშირია საწყისები და სხვადასხვა ტიპის მიმღობანი. დასასრულ. აღვნიშნავთ, რომ თვით საწყისები გამოყენებულია რამდენიმე რთული ზმნის პირველ შემადგენელ ნაწილად (ბრძოლა-ყვეს, ბრძოლა-სცემდა...). ახლა მივმართოთ მაგალითებს.

დღევანდელი ქართლისათვის მეტად უცნაურია ინიანი ვნებითის ფორმა: და იბრძოლა ძმაი იგი ეშმაკისაგან (ნოვ. I. 5,5,3); ჟამსა რომელსამე ძმაი ვინმე იბრძოლა ეშმაკისაგან სიძვისა და მახდა იგი დანთქმასა (იქვე, 5,7,41).

განსახილველი საწყისი ძველ ქართულში ხშირად გვხვდება სხვადასხვა ბრუნვის ფორმით. აი, რამდენიმე მათგანი: რომელსა აქუნდა ბრძოლაი სიძვისაი (Sin. 35, 312va); ვითარცა მბრძოლნი, რომელნი დასთრეუენენ თიყასა გზასა ზედა ბრძოლასა

<sup>33</sup> ი. იშაიშვილი. იოანეს გამაცხადებისა და მისი თარგმანების ძველი ქართული ვერსია: ვე. 146.

შინა (ზაქ. 10,5); მოვიდა ჰიტაბში ბრძოლისა მისგან ჰონთაისა (შეშ. 8,8); ჟამი არს ბრძოლისა და ჟამი მშველობისა (ეკლ. 3,8); წარვიდა ბრძოლად მათა (მსაჯ. 11,32); გესმოიდან ბრძოლანი და სამბაენი ბრძოლათანი (მ. 24,6).

ბრძოლა ფართოდ არის გამოყენებული სხვადასხვა ტიპის მიმღობებში: მბრძოლი (იოველ 2,7); მებრძოლი (იოველ 3,11 pb); წინა-მბრძოლი (მ. ცხ. 42v); საბრძოლი (ზაქ. 9,10); საბრძოლელი (Sin. 11, 396v); ბრძოლილი (მ. ცხ. 157v); უბრძოლი (უდაბ. 53r).

3. სივლტოლა. ამ ძველი ქართული ზმნის მნიშვნელობა გაქვევა. გაცლა, რაიმე საშიშროებისაგან გაქცევით თავის დაღწევა, შევლა. ღღეს ეს ფუძე ლტოლვის სახით იხმარება (ილტვის, ელტვის...) და სანუკუარი მიზნისკენ სწრაფვას გამოხატავს. ახლა მას თითქმის საწინააღმდეგო მნიშვნელობა აქვს. ღღევანდელ ენაში ამ ზმნის ძველი მნიშვნელობით ხმარების გადმონაშთია ცნობილი ტერმინი ლტოლვილი, ლტოლვილები.

სივლტოლის პირიანი ფორმები—ვიელტი, ივლტოდის, ევლტოდა...ძველ ქართულში ხშირად იხმარება. მეტისმეტად იშვიათია II სერიის ფორმები: ვითარცა ესმა მელდომა მას სახელი ქრისტესი, ივლტო (Sin. 11, 119r,20); რათა განევლტოს იგი მეცნიერთა (ასურ. 150,6 4); განივლტენ ვიროთელნი გეთემს (2 მეფ. 4,3 pb).

საწყისია სივლტოლა. იგი, ჩვეულებრივ, უზმნისწინოდ იხმარება, ხოლო რაცა ზმნისწინს დაირთავს, საწყისისეული სი პრეფიქსი მოსცილდება და გვაქვს: განვლტოლა, მივლტოლა, შევლტოლა, წარვლტოლა. სი თავსართი ძალზე იშვიათად არა აქვს უზმნისწინო ფორმასაც (ვლტოლისათვის: აბო 164,24). ეს უკვე საიხლეთა მოძალებს გამოძახილია.

ენახოთ ამ საინტერესო ზმნის პირიანი ფორმები და საწყისები: შენდა მოვივლტი, რათა განსწმიდო მწინკულევენება სულისა ჩემისა (სწაჯ. 229,20); რომელმან... განსწმიდნა ყოველნი, რომელნი მისა მიილტვიან (კურობ. მოს. 130,11); განევლტოდის მზაკუევარებასა გულის-თქუმათასა (მ. ცხ. 112r); განივლტოდა ადგილისა მისგან (კომ. 1, 135,10); აწ უკუე წარივლტოდე ადგილ შენდა (რიცხ. 24,11 G); რომელიცა შეივლტოდის მუნ და ცხოვნდეს (2 მჯ. 19,4 G).

საწყისი: ჩუენ მოსაე ვიყვენით მივლტოლად მათა შეწვენისათვის (ეს. 20,6); რომელნი მისენედ შევლტოლავად მუნ კაცის-მკლველისა (რიცხ. 35,6 G).

მიმღობა: მისალტოლველად, შესალტოლავად (რიცხ. 35,11 G); მისალტოლავი (ისუ ნ. 20,2 G)...

4. ზრზოლა შიში, ცახცახი, კანკალი. ეს არის ჩვეულებრივად გავრცელებული ძრწოლა-ს ფონეტიკური ვარიანტი: ძრწ→ზრზ. ძ და ზ ერთმანეთს ხშირად ენაცვლებიან. შდრ. ზრახვა/ძრახვა, ზროხა/ძროხა, ძრვამ/ზრვამ (კოსტანტინეპოლისს ზენა ზრვასა სახლი დაიხულა: მამ. ცხორ. 125,1). აღსანიშნავია, რომ ეს ფონეტიკური პროცესი მხოლოდ საწყისში გვაქვს, პირიანი ფორმები ამ მხრივ ხელუხლებელია. შესაძლებელია რ დაიკარგოს, მაგრამ ძ ზ-დ არასოდეს შეიცვლება (ძრწვის, ძრწიან, ძრწილად/ძწილად...). მაგრამ მაინც ფაქტია, რომ საწყისებში ძრწოლა-ს გვერდით ზრზოლა-ც გვაქვს. ამიტომ მისი ცალკე გამოყოფა, ვფიქრობთ, გამართლებული უნდა იყოს. აი, ორიილედ მაგალითი: შეძრწუნდეს და შევლდე ზრზოლაი და დაეცნეს წინაშე ჩემსა პირთა ზედა თუისთა (Sin. 11, 183,9); დავიცე და შემძრწუნდა გულა ჩემი უმისაგან ლოცვისა ბაგეთა ჩემთაისა, შევლდე ზრზოლაი თუალთა ჩემთა და გუამი ჩემი შეძრწუნდა ჩემ თანა (ვაღობ. 4,16 1<sup>4</sup>; ძრწოლაი 1<sup>4</sup>); შევიდა ზრზოლაი

ტელთა ჩემთა (ამბაკ. 3,16 O; ძრწოლთა G).

5. თართოლა (ახსტახი, კანკალი. ძველ ქართულში ძალზე იშვიათად ხმარებული სიტყვა. ამ ცნების აღსანიშნავად უკრაო ძრწოლთა გამოიყენება.

უიოთარ იხილა ყრმაჲს მან წმიდაი ივი, ათართოლთა და დაეცა (მამ. ცხორ. 151,15; ებიფანე შექრწუნებულ იყო და თართოლა (A-199,92v). ჯერჯერობით დადასტურებულია საწყისის ერთი მაგალითი: ესრეთ იქსნებიან თართოლანი (II-2251,285r). ერთხელ "ვეფხისტყაოსანში" არის ნახმარი: მეტმან ზარმან გამაჲშვია, მიიხიჲდა ცხრო და თართოლა (588,1). მიმღეობა: ათართოლებულ (მას. კას. სწ. 108,9).

6. კესოლა. ძველ ქართულში იშვიათად იხმარება. ჯერჯერობით დადასტურებულია დიდი სიძველეებით ცნობილ ადიშის ოთხთავსა და ასევე ძველი ფორმებით მდიდარ ლატალის ლექციონარში. კესოლა გათბობის მნიშვნელობით იხმარება. არის მხოლოდ ინიანი ვნებითის ფორმები: ჰიკესოლა—თბებოლა. საინტერესოა, რომ ადიშის ოთხთავში 4 ვნიანი ფორმიდან 2 ჰაქევეტურია (ჰიკესოლეს, ჰიკესოლა), ორი კი ა-ს გარეშეა ნახმარი (იკესოლა, იკესოლა).

საკითხის დიდი ინტერესის გამო მოვიყვანთ ყველა მაგალითს, რაც კი დღემდე მოგვეპოვება: ჰეტრე შორს მისდევდა მას ვიდრე შინა ეხოლმდე მდღელთ-მოძღურისა, დაგდა იგი მსახურთა თანა და იკესოლა მგზებელსა მას (მრ. 14,54 C; ტფებოლა DE); ღგეს მუნ მსახურნი იგი და მონანი, და ვგზნა, რამეთუ ყინელ იყო, და ჰიკესოლეს. ღგა მთ თანა ჰეტრეცა და ჰიკესოლა (ი. 18,18 C; ტფებოლეს, ტფებოლა DE); სიმონ-ჰეტრე ღგა მუნ და იკესოლა (ი. 18,25 C; ტფებოლა DE).

როგორც ითქვა, ასეთი ფორმები გვხვდება აგრეთვე ლატალის ხელნაწერშიც, ოღონდ ცოტა გამარტივებული სახით. სამივე შემთხვევაში უამოუვარდნილია ფორმიდან: იკსოლეს, იკსოლა (ი. 18,18), იკსოლა (ი. 18,25).

საწყისი კესოლა ჯერ არ შეგვხვედრია, მაგრამ გვაქვს მიმღეობა მკესოლარე, რომლის მიხედვითაც ადილია საწყისად კესოლა-ს დადგენა: კეს-ოლა-ა→მკეს-ოლა-არ-ე. აი, ეს მაგალითიც: იხილა იგი მკესოლარე. მიხედა მას და პრქუა (მრ. 14,67 C; ტფებოლა რაი DE).

7. რბოლა, სრბოლა. სირბილს აღნიშნავს. ამითან ერთად სირბილს სრბაც (იხ. გვ. 630) ვადმოსცემს. მეტიც: ცალკე საწყისად ჯერჯერობით მხოლოდ სრბაა დადასტურებული, რბოლა და სრბოლა კი პრაქტიკულად ჯერ არსად ჩანს, სამაგიეროდ. ძველ ქართულში ჩვენ გვაქვს მიმღეობები მსრბოლი (მარტივი) და მალე მსრბოლი. წინამსრბოლი (კომპოზიტური), რომლებიც საწყისიდანაა ნაწარმოები და საწყისში იღ სუფიქსს გულისხმობს: ს-რბ-ოლა-ა→მ-ს-რბ-ოლა-ი<sup>34</sup>.

აქ საზიარო პირიან ფორმებს აღარ მოვიყვანთ და ეუწევენებთ მხოლოდ სათანადო მიმღეობებს: იყო კაცი იგი საემარ და მსრბოლ ვზათა შორთა (ზარზმ. 202,14); არა მოაკლდა მსრბოლი სასრბოსავან თვისისა (იერ. 8,6 pb. ოქის ხელნაწერში მსრბოლის ნაცულად მორბედი გვაქვს); ცხოვრება ჩემი უბოსწრაფეს მსრბოლისა არს (სწავ. 113,27); წარბ ყარაული მალედმსრბოლი (Sin. 6, 119v); მალემსრბოლსა უქმს, რაითა იყოს სუბუქ (H-2251, 274v); წინამსრბოლი მისი და მანუწყებელი მოსლვისა მის მოისსა (Jer. 48, 75v).

სრბილის აღსანიშნავად "ვეფხისტყაოსანში" სრულად ერთნაირი შინაარსით იხმარება საწყისი რბნა (777,4). სრბა (1621,1) და ჩვენთვის საინტერესო რბოლა (588,3; 723,3; 770,2;

<sup>34</sup> ლ. კოტხაძე, ძირეული და ნასახლარი ხმები ქართულში. I: თუშ. 28, 1946, გვ. 169 და სხვ.



1252,4).

8. რჩოლა. ეს ზნა ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო მნიშვნელობით იხმარება: ა) უფრო ძველ ძეგლებში მისი შინაარსია: დამორჩილება (ერჩის—ემორჩილება), დაჯერება (უჯერება); სმენა, გავონება (ესმენს, უგონებს და ისე აკეთებს, როგორც ეუბნებანს); ბ) შედარებით მერძინდელ ძეგლებში (იშვითად ძეგლებშიც): არდამორჩილება, არდაჯერება, არგავონება, ურჩობა, შედაკება, შეწინააღმდეგება. განზე გადგომა და არდათანხმება. ჩვენთვის აქ უფრო საინტერესოა პირველი მნიშვნელობა (მეორე მნიშვნელობა დღესაც გვხვდება). ერჩის ტიპის ზნები ძველ ქართულში თავისებურებით გამოირჩევიან<sup>33</sup>.

ჯერ ამ ზნის პირიანი ფორმები ვნახოთ: მე შევეალი ვარ ქრისტესი და არა გერჩი, ვითარმცა ვისიძეე და შევაგინენ ვორცნი ჩემნი უკუნისამდე (საქ. წ. II, 81,4 = არ გემორჩილები, არ გეთანხმები); ერჩინ ზრახვასა ბრძენი (იგაე. 12,15 კთო слышат совета, тот мудр); არა მერჩდა ყური მათი (იერ. 7,24); მონანი ერჩლით /დაემორჩილენით Q/ ყოველთავე ვორციელთა უფალთა თქვენთა (კოლას. 3,22); რაიცა გრჩუა, მერჩდე, და მე გახოვო იგი (მამ. ცხორ. 307,19).

ძველი ქართულის ამ სორმალური ფორმების გვერდით ძალზე იშვითად გვხვდება აგრეთვე მათგან შინაარსითა და ფორმით განსხვავებული და ახალი ქართულიზებული ნიმუშები. შინაარსით იმ მხრივ გვაქვს განსხვავება, რომ ამ ფორმების მნიშვნელობაა: დავა, წინააღმდეგობა, არდაჯერება. ფორმის მხრივ ისაა საინტერესო, რომ ძველი ნორმების წინააღმდეგ საერცობად დს ნაცვლად გვხვდება ოდ. და ეს ყველაფერი გვაქვს ისეთ ძველ და ყოველმხრივ სანიმუშო ხელნაწერში, როგორიცაა სინური ხელნაწერი N97. აი, რამდენიმე მაგალითი: ვანვიდა მისა ყოველი ქალაქი, და იხილეს ხილვაი საშინელი: იონა დგა და პირითა მისითა ორნი ერჩოდეს. ესმიადა მათ, ვითარ-იგი იონა ღმერთსა ერჩოდა და ვითარ იგივე მოუვებდა პირისაგან ღმრთისა (ისტ. ქრ. II, 46,11,12); ღმერთმან ჯერ-იჩინა მრავლითა მოწყალებითა მისითა მტყუერად გამოჩინებაი და იონა ღმერთსა სწორად ერჩოდა (იქვე, 47,14).

ეს ზნა, ჩვეულებრივ, უზნისწინოდ იხმარება, მაგრამ ძალზე იშვითად გვხვდება მი და მო ზნისწინიანი ფორმებიც (საქმე ხება ამ ზნის ძველი, ჩვეულებრივი შინაარსით ხმარებას). მაგალითად: არა მერჩდა ამესა (4 მეფ. 14,11 не послушался Амасия); მის თანა ორგულ იქნნეს სხუანიცა პურიანი, ვიდრემდე ბარნაბაცა მი-ვე-ერჩდა მათსა მას ორგულებასა (გალატ. 2,13 АВ); ასა შესცა ამხილე მათ და არა მოგერჩდეს (აპოკრ. 7,9); არა მოგერჩდეს (ნოე. II, 69,13).

ძველი ქართულიდან ამ ზნის საწყისი ჯერჯერობით არაა დადასტურებული. დ. ვურამიშვილს გამოიყენებული აქვს საწყისიცა და მიძღობაც: ნება ყვეს თვისთა მერჩოლთა, არიინ ნება რჩოლანი (48,153,2), მაგრამ ეს უკვე ახალი ქართულის კუთვნილებაა.

9. სროლა. ამ საწყისის გვერდით გვაქვს აგრეთვე ამავე შინაარსის გამოხატული მეორე საწყისი—სისრა (იხ. გვ. 637), უფრო ძველი და გაცილებით უფრო მეტად გავრცელებული. ბევრი პირიანი ფორმა მათ საერთო აქვთ (ესრის, ესრიოდ, ესრაიდა, ესრაიდეს, ესრაიდის...). სროლა შედარებით უფრო გვიანდელია და დღესაც გამოიყენება ყოველგვარი სროლის საწყისად. სისრა-სთან დაკავშირებით პირიანი

<sup>33</sup> ი. იმსაიშვილი, საყოხავი წიგნი ძველ ქართულში, II, 1966, გვ. 231—232; იხ. ავრესიევი, ი. ენუკაშვილი, საშუალი გვარის ზნები, გვ. 82.

ფორმები ზემოთ გვაქვს ნაჩვენები და აქ აღარ გაიყოფიან.

თვით საწყისი სწოლა იშვიათად იხმარება: იწყეს კაცთა მათ სწოლად და ტყორცებად ისართა (ანტიოქ. 140,22); არაი დასცხრეს ბრძოლად და სწოლად (A-500, 300r,6).

"ვეფხისტყაოსანში" გვაქვს თვით სწოლაც და მისგან ნაწარმოები მიძლეობანიც: სწოლა (334,4; 981,2; 982,2; 1014), შესწოლი (202,1; 981,2), ნასწოლი (71,4; 75,3), აგრეთვე საწყის სწოლა-ზე დაფუძნებული ახალი ზმნა: ვისწოლოთ (69,2).

10. ქოლა ქოლა; სუნთქვა, ხვრინვა. იხმარება უმთავრესად I სერიაში, II სერიაში ქოლა-ზე დაყრდნობილი აქოლა გვაქვს: სულს ვიდრეცა უნებნ, ქონ და ვმაი მისი გესძის (ი. 3,8 DE); გარდამოვდა წვმაი, მოვიდეს მდინარენი, და ქოლდეს ქარნი და ვკუთნეს სახლს მას (მ. 7,27 DE. C-ში ქოლდეს იკითხება, რომელიც ლ.ტიკნაძეს უფრო ძველ. საწყის, ფორმად მიაჩნია: ქრის→ქრი-ოდ-ეს→ქრ-ოდ-ეს<sup>100</sup>).

შემდგომად არა მრავლისა ფაძისა იყო ქოლად მის თანა ქარმან მან ბორბალმან, რომელსა პრქან ვრცელ ღელუა (მოც. 27,14 ს<sup>101</sup>). ს<sup>102</sup>-ში სულ არაა წარმოადგენილი, რაც ქარმა იყო (ქოლად), იგი თავისთავად იგულისხმება.

ქოლა არის გამოყენებული ახალი, გარდამავალი ზმნის საფუძვლად: ნუ აქოლდებ თავსა ყოვლითა ქართა (ზირ. 5,11 pb: ნუ ანქრევე O, რომელიც სხვა საწყისს—სქრევეს—ეყრდნობა). მეორე მხრივ, ვევე ქოლა არის აღებული მიძლეობის საყრდნობადაც: მონაქოლი (ვეფხ. 861,3; 986,3).

11. ღუწოლა. ამის გვერდით ხშირია აგრეთვე ღუწა. თვით ღუწოლიც წარმოშობით საწყისი უნდა იყოს: ღუწ-ილ-იო ღუწლი. პირიანი ფორმებით მიღებულა (ილუწი, ილუწიდეს, ილუწა, ილუწეს, ილუწონ...). მათი ძირითადი მნიშვნელობა: ზრუნვა, მოვლა, პატრონობა; შრომა, გარჯა, ცდა, ბრძოლა, სარწმუნოებისათვის თავის დადება. განმეორება რომ არ გამოგვივიდეს, აქ პირიან ფორმებს აღარ მოვიყვანთ და მხოლოდ ოლ სუფიქსიან საწყისებს ვუყენებთ:

მის ვინაი-მე იქნებოდა ეგოდენი მხილებაი და ღუწოლაი, არა თუ ღმრთისა მოღუწებათაგან (სინ. 106,28); მათ უწყიან მომავლისათვის ღუწოლაი და ზრუნვაი (ექუსთ. 87,2. აქ ღუწოლაი და ზრუნვაი სინონიმური წყვილია; ღუწოლამან სულისათვის განდევნის მრავალი სენი (უძე. რედ. 72,25); არცა დაშურებთან ღუწოლასა (უდაბ. 25r); მონაი ვიყავ პირველად ცოდვისაი, და კაცთ-მოყუარებან ქრისტებან ღუწოლით თაყვანის-საცემელისა ჯუარითა და გვერდთა მათ მეორითა მადლითა მეორედ განმათავისუფლა ჩუენ (კობ. I, 189,5); ვინაითგან შემძლებელ არს იგი ღუწოლად მომავლისათვის ფაძისა (უძე. რედ. 103,9).

მიძლეობებში ოლ აღარ არის გადასული: მოღუწი (სინ. 186,25; მოც. 20,28). გვაქვს უფრო ახალი, მო—ე აფიქსებანი წარმოებაც: მოღუწი (სინ. 248,34; 2 ტიმ. 2,3); საღუწი (სინ. 153,23); უღუწი (სინ. 64,15; ზარბმ. 193,9).

12. ყოლა. პირდაპირი გაგებით (иметь) ეს ზმნა ძველ ქართულში არ იხმარება. მიზეზი გასაგებია: სულიერ არსებათა ყოლისათვის ძველად სხვა ზმნებს იყენებდნენ. აღამაინებზე, მაგალითად, ითქმოდა: მივის, გივის, უვის დაი, ძმაი, მამაი,

<sup>100</sup> ლ.ტიკნაძე დასახელებული შრომა. გვ. 174.

<sup>101</sup> ლ.ბარამიძე, საწყისი ძველ ქართულში. გვ. 59.

დღეად, ცოლი, ქმარი, ძმ, ასული. როცა გრამატიკული სუბიექტი მრავლობითში იდგა, მონაცვლე ფუძედ გამოყენებული იყო სხმა: მისხენან, გისხენან, უსხენან დანი, ძმანი, შეილნი, ძენი, ასულნი. II სერიაში ვ ძირს ენაცვლებოდა სუ და გეკონდა: მესუა, გესუა, ესუა, მესუას, გესუას, ესუას დღეად, მამა... მრავლობითში აქაც სხმა ფუძე ენაცვლებოდა: მესხნეს, გესხნეს, ესხნეს, მესხნენ, გესხნენ, ესხნენ ძმანი, დანი, შეილნი... ამის გამო ყოლა ამ ძირითადი მნიშვნელობით არ იხმარებოდა. აქ გასათვალისწინებელია ერთი გარემოება: ძველ ქართულში ყოლა-ქონებისათვის თანაბრად იყო გამოყენებული ქონება (ქონა) ზნა: ძველად სრულიად ბუნებრივად მაჩნდნათ ეთქვით და ეწერათ: მაქეს, გაქეს, აქეს ცოლი, ქმარი, კაცი, მწყემსი, სძალი და სხვ.

ყოლა თანამედროვე გავებით შედარებით გვიან შემოდის ქართულში. ყოველ შემოსიქვეყანაში, იგი ვეკვს "ვეფხისტყაოსანში" (770,4; 1100,4).

13. ყრაჟლა. პირიანი ფორმები არაა ბევრი. ისინი მარტივ ყარ ფუძეზეა დაფუძნებული: მსგავს იქნების იგი მკედარსა, რომელი ძენ სახლსა შინა და ყარნ, რომლისა სიმკრალისაგან ივლტან (მ. ცხ. 78r); ჰრქუა მას მართა, დამან მის მკედარისამან: უფალო, აწ ყროდის, რამეთუ ოთხისა დღისაი არს (ი. 11,39 C).

ამის საწყისად ძველ ქართულში ვეკვს ყროლა: სხუაი არს ესე ყროლა აქა (მამ. ცხორ. 39,31); ჩუენ ყროლასა მას კუამლისასა შესუარულსა წინაშე კრისთა არა შეეწირათ (ისტ. ქრ. II, 105,34); ყროლისა მისგან ვერვის ველ-ეწიფა მახლედ-ბად მისა (ილარ. 215,9).

ყოლა შემდეგ გამოყენებულია ახალი ზმნების წარმოების საფუძველად: აღ-ყოლეა, დაყოლეა, შეყოლეა: სკორპ მცირე აღამრლუევს წყაროსა წმიდასა და აღყოლეებს (Jer. 32, 128v); მარლი იგი სულიერი დაღებების და დაყოლდების (მ. ცხ. 78v); თეზნი მდინარისანი მოწყედეს და დაყოლდა მდინარს იგი (გამ. 7,21); შეყოლდეს, დაღქეს წყალულებანი ჩემნი პირისაგან უგუნურების ჩემისა (ფს. 37,6).

საწყისი სული ოლ სუფიქსი მერმე გადასულია მიმღობებშიც: აღყოლებული (A-162, 168v, 16); დაყოლებული (მ. ცხ. 123r; 167r).

14. ძწოლა თრთოლა, კანკალი, დიდი შიში. თანხმოვნების თაემოყრის გამო ადგილი აქვს ფონეტიკურ მოვლენებს: უფრო ხშირად რ იკარგება და ვეკვს: ძწის, ძწოდა, ძწოლა... იშვიათად ძწწ კომპლექსი იცვლება უფრო ადვილად გამოსათქმელი ზრზ კომპლექსით: ზრზოლაი, ზრზოლასა... ამას უკვე გავეცანით ზემოთ (გვ. 683).

პირიანი ფორმებია: ძწწის, ძწწან, ძწწოდა..., რომელთა საწყისი არის ძწწოლა: შეეიდა მუნ, და ძწწოლაი შეედეა მას და შეუერდა მუკლთა ჰკვლეს და შილას (მოც. 16,29 ს; ძწწოლაი D); ანუ გთნაესა, რათა მოიწიო საზომსა სიბერისასა გარდარეულსა, რომელსა შინა მრავალნი უმუერნი სენნი და (ძწწოლაი თავისაი და კელთაი მოვიდეს (ბაღ. 152,10); ძწწოლამან შეიკყრნა ივინი (ფს. 47,7; წწწოლამან B; ძწწოლამან E); იყენეს ივინი ძწწოლასა შინა და ზარისა მოლოდებითა რისხვისადათა (ლიმ. 99,27); ხოლო მე შიშისაგან და ძწწოლისა ვერ ვიკადრე ჩუენებად იოსებისა და იდეუალ გამოვეშორე (საქ. წ. II, 69,37); დიდითა შიშითა და ძწწოლითა ივლტოდინან ჩუენკან (სინ. 53,28); იწყო ძწწოლად ვითარცა ლერწამსან (Sinn. 11, 112v).

ძწწოლა-ხუა დაფუძნებული გარდამავალი ზნა ძწწოლუება (ლ. 9,42 D) და მიმღობა ძწწოლარე (უქვ. რედ. 132,10).

15. ძლოლა. პირიანი ფორმები—უძღვს, უძღოდა, წარუძღლა...— ძველ ქართულში, ჩვეულებრივ, ამ სუფიქსიან საწყისებს იყენებს (ძლომა, წინა-ძლომა, წარ-ძლომა). ახვეარ პირიან ფორმებს ლექსიკონებში საწყისად ძლოლა-ს უწერენ, მაგრამ ძველ ქართულში ასეთი საწყისი ჯერ არაა დადასტურებული. ძლოლა უფრო გვიანაა ენაში დამკვიდრებული. ამიტომ აღნიშნული პირიანი ფორმების საწყისად ჩვენ ამ სუფიქსიან ფორმას (ძლომა) ვთვლით და სათანადო მაგალითებსაც იქ განვიხილავთ.

16. წოლა. ძალიან გავრცელებული ზნაა, მდიდარია ფორმებით. წოლა (პირიანი ფორმები და საწყისი) იხმარება უზნისწინადაც და უზნისწინებითაც (წოლა, დაწოლა, მიწოლა, შთაწოლა, წეა, შთაწეა, მიწეა, დაწეა). უღლების ტიპი ყველა ამ შემთხვევისათვის ერთია. ჯერ ენახთ პირიანი ფორმები:

მიწეა იგი საგრილსა ქვეშე ნერგისასა (მაგ. მას. 553); ყრმაი ამის დედაკაცი-საი მოკლდა, რამეთუ დაწეა ზედა (3 მეფ. 2, 19); დაეწეეთ სირცხვლითა ჩუქითა, და დაგუფარნა ჩუენ გინებამან ჩუენმან (იერ. 3, 25); ოდეს დაეწეი, ვთქუ: ოდესმე ვანთენეს? (იობ 7, 4); რომელსა სწვე შენ გუერდსა შენსა ზედა (ეზეკ. 4, 9); შტოვიდა ჩემდა მონაი ერთი ებრაელი...და მრქეა მე: დაეწვე შენ თანა (დაბ. 39, 17); ზედა ოქროსაგებულთა დაწვეს და დაიძინოს (1 ეზრა 3, 6).

ამ პირიან ფორმებს ეყრდნობა საწყისი წოლა, რომელიც ასეა მიღებული: წეე-ოლა → წე-ოლა → წ-ოლა. ენახთ ზოგიერთი მათგანი: არა ცნა დაწოლაი მისი და აღდგომაი ლით (დაბ. 19, 33); არამედ დაწოლით დაწვეს საწოლსა ზედა (გამ. 21, 18); მიწოლით განისუენა, ვითარცა ლომმან (რიცხ. 24, 9 G); მუკრვალედ ლოცვითა და მუკლთა დრეკითა და ქუეყანასა ზედა წოლითა...დაუთმოთ სიბოროტესა ეშმაკთასა (სწავ. 178, 7); არა ერდა ოსებ დაწოლად მის თანა (დაბ. 39, 10).

წოლა-ზეა დაფუძნებული სხვადასხვა სახის მიმღეობები: მწოლი (3 მეფ. 1, 4; მიქ. 7, 5 O; ეს. 57, 8); მწოლარს (ლ. 2, 12); დაწოლილი (2 შუკ. 22, 25 G; იობ 3, 13).

### ოლ - ვ - ა

არის ერთი გვუფის ზნები, რომელთაც ოლ-ის შემდეგ კიდევ ვ ერთვის: და-ლ-ოლ-ვ-ა, დამე-ოლ-ვ-ა, მოს-ოლ-ვ-ა... ვ-ს ავ თემის ნიშნის ნარჩენად თვლიან<sup>94</sup>. მართლაც, პირიან ფორმებში გვაქვს ავ თემის ნიშანი: მოსოლავს მათ პირისაგან შენისა (2 შუკ. 9, 5 G). აქედან—მოსოლვა. ასეთი ზნები რიცხვით ძალიან მცირეა. ერთი ათეულს არ აღემატება. ვავეცნოთ მათ.

1. გბოლვა მოხარშვა. თვით საწყისი დადასტურებული არაა, მაგრამ გვაქვს მასზე დაფუძნებული მიმღეობები: ასულნი თქვენი მიგიზუნეს და ყენეს საცხებლის-მგბოლველ და მექათნედ და მეჭურედ (1 მეფ. 8, 13); დამუსრნეს ქურჭელნიცა საცხებლის-მგბოლველთანი (აპოკ. 5, 37); გასუა შენ ღვწოი ნელსაცხებლის-მგბოლველთაი (ქებ. 8, 2). ამ კომპოზიტების მთლიან შემადგენელი ნაწილი არის მ— ვლ აფიქსებით ნაწარმოები მოქმედებითი გვარის მიმღეობა, რომელიც სწორედ გბოლვა-ს ემყარება. გვაქვს ენებითი გვარის მიმღეობანიც: გბოლვილი (დაბ. 25, 28; მ. ცხ. 315v). გბოლვილის მნიშვნელობით იხმარება აგრეთვე სხვა მიმღეობა, რომელიც გბოლა საწყისს არ ეყრდნობა: მგბარი (გამ. 12, 9; დაბ. 25, 30). დანიელის წინასწარ-

<sup>94</sup> ლ. ბარაზიძე, საწყისი ძველ ქართულში. გვ. 59.

მეტყველების წიგნის ერთ რედაქციაში იკითხება გბოლოელი (14,33 pb), მეორეში მებარი (იქვე, 0). გვაქვს საგბოლოელი (4 მეფ. 4,38; ქებ. 5,13) და უგბოლოელი (ვამ. 12,9); ესენი გბოლოა-დან მომდინარეობენ, ხოლო უგბარი (ი-ე, 70,13), ჰირი-ქით, ოლ-ს არ ეარაუდობს.

2. კუპოლეა აცეპოლება, კეპოლის ასელა. ამ ზნის პირიანი ფორმები შემდეგი სახით გვხვდება: ნუ გეშინინ...ორთა ამთგან შეშათა მეგუზთა, რომელნი-იგი კუპანან (ეს. 7,4); მოწყალემან ღმერთმან...აჟუნა თავსა ზედა მის მთისასა ცეცხლი ფრიად ღიდი, რამეთუ ყოველი იგი მთაი კუპოლა (სინ. 267,23); მთაი სინაი კუპოლა ყოვლად (ვამ. 19,18); შვახე მთათა, და კუპოლან (ფს. 143,5).

საწყისი ძალზე იშვიათად გვხვდება: საეშმაკოთა კუპოლეათაგან განეთავის-უფულდით (A-162, 8r); ვილოცავ მსხუერპოთა შეწირვასა, არამედ ღმრთისა ჩემისა და სიტყვერთა, არა შენებრ ვაცთა სისხლებსა და კუაპლთა და კუპოლეათა (A-129,91r).

მოიპოვება მიმლეობა მკუპოლვარე (დაბ. 15,17; სიბრძ. 10,7; ეს. 42,3 pb).

3. დაღპოლეა. ამ ზნის ჩვეულებრივ საწყისად საყოველთაოდ გავრცელებული დაღპობა აქვს ობ თემის ნიშნით, მაგრამ პარალელურად გვაქვს დაღპოლეა-ც, ოლ -ვ სუფიქსებიანი საწყისი. პირიანი ფორმები ორივეს ერთნაირი აქვს: დაღპების, დაღპა, დაღპეს, დაღპენ... ჩვენ განსხვავებულ ფორმებს (საწყისსა და მიმლეობას) უჭკვენებთ:

რომელი არს უსწელის: კაცისა დაფლულისაი ქვეყანით აღდგომაი ანუ კაცისაი მეუტელსა ვეშპისასა და ვგოდენსა მეურვალეობასა მეციკისასა შესლვაი და არა დაღპოლეაი? (სინ. 163,29). შდრ: არა ეუფლოს მას დაღპობაი, არცა სიმყრალე (კომ. 1, 252,18). ასეთი ფორმები ძალზე ბევრია; მიწვენულ არს იგი განრყენასა და დაღპოლეასა (კომ. 1, 270,32); შირად მიფენილ იყო სული მისი დაღპოლეისაგან, ვიდრემდის ყოველნი ივლტიედ მისგან (იქვე, 326,3). ვითარებით ბრუნვას ეყარება დაღპოლეადი (ზირ. 14,20).

მიმლეობა: დაღპოლეელი (იაკ. 5,2 ლ; საკ. წ. II, 50,15; ისტ. ქრ. II, 35,3). ამით გვერდით, რა თქმა უნდა, არის ჩვეულებრივი მიმლეობური ფორმა დამპალი (მ. ცხ. 245v); უღპოლეელი (ეს. 40,20; 2 შჯ. 10,3 M), მაგრამ: უღპოლეათა (იქვე, G).

4. დამპოლეა დამპობა, წაქევეა, დაცემა, დანგრევა.

მთრვალობამან და ნაყროვანებამან ქალაქი აღმართებული და მტკიცე შეძრა და შეარყია და უნდა დამპოლეაი მისი (უდაბ. 54vb); დამპოლეად მეგულების არა ხოლო თუ ახოლონისი, მტერისაი მის შენისაი, არამედ ყოველნივე ღმერთნი შხის-ქალაქისანი ამის წარეწყმიდნენ (კომ. 1, 141,9).

ამის პარალელურად გვაქვს უფრო ხშირად ხმარებული დამპობა, რომელიც უფრო ძველი დამპუება-საგან უნდა მომდინარეობდეს (შდრ. გამარჯვება → გამარჯობა): მოპოვნებაი მისი დამპობა არს კაცისა, რომელი-იგი არს ხატი ღმრთისაი (სევან. 59b); იხილა ეშმაკან...რამეთუ ვეულებოდა მის მიერ დამპობაი (სევან. 225b).

მიმლეობა: დასამპუებულად (უდაბ. 21vb). დამპუება → დასამპუებულად.

5. მოსპოლეა მოსპობა. ეს ზნა ყველაზე მდიდარია ფორმებით, სხვებისაგან იმით განსხვავდება, რომ შემონახული აქვს პირიანი ფორმები აწმყოს შწკრიკში, სადაც ნათლად ჩანს, რომ ე, რომელიც ოლ-ს ემატება საწყისსა და მიმლეობებში, აე თქისინიშნიეულია, რადგან თუი აწმყოშიც გვაქვს (მოსპოლეავს).

ჯერ პირიანი ფორმები ვნახოთ: მოსპოლეავს მათ პირისაგან შენისა (2 შჯ. 9,5

G); უფალი საბაით მოსპოლავს ქერისტანით და იერუსალმით ძლიერსა მამაკაცსა და შებლესსა დედაკაცსა (ეს. 3,1); ხილი რომელი მოსპოლავს მიწიერებასა, ესე არს ღმობიერად დაღვრობა ვედრებასა ღმრთისა მიმართ (სწავ. 286,20; მოსპოლავს A); ას ესერა კრავი ღმრთისა, რომელი მოსპოლავს ცოდვითა სოფლისათა (სინ. 207,26). აღსანიშნავია ერთი გარემოება: ოლ სუფიქსიანი ფორმა ახალ ფულედ არის გამოყენებული და ნაულები: ანუ გიმატო გვესთა და განვიახლე სატანჯველნი უქერძსნი და უკუნაისკელ ცეცხლითა მოგსპოლო შენ? (Sin. 11, 29v). ოლ გვაქვს ენებითი: აღოსპოლა ყოველი ნათესავი (2 შჯ. 28,63).

ახლა საწყისებს გავეცნოთ: არა თუ მალალსა უნდა მოსპოლავა კაცთაი (3 ეზრა 6,59); მოახლებულ არს წარწყმედაი ჩუენი და მოსპოლავა ჩუენი მოწყევულ არს (ანტოიქ. 393,12); ფრიადი იგი ძრავა და დუღილი ქუეყანისაი აუწყებდა მოსპოლვასა მკვდრთა მისთასა (იქვე, 393,3); აარიონს ზედაცა გულმწყრალ იქნა ფრიად მოსპოლვად მისა (2 შჯ. 9,20 G).

ოლ და ვ აფიქსები ამავე რიგით დაცულია მიძღობაშიც: მომსპოლველ (სწავ. 221,1).

რა თქმა უნდა, ამ თავისებური ფორმების გვერდით ძველ ქართულში არის ობ თემისნიშნაიანი პირიანი ფორმები და საწყისები, რომლებიც დღევანდელ ენაში ერთადერთია: მოვსპობ ყუედრებას ვეკ.ტიისასა თქვენგან (ისუ ნ. 5,9 G); არლა შესძიონს უფალმან მერმე მოსპობაი წარმართთაი (ისუ ნ. 23,13 G) და სხვ.

6. ქალვა. დაქალვა. ქვის დაყრა (ადამიანზე, ცხოველზე), ჩაქალვა. ძველ ქართულში ხშირად არ იხმარება, მისი პარალელური ფორმებია დაქვაება, ქვისა დაკრება. უფრო ეს უკანასკნელი იყო გავრცელებული. ძირეული სამივეგან ქვაა: დაქვა-ე-ბ-ა, და-ქვა-ო-ლ-ეა → და-ქოლვა → დაქალვა. დაქალვა ჩვეულებრივ ავიან ხმნასავით გამოიყენებოდა ენაში, ახლა უფრო გავრცელებულია ჩაქალვა.

ენახით ნიშნუები: ქალვან ქვითა პირსა მას კერპისასა (მ. ცხ. 338r); დაქალა იგი ქვებითა ყოველმან ისრაელმან (ისუ ნ. 7,25 G; განტენა M); ქვები ალილეს, რაითამცა დაქალეს იგი (ი. 4,31 C; რაითამცა ქვაი დაქარიბეს მას DE); ქვითა დაქალენით იგინი, რამეთუ თანა-მდებ არიან (ლევ. 20,27 ps); დაქალოს იგი ქვითა (ლევ. 20,3 G); რავდენ გზის იყუედრნეს, დაიქალნეს (სწავ. 131,17).

უბრძანა ქვითა დაქალვაი ძის-ცოლისა თვისისაი (თუაღთ. 68,17); ენება დაქალვაი მაქსიმესი (A-1103, 136v,1); დაქალვაი მისი ენება მწიგნობართა და ფარისეველთა (Jer. 12, 348v,20); გამოვიდა ერი იგი დაქალვად უწესოთა მათ მოხუცებულთა (თუაღთ. 50,31); მათ არა პრწყმენა, ზრახვიდეს ქვითა დაქალვად მათა (კურთხ. მოს. 122,2).

ოლ - ვ გვაქვს მიძღობაშიც: დამქალველთა (მ. ცხ. 49v).

7. მიწუღოლვა. ეს ხმნა, ჩვეულებრივ, ომ სუფიქსიანია და მას ვრცლად ქვემოთ განვიხილავთ, როცა ომანებზე გვექება საუბარი. მაგრამ ომ სუფიქსიანთა გვერდით გვაქვს ამ ხმნის ოლ სუფიქსიანი ვარიანტიც, რომელსაც, როგორც ჩანს, სხვა ოლ სუფიქსიანთა ანალოგიით ვ აფიქსიც გასწენია და ამიტომ გვაქვს მიწუღომა-ს გვერდით მიწუღოლვა.

პირიანი ფორმები ორივეს ერთნაირი (ხიარი) აქვს: მივსწულები, მისწუღეს. ზოგჯერ წ-ს გავლენით ფუძისეული ღ დაყრუებულია და თ-ღ არის ქვეული (მისწუეთ). ხილი სხვაგან უმარცვლი უ-ოს გავლენით დაკარგულია: მიწღომაღ. ენახით ხმნის ორიოდე პირიანი საზიარი ფორმა: შემდგომსა მას დაივიწყებ და წინასა მას

მიესწულები (ფილოზ. 3,13); რავედნნი ვმდეს წამებანი ახლისაგან შჯულისა შიკა-წარმოლებად, ვერ მიესწუდით და და-ლა-გეშთა ჩუენ ფრად საქმისაგან მოციქულ-თასა (სინ. 189,29); რომელსა ვერ მისწუეთ (ბალ. 68,35); რათა მო-ვითარ-რათ-ესწუდე აღდგომასა მას მკუდრეთით (ფილოზ. 3,11). ხელთა გვაქეს ჩვენთვის საინტერესო საწყისის მხოლოდ სამი მაგალითი: შშობელსა ეხედავ და შობილსა გან-ვიცილი თუალოთა, ხოლო სახესა მას შობისასა ვერ ძალ-მიე მიწოდოვად (სინ. 33,5); შემდგომად დღისა მომავლისა უჩვენებელ თეთა თვისთა მალლად, ვიდრე სართულ-აღმდე მიწოდოვად (მამ. ცხორ. 22,3); რომელი-იგი განგვეყო ჩუენ ღმერთმან სახი-მით მიწოდოვად (S-1138, 110v).

მიწოდოვას არც სათანადო მიძლეობა გააჩნია, მიწუღომა კი ამ მხრივ ფრად მდოდარია.

8. წუთოილეა / წუთოილა — წითლა წვეთება, წვეთებად ჩამოვარდნა, ჩამო-ვენა. იტყვიან სისხლზე, ცრემლზე, წვიმაზე, წყალზე... ოღონსა და ოღუნას საწყისებს პირიანი ფორმები საერთო აქეს. მაგალითები:

ქუეყანაა შუიძრა, და ცანიცა წთოდეს პირისაგან ღმრთისა სინაჲსა, წინაჲე პირსა ღმრთისა ისრაელისა (ფს. 67,9 წ; წუთოდეს ო); ღრუბელნი წთოდელ სიმა-თილესა (ეს. 45,8; მიმოდაა)კერებდელ 1); ბავენი მისნი, ვითარცა შროშანნი, წუთო-ღიან სასილსა ცხებელეთა საგბოლველთა (ქებ. 5,13); წემაი არღარა დასწუთა ქუეყ-ნასა ზედა (გამ. 9,33); სისხლი ჩემი დასწუთეს ქუეყანასა და ნერგი აღმოვდეს ადვილსა მას, სადა დასწუთეს სისხლი ჩემი (აპოკ. 12,19,20).

განსახილველი ზმნის საწყისი ჯერჯერობით დადასტურებული არაა, მაგრამ გვაქეს ამ საძიებელ საწყისზე დაკრძნობილი მიძლეობები: შწოთლევარე (სინ. 79,28), მოშწუთოილევარე (აპოკ. 12,22). უყანასკნელ მაგალითში უმარცველი უ გადარჩენი-ლია, ხოლო ზმნისწინის თაობაზე შდრ. მდინარე—მიმდინარე, მღელევარე—მომღელე-ვარე, მშულევარე—მომშულევარე...

#### პ. რა — ა სუფიქსიანი საწიხსები

ზმნათა მეორე ჯგუფს. უფრო მრავალრიცხოვანს, ვიდრე ზემოთ განხილულს (ოღონებს), საწყისის ა სუფიქსის წინ აქეს ომ ელემენტი. ასეთი წარმოების ფორმე-ბი უფრო გავრცელებულია ენაში (დგომა, სხდომა, ჯდომა, შერომა, განცხრომა, წყრომა, ხლდომა, შეტომა...).

1. ბრკომა. არის ზოგი ზნა, რომელთაც ძველ ქართულში ორივე სუფიქსი (ოლ-ა და ომ-ა) თანაბრად ეწყობა. ასეთია, მაგალითად, ბრკოლა და ბრკომა. ბრკო-ლა ზემოთ გვაქეს განხილული (გვ. 682). ბრკომის შესახებ აქ აღარ ვაეიმეორებთ იმავეს, აღენიშნავთ მხოლოდ, რომ მისი შინაარსიც ისეთივეა, რაც ბრკოლა-სთან იყო მითითებული (ცდომა, დაბრკოლება; ბორბიტი, ფეხის შეშლა, საფრთხე...) და მივიყვანთ ომ სუფიქსიან მაგალითებს:

კულომად იწყო დაეთო და ბრკომად (1 მეფ. 17,39 M); უფალო, იესენ სული ჩუენი სიკუდილისაგან, თუაღნიჩუენნი—ცრემლთაგან და ფერენიჩუენნი—ბრკომისა-გან (სინ. 281,10); ეს წინადადება აქ მოყვანილია ფსალმუნიდან, სადაც იგი ორ ადგილას გვხვდება (55,14 და 114,8). ორივეგან სხვადასხვა ხელნაწერში ბრკომა-ს ბრკოლა ენაცვლება. ჩუენ დაეიმოწმით ომინას მაგალითები: იესენ სული ჩემი სიკუ-დილისაგან, თუაღნი ჩემნი—ცრემლთაგან და ფერენი ჩემნი ბრკომისაგან (ფს. 55,14

ლ<sup>4</sup>). ამ რელაქციების B ხელნაწერში ბრკომისაგან იკითხება. მეორეგან ბრკომისაგან გვაქვს ლ<sup>4</sup> რელაქციების BE ხელნაწერებში.

2. ღვთა. ძალზე გაერყელებული ზნნა, მრავლად გვაქვს პირიანი ფორმები, საწყისები და მიმღობანი, ირთავს თითქმის ყველა ზმნისწინს. ზოგჯერ ზმნისწინიანი ფორმები სულ სხვა მნიშვნელობისაა. ასეთია, მაგალითად, მი ზმნისწინიანი მღვთოს (საწყისი) და მოუღვ. მოუღვა, რომლებიც თავისი შინაარსის გარდა (გაეყვი, გასყვი, გასყვა, გაყოლა) ნიშნავს აგრეთვე დაორსულებას.

ღვე მარტივ ფუძეზე აღმოცენებულია რიგი სხვადასხვაგვარი სახის საწყისი და მიმღობა, რომელთაგანაც ბევრმა კონკრეტული მნიშვნელობა შეიძინა და გაარსებულია: აღღვობა (ორივე გაგებით: აღვობა—встнати— და აღღვობა—воскресение—რელიგიური დღესასწაული), გამოღვობა, განღვობა, განღვობილი, განღვეილი, გარღვობა, გარე-მღვობა, წინააღმდეგი, წინააღმდეგობა, ზედა-მღვობელი, თანაღვობს, უკედვობს, საღვური და სხვ.

ენახოთ რამდენიმე მნიშვნელოვანი საწყისი და ორიოდე მიმღობაც: მოიხსენე ღვთა ჩემი წინაშე შენსა სიტყუად მათთვის კეთილისა (იერ. 18,20); რომელნი აცილობენ, ვითარმედ აღღვობა არა არსო (ლ. 20,27); ნავი დაიქცა ზღუასა შინა... და მრავლითა შრომითა ძლით უძლო ქვეყანად გამოღვობა (მ. ცხ. 219r); რომელსა უნდეს შემოღვობა ჩემდა (სწავ. 11,33); დეკანოზი ოდეს აწუქენ...წიგნის-კითხვასა გინა წარღვობასა, გინა თუ რომელსაცა სამსახურებელსა ეკლესიისასა (ი—ე, 34,12); აღღვობასა მას მკუდართასა ვისა შედთაგანისა იყოს იგი ცოლად, რამეთუ ყოველთავე ესუა იგი ცოლად (მ. 22,28); განღვობით განღვა უფლისაგან (2 ნეშტ. 28,19); განუგმარტო მახს ჩემი და შეიპყრას გარე-მღვობითა მისითა (ეზეკ. 17,20); ნუ მიხუალ შეღვობად მათა (ლ. 21,8).

მიმღობა: მღვობი (ისუ 6. 5,13 G); ზედა მღვობი (რუთ 2,5 G); ზედა-მღვობელი (ეს. 37,35; გამ. 1,11); წინაშე-მღვობელი (მოც. 23,2); მღვობარე (ხანძთ. 120,38; აბო 194,28).

3. დაღვრომა. ერთ-ერთი უძველესი ზნნაა. მისი მნიშვნელობაა: გაჩერება, დარჩენა, დაღვობა. გვარის მიხედვით ე.წ. უნიშნო ენებითა, მოქმედებითისათვის გამოიყენებოდა დაღვრინება. დაღვრომა (პირიანი ფორმები და საწყისი) დღევანდელ ენაში აღარ გვაქვს. გადმონაშთის სახით შემორჩენილია მიმღობის ფორმა დაუღვრომელი, რომელსაც ძველებური მნიშვნელობა აქვს დაცული: გაუჩერებელი, მოუსვენარი, დაუღვვარი. ამ ზნნას, ისევე როგორც მთელ ჯგუფს (განუგმობა, განტფობა, ღრეკა, ჭნობა...), ბევრი თავისებურება ახასიათებს უღვლებიას, მაგრამ ამაზე ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი და ახლა აღარ გავიშორებთ. აქ წარმოვადგენთ საწყისისა და მიმღობის მაგალითებს:

უნდა სიწმიდით დაღვრომა მათი და ღმრთის-მსახურებით ცხორება მათი (წამ. პეტრ. 716,15); რომელთათვის დაბადებულ არიან ყოველნი ასონი ჩუენნი...რომელიმე დაღვრომისათვის შობისა და დამტკიცებისათვის ნათესავობისა (უსქ. რედ. 221,15); უკეთუ დაღვრომითა დაძიდეს გული შენი (ეზეკ. 22,14 ს; დაღვრომითა J); ცოდვილისა კაცისა თანა შევიდა დაღვრომად (ლ. 19,7); შევიდა დაღვრომად მათ თანა (ლ. 24,29 D; ღვრომად E).

მიმღობა: დაღვრომელი (მოდრ. 10v,7; ასოკრ. 66,9); დაუღვრომელი (ეპისტ. იაკ. 1,8; შუშ. 16,17; ფს. 123,5).

4. ელღობა, ხლღობა. მეორე პირველისაგან უნდა იყოს წარმომდგარი: ელღო-



მა → ხელდომა → ხლდომა. ამათი საერთო შინაარსია: სელა, რებენა; ხტომა, ხტყრა. კენტრუმი, შექერა, შეთამაშება.

თითი ვლდომა ვალ (მივალ, წარვალ...) ფუძეს უნდა ეყრდნობოდეს. ამიტომაც, რომ ჩამოთვლილ ძირითად მნიშვნელობებს საერთო ხაზად სთარული, სხვადასხვაგვარი სელა აერთიანებს.

ვლდომა-მ ხლდომა მოვეცა. აქ ვ-ს წინ ხ არის განვითარებული. თანხმოვნების თანმიჯნობის (ხლდ) შედეგად ვ დაიკარგა და მივიღეთ ხლდომა, რომელიც ძველ ქართულში გავრცელებული სახეობაა. მაგრამ ფონეტიკური პროცესები აქ არ შეჩერებულია: ხლდომა-ში შემდეგ ლ დაიკარგა და დარჩა ხდომა, შემდეგ ყრუ ხ-ს გაეღწინეთ მელური დ დაყრუვდა და მივიღეთ დღევანდელი ხტომა<sup>300</sup>. ხ-ს რ-ს წინ განვითარების მაგალითი მოიპაეს ლ. კიქნაქეს აქვე დასახელებულ პირველ წერილში (გვ. 126-127). ეს არის ძველი რჩომა-დან მიღებული ახალი ხრჩომა. შდრ. ძვ. ქართულის: ესე შევიდა აბანოს ბანად და მოიჩაო სულისაგან ბოროტისა (აპოკრ. 83,3); ბრძანა მოჩაობით მოკლვა ნეტარისაი მის (ურთ. 68,17); დაითბინა ჩამოჩაობისა მიერი სიკუდილი (მ. ცხ. 300r); განვიდოდე ჩამოჩაობად თავისა (მ. ცხ. 397v). შდრ. აგრეთვე ძველი ქართულის გუაღე, რომელიც იმავე ვალ-ს ეყრდნობა და სხვ. ეს დაშვებები საესებით გასაზიარებელი ჩანს, ამიტომ ვლდომა-ისა და ხლდომა-ის მსგავსაობებს ერთად განვიხილავთ.

შეილი ჩემი შემასმენს, მუჯკლსა შინა ჩემსა ხლდების (მრავ. 259,23); კითარ-ცა ობოლსა ზელა-მახლდებით (იობ 6,27 პარიზ.); არიან ვიეთნიმე, რომელნი უძკტეს განხილულთაისა განხლდებთან (ექუსთ. 69,5); ოდესმე როკენ და ოდესმე ხლდებორ (მამ. ცხორ. 304,1); მიდგომილთა უსრულნი ყრმანი შვნენ: სამ თთვისანი და ოთხ თთვისანი, და ცხოვნდენ და ვლდებოდიან (3 ეზრა 4,21 ს). ოშკის ხელნაწერშია ხაუ-ბოდიან. აქედანაც კარგად ჩანს, რომ ვლდომა, ხლდომა, ხლდომა შინაარსით ერთია, მხოლოდ ფორმებია სხვადასხვაგვარი — უფრო ძველი და უფრო ახალი; ხოლო ვლდო-მით იტყობა, რამეთუ თვისსა დედასა კრთომისა მისგან აუწყებდა (სინ. 29,10); არიდილთა ზელა გარდაახლდებოდიან მრავალგზის (HI-2251, 231r).

ზნისწინიან ფორმებს II სერიის შწკრებებიც აქვთ: იხილა ლომი იგი დიდი და საშინელი. შიშან შეიყრა, აღხლდა და მოძღუარსა თვისსა შეუერდა (მამ. ცხორ. 69, 16); გამიხლდა ლეკუთა მიმართ (ეზეკ. 19,3 ს; განვლდა ო).

განსახილველი ზნის მესამე სუბიექტური პირის ფორმებს II სერიაში, უკრაო წყვეტლებში, კიდევ ერთი თავისებურება ახასიათებს: ფუძის ბოლოს, სუბიექტური პირის ნიშნების წინ, უმატებს ნ ელემენტს: აღხლდნა, გამოხლდნა, შეხლდნა, მან-ლდნა... სურათი რომ ნათელი იყოს, მივიყვანთ მაგალითებს მცირე კონტექსტით: პრქუა მას: ...აღდღე ფერქუთა შენთა მარაიღ. და აღხლდნა და იწყო სლვად (მოც. I-4, 10 ს; ახლდა GHI; ს რედაქციაში სულ სხვა ზნა: აღემართა); გამოხლდნა ეშმაკი იგი მისგან (მ. ცხ. 199r); გამოკრთა ხვთქი და მახლდნა ავასაკსა მას ზელა (მ. ცხ. 377r); კითარ-იგი არა ხილოი მიჯრქადა ოისეები სიტყუათა მათი დედოფლისა თვისისაისა, და აიძულებდა ყამად-ყამადად, კითარცა ასლიტი ბირენეული, /დედოფალი/ მიხლდ-

<sup>300</sup> ეს საკითხები განხილული აქვთ ე. თოფურაის (ფონეტიკური დაცვრებანი ქართულურ ენებში. I. ბეგრით მიუღწეია თანმიმდევრობა: მიმომხილველი, I, 1926, გვ. 210) და ლ. კიქნაქეს (ხ ბეგრის განვითარების შესახებუები ქართულში: თუშ, 24, 1942, გვ. 125-126; ძირული და ნასახე-ლარი ზნები ქართულში: თუშ, 28, 1946, გვ. 176).

ნა მას ზედა ურცხვოდ (საქ. წ. II, 67,2 = მიჯარა, მიუხტა); შეხლუნა აბანოდ და ლოცვა-ყო (აბოკრ. 61,36). ყველა მაგალითში III სუბიექტური პირი მხოლოდითმა. ერთ ნიშნში იგივე მასავე სუბიექტური პირი მრავლობითმა: განხლდინეს ყრმანი იგი. ტიროდეს და ეტყებდეს თავსა თვისსა (აბოკრ. 67,1).

რა არის ნ მოყვანილ მაგალითებში? არც ერთი ამ ექვსი ნიშნიდან ძველი ქართულის მტკიცე ნორმების მიხედვით სწორია არაა; უნდა იყოს: აღხლდა. შეიძლება მოხმობილ იქნეს სხვადასხვა მოსაზრება და საბუთები ამ მოვლენის ასახსნელად. მაგრამ ფაქტია, რომ განხლდა, შეხლდა და მისთანანი შეუღობის ნიადაგზეა აქა-იქ შემოჭრილი და ძველი ქართულის არავითარ ნორმებს არ ემორჩილება.

ახლა ენაზეთ თვით საწყისის მაგალითები: ფერყთა ყრმისათა, დაბმულთა მუცელსა შინა, ვლდომა და სიმღერაი მიჰმადლა (სინ. 13,14); უწიხნიდეს შემართ ესრით. ვითარცა-იგი არნ უწესოთა ხლდომა პირუტყუთაი და წიხნაი (მამ. ცხორ. 48,1); მოხუცებულნი მირბოდეს კერთხებითა თვისთა, მკელობელნი ვლდობით /ხლდობით BCINXY/. ვითარცა ირებნი, ჭაბუქნი სრბით, ყრმანი ვლდობით (აბო 74,4); ას ღისწულაკი ჩემი ვლდობით მოიწია ზედა თავთა მათათა გარდავლდომად, ზედა ბორცუთა (იბოლ. 21,8); ხლდობით აღდგა და ვიდოდა, და შევიდა მათ თანა ტამარსა მას, და ვიდოდა და ხლდებოდა და აქებდა ღმერთსა (მოც. 3,8 Ⴕ); დან ღველომის და ვლდომად იწყოს ბასანიით (კურთხ. მოს. 182,10); იწყონ ვლდომად შენ წინაშე (1 მეფ. 10,2); რომელსა ასხენ წვენი უხეშთაჲს ფერყთა მისთა ხლდომად მით ქვეყანასა ზედა (ლევ. 11,21).

5. განეთომა, განკლომა. ამის მნიშვნელობა: გაყოფა, დაყოფა, გამოყოფა, დანაწილება. ძველ ქართულში ძალიან იშვიათად იხმარება. მოქმედებითი გვარის ფორმები ჯერ არა ჩანს. გვაქვს ინანი და ენანი ენებითის ფორმები: განიეთა სიძრაველ ერისაი მის (მოც. 23,7 Ⴕ; განივლთა Ⴕ); მეფობაი შენი განიეთეს (H-341, 745); განეთას მამაი ძისაგან და ძი მამისაგან (ლ. 12,53). სინურ ლექციონარში მკარდება ეს ადგილი, იღონდ იქ პამეტი ფორმა: განაქეთას; უკეთო ეშმაკი ეშმაკთა განასხამს, თავსა თვისსა განეთა; ვითარ მტკიცე არს შეუფებაი მისი (მ. 12,26 DE); უკეთო სახლი სახლსა განეთა, ვერ კელ-ენიფების სახლი იგი დამტკიცებად (მრ. 3,25; განიყოს C).

თვით საწყისი ჯერჯერობით არა ჩანს. არის მიძლეობა, მაგრამ არა ოძანი, არამედ უფრო ძველი, ოძის დართვამდე არსებული: თუ ეშმაკი ეშმაკსა განაქელის და გაეთოჯ არს თავსა ზედა თვისსა, ვერღარა შეუძლოს დადგრომად, არამედ აღსრულებულ არს (მრ. 3,26 C; განყოფილ არს DE); ყოველი შეუფებაი, გაეთოჯი თავსა ზედა მისსა, აღოჯრდის (მ. 12,25). ერთ მოგვიანო ხანის ძველში გეხვდება განუ-ღლოლველი (A-129, 121v).

6. დაჯრდომა. ფართოდ გავრცელებული ზნაა, იხმარება ყველა ზნისწინით, იშვიათად უზნისწინოდაც (ვარდა, ვრდომილ). არის როგორც ერთპირიანი (დავარდა, მოვარდა...), ისე ორპირიანი (დაქვარდა, მოქვარდა...) ფორმები. ვარდ ძირი პირიან ფორმებში ხელუხლებელია (ვარდების, ვარდებოდა, დავარდა, დავარდეს...), მაგრამ თუ ზნა სასხვისო ქვეით იხმარება, ძირისეული ა ყველგან შეკუმშულია (შევივრდები, შეუვრდა, შეუვრდის...). ა შეკუმშულია საწყისებსა და მიძლეობებშიც (დაჯრდომა, განჯრდომა, შთაჯრდომა, შევრდომა...დაჯრდომილი, განჯრდომილი, შთა-ჯრდომილი...). გვაქვს მხოლოდ ერთადერთი სახის, ომ სუფიქსიანი, საწყისი: ვრდო-მა, განჯრდომა, მივრდომა, შთაჯრდომა, შევრდომა...; ვარდნა, დავარდნა, შთაჯარდ-

ნა. შევარდნა და სხვა ამგვარი ნარიანი საწყისები ძველმა ქართულმა არ იცის.

ახლა ნიშნუშებს გავეცნოთ: რომლისა მიერ განვრდობა იქნა, მის მიერცა—  
კულად შემოსლვა (სინ. 188,8); აუწყა იოვანეს, ვითარმედ: ჯერ-არს შენდა მრავალი გამოცდილება და ექუსორიობასა შევრდობა ჭალაკსა რომელსამე (სვან. 230b); უმჯობე არს შენდა შესლვად ცხოვრებასა მკელობელისაი ანუ უველოისაი. ვიდრე არა ორთა ველთა ანუ ორთა თერეთა დგმასა და შთავრდობა ცეცხლისა საუკუნესა (მ. 18,8 C); ამბორს-უყო ხატსა მას ცხოველსა და შევრდობით მოიკიხნა იგინი (ზარზმ. 164,33); ამასვე ცხედარსა დავრდობით იდეა ასული მთავრისაი მის (იპოლ. 27,48); გარდამოვრდობასა მას მის ხატისასა დაამკუა მას ზედა სუეტებიცა იგი (კიმ. I, 145,1); უადვილეს არს ცისა და ქვეყანისა წარსლვა, ვიდრელა შვეული-საგანი ერთი მოხატული დავრდობად (ლ. 16,17); ვირჩიე მე მივრდობად სახლსა ღმრთისასა (ფს. 83,11); უმჯობეს არს შენდა, რაითა წარწყმდეს ერთი ასოთა შენგანი, და არა ყოველი გუამი შენი შთავრდობად გეკენიასა ცეცხლისასა (მ. 5,29).

განსახილველი ზმნის იღ სუფიქსიანი მიმღებობები მთლიანად ევრდნობა სათანადო საწყისს: დავრდობა→ დავრდობილი, განვრდობა→ განვრდობილი... არსად გეხვდება გავარდნილი, დავარდნილი, შევარდნილი. აქედანაც კარგად ჩანს, რომ ძველ ქართულში საწყისია დავრდობა, განვრდობა და არა დავარდნა, გავარდნა... ენახოთ მიმღებობის ნიშნუშები: ვრდობილ (ურთ. 37,7); განვრდობილ (გალატ. 5,4), გამოვრდობილ (ისტ. ქრ. II, 13,14); შევრდობილისა (საკ. წ. II, 118,14); შთავრდობილ (მოდრ. 11,5); დავრდობილი (სწავ. 294,23); გარდამოვრდობილი (სინ. 250,24).

ამ ძველი მიმღებობებიდან დღეს შემოგვრჩა მხოლოდ ორიოდე ფორმა ცოტა განსხვავებული მნიშვნელობით: დავრდობილი და ქვეშევრდობი.

7. განვრცობა გავრცელება, გაშლა, გაფართოება. ენებითის ფორმები იშვიათად იხმარება, უფრო გავრცელებულია მოქმედებითი, თუმცა საერთოდ ისიც ნაკლებად გეხვდება ენაში. ეს ზმნა ენ სუფიქსით აწარმოებს ენებითის ფორმებს. მაგალითად: ნუცა განვრცნები ბაგითა შენითა (იგავ. 24,28). აქ ეს ზმნა გადატანითი მნიშვნელობით არის ნახმარი: ნუ მიედ-მოედები, ტყუილს ნუ ამბობო; განდიდნა და განვრცნა ერთი იგი ღმრთისაი ისრაელი (ევსტ. 149,16); კაცსა რაყამს ესმის საქმს რაიმე სიხარულისაი, განვრცნინან განსავალნი გუამისანი განცხრობისაგან და სიხარულისა (უძვ. რედ. 165,12); იყოს ნათესავი შენი ვითარცა ქვამი და განვრცნეს ზღუადმდე და ჩრდილოდ და ბღურად და აღმოსავალად (დაბ. 28,14).

საწყისი მეტად იშვიათია: არასადა თავს-იდეას წიაღკერძო აფრიკეთისა განვრცობა (დ. სჯ. კან. 363,17); განვრცობისათვის სიყვარულისა ითქუმის (A-689, 99r,25). აქვე ვაჩვენებთ მიმღებობასაც: გული ჩუენი გავრცობილ არს (2 კორ. 6,11).

8. განზრქობა გასუქება, გასქელება, დამსხვილება. გადატანით: გაქვაება, გახეება (ლ. ბარამიძე). დღევანდელი სქელი ძველ ქართულში გვაქვს ზრქელის სახით. პირიან ფორმებში ელ სუფიქსი აღარ მოიპოვება: განზრქნა, განზრქნეს, შდრ. ახალი ქართულის სქელი, მაგრამ: მოსქო (ა. შანიძე). უღლებისა ზოგჯერ ენებითის ენ სუფიქსისეული ნ-ც უჩნარდება: განზრქნა→ განზრქა. ენაში იშვიათად ხმარებული ზმნა.

პირიანი ფორმები: განზრქნა გული ერისაი ამის, და ყურითა მიძიდეს იმინეს, და თუაღნი მათნი დაიწუნეს (მ. 13,15 C; განზრქა DE); მახვლი უფლისაი განძლა სისხლითა და განზრქნა (განზრქა M) ცუელთაგან და სისხლითა ვაცთაითა და კრავ-

თადია (ეს. 34,6); ვითარცა-იგი მრავალ-გზის განზრქნის რაი ჰაერი (ექუსთ. 31,27); იხილეთ, ნუკუეუ განზრქეს გული თქვენნი შუებითა, და სიხრული გეუფულოს (წარტყ. 57,17).

მხოლოდ ორი საწყისია ჩვენს ხელთ: შენ განპოხებისაგან და განზრქომისა კორცთა შენთასა არა დასცხრები (A-129, 166r,10); ხოლო განზრქომა, ანუ იგივე არს, აჰმარტაენება, ანუ მახლობელ მისა, თქუმულისა მისებრ მოციქულისა მიერ (Jer. 9, 70v). უკანასკნელ მაგალითში, როგორც კონტექსტიდან ჩანს, მას სხვა მნიშვნელობა აქვს.

მიძლეობა წესის მიხედვითა ნაწარმოები: განზრქომილი (სინ. 174,14; უდაბ. 154rb; დ. სჯ. კან. 295,23).

9. თქომა სირბილი, რბენა; მივარდნა (აეი განზრახვით); თავდასხმა, დაჭრა. იშვიათად იხმარება, სხვადასხვაგვარი ფორმებითაც ღარიბია. არც მნიშვნელობა მთლად დაზუსტებული. ყოველივე ამის გამო უფრო საინტერესოა და საჭირო სათანადო მასალების გამოწვლილვით ძიება. ენახოთ ნიმუშები:

ცხენნი ...თქრებოდეს ძალითა მისითა (Sin. 11, 333r); შეეშინა ტობიას, ღალად-ყო ეპითა მალლითა: შემთქრა (ტობ. ვ.3 ლ); ვითარცა იხილა წმიდამან, ვითარმედ შესთქრა მძლავრი იგი, მოთმინე იქმნა წმიდაი იგი ფრიალ (ეც. VII, 246, 37); ერთი იგი მოწაფჳ წინა წაბთქრა უადრეს პეტრესა და მიიწია პირველ სამარესა მას (ი. 20,4 C; წინა რბიოლა DE); განუტევენეს მის ზედა ორნი იგი ლომნი. მყის შესთქრეს მას ორკერძოთვე თითოეული და შებმა-უყვეს წმიდასა მას ყელსა მისსა და მოაშთვეს იგი (აღწ. 182,9); მუნ ვამცნებ ვეშაასა და შესთქრეს მათ (ამოს 9,3).

საწყისის ნიმუში ჯერჯერობით არა გვაქვს, აღნიშნულ პირიან ფორმებს საწყისად უწერენ თქომა, შეთქომა, წართქომა-ს და სწორიც უნდა იყოს. რაც შეეხება მიძლეობას, გვაქვს ერთი მ — ე კონფიქსით ნაწარმოები ფორმა, რომელიც ზმნის ძირს ეყრდნობა: მთქამ (H-341, 544).

10. კრომა. გაერთელებული ზმნა ძველ ქართულში, იხმარება უზმნისწინოდაც (კრომა) და აღ, აღმო, გამო, გან და შე ზმნისწინებითაც. თითოეულ მათგანს ერთმანეთისაგან განსხვავებული მნიშვნელობა აქვს. უზმნისწინო კრომა შინაარსით არის: შეძერა, შეტოკება, შეხტომა, შეთამაშება. შემდგომ სხვადასხვა ზმნისწინის დართვით არის: ამოსვლა, გამოსვლა (სულის ამოხდობა); გაკვირვება, გაოცება; შეშინება, შეკრომა, დაფეთება; გახელება, გაგიყება, ჭკუაზე შემლა, გასულელება და სხვ. დღევანდელ ქართულში აქედან ცოტალა დარჩა—ჩვეულებრივ: შეკრომა, შეშინება. ხან: გაოცება, გაკვირვება. ხშირად იხმარება საწყისებიც და მიძლეობებიც. ამათში ომ სუფიქსი ყველგან თავის ადგილზეა:

იყო მათ ზედა განკრომა (2 ნეშტ. 14,14); ვერ დაითმინა ელისაბეტ შეილისა თვისისა კრომამ (სინ. 19,12); ხოლო ვლდომით იტყოდა, რამეთუ თვისსა დედასა კრომისა მისგან აუწყებდა (სინ. 29,10. ვლდომა და კრომა არსებითად სინონიმებია); განკრომით განჰკროთენ (ეზუკ. 26,16 ლ); ისმინე, რადთა შეკრომითა მით გუერდისადთა იელტოდის (სინ. 128,20); განკრომათა შეუპყრიე მე (ისტ. ქრ. II, 113,33); განგდრიკოს შენ დღესა მას განკრომისასა (ზირ. 11,36).

მიძლეობა: განკრომილი (ოსე 13,8; მრ. 3,21); განსაკრომელიმცა (ლიტ. ქრ. 27,19); მკრომაღლეთა (უძე. რედ. 225,5).

11. რგომა სარგებლობა, სარგებლის მიღება. იხმარება ენიანი ვნებითის ფორმით. მოქმედებითი ებ თემის ნიშნით იწარმოება და მისი საწყისია რგება. ენახოთ

ენებითის პირიანი ფორმები: მშუდობაი ჩემი არას მერგების ყოველთა კაცთა თანა (სწავ. 103,6); არაინ იყოს მწყალობელ მათდა, რამეთუ არაინ ერგებოდის და ვერცა ვინ შეეწუოდის ჟამსა მას (სწავ. 93,29); ასა ესერა არა გერგო მუნ ეკლესიაჲ შენი (შუშ. 8,21); რაჟამს-იგი სიმრაველსა საფასეთაი არა გერგოს და ვერცა გიჟსნას საუკუნოჲსა მისგან ცეცხლისა (4 ძეგ. 110,5).

საწყისები: უკუეთუ ვისმე არ უნდეს რგობის, არა ბრალეულ არს მზე (ბალ. 46,20); რამეთუ ეზბარა მკუდართა მწუნარებითა და სიხარულითა და ულონობითა და ვერ რგობითა თავსა თვისსა (ბალ. 57,8); ვერას შემძლებელ იყენენ შეწვენად და რგობად მისა (Sin. 36, 65a).

12. განრომა გადაჩენა, თავის დაღწევა, ხსნა. ენაინი ენებითის ფორმით იხმარება. მოქმედებითს თავისი საწყისი აქვს (განრინება). ორივე გვარის ფორმები ხშირად გამოიყენება.

შურდა განრომაჲ იგი ყრმათაი ველთაგან მისთა (ტირიჭ. 187,40); ჯერ-არს განრომაჲ საფრკეთა მტერისათა (სწავ. 74,17); აცადე, თუ რაჟამს ყოველთა დღეთა მოვიწყლოდით და არა ვიკურნებოდით, ვითარ-მე გესვიდეთ განრომასა (სწავ. 76, 4); ჟამი სიკუდილისა უეჭუელად მომავალ არს და ღონე არა არს განრომად მისგან (სწავ. 97,31); შემძლებელ ვართ ჩუენ განრომად მისგან (Jer. 1, 118r).

მიძლეობა: განრომილი (ისუ ნ. 8,22 G; საკ. წ. II, 31,6); განსარომელი (სწავ. 144,7); გასარომელი (ი—ე, 20,24).

13. დარჩომა დარჩენა. ფორმა მეორეულია, მომდინარეობს დაშომა-საგან. ძირია შედ. შეკუმშვის შემდეგ იქნება შდ, დ-ს დაყრუებით და თ-დ ქცევით—შთ. ძველ ქართულში პირველადი, ღონიანი, ფორმებიც არის (დაშდომა, დაშდა...), მაგრამ უფრო გავრცელებულია შთ კომპლექსის შემცველი ნიშნუშები: დაშთომა, დაშთა, დაშთომილი, ხოლო რჩ კომპლექსის მქონე ფორმები, დღევანდელ ენაში ერთადერთ ნორმად რომ არის ქცეული, იქ იშვიათია (დარჩა, დარჩომა, დარჩომილი). თვით დარჩომაში ჩ ძველი შთ-საგან არის მიღებული: შდრ. ათშვდმეტო—ჩვიდმეტო, ხოლო რ მერმე უნდა იყოს განვითარებული.

ძველი შთ ძირისაგან ახალ ქართულში შემონახულია ნაშთი და ნეშტი—დარჩენილი, რაც დარჩა (გარკვეული პროცესის შემდეგ). გვაქვს ერთპირიანი და ორპირიანი ფორმები, შემონახულია ძველებური საწყისიც და მიძლეობებიც.

პირიანი ფორმები: განიყვანეს გარე ქალაქისაგან და დაკრიბეს ქვაი, ვიდრემდის სული ოდენ დარჩა მას შინა, და დაუტევეს (ცხ. ეფრ. 93,28); ძმას ვისმე დაძრჩა სამკვდრებელი (მ. ცხ. 297r); დაძფხურეს ყოველი იგი ძირითურთ, გარნა ხოლო თავნი დაურჩეს (ს. მეს. 42,2); რაჟამს განიყენის მადლი ღმრთისაი კაცთაგან, მაშინ მარტოი დარჩის იგი (Опис. 40,36); მისგან რომელი დარჩეს განთიადმდე, ცეცხლითა დაწეთ (გამ. 12,10 ლატ.; დაშთეს O). საწყისი იშვიათია: რაჟამს-იგი ითხოვოს მსაჯულმან მან კაცთაგან პასუხის მიცემა საქმეთა მათთვის კეთილთა და ბოროტთა, წმიდათა მარხვაი და ლოცვაი...განშორებულთა—უცხოებაი მათი ... და ნაკლულეივანებაი, დარჩომაჲ მათი უდაბნოსა გარე (სწავ. 126,3).

მიძლეობა: დარჩომილი (მრავ. 301,24); დასარჩომელი (მ. ცხ. 126r).

იხ. ქვევით ამ საწყისის პირველადი სახეობა: დაშდომა, დაშთომა.

14. განსთქდომა გასკდომა. მეორე პირველისაგან კანონზომიერად არის მი-

ლებული. თვით განსთქვამა მომდინარეობს გახეთქს გარდამავალი ფორმისგან<sup>400</sup>.

ძველ ქართულში საკმაოდ მოიპოვება პირიანი ფორმები, სათანადო საწყისი და მიმღეობა კი არ ჩანს. ენახოთ ორიოდ ნიმუში: შეაყენეს თევზთა სიმრავლქ დიდი, და განსთქვებოდეს ბადენი მათნი (ლ. 5,6); განსთქა ქუეყანაი ფერკთა ქუეშე მათსა (რიცხ. 16,31 pb; განიხო G); ამას დღეს ვემაი განსქა (სევან. 337a); აქ უკვე თ დაკარგულია. ესა სწირედ დღევანდელი გასკა-ს უშუალო წინაპარი; განსთქლიან ადგილნი მრავალნი (3 ეზრა 3,6 წ.).

15. სხდომა. მეტად გავრცელებული ზმნა ძველსა და ახალ ქართულში. დღეს მისი საწყისი (სხდომა) გაფართოებული მნიშვნელობით იხმარება. სხვების გარდა, იგი აღნიშნავს რაიმე ორგანიზაციის წევრთა თათბირს.

სხდომა რიცხვში მონაცვლე ზმნაა. იგი მხოლოდ მრავლობითში დასმული სახელების მიმართ ითქმის: ზის ერთი კაცი, სხედან ორნი, სამნი, ათნი; ჯდა კაცი, სხდეს კაცი. მრავლობითის ერთ ფორმას (სხედან, სხდეს...) მხოლოდობითში ორი შესატყვისი აქვს: ზის (აწმყოში) და ჯდა (წარსული დროის გამომხატველი მწკრივები). სხდომა იხმარება უზმნისწინოდ და ზმნისწინებითაც (და, შე, შთა, აღ, გარდა). ამ ზმნას უძველესი დროიდან დღემდე ხელუხლებლად აქვს დაცული საწყისში ომ სუფიქსი:

უბრძანა ერსა მას დასხდომა თივასა ზედა (მ. 14,19); უბძანა მათ ინაჯით-დასხდომა ...მწუნავილსა ზედა (მრ. 6,39 C); სხდომასა მას მათსა ტაბლასა ზედა (3 მეფ. 13,20); უკუეთუ დასხდობით დასხდეთ ქუეყანასა ამას, ალგაშმნენ თქვენ და არა დაგარდვენ (იერ. 42,10);

უფრო ხშირია სხვადასხვა ტიპის მიმღეობანი. ყველას ომ სუფიქსი აქვს დაცული ხელუხლებლად: აღშსხდომნი (მსაჯ. 10,4 G); მსხდომარენი (ურპ. 328,4; იერ. 25,29); ზემსხდომარენი (მსაჯ. 5,10); დასხდომელ (მ. 23,2 C); სასხდომელები (მრ. 11,15; 2 ნემტ. 9,4); დასასხდომელი (3 მეფ. 10,5).

16. დაშდომა, დაშთომა დარჩენა. ამოსავალი ფორმა დაშდომა, რომლის ძირია შედ (შდრ. და-ვ-შედ-ი-თ). ო-ს დართვით შედ იკუმშება და შდ-ს ვლებულობთ. შემდეგ ასიმილაციით შდ- შთ. ძველ ქართულში დონიანი ფორმებიც იხმარება და თანიანიც (დაშდა/დაშთა), უფრო ხშირია შთ. თვით დაშთომა შემდეგ შეიცვალა, შთ-მ მოკვცა ჩ, შემდეგ მის წინ რ განვითარდა და მივიღეთ რჩომა, დარჩომა, რასაც ზემოთ შევეხეთ. ახალ ქართულში ამათ ნაკვლად დარჩენა გვაქვს.

დაშდომა (დაშთომა) ძველ ქართულში, ჩვეულებრივ, ერთპირიანი ზმნაა (დაშდა. დაშდეს), მაგრამ ორპირიანის გაგებითაც იხმარება. ზმნა მდიდარია უპირო ფორმებითაც, ხშირია საწყისისა და, განსაკუთრებით, მიმღეობის ნიმუშები (მოქმედებითისათვის ნორმა დაშთობა: რომელსა დაგიშდობიან ქმარნი (ტობ. გ,8).

ენახოთ საწყისები: უნდა ლმერთსა შენი ვორკითა დაშთომა (კობ. I, 23,19); რომელნი დაშდომად არიან ცხოველნი მოსლევასა მას მისსა (სინ. 154,29); ხოლო რაჟამს მიიღოს ბუნებაჟან ორთავე ამათგან ზომით ჟამსა განზოგებულსა, იქმნის იგი ძალ მისა დაშდომად შეცვალებისა წინააღმდეგომთა მიმართ (უძვ. რედ. 169,12).

ამ ფორმის ვითარებით ბრუნვას ეყრდნობა დაშთომადი (სინ. 118,6).

მიმღეობა: დაშთომელი (დაბ. 42,38); დასაშთომელად (უძვ. რედ. 144,2).

<sup>400</sup> ა. შანიძე, ნასახლარი ზმნები ქართულში: თბ. I, 1919-20, გვ. 89.

17. შურამა, შრომა შრომა; წვალემა. ხშირად და ზმნისწინით იხმარება. მაშინ მისი მნიშვნელობაა: შრომის გაწევა, გარჯა; დალა, დაქანცვა. გევხვდება მო ზმნისწინითაც: გარჯა, შეწუხება. პირველი ორი სახეობა ხშირად გამოიყენება ენაში, მესამე—შედარებით ნაკლებად. ძალიან ხშირია საწყისები და სხვადასხვა სახის მიმღობანი. ყველა მათგანს ომ სუფიქსი მოუცილებლად აქვს.

პირიან ფორმებში ძირისეული უმარცვლო უ დაცულია, საწყისებსა და მიმღობებში კი ხშირად დაკარგულია. ამის მიზეზია მისი მოხვედრა ბავისძიური ბგერების სახლოვეს. ეს უდაკარგული შრომა, შმრომელი, ნაშრომი, უშრომელი არის დღევანდელი ქართულის ერთადერთი ნორმა. შურამა ძველ ქართულში წვალემასაც აღნიშნავს: წვალემა, შეწუხების, ქანცისგამწყვეტი მოქმედების გარეშე არასოდეს ყოფილა ნამდვილი შრომა (შდრ. რუს. труд და აქედან მომდინარე: трудный, трудность). ახლა საწყისები ენახოთ:

შრომა... შეამთხვა (სინ. 4,21; 21,34); იხილა... შრომა ჩუენი და ჭირვეულობა ჩუენი (2 შგ. 26,7); თვის სასყიდელი მოიღის თვისსაგერ შრომისა (1 კორ. 3,8); ვითარცა დაშურის, დაიყენის ფრთენი და თვსავე შეიკრიბნის დაშურამისაგან (სახ. 236,28); მოვილოთ სასყიდელი შრომისა (რიფს. 169,28); შიშლით გამოიცილა, შრომითა და გულისკლებითა და ურვითა (სინ. 50,35); კიდიოგან ქუეყანისათ შენდამი ღალად-ვყავ ვიდრე დაშურამადმდე გულისა ჩემისა (ფს. 60,3); სირცხვლმან განკაფნა შრომანი მამათა ჩუენთანი (იერ. 3,24); შრომათა მათ გამო დაუსივდეს ფერენი მისნი (შუშ. 15,3).

მიმღობა: შმრომელი (1 თესალ. 5,12; სწავ. 235,5); თანა-შმრომელ (4 ძგ. 222,15); შრომილსა (ი. 4,38 DE); ნაშრომი (ფს. 77,46; ლევ. 25,22); საშრომელი (სინ. 214,27); დასაშრომელი (აპოკრ. 14,25); უშრომელად (სინ. 28,13; სწავ. 6,26).

18. ცომა, შეცომა შეცლომა (შეცლა), მოტყუება (მოტყუედა), აცდენა (ასცდა), ასხლეტა; მთავარი გზიდან (მიზნიდან...) გადახვევა, აცდენა; დაბნევა. პირიანი ფორმები უნიშნო ვენებითს ქარგით იხმარება (მოქმედებითისათვის ცთუნება გვაქვს). ვ.თოფურისა აზრით, ოდინდელი ძირია ცელ, რომელიც შეკუმშვის შემდეგ ცდ-ს გვაძლევდა, ხოლო აქედან ასიმილაციით ცთ მივიღეთ<sup>41</sup>. ძველ ქართულში (ვენებითში) ყველგან გამოუკლებლად ცთ არის დამკვიდრებული (შეცომა, შესცოთა, შეცთომილი, უცთომელი). დღევანდელ მეტყველებაში ძველებური ცთ ისმის, მაგრამ წერაში ცდ ითვლება ნორმად (შეცლომა, შეცლა...). ეს ცდ კომპლექსიანი ფორმა არც ისტორიულად არის გამართლებული და არც დღევანდელი წარმოთქმის თვალსაზრისით. ამიტომ სჯობდა, ისევ ის ძველი შეცომა ყოფილიყო ნორმა...

ჩუენი ზმნა უზმნისწინოდაც არაიშვიათად იხმარება (ვსცეთ, სცოთ, სცოთეს...), მაგრამ ყველაზე ხშირად იგი მაინც შე ზმნისწინით გამოიყენება (შესცოების, შესცოთა, შესცოთეს...), ძალზე იშვიათად გან, მი და მო ზმნისწინებითაც შევხვდებით (განცომა, მიცომა, მოცომა). ძველ ქართულში საკმაოდ ხშირად იხმარება ამ ზმნის საწყისიც (ცომა, შეცომა...) და სათანადო მიმღობებიც (შეცთომილი, საცთომელი, უცთომელი). ახლა საწყისებს გავეცნოთ:

რათამცა ცთომა იგი ... განწმიდა (სინ. 60,6); მოკლის შეცთომა იგი (ს. გაბ. 93,32); ცთომასა ჩუენსა სხუთა ვჰმიზეზობდით და ვაბრალობდით (სწავ. 161,

<sup>41</sup> ვ.თოფურია. ფონეტიკური დაკრძებანი ქართველურ ენებში. II. ბერით მოვლენათა თანამიმდევრობა: ტუშ. 10, 1930. გვ. 304.

26); რაითა იქსნიდენ ცთობისაგან (საკ. წ. II, 79,20); ვერა... ცთობით სცთაა შესაწუნებელია მისგან (ისუ 6. 32,20); ვერეც რუბენს შეცოდებათა მისთათვს შეეზობხვა ვანბნევაი და განყოფაი გონებათა მისთაი შეცთობითა მის გულის-თქუ-მისათა (თუალო. 22,16).

სათანადო მიძლეობები ამ საწყისს ეყარება, ამიტომ მათაც ომ სუფიქსი აქვთ: ცთობილ (იგავ. 5,6; სინ. 227,27); შეცთობილ (იობ 19,4); მიცთობილი (სწავ. 233, 8); მოცთობილი (A-129,235v); საცთობელ (ფს. 34,6); შეუცთობელი (კომ. I, 6,34).

19. განცხრომა. ცხრომა ფუძეს სხვადასხვა ზმნისწინის დართვისას განსხვავებული მნიშვნელობა აქვს. როცა მას აღ ზმნისწინი ერთვის, მისწრაფებას, სწრაფვას აღნიშნავს; გან ზმნისწინით მისი შინაარსია: შვება, ღებნა, ნეტარება, გართობა, ნებიერობა; შეხტობა, შეთამაშება; გახარება, მხიარულება, დატკობა; და ზმნისწინით: დაწყნარება, მოსვენება, დამშვიდება, დადუბება, გაჩერება, შეწყვეტა; შე ზმნისწინით: შვება, ღებნა, გართობა, ქეიფი; მო ზმნისწინით: დაცინვა, გაქირდვა. ფორმა ყველგან უნიშნო ვნებითისაა. მოქმედებითი გვარის ზმნათათვის საწყისია განცხრომა, დაცხრომა... პირიანი ფორმები (ისევე როგორც საწყისები და მიძლეობანი) უზმნისწინოდ არ იხმარება. ზმნისწინთაგან ყველაზე ხშირად გვხვდება გან და და, შემდეგ შე და მო. აღ ზმნისწინიანი ფორმები იშვიათია. ახალ ქართულში აქედან შემოგვრჩა განცხრომა და დაცხრომა დაახლოებით იმავე მნიშვნელობით.

გავცნოთ საწყისებს: ვინაიცა ამიერ /სიცილისაგან/ იშვა განცხრომა; განცხრომისაგან იშვენს უშურნი სიტყუანი (მ. ცხ. 43v); ეშინოდის ჩემდა და პირისაგან სახელისა ჩემისა დაცხრომა იგი (მალაქ. 2,5); ვითარცა-იგი ტრედი მაშინ ახარებდა ნოვეს დაცხრომასა მას წყალოსა (სუან. 366b); შემდგომად განცხრომისა მათისა პრქუა წმიდასა მას ქალბან მან (ლიტ. ქრ. 315,20); ესმოდა ვმაი სიხარული-სა და განცხრომისა (ლ. 15,25); განცხრომით წარეკადაე დღმ იგი (უდაბ. 38v); დაცხრომით დასცორეს (იერ. 48,2 l); აღადგინეს შურის-გებაი მოცხრომით გული-თად (ეზეკ. 25,15 O); ვერ ველ-ენიფების დაცხრომად სულსა ჩემსა (იობ 6,7); ვმითა წყაღთა მრავალთათა საკრეულ არიან განცხრომანი ზღვისანი (ფს. 92,4); არა თუ ცუდთა განცხრომათა და ჭამადთა ნაყროვანებისა უძღებებაი შორის მათსა იპოვის (აბო 159,27).

მიძლეობანი: განმცხრომელი (სუან. 479b; ეზეკ. 3,14 R); დაცხრომილ (უდაბ. 65ra; იერ. 42,10); განსაცხრომელი (სინ. 206,13; ეს. 30,25); დაუცხრომელი (სინ. 133,16; კომ. I, 134,21).

20. ძურომა ძვრომა. ძველ ქართულში იშვიათად იხმარება. ფორმალურად ახალი ძვრომა იგივეა, რაც ძველი ძურომა. ესაა მხოლოდ, რომ ძველი უმარცვლო უს ნაცვლად დღეს ვ ვკაქეს (ძურომა → ძვრომა). რაკი ეს ზმნა ნაკლებად გვხვდება, ყველა მოაოვებულ ნიშუმს ვუწვევებთ:

რომელი ძურების (ვალს G) პირსა ზედა ქვეყანისასა (2 შჯ. 4,18 M); რომელნი ძურებიან ქვეყანასა ზედა (ლევ. 11,29); გლახაკი ვინმე იყო, სახელით ლაზარე, დავრომილ იყო წინაშე ბჭეთა მისთა და ქუე ძურებოდა (ლ. 16,20); ყური მათნი დაყრუდენ, ლომდენ მიწასა, ვითარცა გუელნი, და ძურებოდან ქვეყანასა (მიქ. 7, 17); გუელი იგი მოუძურებინ და ვერ მისწუთებინ (მამ. ცხორ. 15,17); ვპისაგან მკედართადას და გარდაცემულთაგან მშვლდთა ივლტოდა ყოველი ქვეყანაი. შეძურეს ქუაბებსა და სერტყეთა შინა დაემალნეს (იერ. 4,29).

საწყისი ძველ ქართულში ჯერ არ არის მიგნებული. მაგრამ მის უძველეს არ-



სებობაზე ღალადებენ სათანადო მიძლეობები, რომლებიც სწორედ საგულეებელ საწყისზე (ბურთა) არის დაფუძნებული: მტურთაღმართა (ლევ. 11,29 G); საძურთაღმართა (ფს. 34,6 E4). შდრ. აგრეთვე ქუეწარბძურთა (ლევ. 11,41 G); ქუეწარბძურთაღმართა (ლევ. 11,42 G); ქუეწარბძურთაღმართა (მ. 15,30).

ძველ ქართულში დაშვებული ბურთა საწყისის არსებობას მხარს უჭერს "ვეფხისტყაოსანი". აქ გვაქვს სწორედ საძიებელი საწყისიცა და მიძლეობაც: ძროძასა (1304,2) და ჩაძროძასა (98,3).

21. განძობა გაძლობა. საწყისად ღლესაც გაძლობა იხმარება, თუმცა ქველში ამის გვერდით გაძლება-ც არის შეტანილი ენებითა საწყისად. ძველ ქართულში კი მკვეთრად იყო გამოიჯნული მოქმედებითისა და ენებითის საწყისები, პირველს განძობა ჰქონდა (განძობებს—განძობება), მეორეს—განძობა (განძობებს—განძობა). საწყისთა აღრევას თვით ძველ ქართულში აქვს სათავე: იშვითად ერთი და იმავე ადგილის გადმოცემისას ენებითისათვის ერთ ხელნაწერში განძობად რომ იკითხება, მეორეში განძობად არის წარმოდგენილი.

ჩვენი ზმნა ძველ ქართულში უზმნისწინოდ არ იხმარება (შდრ. ღლესანდელი: ვერ ვძლები, გული ძლება...). მასთან ზმნისწინად მხოლოდ გან გვხვდება. ზმნის ძირია ძელ, რომელსაც ზოგჯერ ურევენ მეორე (განძობა/განძობლა) ზმნის ძირთან. მაგრამ განძობლა-ს ძირია არა ძელ, არამედ ძელუ (ამაზე აქვე, ქვემოთ).

ახლა ენახოთ სათანადო მაგალითები: ყოველივე ვეენები შესდის ზღუასა, და ზღუად იგი არა განძობის (ეკლ. 1,7); ოღეს პოვოს უამი, არა განძობოდის სისხლითა შენითა (ზირ. 12,25); დაჯდა რუთ...ჭამა და განძობა (რუთ 2,14); განძობით პურიითა და ვიქმნენით ტკბილ (იერ. 44,17); წარვედით მშველობით, განძობით და განტეფით (ეპისტ. იაკ. 2,16); ვერ განძობეს კაცი ჭამითა უორცისა მკლავისა თესისათა (ფს. 9,20).

საწყისი: /წურბელმან/ არა იცის განძობადა მსგავსად ჯოჯოხეთისა (A-92, 327); სწადინ განძობად ნაბიჭვეისა მისგან, რომელი გარდაძობარდის ტაბლისაგან მის მდიდრისადას (ლ. 16,21 C). DE-ში იკითხება მოქმედებითის საწყისი განძობად! ეს უკვე აღრევის დასაწყისია. აქედანაა ნაწარმოები განძობადი (Jer. 12, 187v).

მიძლეობა: განძობილ (ოსე 13,6 pb; შატბ. 245,40; Jer. 1, 64r), ჩვეულებრივ კი განძობარი იხმარება, ისევე როგორც განძობილ-ის ნაცვლად—უძლები.

22. წარძობა წინ წაძობლა, წინამძღვრობა, გზის ჩვენება. პირიანი ფორმება: (წინ) უძლვს, უძლოდა, წარუძლუა, წარგიძლუე, წარუძლუეს... ამით საწყისად ძველ ქართულში ზოგთ ძობლა და წარძობლა მიაჩნიათ. მაგრამ ეს არაა მართებული: ამ ზმნის ოლ სუფიქსიანი საწყისი ძველმა ქართულმა არ იცის. ეს ზმნა ხშირად უზმნისწინოდაც იხმარება (უძლვს, უძლვან, უძლოდა, უძელუ...), მაგრამ ახლავს აგრეთვე მი, მო, წარ, წარმო ზმნისწინებით. ამათგან ყველაზე ხშირია წარ. ასევე ხშირია წინა-თი შედგენილი რთული ზმნა წინა-ძობა. აქ წინა კარგად გამოხატავს ზმნის შინაარსს: ვინც უძლვის, ის ყოველთვის წინაა. წინა და ძელუ ძირი ერთმანეთს ავსებენ, ერთი მნიშვნელობა აქვთ და ამიტომაც არიან ერთად.

განსახილველი ზმნის ძირია ძელუ, რომლის ბოლო ბგერა (უძარტველი უ) ხშირად იკარგება, საწყისსა და მასზე დაფუძნებულ მიძლეობებში თითქმის ყველგან. დარჩენილი ძელ მთლიანად ემთხვევა ზემოთ განხილულ გაძლობა-ს ძირს—ძელ-ს. შეიძლება ამით გასარჩევად უწერენ წარძობა-ს ნაცვლად წარძობლა-ს, მაგრამ ასეთი არარსებული საწყისის მიწერა გაუმართლებელია.

წარძღომა-ს (წინა-ძღომა-ს...) უყო რეფერება მიძღობა წინა-ძღოში და წინა-ძღოში. მაგრამ ამთ გვერდით ძალიან ხშირა უყო გავრცელებული წინა-ძღოლი (მსაჯ. I, I M). ახლა ვნახოთ სათანადო ნიმუშები:

დაგვეტოვებთ გზა ჭეშმარიტებისა და ძღომა წმიდათა (მ. ცხ. 50v); გზასა ქრისტეს მტნებათასა წარძღომა (A-1104, 36r,2); წინა-ძღოშით სხუათა მიერ შევიდა პეულე დამსკედ (სწავ. 87, 15); რომელსა მოგუთა თაყუანის-სცეს ვარსკულავთა წინა-ძღოშითა (სინ. 203,35); კუალად დაგვეძღვრა ადგილი ჩუენი და საყოფელი წინა-ძღოშითა და მოღუაწებითა გრიგოლისითა (ი—ე, 118b,2 ქვ.).

მიძღობა: წარძღომა (მსაჯ. I, I G).

23. მიწუღომა მიწუღომა. ძირა წუედ, რაც კარგად ჩანს წყვეტილის I და II პირთა ფორმებში: მიწსწუედ, მიწსწუედ (მაგრამ: მიწსწუდა)... როცა ფუძისეული ე იკუმება. ერთად იყრის თავს წდ (ყრუ და მეღერი ), ხდება ასიმილაცია, ყრუ წ აყრუებს მეღერი დ-ს და თ-დ აქცევს. ამის შედეგად გვაქვს მიწსწუთა, მიწსწუთეს, მიწსწუთების (ვერ მიწსწუთების: მამ. ცხორ. 15,18), მიწსწუთილი. ომ სუფიქსის დართვისას ო-ს გავლენით უმარცვლო უ ამოვარდება ხოლმე და არის: მიწსწუთასა, მიწსწუთად, მიწსწუთელი.

გაკვეცნით მაგალითებს: მიწსწუთილ მიწსწუთასა მალლისასა (რიცხ. 24,16 G); კურნებასა. რომელსა მე კეკურნებ, ვერვინ მეკურნალთაგანი შემძლებელ არს, მას მიწსწუთად (ისტ. ქრ. II, 55,1); ვიხილოთ, უკუეთუ შე-ძი ვითარ-უძლონ გამოწუ-ლილით მიწსწუთად განყოფასა მას ჟამისასა (ქუესთ. 70,2); რომელმან-იგი მოსცის ძალი ცნობად და სასოვებაი მიწსწუთად მიწსწუთელთა (უძვ. რედ. 141,11).

მიძღობა: მიწსწუთილი (კურთხ. მოს. 176,4); მიწსწუთილი (2 შვ. I,13 G); მიწსწუთილი (სინ. 192,3); მიწსწუთელი (იქვე, 17,21).

24. წყრომა, გულის-განწყრომა, გულის-წყრომა რისხვა, წყრომა, გაბრა-ზება, გაჯაყრება. ცალკე უზმნისწინოდ. ძველ ქართულში ჯერ არა ჩანს, მაგრამ, რა თქმა უნდა. საგულევებელია. სხვას რომ თავი დავანებოთ, რუსთაველს აქვს არაერთ-გზის ნახმარი (წყრომა: 27,4; 1159,2; წყრომით: 1414,2). ზმნისწინთაგან ყოველ-თვის გან იხმარება: განწყურა და წარავლინა ერისთავნი მისნი (ქ. ცხ. 47,8). განწყრომა არა მარტო ცალკე გვხვდება, არამედ რთული ზმნის ზმნურ ნაწილადაც: გული-განწყურა (მ. 26,8 C); გული-არა-განწყურა (I ეზრა 4,31). რთულ ზმნაში ზმნისწინი შეიძლება არცა გექნოდეს: გული-წყურებოდა (მრ. 14,4 C).

საწყისები გაცილებით უფრო ხშირად გვხვდება, ვიდრე პირიანი ფორმები: მაშინ აღავზნათ გულის-წყრომა თქუენი ვითარცა ცეცხლი (უძვ. რედ. 109,3); არა რომელი ჰგავს წყლისათაგანი ანუ ვმელისათა აქლემისა ძვრის-მოვსენობასა და გულის-წყრომას (სინ. 180,29); ვითარცა ესმნეს სიტყუანი ესე შეფესა მას, აღივსო იგი გულის-წყრომითა დიდითა და რისხვაი გულის-წყრომისა მისისაი სასტიკებით უფროდსა აღატყდებოდა მის ზედა (კოსტ. 169,3,4); ვითარ ესმა ათთა მათ, იწყეს გულის-წყრომად იაკობისთვის და იოვანესთვის (მრ. 10,41 C).

ხლომა ნ. ვლომა.

25. ხლომა. იხმარება უზმნისწინოდაც და და, მი, მო, შე ზმნისწინებითაც. მისი ძირითადი მნიშვნელობა: შეხვდომა, შეხვედრა, შემთხვევა (შემთხვევა). და ზმნისწინით იქნება: დასწრება, მოქმედების მიმდინარეობის დროს იქ ყოფნა, თანაყოფნა: მო-სთან: მოხვედრა (მის ხელში); ხელში ჩაგვარდნა.

წყვეტილის III პირი (მხ. რ.) ორნაირად აქვს ნაწარმოები: ა) ქხულა, ხულა და

ბ) ხუდა. სწორია პირველი. მეორე მოხუდ, მოკუედ, მოვწყუედით და მსგავს ფორმათა ანალოგიით უნდა იყოს გაჩენილი. პირიანი ფორმები უფრო ხშირია, საწყისები და მიმლეობები ნაკლებად გვხვდება.

საწყისი: ეძიებნ ჟამსა მარჯუესა მარტოდ მის ზელა და იშუებნ შეხუდომასა სხესასა (უძვ. რედ. 100,3); იყო დაწყება შეხუდომისა მათისაი ნატრამ მათი (მატბ. 110,24).

მიმლეობა: დახუდომილ (H-341, 713; ისტ. ქრ. I, 230,1).

26. ვდომა. მეტად გავრცელებული და ფართოდ ხმარებული ზმნა ძველ ქართულში. იხმარება უზმნისწინოდაც და თითქმის ყველა ზმნისწინითაც. ამასთან, ეს ორგვარი ფორმები სრულიად სხვადასხვა შინაარსისაა. განვიხილოთ ცალ-ცალკე.

ა) უზმნისწინო უორამბი. ზმნის ძირი ორივე შემთხვევაში არის ვედ. მისი მნიშვნელობა: დავა, კამათი, ქიშპობა, წინააღმდეგობა, ბრძოლა, თავდასხმა, (ავი განზრახვით) მიხტომა, ჩხუბი, მტრობა. ამ მნიშვნელობით განსახილველი ზმნა ისე გავრცელებული არაა, როგორც ზმნისწინიანები, მაგრამ მას აქვს მისთვის დამახასიათებელი საწყისი (ვდომა) და მიმლეობა. ორივე შედარებით ხშირად იხმარება, უფრო ხშირად, ვიდრე სათანადო პირიანი ფორმები. აღსანიშნავია, რომ პირიანი ფორმები მხოლოდ I სერიის მწკრივებში გვხვდება და II სერიაში ჯერ არსად გამოჩენილა. ზმნისწინიანი (და სხვა მნიშვნელობის მქონე) ფორმები კი, როგორც ქვემოთ ვნახავთ, პირიქით, სწორედ I სერიაში არ არის არსებითად (რამდენიმე ასეულიდან ოთხი-ოლე გამოჩნაკლისია), ისინი, ჩვეულებრივ, II სერიაში იხმარება.

ჯედ ძირის უზმნისწინო ნიშუშება: ნუ უდლები კაცსა მას ძლიერსა (ზირ. 8,1); რასა ჰდლებით ურთიერთას (მრ. 9,16 C); უდლებიან ნავთა ვითარ უტყევან ორმეოც (სახ. 236,26); ანთომას მოხუტებული... განძლიერდა და წინა-აღმდეგა და მიუდებოდა უწინარას დღეთა ამათ (ისტ. ქრ. II, 59,4); ჰდლებოდეს ურთიერთას ჰურიანი ოგი (ი. 6, 52); ვდომით ვიდრე ვდებოდეს საშნი ოგი მეფუნი (4 მეფ. 3,28); არა ჰდლებოდის, არცა ლალადებდეს, არცა ესმეს ვის უამა მათი (მამ. ცხორ. 27,26).

საწყისები: ვდომა რამე არიან თქვენ შორის (I კორ. 1,11); სადა შური და ვდომაჲ, მუნ არს შფოთი და ყოველი ჯერკუალი საქმს (იაკ. 3,16); აწ უკუეთუ შურმან და ვდომამან ხესა ნედლსა ესრეთ უყო, შენ ღრუსა და ფატარას რავდენ უფროდს (სწავ. 71,3); გამოეძიებნ მის თანა სიტყუასა შჯულისა და წინაწარმეტყუელთასა არა თუ სარწმუნოებისათვის, არამედ ვდომისათვის (სინ. 72,5); ვდომით მვდომ ვექმენ (3 მეფ. 11,34 O); ნეტარ არს, რომელი არა იძია შურითა და ვდომით (სწავ. 243,14); მიერ დღითგან აღუდგეს ვდომად და შურობად პანტელეონს დიდად ფრიად (ისტ. ქრ. II, 56,11).

გვაქვს ორიგინალური მიმლეობა—მვდომი (ვალატ. 5,17; სინ. 175,8; ექესთ. 11,34), რომელიც იმავე მნიშვნელობისაა: მოწინააღმდეგე, მოქიშპე, მტერი, მოდავე.

ბ) ჴმნისწინიანი უორამბი. ჯედ ფუტე ჴმნისწინების დართვისას ყველგან ერთ მთავარ მნიშვნელობას (სელა, სიარული) შეიცავს მცირეოდენი ნიუანსებით. ესაა სვლის გამოხატველი ერთ-ერთი უძველესი ჴმნა. მისი სინონიმური მნიშვნელობისაა პალ/პალ/პიდ ფუტე (ვალ, წარვედ, ვიდოდე...). ამ ორი სინონიმური პარალელური ფორმიდან დღევანდელ ენაში ძველებური მნიშვნელობით ვალ/ვედ ფუტე იხმარება მხოლოდ, ჯედ კი სვანურსლა შემორჩა (ლივედ). ჯედ-ის შთამომავალი ზოგი ფორმა დღემდე შემოგვენახა რამდენიმე გაყინულ გამოთქმაში: რა მოხდა? სული ამოხდა, საქმე წახდა...

ძველ ქართულში კი ორივე ეს პარალელური ფუძე ერთმანეთის გვერდით იხმარებოდა ხშირად და ძალდაუტანებლად. თარგმნისას ერთი და იგივე ბერძნული (სომხური თუ სირიული) ფორმა ერთ ქართულ ხელნაწერში წარვიდა-თი რომ არის წარმოდგენილი, მეორეში წარჯდა იკითხება. ამის კარგი მაგალითია ოთხთავის C და DE რედაქციები, რომლებიც ხშირად იყენებენ ამ პარალელურ ფორმებს. შეიძინეულია, რომ C უფრო მეტად ვედ ფუძეს მიმართავს, DE — ვალ / ვედ-ს. მაგალითად:

DE		C
აღვიდა	მ. 8,23; მრ. 6,51	აღვდა (ავდა)
განვიდა	მრ. 5,13	გამოვდა
განსლვად	მრ. 9,25	განჯვედ
მოვიდა პილატესა	მ. 27,58	მოუვდა პილატეს
მოვიდეს მისა	მ. 4,11; მრ. 11,27	მოუვდეს მას
შთავიდეს	ი. 6,16	გარდამოვდეს

ამავე ხელნაწერებში საწინააღმდეგო ვითარებაც გვაქვს ხოლმე, მაგრამ უფრო დამახასიათებელი აქ მოყვანილი მაგალითებია.

უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ ზმნისწინიან ვედ ფუძეს, როგორც წესი, არა აქვს I სერიის ფორმები, ის მხოლოდ II სერიაში გვხვდება. ჩვენ, ყოველ შემთხვევაში, რამდენიმე ასეული მაგალითიდან მხოლოდ ოთხი შეგვხვდა ასეთი გამონაკლისი. ესენია: იხილვიდა მივლინებული იგი ანგელოზი სასწაულსა მას...და გარე-წარაქვდებოდა (ფსევდომაკ. 319,15); ყოველივე, რომელი გარდააქვდებოდის და არა ეგოს მოძღურებასა ზედა ქრისტესსა, მის თანა ღმერთი არა არს (2 იოვ. 1,9 Ⴀ : Ⴀ უფრო ახალი რედაქცია); მრავალნი კურნებანი იქმნებოდეს მათ მიერ, და ეშმაკნი განვდებოდეს და ვაებთ წარივლტოდეს მათგან (მამ. ცხორ. 256,33); ოდესმე ეტლებითა და მკედრებითა ეუცნებოდეს მას და ოდესმე ცეცხლისფერითა სახითა მოუვდებოდეს ზედა ბრძოლად მართალსა მას და წმიდასა (იქვე, 202,39). ამ მაგალითებში ჩვენთვის საინტერესო ფორმებს წინ უძღვის და მოსდევს უწყვეტლის მრავლობითის ფორმები (იქმნებოდეს, წარივლტოდეს, ეუცნებოდეს). შეიძლება ამათ გავლენას მივაწეროთ ვედ ფუძის უწყვეტლის (I სერიის) ფორმების ასეთი იშვიათზე იშვიათი მაგალითების გაჩენა.

მაგრამ ვედ ფუძის ზმნისწინიან ფორმებს კიდევ აქვს ერთი თავისებურება: პირიანი ფორმები ბევრია ენაში, თანაც თითქმის ყველა ზმნისწინით ნაწარმოები (აღვდა, მოუვდა, გარდავდა...), მაგრამ არც ერთი სათანადო საწყისი არ შეგვხვედრია (აღვდომა, მოვდომა, გარდავდომა, მოვდომა, შთავდომა...). უკანასკნელ ხანს ერთი ასეთი მაგალითი გამოავლინა ზ.სარჯველაძემ XIII საუკუნით დათარიღებულ ხელნაწერში: მოსწრაფე ვიქმნით წარვდომად ერთიერთისა (A-689, 41r).

სამეცნიერო ლიტერატურაში, ლექსიკონებში ყველა იყენებს თეორიულად აღდგენილ საწყისს: აღმოვკვედ, აღმოვკვედ, აღმოვდა — აღმოვდომა; მოუკვედ, მოუკვედ, მოუკდა — მოვდომა. ასევე ჩვეულებრივად იხმარება იქ: აღვდომა, გარდამოვდომა, მოვდომა, შთავდომა, წარვდომა... რა არის ეს, მართო თეორიულად აღდგენილი ფორმები? არა! ამას, მეორე მხრივ, აქვს მკვიდრი საფუძველი თვით ამავე ზმნის უზმნისწინო ფორმების სახით, რომელთაც, როგორც ვნახეთ, ხშირად ხმარებული საწყისები აქვთ: ვდომა, ვდომაჲ, ვდომით... ეს არის რეალური საფუძველი, რომელსაც თეორიულ მოსაზრებათა გარდა, სამართლიანად ეყრდნობა ჩვენი მეცნიერება და აღვდა, წარვდა, გარდამოვდა და მსგავს პირიან ფორმებს ასევე სამართლიანად მოუჩენს

საწყისად აღვლომა, წარვლომა, გარდამოვლომა და მსგავს შესაფერის საწყისებს. ეტყობა, ზმნისწინიანთა პირიანი ფორმები წინ უსწრებს ომ სუფიქსის საწყის-ში შესვლასა და დამკვიდრებას და ამიტომ არ შემოგვენახა სათანადო საწყისები. მეორე მხრივ, გარდავდა, წარვდა და მსგავსი ზმნისწინიანი ფორმების სიძველეს ის გარემოება გახაზავს, რომ მათ გვერდით არა ჩანს გვიან ჩამოყალიბებული I სერიის მწკრივები.

მაგრამ მერმე და მერმე განსახილველი ზმნა ნელ-ნელა იწყებს საკუთარი საწყისების წარმოებასა და ხმარებას. ამას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ უზმნისწინო ფორმები (უვლების, უვლებოდა, ვლომა, მვლომი...) ასევე ნელ-ნელა გავიდა ხმარებიდან და აღრევის საშიშროება აღარ არსებობდა. როდის დაიწყო ეს პროცესი, ძნელია თქმა. უნდა ვიფიქროთ, რომ ძველი ქართულის ბოლო საფეხურებზე ექნებოდა მას დასაწყისი, და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ახლად გამოქვეყნებული ძველი ძეგლების ფურცლებზე გამოჩნდება ზმნისწინიან ფორმათა საწყისები და მიმღეობანი. სხვათა შორის, ასეთი ფორმები გვაქვს უკვე "ვეფხისტყაოსანში": გარდახლომა (1449,2); წარხლომა (99,2); არ-წახლომა (1543,4); გარდამხლომელი (603,3), წარხლომილისა (292,1) და სხვ. ამას, ცხადია, ვერ მივაწერთ მარტო დიდი შემოქმედის პირად წამოწყებას, უნდა ვიფიქროთ, მან მისი პოეტური მიზნებისათვის უნარიანად გამოიყენა ქართულ ენაში არსებული შესაძლებლობანი. ერთ-ერთი ამგვარი იყო გარდახლომა, წარხლომა და მსგავსნი მათნი.

28. ჯდობა. ფუძემონაცვლე ზმნა, გამოიყენება მხოლოდ მხოლობითში, მრავლობითში სხვა ფუძე — სხდობა. ამასთანავე, ჯდვ ფუძე არსებითად II სერიის მწკრივებში იხმარება, იშვიათია I სერიაში (დასჯდები, დასჯდებოდი), აწმყოში მას ენაცვლება ზი ფუძე (ვ-ზი, კ-ზი, ზი-ს). საწყისისა და მიმღეობის მდიდარი ფორმები ჯდვ ფუძეს ემყარება.

საწყისი ხშირად გვხვდება ცალკეც და რთულ სიტყვებშიც: ჯდობა შენი და გამოსლვა და შესლვა შენ უწყი (4 მეფ. 19,27); დაჯდობა მარჯუენით ჩემსა და მარცხენით არა ჩემი არს მიცემად (მ. 20,23); უყუარს ზემოჯდობა პურსა ზედა და წინაჯდობა შესაკრებელთა შორის (მ. 23,6); რომელთა პნებავს ... ზემოჯდობა კრებულსა შორის და პირველ ინაკით-ჯდობა პურის-ჭამასა (მრ. 12,39); უყუარნ მათ მუნისთაობა ტადრობასა და ზემთაჯდობა შესაკრებელთა შინა (მ. 23,6 C); ნუ განიშორებ მას ნუცა სლვასა და ნუცა ჯდობასა (სწავ. 62,13); შეკრბა მისა ვრი მრავალი ვიდრე შესლვადმდე მისა და დაჯდობად ნაცსა შინა (მ. 13,2). გაცილებით უფრო მრავალფეროვანი და ბევრია სხვადასხვა სახის მიმღეობები, რომელთაგანაც ზოგს მოვიყვანთ შერჩევით: მჯდობარე (ლ. 22,69); ზედა-მჯდობი (Sin. 11, 397r; მჯდობი ძველ ქართულში კიბო-საც ერქვა: ლიმ. 138,6); ზედა-მჯდომელი (სინ. 133,37); დაჯდობილი (მრ. 11,2); ნაჯდობი (4 მეფ. 6,25); საჯდობი (მ. ცხ. 314v); საჯდომელი (ფს. 1,1); შთასაჯდომელი (იერ. 49,30); დაუჯდომელი (აბო 194,29).

#### q. იალ ელმენტიანი საწარმოები

ძველ ქართულში არის რამდენიმე ზმნა, რომელთაც ფუძის ბოლოს აქვთ იალ ელემენტი (ბრკიალი, კრჩხიალი, ტრფიალი...). ამათი თავისებურება ისაა, რომ იალ სუფიქსი მათ პირიან ფორმებში მოეპოვებათ (იკრჩხიალნა, ეტრფიალა...) და ამიტომ მას მხოლოდ საწყისის მაწარმოებლად ვერ მივიჩნევთ, როგორც ეს ითქმის

ა. სი — სი — ულ... ელემენტების შესახებ. სიმოკლისათვის ასეთ ზმნებს იაღ სუფიქსიანებს ეძახიან. ასეთებია:

1. ბრკალი. აღნიშნავს ელვარებას, ბრწყინვალეობას. ბრკალი ძველ ქართულში მეტრისმეტად იშვიათია, მხოლოდ ერთგან შეგვხვდა: ბრკალისა მახვლისა (ნაუბ 3,3 M). სხვა რელაქციაში ება-დამატებული ბრკალეობა იხმარება: არა შეეხოს ველი ნადრისა... და შევდრებისა აღმევდრება და ბრკალეობა მახვლისა და ელვაი საჭურველისა (ნაუბ 3,3 O).

გვაქვს მიძლეობა ბრკინვალე (+მბრკინვალე): მიერ აღმოგვეცნდების ჩუენ წყარო იგი სიბრძნისა ბრკინვალედ და წმიდად გამოადინებს ღმრთის მსახურებისათა მათ ნაკადულთა (სინ. 11,6). აქედანაა ნაწარმოები ბრკინვალეობა (Sin. 6, 448,25).

2. კრჩხალი კივილი, დაცო კივილი (საბა). თვით კივილი ძველ ქართულში არ შეგვხვედრია. კრჩხალი, საერთოდ, იშვიათად იხმარება. იგი რთული ზმნის სახელად ნაწილადაც არის გამოყენებული. ვერ პირიანი ფორმები ვნახოთ: თანა-ეყო რა. მეყსეულად განაკრთა დედაკაცსა მას და იკრჩხალნა უშუერად (ასურ. 208,40); ესმა, მეყსეულად იკრჩხალნა და თქუა (ქ. ცხ. 94,7); ვითარცა ესმა სიტყუა ესე ტროფიმეს, კრჩხალ-ყო ვძითა ტირილისაითა (თეკლა 112,16).

ახლა საწყისს გავეცნოთ: მესამე კრჩხალი მაგისი (Sin. 6, 189v,12). აქედანაა ნაწარმოები კრჩხალეობა (ს. მეს. 23,13; 38,20).

თანხმოვანთა თავმოყრის გამო ზოგჯერ ჩ იკარგება როგორც ზმნურ ფორმებში: მოვიდეს ივინი მისა პარეხსა მას და იკრჩხალნა მწარედ (პარხ. 324v); იკრჩხალნა ვძითა მალლითა, ვიდრემდე მშობელთაცა მისთა განუკურდა (იქვე, 327v), ასევე საწყისშიც: მესმა კრჩხალი მაგისი წელან (Sin. 6, 382,12).

3. ტრფიალი სიყვარული; მოტრფიალე, მოყვარული. არის აქედან ნაწარმოები ტრფიალეობა და პირიანი ფორმები (ვეტრფიალე, ეტრფიალე, ეტრფიალის...). აღსანიშნავია, რომ ტრფიალი მხოლოდ სახელი არის (მოყვარული, მოტრფიალე) და საწყისის გაგება არა აქვს. ამ მიზნით ტრფიალეობა იხმარება.

ვნახოთ ნიმუშები: ვეტრფიალე სიკეთესა მისსა (სიბრძ. 8,2); ეტრფიალე მას, და დავიკეეს შენ (იგავ. 4,6); გუულმან რაჟამს იხილის შიშუელი, ეტრფიალის; და თუ იხილის შემოსილი, ზედა-მოუცდის (სახ. 14,38).

პრქუა მას ივლიანოს: და ვინ არს იგი, რომლისა ტრფიალ ზარ და ვიყუარს (საკ. წ. II, 26,7); საყუარელნო, რავედენნი საუფლოსა აღგომასა ტრფიალ იქმნეს, რომელი აწ ჩუენ ვითარ აღმოგუეკითხვის მარიაბისი იგი ქრისტესს მოყუარება (სინ. 124,5); ჭამუკი იგი, განუკურვებული ტრფიალი, ჰხედაენ მსგავსსა აღძრვისა თვისისასა (უძვ. რედ. 173,20); /მეძაქი/ მოიწყობს გარე ტრფიალთა თვისთა (მ. ცხ. 344r); შენ სასყიდელსა მისცემდ ყოველთა ტრფიალთა შენთა (ეზექ. 16,33); განგემორეს... შენ ტრფიალთა შენთა (იერ. 4,30).

საწყისი: ტრფიალეობა დედათა და ტარტაროზი ქუეყანა ვერ გამაძღარ ა(რს) წყლითა (იგავ. 30,16); ტრფიალეობასა მას ცოდვისასა აღადგინებდა (მ. ცხ. 127v); მოიქცით და დაიკვენით თაენი თვისნი ტრფიალეებისაგან სოფლისა (საკ. წ. II, 139,28); მოვედ და ვგორვიდეთ ტრფიალეობითა (იგავ. 7,18 O); რომლისაცა ტრფიალეობითა და სურვილითა აღგზებულ არს გონება ჩემი (საკ. წ. II, 26,6).

4. წრდიალი სიმჭლექე. ჭლექი. წ-ს გაკლენით და ზმირად დაყრუებულია და გვაქვს წრტიალი. პირიანი ფორმები არ მოგვეპოვება. არის მხოლოდ წრდიალი

(წრტალი) და წრტალემა.

რამთა არა განეზაოს სენი იგი წრდალი გუამსა ყოველსა და დაიხსნეს სრულად (სწავ. 152,6); სენი წრტალი შუამოკლის მკურნალმან (ზირ. 10,11 O); სენითა წრდალითა მოსწყდენ (იერ. 16,4 I; წრტალითა O); სენითა წრდალითა და მახვლითა და სიყმილითა აღესრულენენ წინაწარმეტყველნი იგი (იერ. 14,15 I; წრტალითა O).

ზოგჯერ წრტალი სხვა შინაარსით იხმარება: ისრად ვიტყვით საშველთა მათ საუკუნეთა სმინელებასა და წრტალსა მას ტკივილსა მერმეთა ტანჯვათასა (Jer. 1, 151r = მძებინეარე: ზ.სარჯველაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი).

იგინი უკმობენ მშობელთა თვისთა წრტალეებითა (H-341, 637).

ამნაირი ფორმები (დე, ნუ დაერქმევა მათ საწყისის მონაცვლე ერთეულები) ახალ ქართულში გაცილებით მეტა. დღეს ისინი შინაარსით უფრო უახლოვდებიან საწყისს. მთლიანი ფორმისაგან კი თავისუფლად იწარმოება პირიანი ფორმები. აი, ზოგიერთი მათგანი: ბზრიალი, ბოდიალი (ბოდიალობს, იბოდიალა), ბრდღვიალი, ბრჭყვიალი, ბრიალი (აბრიალებს, აბრიალდა), (დ)გერიალი, ზოზიალი, თქრიალი, ტრიალი, ტორღიალი, ფრიალი, ღრიალი, ყიალი, შრიალი, ჩხრიალი, ციალი, წრიალი, ჭრიალი, ზოხიალი, ხრიალი...

#### D. ნასახელარი ზმნების საწყისები

როგორც ყველა ენაში საზოგადოდ, ისე ძველ (და ახალ) ქართულში ძალიან ხშირად ენა ზმნას სახელისაგან აწარმოებს. აღებულია სახელი ფუძე, ერთ- ან ორმარცვლიანი (იშვითად მეტანიც) და მას დართული აქვს ზმნის ჩვეულებრივი კატეგორიების გამომხატველი აფიქსები: პირის, რიცხვის, ქცევის, გვარის, მწკრივის და სხვათა ნიშნები. ერთი სიტყვით, სახელი ზმნად არის გადაქცეული. ასეა არვე-დან (ფარა) მიღებული არვეობდი, ანგაჩ-იდან (ხარბი, გაუმაძლარი)—ანგაჩრებდეს, ბასრ-იდან —განბასრა, ბასრობა, ბეერ-იდან —დაბეერება, დაიბეერენ, ბიწ-იდან—განვიბიწენ, ებან-იდან—ებნაი, ებნიდ. ევლოგია-დან—უევლოგიოს, ვან-იდან—დაივანა, დაივანეს, მიძლეობა დავენებული და ბეერი სხვა.

არის შემთხვევები, როცა ძველი ქართულის ნასახელარი ზმნა დღეს უკვე აღარ მოგვეპოვება. ასეთია, მაგალითად, ზემოთ დასახელებული არვეობდი, დაიბეერენ, განვიბიწენ, ებნიდ. აგრეთვე: გამობუტკოვდეს, განკანონება, იმოზდა, მიზღდებით, დაიძრეწებ, დამრწეწება, აღმსითობენ, აღმსითობაი, განწვსნა, განწვსებული და სხვ.

მეორე მხრივ, იქვე გვაქვს (და არა მცირე რაოდენობით) ისეთი ნასახელარი ზმნები (და საწყისები და მიძლეობებიც), რომლებიც დღესაც ხშირად იხმარება ჩვენს ენაში. მაგალითად: იავაზაკა, განახლება, განახლდეს, დაბანაკება, დაბერება, დაბერდა, დაბნელდა, დაბნელება, დაბნელებული, აბრალეხს, დაგლახაკება, განდიდება, განადიდა, დაკნინება, დაკნინა, დამდაბლება, დამდაბლდეს, დამტკიცება, განმტკიცებული, აღვასრულეხს და ბეერი სხვა.

ქვევით უფრო ვრცლად ვუჩვენებთ შესაბამის მაგალითებს. ჩვეულებრივ, დატულია შემდეგი რიგი: ჯერ სათანადო სახელი, რომელიც გამოყენებულია ზმნის ფუძის საწარმოებლად, ხოლო შემდეგ — პირიანი ფორმები (მოქმედებითი, ვნებითი, საშუალი გვარის ზმნებისა), შესაფერისი საწყისი, რომელიც უმეტეს შემთხვევაში

თვით ტექსტებში წარმოდგენილი და მიძლეობები (უფრო დამახასიათებელი).

ზოგიერთი სახელისაგან ნაწარმოები საწყისი ჯგერჯერობით დადასტურებული არაა. გვაქვს მხოლოდ მათგან მოპოვებული ზმნური ფორმები, მაგრამ იმის იმედით, რომ ახალი ტექსტების გამოქვეყნებით დღეს თუ ხვალ ასეთი საწყისები აუცილებლად გამოჩნდებიან, აგრეთვე იმის გათვალისწინებით, რომ წინამდებარე წიგნი ძველ ქართულ ზმნას ეძღვნება, ჩვენ მაინც წარმოვადგენთ ასეთ სახელებსა და მათგან ნაწარმოებ ზმნურ ფორმებს კიდევ იმით გულმოდგინებით, რომ ბევრ მათგანს სხვადასხვა სახის მიძლეობები მოეპოვება.

ზმნები დალაგებულია იმ სახელთა ანბანის რიგზე, რომელთაგანაც ზმნების ფუძეა ნაწარმოები<sup>102</sup>. მეთაურად გამოტანილია მხოლოდ ისეთი ფორმები, რა სახითაც გვხვდება პრაქტიკულად თვით საწყისები, ხოლო როცა საწყისი არ მოგვეპოვება, პირიანი ფორმების ჩვენება გათვალისწინებული.

1. აბეზარი — აბეზრობა განშორება, განდგომა, განყენება: აწ უკუე რომელსა ესტორიდი, განშორებასა შენსა ღმრთისაგან, აბეზრობასა შენსა ძმათა კრებულისაგან, ანუ განყენებასა შენსა მამისაგან სახიერისა? (სწავ. 120,22). აქ ნახსენები განშორება, განყენება და აბეზრობა სინონიმური ერთეულებია.

2. ავაზაკი — მოავაზაკება ავაზაკობა: ვაავაზაკე და განვეყვდი ცოდვასა შინა და ვერ შეძლებელ ვარ განრომად (სწავ. 205,18); წარვიდის იგი შორსა გზასა, და თუ რაი შეიძინის, ანუ მოავაზაკის, ... მართვს ყოველი იგი ნაშრომი ცოლსა თვისსა (ეზრა ზორ. დ.23).

3. აზნაური — აზნაურება. აზნაური — თავისუფალი, არა მონა; წარჩინებული, დიდებული, მთავარი: სადა სული უფლისაჲ, მუნ აზნაურებაჲ არს (2 კორ. 3,17), აზნაურებითა მით, რომლითა ქრისტემან განგუაზნაურნა, მტკიცედ სდევით (გალატ. 5,1); მისგან აზნაურებასა და მხიარულებასა განიზრაზნენ (უდაბ. 21v); აზნაურებისაგან განვევარდი ჩემისა (მ. ცხ. 176r).

4. ათი — მოათვესება მეთედის აღება თუ მიცემა (გადასახადად): ვაი თქვენდა, შვიგნობარნი და ფარისეველნი ორგულნი, რამეთუ მოითვესით პიტნაკისაჲ, ცერეცოსაჲ და ძირაკისაჲ და დაგიტყევიბენ უმჯობესი სჯულისაჲ (მ. 23,23 C). შდრ. DE: მოიღებთ ათულსა პიტნაკისა და ცერეცოსასა.

იმავე მნიშვნელობისა განათულება, რომელიც ნაწარმოებია ათუელისაგან: ათუელი განათუელი ყოვლისა ნაშრომისა თესლისა შენისა (მუშ. 14,22).

5. ამპარტავანი — ამპარტავანება: რასა-მე ანპარტავნობნ მიწაჲ იგი და ნაცარი? (ზორ. 10,9); ნუ იამპარტავნებ წინაშე პირთა მეფისათა (ივაე. 25,6 pb); ამპარტავანებასა უღმრთოთასა შეიწუვინ გლახაკი (ფს. 9,23); ამპარტავანებამან გულისა შენისამან აღგამალა შენ (აბდ. 1,3).

6. ანგაპრი (ხარბი, გაუმაძღარი) — ანგაპრება — ანგაპრობა: ნუ იანგაპრებ შენ ყოველსა შინა ფუფუნებასა (ზორ. 37,22 O); შ, რომელი ანგაპრებდეს ანგაპრობასა ბოროტსა სახელისა თვისისა (ამბაკ. 2,9); შემინდვეთ ჩუენ: არარაჲ ვის ვაენეთ, არავინ განვარისხეთ, არავის მოვანგაპრეთ (2 კორ. 7,2; არავინ მოვანგაპრეთ CD); რადითა არა მივანგაპრნეთ ჩუენ ეშპაკისაგან (2 კორ. 2,11).

7. არვე ფარა; არვეობა მწყემსეა, მოვლა: მწყემს კეთილ სამწყსოისა მის,

<sup>102</sup> უფრო ვრცლად და საფუძვლიანად ნასახელარი ზმნები გამოკლუული აქვს ა. შანდუხე: ნასახელარი ზმნები ქართულში: ტუმ. 1. 1919-20. გვ. 87-96.



რომელი გერწმუნა მწყსად და ყუვილოვანთა და წყალთა ზედა განსასუენებელთას მწყსიდი და არეობიდი (ანტიოქ. 364,2).

8. ასო —განასოება (აკუნვა, ნაწილ-ნაწილ დაჭრა): მოილო მახვლი და უყრა ცოლს თვისსა და განასაო ათორმეტად ნაწილად და მიოძღუნა იგი ყოველსა ტომსა ისრაძლისასა (მსაჯ. 19,29 G; განყო იგი ასოდ-ასოდ O).

9. ახალი —განახლება: განახლნეს კორცნი მისნი, ვითარცა საგოზლითა კედელი (იობ 33,25); საღობიანი ჩემნი განმახლდეს (ფს. 38,3); განახლდეს, ვითარცა ორბისა, სიჭაბუკ შენი (სახ. 9,1); განახლდენ ძლიერებითა (ეს. 40,31 M); შეიცვალენით განახლებითა მით გონებისა თქენისაითა (პრომ. 12,2); მრავალთა აცთუნებს განახლებითა (კიმ. I, 133,19).

10. ახოვანი (ძლიერი, მძლავრი, მამაცი; შეჭურვილი; მხედარი)—ახოვნება: მოაკლდინს ახოვანი მბრძოლთაგანი (სწავ. 279,29); სარტყელი /სახე არს/ სიძუნისა და ახოვნებისა (მ. ცხ. 34r); ვერ და(უ)თმო ახოვნებასა გონებისა მისისასა (მ. ცხ. 176v).

11. ბანაკი —დაბანაკება: წარმოვიდა მიერ აბრაჰამ და მოვიდა და დაბანაკა უდაბნოსა მას (დაბ. 12,9); სადა-იგი დაბანაკა მთასა მას სინასა (გამ. 18,5); იხილა ბანაკი ღმრთისა დაბანაკებული (დაბ.32,1); პოვნეს იგინი ზღუასა მას ზედა დაბანაკებულნი (გამ. 14,9); დაბანაკებულ იყო მზისა აღმოსავლით კერძო (თუალოთ. 30,5).

12. ბასრი —განბასრება, ბასრობა დაცინვა: დაღათუ წარმართნი გუბასრობენ საკრველებასა ამას, ამისთვის ჰურიათა—სატურ და წარმართთა—სისულელე (სინ. 41, 32); ჰბასრობდა მათ წმიდა ებისკოპოსი, ვითარცა ელია ქერუშთა მათ (სინ. 71,1); განბასრა იგი და შეჰმოსა სამოსელი სეტაკი (ლ. 23,11 C); განბასრებისათვის მოილო მან ბოროტი იგი პატყი (მამ. ცხორ. 280,5); ხოლო ჰურია იგი შეუდგა მას სიცილით და ბასრობით (სინ. 72,29).

13. ბგერა (დიდი ხმაური, შრიალი, ღერალი) —დაბგერება: დაიტყუელენ უელითა და დაბგერენ ფერვითა (ეზეკ. 6,11 I; იბგერენ O).

14. ბერი —დაბერება: მე დაკებრდი და გარდაკვედ დღეთა (ისუ 6. 23,2 GM); რომელი ჭაბუკი არა დაბერდა (სწავ. 3,31); რაემს დაბგერდე, აღგაყრნენ უელნი და სხუანი შეგარტყმიდენ და მიგიყვანებდენ, სადათ შენ არა გინდეს (ი. 21,18); მე დაბგერებულ ვარ (I მეფ. 12,2); მშობელნი ეგე დაბგერებულ არიან (კიმ. I, 139,8).

15. ბეჭელი —აღბეჭდვა —დაბეჭდვა (ბეჭდის დასმა, გამოსახვა; მონათლვა): რასა მოასწაუებს აღბეჭდვა (A-689, 135v); არიან იგინი ცხოვარ მიძლებელ აღბეჭდვისა (A-129, 150r); საფლავსა დაიდევ და დაბეჭდვა თავს-იდევ (პარიზ. მარხვ. 207v,14); დაბეჭდვად ჯუარისწერას უწოდს (A-684, 133r); აღბეჭდა მე სახელად მისა (საკ. წ. II, 33,7); რომელმანცა-იგი აღბეჭდნა ჩუენ (2 კორ. 1,22); სულმან წმიდამან აღბეჭდნეს თქუენ (სინ. 84,13); მისცეს მას საფიცი მტყიცე და დაუბეჭდონ მიიცითა მით...რამთა უშიშად მოვიდეს მისა (სწავ. 294,4); დაწერნეს სიტყუანი თვისნი, შეაბეჭდეს და დადევს სასთუნლით კერძო დარელ მეფისა (ეზრა ზორ. 3,8); შეიბეჭდა თავი თვისი (მ. ცხ. 403r); რომელმან-იგი უწყნის აღბეჭდულნი ბეჭლითა (სწავ. 236,10); ვითარცა სიტყუანი წიგნისა დაბეჭდულისანი (ეს. 29,11).

16. ბილწი —ბილწება —ბილწობა —შებილწება —დაბილწება: ნუ შეაბილწებნ უბიწოსა მას ტრედსა შენსა ... გუელი (საკ. წ. II, 39,1); კუამლი იგი ცმელისა და მის...ყოველსა ადგილსა შეაბილწებდა (სინ. 222,1); არა შეაბილწოს სულმყარამან მან მზაკუარმან სარეცილი ანდრიანესი (4 ძეგ. 231,24); შეაბილწნეს საქითა

მათითა (ფს. 105,39); ბილწობა თქუა ესავისთვის (Jer. 6, 46v); რომელმანმცა შეუძლო მას შებილწებად (მრ. 7, 15); ბილწებას იქმან და სულთა და ვორცთა თვისთა დაბილწებითა განპხრწნიან უშჯულოეებით (შატბ. 368,8).

17. ბიწი — განბიწება განშენდა: განვიბიწენ წმიდანი სახლისაგან ჩემისა (2 შჯ. 26.13 G; განწმობდე მე სახლის ჩემისაგან ყოველნი მსხუერპონი M).

18. ბნელი — დაბნელება: რომელი იქმს ყოველსა და გარდასცვალებს და გარდაქცევს განითად არდილსა სიკუდილისასა და ღღმ ღამედ დააბნელოს (ამოს 5,8); ცა დაბნელდა ღრუბლითა (3 მეფ. 18,45); ვითარცა შებნელდის, გამოვიდინ თვისთა სენათაგან (ი—ე, 37,27); რამეთუ ბნელი შენ მიერ არა დაბნელდეს (ფს. 138,12); დაუბნელდენ თუალნი მათნი, რაითა არა ჰხედვიდენ (ჰრომ. 11, 10); დაუნწარბელობა შეუდა გულსა ჩემსა და დაბნელება გონებისა (Jer. 1, 91r); მუნ არს დაბნელება მამათა და დედათა და დღესასწაული ეშმაკთა (A-129, 146v); ჩუეულ არს სიბოროტე დაბნელებად სულისა (იქვე, 118v), მიწია მწუხრი, შელა ოდენ-ბნელებულ იყო კიდესა იორდანისასა (A-1104, 78v); დაბნელებული ესე სოფელი განანათლე (კობ. I, 141,28).

19. ბოროტი — შებოროტება: ნუ განაბოროტებ მსახურსა (ზირ. 7,22); რადსთვის განაბოროტე მსხური შენი (რიცხ. 11,11 G); სამკვდრებელი შენი განაბოროტეს (ფს. 93,5); შეებოროტენ, დავმდაბლდი ფრად (ფს. 37,9); მეცს შებოროტება ვითარ შესწყდნის (სინ. 109,13); რაი არს განამბოროტებულ მისსა (A-684, 140r); მე არა ერთითა შებოროტებული, არამედ ყოვლით კერძო განხრწნილი აღმადვინე (Jer. 32,76v).

20. ბრალი (შეცოდება, დანაშაული, ბრალდება) — ბრალობა (დადანაშაულება, ბრალდება): განკითხვადმდე ნუ აბრალებ კაცსა (ზირ. 11,7); უკუეთუ შეგემთხვოს შენ საქმსა საძნაური, ნუ აბრალობ კაცთა (სწავ. 158,26); რომელი აბრალებდეს სხუათა, ჯერ-არს, რაითა არა იყოს იგი ბრალეულ (სწავ. 272,30); უკუნ სცეს, ვის-იგი უბრალა (რიცხ. 5,7 G; მისცეს, ვის-იგი სცოდა pb); არა ბრალი ბრალაა შენაწუნებისაგან? (ისუ ნ. 22,20 M); უტეობთ ბრალობასა თავთა ჩუენთასა (მ. ცხ. 49r); იწყო ბრალობად მისა (მრ. 8,32 DE; ლაღვად C); ესენი არიან მღრტუნავნი, მამრალბებლნი (იუდა 1,16); ვიგემოვნებდით ცოდვასა, ანუ თუ ვითარცა საწაადელსა, ანუ თუ ვითარცა საბრალბელსა (მ. ცხ. 154v).

21. ბრძა — დაბრძობა: სიყუარული სოფლისაი ამის დააბრძობს კაცსა, და ვერ შეძლებელ არს ხილვად შუენიერებასა (სწავ. 193,30); ქრთამი არა მოილო, რამეთუ ქრთამან დააბრძნის თუალნი მხედველთანი (გამ. 23,8); ნუცა დაბრძობებან გუგანი თუალთა ჩუენთანი (რიფს. 164,24); რომელნი არა ჰხედვიდეს, დაბრძენ (ი. 9,39); გუგბოს დაბრძობითა გონებისაითა (2 შჯ. 28,29); ეშმაკან მიიტაცნის ნათესავნი კაცთანი გულბრძობითა (შატბ. 185,21); არღა გიცნობიეს, არცა მოიკსენეთ, რამეთუ დაბრძობილნი გულნი გქონან? (მრ. 8,17); უგუნური იგი და თუალდაბრძობილნი (Jer. 12, 52v); /ნათელი/ უბრწყინევიდისე დაბრძალსა (A-684, 134v).

22. ბრუ — განბრუება გაბრუება: ნუუკუე განპბრუნია, მამო (მ. ცხ. 111r).

23. ბრძენი — ბრძნობა — განბრძნობა: ნუცა პბრძნობ უმეტეს, რაითა არა მოსდრკე (ეკლ. 7,17); ნუ უფროის ბრძნობნ უმეტესს ჯერისა მის, არამედ ბრძნობდინ სიწმიდესა (ჰრომ. 12,3); თუ იხილის უცები იგი, ასწავებნ მას და განაბრძნობნ უშურველად (სწავ. 243,34); რომელმან დაიმარხოს მხილებაი, იგი განბრძნდეს (იგავ. 16,17); რაი უყო დავიწყებასა, რომელი ტყუე ჰყოფს გონებასა ჩემსა და არა

უტევებს ბრძნობად (მ. ცხ. 26r); დაადგინა იგი უფლად სახლისა თვისისა და მთავრად ყოვლისა მონაგებისა მისისა: სწავლად მთავართა მისთა ვითარცა თავი თვისი და მოხუცებულთა მისთა განბრძნობად (ფს. 104,22 ო); რომელნი შემძლებელ არიან შენდა განბრძნობად ცხორებისათვის ქრისტე იესუსი მიერ (2 ტიმ. 3,15). არა თუმცა ყოველთა განამბრძნობელმან სულმან მიჰფინა მადლი წინაწარცნობისა (Jer. 1,100v).

24. ბრძელი (იარის ნაკვალევი)—შებრძვლება / შებრძენება (შეხორცება, შეერთება, შეწყნება): ნუ დაუტევებ, ვიდრემდის კუალად შეაბრძვლო ასოი ასოსავე შენსა (სწავ. 35,38); შეაბრძვნო ეზოები იგი ურთიერთას კარშიკებითა მით (გამ. 26,6); დაყენება ენებისა და შებრძვლება წყლულისა წუთხმდინარისა (დ. სჯ. კან. 405,26); რომელთაგან შებრძვლება უკუე მოვალს ძლით (A-109, 89r); სასოე-ბაი აქუსლა უკუე მოგებად და შებრძენებად ასოი იგი მოკუეთილად ასოთავე თვისთა (სწავ. 114,26).

25. ბუდე — დაბუდება: მფრინველთა ცისათა დაბუდეს რტოთა მისთა (ლ. 13, 19); მორჩთა მისთა ზედა დაბუდეს ყოველთა მფრინველთა ცისათა (ეზეკ. 31,6); რომელსა შინა დედალი ვერარაი შევალს და ვერცა რაი მფრინველი იბუდებს (აგ. ძეგ. I, 229,13); მუნ ჰპოო გუელი იგი დამკვდრებული და დაბუდებული (ფსევდომაკ. 285,4); საბუდარ მატლთა ქმნილ იყვნეს (ათონ. 20, 22,13a).

26. ბუნაგი — დაბუნაგება: დაბუნაგეს მათსა გარე (სწავ. 292,1).

27. გაბე — განგარეება (გაგდება, შემინება): ლომთა განგარეეს იგი (იერ. 15,17 G; ლომთა განიკრთნეს ივინი O = лъвыи разогнали его).

29. გლახატი (ლატაკი, მათხოვარი)—დაგლახაქება: უფალმან დააგლახაქოს, განამდიდრის (I მეფ. 2,7); რომელთა დააგლახაქნეს ივინი ფრად (ნეემ. 9,29); რომელთა დაოგლახაქნეს თავნი მისთვის (ისტ. ქრ. II, 22,41); დაგვლახაქნე და ვი-პარო (იგავ. 30,9); დაჰგლახაქნე (სას. 3. 242,66); შეგეფთხვოს საჭიროთაჲსა საკარ-თა მოკლებაი და მოულოდებელი დაგლახაქება (A-129, 256); მდიდარსა მას შურისა მიერ დაგლახაქებად არა მოუშუებდა (იქვე, 130v); ჟამსა მას თვისისა უღონობისა და დაგლახაქებისასა (A-162, 127r); სადა არიან დაგლახაქებულნი ღმრთისათვის (საკ. წ. II, 51,3).

30. გონჯი (კეთროვანი)—გონჯობა: არა სუა წყალი გონჯობისათვის აღ-მესებელისა...რაი ბიწი შეხუდების გონჯობისაგან აღმომავსებელისა (მ. ცხ. 226v); წარიყვანეს იგი განგონჯებულისა ვისმე თანა (მ. ცხ. 171v).

31. გრილი — განგრილება: საძილი იგი მეყსეულად განგრილდა (Sin. 11, 203r); დააგრილეს მღნართაჲსა ყოველთა ხეთა სულნელთა (ბარ. 5,8); მივიდა ხესა ქუეშე, რაითამცა დაოგრილა (H-341, 420); განგრილება იგი მკურვალეებისა და ესევეითარი სიძბიძე გამოსაცდელად მოიწევიან კაცსა ზედა (A-35, 69r); მიეცის მას კათხაი დიდი, აღვისილი ღვინითა განგრილებულითა (H-2251, 288r).

32. გრძელი — განგრძელება მოგრძელება: განაგრძელენ საბანელნი შენნი (ეს. 54,2); ღმერთმან... განგოგრძელენ მზსა შენი და დაამტკიცენ მეფობაი შენი (მამ. ცხორ. 237,2); ამას შინა სიტყუაი განგრძელების, არამედ შემოკლებულად-რე მხე-ბავს უწყებაი თქუენი (სწავ. 87,17); ვერ განგრძელდენ ღლენი მისნი (ეკლ. 8,13); არა მოჰგრძელდეს თმანი მისნი და არცა მოჰარსვაი უშმა (მამ. ცხორ. 309,33); განგრძელებითა ლოცვისათა იატაკსა დაალტობდა (აგ. ძეგ. I, 218,8); კელ-ეწიფე-ბის შემოკლებამცა კანონისა და განგრძელება (მც. სჯ. კან. 53,16); წინამაუ-

წყებელნი ოდენ არიან მისთვის მისისანი და არლარაის უმეტესისა განმაგრძობელნი (Jer. 16, 27v); მიზეზით განგრძობელულად თაყუნის-სცემელ, რომელთა მოილონ უმეტესი საშეული (მრ. 12,40 C).

33. გვანი — გვანობა: შეწყნარებულ მისა, ვითარ ღრუბელი გვანი (იგაე. 16,15 pb); სულგრძელმან მან და სახიერმან მდიდარმან მოწყალებითა და გვანმან მრისხანებითა თავს-იღვა განლიგებულთა მათ (A-129, 216v); ნუ დაჰგვანდები (მარკ.?) 248—ი.აბულ. ლექსიკ.); ნუ აგვანებ, მამო, საქმესა ჩუენსა (მამ. ცხორ. 288,34); ნუ ჰგვანო აქა (A-199, 114r); გვანობასა და გრძელისა ჟამისა გარდასლვასა წარმოაჩენსო სახელი ესე მწუხრისა (დ. სჯ. კან. 449,26); დაღაცათუ დაგვანებულ არს საქმე ესე ამის საშეულისა (Jer. 142, 106r).

ამის პარალელურად ძველ ქართულში ვეპქეს გუანი (გვიანი)—დაგუენება: მსწრაფლ ვერ-არს ქმნად თითოეულისა ანუ გუანად (Jer. 96, 14r); მოილო მონამან /ზრძანება ღმრთისაი/, აღფრინდა კრებულისაგან უსხეულოთაისა და არა დაგუენდა შორის გუნდთა (კიმ. 177,30).

34. გული — გულება — განგულება. ორივეს მრავალი მნიშვნელობა აქვს. აქ გვანტერესებს უფრო მეორე, ნასახელარი ზმნა: იგულე თავი შენი (2 შჯ. 8,11); ეგულებოდა ცემად მისა ფერკითა (კიმ. I, 149,6); ჟამსა რომელსამე განვიგულო (ვარ. 823); დაიგულეს სიმარჯუესა მათსა მრავალგან (ქ. ცხ. 30,16).

გულებაში პირთა წარმარველ ექმნების მნებელთა სიწმიდისათა (A-689, 225v); განიყარა ყოველი მოპოვნება გულებათა და სამკაულთა ზედადებისა (იქვე, 226r); მგულბელისა მიერ ყოფასა მის კელთ-დასხმისასა იძიებოდედ მიზეზი (დ. სჯ. კან. 165,12); განგულებად და ძიებად სიბრძნისა (ეკლ. 7,26).

35. დიდი — განდიდება: განადიდა უფალმან წყალობაი თვისი (ლ. I,58); განდიდებოდა სახელი უფლისა იესუსისი (მოც. 19,17); განდიდნა სოლომონ უფროის ყოველთა მეფეთა ქუეყანისათა სიმდიდრითა (3 მეფ. 10,23).

ამას ჰქოდავს გადიდება დღეთა საზამთროდ და საზაფხულოდ (A-85, 324r); შემბლებელ არს ღმერთი მცირედისაცა განდიდებად (A-1103, 192r); რადთა ძუელთა მათ განდიდებითა უფროის აღამაღლოს უდიდებულესობა ახალთა ამათ (Jer. 6,47r); ხარ... განმადიდებელ ფლობისა, ვითარცა აელვსტოს კეისართა შორის (დ. სჯ. კან. 557,20).

36. დუხჭირი (უშნო, ცული)—დადუხჭირება (დაუშნობა, წახლენა, გაფუჭება): ფრიად დადუხჭირდის ხელვაი მათი (სწავ. 139,17).

37. ებანი (ქარი) — ებნა: კეთილად ებნიდ. ფრიად სახიობდ, რადთა საკსენებელი შენი იყოს (ეს. 23,16); იქმნეს სტვენაი იგი ანუ ებნაი იგი? (1 კორ. 14,7).

38. ევლოვია (მოსაკითხი) — ევლოვობა (მოკითხვა, მოსაკითხის მიცემა): აქენდეს ორნი კერძოვირნი აღტკრთულად ზეთითა, სიმსიმიითა, თაფლითა, ლელვთა ვპელითა, რადთა უევლოვოის ძმათა მონასტრისა მისისათა (ასურ. 201,16).

39. ერთი — შეერთება: შე-ვე-ერთნეთ რიცხუსა მას მხოლოდ-შობილისა ძისა შენისასა (რიფს. 174,29); არა აქეს სიმწარე მის თანა შეერთებასა მისსა (სიბრძ. 8,16 pb); შეერთებულნი წყაროთა ეფრატისათა (ურთ. 24,1).

40. ვაკე — დავაკება: გზა განკაზმვიდიდელ და დავაკებელ (ათონ. 11, 56r); მე წარვიდე წინაშე შენსა და მთანი დავაკებე და ბჭენი იგი რვალისანი დავთქენე (ეს. 45,2); შეღმართთა კაცნი მუკლედად შეივაკებლან (A-684, 78v); ჯუარი დასწერეს ადგილსა მას და იწყეს საქმედ სენაკებისათს ქუეყანისა დავაკებად (ხანძთ. 257,2).

41. ვანი (სადგომი, სახლი, საცხოვრებელი, მონასტერი) — დაჯანება (დადგომა, დაბინავება, დასახლება): მთოვარემან რაჟამს ივანის და მზე გარე-მოდგის მას... მოასწავებელ წვმათა დიდ-დიდთა (უძვ. რედ. 82,22); დაივანა მუნვე (მსაჯ. 19,7G; დაადგრა M); სადაცა დაივანო. დაივანო (რუთ 1,16); დავანებისათვის (მსაჯ. 19,15 G); დაჯანებულ იყვნეს ლელესა მას შიდა (მსაჯ. 7,12 G; დაბანაკებულ M).

42. ვაჭარი — ვაჭრობა: ვაჭრობდით ამას, ვიდრემდე მოვიდე (ლ. 19,13); ივაჭრობდით მას შინა და მოიგებდით მას ზედა (დაბ. 34, 10); კუალად განვაჭრის რაიმე და თქვს (ასურ. 134,9); რაითა უწყოდის, რა-იგი ივაჭრეს (ლ. 19,15); ხოლო მათ უღებ-ყვეს და წარვიდეს: რომელნიმე თვსა აგარაკად, რომელნიმე ვაჭრობად (მ. 22,5 C); ინებებდეს... უკმრისა წილ საკმარსა ბოროტად მოვაჭრებითა (პეტრიწ. ტიპ. 4,10); განისწავლა მსგავსთავე შინა სანატრელი დავით... ვითარ სიმაღლისა სიმაღლისა მიერ მომვაჭრებელი (ასურ. 148,35).

43. ვახშამი — ვახშამობა: დაიყენა იგი, რაითა ივახშმოს მის თანა (Sin. 11, 111v). ძველ ქართულში ამით ნაცვლად სერი და სერობა იხმარება (იხ. ქვემოთ).

44. ზამთარი — დაზამთრება (ზამთრის გატარება); ხოლო მე წარმოვედ და მოვედ ულოპორეთა და დავიზამთრე ჭირთა შინა დიდთა (მოქც. 88,2); შემდგომად სამისა თვსა შევიდით ნავსა, რომელსა დაეზამთრა მას ჭალაკსა ალექსანდრიადისასა (მოც. 28,11); მუნ ვირჩიე დაზამთრება (ტიტ. 3,12 CD); უკუეთუძეცა ვითარ უძლეს მისლვად ფინიკედ და მუნ დაზამთრებად (Jer. 16, 197v); შოვა ოდენ ლუაწლსა მას შევიდეს და მერმე განეშოვრნეს, ვითარცა უფსკრულსა შინა დაზამთრებულნი (სინ. 117,9); უმარჯუ იყო ნავთსადგური იგი დასაზამთრებულად (Jer. 16, 197v).

45. ზოგი (ნახევარი, ნაწილი) — განზოგება (განახვერება): არამედ ღმერთმან განუზოგა გუამსა მას და ნაკლულევანსა მას უმეტესი მისცა პატივი (1 კორ. 12,24); ღამისა სახც იგი მსწრაფლ განიზოგებოდა (სიბრძ. 18,14); კაცთა მოსისხლეთა და მზაკუვართა ნუ განეზოგნენ დღენი მათნი? (ფს. 54,24); დასაბამი და დასასრული და განზოგებაჲ ჟამთაი (სიბრძ. 7,18); განზოგებასა ოდენ მის დღესასწაულისასა აღვიდა იესუ ტაძარსა მას (ი. 7,14 C); იწყეს მკად კეთილსა ყანასა, ვიდრე განზოგებამდე მის, ფრადითა გულს-მოდგინებითა (ხანძთ. 134,9); ვითარცა დღესასწაული იგი გან-ოდენ -ზოგებულ იყო. აღვიდა იესუ ტაძრად (ი. 7,14).

46. ზუავი — აღზუავება (გაამაყება, გაამაპრტავანება, გადიდვულება): ესეი-თართა ძნელოვანთა აწუევეს, ანუძეცა ამით მოაწყინა და შეარყია, ანუძეცა მეტად აღზუავა და მერმე ქუეყანად დააკუთა (მაღ. 68,9 4); ამასცა ზედა კუალად ალალ-ნების და აღზუავებების უბადრუკი იგი (მ. ცხ. 18r); არა ჯერ-არს... არცა აღზუავებაჲ კურნებათა ზედა (A-689, 290v); ვითარ ვერ განაძლო იგი ყოველსა ზედა ბუნებასა კაცთასა აღზუავებამან (A-129, 125v); ნუ დაეკუეუთები აღზუავებითა (A-109, 90v); გეხვდება ნარინი ფორმებიც: აღზუავნება (ბას. კეს. სწ. 86,29); აღზუავნებად (Jer. 12, 265r); და იყვნენ კაცნი... შინა-განმცემელ, წარმდებ, აღზუავებულ (2 ტიპ. 3,4 CD).

47. ზენი — მოზვნვა (ბევრის ერთად, ერთმანეთზე დაყრა, დახვევა): დაასხა შეშაი იგი საკურთხეველსა მას, რომელსა ქნა, და დაჩვნა მას ზედა (3 მეფ. 18,33); ცოდვილმან დაჩვნოს ცოდვაი ცოდვასა ზედა (ზირ. 3, 29); მერმე კუალად მოუტევეს მას დათუ უძლიერსი ყოველთა და უბოროტსი; და ვითარცა მოზვნდა თეკლას ზედა, აღ-თავს-იქცინა ლომმან მან ძუმან, რომელი-იგი წვა ფერეთა თანა თეკლადისთა,

შეიპყრა დათვ იგი და განხეთქა (თუკლა 115,1; მიზვნდა B); ხოლო მისვე წყალების-განთა გამოიყვანეს იგი და გარე შემოაზვნეს შეშაი (ნოვ. II, 45,17); ბრძანა უღმრთოჲმან მან და უშჯულოჲმან მძღაჲრმან გარემოის წმიღისა მის ეკლესიისა მოზვნეაი შეშისა ფრადისაი (Jer. 24, 108v); კთილი თუ დაზვნული იყოს (ზირ. 30,18); დამალა იგი შეშათა შინა სელის-ლეღწმისათა დაზვნულისა მის მიერ ერდოსა ზედა (ისუ ნ. 2.6). აქ ზ-ს ხანდახან ძ ენაცვლება: შეიკრიბნეს ყოველნი დაძვნულსა მას ზედა სივრცესა ნათასა (Sin. 11, 396r).

48. კანონი (წესი) — განკანონება (დასჯა, სასჯელის დადება): აქა ნუ დაიძინებ, თუ არა მიძიედ ვაგკანონებ (ი—ე, 94,8); კრულებითა და შეჩუენებითა საშინელითა განკანონა ვევეითარი იგი და ღმრთისაგან განაგლო (იქვე, 39,12); უკუეთუ მუროდ ქწინან-ლა, მამასა მოაყსენიან, და მან მიძიედ განკანონის (იქვე, 67,3); ვითარცა-იგი ნეტართა მათ ყოვლისა სოფლისა მოძღუართა ძლიერად დაკანონეს (მც. სჯ. კან. 88,30); ჯერ-არს უკუე ესევეითართაი მათ ფიცხლად განკანონებაი (იქვე, 57,12); ვითარ ჯერ-არს წინამძღურისა მიერ შერისხეაი გინა განკანონებაი ვიეთმე (A-689, 51r); არიან სხუანიცა წიგნნი თვნიერ ამთსა არა განკანონებულნი (დ. სჯ. კან. 471,25).

49. კაცი — განკაცება: რომელი კაცთმოყურებისათვს განკაცუნ (ზანძთ. 133,36); განკაცნა წმიღისა მარიაძისგან (ევსტ. 169,24); განკაცებასა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა მსწრაფლ გამოძიება იყო ფარისეველთა და საღუკეველთაი (ისტ. ქრ. I, 244,4); იგივე გეტყვს, რაითა ცხოველი ხატი განკაცებისა მისისაი იტვრთო (ზარზმ. 152,12); ხოლო იგი სულითა წმიღითა გამოუთარგმანებნ ყოველთა სიტყუათა და ყოველთა წიგნთაგან უფლისა განკაცებისათვს და ჯუარ-ტუმისა (სვან. 293a); გურწამს ქრისტე ღმერთი, ჩუენისა ცხორებისათვს განკაცებული (ზარზმ. 155,35).

50. კეთრი — განკეთრება (კეთრით დააუადება): ერთი სიტყუაი თქუა განკითხვისაი მარიაჲ და მისთვს განკეთრებულ იქნა იგი ვითარცა თოველი. მარიაჲ წინაწარმეტყუელი იყო და განკითხვისათვს განკეთრა (სწავ. 277, 11,12); განკეთრებული ... განწმიდე (უდაბ. 100vb); მოუდა მას ერთი განკეთრებული (მრ. 1,40).

51. კნინი — დაკნინება — შეკნინება: რაითა დიდთა ქებათა და შესხმათა მიძთხუეად ღირსი არა დაიკნინებოღის ბიწინანად მღონებელთა მიერ ბაგეთა სულისათა (ასურ. 144,12); უკუეთუ დაკნინო თაი შენი, მყოფო განსუენებაი (მ. ცხ. 50v); შეკნინდეს უღმრთონი და დაეცნეს (შატბ. 405,15); რომელმან იკადრა დაკნინებაი პატივისა მოლოდმოზიღისასა (Jer. 24, 63r); არა ვინ პკონოს დაკნინებასა ამისსა თანადაკნინებულ-ყოფად სახარებაი იგი (Jer. 9, 84r); რომელი-ესე თანად დაკნინებაი არს ძუელისა მის შჯულისაი (Jer. 6, 47v); მიძცემელმან თავისუფლებისამან მღდელთა სინანულისა ძიუენებელთა შეკნინებადცა წელთა მათ განწესებულთა (დ. სჯ. კან. 175,43); ზემთა ექწნებთან უძღურსა ამას და შეკნინებულსა (A-684, 121v).

52. ლალი (ამაყი, ამპარტკავანი, მედიდური) — აღლაღება: აღილაღე გულითა შენითა (4 მეფ. 14,10); ნუკა მდიდარნი განლაღნებთან, ნუკა გლახკნი დამდაბლებთან (სინ. 189,20); დაღად-ყო აღლაღებითა და თქუა (შატბ. 244,42); არა აღლაღებად პატივისათვს (A-199, 105r); განლაღებულ არს და მამად ღმერთსა იტყვს (სიბრძ. 2,16); განლაღებული ყოველთა ზედა (2 თესალ. 2,4).

53. მარტო — მარტოება: ნუკა მარტოებ მის თანა მიხეზითა საღმრთოთა სიტყუათა წურთისა (A-689, 155v); ესე საქენი შეენინ მონანულსა, რაითა განმარ-

ტოვდეს (მ. ცხ. 99r); უმჯობეს შენდა მუშაკობა სულიერი, ვიდრე დამკვრება შენი მარტოებით (ურთ. 63,7); ველოდე მას, რაითა ვეზრახო მარტოებით (მ. ცხ. 215v); ვერ შემძლებელ არს მარტოებით დაწყულებად (იქვე, 77r).

54. მარჯვე — განმარჯუება: უფალმან თავადმან განუმარჯვს მას (ზირ. 15, 10); განემარჯუებოდა საქმე იგი ტადრისა მის (1 ეზრა 7,3); ვითხოვლით ადგილსა და განმარჯუებასა ჩუენსა შვილთა ჩუენთათვის (იქვე, 8,51); განმარჯუებული შემოვიდა (ქ. ცხ. 54,4); ქარითა განმარჯუებულითა მიიწინეს ბიზანტიად (4 ძეგ. 234, 21); ქალწულება უკუე გამორჩეულ იქმნა, ვითარცა განმარჯუებული სიწმიდისა (A-162, 25r).

55. მდაბალი — დამდაბლება: რავდენ ივინი დამდაბლებდეს, ევოდენ ესენი უფროის განძლიერდებოდეს (გამ. 1,12); დამდაბლა უფალმან იაბინი მეფე (მსაჯ. 4,23 M); თავი თვისი დამდაბლა და ხატი მონისა მბილო (ფილიპ. 2,7); დედანი ჩუენნი სიონს შინა დამდაბლნეს (გოდ. 5,11); დავამდაბლენ ყოველნი მტერნი შენნი (1 ნეშტ. 17,10); ვიცი დამდაბლებამცა და ვიცი გარდამატებამცა (ფილიპ. 4,12); იხარებდენ ტუალნი დამდაბლებულნი (ფს. 50,10).

56. მდიდარი — განმდიდრება: ყოველსა შინა განგამდიდრენინ ყოველთა უხუებითა (2 კორ. 9,11 CD); უფალმან დააგლახაკის, განამდიდრის (1 მეფ. 2,7); განამდიდრებული იგი დავლახაკების ვორცითა ამით ჩუენითა (მრავ. 299,5); ვიხილო მხიარული და ბრწყინვალე, ვითარცა რამ მუშაკი კეთილი, სასყიდლითა განმდიდრებული (ზარზმ. 170,3).

57. მოღოვარი (წყნარი, მშვიდი) — დამღოვრება — მომღოვრება (განელება, დაწყნარება, დამშვიდება): უკეთუ განუურდეს მსაჯული, ვეცხლმან დამღოვროს (სწავ. 274,10); იგივე შემძლებელ არს მეცეთაცა დამღოვრებად (ისტ. ქრ. II, 61,7); მომღოვრებასა მისსა ჰგონებდა (Jer. 3, 24r); ვინა სოფლითა პატივთაგან მომღოვრებულ იქმნა (A-689, 19v).

58. მეგობარი — მეგობრება: ხოლო შემდგომად სიკუდილისა სათენიკისა სხუანი ვინმე მოვიდეს მეცნიერებითა ძეთა მისთათა და დაქმეობრნეს მათ (ურთ. 17,2); მადლი და მეგობრება განააზნაურებს (იგავ. 25,10); ნუ გაქენ მეგობრება მწვალებელისა თანა (ათონ. 12, 133v).

59. მეღვარი (ცული, ბოროტი, ზარმაცი, მშიშარა) — მეღვრობა: ნუ შეძრწუნდებიედ გულნი თქუენნი, და ნუცა დამეღვრდებით (ი. 14,27 C); სხვსა არაის ემნიოდის და არა მომეღვრდეს (ზირ. 31,15); არა თუ მოემეღვრდეთ (გალატ. 6,9 CD); ვკყოფ მე მათ თანა მეღვრობასა (მსაჯ. 15,3 G); რაის დამეღვრებულ ზართ (ს. გაბ. 110,19).

60. მეკობრე — მეკობრობა: მრავალნი ვაჭარნი, მეკობრენი და ავაზაკნი იფარვენ ბოროტისა საქმეთა და უდაბნოსა გარე მეკობრობენ (სწავ. 52,19); არს იგი ჰარვა და მეკობრობა (Jer. 96, 153r).

61. მთავარი — მთავრობა: შენ ყოველთა ჰმთავრობ (1 ნეშტ. 29,12); რომელი მთავრობს წყალთა მრავალთა (ნაუმ. 1,12); დავჯდეს და მთავრობდეს საყდარსა თვისსა (ზაქ. 6,13); რომელნი ჰგონებენ მთავრობად წარმართთა ზედა (მრ. 10,42 C); ესე აღწერად პირველ იყო მთავრობასა ასურეთს კერინსსა (ლ. 2,2).

მთავრობა ხშირად იხმარება კომპოზიტებში მეორე კომპონენტად: საყდარი მამათმთავრობისა შეამკო სრულიად (ხანძთ. 290,29); ყოველისა ღმერთმთავრობისა გალობად აღიყვანების (A-684, 8r).

62. მიზლი (სასყიდელი, ქირა) — მიზლება (დაქირავება, სასყიდლით აყვანა): მუშაკთა მიზლებენ. ყანათა დასწინდავენ (მ. ცხ. 79v); საველარი ემიზლა ჩემი (იქვე, 136r); მიზლანა ჯორნი (იქვე, 310v); დაგიმიზლა ქრისტიმან საქმელ ვენაჲისა თვისისა (სწავ. 12,26); ორნივე მიზლებით იქმოდეს საქმესა, რაითა იზარდებოდიან (ლიმ. 48, 13); ჯირსა სთხოვდა მტირელსა გზასა მიზლებით (H-341,199); ეითარცა მიზლებულ იქმს (მ. ცხ. 58v).

63. მანა — მონება: ცხოველნი გამომზრდელსა თვისსა ჰმონებენ (ურთ. 119,1); ჰმონებდეს მათ რვა წელ (მსაჯ. 3,8 M); უხუცესმან ჰმონოს უძრწემესსა (პრომ. 9, 12); ძმანი მისნი დავაძონენ მას (კურთხ. იაკ. 38,89); არა გმონებდეს შენ მონებასა კირთებრ /ძმა შენი/ (ლევ. 25,39); ჯერ-იყო მათა თანამონება (A-162, 199r); გამოვიყსნენ იგინი ველისაგან დამმონებელისა მათთადას (ეზეკ. 34,27).

64. ქალაქი — მოქალაქე — მოქალაქობა (ცხოვრება, მოღვაწეობა): პატიოსანო მეფეო, სათნოდ ღმრთისა ჰმოქალაქობდი (სას. 3. 29,25); სარწმუნოებითა მით საღმრთოითა მოქალაქებდა (მ. ცხ. 175v); იხილა მოქალაქობა მონაზონთაი (იქვე, 291r); იწყო ბერმან მოქალაქობად (იქვე, 376r); ცხოვრება და მოქალაქობა ღირსისა მამისა ჩუენისა შიოისი და ევაგრესი (აგ. ძეგ. 1, 217,33).

65. მოყუარე — დამოყურება (დამეგობრება, შეყვარება): მოძულეებულსა უფლისა მიერ დამოყურე (2 ნეშტ. 19,2); წარაგი მრავალი საფასე და ეზრახი შერაცხილთა და მიჰელი გზადაცა შორი, ხოლო მტერისა შენისა დამოყურებისათვის არა იღუწი (სწავ. 35,32).

66. მოყუსი — მოყუსობა (ამხანაგობა). რომლისა თანა არს სიყუარული, არა ემოყუსებინ მზაკუვარსა, არცა ვალნ ამპარტაყანთა თანა (სწავ. 235,23); რაი მოყუსება არს სიძარითლისა და უშჯულოებისა? ანუ რაი ზიარებაი არს ნათლისა და ბნელისა? (2 კორ. 6,14); განვეშორნეთ მოყუსობასა ძერის მოქმედთასა და შევეყენეთ სიყუარულსა სახიერთასა (სწავ. 150,26).

67. მოწაფე — დამოწაფება — მოწფობა (მოწაფედ გახდა): წარვედით და მოიძოწაფებით ყოველნი წარმართნი და ნათელ-სცემდით მათ (მ. 28,19); რაითა გულისხმა-ყო სიტყუათაი მათ, რომელთა დამოწაფე ჭეშმარიტებით (ლ. 1,1 C); ენებოს დამოწაფებაი კეთილად მსახურებისა სიტყუსაი (დ. სჯ. კან. 471,27); ელმწფიფებასა მისცემდა მოწაფე-ყოფად თვისსა. ანუ არა დამოწაფებად (A-689, 103r). საინტერესო ფორმა მოწფობა (A-1103; 220v; Jer. 32, 27r).

68. მრწემი (უმცროსი) — დამრწეება (დამცირება, დაპატარავება): თავსა შენსა ესავ და მეზუერესა მას დაიმრწეებ (ბოლნ. 53,13); ყუედრებამან განრყუნის კეთილი კეთილის-მყოფელთაი და დამრწემის იგი (ბალ. 132,15); ნუ ეძიებ დამრწეებასა ჩემსა ნებისათვის შენისა (ბალ. 133,14).

69. მსთუა (ადრეული) — აღმსთობა (ადრე ადგომა, ასწრაფება): ღმერთო ჩემო, შენდამი აღვიმსთობ (ფს. 62,2); აღვიმსთობ ვენაყებად (ქებ. 7,11 O; ვიძსთობ ვენაყათა შინა M); ცუდად არს თქუენი ეგე აღმსთობაი (ფს. 126,2 5); განვაღვძო ... მკედრთა ზედა ქალდეველთასა გული აღმსთობელთაი (იერ. 51,1); რამეთუ შენ... მღლეკრთა მათ თანა აღმსთობილთა მიეწიფე და მათ თანა სასყიდელსა არა დააკლდი (აბო 174,22). იერუსალიმურ ბიბლიაში აღმსლობა იკითხება: აღმსლობისაჲლ. ძემან ნათანისმან (იერ. 41,10); განემზადე, აღმსლუვე (სოფ. 3,7).

70. მტკიცე — მომტკიცება. აქ ფორმა თითქმის ყველგან გამაგრება-გაძლიერებასა და შეკავშირება-განმტკიცებას აღნიშნავს; სხუაი ვინმე დაამტკიცებდა და



იტყოდა (ლ. 22,69); მოიბტკიცა მტკიცედ თავი თვისი (მ. ცხ. 180r); მოიბტკიცა წელნი თვისნი (3 მეფ. 18,46); განიბტკიცე გული შენი (მსაჯ. 19,5); შეიბტკიცის ნიწურნი მისნი (სახ. 20,33); განმტკიცებოდა სულითა (ლ. 1,80); ამისი მობტკიცება უკმს (A-689, 85r); გვეკმს ყოვლით კერძო მოზღუდვამ და მობტკიცებამ თავთა ჩუენთა (A-129, 225r); მაღლი ჩუენ თანა დაიმკვდრებს ზედადამტკიცებითა ამონისათა (Jer. 9, 193r); აწ დამტკიცებულად ვითხრა თქვენ აღსასრული წმიდისა და სანატრელისა შუშანიკისი (შუშ. 11,3).

71. ბური — შებურვა: შეაჭურვოდა მკუდართა (მ. ცხ. 429v); ანასტასია/ შებურნა იგინი ბრავლითა სურნელითა (საკ. წ. II, 31,27); თანა აქენდა ბური, არა რაითამცა აღბურნეს ვორცნი უფლისანი (ათონ. 57, 94v); ბერო, ოდეს მოკუდე, ვითარ გნებავს, რაითა შეგბუროთ შენ, ვითარ-იგი შეაჭურვენ მეგვებტელნი მონაზონნი ანუ ვითარ იერუსალჰმელნი? (ლიმ. 71,21); აღვასრულებ საღმრთოთა მაგათ და შესაძრწუნებელთა ვორცთა იესუსისთა შებურვასა (A-129, 261v); ნალსაცხებელი შებურვისა და დღათა მსთუად მოილეს (Jer. 48, 60v); ცრემლით გეძიებდეს შებურვად (იქვე, 45r); მისცემდეს მას შებურვილსა ღვინოსა (მრ. 15,23).

72. ბუმაკი — ბუმაკობა: ბუმაკობნ იგი დღე ყოველ (Jer. 3, 115v); უკუეთუ-მცა იცოდე უფალი იგი ჩემი, შენცამცა დაეზუმაკე ბუმაკობასა ამას ჩემსა (ურთ. 37,8); მოიყვანის ... დიაკული ზროხათაგან, რომელსა არა ეზუმაკოს (2 შჯ. 21,3 G); გვებრძანე ჩუენ ბუმაკობისა, ღამით არა დავიყრათ თანა (სწავ. 65,6).

73. ბიძი — დამბიძება: არა თუ უბიძნ, არამედ უფროისად უხარინ (ი—ე, 93,3); მამამან შენმან დამბიძმა უღელი ჩუენ ზედა (2 ნეშტ. 10,4); დავამბიძე აბასა, რამეთუ მიუტყევე მას ყოველი ტვრთი ჩემი (Sin. 35, 193rb); რაითა არავის დავამბიძოთ თქუენგანსა (1 თესალ. 2,9); ნუ დაბრთავ წყლულეებასა ზედა მშვიერთასა წყლულეებასა სხუასა დამბიძებითა ფასისათა (ბას. კეს. სწ. 90,3); იყენეს თუალნი მათნი დამბიძებულ (მ. 26,43); დამბიძებულნი საჭურველითა მათითა ვიდოდან (იოველ 2,8).

74. ბძლავრი — მიბძლავრება (ძალის დატანება, ძალადობა, ჩაგვრა): ნუ ჰბძლავრობ დავრდომილსა, რამეთუ გლახაკ არს (იგავ. 22, 22 O); მტერნი ერისა შენისანი ჰბძლავრობდეს მას (სიბრძ. 15,14); უკუეთუ ვისგანმე მოვიბძლავრნეთ და უსამართლოდ დავისაჯნეთ (სწავ. 166,1); არა მოიღოს წინამძღუარმან სამკვდრებელისაგან ერისა მისისა მიბძლავრებად მათდა (ეზექ. 46,18 P); ჯუარი დამშჯელი არს ბძლავრთა და — მესნელი მიბძლავრებულთა (სწავ. 219,3); ივსენით მიბძლავრებული (ეს. 1,17).

75. ბწირი — ბწირობა: მიგვე შენ და ნათესავსა შენსა შემდგომად შენსა ქუეყანაი ეგე, რომელსა შენ ბწირობ (დაბ. 17,8); ბწირობდეს პირველად შუეამდინარეს (ივდ. 5,7); უცხოებაი აღირჩია და ბწირობით და სიგლახაკით ცხოვრებაი (ი—ე, 15,3); მივალ ბწირობად (მსაჯ. 17,9 M).

არა ერიდა სამწირობელსა მას ლოთისასა (ზირ. 16,9 O; საყოფელსა pb). სამწირობელი — მწირის საცხოვრებელი უცხო მხარეს.

76. ბწუნა — განბწუნება: დამწუნდეს ველნი უდაბნოისანი (იოველ 2,22); შესუამს ტუარსა და დამწუნდის /ყანაი/ (H-622, 33r); წიდითა მით სპილენძისათა ზეთი იგი განბწუნდის (თუალთ. 9,4); აღმოეცენოს და დამწუნანოს ქუეყანაი (ექუსთ. 55,3); მათ ორთასავე უშუენიერძს არს განბწუნებაი იგი დათესულისაი (ზირ. 40,22).

77. მკედარი — აღმკედრება: დაასხენით ქუნეთა თქვენთა, აღმკედრენით მკედარნი; ზღდებოდან უფროის ვეფხისა ცხენნი მისნი, და უძალეს უფროის მკელთა არაბიასათა და აღმკედრენ მკედარნი მისნი (ამბ. 1,8); რაჟამს ამკედრდებოდა მარზაანი იგი, აღღკეს მთავარნი ქართლისანი (ევსტ., 34,1); აღიკაზმა ცხენი თესი და ამკედრდა მას ზედა (Jer. 3, 40r); მკედრებისა აღმკედრება და ბრკალება მახვილისა და ელვაი საჭურველთაი (ნაუმ 3,3); ამკედრებულ იყო კაპრაულსა ზედა მისსა (რიცხ. 22,22); კაცი აღმკედრებული ცხენსა ზედა ხსედსა (ზაქ. 1,8).

78. მკენე (მძღავრი, მამაცი) — განმკენობა: მკენობდ და განძლიერდი (2 შუკ. 31,23); რომელსა შინა მკენდებოდეს წმიდანი იგი (სინ. 119,16); ორნი იგი მოყუასნი მის თანა მკენდეს და ღირს იქმნენ გვრგვენსა (რიფს. 177,31); ამან განაძლიერა და განამკენო იოსებ (სწავ. 207,21); განმკენი ძალითა ფრიად (ნაუმ 2,2); მოძთრვალითა მარხვითა განმკენობა, მრისხანეთა სიმშვიდისა და სულგრძელებისა სწავლავ (პეტრიწ. ტპ. 28,3); თუთ ესოდენ დიდი ნუგეშინის-ცემა და განმკენობა არს (Jer. 6, 32v); განმკენობილმან მის ზედა თქუა მისსა მიმართ (A-689, 280v).

79. მონადირე — მონადირება (დაჭერა—ნადირისა, თევზისა. გადატანით: გადმობირება. ძველად ეს ზმნა უმთავრესად ნულოანი საარვისო ქცევის ფორმით იხმარებოდა. დღეს სათავისო ქცევის ფორმით ეხმარობთ: მოინადირებს იმის გულს. სათავისოს ფორმები ძველ ქართულში იშუიათი იყო): კითხვითა მით მონადირებდა ადამს ღმერთი ცხორებად (ფს. ვალობ. 456,23); ცნობადითა მით სათრომელითა სიტყუესათა სამ ათასნი სულნი მონადირნა ცხორებად (სინ. 190,1); მონადირეს სული მართლისა (ფს. 93,12); მონადირა გუელი წარმწყემდელი, მარადის მომზირალი ბრჭალთა ჩუენთაი (სას. კ. 84,229); ნადირობით მომნადირეს მე, ვითარცა სირი. მტერთა ჩემთა ცუდად (გოდ. 3,62); ისწრაფდეს მონადირებად მისა (Jer. 32, 74v); თეატრონისა ანუ მონადირეობისა მხედველი განყენებულ იქმნების (დ. სჯ. კან. 175,25). შღრ. მონადირეობა (იქვე. 156,29).

ამ ზმნას აქვს კიდევ ერთი თავისებურება: მოეპოვება ინიანი ენებითის ფორმები: ნუცა მონადირებით თუალთაგან მისთა (იკავ. 6,26); ძენი კაცთანი მონადირებთან ჟამსა ბოროტსა (ეკლ. 9,12); იხილელა მფრინველი, რამეთუ ოდესმე ფრჩხილითა ოდენ შუვარდის მახესა და მონადირის იგი (სწავ. 279,37).

გვაქვს მიმღეობებიც: დედაკაცისა თანა, რომელ-იგი არს მომნადირებულ და მახცი გული მისი (ეკლ. 7,27 O); ვითარცა თევზნი მონადირებულნი არიან სათხეველითა ბოროტითა (ეკლ. 9,12); დისწულნი თვისნი უტყვენეს მომნადირებულად (A-689, 210r); ყოველივე ზღუა დაუყენებულად აქუნდეს სანადირებულად (დ. სჯ. კან. 136. შმშ).

80. ნათელი — განნათლება — მონათლვა: იყო ნათელი ჭეშმარიტი, რომელი განნათლებს ყოველსა კაცსა, მომავალსა სოფლად (ი. 1,9); იყოს იგი ყოველად ნათელ. ვითარცა-იგი სანთელი ელვითა განგანათლოს შენ (ლ. 11,36); განმინათლო ბნელი ჩემი (2 მეფ. 22,29); კაცნო ძმანო, რომელნი განნათლდით უფლისა მიერ, ისინით სიტყუათაი ამით (აპოკრ. 9,20); არცა აქვს ველმწიფებაი მონათლვად მონისა (H-622, 36); მიზეზნი განათლებისა ჩუენისანი (შუშ. ბ. 1,13).

აქაც გვაქვს სხვადასხვა ტიპის მიმღეობანი: განმანათლებელი (ზირ. 26,22); განათლებული (ურთ. 120,11); განსანათლებელ (ეზექ. 41,16); გაუნათლებული (სწავ. 92,19).

81. ნელი — დანელება (დამშვიდება, დაწყნარება) — შენელება (შეკაზმვა):

ნაკუერცხალნი იგი განსაცდელთანი ლოცვითა დავანელნეთ (მ. ცხ. 15v); სიტყბოე-ბით ანგლებნ მათ (იქვე, 161v); სულნი ჩუენნი სუნელად კეთილშსახურებისა სარწმუნოებითა შეანელნა (ეპ. კვიპრ. -აღვს. 227,12 /ი.აბულ. ლექსიკ./); რომელნი-იგი დამწნნიან ჭურჭელსა შინა კეცისასა შენელებითა მარილისაითა (A-689, 197r); არა მიზეზითა მარხვისაითა ვეძიებდეთ ჩუენ...დიდფასისა სანელებელთა მიერ შენელებულსა საჭმელსა (იქვე, 31r); იზარდებოდეს პურითა ქრთილისაითა, მარილისა მიერ შენელებულთა (იქვე, 197r).

82. ნერგი —დანერგვა (დარგვა): დავანერგენ მე სავენაჲენი (ეკლ. 2,4): ეელმან შენმან მოსრნა წარმართნი და დანერგენ იგინი (ფს. 43,3 ლ); ჟამი არს დანერგვისა და ჟამი მოფხურად დანერგულისა მის (ეკლ. 3,2); იყოს იგი ვითარცა ხე დანერგილი თანა-წარსადინელსა წყალთასა (ფს. 1,3).

83. ნერწყვა (ფურთხი, ნერწყვი)—ნერწყუვა (ფურთხება): მაშინ ჰერწყუვიდეს პირსა მისსა და ვერთითა თავსა მისსა (მ. 26, 67); ჰერწყვა ქუეყანასა და შექმნა თიჲაი ნერწყვსაგან (ი. 9,6); უკუეთუ მოვივდეს ნერწყუა, ნუ გნებავნ წარმოვდებამ მისი წინაშე ძმათა, არამედ განვედ გარე და წარმოწერწყუე (კომ. I. 230,15); ჰკრთებოდა და სიბორგილით აღმოჰერწყუვიდა (Jer. 1, 153v); იწყეს ვითემე ნერწყუვად პირსა მისსა (მრ. 14,65).

84. ოჯერი (უპატრონო, მიტოვებული, უშვილო)—ოჯრება (დარღვევა, დაქცევა, დამხობა)—მოოჯრება: ისმინე ჩემი და ჩამოვედ ტაძრად, და ნუ აოჯრებ სახლსა მას თქუენსა (მუშ. 13,14); დაჰსნენეს და აღაოჯრენეს ზღუდენი იერუსალმისანი (I ეზრა 1,55); რომელ-იგი შენ აღაშენე, მათ მოოჯრეს (ფს. 10,3); ყოველი სამეფუთა. გაეთული თავსა ზედა მისსა, აღოჯრდის (მ. 12,25 C); რაითა არა ქუეყანაი მოოჯრდეს (გამ. 23,29); /წიგნი ესე/ დაიწერა საბერძნეთს...ოჯრებასა გლახაკთასა და აწყუედასა ჭაბუკთასა (გამოცხ. გვ. 126 /ანდრძი, 210r/); მოახლებულ არს მოოჯრება მისი (ლ. 21,20); ესე არს...პირველითანვე აღმოოჯრებული მონასტრისა ჩუენისაი (მ. ცხ. 177r); იღუემად დაქცეულ არს, და მოვიქცეთ და აღვაშენოთ მოოჯრებული იგი (მალ. 1,4).

85. ჰადიმარი —ჰადიმრობა —დაჰადიმრება. ნასესხები სიტყვაა, აღნიშნავს, როგორც შემდეგ, დაკავებას, დაჭერას, საყრობილემი ჩასმას. ძველად ფუძისუული დ ჯერ კიდევ ხელუხლებელი იყო. იგი მხოლოდ გვიან დაყრუდა წინამავალი ჰ-ს გაუღენით და ტ-დ იქცა. მაგალითები ცოტაა (მით უფრო დიდა მათი ფასი): ოდესმე სციან მას და ოდესმე ჰლიქნიდინ და ოდესმე დაჰადიმრინ (ლიმ. 107,31); რაითა მონაზონი იგი დაჰადიმრონ საყრობილესა (Jer. 3, 109v); ვბრძანი რომლისაიმე ჰადიმრობად და რომელთაიმე განსწავლაი (იქვე, 103r); ვბრძანი რომელთაიმე ჰადიმრობად (A-189, 38r). შდრ. აგრეთვე: ჰადიმარყენეს იგინი (Jer. 3, 110v).

86. ჰასუხი —ჰასუხობა (ჰასუხის გაცემა, კამათი, დაუა, ცილობა): განმართლებასა მას ზედა სიტყვსასა ჰასუხობდა ავტიოს და გმობასა მრავალსა სთესავდა მალლისათეს (საქ. წ. II, 134,13); ეჰასუხებინ და უზომოდ განამრავლის ცილობად (H-622, 17r); გარქუ შენ, შვილო, მუნ მისულად და მუნ ყოფად და ნუ გაქუნ ჰასუხობად სიტყუასა ჩემსა (იქვე, 115,39); გემინოდენ სიტყვს გებისაგან და ჰასუხობისა და ცილობისა (სწავ. 143,25); შდრ. აგრეთვე შჰაჰასუხობად (A-684, 87r).

87. ჰატიი (სასჯელი)—განჰატიყება, დაჰატიყება (დასჯა; ძალდატანება): ამისთვის დაეჰატიყა, რაითა იყოს ჭურჭერი ესე ვემან (უძვ. რედ. 158,27); მიილო მრჩობლი მისაგებელი გლახაკისა მისთვის, რაჟამს ფუტა ურწმუნომან კადნიერად

საფლავსა ზედა ეფთვიშისა და განიპატიეა მწართა მით სენითა საწყალობელი (ლიტ. ქრ. 345,29); რომელმან განბძაროს პორფირი სამეუფო...ერთითა პატიითა განიპატიენ ორნივე იგი (მ. ცხ. 229v); იქმნელ პატრიარქისა მიერ ანუ მიტროპოლიტისა საეკლესიოსა განაპატიეებასა ქუეშე განდევნილი საეკლესიოსა გუნდისაგან (დ. სჯ. კან. 164,29); ვითარს განაპატიეებასა ჰყოფს (A-689, 3r); მათ ფრიად განიხარეს და ერთობით დიდითა დაპატიეებითა მოღუაწებისა მის საქმელ დაადგინეს (ხანძთ. 276,28); ეპისკოპოსი სხვსა სამწყსოისაგან სხუად სამწყსოდ ნუ მიიცვალეზის...ნუკა ერისა იძულებითა, ნუკა ეპისკოპოსთა დაპატიეებითა (დ. სჯ. კან. 252,13); მცოდველთა პატიეებისა აღმატებად და დაკუთებად (იქვე, 185); ვიდრე არა შეინდოთ დედუფელისა მისგან, უსამართლოდ განაპატიეებულისა მკველისა მის ღმრთისა (ლიტ. ქრ. 139,13);

88. სათნო — სათნობა: ამას ყოველსა თანა ესათნობოდა მამასა თვისსა (ბალ. 26,11); პატივს-სცემდეს და ესათნობოდეს ჰეროდეს (Jer. 12, 80v); მან მოიღის სათნობად (ზაქ. 6,13); ყოვლითავე სათნობითა სავსე იყო ესე (ი—ე, 21,13); მოსენანეცა ძმათა სათნობისათვის ძმათავე თანა განვიდინ (ი—ე, 43,27); ვითარ-იგი ამით ყოველთა სათნობითა განჰმზადებდა სიბრძნითა და გონიერებითა (ბალ. 139, 27).

89. სარი — აღსარვა (მოსარვა, სარის დასობა): გავიდის...ვენაჲთა ასარვასა, გინა თუ აჯოჯვასა, გინა თუ სთულებასა (ი—ე, 42,1); ვენაჲი იგი...რომელი შემდგომად დასბძისა და აღსარვისა და შეზღუდვისა...და ყოვლით კერძო შეკრძალვისა უქმ და ეკლოვან იქმნა (A-92, 308).

90. სასტიკი — სასტიკება — განსასტიკება: რომელი-იგი ვარდარეულად სასტიკობს, იგი შეურაცხ იქმნის (ზირ. 20,8); ლელვანი მისნი განსასტიკებოდეს (იონა 1,13 სინ. ლექც.); სასტიკებითა შენითა ივლტოდინ (ფს. 103,7); შეიძუსრნენ მთანი სასტიკებითა თვისითა (ამბ. 3,6 O); ბრძანება მისცა მეფემან დიდითა სასტიკებითა მცნებისადა (რიფს. 166,43); არა ბუნებითი რაიმე განსასტიკება იგი საღმობათა მისთა დიდად საძნაურად შეპრაცხეს (A-129, 60r).

91. სერი (ვანშამი)—სერობა (ვანშობა, პურის ჭამა, ლხინი): შუა-მიყავ მე, რადა ვისერო (ლ. 17,8); ვისერებით საზრდელითა (მარკ./? 551v ი.აბულ. ლექსი.); რადათა ჯერ-იჩინო დღეს ჩემ თანა პურსა ამას ჩემსა სერობად (საკ. წ. II, 39,8); არაინ მათგანმან კაცმან გემოი იხილოს სერობისა მისგან ჩემისა (ლ. 14,24); ჟამიცა სერობისა მოწვენულ არს (საკ. წ. II, 34,2).

92. სნეული — სნეულება — სნეულობა: ხოლო ზადან...წარვიდა სახელ თვისა შეურეებული საქმისა მისთვის და დაისნეულა თავი თვისი (ბალ. 90, 16); რომლისა მიერ ერთ დღე ოდენ ისნეულა (A-689, 203r); და მე, დანიელ, დავსნეულდი და დავწვე (დან. 8,27); გარდამოვარდა და დასნეულდა (4 მეფ. 1,2); ელისე დასნეულდა სნეულებითა (4 მეფ. 13,14); შდრ. არა ვინებე მოშრომად მეფისაი თვნიერ სნეულობისა (ბალ. 91,18).

93. საეტაკი (თეთრი)—განსაეტაკება (გათეთრება): სიმეწამულე ბრალთა ჩუენთაი განსაეტაკე აწ უფროდს თოვლისა, მკსნელი (სას. პ. 215,81); განრცხნეს მათ სამოსელნი მათნი და განსაეტაკეს სისხლითა მით კრავისადა (გამოცხ. 7,14); განმბანო მე, და უფროდს თოვლისა განესაეტაკე (სინ. 77,13); სამოსელი მისი იქმნა ბრწყინვალე და საეტაკი, ვითარცა თოვლი, რამეთუ ყოველსავე მურკნვალსა ქუეყანასა ზედა ვერ კელ-ენიფების ეგრეთ განსაეტაკებად (მრ. 9,3); სისაეტაკე ბუნებასა

შინა სხუა არს და გუამი განსჯეტაკებული სხუა არს (უძვ. რედ. 80,10).

94. სრული — აღსრულება — განსრულება — მოსრულება — შესრულება — მისრულება. ამ სახელისაგან მრავალი ზმნა იწარმოება სხვადასხვა ზმნისწინით. აგრეთვე სხვადასხვა მნიშვნელობითაც. მაგალითისათვის რომ ავიღოთ, აღსრულება (აღასრულა — აღესრულა...) სხვადასხვა მოქმედების შესრულებასაც აღნიშნავს (სხვადასხვა ზმნისწინით) და სიკვდილსაც (აღასრულა — აღესრულა). გვხვდება გან. მო, შე, წარ ზმნისწინიანი ფორმები. რაკი ეს ზმნა ასე გავრცელებლია, მხოლოდ რამდენიმე ნიმუშის მოყვანით შემოვიფარგლებით: აღესრულენ უფალმან ყოველივე თხოვამ შენი (ფს. 19,6); ისარნი ჩემნი დავასრულნე მათ ზედა (2 შჯ. 32,23); მოუსრულენ მაღალსა აღნათქეუმნი შენნი (ფს. 49,14); არა მოასრულოთ სამკალი ყანისა თქუენისაი მომკად (ლევ. 19,9 G); შეასრულეს იფქლი იგი ჭამად (დაბ. 43,2); წარასრულნა იესუ სიტყუანი ესე (მ. 19,1 C); ვიდრე აღსრულებადმდე ყოვლად მის წელიწდისა (ლევ. 25,30 pb); შემდგომად განსრულებისა წონთაისა მოძიქნო, ვითარმედ ამა ესერა განვასრულე (მ. ცხ. 63v); მახვლო, ... აღმოვიდლო მოსრულე-ბად, აღდეგ (ეზეკ. 21,33); თავდგმულებამა უწოდო ყოველთავე მათ ერთად შემოკრე-ბასა და შესრულებასა (A-684, 129v); ჰკითხვიდა ვინობასა და რაისა მოქენედ მისრულობასა (A-689, 205v).

95. უსამართლო — უსამართლობა — უსამართლობა: ვინაითვან სულგრძე-ლებასა ღმრთისასა აუსამართლობე შენ ზედა (ასურ. 204,26); მეუსამართლოოს თუ ვინ ჩუენ (ისუ 6. 2,20 F); რომელი ამხილებდეს მომხუეჭელთა, ნუმცა ემხილების მას უსამართლობამა (სწავ. 273,1); იჯემენ უსამართლობისაგან (მ. ცხ. 39v); უსამარ-თლობისა რაისთვსმე შეგუქმთხუევიან ტანჯვანი და ენებანი (Jer. 1, 125v); ტანჯვაი უსამართლობათა მათთაი იქმნა (ეზეკ. 7,19 F).

96. უსუსური — უსუსურება: იესუ ქრისტე, კმა იყენენ ჩემდა გუემანი ესე, რამეთუ მოუსუსურდი (ამოკრ. 38,16); კაცსა უსუსურებისა და უღონოვებისა მისისათვს უემან მიზეზნი (უძვ. რედ. 224,18).

97. უძღური — უძღურება — მოუძღურება: მოუძღურებს ძალსა ღვნისასა წყალი (სწავ. 7,17). უფრო ხშირია გარდაუეკალი ფორმები: დაჰჰსნღან უელნი და მოუძღურდიან ფერენი (სწავ. 140,20); რომელი გიყუარს, უძღურებს (A-52, 83r); რომლისა ძმაი უძღურებდა (იქვე, 83r); აწ უძღურება თქუენდა არს ესე (1 კორ. 6,7); შენცა გვეგულებისა მოუძღურებამა (A-689, 291v); მოუძღურებული განვაძლი-ერო (ეზეკ. 34,16).

98. ფანდური — ფანდურობა: სადა ფანდურობამა და მთრეჯლობამა არნ, მუნ არნ სიბნელე და წარწყმედა დედათაი და მამათაი და დღესასწაული ემმაკათაი (სწავ. 209,4).

99. ფოსო (მცირედ ჩაღრმავებული ადგილი, ღრმული) — აღმოფოსუება (ფოსოს გაკეთება, გამოთხრა): მახლობელად კლდისა მდგომარე იყო ანგელოზი, მზრდელი მისი, და კუერთხითა ვითარცა რასმე გამოაფოსოებდა ძირსა მას კლდისა-სა (ასურ. 105,35); წუეთიცა წყლისაი, ზედაისზედა მწთოლვარე, ჩუეულ არს სიტყესაებრ აღმოფოსუებად კლდისა (A-129, 108v).

100. ქანდაკი — ქანდაკება: გამოაქანდაკა ქერობინი კედელთა (2 ნემშტ. 3,7); მერმე რაითა სულნი მათნი მეცნიერებითა ჭემმარიტისა მის ხუროთმოძღურისა სიტყესა დამბადებელისაითა გამოქანდაკენს და განანათლნეს (ანტიოქ. 324,11); რომელმან იცოდის ქანდაკებამა ქანდაკისაი (2 ნემშტ. 2,7); ბევრია მიძღობა: ქანდა-

კებულად (მსაჯ. 17,4 G); გამოქანდაკებული (მსაჯ. 17,3 M; ეს. 42,17); მქანდაკებული (A-129, 94r); ქანდაკებულება (H-341, 141).

101. ქარი. ამ სახელის ფუძისაგან ბევრი ახალი ზმნური ფორმაა ნაწარმოები. უმთავრესი მნიშვნელობა მაინც არის ქროლა, ბერვა, ჰერის მოძრაობა, გაფანტვა, შემსუბუქება. ზმნური ფორმები სხვადასხვა ზმნისწინით იხმარება, მაგრამ უფრო ხშირია გან ზმნისწინიანი. ვეაქეს: ქარვება, განქარვება (განქარება), გამოქარება; ნქარევა, განქარევა, ქროლა. მიმოქროლა, ქროლება და სხვ. ენახოთ უფრო დამახასიათებელი: რომელი იქარვებ ღვნოსა (ფს. 77,65 ინელებს); ღვნოა გამოქარდა ნაბაღს (1 მეფ. 25,37); რომელმან-იგი განაქარვა სიკუდილი (2 ტიმ. 1,10); ვითარცა ნისლი ვანქარდეს (სიბრძ. 2,4); კაცსა მასცა სამართლად მიაგო მოსრვა და სრულიადი განქარვება (A-129, 61r); განქარვებად მიწვეულნი აღორძინებად იწყებენ (იქვე. 121r); ბრძანა განქარევა ნიჩბითა წინაშე ქართა ნაცარი იგი ძულთა მისთა (სინ. 11, 366v); ესენი წინააღმდეგობ არიან და განმაქარვებულ ერთმანერთისა (უძვ. რედ. 45,18).

102. ქრისტეანე — ქრისტეანობა — ქრისტეანება (ვაქრისტეანება): კაცნი არიან მცხეთას ჩუენისა რჩულისანი და განდგომილ არიან იგინი ჩუენგან და ქრისტეანობენ (ევსტ. 34,24); ვითარ ქრისტეანობენ მეფენი (A-1104, 119r); ხოლო თვთ იგი ეკვენია მოქრისტეანა (სინ. 11, 200v); რომელი წმიდას ეფთემის მოექრისტეანა (მამ. ცხორ. 142,8; ვარ. მოექრისტეანა); ქრისტეანობა დაცემულ არს (კიმ. I, 189,33); სხუაი კაცი დაემოწაფა კელითა მისითა ქრისტეანებასა (ისტ. ქრ. II, 84,15).

103. ყუაგილი — აღყუაგილება — გამოყუაგილება: გამოაყუაგილა ყუაგილი და გამოიღო ნიგოზი (რიცხ. 17,8 G); ვითარ მადლი აღყუაგილდების (ეპ. კვარ. დაფლ. 92v); დღეს აღყუაგილან კუერთხი იგი ესაიამს ქადაგებული (სას. პ. 81,149); აღყუაგილდა და აღორძნდა ...და გარდაეფინნეს რტონი (H-341, 142).

104. შვი — დაშვება (გაშაგება): დაშვენა უფროის ნავშირისა ფერი მათი (გოდ. 4,8); დაშუვდა ფერვი მისი (მ. ცხ. 317v); ვერ ძალ-გიც ერთისა თმისა შენისა განსაუტაკებად გინა დაშაგებად (მ. 5,36); დაშაგებულ ვარ (ქებ. 1,5); იოვანეს რომელ-იგი ემოს სამოსელი, კუამლისაგან საყუმილისა დაშაგებულ იყო (აპოკრ. 64,19).

105. შიშუელი — განშიშულება: განაშიშულნეს ვორცნი შეგინებად და სარცხვენლად (ივდ. 9,3); თმაი მათი არა განიშიშულონ (ეხეკ. 44,20); შემოსული ცათაი ღრუბლითა განშიშულდი იორდანეს (სას. პ. 151,7); ესევეთარნი იგი სულნი, მადლი იგი, რომელი მოელოს, მისგანცა განშიშულებად ოდესმე არიან (ფსევდომკ. 332,27); ცემისა შინებითა დააყენონ ერი იგი განშიშულებად გუამსა მას წმიდისასა (A-689, 242v).

106. შო(ვ)რა — გამოშორება — განშორება: ნუ განამაშორებ წყალობასა შენსა ჩუენგან (დან. 3,34); განამაშორენ ჩემგან ოხრანი გალობათა შენთანი (ამოს. 5,23); განმეშორენით ჩემგან ყოველნი მოქმედნი უშჯულოვებისანი (მ. 7,23); ამ ზმნის მეორე, სრულიად სხვა მნიშვნელობაა დამთავრება, დასრულება. ამ შემთხვევაში ზმნა გან ზმნისწინითა და სათავისო ქცევის ფორმით იხმარება. აი, ორიოდე მაგალითი: ვითარცა განიშორა დაცვა აღპყრობისაი (ლიმ. 67,13); ვიდრე მისლუადმდე მისა ტფილისს სიონი განეშორა მკედრთა (იქვე. 228,7 = დაესრულებინათ); უნდა მისი გამოშორება მართლისაგან გულსმოდგინებისა (მამ. ცხორ. 12,9); უბრძანეს მას განშორება მიერ (A-680, 258r); ცრემლთა დააწოთბდეს განშორებასა მისსა ზედა

(A-129, 96v);

107. შური — შურება (შური, თავგამოდება, მისწრაფება; მიზანძვა): გაშურებ თქვენ ღმრთისა შურსა (2 კორ. 11,2); არა ეშურებოდეთ ერთი-ერთსა (სწავ. 168,21); ეშმაკისაგან იყო საქმე იგი შურობისა (ნოვ. II, 275,7); რამეთუ შურობით მიეტა იგი (მ. 27,18 C); იწყო შურობად მისა (მ. ცხ. 273r).

108. ცალიერი — წარმოცალიერება (დაცლა, გამოცლა; ხმლის შიშვლება): ვითარცა წარმოცალიერებდეს ძაძათა მათთა, იპოვა კაცად-კაცადისა ვეცხლი შეკრული ძაძათა მათთა (დაბ. 42,35 როცა დაცალეს ტომრები); სასუმელი დაცემისა და ბარძიმი გულის-წყრომისა ჩემისაი შეჰსუ და წარმოცალიერე (ეს. 51,17); ნელსაცხებელ წარმოცალიერებულ — სახელი შენი (ქებ. 1,2).

109. ცოლი — ცოლება (ცოლად შერთვა, ცოლად გაყოლა): ნუკევე მთავართაგანს ვისმე ეცოლოს (შუშ. 13,8); მინდა მისი ცოლება (რიფს. 166,32); ეტყოდა მას იოვანე: არა ჯერ-არს შენდა ცოლება მაგისი (მ. 14,1 C).

ცოლება (ქმრობა) ითქმის აგრეთვე ზოგიერთი გვირის ცხოველებზედაც, კერძოდ, ქვეწარმავლებზე, გველებზე. მაგალითად: გუელი იგი ჯარბი, რომელ არს უძერეს ყოველთა ქუემძრომელთა, შეემთხვის გუელსა ზღვსასა, რომელსა პრქვან სმორენა, და სტვნივითა ამხილის მოსლვაი იგი თვისი, და უწოდის სიღრმეთაგან შეერთებისათვის მათისა. ხოლო იგი მოვიდის და ეცოლის მკებნარსა მას (უძვ. რედ. 104,10).

110. ცოფი (გიფი, ხელი, სულელი) — ცოფობა — განცოფება: პრქუა მას ბარუნას: ანუ სციფობ აწლა თუ? (საკ. წ. II, 24,31); მსგავსად მისა ესეცა კულად განაცოფა (იერ. 10,14); განცოფნა ყოველი კაცი მეცნიერებისაგან (იერ. 46,12); იწყო მუნთქუესეე აღექსანდროს ცოფობად სიტყვთა სულელთათა (Jer. 3, 135r); რომელნიმე განცოფებად ანუ ასოთა დავსნილებად მიიწინეს (ბას. კას. სწ. 37,1).

111. ცრუ — ცრუება — განცრუება (ბრალის დადება, გამტყუნება; ჩამოშორება; არაფრად ჩადება; გაუქმება, უარყოფა): კეთილად ეცრუებით მცნებასა ღმრთისასა (მრ. 7,9 C; შეურაცხ-ჰყოფთ DE); არა ეცრუე შენ კაცსა, არამედ ღმერთსა (მოც. 5,4); განაცრუვა ყოველი აღთქმადი თვისი არშრაკ (ურთ. 73,16); განცრუვდეს ცრუმონამეთა წამებანი და მზაკუვარებანი (სას. პ. 296,186); რომელი მიზეზი მოგაქუს ცრუებისა შენისათვის მისა მიმართ (სწავ. 111,4); პრცხუნოდა განცრუებისათვის წინაწარმეტყუელებისა თვისისა (Jer. 24, 15r); შეუძლებელ არს განცრუებად ღმერთი (A-162, 141v); სასჯელისა მისისაგან გამოვედინ განცრუებული (ფს. 111,4).

112. ცხადი — გამოცხადება — განცხადება: ყოველსა კაცსა ნუ განუცხადებ გულსა შენსა (ზირ. 8,22); გამოუცხადა თავი თვისი იესუ მოწაფეთა თვისთა (ი. 21,1; განუცხადა C); რადითა განუცხადო იგი (კოლას. 4,4); განცხადებით განვიცხადე სახლსა მას მამისა შენისასა (I მეფ. 2,27); არა სარგებელ იყო განცხადება ამისი (Jer. 9, 105v); გაუწყო შენ გამოცხადებაი ივაისაი (ეზრა სუთ. ბ,47); პრქუა მას იესუ განცხადებულად (ი. 11,14).

113. ძლიერი — განძლიერება. იშვიათად გეხვდება უზმნისწინოდ: ნუ ძლიერობენ კაცნი (ფს. 9,20 წ; ძლიერობნ ლ); ძლიერობდცა უკუე (ისუ 6. 1,7 G). უფრო გავრცელებულია უზმნისწინიანი ფორმები. ჩვეულებრივ, გან უზმნისწინს დაირთავს: განაძლიერა გული მისი (2 მჯ. 2,30); მკლავმან ჩემმან განაძლიეროს იგი (ფს. 88,22 ლ); მიიღო საზრდელი და განძლიერდებოდეს (ლ. 23, 5); მაშინ იტყოდა

განძლიერებასა სულიერისა მორთბმულებისასა (A-689, 281r); განმაძლიერებელი ჩემი... შენ ხარ (ფს. 30,4); განძლიერებულნი ევე იძლიენით (ეს. 8,9).

114. ძნელი — განძნელება (გამავრება — ციხე-სიმაგრეთა და სხვათა ძნელად მისჯელად გახდა; გაძვირება — ძნელად საყიდლად გახდა); დაღათუ აღმაღლდეს ბაბილონი, ვითარცა ცაჲ, და თუ განიძნელოს სიმაღლჲ იგი სიძტყიციისა მისისაჲ, ჩემგან მოვიდენ მომსრველნი მისნი, იტყვეს უფალი (იერ. 51,53 O); G-ში უფრო ახალი განმავრდეს იკითხება.

მეორეგვარადაც შინაარსი იგივეა: გაძვირდა ნიშნეს, რომ ძნელად შესაძენი, ძნელად საყიდელი გახდა. აი, ერთი ნიმუში: წუმამან შენმან განჰქსნა ნასკჲ იგი უსამართლოებისაჲ, რამეთუ ხუარბლის ვაჭართა დაჰქსნეს კარნი ქულბაგთა მათთანი და განაძნელეს იუქლი გლახაკათოვს, და მსყიდელნი შეიწრდეს (სწავ. 64,13).

ძრითადი ვაგებით გვაქვს სათანადო მიძლეობებიც: დაარღვეს სახლები იერუსალჲმისაჲ განსაძნელებელად ქალაქისა (ეს. 22,10); რომელნი დაედგინნეს მეფესა ქალაქთა მათ მოძნელებულთა (2 ნეშტ. 17,19 გამავრებულ ქალაქებში).

115. ძველი — დაძველება: რომელი დააძველებს მათათა (იობ 9,5); სამოსელი მათი არა დაძველდა (ნემ. 9,21); რომელი დაძველებად არს (იობ 13,28); მაშინ ვიხილე ბერი ერთი დიდი დაძველებული დღეთა (კიმ. I, 211,24); გუაქვს ჩუენ საჭურველი დაუძველებელი (წარტყ. 29,7).

116. წესი — განწესება (დანიშნვა, დადგინება, დაწესება): იოვანე განაწესა მეზებელად და მე — მბანელად (აპოკრ. 59,1); განეაწესენ საზღვარნი მისნი (მალაქ. 1,3); მრავალთა ველ-ყვეს ზეგარდამო განწესებად თხრობისაჲ მის საქმეთა მათოვს (ლ. 1,1 C); მეცა კაცი ვარ ველმწიფებასა ქუეშე განწესებული (ლ. 7,8).

განითქუა სახელი სიკეთისა შენისაჲ თესლებსა შორის, რამეთუ განსრულე-ბულ იყო შეუნიერებითა და სახილველებითა, რომელი დაგაწესე შენ ზედა (ეზექ. 16,14 F); არარაჲ დააკლოთ თქუენ დაწესებულისა მის არცაღა ერთ (გამ. 5,11).

117. (ნა)წილი — დანაწილება — განაწილება. პირველი, წარმოების საფუძვლად აღებული, სახელი ორი სახით იხმარება: წილი და ნაწილი. ნაწარმოებ ზმნას გან ან და ზმნისწინი ერთვის: ოდეს დაჰნაწილებდეს ჯორცსა და სისხლსა ქრისტჲსსა (ლიტ. ქრ. 16,39); უკუეთუ შეილნი ესხნენ, საქონელი მისი სწორებით განენაწი-ლოს მათდა მას (დ. სჯ. კან. 162,10); სიმაართლით განაწილებად ... იტყვეს (A-684, 139v); განაწილებულსა მას საშჯელსა (შატბ. 282,4); ხედვიდა ყრმასა დანაწილე-ბად კელითა ბასილისითა (A-199, 108r); დაკალთ დანაწილებული იგი და არა განყოფილი (A-129, 130r).

118. წინდი — წინდობა. წინდი ძველ ქართულში აღნიშნავს საწინდარს, გიაროს, რომელსაც ჩამოართმევენ წინასწარ რაიმე პირობის შესასრულებლად. მეორე მხრივ, იგივე წინდი ცოლის მოყვანისას საცოლისათვის მისატანი ნიშანი იყო, ე.წ. დანიშნვის ნიშანი. აი, ამ უკანასკნელის აღსანიშნავი ნასახელარი ზმნის საწყისი: დღეს დაჰქსნეჲ ჰამანი ასულისა პროსფოროისი და ეყო წინდობაჲ შენი, და იყო შენ ცოლად ლუსიმახიასა, რომელი ზის მარჯუენით ჩემსა (Sint. 6, 194r, 10); წინდობაჲ უზრქელესათოვს მოუპოვებეს მას სიტყუად (Jer. 9, 61r); რაოდენთა ქალწულთა აქუნდიან დანწინდებულნი (A-689, 303r). არის პირიანი ფორმაც: დაიწინდა ეკლესი-აი სისხლითა თუისითა (თარგმ. ქებ. ქებ. 399,5).

119. წრფელი — მოწრფელება (მოსწორება, გასწორება): ნუუკუე დღე ყოველ უნავნ კაცი საუნავსა თვისსა თესუად? ანუ არა პირველად მოჰმზადის წინაღსწარ და



მოქმნის ქუეყანა თვისი? და ოდეს მოაწრფელის პირი მისი, მაშინ მცირედ სთესის გულის-სარეველი /და/ ძირაკი (ეს. 28,25); რამეთუ უბრძანა ღმერთმან ყოველთა მათთა მალალთა დამდაბლებად და ბორცუთა სამარადისოთა და ვეეთა აღმოვსებად და მოწრფელებად ქუეყანისა (მარ. ე,7 ლ); მიესცე იგი კლდედ მოწრფელეზულად (ებუკ. 26,4 წ).

120. წულილი, წურილი, მწულილი — გამოწულილვა. ძველი ქართულის წულილი "წერილს" აღნიშნავს. ძველად იგი სხვა წერილ საგნებთან ერთად წერილ ფულსაც გამოხატავდა. ამოსავალია წულილი, რომელმაც დისიმილაციით თვით ძველ ქართულში წურილი მოგვცა. მწულილ-ში თავიკიდური მ ბერძნულადამატებული მნიშვნელობის დიფერენციაციის მიზნით. დღეს ეს სიტყვა აღნიშნავს: 1) მცირე შეწირულებას, შესაწირავს; 2) წილს, შენატანს. ამ ფუძეზე გამო ზმნისწინის დართვით ახალი შინაარსის ზმნა იწარმოება—გამოწულილვა: დაწერილებით, საფუძვლიანად გამოკითხვა, გამოკვლევა, გაგება: უფალო, მე მრწამს სიტყუა შენი და არა გამოვიწულილავ, არამედ მინდობილ ვარ მე სულისა მიერ წმინდისა თქუბულთა (სწავ. 22,9); გამოიწულილვიდა შრომით კაცობისა შთაცუქმას უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა (სინ. 238,20); მოვედ და გამოვიწულილოთ, ოდეს იყოს დასაბამი მარხვისა (უდაბ. 52v); ასწავებნ არა ხოლო უქმობას, არამედ სირქურესა და გამოწულილვას (1 ტიმ. 5,13); უკუეთუ სადამე ვინმე გამოეძიებდეს გამოწულილოვით სიტყუათა შორის ორთა მათ ცილობათა, პოვოს სიტყუა მათი მდრევილ ჭეშმარიტებისაგან (უძე. რედ. 214,33); ყოვლითა გამოწულილვითა გამოეძიებს (სწავ. 129,29).

121. ჭეშმარიტი — გამოჭეშმარიტება — განჭეშმარიტება (გამოკვლევა, ზუსტად დადგენა, დაწერილებით, დანამდილეობით გაგება, დამტკიცება): რომელსა გამოუჭეშმარიტებდა მათ წმიდა იგი მოწამს (H-341, 9); უკუეთუ მონა ბარ, მასწავე, ვინ არს უფალი შენი, და ნუ დაჟურავ ჩემგან, გამოძიჭეშმარიტე საქმე შენი, რამეთუ განკვრეებულ ვარ მე შენგან (კიმ. I, 178,22); სრულიად დაემტკიცებოდეს და განჭეშმარიტდებოდეს (თეკლა 122,7); გამოჭეშმარიტებით მათთვის განვაჩინნეთ (კურთხ. იაკ. 174,8); ესეცა მნებაეს გამოჭეშმარიტებად (უდაბ. 170va); /ქრისტ(ტ)/ ხილულად მორწმუნეთა გულთაგან განჭეშმარიტებულად ითქუბის (კიმ. I, 137,11).

122. ხარკი — ხარკება (ხარკის გადახდა): რომელი მრავალსა ბოროტსა იქმს, უხარკობს უკეთურებასა (იგავ. 19,7); მონასა გონიერსა აზნაურნი ... უხარკებდ (ზირ. 10,28 O); მათი არარა იხარკა გალიონ (მოც. 18,17 წ); მრავალნი დაშურეს ამას სოფელსა მოსწრაფედ ხარკებით (სწავ. 115,31); ჩემლად ხარკებად არა დამიკლია (ათონ. 12, 220v); იწყო ქუეყანამან ხარკებად (2 ნეშტ. 36,3 M).

123. ხაშმი — დახაშება (დაუძღურება, დასწავლება): ესე იყოფოდა სენაკსა მას შინა და სიბერითა დახაშდა, და იყო იგი ზე აღუდგომ (მამ. ცხორ. 85,30).

124. ველმწიფე — ველმწიფება (ძალაუფლება, ბატონობა, მეფობა): უწყითა, რამეთუ მთავარნი წარმართთანი უფლებედ მათ ზედა, და დიდ-დიდნი ველმწიფებდ მათ ზედა (მ. 20,25); მდიდარნი ველმწიფებედ მათ ზედა (მრ. 10,42 C); /ღმერთსა/ უველმწიფებოეს კაცი თავსა თვისსა ზედა ყოფად კეთილისა და... ბოროტისა (სწავ. 45,7); ველმწიფება იქუს ძესა კაცისსა ქუეყანასა ზედა მიტევებად ცოდვითა (მ. 9,6); ყოველი ველმწიფება და უფლება მამასა ეფთვეს მისცა (ი—ე, 25,34).

## E. ბაარსპიტიშული საწყისები

ღროთა ვითარებაში, როგორც ყველგან ხდება, ქართულშიც ბევრი საწყისი არსებით სახელად იქცა. ეს გამოიხატება იმით, რომ ისინი თავისუფლად და ხშირად გვხვდებიან ყველა ბრუნვაში და, რაც მთავარია, მრავლობითშიც. რიცხვის კატეგორია საწყისის თავიდანვე არ ქჷონია, ახლა კი ბევრი მათგანი თავისუფლად და დაუბრკოლებლად იბრუნება მრავლობითშიც. ამის კარგი მაგალითია თვით სიტყვა («სიტყვა»), რომელიც არსებითს არაფრით ჩამორჩება—ჩვეულებრივად იბრუნვის და მრავლობითრიცხვსაც დაუბრკოლებლად აწარმოებს. "სიტყვას" დღეს მნიშვნელობაც აქვს გაფართოებული: იგი ცალკე აღებულ სიტყვასაც აღნიშნავს (слово) და წარმოთქმულ ერთელ თხრობასაც (речь) და არა მარტო ამით, არამედ ბევრ სხვასაც, მაგალითად: სიტყვა მისცა, ამ ნაკვს გამოასწორებდა (=პირობა); უფროსის სიტყვა შესარულა (=ბრძანება) და სხვ. ეს და ბევრი სხვა ამის მსგავსი საწყისი მტკიცედ ჩადგა არსებითთა რიგებში და დიდად შეუწყო ხელი ლექსიკური ფონდის გამდიდრებას. ასეთი, ნასაწყისარი, არსებითი სახელებია კიდევ: სიყვარული, სიხარული, განთავისუფლება, მოძღვრება, სიცილი, აღსარება, სიკვდილი, საქმე, ღვაწლი, ბრძოლა, ყვაილი და სხვანი. აქვე შეიძლება დავასახელოთ ქრისტიანული რელიგიის მიერ არსებითად დაკანონებული საწყისები, როგორიცაა: შობა, აღდგომა, მარხვა, ნათლისღება და სხვ.

## F. უსაწყისო ზმნები

ძველ ქართულში ბევრ ზმნას ჯერ კიდევ არა აქვს თავისი საკუთარი საწყისი. ჯერ კიდევ არ გასჩენია ამოსავალი, საერთო ფორმა სათანადო პირიანი ფორმებისათვის. ფორმა, რომელიც აწმყოს ფუძეს უყრდნობა. გვაქვს ძალზე ფართოდ გავრცელებული პირიანი ფორმები ვარ ზმნისა, მაგრამ არ მოგვეპოვება არ ფუძეზე აღმოცენებული საწყისი; არის ვესავ, ვესავთ..., მაგრამ არ არის ამის მიხედვით მოსალოდნეული საწყისი; ენაში არის პირიანი ფორმები ვერჩი ზმნისა, მაგრამ არც ანისი საწყისი მოგვეპოვება...

აქ უნდა გავარჩიოთ ორი შემთხვევა:

1. როცა პირიანი ფორმები გვაქვს (ზოგჯერ ძალიან კარგადაც განვითარებული), მაგრამ მათ არ მოეპოვებათ თავიანთი საწყისი. მაგალითად: ახს, ჭლამის, ერჩის, ჰნებაეს, უნებს, ჰგავს, ღირს, უც, ძეს, უწყის, ვამს...

2. მეორე მხრივ, ფრიად გავრცელებული პირიანი ფორმებისათვის იხმარება სხვა ფუძის საწყისი, რომელიც, ასე თუ ისე, ავად თუ კარგად, აქვს გამოყენებული ამ ტიპის ზმნებს და ნაყოლებობას არა გრძნობს. ამ მეორე კატეგორიის (უსაწყისო) ზმნებია: ვარ, ვიყავ, ვიყოფოდე. ყველა ამათთვის საერთო საწყისად მიღებული არის ყოფა. რომელიც ყავ ფუძეზე ოფ თემის ნიშნის დამატებით არის მიღებული: ყავ-ოფ-ა → ყვოფა → ყოფა. ყოფა საწყისად ორივე გვარს (მოქმედებითსა და ენებითს) აქვს გამოყენებული, ამას იყენებს აგრეთვე საშუალი გვარის ტიპური ზმნა ვარ. ამ ტიპისა აგრეთვე ვზი, ჰზი, ზის, რომელიც წყევტილის (სულ სხვა) ფუძისგან ნაწარმოებ საწყისს იყენებს—ჯდობა. ჯდობა რიცხვში ფუძემონაცვლეა, მრავლობითში სხედ-ს იყენებს: ესხედთ. ამიტომ საკუთარი საწყისის უქონლადაც ოღლად გადის; მაქუს, მაქუნდა... და მსგავს პირიან ფორმებსაც არა აქვთ საკუთარი, მათთვის შესაფერი,

საწყისი, ესენი იყენებენ ებ თემის ნიშნად ქონება-ს, თუმცა მათ ებ თემის ნიშანი არ მოეპოვებათ. მაგრამ რაკი ქონება-ს იყენებენ, არ შეიძლება გადაჭრით ითქვას, მათ საწყისი არა აქვთო. რაკი ქონება-ს იყენებენ, ახლა ისაა მათი საწყისი.

არა აქვს საკუთარი საწყისი ვიცი ზმნას, რომელიც ამ დანიშნულებით იყენებს უფრო გვიან შექმნილ ცოდნა-ს. აქ საკუთარი საწყისის უქონლობა ერთგვარად გამართლებულია: ვიცი წარმოშობით ხომ II სერიის, სახელდობრ, II ხოლმეობითის, ფორმაა. საწყისი კი აწმყოს ფორმაზეა დაფუძნებული. განსახილველმა ზმნამ ოდ სავრცობიან ფორმას მოგვიანებით ნ სუფიქსი დაურთო და მივიღეთ ცოდნა. ნ სუფიქსიანი საწყისების ჯგუფი კი კარგად არის ცნობილი. შდრ. თხოვნა, ხსოვნა და სხვ.<sup>400</sup> ასეთია ცოდნაც. იგივე ითქმის მინა, გინა, უნა ფორმების შესახებაც, რომელთა საწყისებადაც, ჩვეულებრივ, ნდომა არის გამოყენებული.

არსებითად, ყველა ესენი უსაწყისო ზმნებია. უწინ ასეთი უსაწყისო პირიანი ფორმები, ცხადია, მეტი იყო. მერმე და მერმე მათ სხვადასხვა საშუალებით უკვე უწინდებამთ საკუთარი თუ ნასესხები საწყისები.

საწყისთა ეს დანაკლისი დღესაც არ არის მთლიანად გამოსწორებული. დღესაც არაერთი გვაქვს უსაწყისო ზმნა. აქ ერთი კანონზომიერება შეიმჩნევა: უსაწყისო ზმნები უმთავრესად უზმნისწინობია. ეს ორი სახეობა მჭიდრო კავშირში ერთმანეთთან.

სხვა სახის ზოგად დახასიათებაზე აქ არას ვიტყვით. წარმოვადგენთ კონკრეტულად უსაწყისო ზმნებს, რომელთა ანალიზის დროსაც გამოჩნდება ბევრი საინტერესო კერძო თუ ზოგადი ხასიათის კანონზომიერება.

1. **არ (ყოფა):** როგორც ითქვა, ვარ... ზმნას არა აქვს თავის ფუძეზე დაყრდნობილი საკუთარი საწყისი. ის სესხულობს ყავ ფუძეზე აღმოცენებულ საწყისს, რომელიც ასე მიიღება: ყავ-ს ემატება ოფ თემის ნიშანი, რომელიც უკმავეს ამ მარტივ ფუძეს და ვლბულობთ ყვ-ს: ყავ+ოფ→ყვ-ოფ. ახლა ო-ს უშუალო მეზობლად მოხვედრილი ვ იკარგება: ყვ-ოფ→ყ-ოფ→ყოფა, ვ-ს დაკარგვა ო-ს მეზობლობაში ქართული ენის ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელი ფონეტიკური თავისებურებაა. შდრ. თავი—თაობა, კივის—კიოდა. ეს ყოფა არის გამოყენებული არ ფუძიანი პირიანი ფორმების საწყისად. ამავე ყოფა-ს იყენებს აგრეთვე ამავე ზმნის წარსული დროის ფორმებიც: ვიყოფოდე... დასასრულ, ევევე ყოფა აქვს საწყისად აგრეთვე ყავ ფუძის გარდამავალ ფორმებსაც. ენახთო ვარ ზმნის საწყისთა მაგალითები: კეთილ არს ჩუენდა აქა ყოფამ (მ. 17,4; მრ. 9,5); რომელი მაქუნდა მე წინაშე უწინარეს ყოფისა ჩემისა სოფელსა ამას (ი. 17,5); სახლსა შინა შენსა ჯერ-არს ჩემი ყოფამ (ლ. 19,5)

სხვა ფუძის გამოყენება საწყისად გვიანდელი მოვლენა უნდა იყოს. საკუთარი საწყისი ამ ზმნისთვის ბევრ სხვა ენასაც არა აქვს და სხვა ფუძის დახმარებით იესებენ ნაკლს. შდრ. *быть*, პირიანი ფორმა დღეს მხოლოდ III პირს აქვს: *есть* (я *есмя*, ты *еси* დღეს აღარ იხმარება), გერმ. *ich bin, du bist, er ist*, მაგრამ: *sein*.

იგივე (საკუთარი) ყოფა აქვს, ცხადია, ჰყოფს, იყოფების (მოქმედებითი და ვნებითი გვარის) ზმნებს ბუნებრივ საწყისად. ვნებითათვის რამდენადმე ზემოთ მოყვანილი მაგალითებიც გამოდგება, მოქმედებითათვის კი ყოფა ქვემოთ დამოწმე-

<sup>400</sup> ა. შანიძე, საფუძვლები, გვ. 561-562.

ბულ ნიშნებშია წარმოდგენილი: რაი ჯერ-არს შაბათსა კეთილისა საქმს, ანუ ბორჯისა ყოფაი (ლ. 6,9 ყოფა-ს გვერდით უდგას მეორე, სინონიმური, ზმნის საწყისი საქმს!); რომელი შფოთისა ყოფასა ქალაქსა შინა და კაცის-კლვისათვის შეგდებულ იყო საყრობილესა (ლ. 23,19); გწამსა, ვითარმედ ძალ-მიც ესე ყოფად (მ. 9,28).

**2. ახს:** ახს საშუალი გვარის ზმნა ძველ ქართულში ხშირად იხმარება. მისი მნიშვნელობა: ახლოა, ახლოვდება, უახლოვდება. ახს ამ სახით იხმარება ცალკე, უზმნისწინოდაც (მახს, განს, ახს, ახან...) და ზმნისწინითაც (მახს, მოახს, მახანდა, მაახნდა, შეეახლები...)

ზმნა ნასახელარი უნდა იყოს: ფუძედ გამოყენებულია ახლო, ო მოკვეცილია და ფუძეში გვრჩება ახლ, აქედან გვაქვს: მიეახლები... მიეახლებოდეთ... ამ სრულ ფორმებს ჩვეულებრივი საწყისი აქვთ: ვერ უძღეს მახსლებად ერისა მის გამო (მრ. 2,4 C); და იყოს ოდეს მეგულებოდის მახსლებად და მოხილვად მკვდრთა ზედა ქექყანისათა (ეზრა სუთ. დ,18); მახსლებას ჩემ ზედა უკეთურთასა შეჭმად ვორცთა ჩემთა... იგინი მოუძღურდეს და დაეცენეს (ფს. 26,2 ლ); ყოველი იგი ერი ეძიებდა შეახლებად მისა (ლ. 6,19).

მაგრამ დროთა ვითარებაში განსახილველ ზმნაში ხდება ფონეტიკური ცვლილებები: ძირისეული ლ ზოგჯერ სულ ამოვარდება ფორმიდან და გვაქვს: ახს, მახდა, ან ლ ნ-დ იქვე: მახანდა, მოახნდა უზმნისწინო ფორმები უფრო მეტად არის შეცვლილი და გამარტივებული. ზმნაში ყველგან გადარჩა ძირისეული ა, რომელიც. როგორც ჩანს, ადრიდანვე ქვევის ნიშნად იქნა გაგებული და ხელუხლებლად დარჩა.

საკუთარ საწყისზე, რა თქმა უნდა, ზედმეტია ლაპარაკი. რაც შეეხება სრული უნაქლო ფორმის საწყისს (მახსლება, მოახსლება, შეახსლება), მახს, მოახს, მოახს ფორმებში მათი შორეული მოგონებაც კი არ ბუტავს. ყველა უსაწყისოა. თვით მახსლება, მოახსლება და სხვა მსგავსი ფორმები კი ერთობ გვიანდელი ნახვლიანია.

ჯერ უზმნისწინო და ზმნისწინიანი პირიანი ფორმები ვნახოთ: ღმერთი ჩემი ხარი მენ, და ნუ განმეშორები ჩემგან, რამეთუ ჭირი მახს (ფს. 21,11); იხილეთ ყანობრი ივე, რამეთუ განთეთრებულ არიან და ახან მკად (ი. 4,35 C); ჰრჩეუ მას ესავ: ამა ესერა მივახ აღსრულებად (დაბ. 25,32; მახსლებულ ვარ D); ნუმცა ვინ დააკლდების სანატრელსა მას სამკვდრებელსა, რამეთუ ესერა მოახს მოსლვად ნათელი (ისტ. ქრ. II, 21,29); ლუაწლოსა შინა არნ კაცი იგი, რომელი მოახს სიკუდილსა (სწავ. 227,23); განკურნოს ძმ იგი მისი, რომელი მოახნდა სიკუდილ (ი. 4,47. C-ში ფორმა გამარტივებულია: მახდა).

არც ერთ ამ სახეობას (მახს, მოახს, მახანდა, მოახნდა...) თავისი საკუთარი საწყისი არა აქვს. ეს ძველი ვითარებაა. ახალ ფორმებს (მიეახლებ, მოახსლებდა, მოახსლოს...), ბუნებრივია, საწყისიც ახალი აქვს და მიძლეობაც. დამატებით ვნახოთ რამდენიმე ნიმუში: ყოველსა კაცსა არა უფლიეს მახსლებად მავისა (ეზრა ზორ. დ, 28); ამცნენ ყოველთა არა მახსლებად მათა (მამ. ცხორ. 42,11); რაბამ იყოს მოახსლებად აღსასრულისაი (ეზრა სუთ. დ,7); მახსლებულ (ლ. 7,6); მოახსლებულ (მ. 3, 2); შეახსლებულ (2 შჯ. 4,4).

**3. ჰგავს.** უსაწყისო ზმნებს შორის მეტად თავისებურია ჰგავს. იგი თავისი შინაარსით ბინიშუმ ორპირიანია: რომ ერთმა საგანმა მეორესთან მსგავსება აღნიშნოს, სულ მცირე, ასეთი საგანი მოცემულ შემთხვევაში ორი მაინც უნდა იყოს: კატა

ჰგავს ვეფხვს, პეტრე ჰგავს პაელს და სხვ. გვაქვს სამპირიანი უგავს: თინათონს სახე უგავს მზეს.

ჰგავს ძველ ქართულში, ჩვეულებრივ. იხმარებოდა უზმნისწიროდ (ჰგავს. ჰგვანდა, ჰგვანდეს. უგავს, უგვანდა...) და მხოლოდ ერთადერთი შე ზმნისწიროდ (შეჰგავს, შეჰგვანდა... შეუგავს...) ასეთ შემთხვევაში ზმნის მნიშვნელობა იყო: შეეფურება, შეშენის. აქედან ნაწარმოები მიმდებარე გვაქვს: ჭეშმარიტად, დედოფალო, რამეთუ შეუგვანებელი საქმე კქმენ (პარხ. 1228a), მაგრამ ეს გვიანდელი მოვლენაა. ახალ ქართულში ზმნა შე ზმნისწიროდ აღარ იხმარება, სამაგიეროდ სხვები გაჩნდა: მოჰგავს, ჩამოჰგავს, მიაგავს, წაგავს.

უფრო ზმირია უქცევისნიშნოდ ნახმარი გავ ფუძე, მაგრამ არც სასხვისო ქცევის ფორმებია იშვიათობა: უგავს, შეუგავს, შეუგვანდა.

ძიუხნედავად ფორმათა ნაირგვარობისა, ზმნას არა აქვს საწყისი. აქა-იქ ლექსიკონებში ამ ზმნების გამოსატან ერთეულად მიწერილია გვანა, გვანება, მაგრამ ეს საწყისები არ არის. საწყისი ამ (და ამგვარ) ზმნას არა აქვს, ესაა ამათ ძველი, თავიდან გამოყოფილი თავისებურება და დამახასიათებელი თვისება, ამიტომ მათ საწყისებად ხელოვნური ფორმების მიწერა არ სჭირდებათ.

**4-ლი:** აქ იგულისხმება ისეთი პირიანი ფორმები, როგორცაა: ღის, ღინ, სღინ, ღიოდა, ღიოდის, სღიოდის..., აგრეთვე ზმნისწირობები: გამოსღის, გამოსღი-ედ, გარდამოსღიოდა, დასღიოდა, მოღის, მოღიოდეს, წარღიოდის... ეს ზმნა გამოიყენება მხოლოდ თხევად ნივთიერებათა მდინარების აღსანიშნავად. ასეთებია თავლი, მდინარე, ნაკადული, ოფლი, სისხლი, სძმ, ღვინო, ცრემლი, წყალი, წყარო...

აღნიშნულ პირიან ფორმებს (ღის...) საწყისად ჩვეულებრივი წესით არ შეეწყობა დღევანდელი "ღენა", რომელიც ძველმა ქართულმა არ იცის. ამიტომ ძველი ქართულის ლექსიკონებში სათანადო ზმნის გამოტანისას გამოყენებული ყოველი ფორმა (საწყისი) პირობითია და არა ნამდვილად არსებული. უფრო მეტად ეს ითქმის ღინება-ზე, რომელშიც, სხვას გარდა, გვაქვს ებ თემის ნიშანი, რაც პირიან ფორმებში არსად ჩანს. იგი აქ გარდამავალი ზმნების ანალოგიით უნდა იყოს გადმოსული.

**5. ზის:** ზი-ს ტიპური უსაწყისო ზმნაა. ამავე დროს მას სხვა მნიშვნელოვანი თავისებურებანიც ახასიათებს:

1. რიცხვში ფუძემონაცვლეა: ზი მხოლოდ მხოლობითში იხმარება—იგი ზის, მაგრამ: იგინი სხედან.

2. ფუძემონაცვლეა მწკრივების მიხედვითაც: ანწყომი (I სურ.) გვაქვს ზი-ს. მაგრამ წყვეტილში (II სურ.) სხვა ფუძეა: ჯღ-ა. სწორედ ამ ფუძეზე დაყრდნობილი საწყისი (ჯღედ→) ჯღომა აქვს გამოყენებული განსახილველ ზმნასაც: ზის — ჯღომა.

**6. სთნავს.** თნავ ფუძე გამოიყენებოდა ერთი მნიშვნელობით—მოწონება: მთნავს—მოწონს, გთნავს—მოგწონს... ამ გაგებით ის ძველად ზმირად იხმარებოდა.

ამ ზმნასაც არა აქვს საწყისი. თნევა-ს პირობით იყენებენ ლექსიკონებში სიტყვის გამოტანისას, თორემ ძველ ქართულში თნევა არსად გვხვდება. რით უნდა გამართლდეს საწყისში შეტანილი ევ ელემენტი? ის არც თემის ნიშანია, და არც სხვა რამ სუფიქსი, ამიტომ ის არც არის აქ საჭირო. ამდენად, თნევა არსებული პირიანი ფორმების (მთნავს, გთნავს, სთნავს, მთნდა, გთნდა, სთნდა) საწყისად არ უნდა ვიხმაროთ. ეს ითქმის აგრეთვე თნება-ს შესახებაც, რომელსაც ზოგჯერ ხმარობენ თნევა-ს გვერდით, მიუხედავად იმისა, რომ XII-XIII საუკუნის ძეგლებში

თნება საწყისი დადასტურებული აქვს ზ.სარჯველაძეს თავის ლექსიკონში.

სთანავს ზმნა. ჩვეულებრივ, უზმნისწინოდ იხმარება, მაგრამ ძალზე იშვიათად შე ზმნისწინითაც გვხვდება სხვა მხრივ სრულიად იმავე ფორმით, როგორც უზმნისწინოდ: შესთნდა ჰამანს სიტყუაი იგი (ესთ. 5, 14 O); შე(გ)თნლეს იგი და მოიყუანო იგი შენდა ცოლად (2 შე. 21, 11 G). საწყისი არც მას მოეპოვება.

**7. ჰლამის:** ჰლამის შინაარსით არის: სურს, სწავდა. აქვს ოდ სავრცობიანი ფორმებიც: ჰლამოდა, ჰლამოდან. ძველ ქართულში იშვიათად იხმარებოდა. ლექსიკონში გამოტანილ ფორმად ხმარობენ ჰლამა-ს, მაგრამ ჰლამა პირობითი ფორმაა, იგი ტექსტებში არაა დადასტურებული. მამასადამე, ჰლამის ტიპური უსაწყისო ზმნაა.

ლამის დღეს ნაწილად არის ქცეული და. ცხადია, მისი არც პირიანი ფორმა და არც. მით უმეტეს. საწყისი არ არსებობს.

**8. მინა:** მინა-ს ძირეული ბეგრაა ნ. ეს ზმნა ნდომას, წადილს, სურვილს გამოხატავს. აქედან ებ თემის ნიშნით არის ნაწარმოები: მინებს, გინებს, უნებს, ხოლო ნებ ფუძისაგან ავ თემის ნიშნის დართვით მნებავს, გნებავს, ჰნებავს. შინაარსი აქაც იგივეა. თითოეული მათგანი გარკვეულ შემთხვევებში იხმარება. ყველას ის მთავარი თავისებურება ახასიათებს, რომ არც ერთ მათგანს საწყისი არ მოეპოვება. ლექსიკონებში გამოტანილი ნდომა, ნდომება პირობითია.

**9. ჰნებავს:** ავ თემისნიშნის მნებავს, გნებავს, ჰნებავს ზმნები ძველ ქართულში საკმაოდ ხშირად იხმარებოდა, ამის მიუხედავად, მათ არა აქვთ საკუთარი საწყისი. ლექსიკონებში გამოსატან ერთეულებად ხმარობენ ნება, ნებვა (ხან ნებება) ფორმებს, მაგრამ ესენი ძველ ქართულში ჯერ არაა დადასტურებული. ამიტომ უნდა ჩავთვალოთ, რომ გავრცელებული ფორმები მნებავს, გნებავს... უსაწყისოა.

**10. უნებს:** თუ ავიანი ფორმები ნულიანი საარვისო ქცევის ფორმით იხმარებოდა (მნებავს ...), უნებს ტიპის ფორმები მხოლოდ სასხვისო ქცევით გვხვდება: მინებს, გინებს, უნებს. სხვა სახე მათ არა აქვთ. უნებს მწკრივთა ფორმებით მეტად ღარიბია, გვხვდება მხოლოდ აწმყოსა და აწმყოს ხოლმეობითში (უნებს, უნებნ), დ სავრცობიანი მწკრივები არ შეგვხვედრია. საწყისი არც ამთ გააჩნიათ. არაა გამართლებული, როცა ლექსიკონებში ამ პირიან ფორმებს ნებება-ს უწერენ საწყისად. ნებება ვინებებს... ინებებდა... და მისთანებს შეეფერება.

**11. ერჩის:** რჩ ძირიანი ზმნა ძველ ქართულში იხმარება ე პრეფიქსიანი ფორმით (მხოლოდ ფორმით, ვნებითის მნიშვნელობა ამას არა აქვს): ვერჩი, ერჩი, ერჩის. მისი მნიშვნელობა: ვუჯერებ, ვუსმენ, ვემორჩილები, ვაუჯგონებ, მის ნებას ვასრულებ. რჩ ძირიან დამორჩილებას დღეს კარგად აქვს შემონახული ძველი მნიშვნელობა. ერჩის ზმნასაც, როგორც ბევრს მისი ტიპისას, არა აქვს საწყისი, იგი ტიპური უსაწყისოა. ლექსიკონებში საწყისად გამოყენებული რჩოლა, მირჩოლა, მორჩოლა პირობითია, ენაში არც ერთი მათგანი არ გვხვდება და ისინი შექმნილია სხვა ნორმალური ზმნებისა და ახალი ქართული ენის წარმოების მიხედვით და ანალოგიით.

**12. ესავს:** ეს ზმნა სხვადასხვა ადგილას გვაქვს განხილული, რამდენადაც იგი მრავალი თვალსაზრისით არის საინტერესო. აქ კი შევნიშნავთ, რომ ესავს ზმნას არა აქვს საწყისი. თეორიულად მოსალოდნელი იყო ესვა. შდრ. თესავს—თესვა, ლესავს—ლესვა... უნდა აღინიშნოს, რომ ძველ ქართულში უხვად გვხვდება ამ ზმნის მიმღებები და სხვა ნაწარმოები ფორმები: მოსავი, მოსავობა, ღმრთის-მოსავება, სასო, სასოება, სასოწარკეთილი, უსასო, უსასოება და სხვა.

**13. სხენან:** სხენან რიცხვში ფუძემონაცვლე ზმნა. იგი მხოლოდ მაშინ იხმარება, როცა სუბიექტი მრავლობითშია. თუ სუბიექტი მხოლოდობითშია, ზმნას სხვადასხვა ფუძე და მნიშვნელობა აქვს: წოლა, ჯდომა, გდება (ყრა), ძეკს...

სხენან აწმყოა, მის გვერდით გვაქვს აწმყოს ხოლმეობითი. ესა და ეს. I სერიაში მეტი არაფერი მოეპოვება. II სერიაში ამათ ენაცვლება ინიანი ვნებითის ფორმები: ვისხენით, ისხენით, ისხნეს. საწყისი ამათ არა აქვთ. თეორიულად მოსალოდნელი სხმა ძველ ქართულში ამითვის არ იხმარება. მისი შინაარსი ქონება, ყოლა, ИМЕТЬ. მაგალითად: უმჯობეს არს შენდა ერთ-თუალისა შესლვად ცხორებასა, ვიდრე ორთა თუალთა სხმასა და შთაერდომად გეპენიასა (მ. 18,9).

**14. აქუს:** ეს არის ერთ-ერთი ყველაზე უძველესი ზმნათაგანი ყოველ ენაში, მათ შორის ქართულშიც. ამიტომ, რომ მას ბევრი თავისებურება შემოუნახავს.

ძველ ქართულში ფართოდ გავრცელებული და მრავალფეროვანი ფორმების მქონე ამ ზმნას არა აქვს ჩვეულებრივი საწყისი, თუ, რასაკვირველია, საწყისის ქონებად არ ჩავთვლით ოთხ მაგალითს, რომლებიც ხელთა გვაქვს. ესენია: ზეგარდ-მო ქონებითა სარწმუნოებისაძთა ეტყოდა მათ (სვან. 389v); მართალნი შეკლენან ამას, რომელნი სარწმუნოებითა განმართლებულნი ზიარ იქმნეს ანგელოზთა თანა ფლორისა ქონებითა შესლვად ცათა (სინ. 195,30); ჯერ-არს ჩუენდა ქონებად სარწმუნოებად (ბოლნ. 19,31); ესე თანა-აც ქონებად (A-689, 47r). მაგრამ ეს წვეთია ზღვაში. მაინც მნიშვნელოვანია, რომ უკვე დაწყებულია ამ ზმნისთვის საწყისის შექმნის პროცესი. მაგრამ აქ ერთი კი უნდა დავუმატოთ: ყველა მაგალითი უსულს საგნების ქონებას აღნიშნავს. ჯერ არსად ჩანს საწყისი ცოცხალ საგანთა ქონების აღსანიშნავად, არც ზმნისწინიანი ფორმებისათვის.

რაკი ეს საწყისი არსად ჩანდა, ძველი ქართული ენის ლექსიკონებში სათანადო პირიანი ფორმები, ჩვეულებრივ, ქუან, ქუან საერთო მეთაურთა არის განსამარტავად გამოტანილი.

**15. ღირს:** ღირს ზმნას დაახლოებით ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორიც ვამს, ჯერ-არს ფორმებს: ასე უნდა, ასეა საჭირო, ასე ევალება (ასეა საგალობლო, წესია, კანონია), შეეფერება, ბოლოს—ღირს. იგი იხმარება ერთპირიანი და ორპირიანი ფორმებით (ღირს, უღირს...). ამ ზმნას არა აქვს საწყისი. აწმყოს მესამე პირის ფორმას (მხოლ.) ეყრდნობა ღირს+ი—ღირსი, უ-ღირს-ი, რომლის ნიმუშებიც ძველ ქართულში არააიშვითა: ღირსი სინანულისა (მ. 3,8; ლ. 3,8). შდრ. მრწამსი→მრწამსი, ვამს→უ-ვამსი, ჰვავს→მსვავსი (ა. მანიძე). თვით ღირსიდან მიღებულია უღირსი (მ. ცხ. 177r; 229r).

**16. იცის, უწყის:** არა აქვს საწყისი ისეთ საყოველთაოდ ცნობილ ზმნასაც, როგორიცაა ვიცი. ზმნის ძირია ც. იცის ზმნის მსგავსია უწყის, რომლის შინაარსიც იცის ზმნისას ემთხვევა. მისი უ გვაფიქრებინებს, რომ ის წარმოშობით შეიძლება სასხვისო ქცევის ნიშანი იყოს: უწყის მან იგი. შდრ. უ-ც-ი-ს მან (მას) იგი (=უცბინა—ცემა-დან); აღ-უ-გ-ი-ს, უ-თხრ-ი-ს, გან-უ-წმიდ-ი-ს<sup>404</sup>. მანაც აწმყოში დაიძვირა ადგილი. მაგრამ სინტაქსური ძალა ძველი შეინარჩუნა.

ორივე გარდამავალი ზმნა, ორივეს დაახლოებით ერთი და იგივე შინაარსი აქვს, თუმცა ვიცი უფრო ხშირად იხმარება. საწყისი არც ერთ მათგანს არ გააჩნია.

<sup>404</sup> დ.მაჭუყარაძე, უწყის ზმნის ეტიმოლოგიისათვის: ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, 11, 1953.

უწყება, რა თქმა უნდა, სხვა ზმნას ეკუთვნის: აუწყებს იგი მას მას—უწყება. ამას ვერ ვიტყვით იცის და უწყის ზმნების შესახებ: ცოდნა საწყისი ძველ ქართულში არ გვექონია, ხოლო უწყის ფორმას იგი ღლეცა არ გააჩნია.

**17. მიც:** მიც, გიც, უც ნიშნავს: მაქვს, გაქვს, აქვს. ეს ძირეული ც წარმოშობით ძ(←ძე)-საგან უნდა მომდინარეობდეს: მიც ←\*მიძს ←\*მიძეს, ვიცე ზმნის ძირეულ ც-სთან მას გენეტიკური კავშირი არ უნდა ჰქონდეს. ეს ზმნა სასხვისო ქცევის ფორმით იხმარება: მ-ი-ც, გ-ი-ც, უ-ც.

თუ გრამატიკული სუბიექტი მრავლობითში არის დასმული, ც-ს ენაცვლება სხენ: მისხენ, ვისხებ, უსხენ. მიც, გიც, უც, ჩვეულებრივ, უზმნისწინოდ იხმარება. ძალზე იშვიათად გვხვდება ერთადერთი და ზმნისწინით: დამიც, დავიც, დავუც. მნიშვნელობა აქაც იგივე აქვს, რაც უზმნისწინობთან: ქონება, иметь, დავუც—აქვს.

მიც, გიც, უც ხშირია რთულ ზმნებში მეორე შემადგენელ ნაწილად. მოვიგონოთ უკვე განხილული რთული ზმნები: ძალ-მიც (შემიძღია, ძალა შეძწევს), ზედა-მაც (შევალება, ჩემთვის საჭიროა, მე უნდა...); თანა-მაც (შევალება, მოვალე ვარ).

ამ ძველთაძველი წარმოშობის ზმნას საწყისი არა აქვს. რაც შეეხება ისეთ ფორმებს, როგორიცაა ზედა-ლება, თანა-ლება, ძალ-ლება, რომელთაც ხშირად იყენებენ ლექსიკონებში სათანადო პირიანი ზმნების მეთაურად, ისინი ძველ ქართულში არსად გვხვდება და საწყისებადაც ვერ ჩაითვლება, ისინი შექმნილი პირობითი ფორმებია ლექსიკონში სათანადო მაგალითების მოძებნის გასაადვილებლად.

**18. ძეს:** ამ ზმნას არც ძველად ჰქონდა და არც ღლეს გააჩნია თავისი ფუძის მიხედვით ნაწარმოები საწყისი. ესეც ტიპური უსაწყისო ზმნაა. ხმარობენ ხოლმე ღება, ღლება ფორმებს, მაგრამ ეს სხვა საწყისებია.

**19. ვამს:** ძველ ქართულში გავრცელებული ზმნაა. მისი მნიშვნელობაა: საჭიროა, ასე უნდა, ასე მართებს, ასეა წესი... იხმარება ერთპირიანი (ვამს, ვამნ, ვბდა...) და ორპირიანი (მივმს, გივმს, უვმს...) ფორმებით.

არის კიდევ სხვა უსაწყისო ზმნებიც, მაგრამ საერთო შთაბეჭდილების შესაქმნელად აღნიშნულივ საკმარისია. ამ უსაწყისო ზმნათა სახით ჩენ საქმე გვაქვს ქართული ზმნის შექმნისა და ჩამოყალიბების უძველეს ფენებთან. სწორედ ამიტომ განუზომელია მათი მნიშვნელობა.



## XV. მიმღეობა<sup>403</sup> (მასალები)

ყოველი კულტურული ენის ლექსიკურ შემადგენლობაში ერთ-ერთი მთავარი ადგილი უჭირავს მიმღეობებს, ზმნის ფორმათაგან ნაწარმოებ ერთეულებს. ქართულშიც, ძველსა და ახალში, ასეა. აქ ჩვენ გვაქვს ფართო მოცულობით წარმოდგენილი სხვადასხვა ტიპის მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი მიმღეობა, რაც ფრიად ამდიდრებს ჩვენი ენის ლექსიკას, მეტ გამოშასხველობით ძალას ანიჭებს მას. ჩვენი ენის ამ დიდ შესაძლებლობას, სხვა ფაქტორებთან ერთად, განაპირობებს, საერთოდ. სიტყვათწარმოების მრავალფეროვნება, კერძოდ, მიმღეობათა მწარმოებელი მრავალსახოვანი პრეფიქს-სუფიქსები.

მიმღეობათა საწარმოებლად ძველ ქართულს გამოყენებული აქვს:

a) მხოლოდ პრეფიქსები: მ-ბრძოლი, მ-ვდომი, მ-ჯობი... ნა-ბანი, ნა-გოზი, ნა-გუმი, ნა-კეცი... სა-ტყორცი, სა-ლუაწი, სა-წონი... უ-ზომი, უ-ტყვ, უ-ქმი, უ-შენი.  
b) მხოლოდ სუფიქსები: ბან-ილი, დაბურვ-ილი, დადგრომ-ილი, შევრდომ-ილი... ადგებ-ული, დეენ-ული, კრებ-ული, შემეკ-ული...

c) ყველაზე ხშირი და მრავალფეროვანია პრეფიქს-სუფიქსიანი წარმოება:

ა — ან: მ-ტკივ-ან-ი, მ-ჩივ-ან-ი...

ა — არ (ა — ალ): მ-გოზ-არი, მ-კენ-არი, მ-ზრახვ-ალი, მ-წყრ-ალი...

ა — არ /ალ -ა: მ-ბზინვ-არ -ე, მ-გზებ-არ -ე, მ-კრთომ-ალ -ე, მ-კურვ-ალ -ე...

ა — ა: მ-ძლ-ე, მ-რისხან-ე...

ა — იარ: მ-შ-იერი, მ-ცბ-იერი...

ა — ულ: მ-საჯ-ული...

ა — ურ: მ-დგ-ური...

აა — ურ: მა-ცთ-ური... და ბევრი სხვა.

მარტო მ პრეფიქსით და პრეფიქს-სუფიქსით 30 ტიპის წარმოებაა ძველ ქართულში, ნა-თი—12, სა-თი—12, უ-თი—6. ყველაზე ნაკლებია ოდენ სუფიქსიანი წარმოქმნა, იგი მხოლოდ 2 სახეობისაა, მაგრამ ძალზე გავრცელებულია. ეს სუფიქსებია ილ და ულ (ტფ-ილი, შე-ილი /←შევ-ილი/... ადგებ-ული, განტყევბ-ული...). ეს ჩვენი ენის ლექსიკის უდიდესი სიმდიდრეა. ნიშნეულია ისიც, რომ დროთა სვლაში ენის ლექსიკური შედგენილობის განვითარება-გამდიდრებაში მიმღეობებს სხვებზე მეტი ადგილი უჭირავს.

<sup>403</sup> მიმღეობათა კლასიფიკაციის თაობაზე ავტორებს ვანსხეაეული შეხედულება ქაონდათ. იმის გამო, რომ ამ ნაწილის დამუშავება საწყის ფაზაშია მხოლოდ და არა ბოლომდე მიყვანილი და ხორცშესხმული (ამიტომ ქვეა "მასალები"), ეპიკრიტი, საერთოდ, მის ამოღებას. მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ მან ამ სახითაც შეიძლება დახმარება გაუწიოს დანტერესებულ პირთა და საკითხის შემდგომს კვლევასაც შეუწყოს ხელი, ბოლოს მაინც დაეტოვე ტექსტში ისე, როგორც ეს ი. იმნაიშვილს ქაონდა ჩაუთქრებული-ე. ი.

ქვეით ვუჭვენებთ ძველი ქართულის მიმღობათა წარმოების ძირითად ტიპებს.

## A. მ-პრეფიქსიანი მიმღობები

### I. მ—(ოლ, იმ...)

1. მ-ბრძოლ-ი მებრძოლი. აქ და სხვაგანაც ზოგჯერ მიმღობაში გადმოსულია საწყისისეული სუფიქსები ოლ, იმ და სხვები. ეს, ერთი მხრივ, ფონეტიკური მიზეზებით აიხსნება: ამ სუფიქსების გარეშე ძნელად გამოსატყეველი კომპლექსები შეიქმნებოდა. მეორე მხრივ, ბრძოლა, ღვამა, ჯღამა და მისთანანი იმდენად დამკვიდრებული იყო ენაში, რომ მიმღობის წარმოებისას მათს ჩამოცილებას საჭიროდ არ თვლიდნენ.

2. მ-ღვ-ომ-ი, ღა-მ-ღვ-ომ-ი, წინა-ალ-მ-ღვ-ომ-ი.

3. მ-ზირ-ი მოთვალთვალე: მზერავე, დადარაჯებული, ჩასაფრებული: ზმნის საწყისა მზირა. მზირი ← მ-მზირი: დაჯდის იგი მზირად მდიდართა თანა ფარულად მოკლვად უბიწოდსა (ფს. 9,29); მზირნი აღდგედ მწრაფულ ადგილით მათით (ისუ ნ. 8,18 G).

4. მ-ზრახ-ი ბევრის მოლაპარაკე, ყბელი: ფრიად მზრახნი ენისაგან მოინადიროს (სწავ. 274,16); მომზრახნი—დამზრახავი: შენ ხარა აგათონ, მომზრახნი და მასმენელი (მ. ცხ. 234r).

5. მ-მთავრ-ობ-ი მთავარი.

6. მ-ნათ-ობ-ი (რიცხ. 4,8) მანათობელი.

7. მ-სახლ-ობ-ი (ლევ. 25,55) მონა; მახლობელი (სახლში რომ ჰყავს).

8. მ-სრბ-ოლ-ი, მალედ-მ-სრბ-ოლ-ი მორბენალი.

9. მ-სხდ-ომ-ი, ალ-მ-სხდ-ომ-ი.

10. მ-ღამ-ი, მ-ღამ-ობ-ი, მ-ღამ-ი-ობ-ი ღამურა.

11. მ-ყოფ-ი (უძვ. რედ. 212,3) მცხოვრები.

12. მ-ძლ-ომ-ი, წინა-მ-ძლ-ომ-ი.

13. მ-წ-ოლ-ი იყო იგი მეფისა თანა მწოლ (3 მეფ. 1,4); მწოლნი (ეს. 57,8).

14. მ-უდ-ომ-ი მტერი, წინააღმდეგობი, მოდავე.

15. მ-უეშილ-ი მცველი, ყარაული.

16. მ-ჯღ-ომ-ი კიბო (ავადმყოფობა).

17. მ-ჯღ-ობ-ი.

### II. მ — ავ

ეს ჯგუფი არსებითად I ტიპს ეკუთვნის, რადგან სუფიქსი ავ მიმღობის მაწარმოებელი კი არ არის, არამედ ზმნის თემის ნიშანია და მიმღობას აქაც მხოლოდ მპრეფიქსი აწარმოებს (ლოცავს—მლოცავი). მაგრამ ზემოთ განხილულ ჯგუფში ამათი შეტანა მაინც გაუმართლებელი იქნებოდა: ავ თემისნიშნისანი ზმნები (პირიანი ფორმები, საწყისები, მიმღობები) იმდენად თავისებურია და განზე დგას ბევრი მნიშვნელოვანი ნიშნის მიხედვით, რომ უფრო მართებულად მივიჩნიეთ მათი ცალკე ჯგუფად გამოყოფა.

ამ ტიპის მიმღებები ბევრია. ჩვენ უფრო დამახასიათებელსა და გავრცელებულს მოვიყვანთ. ამას ამართლებს ის გარემოებაც, რომ ავ თემის ნიშნის მიმღებად დავილი საწარმოებელია. ასეა თუ ისე, მ — ავ წარმოებას ვთვლით ცალკე ტიპად.

1. მ-გურინ-ავი მგორელი, მოტირალი: დღეს ალუდგინის მატებელი შესხმით და ხვალე ალუდგინის მგურინაი ტყებით (ბალ. 8,5).

2. მ-დრტვენ-ავი უკმაყოფილო, მობუზლუნე, მოშივანი: ნუმცა ვინ თქვენგანი არს ურჩ და მდრტვენ (სწავ. 243,10). არის ამის გვერდით აგრეთვე მდრტვენელი. მაგრამ ამას სხვა ჯგუფში განვიხილავთ (მ — ელ / მ — ავ ელ).

3. მ-ხუელ-ავი ხმით მიმბაძველი, თუთიყუშით (ი. აბულ.).

4. მ-ყერ-ავი (ბალ. 14,3)

5. მ-ლოც-ავი (მ. ცხ. 303, v)

6. მ-ხარ-ავი (მ. 24,43; ლ. 12,33) ქერდი. მხარავი მიმღებია. არსებითი სახელი ქერდი ძველ ქართულში არ იყო, ამ ფუნქციით ეს მიმღებია იხმარებოდა.

7. მ-რეწ-ავი (მრავ. 258,30) შშონელი, მომპოვებელი, შეშენი.

8. მ-სიმ-ავი (ეხეკ. 16,32 I; ლომ. 39,10; 2 შჯ. 23,17 M) მემავი მამაკაცი.

9. მ-სტვენ-ავი უმა მათი, ვითარცა გუელისა მსტვენისა (იერ. 46,22 pb: მსტვენარისა O).

10. მ-ტყუნ-ავი მძარცველი, ამოხრებელი, ამკლები; დამატყვევებელი.

11. მ-ფიც-ავი ამისთვის გვედრები, რადთა განემორო მტყუნელსა ჰამბავთა ბოროტასა და ეკრძალო მტყუნართა მფიცავთა (სწავ. 160,24).

12. აღმომ-მფშენ-ავი სული რომ უდგას, რომ სუნთქავს, ისეთი: არა დაშთა მას შინა აღმომფშენავი (ისუ ნ. 11,11 G; მშენიერი M).

13. მ-ღრინ-ავი (ლევ. 11,18) ფრინველია.

14. მ-ჩხიბ-ავი (საკ. წ. II, 124,34) გრძნეული, მისანი.

15. მ-ჩხრეკ-ავი მწერალი, გადამწერი. ამ მინაარსით ჩვეულებრივ მჩხრეკალი იხმარება, მაგრამ ეს მიმღებობათა წარმოების სხვა ტიპია (ნ. ქვემოთ).

16. მ-ჭურინ-ავი (ბალ. 57,31; 58,5) ჩიტი (ი. აბულ.).

### III. მ — ან

1. მ-ტკივ-ანი მტკივნეული, მწველი: ჭირი მტკივანი და საღმობა გამოუთქმელი (სინ. 119,7); სიმწარე იგი სატანჯეულთა მტკივანთა (სწავ. 127,21); შიენყნარეთ სიტყუანი ჩემნი, ვითარცა წამალი მტკივანი (იქვე, 270,30).

2. მ-ჩივ-ანი მოშივანი, ყველაფერზე რომ ჩივის, ყველას რომ უჩივის: მონაზონი ურჩი მჩივანი ფრად მენებელ არს ადგილსა (სწავ. 242,27).

3. მ-ჭკუ-ანი შეწუხებული, მწუსარი.

4. მ-უკუ-ანი მყივარა, მოჭიხინე, ხმაურანი: რომელსა სიუმელე საკუთრად აქუს, ეწოდა მას ქუყანა, ვითარცა-იგი მკუყანსა ეწოდა ცხენ (უძვ. რელ. 59,32).

### IV. მ — არ(ალ)

ძირითადი სუფიქსია არ (მგოზ-არ-ი, მღვ-არ-ი, მთესვ-არ-ი...), ალ დისიმილაციით არის მიღებული არ-ისაგან ისეთ ფუძეებთან, რომლებშიც შედის რ თანხმონი. ამ ორი რ-საგან მეროე, როგორც წესი, ლ-დ იქცევა: მ-გორე-ალი, მ-დრტვენ-

აღ-ი, მ-ზრახვე-აღ-ი, მ-კანრე-აღ-ი... ეს წესი მკვიდრად არის დაცული ქართულში საერთოდ და სახელთა წარმოებაშიც ასე გვაქვს.

1. მ-ბობღნ-არ-ი: როკვილა კიღობანსა მას პირით, შორის მსტვენვართა მათ და მბობღნართა (2 მეფ. 6,14 I) შედაფულაფე.

2. მ-გბ-არ-ი მოხარშული.

3. მ-გმობ-არ-ი: დაინთქეს ენონნი და გემობარნი (სწავ. 278,17).

4. მ-გოზ-არ-ი: მამა ვისმე ერქუა ბეთლემელსა გეოზარსა, ამან აღაშინა და განგოზა ლაკუად და სკეპტორი (კომ. II, 210,6).

5. მ-გორე-აღ-ი: იხილა ვინმე ბერი შუენიერი ზედამეჯდომარც აქლემსა მას გეორეულსა (კომ. II, 209,25).

6. მ-ღე-არ-ი.

7. მ-ღინ-არ-ი: იხილეს... აღმოსავალით ბორცუსა მას წყალი აღმომცენარე, მღინარი და შუენიერი (ზარზმ. 153,25) მიმღინარე.

8. და-მ-ღნ-არ-ი: ვიღრემდის კოჭი მისი გამომბურალ იყო და წუვივი მისი ძუალითურთ და ჯორცით დამღნარ იყო და ზენდა მიწვენული სიმყრალესა (კომ. I, 326,2).

ამ ტიპის მიმღეობები გვარის მიხედვით, ჩვეულებრივ, მოქმედებითა, და-მღნარი და აქვე ნახსენები გამომბურალი და სხვა ამათი მსგავსი კი—ენებითი (თუ საშუალი). მაგრამ ახლა აქ გვარზე ვერ ვილაპარაკებთ.

9. მ-დრტვენ-აღ-ი: მდრტვენალთა ისწაონ სმენამ და ენამან ბრგუნვილმან ისწაოს სიტყუად მშუიღობისად (სინ. 145,9). ჩვეულებრივია მდრტვენავი და მდრტვენ-ველი.

10. მ-ღუმ-არ-ი

11. მ-ზაკუ-არ-ი

12. და-მ-ზიდ-არ-ი ძირს დამწევი: ყოველივე ჯორციელი ნივთი არს ქუე დამზიდვარი (მ. ცხ. 165r).

13. მ-ზრახვე-აღ-ი მრჩეველი; მოლაპარაკე: ამა ესერა კაცი, სახელით იოსებ, მზრახველი. იყო კაცი სახიერი და მართალი (ლ. 23,50 DE); კაცი მზრახველი ედუკაციისა მიმართ (მსაჯ. 13,11 G).

14. მ-ზუაობ-არ-ი ამაყი, ამპარტაენი, ქედმაღალი.

15. მ-თეს-არ-ი (მთესველი)

16. მ-თხე-არ-ი (?) წერილ-წერილი რამეების გადამყრელი.

17. მ-თხეულ-არ-ი მებაღური, მეთევზე (რომელიც ბაღით იჭერს თევზს. ძველ ქართულში ასეთ ბაღეს სათხეველი ერქუა, ხოლო ამგვარი ბაღით მეთევზეს —მესა-თხეულე, მთხეულარი).

18. მ-კანრე-აღ-ი / მ-კანრე-ველ-ი: იტყოდა პეტრე, რომელსა ერქუა მკანრე-ვალ (კომ. II, 162,30).

19. მ-კბენ-არ-ი

20. მ-კედ-არ-ი

21. მ-კუეც-არ-ი მპარსველი. ითქმის კაცზე, ვინც პარსავს, და იარაღზეც, რითაც პარსავენ. ესაა საყუნელი, საყვნელი.

22. მ-კურნ-აღ-ი

23. მ-ურკ-აღ-ი, მ-ურკნ-აღ-ი / მრ. 9,3/ (მმურკველი, მმურკნველი) გამთეთრებელი.

24. მ-როკე-ალო-ი (კიმ. I, 73,19,20) /მროკეული მოცეკვავე
25. მ-რქენ-ალო-ი (გამ. 21,29).
26. მ-სახრე-ალო-ი (აპოკრ. 4,12) გრძნეული, ჯადოქარი.
27. მ-სტღვ-არი-ი (/მსტუარი) მოთვალთვალე, მზვერავი, ჯამუში.
28. მ-სტვენ-არი-ი მსტვენელი, დამსტვენელი.
30. მ-ტვებ-არი-ი, მ-ტვობ-არი-ი მარბიელი, მღევარი.
31. მ-ტირ-ალო-ი
32. მ-ტირობ-ალო-ი უბელო, ლაგამდაუღებელი საჯდომი; მგალობელი (?).
33. მ-ტყუვ-არი-ი მატყუარა.
34. მ-ფრცხენ-ალო-ი ჩლიქაობილი.
35. მ-ქან-არი-ი დაქანებით მომავალი, სწრაფად მომდინარი: გამონდეს სიონს შინა, ვითარცა მდინარე მქანარი (ეს. 32,3 pb; მომავალი O); აღმოვდეს მქანართაგან იორდანისათა (იერ. 50,44 O).
36. მ-ღებ-არი-ი
37. მ-ღუნ-არი-ი (4 ძეგ. 208,24).
38. მ-ყრ-ალო-ი
39. მ-ყვრ-ალო-ი
40. და-მ-შთვ-არი-ი, მო-მ-შთვ-არი-ი დამხრჩვალი.
41. და-მ-შრ-ალო-ი
42. და-მ-შრ-ალო-ი (დამშრალი, გამხმარი, ჩამოხმარი, გადატ. გულდამწვარი): დამშრალ და დაწერტილ ვარ მე სიყუარულითა (სინ. 227,31).
43. მ-ჩხრეკ-ალო-ი (სინ. 283,21) მწერალი, გადამწერი. შდრ. მჩხრეკავი.
44. მ-ცონ-არი-ი ზარმაცი, გაუბედავი, შდრ. მცონარე.
45. მ-ცურ-ალო-ი, მ-ცორ-ალო-ი მცურავი.
46. გამო-მ-ცხვ-არი-ი გამომწეარი: გამომცხვარი ცეცხლითა კეცი (მ. ცხ. 352v).
47. მ-ძნობ-არი-ი სიმებიან საკრავზე დამკრეული.
48. მ-ძოვ-არი-ი
49. გამო-მ-ძურ-ალო-ი
50. მ-ძოვ-არი-ი, წინა-მ-ძოვ-არი-ი
51. მ-წერ-ალო-ი მწერალი; მხატვარი: აბრალებელ და ჰემობელ წერილს ხატისა მისისასა, რაჟამს ვერ გამოწეროს კეთილად. და შენ მსგავს ხარ მწერალსა დაფარულად (სწავ. 290,1).
52. მ-წიხნ-არი-ი წიხლის მცემელი: მსგავსად ცხენის ბოროტისა და შწიხნარისა და მკებნარისა (Опис. 120,12 ქვ.).
53. მ-წიხნ-არი-ი მწურავი, მჭყლეტელი: ვითარცა მწუნხართაგან საწიხნელი-სათა სავსე დათრგუნეილებითა (ეს. 63,2 I).
54. მ-წოვ-არი-ი (მ. 21,16 C; მრავ. 279,10; 312,37) რომელიც თუბეს წოვს.
55. მ-წუ-არი-ი, მო-მ-წუ-არი-ი, და-მ-წუ-არი-ი
56. მ-წუნობ-არი-ი (სწავ. 260,33; 273,2) მზავრელი, შეურაცხყოფელი.
57. მ-წყევ-არი-ი დამწყველი.
58. მ-წყრ-ალო-ი
59. მ-წყოდ-არი-ი, მ-წყდ-არი-ი, მო-მ-წყოდ-არი-ი ნახევრად მკედარი, ცოცხალ-

მკედარი.

60. და-მ-ჰუნ-არ-ი დამჰუნარი.
61. მ-ხატვ-არ-ი დამხატველი; გამო-მ-ხატვ-არ-ი მხატვარი; წარავლინნა ყოველთა მიმართ საბრძანებელთა მისთა გამომხატვარნი (რიფს. 163,5).
62. მ-ხედვ-არ-ი ვინც ხედავს; დაამტკიცა ანგელოზი თაყუანის-მცემელი, შეზავებული, მხედვარი (გრ. ანბ. 297,26); და-მ-ხედვ-არ-ი (ი—ე, 34, 16) ზედამხედველი. უფროსი.
63. მ-ხერვ-ალ-ი წამყვანი, მატარებელი; მოყვანდი შენ საჭეთა-მხერვალთა შენთა (ეზუკ. 27,26 O) მესაჭეებს.
64. მ-ხუდ-არ-ი რაც ერგო, რაც შეხვდა; არა მხუდარ იყო მისდა... სამკვდრ-ებელი (მსაჯ. 18,1 G).
65. მ-უედ-არ-ი ცხენზე (ჯორზე, ვირზე) მუკდომი; მერმე; მეომარი.
66. მ-უმობ-არ-ი მსმობელი, ხმის გამოძღები, დამძახებელი.  
გვაქვს რამდენიმე მიმღობა, რომელთაც აგრეთვე მ —ალ მაწარმოებელი აქვთ, მაგრამ ალ სუფიქსი პირველადი ჩანს და არა არ-ისაგან მომდინარე. მაგალითად: და-მ-ბ-ალ-ი (=და-მ-ლბ-ალ-ი), მო-მ-პ-ალ-ი (=მო-მ-ლპ-ალ-ი).

## V. მ — არ(ალ) -ე

1. მ-ბდნვ-არ-ე (ეს. 42,3; მ. 12,20 DE; აღნთებული C).
2. მ-ბზინვ-არ-ე (ლ. 13,37) ბრწყინვალე.
3. მ-ბრწყინვ-ალ-ე ბრწყინვალე.
4. მ-ბუვ-არ-ე მოზუზუნე მწერი, ჭუპრი.
5. მ-გზებ-არ-ე (იერ. 1,13) ანთებული, ავიზვიზებული.
6. მ-გლინვ-არ-ე გლუვი; რომელნიმე გგლინვარე არიან ქერქითა და რომელნიმე—მქისე (უძვ. რედ. 72,8).
7. მ-გლოვ-არ-ე
8. მ-დგომ-არ-ე
9. მ-დებ-არ-ე; ესე იხილა იესუ მდებარე (ი. 5,6).
10. მ-დინ-არ-ე რაც დის, მიმდინარეობს. გვაქვს ზმნისწინანი ფორმებიც: აღმომდინარე (მ. ცხ. 79r); დამომდინარე (ფს. 132,2 წ).
11. მ-დულ-არ-ე
12. მ-თოვ-არ-ე მთვარე.
13. მ-კრთომ-ალ-ე (უძვ. რედ. 225,5) მცემელი, მოძრავი.
14. მ-კსინვ-არ-ე (უძვ. რედ. 55,21) სუსხიანი, ფიცხი, განროისხებული.
15. მ-კუმოლვ-არ-ე აკვამლებული; პატრუქი მკუმოლვარე არა დაშრიტოს (ეს. 42,3 pb).
16. მ-კუსოლ-არ-ე იხილა იგი მკუსოლარე (მრ. 14,67 C; ტფებოდა რაი DE).
17. მ-ლტოლვ-არ-ე გაქცეული, რომ მირბის.
18. მ-ნთებ-არ-ე ანთებული; სანთული მნთებარე (მ. ცხ. 286v).
19. მ-სხდომ-არ-ე
20. მ-ტკუეფლვ-არ-ე, გამო-მ-ტკუეფლვ-არ-ე დაშსკლარი
21. მ-ფოფინ-არ-ე (სწავ. 24,29; კიმ. 1, 220,16) აქაფებული, ალელებული, აზვირთებული.
22. მ-ფრინვ-ალ-ე /მ-ფრინვ-ალ-ი /მ-ფრინვ-ელ-ი

23. მ-ღელვ-არ-ე  
 24. მ-ღუნ-არ-ე /მ-ღუნ-არ-ი მოხრილი, მოღუნული: მღუნარედ ვიდოდის (ზირ. 12,11 и ходил согнувшись).  
 25. მ-ღვძ-არ-ე  
 26. მ-ყვრ-ალ-ე (ს. მეს. 22,29), მ-ყვრ-ალ-ი  
 27. მ-შობ-ი-არ-ე  
 28. მ-ცქნ-არ-ე, აღმო-მ-ცქნ-არ-ე (უძებ. რედ. 61,11), გამო-მ-ცქნ-არ-ე (ანგ. 1,10).  
 29. მ-ცონ-არ-ე /მ-ცონ-არ-ი ზარმაცი, გაუბედავი: მცონართა უშუეღინ და მოწყინეთა შეეწეინ (იქვე, 242,30).  
 30. მ-ცხინვ-არ-ე მცხუნვარე: ბრწყინავენ მცხინვარედ, ვიდრემდის პერთა განანათებნ (სწავ. 141,1).  
 31. მ-ძინ-არ-ე  
 32. მ-ძრწოლ-არ-ე მოცახცახე, მკრთოლარე: მუელი მრგუალ არს და მსხლე-ტარე და დავსნილ და მძრწოლარე (უძებ. რედ. 132,10).  
 33. მ-ძურომ-ალ-ე ქუეწარმავეალთაგან, მძურომაღეთა ქუეყანასა ზედა (ლევ. 11,29 G; რომელნი ძურებინ O).  
 34. მ-ძუნვ-არ-ე სასტიკი, ბოროტი: ნინეველნი იყუნეს...მძვნარე, ვითარცა მკეცნი (სწავ. 42,269; /ვარსქენი/ ვითარცა მკეცი მძვნარე ყიოდა (შუმ. 6,17).  
 35. მ-წთოლვ-არ-ე, მო-მ-წთოლვ-არ-ე: ბაგენი მისნი შრომან და მოძწთოლვა-რე მურითა სავსედ (ქებ. 5,13) გამომადინებელი, რომ მოწვეთავს.  
 36. მ-წოლ-არ-ე (ლ. 2,16)  
 37. მ-წუხ-არ-ე  
 38. მ-ჭმუნვ-არ-ე, მ-ჭუნვ-არ-ე  
 39. მ-ხილვ-არ-ე, ზე-მ-ხილვ-არ-ე: მივქხენდეთ...თუალთაგან ზე-მხილვარეთა, საყოფელთა საკვრეველთა, სავანეთა საუკუნეთა (Опнс. 158,19).  
 40. მ-ემობ-არ-ე  
 41. მ-ვურვ-ალ-ე  
 42. მ-ჯდომ-არ-ე (მრ. 7,30; ლ. 5,27).

## VI. მ — ე

- ამნარი მიძღობები, საერთოდ, ცოტაა; რაც არის, ისიც იშვიათია. აი, ისინი:
1. გან-მ-გ-ე ჩვეულებრივია გან-მ-გებ-ელ-ი.
  2. მ-თქრ-ე: პირველ მთქრე ასპარეზსა ზედა მენეთასა (H-341,544). თქრომა გაქცევა, სირბილია, ხოლო მთქრე—მორბენალი.
  3. მ-კადრ-ე გამბედავი, შემძლე: ვერ მკადრე ვარ აწ პირველ ღმრთისა ტანჯვად შენდა (მ. ცხ. 98v).
  4. მ-კვრნ-ე გაკვირებული: შეხედვიდა მათ მკვრნედ (H-341, 602).
  5. მ-ლიქნ-ე მამებელი, მლიქნელი: გონებისა შენისაებრ სახელი გეწოდა შენ, აგრიკოლოზ—ველური მლიქნე (სბსტ. 127,18).
  6. მო-მ-ლოლ-ე ვინც ელოდება: გიხაროდენ საღმობისა მოძლოდესა (სინ. 28,11).
  7. მ-ნატრ-ე მონატრული: არავენ ტყუის სხუად თენიერ მაქებელნი და

მნატრენი ჩუენნი (სწავ. 49v); მნატრენი ჩუენნი მაცთუნებენ (მ. ცხ. 375r). არის აგრეთვე მნატრ-ულ-ც.

8. მე-პოვნ-ე (მატ. ქართ. 296,19).

9. მ-რისხან-ე

10. მ-რონან-ე აქეთ-იქეთ რხევადი, შერხეული, შერყეული; მოხეტიალე.

11. მ-ძლ-ე ძლიერი, დამძლველი, მოძრევი.

12. მ-წლ-ე პერიქოფე: ყვეენ...მწლენი მამანი და დედანი (ეკლ. 2,8); არის აგრეთვე პირის მწლე (იმავე მნიშვნელობით: იყო ვინმე პირის-მწლც კეისრისა: აპოკრ. 49,17).

13. მ-წ-ე შეშწე, დამხმარე, მშველელი: მწე ჩემდა ხარ (ფს. 3,4); უფრო ხშირია შე ზმნისწინიანი ფორმები: შეშწე გეყავნ შენ სახელი ღმრთისა იაკობისი (ფს. 19,1).

## VII. მ — იერ

1. მ-შიერ-ი (← \*მ-შმ-იერ-ი)

2. მ-შობ-იერ-ი / მ-შობ-იარ-ე

3. მ-შუმინვ-იერ-ი, მ-შუნვ-იერ-ი სულიერი, მსუნთქავი.

4. მ-ცბ-იერ-ი ცბიერი, მზაკვარი: ყოველნივე არიან ძალღ მცბიერ (ეს. 53,10 O); გა-უკუ-დევენით გრძნეულნი და მცბიერნი ქალაქით თქვენით (სწავ. 151,11). აქედან: მცბიერება (დაბ. 49,7 O).

იერ იშვიათად ზმნის პირიან ფორმასაც ერთვის: შღრ. მატეს (მე იგი) და მაქესიერი: ჭირვეულთა შეეწიე და სნეულთა მიძხედე შენ, რომელი-ევე ცოცხალ ხარ და მატესიერ ხარ (სწავ. 174,24). მატესიერი—მქონე, რომელსაც აქვს ბევრი, მდიდარი. აქედან: მატესიერება (A-95, 517).

ზმნის პირიანი ფორმებისაგან სახელი სხვაგანაც იწარმოება, მაგალითად: მრწამს და მრწამსი, ღირს და ღირსი, ჰგავს და მსგავსი, რომლებიც ზემოთ უკვე გვქონდა დასახელებული.

## VIII. მ — ი

მ-სხმ-ო მსხმოიარე, რომელსაც ასხია: ესე იქცოდა ქუემოსა მონასტერსა და პოვა ვენავსა შინა მსხმოი ვაზი (კიმ. I, 326,28). დღეს მსხმო აღარ იხმარება, მსხმოიარე კი ითქმის.

## IX. მ — ულ

1. მ-საჯ-ულ-ი (გამ. 2,14) მოსამართლე.

## X. მ — ურ

1. მ-ღვ-ურ-ი (სიბრძ. 5,15)

2. მ-ზარდ-ულ-ი (დაბ. 35,8) გამზრდელი, ძიძა.



3. მ-სახ-ურ-ი მოსამსახურე, მონა.

## XI. მა — (ოლ)

1. მა-ბრძოლ-ი მებრძოლი: თავით თავსა თვისსა მამბრძოლ ექნა ეგე და მოკლა მაცხოვარი თვისი (კიმ. I, 155,1).
2. მა-ვალ-ი აქვე შემოდის ზმნისწინანი ფორმები: აღმავალი, გარდამავალი (ი. I,51), განმავალი, მომავალი, შემავალი, წარმავალი.

## XII. მა — არ(აღ)

1. მა-ოც-არ-ი /მა-უც-არ-ი: განვეშორნეთ მაუცართა და გრძნულთაგან (სწავ. 150,22); ზიარი ძირი აქეს ოცება და უცნება-სთან—მოჩვენება, ფანტაზია, ზმანება. განცვიფრება.
2. მა-ტფობ-არ-ი გამთბობი: იტფობდა და განაცხოველებდა ბუნებასა წყლისასა, ვითარცა-იგი /ქმნის/ ქათამმან მატფობარმან, რომელმან მისციის ძალი განმაცხოველებელი მისგან დატფობილთა მათ (უძე. რედ. 36,28).
3. მა-შურ-აღ-ი, და-მა-შურ-აღ-ი შრომით დაღლილი, დაქანცული, გარჯილი: შეეწყალნეს ივინი, რამეთუ იყვნეს ივინი დამაშურალ და დაცვენებულ (მ. 9,36).
4. მა-ცხოვ-არ-ი მხსნელი, გადამჩენელი, მაცოცხლებელი. ქრისტეს ეპითეტია (იშვითად გვხვდება აგრეთვე მაცხოვარე (მა—არ-ე).
5. მა-ძღ-არ-ი, გან-მა-ძღ-არ-ი: სული მამდარი გულსა ემღერინ (ივავ. 27,7); მამდარ და სავსე არიედ ჭამადითა (სინ. 309,29); განმამდარ არიან (მ. ცხ. 270v).

## XIII. მა — ურ

მა-ცთ-ურ-ი (სინ. 147,15).

## XIV. მე-

1. მე-ბრძოლ-ი
2. მე-მღერ-ი ბევრი მნიშვნელობა აქვს: მოთამაშე, მომღვინი, მოცეკვავე, მომღერალი, დამცინავი. მთავარი მაინც თამაშა.
3. მე-ორძ-ი მოზარდი: კეთილად მეორძი ნერგი განხერზა (სიბრძ. 13,11).
4. მე-ოტ-ი გაქცეული, გარიდებული რაიმე უბედურებისგან: ნუ განვალნ მეოტი ქალაქისა ამისგან (4 მეფ. 9,15 O); მეოტად წარვიდეს მათა სომხეთისა (ეს. 37,38 O); ვითარცა მეოტთა სლევდეს (სიბრძ. 19,3 O).
5. მე-ოხ-ი შუამდგომელი, შემწე, დამხმარე: ცრემლინი მაგათინი მეოხ მაგათა (კიმ. I, 146,27); ესე მოიგე მეოხად და შეშწედ (სწავ. 11,22 მეოხი და შეშწე სინონიმება); ძლიერნო მეოხნო (სინ. 123,9).
6. მე-ფხან-ი სირსვილი, მღიერი.
7. მე-შუელ-ი დამხმარე: შეშწენი და მეშუელნი ვართ ურთიერთისანი მე და შენ (სწავ. 162,6).

8. მე-ძვედი არა იყოს მეძვედი ასულთაგან ისრაჰლისათა (2 შჯ. 23,17 G; როსაიკი M).

### XV. მე — ავ

მე-ცნ-ავი მეცნიერი: მეცნავთა სჯულისა ჩემისათა არა მიცნეს მე (იერ. 2,8 pb; მეცნიერთა I).

### XVI. მე — არ(ალ)

1. მე-ბუღ-არ-ი: იქმნეს ვითარცა ტრედნი მებუღარნი კლდეთა შინა (იერ. 48,28 pb; მბუღებელნი O) მობუღარი, ბუღეში რომ არის.

2. მე-ღვ-არ-ი ზარმაცი, რომ ღვას და არ ინძრევა; მშიშარა, ცუდი, საძაგე-ლი.

3. მე-კცხ-არ-ი დამცინავი. ამის გვერდით გვხვდება ევ თემის ნიშნისანი მე-კცხე-არ-ი (2 პეტ. 3,3) გამკიცხველი, მაგინებელი. აქეს პარალელური წარმოება: მე-კცხ-ე-ე-ო-ი.

4. მე-ტირ-ალ-ი მტირალი, მგოდებელი, გოდების შემსხმელი: მოჰყადეთ მეტირალთ და მოვიდეთ (იერ. 9,17 O).

5. მე-წიხ-არ-ი წიხლის მცემელი: ვიხილე...მახლობელად მისა მდგომარეები ეორები გარემოის ყოვლად მეწიხარნი შემართ (ულაბ. 32v).

### XVII. მე — იერ

მე-ცნ-იერი მცოდნე, ბრძენი; ნაცნობი: ვინ არს ბრძენ და მეცნიერ თქვენ შორის (იაკ. 3,13); იყო ნოომინის კაცი მეცნიერი ქმრისა მისისა (რ.უთ. 2,1 G); ღვს ყოველნი მეცნიერნი მისნი შორით (ლ. 23,49 знавшие его).

### XVIII. მე — ურ(ულ)

მერწყული წყლის მომტანი: არა მოაკლდეს თქვენგან მონა, მრეშუველი და მერწყული (ისუ 6. 9,23 M; შდრ. მერწყული: ისუ 6. 9,21 M).

### XIX. მო

მი-ყუარ-ი მეგობარი, ამხანაგი; მოყვარე: ეგე თუ განუტევეო, არა მიყუარ ხარ კეისრისა (ი. 19,12 C; მოყუარე DE); ხოლო მიყუარი სიძისა მის ...სიხარულით იზარებნ ეზას მას სიძისას (ი. 3,29 C; მეგობარი სიძისა DE); მტერნიცა მიყუარ იქმნიან (იგავ. 15,28).

### XX. მო

1. მო-ღვამ-ი ამხანაგი, მოზიარე, გვერდში მდგომი: რადთა უკეთური იგი მოღვამითურთ მოუძღურდეს (რიფს. 177,34); სხუანი მოღვამნი თქვენნი (1 ეზრა

6,27 M).

2. მო-ზარდი რაც იზრდება: მეორე ამათგანი არს მოზარდი (უძვ. რედ. 155,20).

## XXI. მო — ავ

ავ აქაც თემის ნიშანია და ზემოთ აღნიშნული მოსაზრებით არის ცალკე გამოყოფილი.

1. მო-ბაძ-ავ-ი მბაძეული, მსგავსი; მიმსგავსებული: მობაძვე ჩუენდა იქნენით და უფლისა (1 თესალ. 1,6); მობაძვეად კეთილისა საქმეთა (ტიტ. 2,14).

2. მო-ს-ავ-ი მოიძედე: უკუეთუ ამას ხოლო ცხოვრებასა ქრისტესსა მოსვ ვართ, უსაწყალობელს ყოველთა კაცთასა ვართ (1 კორ. 15,19 AB).

3. მო-ფქ-ავ-ი (მ. ცხ. 363v) მფქეული.

## XXII. მო — აღ

მო-მკ-აღ-ი /მო-მკ-ელ-ი (მ. 13,30)

## XXIII. მო — არ(აღ)

1. მო-კიცხ-არ-ი, მო-კიცხ-აღ-ი დამცინავი, მატყუარა: კაცნო ძმანო, რად შეტომილ ხართ კაცისა მისგან მოკიცხარისა და მეტყუელისა სიტყუათა ურგებთ? (აპოკ. 85,37).

2. მო-მზირ-აღ-ი დადარაჯებული, მოთვალთვალე, ჩასაფრებული: მოინადირა გუელი წარმწყმედელი, მარადის მომზირალი ბრჭალოთა ჩუენთაი (სას. პ. 84,229).

3. მო-რკინ-აღ-ი მოჭიდავე, ფალავანი, მეომარი: შიშუელი შევალს მორკინალი ასპარეზსა მას შინა (მ. ცხ. 43r) არა ფრიად ბოროტ არს მორკინალისა დაკემაი (სწავ. 107,25).

4. მო-ტირ-აღ-ი

5. მო-ტრფი-აღ-ი მნდომი, მოწადინე: მივსცემ ჩემთა მათ მოტრფიალთა საქმეთა საწუთროფსათა (მ. ცხ. 402r).

6. მო-ცინ-არ-ი ვინც იცინის: მოცინართა თანა იცინოდე (მ. ცხ. 292r).

7. მო-ძღუ-არ-ი ვინც წინ უძღვის, მასწავლებელი, დამრიგებელი: მოძღუარ, გუნებავს შენგან სასწაულისა ხილვაი (მ. 12,389).

## XXIV. მო — არ(აღ) უ

მო-ტყინ-არ-უ ანთებული, აღვზნებული, ავარვარებული: ცეცხლი მოტყინარდ დაშრიტის წყალმან (ზირ. 3,33 O).

## XXV. მო — ე

1. მო-ღვინ-ე, გულს-მო-ღვინ-ე

2. მო-ვალ-ე ვისაც მართებს, ვინც იხესხა: მოუტევე ამას მოვალესა შენსა.

რომელი თანა-ც შენი (სწავ. 33,30).

3. მო-ვან-ე ბერი, დაყუდებული, მოწესე.
4. მო-ვასხ-ე ვინც ისესხა.
5. მო-ვაჭრ-ე ვაჭარი, გამყიდველი.
6. მო-ვედრ-ე შემკედრებული, ვინც ევდრება, ეხვეწება: რამთა მისცემდე შენ მოვედრეთა და იყო შენ მართალ (საკ. წ. II, 102,32).
7. მო-ვიწყ-ე ვისაც ავიწყლება: რამთა არა მოვიწყე ვიქმნეთ ქველის- მოქმედებათა ღმრთისათა (მ. ცხ. 15r).
8. მო-ზარ-ე ვისაც ეზარება, ზარმაცი, დაზარებული: რომელნი-იგი პირველ უღებ იყენით და მოზარე (სინ. 100,10); მარხვასა მოლაღე და კელ-საქმარსა მოზარე (სწავ. 238,25).
9. მო-თმინ-ე მომთმენი, სულგრძელი, მომლოდინე: ტკბილ არს უფალი მოთმინეთათვს ჟამსა ჭირისასა (ნაუმ 1,7 O).
10. მო-თნ-ე, თავის-მო-თნ-ე თავმოშონე, ამაყი, ზვიადი; კაცთ-მოთნე, პირ-მოთნე.
11. მო-ლალ-ე მოჩხუბარი, მებრძოლი: შორის მოლაღეთა ჰყოფდეს მშედობასა (მ. ცხ. 76r); ღმრთის-მოლაღე (სინ. 118,2) ღმერთის წინააღმდეგ მოღავე, მოცილე. მოჩხუბარი, მებრძოლი.
12. მო-ლხინ-ე მხიარული, მომღბენი.
13. მო-რეწ-ე დაქირავებული მუშა, მოჯამაგირე.
14. მო-რიდ-ე (სინ. 100,10) მორიდებული.
15. მო-რცხუ-ე მორცხვი: მადლი მადლსა ზედა არს დედაკაცი მორცხუი (ზირ. 26,19 O); მორცხუსა წინა უძღვენ მადლი (ზირ. 35,13 O); მნებავს ...დედათაი წესიერებისა სამკაულითა მორცხუედ და ღირსებით შემკობად თავთა თვისთა (1 ტიმ. 2,9).
16. მო-რწმუნ-ე ვისაც სწამს, სანდო, სარწმუნო, ერთგული.
17. მო-საგრ-ე მებრძოლი, ჯარისკაცი, მხედარი: არა ვარ მეოზი ქრისტესი, არამედ შჯულიერი მოსაგრე ღმრთისა ცხოველისაი (სინ. 252,26; აპოკრ. 52,16); მოსაჯული ხარ მძლე, რომელი მიიძლეე მოსაგრესა საშჯელად საუკუნოდ (სწავ. 220,9); თანა-მოსაგრე თანამებრძოლი: უმჯობესად შევპრაცხე...თანა-მოსაგრის ჩემისა ...მოვლინებად თქვენდა (ფილიპ. 2,25).
18. მო-სარჩლ-ე მოღავე: იყენენტა მემტერე და მოსარჩლე ლოცვსათვს (მ. ცხ. 32v).
19. მო-სესხ-ე სესხის აძლები, მოვალე, ვინც ისესხა: მასესხებელი და მოსესხმ ურთიერთას შეიმთხვენს (იგავ. 29,13); ესრტთ ორთაი მათ მოსესხეთაი სიტყუაი წარმოიღო (სინ. 211,26).
20. მო-სწავლ-ე (უძე. რედ. 37,29) მოწაფე.
21. მო-სწრაფ-ე, მო-წრაფ-ე სწრაფი, ჩქარი; ბეჯითი, გულმოღვინე: იყავ მოწრაფე მორჩილებად (ზირ. 5,13 O).
22. მო-ქენ-ე მახვეწარი: ღმერთი ჩემი არავისა მოქენ არს (საკ. წ. II, 39,31).
23. მო-ღუაწ-ე მომვლელი, მზრუნველი (სინ. 248,34); ზედამხედველი, მებრძოლი. მეომარი; მოჭიდავე, ატლეთი (სინ. 117,21); მოწესე, ბერი. პარალელურად გვხვდება მოღუაწი-ც.
24. მო-ყვარ-ე მოყვარული, მეგობარი, საყვარელი.

25. მო-შურნე-ე შურიანი, ავი, აეთვალი: კაცსა მოშურნესა სადმე უცნ ფასი? (ზირ. 14,3 O); ნუ ქმნამ კაცისა თანა მოშურნისა (იგავ. 23,6 O).

26. მო-ცალე-ე მოცილილი, თავისუფალი; უქმი, ცარიელი; მოხერხებული: რაეამს პოვის ადგილი მოცალე (უძვ. რედ. 108,11); მოცალე ფაში პოვა სახლსა შინა (საკ. წ. II, 67,3); მოცალე არს მუცელი მაგისი (კიმ. I, 155,15).

27. მო-ძაგე-ე მოძულე, ვისაც სძაგეს: ჯერ-არს, რაითა იყოს იგი მართლ-მსაჯულ...და რომელინი ცოდვენ დასა თანა, მათა ფრიად მოძაგე (საკ. წ. II, 77,5).

28. მო-ძნე-ე მოშურნე, ავი, ბოროტი.

29. მო-ძულე-ე ვისაც სძულს: მოჰსრენ მოძულენი ჩემნი (ფს. 17,41); გიყუარ-დედ მტერნი თქვენნი და კეთილსა უყოფდეთ მოძულეთა თქვენთა (ლ. 6,27).

30. მო-წამე-ე მოწმე, დამადასტურებელი. მერმე: ქრისტიანობის დადასტურე-ბისათვის (ლიახ, ქრისტიანი ვარო) წამებული.

31. მო-წამლე / მე-წამლე-ე მისანი, საწამლავების მკეთებელი და მომწამლე-ლი: განრისხნა ფრიკანოს და პრქუა: კაცის-მკლველ, მოწამლე, რომელი არა ღირს ხარ ცხოვრებად (საკ. წ. II, 34,6).

32. მო-წაფე-ე მოწაფე ხარ ამის მოძღურისა (სწავ. 71,22).

33. მო-წესე-ე სამონასტრო წესის მიძღვეარი და დამცველი ბერი, მონაზონი: ყოველი მოწესს გუიჩინა კურთხევასა მას და გალობას უფალმან (სინ. 142,15); შევიდა წმიდა ეპისკოპოსი და ყოველნი მოწესენი მის თანა (სინ. 71,26).

34. მო-წლე-ე მოწყლე, გულშემატკივარი; გულთბილი, გულისხმიერი; ლმობიერი: ვითარცა მოწლესა დედასა და შჯულიერსა მოძღურას მითვე იგი შეჰვედრა მას (სინ. 101,26).

35. მო-წყალე-ე მწყალობელი, შემწყნარებელი: იყენით თქვენ მოწყალე, ვითარცა მაშა თქვენნი მოწყალე არს (ლ. 6,36); ნეტარ იყენენ მოწყალენი, რამეთუ იგინი შეიწყალნენ (მ. 5,7).

36. მო-წყინე-ე გაბეზრებული, მობეზრებული: ნუ იქნები მუშაჲ მცონარ და მოწყინე (სწავ. 13,2).

37. მო-ჭირნე-ე უძღური, სნეული; მწუხარე, შეწუხებული: იყო მეფე თვედო-სი მოჭირნე საღმობისა მისგან და იღვა იგი საწოლსა თვისსა ზედა (საკ. წ. II, 132,22); მოჭირნე ძეს ცხედარსა ზედა (I მეფ. 19,14).

38. მო-ხარკე-ე ხარკის მიმცემი; მოცადინე: ტვრთ-მძიმის მოხარკე არს (სინ. 67,21); იქნნეს იგინი მოხარკე (ისუ ნ. 19,48 M); ფრიად მოხარკე იყენეს ძმანი მაშინ შრომასა (ი—ე, 36,35) ძალიან ცდილობდნენ.

39. მო-ვსენე-ე ცალკე არ გვხვდება, არის სიყუარულის-მოვსენე. ძერის-მოვსენე: ჯინჭველი /არს/ საქმის-მოყუარე, ძალი ძაღლის-მცნობელ და სიყუარუ-ლის-მოვსენე (უძვ. რედ. 126,2) სიყუარულის დამხსომებელი; გზანი ძერის-მოვსენე-თან—სასიკუდინე (იგავ. 12,28) შურის შეძნახვი, გულმანკიერი (ი.აბულ).

## XXVI. მო — ედ

1. მო-რბედე-ი ვინც რბის, მორბის, მორბენალი: დღენი და ღამენი სწრაფად მორბედ არიან დაკლებისათვის ცხოვრებისა ჩუენისა (სწავ. 253,4); არა მოაკლო მორბედმან სრბისგან თვისისა (იერ. 8,6 O).

უფრო ხშირად მორბელი თანა და წინა ელემენტების დახმარებით იხმარება:

თანა-მარბელი და წინა-მარბელი (ვინც წინ მარბის, ვინც წინ უსწრებს).

2. მარცხუელი მარცხეი: მაღლი მაღლსა ზელა—დედაკაცი მარცხუელი (ზირ. 26, 19 pb).

3. მოქმედი ვინც იქმს, ვინც აკეთებს, ქმნის, მუშაჲი, საქმის ჩამდენი. ფართოდ იხმარებოდა ძველ ქართულში შე ზმნისწინის დართვით, აგრეთვე კომპოზიტის შემადგენელ ნაწილად მრავალი სხვადასხვა მნიშვნელობით. მაგალითად: შემოქმედი, ამაოის-მოქმედი, ბოროტის-მოქმედი, ბრძოლის-მოქმედი (მებრძოლი), ვენაჲის-მოქმედი (მევენახე), თიჯის-მოქმედი, კეთილის-მოქმედი, ნავის-მოქმედი, პლენძის-მოქმედი, პურის-მოქმედი (მეპურე), სახის-მოქმედი (მოქანდაკე), სიტყვის-მოქმედი (პოეტი), ქველის-მოქმედი, ქუეყანის-მოქმედი (მიწის მუშა), ძურის-მოქმედი (ბოროტმოქმედი) და სხვ.

## XXVII. მო — ულ

1. მოზაზ-ული დიდებული სახის მქონე; მართულ-მოკაზბული: ქალაქი მოზაზული (ეს. 23, 2 I).

2. მოთა-ული (მატ. ქართ. 296, 20) მოზარე, თანასწორი, თანაზიარი (ბელისუფლისა).

3. მოშკა-ული ვინც ირთვება, იშკობა: მოშკაულ იყო სამოსლითა (ურთ. 74, 16).

4. მონან-ული მონანიე, ვინც ინანიებს; ესე საქმენი შუენიან მონანულსა, რადთა განმარტოვდეს (მ. ცხ. 99v).

5. მოსაჯ-ული მოლავე, მოძიებანი: არცა მსაჯული მოვიძალე და ვერცა მოსაჯული დავაჯერე (ბალ. 153, 2); კმძლავრა ეფრემ მოსაჯულსა ბისსა (ოსე 5, 11 O).

6. მოქალ-ული ვინც იქალის, იშუქრება: განვლევნოთ მტერი ჩუენი მოქალული (სწავ. 273, 12).

7. მოციქ-ული დესანი, გაგზავნილი: მოუვლინა მოციქულნი (მსაჯ. 9, 31 M; მიმთხრობნი G); ვიდოდან მოციქულნი მალენი (ეს. 18, 2 I).

## XXVIII. მო — ურ(ულ)

1. მოგზა-ური მგზავრი, თანამგზავრი, გამყოლი.

2. მოდგ-ური სადგომი, ღამის გასათევი ადგილი: მოვიდეს მისა ძენი ბაბილონისანი საწოლად მოდგურთა (ეზეკ. 23, 17).

3. მოზარდ-ული აღმოცენებითი, მოზარდი: ვიტყვ ძალსა მოზარდულსა (უძე. რედ. 155, 17).

4. მოკრა-ული გიეი, შმაგი, ჭკუაზე შემცდარი: რაისა მოვიდა შენდა მოკრული იგი? (4 მეფ. 9, 11 O).

5. მოსუმ-ური, მოსმ-ური მსმელი, მოქიფე, ლხინის წვერი: რაჲამს შერბა მოსუმური იგი..., დასხდეს სუმად (სინ. 206, 13); შევიდა იგი შელენებულთა მათ თანა მოსუმურთა (სინ. 208, 26).

6. მოფარდ-ული გამყიდველი, მოვაჭრე: ვითარცა შევიდა მაცხოვარი ტადარსა მას, ყოველი იგი მოფარდული და კერმის-მყიდელი გამოასხა შოლტითა

(სინ. 140,19).

7. მო-ფიცრ-ულ-ი ფიცარდაგებული: იშინე თავის თვისსა სახლ, ქარები ფართოვები, განწესებული სარკუმლებითა. მოფიცრული ნაძეთა (იერ. 22,14).

8. მო-ძნა-ურ-ი მოშურნე: შენ ხარ მოძნაურ და მწუხარე (სწავ. 32,9).

XXIX-XXX. მ — ელ, მა — ელ

დასასრულ, ცალკე უნდა განვიხილოთ მ პრეფიქსიან მიმღობათა ყველაზე მნიშვნელოვანი და სხვებზე უფრო გავრცელებული ორი სახეობა: მ — ელ და მა — ელ პრეფიქს-სუფიქსიანი მიმღობები (მცნველი, მთესველი... აღმადგინებელი, შემამკობელი). შინაარსის მიხედვით ესენი მოქმედებითი გვარის მიმღობებია.

კითხვა ისმის: როდის გვაქვს მ — ელ წარმოება და როდის — მა — ელ? შინაარსის მიხედვით მათ შორის არავითარი განსხვავება არაა, მაგრამ ერთის ნაცულად მეორე სახის წარმოებაც არ შეიძლება ვიხმართ (მაჭამელი, მომაგებელი... მგინებელი, მცთუნებელი): თავიდანვე აქ მხოლოდ ერთი სახეობა უნდა გვქონოდა, სახელდობრ მ — ელ, ხოლო მა — ელ მერმე უნდა იყოს გაჩენილი ფონეტიკურ ნიადაგზე: გარკვეულ ფონეტიკურ პირობებში ერთად თავმოყრილი ძნელად გამოსათქმელი ბგერების დასაცილებლად გაჩნდა ა: აენებს → \*მენებელი → მენებელი, აბრკოლებს → \*დამბრკოლებელი → დამაბრკოლებელი, ამძიმებს → \*დამძიმებელი → დამაძიმებელი, ამშველებს → \*დამშველებელი → დამამშველებელი, მიავლინებს → \*მიმავლინებელი → მიმაველინებელი, განატფობს → \*განამტფობელი → განამატფობელი, ასწრაფებს → \*მსწრაფებელი → მასწრაფებელი...

ასეთია მ — ელ-ისაგან მა — ელ-ის წარმოშობის სავარაუდო გზა. მ — ელ-ისა და მა — ელ-ის ადგილი ძველ ქართულში შეიძლება დაახლოებით ასე განისაზღვროს:

მა — ელ წარმოება გვაქვს:

ა) ისეთ ზმნათა მიმღობებში, რომელთაც პირიან ფორმებში საარვისო ქცევის ნიშნად აქვთ ა, ხოლო თემის ნიშნად უფრო ხშირად — ებ სუფიქსი. ამათგან პირველი ნიშნის ქონება აუცილებელია. მაგალითად:

ალ-ა-დგინ-ებ-ს

ა-ენ-ებ-ს

ა-ვასხ-ებ-ს

ა-ვინ-ებ-ს

ა-გზ-ებ-ს

მო-ა-კუდინ-ებ-ს

გან-ა-რინ-ებ-ს

მი-ა-ვლინ-ებ-ს

ა-ყუედრ-ებ-ს

ა-ხარ-ებ-ს

ა-ცთუნ-ებ-ს

ებ თემის ნიშნის ნაცულად ზოგჯერ შეიძლება ობ გვქონდეს, მაგრამ ა კი

აუცილებელია:

გან-ა-ცხრ-ობ-ს

გან-ა-კრთ-ობ-ს

და-ა-თრ-ობ-ს

ალ-მა-დგინ-ებ-ელ-ი

მა-ენ-ებ-ელ-ი

მა-ვასხ-ებ-ელ-ი

მა-ვინ-ებ-ელ-ი

მა-გზ-ებ-ელ-ი

მო-მ-ა-კუდინ-ებ-ელ-ი

გან-მა-რინ-ებ-ელ-ი

მი-მა-ვლინ-ებ-ელ-ი

მა-ყუედრ-ებ-ელ-ი

მა-ხარ-ებ-ელ-ი

მა-ცთუნ-ებ-ელ-ი

გან-მა-ცხრ-ობ-ელ-ი

გან-მა-კრთ-ობ-ელ-ი

და-მა-თრ-ობ-ელ-ი

გან-ა-ტფ-ობ-ს

ა-ფრთხ-ობ-ს

ამ ადგილას უფრო ნაკლებად ევ ელემენტიც შეიძლება გამოჩნდეს:

და-ა-რლუეე-ს

გარდა-ა-ქცეე-ს

გან-ა-ბნეე-ს

ა-წუეე-ს

გან-მა-ტფ-ობ-ელ-ი

მა-ფრთხ-ობ-ელ-ი...

და-მა-რლუეე-ელ-ი

გარდა-მა-ქცეე-ელ-ი

გან-მა-ბნეე-ელ-ი

მა-წუეე-ელ-ი...

ყველა აქ მოყვანილი ზმნის საერთო დამახასიათებელი თვისება ის არის, რომ მათს ძირში რამდენიმე (2,3,4...) ბგერაა ერთად, რომელთაც მიმღეობის საწარმოებლად კიდევ უნდა დამატებოდა წინ მ-ც (და-მ-რლუეეელი, გან-მ-ცხრობელი, და-მ-ფრთხობელი...). აი, აქ თავმოყრილი ძნელად გამოსათქმელი თანხმოვნების გასაყარად ჩნდება (თუ გადმოჰყვება პირიანი ფიჩქინიდან) ეს ა: დამაფრთხობელი, ცხადია, უფრო ადვილი გამოსათქმელია, ვიდრე დამფრთხობელი.

ბ) როცა ზმნის ძირი რომელიმე ხმოვნით იწყება, მიმღეობის მაწარმოებელ მ პრეფიქსს ა-ც ემატება: იძულ— მა-იძულ-ებ-ელი, ორძინ— აღ-მა-ორძინ-ებ-ელ-ი...

გ) მ-ს ა ემატება აგრეთვე ნასახელარ ზმნათა მიმღეობებში. მაგალითად:

არსი

ახალი

ბილწი (პილწი)

ბნელი

დიდი

ვასხი

ვახში

ზოგი

ლხინი

მაღალი

მდაბალი

მიზღი

მტკიცე

მშველი

მწარე

სესხი

სწრაფი

უდაბნო

უცხო

ფიცი/ფუცი

შორი

ცრუ(ვე)

ცხადი

ცხოველი

წესი

წუმა

ჭირი

დამარსებელი

განმახლებელი

შემაბილწებელი

დამაბნელებელი

განმადიდებელი

მავასხებელი

მავახშებელი

განმაზოგებელი

მაღხინებელი

აღმაღლებელი

დამამდაბლებელი

მამიზღებელი

განმამტკიცებელი

დამამშველებელი

განმამწარებელი

მასესხებელი

მასწრაფებელი

მაუდაბნოებელი

განმაუცხოებელი

მაფუციებელი

განმაშორებელი

განმაცრუებელი

განმაცხადებელი

განმაცხოველებელი

განმაწესებელი

მაწუმებელი

მაჭირებელი და სხვ.

აქვე შეიძლება დაეურთოსთ აღაშენებს —აღმაშენებელი, რადგანაც შინ ძველ



—ელ მოგვევლინოს მნიშვნელობის განსასხვავებლად. ასე, მაგალითად, ამ თემის ნიშნიანი განასხმს, დაასხამს, შეასხამს, როგორც წესია, მიმღეობას მ — ელ ფორმანტებით აწარმოებს: განმსხმელი, დამსხმელი, მომსხმელი, მაგრამ როცა ფორმა სულ სხვა მნიშვნელობით იხმარება, იგი უკვე მა — ელ პრეფიქს-სუფიქსით არის წარმოდგენილი. მაგალითად: დამასხმელი იგი /ნერვისა/ უბრალო არს (უდაბ. 64 = დამნერგველი); ცევენ ჩემდა შემასხმელნი (ეკლ. 2,8 O); შემასხმელნი, მეფსალმუნენი მათნი, მამანი და დედანი — ორას (2 ეზრა 2,65 O); ვამა შემასხმელთა შენთაი არღარა ისმის მერმე (ეზეკ. 26,13 O); მისცემდეს ნაწილსა და განაყოფსა შემასხმელთა მათ (ნემ. 12,46 O). აქ ქების შესხმაზეა ლაპარაკი.

მეორე მხრივ, როგორც აღნიშნული გვქონდა, ერთი სახეობის ნაცვლად მეორის ხმარება ფონეტიკური მიზეზებითაა გაპირობებული. მაგალითად, შესმენა (და არა შესმინება) კანონით მ — ელს უნდა იყენებდეს: შესმენელი, მაგრამ გვაქვს კი შემასმენელი (არს შემასმენელი თქუენი მოსე: ი. 5,45 DE). ეს მოხდა შემსმ ძნელად გამოსათქმელი კომპლექსის ასაცილებლად, ხოლო საწყისი რომ ების გარეშე იხმარება, ეს აქედანაც ჩანს: რასა შესმენასა მოიღებთ კაცსა ამას ზედა (ი. 18,29 D).

ასევე უნდა აიხსნას აღმომავლებლის გამოყენება აღმომესებელის მაგივრად. რადგან წყლის ამოღება (ჭოდან, მდინარიდან) სათავისო ქუევის ფორმით იხმარება: აღმოვიესებ, აღმოვიესებ, აღმოვიესებს, ამიტომ უნდა ყოფილიყო აღმომესებელი, მაგრამ მოძეს კომპლექსის გამოთქმის გასაადვილებლად სხვების მსგავსად ა აქაც გაჩნდა: აღმომავსებელი.

დასასრულ, დავურთავთ ორივე სახეობის ნიშუმებს კონტექსტის გარეშე. წარმოების რაგვარობის ადვილად დადგენის მიზნით ნიშუმები დალაგებულია ანბანის რიგზე (იგულისხმება მიძეობის მაწარმოებელი პრეფიქსების შემდეგ).

ა) **ა** — **ა**: დამბადებელი, დამბანაკებელი, დამბანელი, მბასრობელი, აღმომბგებელი, მბრძანებელი, მბუღებელი, მგალობელი, მგბოლველი, მგდებელი, შთამბდებელი (/შთამაგდებელი), განმბგებელი, მიმბგებელი, მომბგებელი, მგზებელი, მგოზელი, მგრავნელი (/მგრავნალი), მგრეხელი, მგრკვეელი, მგრძნებელი, მგრძნობელი, მგუქმელი, მგულებელი, მომგურელი, მდგომელი (ზედამდგომელი, წინაშემდგომელი, დამდგომელი), თავსმდებელი, შუკულისმდებელი, მღეენელი, წარმდევნელი, უდალთმდრანჯობელი, განმდრეკელი, დამდრეკელი, მდრტვენელი, მვასხებელი, მვედრებელი, მიმვლენელი, აღმესებელი (/აღმავსებელი), მომზავებელი, მზნელი, განმზომელი, განმზრახველი, მზრდელი (აღმზრდელი, გამომზრდელი), მზრუნველი, მზუელი, მზლველი, მთარგმნელი, მთერძველი, მთესველი, მთიბელი, დამთრგუნველი, დამთქმელი, მიმთულველი, აღმთქმელი, დამთხვეელი, მთხრობელი (გამომთხრობელი, მიმთხრობელი, მომთხრობელი), მთხუნველი, მკაფელი, მკბენელი, მკელობელი, მკითხველი, განმკითხველი, მკლველი, მომკლველი, შემსმკოდელი, დამკრებელი (შემკრებელი, თესლისმკრებელი), მკრეხელი, მკუეთელი, გამომკურეელი, მლაღველი, მლალობელი, განმლეველი, მლეწველი, მლოცველი, შემლოცველი, მლხინებელი (/მალხინებელი), მმადლობელი, განმმართებელი (მომმართებელი, შემმართებელი), განმმართველი, განმმარტებელი, მმარხველი, დამმარხველი, მკუდრისმმოსელი, შემმოსელი, აღმმსთობელი, მომნადირებელი, მნატრელი, მიმნიჭებელი, მომნიჭებელი, შემნდობელი, მნუსხველი, მპარხველი, მპოენელი, მომპოენებელი, შემპოენებელი, მპოხელი, მპყრობელი, ველისამპყრობელი, მჟამობელი, მიმრთუმელი, მომრთუმელი, მომრთხმელი, მრისუველი, მრიცხველი, მრცხელი, მომრწყველი,

ლი, მლაღობელი, განმლეველი, მღუნველი, მლოცველი, შემლოცველი, მლხინებელი (მალხინებელი), მმადლობელი, განმმართებელი (მიმმართებელი, შემმართებელი), განმმართველი, განმმარტებელი, მმარხველი, დამმარხველი, მკუდრის-მპოსელი, შემპოსელი, აღმმსობელი, მომნადირებელი, მნატრელი, მიმნიჭებელი, მომნიჭებელი, შემნდობელი, მხუსხველი, მპარსველი, მპოვნელი, მომპოვნებელი, შემპოვნებელი, მპოხელი, მპყრობელი, კელის-ამპყრობელი, მყამობელი, მომრთუმელი, მომრთუმელი, მომრთხმელი, მრისუველი, მრისცხული, მრცხელი, მომრწყველი, აღმსაარებელი, მსთულეხელი, მსმენელი, მომსპოლველი, მომსრაველი, მსუბელი, მსყიდელი (განმსყიდელი, მიმსყიდელი, მომსყიდელი), მსწავლელი, მსხეული, დამსხმელი, მომსხმელი, მტანჯველი, მტაცებელი, მომტაცებელი, დამტყენელი, მომტყენებელი, აღმძრველი, წარმტყუნველი, დამფარველი, მომფენელი, დამფლველი, მფრდელი, მომფრდელი, აღმომფშვნელი, გამომქანდაკებელი, დამქოლველი, აღმქუპელი (ამქუპელი), მომქცეველი, უკუნმქცეველი, მლაღადებელი, აღმღებელი (აღმღე; გამომღებელი, მიმღებელი, მომღებელი), აღმომყვანებელი (გამომყვანებელი, მომყვანებელი, შემომყვანებელი, წარმომყვანებელი), მყოფელი, მყურტუმებელი, მშლელი, მშობელი, მშორებელი, დამშრეტელი, მშინებელი, გამომცდელი, მცემელი (მიმცემელი, მომცემელი, გამომცემელი), მცვალეხელი, მცველი, მესასყრობილეთ-მცველი, დამცილებელი, მცნობელი, მომცხრომელი, მძარცუველი, შემძლეხელი, შფოთის აღმძრველი, მძლუნველი, ცილის-შემწამებელი, მწალკელი, მწაფელი, მწვენელი, დამწერიელი, განმწესებელი, მწვალეხელი, შემწირველი, განმწმედელი, მომწოდებელი, დამწუველი, შემწუელი, მწუელელი, მწურთელი, დამწუხველი, მწყლობელი, დამწყებელი, მწყლველი, წარმწყმედელი, შემწყწარებელი, მომწყუედელი, მჭამელი, შემჭამელი, მჭკუერველი, დამჭრელი, მახლობელი, მხედველი, მხილველი, მხუტეხელი, მომხუტეხელი, მყნელი (მიმყნელი, მომყნელი, შთამყნელი), მყმობელი, მყნველი, განმყრწენელი, მყსნელი, დამყსნელი.

ბ) მამა: განმამალეხელი, შემამილწებელი, განმამბნეველი, დამამბნელებელი, მამბრლობელი, დამამბრკოლებელი, შთამამგდებელი (შთამგდებელი), მამგებელი, მამგზებელი, მამგინებელი, მამგრილობელი, მამდილებელი, მამრთლმამდილებელი, მამინებელი, გამომამინებელი, დამამინობელი, მამასხებელი, მამვლებელი, მამვლინებელი (მიმამვლინებელი, მომამვლინებელი), მამენებელი, აღმამესხებელი, განმამზოგებელი, მამზახებელი, მამზრხენელი, მამზრხინებელი, განმამათვისუფლებელი, მამთრობელი, დამამთრობელი, მამიძლებელი, განმამაკაცებელი, მამკირთებელი, მამკირთობელი, განმამკრთობელი, მამკუდინებელი, მამკურთხეველი, მამლხინებელი (მამლხინებელი), დამამდაბლებელი, განმამართლებელი, აღმამალლებელი, განმამატიკიკებელი, დამამტიკიკებელი, მამშედებელი, განმამწწარებელი, მამხილებელი, განმამანათლებელი, მამნიეთებელი, აღმამორძინებელი, აღმამოვრებელი, მამრგებელი, განმამარინებელი, განმამარისხებელი, აღმამარლუეველი, დამამარლუეველი, მამრცხუნველი, მამესხებელი, მამსმენელი, მამმასმენელი, აღმამსრულებელი, მამსწავლებელი, მამსწავლელი, მამსწრაფებელი, დამამსხმელი, მამმასხმელი, მამსხურებელი, განმამაფობელი, მამტყუებელი, მამტყუებელი, მამუდაბნობელი, მამურვებელი, მამუნებელი, განმამუცხოებელი, მამურთხობელი, მამუცებელი, განმამაქრებელი, მამქებელი, განმამაქიქებელი, მამქნეველი, მამრდამაქცეველი, მომამქცეველი, მამღვებელი, დამამყდუნებელი, მამყნებელი, განმამყენებელი, მამყუდრებელი, მამსმენელი, აღმამსმენელი, მომამსობელი, მამინე-

ბელი, შემაშინებელი, განმაშოვრებელი, მაშრომებელი, მაშრომელი, მაშფოთებელი, მარუნებელი, მაცთუნებელი, მაცილებელი, მაცილობელი, განმაცრუვებელი, დამაცულებელი, გამომაცხადებელი, განმაცხოველებელი, მაცხოვნებელი, განმაძლიერებელი, განმაძნელებელი, განმაძვნებელი, განმაძლებელი, მაწანებელი, განმაწესებელი, მაწონებელი, მაწუეველი, შემაწუნებელი, მაწვმებელი, მომაწყინებელი, მაჭირებელი, მაჭირებელი, მახარებელი, მახიობელი, მახრწეველი, დამახრწეველი, მაჰამებელი.

## B. ნა- პრეზიქსიანი მიმღეობები

ნა პრეფიქსის ძირითადი ფუნქციაა, აწარმოოს ვნებითი გვარის მიმღეობები (იხე როგორც მ-ს დაკისრებული ჰქონდა მოქმედებითი გვარის მიმღეობათა გამოხატვა): განატეხი—რაც გატყდა (გატყხეს), ნათქვამი—რაც ითქვა (თქვეს), ნაპარევი—რაც მოპარულ იქნა (მოიპარეს), ნატაცები—რაც მოტაცებულ იქნა (მოიტაცეს) და სხვ.

აქ დრო ყველგან წარსულია, აწმყო და მომავალი გამორიცხულია. მომავალი დროის მიმღეობების წარმოებისათვის სხვა პრეფიქსა გამოყენებული (სა), რასაც ქვევით გავეცნობით.

ნა პრეფიქსი ხშირად მარტო ასრულებს ამ ფუნქციას (ნა-ბანი, ნა-გოზი, ნა-კეცი, ნა-ცვალი, ნა-წუთი, ნა-ხუტ-ი...), ზოგჯერ—სხვადასხვა სუფიქსის დახმარებითაც (ნა-გოზ-ალი, ნა-ბოძვ-არი, ნა-ქ-არი, ნა-ზორ-ვეი, ნა-პარ-ვეი, ნა-ლუარ-ვეი, ნა-თხზ-ენი, ნა-შ-ობი, ნა-დგ-ური...).

აქ სულ 12 შინაგანი ჯგუფი გამოიყოფა. გავეცნოთ თითოეულს.

### I. ნა-

1. ნა-ბანი: ნაბანი ეგვიპტარისა კაცისაი ჯერ-იყო შენდა, რამთამცა წარმოეც ჩემდა სასულად ჩემდა? (H-341, 703).

2. ნა-ბძარი: ვორცთა მათთა ზედა არა განიკუთნენ ნაბძარნი (ლევ. 21,5 G).

3. ნა-ბრძოლი: არა სირცხულ მიწის ნაბრძოლი ესე ვორცთა ჩემთაი (სინ. 173,35).

4. ნა-გოზი: სადა არს ნაგოზი იგი თქუენი, რომელ განჰგოზეთ (ეზექ. 13,12).

5. ნა-გუფი: დაბანა იგინი ნაგუფისაგან (მოც. 16,33); ვითარ განიკურნე მეყსეულად ნაგუფთა მაგათგან ვესლისა მის გუელისაი (აპოკ. 3,22).

6. შე-ნა-დრეკი: ბრძანა...გრგოლი რკინისაი უკუნტუმაღ...და შენადრეკსა მას მუელისა თავსა სამსჭულეზი არაბიელთაი დახერხვად (H-341, 478).

7. ნა-თხარი: სიმრავლემან მან წყალთამან ადგილი იგი ნათხარი მოასწორა, და ვაკე იქნა (მამ. ცხორ. 107,26).

8. ნა-თხევი: ვითარცა ძალი რაი მიიტყის ნათხევსა თვისსა (იგაე. 26,11 O; ნათხევარსა pb).

9. ნა-კეცი

10. ნა-კრები ანაკრები თთუეთაი (ვალბ. /ფს./, 463,16) თვეთა ჯამი; შენაკრები ქონება, შენაძენი; შენაკრები იგი მისი სხუათა განიყვეს (სწავ. 222,35).

11. ნა-კუფი: პოვა ველსა შინა თვისსა ნაკუფითი დიდი საკუფეველისაი (კობ. I, 217,14); ქრისტე ღმერთო...ესე თუქმისა-გარდანაკუფითი არგნითა მუნვე კუალად-

აგე (გულანდ. 216,23).

12. ნა-ოჭი ნასკვი, ხლართი; შხაკრობა: იპოვა ნაოჭი კაცთა შორის ოუდაისთა და მკვდრთა იერუსალჰმისთა (იერ. 11,9); არა აქუნდეს მწინკულეგანე-ბაი, არცა ნაოჭი ბრძელისა (ეფეს. 5,27).

13. ნა-სხლეტი მუცესმოწყვეტილი: ვითარცა ნასხლეტი, რომელი გამო-ვალნ საშობისაგან დედისა (რიცხ. 12,12 pb).

14. ნა-სხური ნავაგი, გაქელილი, გათელილი: /ვართ/ ყოველთა ნასხურ მრატამდე (1 კორ. 4,13); ქართველნი, ვითარცა ნასხურნი რამე და უნდონი, უგულე-ბელს-ყენა და შემციონა (ი—ე, 49,32).

15. ნა-ტეხ-ი დამუსრა და მისცა იგი საზრდელად გლახაკთა, ხოლო დამუსრ-ვილი იგი თითოეული ნატეხი იქმნის პურად დიდად (კომ. I, 274,5).

16. ნა-ტყეც-ი ჭაჭა: რაოდენი იქმნების ვენაჟისაგან ღვინო ნაგუერდლითგან ვიდრე ნატყეცამდე, არა ჭამოს (რიცხ. 6,4 G; ნაკუთამდე pb).

17. ნა-ქონ-ი (ისუ 6. 7,24 G)

18. ნა-ქსოვი (ისუ 6. 7,21 G).

19. ნა-ყოფ-ი (სინ. 3,24; 65,7).

20. ნა-შთომ-ი (1 მეფ. 2,32 ლატ.).

21. ნა-შრომ-ი (ი. 4,38 C; შრომილი DE).

22. ნა-ცარი

23. ნა-ცემ-ი ნაკებნი: განკურნის წყალული ნაცემი ასპიტისაი, ღრიაკლისაი (თუალთ. 19,12).

24. ნა-ცვალი-ი: მრავალი პატივი წინა-უყვის, რამთამცა ნაცვალი ეზლო (სწავ. 250,69).

25. ნა-ცილი-ი ტყუილი, სიცრუე, ცილი: არა გამოვიდეს ნაცილი პირისაგან მონისა შენისა (ივლ. 5,5 O).

26. ნა-ძემ-ი აგ ზებდეს საუბილსა მას ნავთსა, ფისსა, ნაძემსა და ნასხლეცსა (დან. 3,46); იყოს... ვითარცა ნაძემი სელისაი (ეს. 1,31 I) ნაძემი, კანაფი.

27. ნა-ძეული-ი ძეულმანი: არა ემოს თვნიერ ფლასისა ნაძეული, რომელი შემოედვა წელთა მისთა (ბალ. 119,20).

28. ნა-წერ-ი: ჩნდა ძირი ნაწერისაი (მ. ცხ. 97r)

29. ნა-წვართ-ი (ლიტ. ქრ. 403,7) გაწვართნილი.

30. ნა-წრედ-ი ნაწრეტი: ორთქლი არს იგი ღმრთისა ძლიერებისაი და ნაწრედი ყოვლისა-მპყრობელისაი (სიბრძ. ზ. 25 ლ; გარდმოთხეული შ).

31. ნა-წუთ-ი: აღრაცხილ არიან მისა ნაწუთნი წუმისანი (იობ. 36,27).

32. წარ-ნა-წყმედ-ი დანაკარგი, დაკარგული: უკუნ-სცეს... წარნაწყმედი, რომელიცა რამ პოვა (ლევ. 6,4 G).

33. ნა-ხვე-ი ნაჭერი: დაიპო იგი ათორმეტად ნახვეად (3 მეფ. 11,30).

34. და-ნა-ხეთქ-ი ნაპრალი: განიპოს მთაი იგი ზეთის-ხილთაი ... და ნახეთქი დიდი ფრიად (ზაქ. 14,4); შორის ჩუენსა და შენსა დანახეთქი დიდი დამტკიცებულ არს (ლ. 16,26 DE; მოხრებლ C).

35. ნა-ხუც-ი (ხორცის) ნაფხეკი: ნახუცტი ვორცთა მისთაი შესტყორცა პირსა მამისა თვისასა (ქრისტინ. 188,3).

36. მო-ნა-ხუც-ი (სწავ. 56,3; 56,8,9) მიტაცებული, წაგლეჯილი, წართმეუ-ლი.

37. ნა-ჯდომი-ი ნაკელი: ვიდრემდე იპოვებოდა...ოთხი კაბიწი ნაჯდომი ტრედისა და ხუთის სასწორის ვეცხლის (4 მეფ. 6,25).

## II. ნა — ავ

აქ მთავარია ისევე ნა პრეფიქსი, ესაა სწორედ მიმღეობის მაწარმოებელი, ავ ჩვეულებრივი თემის ნიშანია, რომელიც გადმოყოლილია პირიანი ფორმებიდან. სანიშნოდ რამდენიმე მაგალითს მოვიყვანთ:

1. ნა-თეს-ავი ბევრი მნიშვნელობით. აქედან: ნათესავობა.
2. ნა-კერპ-ავი კერპებისთვის შეწირული, მსხვერპლი: ჭამა ერმან მან ნაკერპავი იგი მათი (რიცხ. 25,2 pb), ნაკერპავითა პირ-იხსნილეს (H-341, 171).
3. ნა-მეტ-ავი, ნა-მეტ-ნ-ავი ზედმეტი, უმეტესი: ნამეტნავი არს ჩემდა მიწერად თქვენდა (2 კორ. 9,1); ყოველთა ნამეტნავისაგან მათისა შემოწირეს (მრ. 12,44 DE; ნემტისაგან C); არარაი დაჰბადა ღმერთმან ჩუენთვს არცა ნამეტავად, არცა ნაკულუად (უძვ. რედ. 120,5).
5. ნა-მეც-ავი მხეცისაგან კბილგაკრული, მოკლული: რომელმან ჭამოს მძორი ანუ ნამეცავი (ლევ. 17,14 G).
6. ნა-რთ-ავი შერეული: მრავალი ნართავი ერი თანაგამოერთო მათ (ივდ. 2,11 O).
7. ნა-რისუ-ავი, ნა-რისუ-ევი ნაპარსი, განაკრეჭი: დასაბამი ნარისუავთა ცხოვართა შენთაი მისცე მას (2 შჯ. 18,4); ნარისუევითა ტარიოთა ჩემთაიდა გან-ტფებოდეს ბეჭნი მათნი (იობ 31,20).
8. ნა-ტყუენ-ავი ნატაცები, ნადავლი; ტყევე: განყავთ ნატყუენავი იგი შორის მბრძოლთა მათ (რიცხ. 31,27); აღავსენით სახლნი ჩუენნი ნატყუენავითა (ივავ. 1,13).
9. ნა-ქლობ-ავი: ეპოე მღებარე, ვითარცა ქვშია, ბულისაი ნატლიბავი (ათონ. 11, 139r).
10. ნა-ცოდ-ავი: ესე იყავნ თქვენდა...ყოველთაგან ნაცოდავთა მათთან (რიცხ. 18,9 G).
11. შე-ნა-ყინ-ავი: დადგა /წყალი/ შენაყინავი ერთად, განდგომილი შორს ფრიად (ისუ ნ. 3,16 G; დგა მდნარად M).

## III. ნა — აღ

1. ნა-ზოგ-ალი ნახევარი, განახევრებული: დრაქმე ერთი თავად-თავად ნაზოგალი სიკლისაი (ვამ. 38,26).
2. ნა-ცოხ-ალი ამონაცოხნი: აღმომღებელთა ნაცოხლისათა (ლევ. 11,4 G).

## IV. ნა — არ

1. ნა-ბილწ-ვ-არი: შესცოდეს მას შეილთა ნაბილწვართა (2 შჯ. 32,5 G).
2. ნა-ბომ-ვ-არი ნაჩუქარი, ბომბებული: ვჭამ პურსა ნაბომვარსა ღმრთისასა (მ. ცხ. 172r).
3. ნა-თხვე-არი ნარწყევი, ნათხევი: ვითარცა ძაღლი რაი მიიქცის თვისსა

ზედა ნათხევარსა (იგავ. 26,11 pb; ნათხევსა O).

4. ნა-ოუ-არი უდაბნო, აოხრებული ადგილი: ვითარცა მელნი ნაოუართა შინა (ეზექ. 13,4 ო; უდაბნოსა ზედა ᚺ).

5. ნა-ქმ-არი გაკეთებული, ქმნილი; საქმე: იხილეს ნაქმარი იგი საგინელი (მ. ცხ. 150 v).

6. ნა-წვე-არი (იობ 41,6 O; კიმ. I, 135,9).

7. ნა-წუე-არი დაწვა, დადაღვა/ დანაწვავი, დადაღული: მისცეს მას სული სულისა წილ, თუელი თუელისა წილ...ნაწუეარი ნაწუეარისა წილ (გამ. 21,25).

## V. ნა — ებ

აქაც მთავარია იგივე ნა პრეფიქსი, რომელიც მიძლეობას აწარმოებს: ებ თემის ნიშანი გადმოყოლილია პირიანი ფორმებიდან და აქ შემოტანილია ამ ტიპის მიძლეობათა აღნიშნული სახეობის უფრო ადგილად მოსანახავად.

1. ნა-ავრ-ები (მრავ. 312,21) ნაძარცვი, ნატაცები.

2. ნა-ანგარ-ები: ნანგარები ვეცხლი არა მოვიღე (მსავჯ. 5,19 G).

3. ნა-ბრალ-ები დანაშაული.

4. ნა-გ-ები კერპებისთვის შენაწირავი: ჭამეს და სუეს ნაგები (ბოლნ. 85,5).

5. ნა-გრძნ-ები ნაჯადოქრალი; გრძნებით, მისნობით გაკეთებული: მიიღე ნაგრძნები ესე, შეჭამე და მოკუედ (Sin. 11, 246v).

6. აღ-ნა-დგინ-ები სარგებელი, პროცენტი: რამისათვის არა დასდევ ვეცხლი ჩემი სავაჭროსა, და მო-მცა-ვედ და აღნადგინებითურთ ექმენ იგი? (ლ. 19,22 E; ეახშითურთ C).

7. განმო-ნა-ღ-ები ბაგინი, კერპთა ტაძარი: უქმენ თავსა შენსა განმონადები ყოველსა ზედა უბანსა (ეზექ. 16,24 28 ო).

8. თანა-ნა-ღ-ები ვალი.

9. ნა-ღინ-ები (1 ნემტ. 12,15) მდინარის მიერ გადმოლაზული ნაპირები, ტალღები: გამო-ნა-ღინ-ები ჩირქი, ბალღამარევი სისხლი: მოირწყოს ქვეყანაი გამონადინებითა შენითა (ეზექ. 32,6 ᚺ: წუთხთავან ᚺ).

10. ნა-ი-ები (ექუსთ. 84,7) გაპობილი, გახეული, გახეთქილი.

11. ნა-რულუნ-ები ნაშრომი, დიდი შრომით, რულუნებით შექმნილი: მიიხუნენ ყოველნი ნაშრომნი შენნი და ნარულუნებნი (ეზექ. 23,29 ᚺ; რულუნებული ᚺ).

12. ნა-სიძე-ები ნაბიჭვარი: შობილ იყო დედაკაცისა ვისგანმე შექმისა ნასიძეებად (ათონ. 11, 193r).

13. ნა-ტაც-ები მონატაცები, წართმეული, წაგლეჯილი: უკუნ-სცეს ნატაცები. რომელი იტაცა (ლევ. 6,4 G); მისცა მონატაცები იგი, რომელ მოსტაცა O); ისწავა ტაცებაი ნატაცებთაი (ეზექ. 19,3 O).

14. ნა-შენ-ები, ნა-შენ-ები: უგრძნულად დაეცის ნაშენები მისი (სწავ. 72,18); არცა...უღირს ძიებაი ნაშენებთა ტურფთაი (მ. ცხ. 79r).

15. შე-ნაჩუენ-ები შერქვენებული, წყეული: მოკალთ თითოეულმან სახლეული თვისი შენაჩუენები (რიცხ. 25,5); დაიცვენით ფრიად შენაჩუენებისაგან (ისუ ნ. 7,18).

16. გარღამო-ნა-ცვენ-ები გადმოცენილი, გადმოყრილი: ძალღნიცა ჭამედ ნაბიჭსა. გარღამონაცვენებსა ტაბლისაგან უფალთა მათთაი (მ. 15,27 C).

17. ნა-წახნაგ-ები გამოთლილი, გამოქანდაკებული: ნაწახნაგები მის ზედა და კარებთა ზედა ტაძრისათა, ქერუვიძნი და ფინიკნი ნაწახნაგებისაებრ წმიდათაისა და მწრაფლები ძელები წინაშე პირსა ელამისასა გარეთ (ეზეკ. 41,25 ო; ქანდაკი, ქანდაკებულებისა ო).

18. ნა-ხუედრ-ები ხუედრი, ნაწილი: ესე არს ნახუედრები შენი და ნაწილი ურჩებისა შენისაი ჩემდამო (იერ. 13,25).

19. ნა-ვმარ-ები ნახმარი, ნაცვაში: სხუაი შეიმოსა ძუელი და ნავმარები (ბალ. 86,16).

## VI. ნა — ევ

1. ნა-გ-ევი (ნა-გევი?) ნაგავი: გიბნევიან საფასენი, ვითარცა ნაგევი (მ. ცხ. 51r); არის ზმნისწინიანი ფორმაც: გარდანაგევისაგან (სწავ. 58,23).

2. ნა-ზორევი კერაბებისათვის შეწირული მსხვერპლი, ნაგები, ნაკერპავი: არცა ვსუ ღვნიო ნაზორევისაგან (ესთ. 14,17 M); ცმელსა ნაზორევეთა მათთასა სჭამდით (2 შჯ. 32,38 pb).

3. ნა-კურთხ-ევი დალოცვილი: ბორკილი იგი ფერვთაი ბრძანოს საცოდ და ნაკურთხევედ ყოველთათვის (შუშ. 17,12).

4. ნა-მაღ-ევი: განუხუნის წინაშე მისა ნამაღევი იგი გულის-სიტყუანი ძნელოვანი (სწავ. 301,32).

5. ნა-მარხ-ევი განძი, საცავი, შესანახავი, შენახული, დაცული ქონება: ნამარხევისაგან, რომელი მე მივეც, ესე ნაშენები აღაშენა (მ. ცხ. 298v); მივეც მაგას ნამარხევედ ოქროი ფრიალი (იქვე, 299v).

6. ნა-მუსრ-ევი ნამსხვრევი, ნატეხები: რაოდენი გოდორი საესმ ნამუსრევი აღილეთ? (მრ. 8,19 DE; ნატეხისაი C); რომელნიმე მოკიდებულ არიედ ნამუსრევესა რასმე ნავისასა (სწავ. 117,17).

7. ნა-მუშა-ევი გაკეთებული საქმე, ნაქმარი: რომლისა-იგი ნამუშავევი ახარებს შორიელთა და მახლობელთა (ი—ე, 15,12).

8. ნა-პარ-ევი უკუეთუ დააყრან და იპოს ველსა მისსა ნაპარევი ვირითგან ვიდრე ცხოვრადმდე ცოცხალი, ორი წილი ზლოს (გამ. 22,4).

9. ნა-რჩ-ევი ამორჩევის შემდეგ რომ დარჩება, ბოლო, უკანასკნელი, ცული. უშვერი: მე ვარ ნარჩევი მოციქულთაი (1 კორ. 15,9).

10. ნა-სყიდ-ევი ნაყიდი.

11. ნა-სხ-ევი (უძე. რედ. 159,2) ღერი (ი.აბულ.)

12. ნა-სხლ-ევი ნასხლავი, ღერწი: ნასხლევსა მოშჭრინ და მოქუეთნ (ეს. 18,5 I); აღავსნის ბაგინი ნასხლევითა (სახ. 10,16).

13. ნა-ქმნ-ევი ნაგები, მოყვანილობა, ტანი: ნაქმნევი სიბერემან გარდააქციის კაცისაი (კობ. I, 143,3). გვაქეს ამ მიძლეობის შემცველი კომპოზიტი ნაქმნეხენეში—ცული შესახედაობისა: გამოვიდა მიერ მსგავსი რაიმე ღელაკაცისაი ნაქმნეხენეში (კობ. I, 55,5).

14. ნა-ღუარ-ევი ხევი; ნიღვარი: გარდამაღლინენ, ვითარცა ნაღუარევი, ცრემლი (გოდ. 2,18); გამოვედ მე ბჭესა მას ნაღუარევისასა (ნემე. 2,13).

15. ნა-ძილ-ევი სიზმარი: ესმა გედღონს განმარტებაი ნაძილევისაი და შეტყუებაი მისი (მსაჯ. 7,15 G; ჩუენებისა M).

16. ნა-ძლ-ვე-ი პირობა, აღთქმა: ნაძლევი დაიდევას მის თანა (სიბრძ. I, 16).  
 17. ნა-ჭმ-ვე-ი ნაჭამი: არა შეიწყნარებს იგი გუშინდელსა ჭამულსა, დალაცა-  
 თუ მიხუდეს იგი ნაჭმევსა თვისსა (უძვ. რედ. 126,9). ჭამული და ნაჭამი ერთმანეთის  
 გვერდითაა.

## VII. ნა — ელ

ნა-მარგ-ელი გამონათხარი (სარეველა ბალახები), გამოჩრეული, ეკალი:  
 უკეთეთ აღმოქმეხურა აგარაკისაგან შენისა მცირე იგი ნამარგელი, ...დიდი ყანობირე-  
 ბი შეიქმნეს (მ. ცხ. 43r).

## VIII. ნა — ენ

1. ნა-ბრდღ-ენ-ი ფრთა, ნაგლეჯი: აღიმკენენ ახლითა ნაბრდღენითა,  
 ვითარცა ორბნი (ეს. 40,31 l).
2. ნა-თხზ-ენ-ი თხზული, ნაწნავი, კოწოლი, ქსოვილი: ნათხზენი თავისა  
 შენისა, ვითარცა პორფირი (ქებ. 7,5 M; თხზული O); დაყენნა შუენი ნათხზენნი  
 თავისა მისისანი (მსაჯ. 16,9 G; კოწოლი M).
3. ნა-კრტ-ენ-ი, ნა-გრტ-ენ-ი ბუმბული, ფრთა: /აქეს/ მფრინველთა ნაგრტენი  
 და ფუტკარსა საწერტელი (უძვ. რედ. 152,24); თუთ ნაგრტენითურთ არცა ხოლო  
 თუ ნასამალი ვარ სირაქლეშისა კუერცხისა (ბალ. 59,6).
4. ნა-ფშუ-ენ-ი ნამცეცი: დაულებს...ნაფშუენი პურისა ღვნითა (მ. ცხ.  
 134v); ნუცა დაუყენებთ მათ ნაფშუენსა ტაბლისა ჩუენისასა (H-2251, 321r).
5. ნა-ქურთ-ენ-ი, ნა-ქურტ-ენ-ი "ქერქი": გარდამოვარდეს თუალთაგან მისთა  
 ვითარცა ნაქურთენი რაიმე (მოც. 9,18 ლ; ნაქურტენნი ლ).
6. ნა-ცხრ-ენ-ი ნაგავი, გაცხრილვის შემდეგ დარჩენილი მტკვერი (?): ყრასა  
 ცხრილისასა დაშთის ნაცხრენი (ზირ. 27,4 O; მურკლი pb).

## IX. ნა — ობ

ობ თემის ნიშანია და, როგორც ავ და ებ-ის შემთხვევაში, აქაც ცალკე  
 წარმოებად გვაქვს გამოყოფილი. ამ ტიპის მაგალითები გაცილებით ცოტაა. ვნახოთ  
 ორიოდ სანიმუშოდ:

1. ნა-შ-ობ-ი შობილი, შვილი: რადსათვს ჰშეე ესევითარი ესე ნაშობი ბორო-  
 ტი? (კობ. I, 153,6); მინდა შეკრება ნაშობთა შენთა (მ. 23,37 C; შვილთა DE).  
 ნაშობი "შვილის" მნიშვნელობით ცხოველებზეც ითქმის: ნაშობი კარაულისა,  
 ნაშობი ასპიტისა (გველის წიწილი) და სხვ.
2. გა-ნა-ხმ-ობ-ი (რიცხ. 11,32 G) აპოხტი, გამხმარი ხორცი.

## X. ნა — ულ

1. ნა-რთა-ული (ღ. სჯ. კან. 222,10) შემდეგ შექმნილი, დამატებული.
2. ნა-კლ-ული ნაკლულევანი, რომ აკლია რამე: იშვის კაცი სულელი და  
 ნაკლული გონებითა (სწავ. 319, 169).



## XI. ნა — ურ

1. ნა-ღე-ურ-ი პირუტყვითა სადგომი, ბაკი, საჩეხე: მოვიდა საულ ნაღურსა სამწყსოსათა (1 მეფ. 24,4 I).
2. ნა-ჩქ-ურ-ი (ღ. სჯ. კან. 424,26) ნაჭორევი, ნაყბედევი, ნასულელები.

## XII. ნა — ამ

1. შე-ნა-ღე-ამ-ი სხუთა შენაღამნი მუართანი დაქსნიან (კომ. II, 107, 32).
2. ნა-თქე-ამ-ი, ალ-ნა-თქე-ემ-ი აღთქმული, დაპირებული: ნათქუამი შენი მიეც შვილთა შენთა (კომ. I, 47,22); აღვასრულო აღნათქუები ჩემი (2 მეფ. 15,7).

## C. სა- პრეფიქსიანი მიმღობები

სა პრეფიქსიუ ზოგჯერ მარტო აწარმოებს სათანადო მიმღობას (სა-ზომი, სა-ტეხი, სა-ფიცი, წარ-სა-ცემი...), უფრო ხშირად კი სხვადასხვა სუფიქსი ახლავს: აე (თემის ნიშანი—სა-კერ-აე-ი), სა—(ა)მ-ალ (სა-ბურ-ველი), სა—ალ (სა-გზ-ალი), სა—არ/ალ (სა-მძიმ-არი, სა-ვარცხ-ალი), სა—მბ-ალ (სა-ბრძან-ებელი), სა—ალ (სა-კუბე-ელი), სა—ობ-ალ (სა-გმ-ობ-ელი): სა—ო (სა-თნ-ო), სა—ურ (სა-ცთ-ური)...

შინაარსით სა პრეფიქსიანი მიმღობები გამოხატავს ახლანდელ ან მოძველებულ დროს: დასაცავი—ის, რასაც იცავენ ახლა ან უნდა დაიცვან მოძველებულში, საწერი—რასაც წერენ ახლა ან უნდა დაწერონ მოძველებულში და სხვ. აქ წარსული დრო გამოირიცხება. გავეცნოთ ნიმუშებს:

## I. სა-

ჩვეულებრივ ნიმუშებს გარდა, აქ შემოვიდა ისეთი მიმღობებიც, რომელთაც საწყისი ოლ და ომ სუფიქსებით ეწარმოებათ და ეს სუფიქსები გადმოყოლილია მიმღობებშიც (წოლა—საწოლი, ჯღობა—საჯღობი), აგრეთვე ერთი ამათი ზმნის ფორმა—დასაბამი (=დასაწყისი). ძველად ამ ზმნას ამ გაგებით პირიანი ფორმებიც ჰქონდა: დავამ (დავიწყე). მაგალითად: დაბამ წიგნწერილებამ იგი სასწაულებითა ძალითა მისისაითა (სინ. 182,35). დაბამ=დაიწყო. აქედან: დასაბამი—დასაწყისი. დასაბამი ამ ძველი შინაარსით დღემდე შემოგვრჩა, თუმცა ზმნის პირიანი ფორმები ამ გაგებით აღარ იხმარება.

განსახილველი ტიპის ნიმუშებია: დასაბამი, საბრძოლი, საგრილი, საზომი (საზომელი), სათხარი, სათხროლი, საკუამი, აღმოსაკუეთი, საკუერთხი, სამზირი, სამსჭუალი (სამმჭუალი, სამრჯვალი), სარბევი, მოსაყლუნი, სატეხი, სატყორცი, საფიცი, სალუაწი, გასაყოფი, საშიში, წარსაკედი, საწყალი, საწოლი, საწონი (საწონელი), საწუეთი, საწყალი, საჭამი, განსაკოცი, საჯღობი.

ძალიან მდიდარია მიმღობით სავალი. მას თითქმის ყველა ზმნისწინი ერთვის და მრავალფეროვან ფორმებს აწარმოებს: აღმოსავალი (აღმოსავლეთი) დასავალი (დასავლეთი), აღსავალი, გამოსავალი, განსავალი, შთასავალი, წარსავალი...

დღეს ჩვენს ენაში ამ ტიპის მიმღობები შეუღარებლად მეტია, განსაკუთრე-

ბით ზმნისწინიანები. მაგალითად: საბეჭდი, სათიბი, დასაკეცი, გასალესი, მოსატანი, დასაბურტყი...

## II. სა — ავ

ავ სუფიქსი აქ თემის ნიშანია, რომელიც გადმოჰყვამ მიძლეობას პირიანი ფორმებიდან (ან საწყისიდან). რადგანაც ასეთი ზმნები და მიძლეობები ჩვენს ენაში ბევრია და გარკვეულ თავისებურებებს შეიცავს, ისინი ცალკე ჯგუფად გამოვყავით. სანიშნურო მაგალითებს კონტექსტის გარეშე მოვიყვანთ:

საბასრავი (საბასარობელი), საბეჭდავი, საბურავი (საბურველი), სადაგავი (სადაგველი), საზარხავი, სათესავი (გარემო-სათესავი / გარემო-სათესველი), სათუ-  
ლავი, საკარგავი, საკერავი, საკითხავი, განსაკითხავი, საკრძალავი (მოსარიდებე-  
ლი), სალენავი, სალოცავი (სალოცველი), მისალტოლავი (მისალტოლველი),  
სამალავი (სამალველი), სამარხავი, დასამარხავი (დასამარხველი), სანათლავი,  
დასანერგავი, სანეფხავი, საოლავი, საპარსავი (საპარსველი), სარენავი, მოსარენა-  
ვი. შემოსართავი, სართუავი, სარწყავი, სასიძავი, სატვრთავი (სატვრთველი),  
საურავი, საფლავი, დასაფლავი; საღებავი, საცავი, დასაცავი (დასაცველი), საწირა-  
ვი, შესაწირავი, საწურავი (საწურველი), სახედავი, შესახედავი, სახილავი,  
საენავი, საუშბილავი.

## III. სა — (ა) ვ — ელ

აქ შემოდის ისეთი მიძლეობები, რომელთა დასაყრდენ ზმნებსაც ავ თემის ნიშანი აქვთ, მაგრამ სხვათაგან განსხვავებით მიძლეობისათვის სა — ელ კონფიქსს იყენებს: ბურ-ავ-ს → სა-ბურ-ავ-ელ-ი → სა-ბურ-ვ-ელ-ი. თემის ნიშნისეული ამოღებუ-  
ლია მომდევნო ე-ს მიერ. ამიტომ ენაში (ძველსა და ახალში) გვაქვს პარალელური წარმოება:

სა-ბურ-ავ-ი	და	სა-ბურ-ვ-ელ-ი
სა-დაგ-ავ-ი		სა-დაგ-ვ-ელ-ი
მი-სა-ლტოლ-ავ-ი		მი-სა-ლტოლ-ვ-ელ-ი
სა-ლოც-ავ-ი		სა-ლოც-ვ-ელ-ი
სა-მალ-ავ-ი		სა-მალ-ვ-ელ-ი
სა-პარს-ავ-ი		სა-პარს-ვ-ელ-ი
სა-ურ-ავ-ი		სა-ურ-ვ-ელ-ი
და-სა-ც-ავ-ი		და-სა-ც-ვ-ელ-ი
სა-წურ-ავ-ი		სა-წურ-ვ-ელ-ი

წინა თავში ასეთი ფორმები ფრჩხილებში გვექონდა ჩასმული, როგორც პარალელური წარმოება: საბურავი (საბურველი). ახლა აქ ამით ცალკე გამოვყოფთ და შეგვაქვს სხვა ჩვეულებრივ ფორმებთან ერთად, რომელთაც პარალელური ფორმე-  
ბი არ გააჩნიათ. მაგალითად, გვაქვს: ბარავს — არა საბარავი, არამედ საბარველი,  
კრავს — არა საკრავი, არამედ საკრველი, იმითხვეს — არა საიმითხავი, არამედ საიმით-  
ხველი. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამით გვერდით სადმე არ იყოს უფრო  
მარტივი და. უნდა ვიფიქროთ, უფრო ძველი სა — ავ ტიპის წარმოება. არაიშვითად,  
როგორც ენახეთ, გვაქვს პარალელური ფორმები. ძველი და ახალი ფორმები ხშირად

მოიდან ერთად. საბოლოოდ ერთ-ერთი იმარჯვებს და მეორე გადის ხმარებიდან, მაგრამ ზოგჯერ ორივე რჩება შეხმატკბილებულად, თუშცა რამდენადმე მნიშვნელობის განსხვავებით. ჩვენს შემთხვევაშიც ასეა: ორივე სახეობა ერთად განაგრძობს არსებობას. ენახოთ ნიმუშები:

საბერველი, საბურველი (საბურავი), საგბოლველი, საგლემველი (საგრემველი), სადაგველი (სადაგავი), საზორველი, სათესველი (სათესავი); დასათრგუნველი, მისათულველი, განსათხზველი, შესაკინძველი, საკიცხველი (საკიცხავი), საკლველი, საკრველი, საკრძალველი, მოსაკუფხველი, სალოცველი (სალოცავი), მისალტოლველი (მისალტოლავი), სამალველი (სამალავი), დასამარხველი (სამარხავი), სამისნველი, სამოთხველი, შესამუსრველი, საპარსველი (საპარსავი), სასიძველი (სასიძავი), მოსასრველი, სატანჯველი, სატვრთველი (სატვრთავი), საურველი (საურავი); საფარველი, საფეკველი, საშუბინველი, საშურველი (საშურელი); დასაცველი (დასაცავი); საცოდველი, დასაწუველი, საწურველი (საწურავი); საჭირველი, საჭურველი, სახედველი (შესახედავი); სახილველი (სახილავი), საწნველი (საწნავი).

#### IV. სა — ალ

1. სა-გზ-ალი
2. სა-მკ-ალი მოსამკელი
3. სა-სთუნ-ალი სასთუმალი
4. სა-ქეს-ალი (საქსუალი) საქსოვი, ქსელი.

#### V. სა — არ(ალ)

სავარცხალი, საკიცხარი (საკიცხელი, საკიცხველი), საკუთარი (←საკუთნარი), სამართალი, სამძიძარი, სანუკვარი, საპოვარი, შესაპოვარი, საყარი, სატიხარი, საუტარი, საუბნარი, საქმარი, ველთ-საქმარი, საყდარი (←საყუდარი), საცხოვარი, საძოვარი, საწვმარი, საწყევარი, საყუდარი, საყმარი, საყსარი, გამოსაყსარი.

#### VI. სა — ებ - ელ

ამ ტიპის მიმღეობები ბევრია ქართულში. ებ, ცხადა, თემის ნიშანია და არა მიმღეობის მაწარმოებელი, მაგრამ სწორედ სიძრავლის გამო, მაინც შესაძლებლად ჩავთვალოთ განსახილველი ჯგუფის ცალკე გამოყოფა. გავეცნოთ ნიმუშებს:

დასაბრკოლებელი, შესაბრკოლებელი, საბრძანებელი, დასაბუდებელი, განსაგებელი, საგებელი (აღსაგებელი, განსაგებელი, დასაგებელი, მისაგებელი, მოსაგებელი...), საგზებელი, საგოდრებელი, საგონებელი, საგრძნობელი, დასადგინებელი, დასადებელი, შთასადებელი, სადიდებელი, მოსავაკებელი, სეანებელი, შესავედრებელი, საენებელი, საესებელი, აღმოსავსებელი, სათარგმანებელი, დასაკრებელი, შესაკრებელი, საკურნებელი, განსაკრებელი, დასაკრებელი, მოსალოდნებელი, სალოხინებელი, აღსამატებელი, წარსამატებელი, აღსამალოდნებელი, შესამზადებელი, განსამრავლებელი, სამსახურებელი, აღსამსთობელი, დასამტკიცებელი,

საშწირებელი, განსანათებელი, სანთებელი, (მო)საკურებელი, სარგებელი, განსარინებელი, სასთულეხელი, განსასუენებელი, შთასასუენებელი, შესასწავებელი, დასატაცებელი (მისატაცებელი, მოსატაცებელი, მიმოსატაცებელი), განსატყეპებელი (მისატყეპებელი, გამოსატყეპებელი), სატყორცებელი, შესატყეპებელი, შესაულღებელი, გამოსაქანდაკებელი, საქებელი, განსაქიქებელი, აღსაღებელი, განსაღებელი, შესაყენებელი, დასაყუდებელი, აღსაშენებელი, აღსაშფოთებელი, საჩუნებელი, საცთუნებელი, საცხებელი, საცხორებელი, მოსაცხრობელი (/მოსაცხრობელი), საძიებელი, შესაძლებელი, შესაძრწუნებელი, დასაძუელებელი, საწამებელი, საწებელი, შესაჭირებელი, შესახებელი, საყსენებელი, მოსაყსენებელი.

## VII. სა — ევ — ელ

ამ ტიპის მიძლეობათა ძველ ქართულში არსებული ნიმუშებია:

განსაბნეველი, სათხეველი, საკუმეველი, საკურთხეველი, შესამთხეველი, სანქრეველი, სარბეველი (/სარბიელი), სარეველი, დასარღუეველი, სარყეველი, სასუფეველი, მისატყეველი (მოსატყეველი, შესატყეველი...), საძღეველი, სახეველი, სახეველი, შესახეველი.

## VIII. სა — ელ

სა პრეფიქსიან მიძლეობათა შორის ეს არის ყველაზე უფრო გავრცელებული სახეობა. აქ, სა და ელ მაწარმოებლებს გარდა, არ გვხვდება სხვა გამართულებული ელემენტები (თემის ნიშნები, სხვადასხვა სუფიქსი...). ამიტომ წარმოება ნათელი და ადვილად გასაგებაა.

აღსანიშნავია, რომ ელ სუფიქსი რომელიმე პრეფიქსთან ერთად ყველა ტიპის მიძლეობაში გვაქვს და თანაც, როგორც აქ, ჩვენს შემთხვევაში, საერთოდაც, ფართოდ გავრცელებულია. მაგალითად: მო-მ-გებ-ელი, აღ-მა-შენებ-ელი, ნა-მარგ-ელი, სა-რბევ-ელი, უ-გბოღვ-ელი. ელ მიძლეობების მთავარი მაწარმოებელი სუფიქსია. ასე ფართოდ გავრცელებული ელ სუფიქსი ახლა სა პრეფიქსის მეწყვილია: სა-ქიქ-ელი, სა-სუმ-ელი, სა-სჯ-ელი...

ენახოთ ამ სახის მიძლეობათა ნიმუშები ძველი ქართულიდან:

საბანელი, საბლარდნელი, კრედსაბმელი (კრეტსაბმელი), საბრძოლელი, საგველი, საგინელი, საგოზელი, საგორელი, საგრაგნელი, შესაგრაგნელი, საგუმე-ელი, საგუმერელი, საგურკელი, სადაგველი, სადგმელი (გარე-მოსადგმელი, დასადგმელი, შესადგმელი, შთასადგმელი...), სადგომელი, გარდამოსადგომელი, სადინელი (გამოსადინელი, გარდამოსადინელი, წარსადინელი...), საზარელი, საზომელი (/საზომი), საზრდელი, გამოსაზრდელი, სათიბელი, სათრომელი, განსათქმელი, სათხრელი, საკდმელი, საკიცხელი (/საკიცხეველი), აღმოსაკუთელი, საშხრელი, საშოსელი, შესაშოსელი, შესამტკიცელი, სამღერელი, სამყნელი, სამშენელი (/სამშენეველი), სანატრელი, სარბიელი, ცხენთ-სარბიელი, სარეკელი, სარეკელი, განსარომელი, სარტყელი, მოსარტყმელი, სარქველი, განსარყუნელი, სარჩომელი, სარცხელი, სარცხენელი, სასიტყუელი, სასმენელი, სასტვენელი (/დასასტვენელი), სასუმელი, შესასუმელი, სასყიდელი, განსასყიდელი, სასხდომელი, დასასხდომელი, მოსასხმელი, შესასხმელი, დასასჯელი (დასაშჯელი), დასატკებელი, საფანელი,

საფეთქელი, აღსაფხურელი, საქანელი, (გარდამოსაქანელი, შთასაქანელი...), საქაქელი, საქუმელი, საყნოსელი, საყოფელი (დასაყოფელი, მისაყოფელი...), საყურელი, საყუდელი, საყუედრელი, საყუენელი, საშინელი, დასაშრომელი, საწუნებელი (სიზმარი), განსაცდელი, საცემელი (მისაცემელი, მოსაცემელი, თაყუანის-საცემელი...), საცთობელი, საცინელი, საციქელი, საცონხელი, განსაცუმელი, შესაცუმელი, განსაცხრომელი, მოსაცხრომელი, საძაგელი, შესაძინელი, შესაძურომელი, საწადელი, საწერელი, საწერტელი, განსაწმედელი, მოსაწმედელი, საწნებელი, საწონელი, დასაწუნელი, საწუნხელი, საწყინელი, მოსაწყინელი, წარსაწმედელი, შესაწყნარებელი, საჭმელი, შესაჭმელი, აღსაჭრელი, განსაჭრელი, სახუეტელი, სახურეტელი, საჯდელი, ზარის-ასაჯდელი, საჯსნელი, დასაჯსნელი, საკურეტელი, საჯდომელი, საჯმნელი.

ცალკეა გამოსაყოფი შე-სა-წევ-ნ-ელი.

## IX. სა — ობ — ელ

ეს წარმოება სა — ებ — ელ-ის პარალელურია და მას გვერდიგვერდ მიჰყვება. ესა ოღონდ, რომ ისე გვერცელებული და ხშირად ხმარებული არაა. სხვა მხრივ კი სავსებით მისი მსგავსია. ეს გასაგებიცაა: ებ თემის ნიშანი უფრო ხშირად იხმარება ენაში, ვიდრე ობ. ელ კი ორივეს საზიარო აქვს. ენაზოთ სათანადო ნიშნუები:

საბასრობელი, საბრალობელი, საგალობელი, საგიობელი, საგლაზობელი, საგმობელი, საგრილობელი, საგრძობელი, საზუაობელი, დასათობელი, დასათრობელი, სათხრობელი, მისათხრობელი, განსაკრთობელი, საღობობელი, სამისნობელი, აღსაშსობელი, სამწერობელი, მისანდობელი, შესანდობელი, საყრობელი (დასა-ყრობელი, კელის-აღსაყრობელი), საჟამობელი, განსაფრთხობელი, საქალობელი, საშრობელი, საცილობელი, საცნობელი, მოსაცხრობელი (/მოსაცხრომელი), საწყალობელი, განსაწყობელი, სახიობელი, საკამლობელი (/საკამრობელი), საკობობელი.

## X. სა — ოფ — ელ

საყოფელი, განსაყოფელი, დასაყოფელი, მისაყოფელი, შესაყოფელი, შთასაყოფელი.

ოფ თემისნიშნისი ზმნა (და მიძლეობაც) ერთადერთი გვაქვს ძველსა და ახალ ქართულში.

## XI. სა — ო

1. სა-ბჭო სამსჯავრო, გასარჩევი ადგილი თუ ორგანო: აღაშენეს ადგილი საბჭოდ (ურთ. 136,15); საბჭოსა დაუდებდი თავსა შენსა (მ. ცხ. 107r).

იმ პირს, ვინც ასამართლებდა (სადავო საქმეს არჩევდა), ბჭე ერქვა. ბჭე წარმომდგარი უნდა იყოს \*მ-ბჭ-ე ფორმისაგან.

2. სა-ვაჭრო

3. სა-უნო მვენებელი, საზიანო: საქმე იგი იყო რაიმე სავნო და არა სარგებელი (მ. ცხ. 164v).

4. სა-მწყსო ფარა; მოსამწყემსავი, მოსავლელი, საპატრონო. დღეს

სამწყისოს უფრო ფართო მნიშვნელობით ხმარობენ.

5. სა-ღუაწ-ო (საღუაწი) (სწავ. 118,12) სამოღუაწეო, საბრძოლო.
6. სა-შო (=საშეო =სა-შეე-ო)
7. სა-ჩინ-ო შესაჩინევი, გამოსაჩინი, ჩინებული.
8. სა-ცო საცევი, დასაცევი.
9. სა-ჭირ-ო აუცილებელი; ძნელი.

## XII. სა — ულ

1. სა-ღე-ური
2. სა-მჭედ-ური (სამჭადური) ანკესი.
3. სა-რთ-ული სახურავი (რაც ზემოთ არის დართული).
4. სა-რწყ-ული საწყლე, ჩაფი, ტაკუკი.
5. სა-სუმ-ური (სასმური) საქეფო სახლი: მივედ შენ სახლად მწუხარებისა და ნუ სახლად სასუმურისა (H-341, 616). სუმ ძირისაგანა ნაწარმოები მოსუმური მოსმური—მსმელი, მოქეფე.
6. სა-სმე-ური მუშე; რძის ჭურჭელი.
7. სა-ტფ-ური გასათბობი.
8. სა-ფარდ-ული სავაჭრო, დუქანი.
9. სა-ცთ-ური
10. სა-ცნა-ური ცხადი, ცნობილი, შესაცნობი.
11. სა-ძნა-ური საძნელო, სამწუხარო.
12. სა-ხარ-ული გასახარელი.

## D. უ- პრეფიქსიანი მიმღებობები

მიმღებობები გვაქვს მარტო პრეფიქსით (უ-შიში, უ-შრეტი) და, უფრო მეტად, უ-პრეფიქსისა და ავ, არ, ელ, ილ, ურ სუფიქსების საშუალებით ნაწარმოები (უ-ძრ-ავი, უ-შ-არი, უ-ბან-ელი, უ-ცონ-ილი, უ-კეთ-ური). შინაარსის მთავარი ხაზი ყველგან ერთია—უქონლობა: უშრეტი—დაშრეტილი რომ არ არის; უვმარი—გამოუსადგვარი, უვარვისი, მოუხმარელი; უბანელი—დაბანილი რომ არ არის; უცონელი—ზარმაცი რომ არ არის, რომ არ ეზარება; უკეთური—კეთილი რომ არ არის, ავი, ბოროტი, უსამართლო. ამ უარყოფითს შინაარსს აღნიშნულ ფორმებს სწორედ უ თავსართი ანიჭებს. ამიტომაც, რომ ამ სახის ყველა ჯგუფში შემავალი მიმღებობები გარკვეული თვისების უქონლობას მოუთითებს.

ეს—შინაარსის შესახებ. ფორმის თვალსაზრისით აღსანიშნავია შემდეგი: უ-პრეფიქსსა და ელ სუფიქსს შორის ზოგან გვაქვს (ა)ვ, (ა)მ, ოლ, ომ, ოფ სუფიქსები. განსაკუთრებით ხშირად კი ებ და ობ თემის ნიშნები. ყველა მანც ერთ ჯგუფში გვაქვს გაერთიანებული. მხოლოდ ავ თემისნიშნანი ფორმებია ცალკე გამოყოფილი, რადგან ყველა შემთხვევაში, ფუძისა და ავ სუფიქსის გარდა, აქ სხვა ელემენტები არ არის და ხელს არ გვიძლის მთლიანი ფორმის დაშლასა და ანალიზში.

ახლა გავეცნოთ ნიმუშებს:

## I. უ

1. უბრძოლი
2. უღები ზარმაცი, არაგულმოდგინე, დაუღეკარი, უნაღვლელო: ყოველნი მოძილ ვართ, ყოველნი მედგარ ვართ და უღებ (საკ. წ. II, 562,1). აქ სამი სინონიმური პარალელაა: უღები, მოძილი (ძილისგულა, მძინარა) და მედგარი (შშიშარა, ზარმაცი, ვინც დგას და არ ინძრევა).
3. უვალი, წარუვალი უვალი, გაუველელი, ფეხდაუღმელო: უვალთა ადგილთა აღმართეს კარები (სიბრძ. II, 2 O).
4. უზავი მოურიგებელი, დაუთმობელი, შეურიგებელი.
5. უზომი უზომო, განუზომელი, ღიდი: ვითარ უკუე იხილა იაკობ ძქ თვისი იოსებ, მოეხუა სურვილითა უზომითა გულისა მისისადათა ქედსა იოსებისსა (საკ. წ. II, 75,3).
6. უკლები უნაკლულო, რომ არ აკლია: /ნაწერი/ მართალი არს და უკლები (Q-1062, ანდერძი).
7. უმწყი გაუხედნავი, გაუწერთნელი: კიც უმწყი რბის... და დასცემს ზედამჯღომელსა მას (H-2251, 288v).
8. შეურაცხი უბრალო, არაფრად მისაჩნევი, არაფრად ჩასაგდები. უმნიშვნელო, ცული: ჯუარი ესე ნუ გგონიენ, რომელი-ესე ჩას, ვითარცა შეურაცხი (სინ. 247,20).
9. ურგები გამოუსადეგარი, უსარგებლო, უნაყოფო.
10. ურილი მოურიღებელი, ურცხვი, უნამუსო, დაუღეკარი, წინდაუხედავი.
11. ურჩი ჯიუტი, გაუგონარი.
12. ურცხვ
13. უსმი ყრუ, ურჩი, შეუსმენელი, გაუგონარი: იხილა მეფემან, რამეთუ უსმ არს და ურგებ თხოვაი მათი (ისტ. ქრ. II, 58,17); ერსა მას ექმნა გული უსმ და ურჩ (იერ. 5,23 I).
14. უსრული
15. უტყვ არამეტყველი, დადუმებული; მუნჯი. აქედან: უტყუება (სინ. 27,25).
16. უქმი ამაო, უსარგებლო, უნაყოფო, უშედეგო.
17. ულუაწი მოუკლელი, ზრუნვაგამოკლებული.
18. უმსნი დაუსახლებელი, ცარიელი ადგილი.
19. უშიში უშიშარი: დაშჯდე მენ ადგილსა კრძალულსა და უშიშსა (სწავ. 117,31).
20. უშრეტი ჩაუქრობი, დაუესებელი: ბზც იგი დაწუას ცეცხლითა მით უშრეტითა (მ. 3,12).
21. უტები უვიცი, უმეტარი, უცოდინარი.
22. უცონი დაუზარელი.
23. უძილი უძილო, ფხიზელი: არს მღვდარე და ფრთხილ ძილისა მისგან, ვითარცა უძილნი (საკ. წ. II, 9,7).
24. უძლები ფეხმძიმე.
25. უძლები ზარბი, გაუმაძლარი; ურცხვი, უწესო.
26. უხუევი ის, ვინც არ წაგლეჯს, არ წაართმევს: ფრიად უხუეჳად

იქცეოდეს (ურთ. 76,27).

## II. უ – ავ

1. უღრტვნავი (/უღრტვნველი)
2. დაუორგუნავი გაუთელავი.
3. უკითხავი
4. უკულავი
5. უღპოლავი (/უღპოლველი) უღპობელი, დაუღპობელი.
6. ურთავი უჭერო, უსახურავო; წინაკარი, ტალანი.
7. ურწყავი, შეურწყავი შეურწყმელი, შეურვეელი, მთლიანი, განუყოფელი:  
სამებას განუყოფელსა და შეურწყავსა (H-341,118).
8. უურავი (/უურველი) უზრუნველი, უდარდელი, უნადვლეელი, უწუსარი.
9. დაუფლავი
10. უძრავი, შეუძრავი
11. უწრავი (/უწირველი) შეუწირავი.
12. უხილავი
13. უხუავი, თუალუხუავი მიუკერძოებელი, ობიექტური.
14. უვნავი.

## III. უ – არ

1. უმგმარი მოუხარმავი, ხარშვადაკლებული.
2. უმეტარი უვიცი, უცოდინარი; უცნობი.
3. უმცხუარი გამოუწვავი (თიხის ჭურჭელი): /მეკეცემან/ არცა დააკლის  
ალი, რადთა არა უმცხუარი დაშთეს და განირყუნეს (სწავ. 309,35).
4. უპოვარი ღარიბი, ლატაკი, არაფრის მქონე: იოვანე /იყო/ გლახაკ და  
უპოვარ, უქალაქო, უქუყვანო, უზმა და არა მჭამელ (სინ. 208,2).
5. უქმარი მოუხმარი, უვარგისი, დაუშუშავებელი, გამოუყენებელი.
6. უწვმარი (/უწვმებელი) წვიმა რომ არ მოდის, წვიმა რომ არ დაასველებს:  
თავსა ზედა მთათასა იყო სეგორი, მცირე, უწვმარი და ურწყავი და უმგმარი (სწავ.  
197,12).
7. უჭუვარი მწუხარების გარეშე, მწუხარება (ჭუველი) რომ არა აქვს:  
მოსწრაფედ უკუე მივავლინე ეგე, რადთა იხილოთ ეგე და კუალად გიხაროდის, და მე  
უჭუვარ ვიყო (ფილიპ. 2,28 CD; უზრუნველ AB).
8. უმგმარი მოუხმარებელი, გამოუსადეგარი, უვარგისი: ევდემონ უმგმარსა  
პასუხობასა სიტყუა-უგებდა თქუმულთა მათ ევიფანეს მიერთა (საქ. წ. II, 112,34).

## IV. უ – ელ

ყველაზე სრულად ძველსა და ახალ ქართულში სწორედ ეს სახეობაა წარმოდგენილი. ეს გასაგებიცაა. როგორც ენახეთ, ელ სუფიქსი ყველა ტიპის მიმღეობაში გვაქვს, თანაც ძალიან ფართოდაა გავრცელებული. აქაც ასეა.

ელ სუფიქსის წინ ძალიან ხშირად გვაქვს თემის ნიშნები, სრულად თუ



შეკუმშულად (დაუბადებელი, შეუნდობელი, განუყოფელი, დაუბურველი...). ყველა ამ ერთ ჯგუფშია გაერთიანებული და საჭიროდ არ დაგვინახავს ცალ-ცალკე დაგვე-  
აწილებინა, რადგან აქ საამისო საფუძველი არ გვქონდა.

ვუზენებთ სათანადო ნიშნებს შერჩევით:

მიუარდილებელი, დაუბადებელი, უბანელი, დაუბრკოლებელი, შეუბრკოლე-  
ბელი, უბრძანებელი, უბრძოლველი, დაუბურველი, შეუგვანებელი, უგბოლველი,  
(შე)უგინებელი, უგმობელი, მოუგონებელი, უგუემელი, უგულეული, დაუდგრომელი,  
(მო)უდრეკელი, უდრტვნიელი (/უდრტვნიავი), დაუდრებელი, უტვუელი, უვნებელი,  
დაუვსებელი, შეუზავებელი, უზაკველი, უზარებელი, შეუზმნელი, განუზომელი,  
განუზრახველი, უზრუნველი, უთლელი, დაუთმენელი, მოუთუალველი, უთქუელი  
(გამოუთქუელი, შეუთქუელი), უთხოველი, მოუთხრობელი, შეუკადრებელი,  
უკერველი, გამოუკითხველი, განუკითხველი, მოუკლებელი, უკრძალველი, განუკე-  
თელი, გამოუკულეველი, უკლალველი, დაუკლენელი, უკმობელი, მოულოდებელი,  
უკპოლველი (/უკპოლავი), განუკლოლველი, უკხინებელი, მოუმდგრებელი,  
განუმზადებელი, შეუშკობელი, დაუმორჩილებელი, აღუმრღვეველი, შეუმრღვეველი,  
უმსგავსებელი, დაუმტკიცებელი, უმურკველი, უმუსრველი, დაუმძიმებელი, მიუმ-  
ძლავრებელი, უმხილებელი, განუნათლებელი, შეუნანებელი, შეუნდობელი, უნებე-  
ლი, შეუორგულეული, უოტებელი, დაუსყრობელი, შეურაცხებელი, ურისუველი,  
განურისხველი, ურქმელი, შეურყველი, განურყნელი, შეურწყველი, უსიტყუე-  
ლი, აღუსრულეული, განუსუნებელი, შეუსუნებელი, უსწავლელი, შეუსწავებელი,  
უტანჯველი, დაუტენელი, შეუტკობელი, შეუტყუებელი, უტყუენელი, უურველი,  
უფსველი, განუქარებელი, უქმნელი, კელით-უქმნელი, უქარწინებელი, უქცეული,  
დაულამებელი, განულიმებელი, დაუყვდუნებელი (/დაუყვდუნებელი), დაუყენებელი,  
(გან)უყოფელი, უმსნებელი, (და)უმრეტელი, (და)უმრომელი, უმურველი, უმფოთვე-  
ლი, დაუმჯელი, გამოუჩინებელი, განუჩინებელი, უჩუველი, დაუცადებულად,  
გამოუცდელი, უცვალეული (მოუცვალეული, შეუცვალეული), უცილობელი,  
უცნობელი, შეუცოდებელი, დაუცუეთელი, წინა-დაუცუეთელი, დაუცვენებელი,  
განუცხებელი, უცხოვბელი, დაუცხრომელი, გამოუძიებელი, დაუძინებელი, შეუძლე-  
ბელი, უძლეველი, აღუძრველი, შეუძრველი (/შეუძრავი), უძრწოლველი,  
შეუძრუნებელი, დაუძელებელი, უწამებელი, მიუნდომელი (მიუნთომელი),  
შეუნენელი, (წარ)უნერელი, განუნვალეული, უწირველი, უწინველი,  
მიუნყოფელი, უწოდებულად, უწრთელი, შეუნუხებელი, უწვებელი, მოუნყინებე-  
ლად; მოუნყლველი, მოუნყობელი, მოუნყუდელი, უჭირკვებელი უჭმელი, დაუჭნო-  
ბელი (/დაუჭნომელი), შეუნებელი, უხუჭული, განუცრწნელი (განუხრწნელი),  
მოუკსნებელი, განუკსნელი (დაუკსნელი), გამოუკურვებელი, უკმბელი.

## V. უ — ლ

1. უბილი ა) ზანტი, ზარმაცი, წამოწოლილი: ეგრეცა უდებთა მთ და  
უბილთა ყოველივე შესაძლებელ არს დაბრკოლებად (A-144, 311); ბ) უხარშავი:  
უკუეთუ ვინმე მოართვს მწუნავილთაგანი მხალი, ესე იმსახუროს უბილი (Sin. 11,  
399f).

2. უნდილი უმწიფარი, მოუნწველი.

3. უციონილად დაუზარებლად, დაუყოვნებლივ: უციონილად აღასრულებდეს

ლოცვას და კანონს თვისსა (მ. ცხ. 282v); საქმესა თვისსა იქმოდის უცონილად (მ. ცხ. 44v); შეუდევით უცონილად მარხვასა და ლოცვას (სწავ. 271,26).

## VI. უ — ო

უ — ო კონფიქსი უარყოფითი შინაარსის ფორმების საწარმოებლად არსებით სახელებსაც აქვთ, სადაც ეს წარმოება ძალიან გავრცელებულია და თითქმის ყველგან გვხვდება: უგულო, უსულო... ამ შემთხვევაში უ — ო არსებით სახელს ერთვის და ე.წ. უქონლობის სახელებს აწარმოებს.

ჩვენს შემთხვევაში კი უ — ო ზმნის (საწყისის) ფორმებისაგან აწარმოებს სათანადო უქონლობის მიძლეობებს: აქუს—უქანო (ვისაც არა აქუს), ესავს—უსასო (ვისაც იმედი არა აქუს—უიმედო), მოითმენს—უთმინო და სხვ. ამნაირი ფორმები ცოტაა ჩვენს ენაში. ძველადაც ასე იყო.

ენახოთ რამდენიმე უფრო მეტად დამახასიათებელი მაგალითი. შეიძლება ზოგი მათგანი ერთგვარად სადავო იყოს, მაგრამ ეს საქმეს შემდგომში უფრო ნათელს გახდის.

1. უთმინო მოუთმენელი: იყავნ კაცნი...მასმენელ, უთმინო, დაუპჭირველ (2 ტომ. 3,3).

2. უთნო არმოსაწონი: ვცოდეთ, უთნო ვიქმენით, ვიუსამართლოეთ (ბარ. 2,12 ო).

3. უნდო უბრალო, გამოუსადეგარი, უვარგისი, ცუდი, საძაგელი: მმოსიეს მე უნდოი ესე სამოსელი (მ. ცხ. 200r); ნუ შეუდგებით უნდოთა (1 მეფ. 12,21 ო).

4. ურცხვნო ურცხვი, უსირცხვილო, უნაშუსო: ურცხვნო იქმენ ყოველთა მიმართ (იერ. 3,3 I).

5. ურწმუნო: ნუ იყოფი ურწმუნო, არამედ გრწმენინ (ი. 20,27).

6. უსასო უიმედო: ნურას უსასო ჰყოფთ (ლ. 6,25).

7. უქანო არაფერი რომ არა აქუს, არას მქონე: გლახაკნი და უქანონი შეიყვანენ სახედ შენდა (საკ. წ. II, 28,21); რომელმან განუყვის მონაგები თვისი უქანოთა (ლიმ. 82,11).

8. უჩინო უჩინარი, შეუმჩნეველი, უცნობი, დაკარგული: უჩინონი და დაფარულნი სიბრძნისა შენისანი გამოძიხადენ (ფს. 50,8 ო; გამოუჩინებულნი 5).

9. უცალო მოუცლელი, დაკავებული, გართული: წრაფამან მონაგებთამან უცალო ყო და წარწყმიდა (სწავ. 222,34).

10. უწყინო უმურველი: იყოს ყოველთა მიმართ მასწავლელ უწყინო (2 ტომ. 2,24 Q).

## VII. უ — ურ(ული)

ეს წარმოებაც ჩვეულებრივია სახელებში (უგემური, უკაცური, უფერული, უფსკრული...), მიძლეობებში იშვიათად გვხვდება და, რაც არის, ისიც სადავოა. ჩვენ აქ უჭკვნებთ ორ მაგალითს:

1. უგრძნული, უგრძნულად უეცრად, მოულოდნელად: უგრძნულად დაეცეს ნაშენები მისი (სწავ. 72,17); ქერიობაი და ობლობაი მოიწინენ შენ ზედა უგრძნულად (ეს. 47,9 I; მეცხეულად pb).

2. უცნაური უცნობი, უგუნური, უმნიშვნელო: შეცკვიან...გულის-თქუმათა

მრავალთა უცნაურთა და მკენებელთა (I ტომ. 6,9); უცნაურად ვცურავთ ზღუასა შინა ამის სოფლისასა (მ. ცხ. 294v).

### E. —ილ სუფიქსიანი მიმღობები

პრეფიქს-სუფიქსიანი მიმღობების გვერდით გვაქვს ოდენ სუფიქსიანი წარმოებაც, ისე, როგორც გვაქონდა ოდენ პრეფიქსიანი მიმღობები (და-მწერი, ნა-წერი, სა-წერი, უ-წერი). მაწარმოებლები არის ილ და ულ სუფიქსები (დაწერი-ილი, აღშენებ-ული...), რომლებიც ჩვენს ენაში (ძველსა და ახალში) ძალიან ხშირად იხმარება. ამ ტიპის ფორმები ბევრზე ბევრი გვაქვს. დრო ასეთ მიმღობებში მხოლოდ წარსულია: დაწერილი, აღშენებული, აღსრულებული არის ის, რაც თქმის მომენტამდე დაწერეს, ააშენეს, აღასრულეს. ამათ გვარიც ერთადერთი აქვთ—ვნებ-ითი.

რომელი ზმნების მიმღობები იწარმოება ილ სუფიქსით და რომელი—ულით? ზუსტი წესის დადგენა ძნელია, რადგან არაიშვიათად ეს წესი ირღვევა. მაგრამ ზოგადად მაინც შეიძლება ერთგვარი კანონზომიერება დაეადგინოთ.

a) მიმღობას ილ სუფიქსით აწარმოებენ:

- ა) თემისნიშნო ზმნები: დაბანილი, განთხოვილი, განტეხილი, შეკეცილი...
- ბ) ფუძედრეკადები: განგლეხილი, მოდრეკილი...
- გ) ი თემისნიშნანები: დაგვილი, მოგურილი, განზრდილი...
- დ) ობ თემისნიშნანები: დაბრძობილი, დაგმობილი, დათმობილი...
- ე) უნიშნო ვნებითები: განტფობილი, შეკრებილი, განკრთობილი...

b) მიმღობას ულ სუფიქსით აწარმოებენ:

- ა) ებ თემისნიშნანები: დაბადებული, დაბერებული, განგდებული...
- ბ) ავ თემისნიშნანები (არა ყველა): შეთხზული, განკიცხული, დაფლული...
- გ) ამ თემისნიშნანები: დაბმული, დადგმული, აღთქმული...
- დ) ევ თემისნიშნანი: კურთხეული, ძლეული...
- ე) ეშ თემისნიშნანი: მიცემული, მოცემული.

ცალკე უნდა აღვნიშნოთ მეტად გავრცელებული ზმნა ქნა, რომლის მიმღობაა ქნული (ველით-ქნული..). დღეს ამ ფორმაში ულ სუფიქსის ნაცვლად ილ დამკვიდრდა.

ახლა ენახოთ ილ სუფიქსიანი მიმღობის ნიმუშები:

1. ბანილი, განბანილი: ბანილსა მას არა უეშს ბანა (ი. 13,10 C; განბანილსა DE).
2. დაბრძობილი დაბრძავებული.
3. დაბურვილი პირი მისი სუღართა დაბურვილ იყო (ი. 11,44 DE; დახუეულ C).
4. განბრწყენილი გაბრწყინებული: ვინ არს ესე, რომელი აღმოვალს განბრწყენილი და დამტკეცილი დის-წულსა თესსა ზედა (სჟან. 385v).
5. დაგლილი დამსხვრეული, შეშუსვრილი, დანაყილი, დაჩქევილი: რაჟამს დასხნენ ყოველნი ლოდნი ბომონთანი, დაგლილნი, ვითარცა მტყურნი წულილნი (ეს. 27,9).
6. გარდაგულრძილი დაღვლარჭნილი, მრუდე, გარყენილი.
7. მიღგომილი ორსული, ფეხბძიძე.

8. დადგრობილი დამდგარი, გაჩერებული; დამტკიცებული.
9. ღრეკილი. განდრეკილი, მიდრეკილი მოხრილი, მოდრეკილი, მოღუნული.
10. დაჯრდობილი დაეარდნილი, დააჯრული, ლატაკი.
11. გარდამოერდობილი გადმოეარდნილი; შეერდობილი შეგდებული, ჩაეარდნილი: არა შეერდობილ იყო იოვანე სასყრობილესა (ი. 3,24).
12. შეზელილი
13. თხოვილი გათხოვილი, დანიშნული (ქალი). განთხოვილი—გათხოვილი.
14. შეკეცილი
15. გამოკოდილი გამოჭრილი, გამოთხრილი: გარდამოუსნა იგი და შეჰმოსა მას არდავი და დაღვა იგი საფლავსა გამოკოდილსა, სადა არავენ დადებულ იყო (ლ. 23,53 DE: გამოკუეთილსა C).
16. შეკრებილი
17. განკრთობილი შეშინებული; ჭკუაზე შეშლილი,
18. დაღპოლვილი დამპალი.
19. გამოკუეთილი გამოჭრილი.
20. შემოსილი
21. განმტკეცილი, დამტკეცილი (გალატ. 3,17) მყარი, გამაგრებული.
22. შემუსრვილი გატეხილი, დამსხვრეული, განადგურებული.
23. დამკობილი დაქცეული, დარღვეული, განადგურებული.
24. შეყრობილი
25. განრაცხილი აღრიცხული, გამოანგარიშებული, დათვლილი; შერაცხილი ა) ჩათვლილი, მიჩნეული, მიღებული; ბ) დიდებული, მთავარი.
26. მორყენილი მუცელსმოწყვეტილი.
27. უკურჩინილი გამორჩინილი, მიტოვებული, გამოკლებული.
28. აღსობილი შერჭობილი.
29. მისწრობილი (/მისწრებული) მისული.
30. დასხერილი დამსხვრეული, დატეხილი: ლერწამი დასხერილი არა შემუსროს (მ. 12,20 C; შემუსრვილი DE).
31. განტეხილი ა) გატეხილი, დამსხვრეული, გაგლეჯილი: ლერწამი განტეხილი არა შემუსროს (ეს. 42,3); ბ) დაჭრილი: განრისხნა ვითარცა მკეცი განტეხილი (კომ. I, 138,13).
32. დატკობლვილი დამტკობარი: რომლითა სიმწარენი გულთა ჩუნთანნი დატკობლვილ (კურთხ. მოს. 170,1).
33. დატკეპნილი გათელილი: მთავრობანი და ველმწიფებანი მისნი დატკეპნილ (კურთხ. მოს. 180, 14).
34. დატუსვილი შეტრუსული, გარუჯული: პური დატუსვილი, ეტერი ახალი არა შეჰამოთ (ლევ. 23,24 pb; დარუჯვილი G).
35. დატფობილი გათბობილი, გახურებული: ხილვასა მას და სიყუარულსა დატფობილ იყო (რიფს. 176,12).
36. ურვილი შეჭირებული, შეწუსებული.
37. უღლვილი უღელში შებებული ხარი: უკუეთუ მკნეელი ვიდრეჲ არს, სადა არიან უღლვილნი უარნი? (კომ. I, 134,23).
38. მოქსოვილი, გამოქსოვილი: იყო კუართი იგი უკერველ, ზმთ მოქსოვილ ყოვლად (ი. 19,23 DE: გამოქსოილ C).

39. მიყრდნობილ. მიყრდნობილი: შეჯულიერად მოლუაწმ წმიდაი გურია მიყრდნობილ იყო აღმოსავალით გუერდსა თვსსა ზედა (ეტ. VIII, 121,6; მიყრდნობილ A; მიყრდნობილ C).

40. შრომილი ნაშრომი: სხუანი დამაშურალ არიან, და თქვენ შრომილსა მათსა შემოხუედით (ი. 4,38 DE; ნაშრომსა C).

41. დარქქელი დამსხერეული: მიგიღებთ ველთა შენთა კუერთხი ლერწმისაი დარქქელი (მ. ცხ. 39v).

42. დარღუნვილი: მისცე შენ ძესა შენსა არა თუ თესლი იუდაისი დარღუნვილი და არცა ნათესავი დაძულებული (მრავ. 265,1).

43. დარხერილი გატეხილი, დამტერეული: ლერწამი დარხერილი არა განტეხოს (ეს. 42,3 = მ. 12,20: შემუსრვილი DE; დასხერილი C).

44. შეცთომილი გზას ამცდარი, დაბნეული.

45. წერილი

46. დაწერტილი დაწვეტილი. გადატ. დაჭრილი: დამძრმალ და დაწერტილ ვარ მე სიყუარულითა ღმრთისაითა, ვითარცა ისრითა (სინ. 227,31).

47. განწმედილი

48. შეწყულობილი შემწყვედილი, შეყენებული.

49. წარწყმედილი დაკარგული, დაღუპული.

50. აღმოვდილი ამოღებული: იყენეს თუალნი აღმოვდილ (A-95, 1200): უზმნისწინარი: მახელი ვდილი ველსა შინა (ისუ 6, 5,13 G).

51. დაუსნილი მოშვებული, დაშლილი: დაუსნილ იყენენ ველნი მისნი (2 მეფ. 17,2 O); ყრმაი ჩემი ძეს სახლსა შინა ჩემსა დაუსნილი, ძერ-ძერად ტანჯული (მ. 8,6 C; განარღუეული DE).

52. კუბილვილი დატული, მომწყემსილი: მწყემსთა მიერ კუბილვილი (პარხ. 85b).

## F. -ულ სუჟიძსიანი მიმღობაები

-ულ სუჟიძსიანი მიმღობები შეუდარებლად მეტად და ფართოდ არის გავრცელებული ჩვენს ენაში (ძველსა და ახალში). ვნახოთ უფრო დამახასიათებელი და ტიპური ნიმუშები:

1. განბასრებული დაცინული, განკიცხული, შეურაცხყოფილი: ესე განბასრებულ და განქიქებულ არს (კიმ. I, 325,30); ვინ არს ესე ვნებული ჯორცითა, ძელსა დამოკიდებული, ... ურითაგან განბასრებული (სას. პ. 304,416).

2. შებაყლებული ჭუჭყიანი, მწვირიანი, ჩირქიანი: გუამნი ნუკუელნი, შებაყლებულნი გულის-თქუმათაგან ვნებისათა (სწავ. 280,18).

3. მობერებული (კიმ. II, 156,34).

4. განბოკლებული კეთროვანი.

5. აღბორკლებული აღგზნებული, აღტყინებული.

6. აღბორკილებული ბორკილდადებული: ხედვიდა მას ყოველი იგი დედები აღბორკილებულსა ველით და ფერვით (ქრისტინ. 187,27).

7. შებუშებული დაბუებული, დასიებული: იყენეს დაუსნილ და შებუშებულ საკრეელთა მათგან (4 ძეგ. 212,6).

8. შებღალული მოსვრილი: ველნი თქვენნი შებღალულ არიან სისხლითა (ეს. 59,3 I; შესუარულ O); გიხილე შენ შებღალული სისხლითა შენითა (ეზეკ. 16,6

O).

9. აღგებული მოშადებული, გამართული, ტვირთაკიდებული: ორი კაპრაული აღგებული მის თანა (2 მეფ. 16,1); აქუნდა აქლემი, აგებული ჰურითა ტფილითა (მ. ცხ. 199v).

10. გარდაგებული დაგებული. გაშლილი, დაფენილი: წმიდაი ქრისტინა ვერძთ განისუენებდა, ვითარცა ცხედარსა ზედა გარდაგებულსა (ქრისტინ. 188,30).

11. აღზებული ანთებული, აღტყინებული: აღზებული, ვითარცა თორნე (მალაქ. 4,1); მის თანა დაიწუას აღისაგან აგზებულისა ძირი მათი (ეს. 5,24).

12. მოგინებული, შვეინებული არაწმინდა, უწმინდური, წაბილწული.

13. გარდაგორვებული

14. გუემული ნაკემი, ნატანჯი.

15. ღვენული

16. გავთული გაყოფილი (მ. 12,26 C; მრ. 3,26 C).

17. ვნებული ჩაგრული, სნეული, შეწუხებული, საყარი.

18. აღზავებული, შეზავებული შენელებული, შერეული, მორიგებული.

19. განზოგებული განახევრებული; განზოგებული ღამქ — შუაღამე.

20. შეზრახული განბჭობილი, შეთანხმებული, მოთათბირებული, დათქმუ-

ლი.

21. თესული, დათესული დათესილი.

22. განთესული გაბნეული, გაფანტული.

23. მითუალული (კიმ. I, 163,36) მითვლილი, მიღებული, ჩაბარებული, მინდობილი.

24. დათხეული ა) დაღვრილი, დაქცეული; ბ) დაყრილი, დაბნეული.

25. შეთხზული ა) შეერთებული, დაკავშირებული, გადაბმული; ბ) დაწნული.

26. განკაფული გალეული, დაუბლურებული, გაცვეთილი. გადატ. მოსაზობილი, მოკლული: ვიყენით ჩუენ ამს შინა ესევითარსა განსაცდელსა განკაფულნი მიშითა და განლეულნი ზარითა (მარხ. 868b).

27. განკეთრებული, განკეთროვნებული კეთროვანი, კეთრით დაავადებული.

28. გამოკიდებული, გამოკიდული დამოკიდებული: ამთ ორთა მცნებათა ყოველი შჯული და წინაწარმეტყუელნი გამოკიდულ არიან (მ. 22,40).

29. მოკითხული იქმნეს იგინი მოკითხულ ანგელოზისა მიერ (ურთ. 55,6).

30. დაკართებული დამონებული: ეგრეთა ჩუენ, ოდეს-იგი ყრმაღა ვიყენით, წესსა მას ქუემე ამის სოფლისასა ვიყენით დაკართებულ (გალატ. 4,3).

31. შეკიცული გადაბმული, გადანასკეული: იყო სასხმ წმიდისა მარკოზისი გუამითა შუაკაც. ვრძელ თავითა, შეკიცულ წარბითა, შუენიერ თუალითა, ყვთელ ფერითა. კშირ წუერითა (კიმ. I, 197,13).

32. კრებული

33. ქვადაკრებული ჩაქოლილი: ჩუენ მოკლულთა მოკიქულთა და ქვადაკრებულთა წინაწარმეტყუელთასა აღმოვიკითხავთ (აღწ. 229,5).

34. შეკუართული გადაბმული, მიმაგრებული, გადაკვანძული: რომელთა-იგი ტრფილნი ამის საწუთროისანი შეთხზულ არიან და შეკუართულ განსუენებასა და სიხარულსა (ანტოქ. 365,22).

35. კრული, შეკრული (ი. 11,44).

36. განკურნებული

37. განკრძალული (ლ. 23,10).

38. ლესული გაღესილი: მოიღე შენდა მახვლი ლესული უფროის საყენელისა მკუეცარისა (ეზექ. 5,1).

39. განღეული გაღეული, დაღეული, (შიშით) გამქრალი, გაცვეთილი: ვიყვნით ჩვენ ამას შინა ესეითარსა განსაცდელსა განკაფულნი შიშითა და განღეულნი ზარითა (პარხ. 868b).

40. წარმომართებული წამოსული, გამოშურებული: მოყუსო, რომელსა-ვეე წარმომართებულ ხარ, ყაე აღრე ბრძანებული ევე შენი ეშმაკისაგან (კომ. I, 145,11).

41. განმარტებული გაშლილი, გახსნილი, ღია, ნათელი, წმინდა, წრფელი: ფრთენი მათნი განმარტებულ ზედა კერძო ოთხთავე მათ (ეზექ. 1,11); მიიღებდეს საზრდელსა მხიარულითა და განმარტებულითა გულითა (მოც. 2,46).

42. შეძკული მორთული, შეძკობილი: შეუნიერად შეძკულ, ვითარცა დედოფალი ბლუარისა (სახ. 19,11).

43. უკუნშჭუალული (აპოკ. 6,13) უკულმა მიღურსმული.

44. მოპიტალებული

45. დამღიერებული დაწყლულებული, დამუნანებული: დავრდომილი იდვა ბჭეთა თანა მისთა დამღიერებული (ლ. 16,20 C).

46. დამორჩილებული დამოკიდებული. (მისი) გავლენის ქვეშ მყოფი: ყოველი ერი დამორჩილებულ იყო სმენად მისგან (ლ. 19,48).

47. დამკედრებული (3 მეფე. 20,20) ცხენოსანი.

48. დამკუებული დამხოზილი, პირქვე მყოფი: იხილა რამ იოვანე პირი დედაკაცისა მის დამკუებული, რამეთუ ეგულეობდა ქვეყანასა დაცემად, უყვარველი მისი (აპოკ. 62,12).

49. დამებული გამოზილი, დახეული.

50. აღრეული არეული, შეზავებული.

51. მორთხმული მოზიდული (მშვილდი).

52. რისხეული შერისხული, ვისაც გასწყრომან.

53. რისხული მრისხანე, გაჯავრებული: ფიცხლითა პირითა, რისხულითა თუალითა მკირედ მივხედნე და განვაძო მოსრული (მრავ. 256,7).

54. რულუნებული გარჯილი, ნაშრომი, დიდი შრომით შექმნილი.

55. განრღეული დავრდომილი, კუტი, საყარი.

56. დარღეული დაშლილი, დანაწილებული: დაბრძობილო თუალითა და დარღეულო ვორკითა და სულითა გარდაგულარძნილო (ისტ. ქრ. I, 245, 18).

57. რწმუნებული, დარწმუნებული მინდობილი: რომლისა დარწმუნებულ იყო დამარხვად მათი (კომ. I, 68,31).

58. დარწყული დაგებული (ხაფანგი, მახე): დარწყულ არს ქვეყანასა ზედა საბელი მისი და შესაწყდობელი მისი ალაგთა ზედა (იობ 18,10).

59. დასოვლებული დასველებული: განაკიდა სამოსელი, რომელ დასოვლებულ იყო (კომ. II, 143,3).

60. განსრულებული (დასრულებული, დამთავრებული).

61. შესუარული შერეული, არეული, მოსვრილი, შებღალული: ვითარცა სამოსელი, შესუარული სისხლითა (ეს. 14,19 I).

62. დასულებული, შესულებული შეშინებული, შემფითებული, გაოგნებული, გაშეშებული, დაბნეილი, გრძნობადაკარგული: დაბნელებულ და შესულებულ

თავნი მათნი არიედ მრავლითა მით უგუნურებითა (სინ. 110,20).

63. შესწავებული (მ. 27,16) წარჩინებული, გამოჩენილი, ცნობილი.

64. დასხმული დატვირთული: მის თანა ორნი კარაულნი დასხმულნი (მსაჯ. 19,10 M).

65. მოსხმული ბევრი მნიშვნელობა აქვს. ერთ-ერთთა საქონლის მოდენა, მოყვანა. მოსხმული—მოდენილი, მოყვანილი.

66. მიმოტაცებული დატაცებული, აკლებული, განადგურებული.

67. განტყეებული გაშვებული, დამოტყეებული—ჩამოშვებული.

68. წარტყეებული თავაშვებული, თავხედური.

69. ტყორცებული ნასროლი, გატყორცნილი: გულისხმა-ყვენეს იღუმალ ტყორცებულნი ისარნი მტერისანი (ურთ. 99,3).

70. უხმებული უწყმელი.

71. უფლებული დაუფლებული, დაპატრონებული: ამაპატრავანებად უფლებულ არს მისდა (სწავ. 72,13).

72. განუცხოებული განდვომილი: განუცხოებულო ჭეშმარიტებისაგან, დაგვეყენდ თულნი ევე (კიმ. I, 159, 12).

73. განფიცებული (მსაჯ. 4,23) დამძიმებული, გაძლიერებული.

74. განფრინებული გაფრენილი: ვითარცა სიზმარი განფრინებული ვერ იპოვა (იობ 20,89).

75. განქიჭებული შერცხვენილი. გაწბილებული, თავმოჭრილი: აპა ესერა მე დაეიწუები და ესე განბასრებულ და განქიჭებულ არს (კიმ. I, 323,30).

76. ქნული შექნილი, გაკეთებული.

77. განქრული გაბნეული, გაფანტული.

78. მართლგანქცეული უკანმობრუნებული, მოქცეული, გამრუდებული: ფერჳნი ... მართლგანქცეულ ესხნეს (კიმ. I, 336,11).

79. ლებული (კიმ. I, 258,33) გაღებული; დაღებული (სინ. 226,36; 227,14) შეღებული; გონება-მიღებული (კიმ. I, 316, 16) გონებადაკარგული.

80. დაღონებული მოხრილი, მოღუნული: და იყო /ღედაკაცი/ იგი დაღონებულ და ვერ ებლო ზე ახილვად ყოვლითურთ (ლ. 13,11).

81. აღყენებულად (ისტ. ქრ. I, 250, 23) (მიწიდან ზემოთ) დაშორებით.

82. დაყენილი, დაყვნილი გაპარსული, გაწმენდილი.

83. დაყვთილებული

84. დაშავებული გაშავებული.

85. ჩინებული მოწვეული, მოპატიყებული: მრავალნი არიან ჩინებულ, ხოლო მტირედნი რჩეულ (მ. 20,16).

86. დაცეებული (I მეფ. 5,3) დავარდნილი, დამხობილი.

87. გარდაცემული (ოსე 7,10 O) მოზიდული; ჯუარს-ცემული ქრისტე.

88. გარდამოცვენებული, დაცვენული, დაცვენებული დაცვენილი, დაყრილი.

89. განძარცული, განძარცვეული ტანთგახდილი, შიშველი.

90. შეძრწული მიწებებული, მიკრული: ძარღუნი იგი მათნი იხილვებოდეს შიშვლად შეძრწულნი ძუალსა (კიმ. I, 317, 24).

91. შეძრწუნებული შეცბუნებული, შემცბარი: რაისა შეძრწუნებულ ხართ (ლ. 24,38).



92. მოწვეული მოსული, მოახლოებული; თავსდატეხილი: ჟამი მოწვეულ არს (ლ. 21,8).
93. განწესებული დაწესებული, დადგენილი, დაყენებული: მოვიდა იგი ჟამსა განწესებულსა (მ. ცხ. 252v).
94. დაწინდებული დაწინდული, დანიშნული: მდიდართა შეილი დაწინდებულ იყო ჩემთვის (ბაღ. 54,16).
95. მოწიფებული (მრავ. 307,24) მოსული, მოღწეული; შემოსული, დაწიფებული.
96. დაწმასნული არეული, გაჩეჩილი, დაგრეხილი, დახლართული: თმამ თავისა მისისა დაწმასნულ იყვნეს, ვითარცა ულოდ (Опис. 118,3).
97. დაწუნებული (მრავ. 232,13; ისტ. ქრ. I, 255,27) დაჩაგრული, დამცირებული, შეურაცხყოფილი, გაკიცხული, გაგდებული.
98. უწყებული შეტყობინებული: ესე შენდა უწყებულ იყავნ (კიმ. I, 148,31).
99. წარწყმედილი (წარწყმედილი) დაკარგული, დაბნეული, დაღუპული: ვპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედილი (ლ. 15,6).
100. შეწყუდეული (შეწყდომილი) დაწყვედეული: ვიდრე შეწყუდეულ იყო საულის მიერ (1 ნეშტ. 12,1).
101. ჭაბებული ნასუქი, მსუქანი: მამამან შენმან დაკლა ზუარაკი იგი ჭაბებული (ლ. 15,27).
102. ჭენებული რომელსაც უბიძგეს, ხელი ჰკრეს: გარდაიჭრა ჭენებული სხვსა მიერ კლდესა კარაული კონონისი და მოკუდა (ასურ. 116,20 ო).
103. განზუმული გაღებული, გახსნილი თუალნი შენნი განზუმულ არიან (იერ. 32,19).
104. განვურეებული გახურებული; თბილი: ანუ არა გული ჩუენი განვურეებულ იყო ჩუენ შორის? (ლ. 24,32).

## ძირითადი შემოკლებანი

- აბლ. (წიგნი) აბლა წინაწარმეტყუელისაჲ, გამოსცეს რ.ბლეიკმა და მ.ბრიერმა: *Patrologia Orientalis*, XIX/2, Paris, 1961.
- აბ. ნეკრ. მოქალაქობა და წამება აბიბოს ნეკრესელ ეპისკოპოსისაჲ: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, 1964, გვ. 240—248.
- აბო წამება წმიდისა მოწამისა სპობისი. დამოწმებულია სამი გამოცემის მიხედვით: 1) კ.კეკელიძისა (ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, 1935, გვ. 55-80); 2) ი.იზნაიშვილისა (ქართული ენის ისტორიული ჟურნალი, ტ. I, ნაწ. I, 1970, გვ. 156—177) და 3) კ.კეკელიძისა ს.ხ. ხელნაწერთა ინსტიტუტისა ი.აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით (ძველი ქართული აგიოგრაფ. ლიტ. ძეგლები, I, 1964, გვ. 46—81).
- აგათანგ. წამება წმიდისა აგათანგელისი დამასკელ კათალიკოზისა, გამოსცა კ.კეკელიძემ: *Христианский Восток*, т. 4, 1915. გადაბეჭდილია მისი ეტიუდების III ტომში (1961). ვსარგებლობთ ამ გამოცემით.
- აგ. ძვე. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ი.აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, I (1964), 2 (1967).
- ალექს. კვპრ. ქაონ. საკითხავი პრენისათვის პატრიონისა და ცხოველსმყოფელისა ჯუარისა, აღწერილი ალექსანდრეს მიერ კვპრელ მონაზონისა, გამოსცა თ.მგალობლიშვილმა, 1978.
- ამბაკ. (წიგნი) ამბაკუმ წინაწარმეტყუელისაჲ: იხ. აბლ.
- ამოს წინაწარმეტყუელებაჲ ამოსისი: იხ. აბლ.
- ანგ. (წიგნი) ანგუა წინაწარმეტყუელისაჲ: იხ. აბლ.
- ანდრ. წამება წმიდათა მოწამეთაჲ ანდრიანისი და ცოლისა მისისა ანატოლისი და მათ თანა მოწამეთაჲ, რომელნი ნიკომიდეა ქალაქსა იწამნეს, გამოსცა ი.აბულაძემ: ძველი ქართული მწერლობის 4 ძეგლი, 1965.
- ანტიოქ. ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ ტიმოთე ანტიოქელისაჲ, გამოსცა კ.კეკელიძემ: ენიქის მოამბე, 7, 1940, გვ. 47—142. გადმობეჭდილია მისი ეტიუდების VI ტომში, გვ. 311—406.
- აპოკრ. ქართული ვერსიები აპოკრიფებისა მოციქულთა შესახებ (IX—XI სს. ხელნაწერთა მიხედვით), გამოსცა ც.ქერციკიძემ, 1959.
- არიმ. წიგნი, რომელი დაწერა იოსებ არიმათიელმან, მოწაფემან უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესმან, და თხრობაჲ აღშენებისათვის ეკლესიისა, რომელ-იგი არს ლუდიას შინა, გამოსცა ნ.მარმა (ТР, 2, 1900).
- ასურ. ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, გამოსცა ი.აბულაძემ, 1955 (ძველი ქართული ენის კათედრის შრომები. I).
- აღწ. ი.ჯავახიშვილი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, 1947.
- ბალ. ბალავარიანის ქართული რედაქციები, გამოსცა ი.აბულაძემ, 1957 (ძველი ქართული ენის ძეგლები. 10).
- ბარ. წინაწარმეტყუელებაჲ ბარუქისი, იხ. ეზრა.
- ბარლ. ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ბარლამ მოღვაწისა, რომელ იყო მთასა კაკასსა, გამოსცა ნ.მარმა: ЗВОИРАО, 13,

- ბას. კეს. სწ. ბასილი კესარიელის სწავლათა ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი. გამოსცა ც. ქურციკიძემ, 1983.
- ბაქოზ წამება წმიდათა მოწამეთა სერგისი და ბაქოზისი, გამოსცა კ. კეკელიძემ: ეტიუდები, VIII, 1962, გვ. 81—93.
- ბოლნ. იოვანე ბოლნელ ეპისკოპოსის ქადაგებანი, გამოსცა მ. ჯანაშვილმა, 1911.
- გალატ. ჰელე მოციქულისა წიგნი გალატელთა მიმართ: ჰელეს ეპისტოლეთა ქართული ვერსიები, გამოსაცემად მოამზადეს ქ. ძონწინიძემ და კ. დანელიამ, 1974 (ძველი ქართული ენის კათედრის შრომები. 16).
- გალობ. გალობანი. იხ. ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები: გამოსცა შხ. შანიძემ, 1960 (ძველი ქართული ენის ძეგლები. 11).
- გამ. წიგნი მეორე მოსისი—გამოსლეთათ: წიგნი ძუელისა აღთქმისანი, ტ. I, ნაკვ. I, გამოსცა ა. შანიძემ, 1947 (ძველი ქართული ენის ძეგლები. 4).
- გამოცხ. გამოცხადება იოვანისი, გამოსცა ი. იმნაშვილმა (ძველი ქართული ენის კათედრის შრომები. 7, 1961).
- განწ. განწინება და განწესება მოძღუართა მიერ მართლმორწმუნეთა, რომელსა მყოფენ იერუსალიმს. დამოწმებულია 2 გამოცემის მიხედვით: კ. კეკელიძისა (Иерусалимский канонарь VII века, грузинская версия, Тифлис, 1912) და მ. თარხნიშვილისა (CSCO, vol. 188, Scriptorum Iberici, t. 9, Louvain, 1959).
- გარესჯ. ცხობება და მოქალაქობა წმიდისა მამისა ჩუენისა დავით გარესჯელი-სა: იხ. აბ. ნეკრ., გვ. 229—240.
- გობრ. წამება გობრონისი, რომელი განიყვანეს ყველის ციხით: იხ. აბ. ნეკრ., გვ. 172—183.
- გოდ. გოდებანი იერემიასნი, გამოსცეს რ. ბლეიკმა და მ. ბრიერმა: *Patrologia Orientalis*, XXIX/4, Paris, 1961.
- გრ. ანძ. საკითხავი, თქმული წმიდისა გრიგოლი ანძიანძორეველი ეპისკოპოსისა შობისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტისა, გამოსცა ი. აბულაძემ (მრავალთავი: ენიქის მოამბე, 14, 1944, გვ. 293—301).
- გულანდ. სიმენს და მოლუწება ნეტარისა გულანდუხტისი სპარსეთს, გამოსცა კ. კეკელიძემ: ეტიუდები, III, 1955, გვ. 210-227.
- გურ. დ. გურამიშვილი, დავითიანი, 1955.
- გურია წამება წმიდათა და კეთილად მძლეთა მოწამეთა გურია, სამონა, აბიბოსეთი, რომელნი იწაწნეს ქალაქსა ედესისასა, რომელ არს ურპაი, გამოსცა კ. კეკელიძემ: ეტიუდები, VIII, 1962, გვ. 104—131.
- დაბ. წიგნი პირველი მოსისი — დაბადებისა: იხ. გამ.
- დან. წინაწარმეტყუელება დანიელისი, გამოსცეს რ. ბლეიკმა და მ. ბრიერმა: *Patrologia Orientalis*, XXIX/5, Paris, 1961.
- დიონ. ცხობება წმიდისა დიონისისა ეპისკოპოსისა, რომელი იყო ძმ სოკრატისი, მთავარი ათენელთა, რომელსა ეწოდა ქალაქი ბრძენთა, გამოსცა პ. პეტერსმა: *Analecta Bollandiana*, 39, 1921.
- დ. სჯ. კან. დიდი სჯულისკანონი, გამოსცეს ე. გაბიძაშვილმა, ე. გონაშვილმა, მ. დოლაქიძემ, გ. ნინუამ, 1975.
- ებისტ. (აპოკრ.) ებისტოლე: ძველი აღთქმის აპოკრიფების ქართული ვერსიები (X—XVIII სს. ხელნაწერთა მიხედვით), გამოსცა ც. ქურციკიძემ, I, 1970.

- ებ. ანტ. ებისტოლე ანტონისი, გამოსცა ჟ.გარიტმა: CSCO, vol. 148, *Scriptores Iberici*, t. 5, Louvain, 1955.
- ებრ. პველე მოციქულისა წიგნი ებრაელთა მიმართ: იხ. გალატ.
- ეკსტ. მარტულობა და მოთმინება წმიდისა ეესტათი მცხეთელისა. დამოწმებულია 2 გამოცემის მიხედვით: ი. იმნაიშვილისა (ქართული ენის ისტორიული ჟრესტომათა, ტ. I, ნაწ. I, 1970, გვ. 144—156) და ი. აბულაძის რედაქციით (ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, 1964, გვ. 30—45).
- ებეკ. წინაწარმეტყუელება ებეკელისი. დამოწმებულია ორი გამოცემის მიხედვით: რ. ბლეიკისა და მ. ბრიერისა (*Patrologia Orientalis*, XXIX/3, Paris, 1961) და თ. ციტიშვილისა (ებეკელის წიგნის ძველი ქართული ვერსიები, 1976).
- ებზა. წიგნი ეზრადისი. სხვადასხვა შემთხვევაში დამოწმებულია ოშკის ბიბლიის ხელნაწერიდან, ლაგურკის ლექციონარის მიხედვით და ც. ქურციკიძის გამოცემის მიხედვით (ძველი აღთქმის აპოკრიფების ქართული ვერსიები, I, 1970).
- ებზა ზორ. წიგნი ეზრა ზორობაბელისი (წიგნი მეორე ეზრასი): ძველი აღთქმის აპოკრიფების ქართული ვერსიები, I, გამოსცა ც. ქურციკიძემ, 1970.
- ებზა სუთ. წიგნი ეზრა სუთიელი (წიგნი მესამე ეზრასი): იხ. ეზრა ზორ.
- ეკლ. ეკლესიასტე სოლომონისა: თარგმანება ეკლესიასტისა, მიტროფანე ზმვრინელ მიტროპოლიტისა, გამოსცა კ. კეკელიძემ, 1920.
- ეპისტ. იაკ (ან: იაკ.) კათოლიკე ეპისტოლმ იაკობისი: კათოლიკე ეპისტოლეთა ქართული ვერსიები (X—XIV სუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით), გამოსცა ქ. ლორთქიფანიძემ, 1956.
- ეპისტ. იუდ. კათოლიკე ეპისტოლმ იუდაისი: იხ. ეპისტ. იაკ.
- ეპისტ. პეტრ. (ან: პეტრ.) კათოლიკე ეპისტოლმ პეტრასი: იხ. ეპისტ. იაკ.
- ეპ. კვპრ. -დაფლ. თქმული... ეპოფანე კვპრელ მთავარეპისკოპოსისა და ლაღრთოთა ყორცთა ... იესუ ქრისტესთა დაფლვისათვის: იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა კოლექციის N4 ხელნაწერი, გვ. 92v—100v.
- ეს. წინაწარმეტყუელება ესაიასი, გამოსცეს რ. ბლეიკმა და მ. ბრიერმა: *Patrologia Orientalis*, XXIX/3, Paris, 1961.
- ესთ. წიგნი ესთერისი: იხ. ეზრა.
- ეტ. კ. კეკელიძე, ეტიოდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან: ტ. II (1945), III (1955), VI (1960), VII (1961), VIII (1962).
- ეფეს. პველე მოციქულისა წიგნი ეფესელთა მიმართ: იხ. გალატ.
- ექუსთ. ბასილი დიდი, ექუსთა დღეთა, გამოსცა მ. კახაძემ: მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. II (25), 1946.
- ვარ. წამება წმიდისა ვაროზისი: ხელნ. ინსტიტუტის H-341 ხელნ., გვ. 802—824. ვეფხისტყაოსანი, 1966 წ. გამოცემა ა. შანიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით.
- ვზარზმ. ცხობება და მოქალაქობა ღმერთ-შემოსილისა ნეტარისა მამისა ჩუენისა სერაპიონისი. დამოწმებულია 3 გამოცემის მიხედვით: 1) კ. კეკელიძე, აღრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, 1935, გვ. 147—182; 2) ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, 1964, გვ. 319—347; 3) ი. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ჟრესტომათა, ტ. I, ნაწ. I, 1970, გვ. 189—202 (შემოკლ.).

- ზაქ. (წიგნი) ზაქარია წინაწარმეტყუელისა: იხ. აბღ.
- ზორ. წიგნი სიბრძნისა ისუ ზორაქისი: იხ. ეზრა.
- თარგმ. გამოცხ. ანდრია კაბადუციელი, თარგმანება იოვანსი გამოცხადებისა, გამოსცა ი. იმნაიშვილმა (ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 7, 1961, გვ. 37—115).
- თარგმ. ქებ. ქებ. თარგმანებაი ქებისა ქებათაისაი, გამოსცა ა. შანიძემ, 1924.
- თეოდ. წამება წმიდათა მოწამეთა თეოდოროსი და ივლიანოსი და ევბულოსი და სალამონესი, გამოსცა პ. პეტერსმა: *Analecta Bollandiana*, ტ. 44, 1926.
- თეკლა წამება წმიდისა თეკლასი, გამოსცა ი. აბულაძემ: ენიქის მოაბე, 8, 1940, გვ. 91—124.
- თესალ. პველ მოციქულისა წიგნი თესალონიკელთა მიმართ: იხ. გალატ.
- თუალთ. ეპიფანე კვირელისა თქემული ... ათორმეტთა მათ თუალთათვს, გამოსცა რ. ბლეიკმა (*Studies and Documents*, London, 1934).
- თუშ თბილისის უნივერსიტეტის შრომები.
- ი. სახარება იოვანსი: ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შტაბერდული ხელნაწერის მიხედვით, გამოსცა ა. შანიძემ, 1945 (ძველი ქართული ენის ძეგლები. 2).
- იაკ. = ეპისტ. იაკ.
- იეავ. იეავნი სოლომონისნი: იხ. ეზრა.
- იოუ-ე გიორგი მთაწმიდელი, ცხორება იოვანესი და ეფთემესი, გამოსაცემად დაამზადა ი. ჯავახიშვილმა (ძველი ქართული ენის ძეგლები. 3).
- იერ. წინაწარმეტყულებამ იერემიასი, გამოსცეს რ. ბლეიკმა და მ. ბრიერმა: *Patrologia Orientalis*, XXIX/4, Paris, 1961.
- ივღ. წიგნი ივლითისი: იხ. ეზრა.
- იკე იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება.
- ილარ. ცხორება წმიდისა და ნეტარისა ილარიონისი, გამოსცა ე. ბასილაშვილმა: ძქქკმ, 25, 1984.
- იობ წიგნი მეცხრამ იობისი: წიგნი ძუელისა აღთქმისანი, ტ. I, ნაკვ. 2, გამოსცა ა. შანიძემ, 1948 (ძველი ქართული ენის ძეგლები. 4).
- იოველ (წიგნი) იოველ წინაწარმეტყუელისა: იხ. აბღ.
- იოვ. (ან: კათ. იოვ.) კათოლიკე ეპისტოლამ იოვანსი: იხ. ეპისტ. იაკ.
- იონა წინაწარმეტყულებამ იონასი, ლავურკის ხელნაწერის მიხედვით გამოსცა ი. იმნაიშვილმა (ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I, ნაწ. I, 1970, გვ. 122—125); ოშკური და იერუსალიმური ხელნაწერების მიხედვით გამოსცეს რ. ბლეიკმა და მ. ბრიერმა (*Patrologia Orientalis*, XXIX/4, Paris, 1961).
- იპოლ. ნეტარისა იპოლიტის თქემული თარგმანებაი ქებაი ქებათაი, გამოსცა ნ. მარამა: TP, 3, СПб., 1901.
- ისტ. ქრ. ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, გამოსცა ი. იმნაიშვილმა: I, (1970, შესამე გამოცემა), II (1963).
- ისუ ნ. წიგნი ისუ ნავსი: იხ. ეზრა.
- იულა = ეპისტ. იულ.
- კათ. იოვ. = იოვ.
- კომ. კომენი, ქართული საგეოგრაფული ძეგლები, გამოსცა კ. კეკელიძემ: I (1918),

II (1946).

- კლემასი კლემასი, გამოსაცემად მოამზადა მ. ცინცაძემ.  
 კერიაკისათვის თქმული ევსები პრობოა პაპისა და ყოველთა კერიაკეთათვის: თ. ჭყონა, ევსები ალექსანდრიელის სიტყვა "კერიაკისათვის და უწესოდ მომღერათათვის" ... ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, 2, 1960.
- კოლას. პავლე მოციქულის წიგნი კოლასელთა მიმართ: იხ. გალატ.  
 კორ. პავლე მოციქულის წიგნი კორინთელთა მიმართ: იხ. გალატ.  
 კოსტ. ცხორება და წამება კოსტანტი ქართველისა: იხ. აბ. ნეკრ.  
 კურთხ. იაკ. წმიდისა იპოლიტეს თქმული კურთხევათა მათთვის იაკობისთა, ვითარ იგი ათორმეტნი ნახატნი აკურთხნა, გამოსცეს მ. ბრიერმა, ლ. მარიემ და შ. შერსიემ (*Patrologia Orientalis*, XXVII/1—2, Paris, 1954).
- კურთხ. მოს. იპოლიტეს განმარტება კურთხევათა მათთვის მოსესთა ათორმეტთა მიმართ ნათესავთა: იხ. კურთხ. იაკ.
- ლ. სახარება ლუკადისი: იხ. ი.  
 ლავ. ლავურკის ლექციონარი (X ს.)  
 ლატ. ლატალის ლექციონარი (X ს.)  
 ლევ. წიგნი მესამე ლევიტელთა: იხ. იობ.  
 ლიმ. იოანე მოსხი, ლიმონარი, გამოსცა ი. აბულაძემ, 1960.  
 ლიტ. ქრ. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, შედგენილი ს. ყუბანეიშვილის მიერ, 1946.
- მ. სახარება მათსი: იხ. ი.  
 მაკაბ. წამება შედთა ყრმათა მაკაბელთა, გამოსცა ი. იმნაიშვილმა: ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. 23, 1980, გვ. 29—39.
- მალაქ. წინაწარმეტყულება მალაქიასი: იხ. აბლ.  
 მამ. ცხორ. მამათა ცხორებანი (ბრიტანეთის მუზეუმის ქართული ხელნაწერი XI საუკუნისა), გამოსცა ვ. იმნაიშვილმა, 1975.
- მატ. ქართ. მატანე ქართლისა: ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი, ქართული ტექსტი და ძველი სომხური თარგმანი გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ი. აბულაძემ, 1953, გვ. 211—232.
- მეფ. წიგნი მეფეთა 1, 2, 3, 4 (ოშკის ბიბლიის მიხედვით).  
 მიქ. წინაწარმეტყულება მიქაიასი: იხ. აბლ.  
 მიცვ. ნაწ. სტეფ. მიცვლებად ნაწილთა წმიდისა სტეფანოსთა პირველ-დიაკონისა და პირველ-მოწამისა, იერუსალმით კოსტანტინეპოლის, გამოსცა ნ. მარმა: *Patrologia Orientalis*, XIX/5, 1926, გვ. 671—689 (47—65).
- მოდრ. მიქელ მოდრეკილის საგალობლების კრებული (კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი S-405)
- მოქ. მოქცევა ქართლისა. სხვადასხვა ადგილას დამოწმებულია შემდეგი გამოცემების მიხედვით: 1) ე. თაყაიშვილი, *Описание рукописей*, т. II, вып. 4, 1906—1912, გვ. 708—813 = *СМОНПК*, ტ. 41, გვ. 48—96; ტ. 42, გვ. 1—57; 2) ი. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I, ნაწ. I, 1970, გვ. 226—235 (შემოკლებით); 3) ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, 1964, გვ. 81—163.
- მოც. საქმე მოციქულთა, გამოსცა ი. აბულაძემ, 1949 (ძველი ქართული ენის ძეგლები. 7). ზოგჯერ დამოწმებულია ე. გარიითის გამოცემის მიხედვითაც: საქმე

მოციქულთა, ორი სინური ხელნაწერის მიხედვით (*L'ancienne version géorgienne des Actes des Apôtres d'après deux manuscrits du Sinai* (Bibliothèque du Muséon, 38, 1955).

მრ. სახარება მარკოზისი: იხ. ი.

მრავ. მრავალთავი (ტექსტები), ნაკვეთი I, გამოსცა ი.აბულაძემ (ენიქოს მოაბზე, 14, 1944, გვ. 255—316).

მსაჯ. წიგნი მეშვიდე მსაჯულთაი: იხ. ლევ.

მც. სჯ. კან. მცირე სჯულისკანონი, გამოსცა ე.გოუნაშვილმა, 1972.

მ. ცხ. მამათა ცხოვრება, ხელნ. A-1105 (XI ს.)

ნაუმ წინაწარმეტყუელება ნაუმისი: იხ. აბლ.

ნეემ. წიგნი ნეემიაისი: იხ. ეზრა.

ნეკრ. = აბ. ნეკრ.

ნოვ. შუა საუკუნეების ნოველების ძველი ქართული თარგმანები, I (1966), II (1974), გამოსცა მ.დეალმა.

ოსე წინაწარმეტყუელება ჰსესი: იხ. აბლ.

ოშკ. ქართული ბიბლიის ოშკური (ათონური) ხელნაწერი 978 წლისა.

პალეოგრ. ი.აბულაძე, ქართული წერის ნიმუშები (პალეოგრაფიული ალბომი), 1949.

პარიზ. პარიზული ლექციონარი (X—XI სს.), მითითებულია ხელნაწერის გვერდები, ამჟამად ნაწილი გამოცემულია (ქართული ლექციონარის პარიზული ხელნაწერი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს კ.დანელიამ, სტ.ჩხენკელმა და ბ.შავიძემა, 1987).

პარზ. პარზლის მრავალთავი (A-95, X ს.).

პეტრ. = ეპისტ. პეტრ.

პეტრიწ. ტიპ. გრიგოლ ბაკურიანისის ტიპიკონი, გამოსცა მ.თარხნიშვილმა (CSCO, vol. 143, *Scriptores Iberici*, t. 3, Louvain, 1954); ზოგჯერ დამოწმებულია ა.შანიძის გამოცემის მიხედვითაც: პეტრიწონის ქართველთა მონასტრის ტიპიკონი, გამოსცა ა.შანიძემ: ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი, 1971 (ძველი ქართული ენის ძეგლები. 13), გვ. 61—129.

პროკოპი წამება წმიდისა და ყოვლად ქებულისა ლუწლით შემოსილისა პროკოპისი (A-1103, 1011—1019 წწ., გვ. 256r—279v).

პ. ლაზ. ცხოვრება წმიდისა პორფირი ლაზელ ეპისკოპოსისა. რომელი აღწერა მარკოზ დაკონმან ლაზას შინა ქალაქსა ფილისტიმისასა, გამოსცა პ.პეტერსმა (*Analecta Bollandiana*, 59, 1941).

რიფს. წამება წმიდისა რიფსიმესი და გაიანესი და მოყუასთა მისთაი, გამოსცა ი.აბულაძემ (ხელნაწერთა ინსტიტუტის მოაბზე, 2, 1960, გვ. 160—177).

რიცხ. რიცხუთაი, ნაწყევტი ძველი ქართული ბიბლიიდან, გამოსცა ი.აბულაძემ (ქართული ბიბლიის ძველი ხელნაწერის რამდენიმე ფურცელი: თუშ, 18, 1941, გვ. 153—157).

რუთ წიგნი მერვედ რუთისი: იხ. იობ.

რუსულ. რუსულანანი (ი.აბულაძისა და ი.გოგინიშვილის რედაქციით), 1957.

საბა ას. ცხოვრება საბა ასურისაი, გამოსცა ს.ჯანაშიამ: არილი, 1926.

საკ. წ. საკითხავი წიგნი ძველ ქართულ ენაში, I (1963), II (1966), გამოსცა ი.იმნაიშვილმა (ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 8, 10).

- სას. პ. ძველ-ქართული სასულიერო პოეზია, გამოსცა პ. ინგოროყვამ, 1913.
- სახ. მკეცთათვის სახის სიტყუა, წიგნთაგან თქუმული წმიდისა ბასილი ეპისკოპოსისა კესარიელისა. დამოწმებულია ორი გამოცემის მიხედვით: 1) ნ. მარისა (TP, 6, СПб., 1904) და 2) ი. იმნაიშვილისა (ქართული ენის ისტორიული ჟურნალი, ტ. I, ნაწ. I, 1970, გვ. 135—141).
- სბსტ. წამება წმიდათა ორმოცთა, რომელნი იწამენ სებასტია ქალაქსა: ი. აბულაძე, ქართულ-სომხური ფილოლოგიური შტუდიები, "მრავალთავის" ზოგიერთი თავის წყარო. IV. მარტვლობა ორმოცთა (ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, 4, 1962, გვ. 111—144).
- ს. გაბ. თქუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა სებერანე გაბალოვნელ ეპისკოპოსისა, მოციქულთა საკსენებელი: ი. აბულაძე, ქართულ-სომხური ფილოლოგიური შტუდიები, "მრავალთავის" ზოგიერთი თავის წყარო. V. სებერანე გაბალოვნელი, მოციქულთა საკსენებელი (ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, 5, 1963, გვ. 85—102).
- სვან. სვანური მრავალთავი (A-19, X ს.).
- სიბრძ. სიბრძნე სოლომონისი: იხ. ეზრა.
- სინ. სინური მრავალთავი 864 წლისა, ა. შანიძის რედაქციით, 1959 (ძველი ქართული ენის კათედრის შრომები. 5).
- ს. მეს. ცხორება და განგება წმიდისა სვიმონ მესუეტისა და საკრველთმოქმდისა, რომელი იყო დამკვრებულ მთასა ზედა ჰალაბისასა, გამოსცა ე. გარიტმა (CSCO, vol. 171, Scriptorum Iberici, t. 7, Louvain, 1967).
- სმამ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე.
- სოფ. წინაწარმეტყუელებად სოფონიადისი: იხ. აბღ.
- სპეეს. წამება წმიდათა მოწამთა სპეესიძისი, ელასიძისი და მელასიძისი სოფელსა კაბადუციელთასა, გამოსცა ნ. მარმა: ЗВОИРАО, т. 17, вып. II—III, СПб., 1906.
- სწავ. მამათა სწავლანი (X—XI საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით), გამოსცა ი. აბულაძემ, 1955 (ძველი ქართული ენის ძეგლები. 8).
- სწავლ. ირანე ოქრობ. სწავლა წმიდისა მამისა ჩუენისა იოვანე ოქროპირისა: A-1101 (1047 წ.), 196r—198v.
- ტ. ანტ. ტიმოთე ანტიოქელი, უცნობი სირიელი მოღვაწე VIII საუკუნისა, გამოსცა კ. კეკელიძემ: ენიშის მოამბე, 7, 1940.
- ტიმ. ტიმოთის მიმართ ეპისტოლმ პავლსი, 1, 2: იხ. გალატ.
- ტირიჯ. ყრმათა ორთა ძმათა დავითისი და ტირიჭანისი საკითხავი: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, 1964, გვ. 186—191.
- ტიტ. პავლე მოციქულისა წიგნი ტიტსსა მიმართ: იხ. გალ.
- ტობ. წიგნი ტობიადისი: იხ. ეზრა.
- ტუმ ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე
- უდაბ. უდაბნოს მრავალთავი (A-1109, IX—X ს.)
- ურთ. ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX—X სს-ში, გამოსცა ი. აბულაძემ, 1944.
- ურპ. ცხორება და განგება წმიდისა იოვანე ურპელისა კათალიკოსისა, დამოწმებულია ორი გამოცემის მიხედვით: 1) კ. კეკელიძისა (Христианский Восток, т. II, вып. III, 1913 = ეტიუდები, VII, გვ. 114—129); 2) ე. იმნაიშვი-



ლისა (მამათა ცხორებანი, 1975, გვ. 234—243).

- უპვ. რედ. უძველესი რედაქციები ბასილი კესარიელის "ექუსთა ღლეთასა" და გრიგოლ ნოსელის თარგმანებისა "კაცისა აგებულებისათვის", გამოსცა ი.აბულაძემ, 1964.
- ფებრ. წამება წმიდისა ფებრონიასი: Sin. 6 (982 წ.), ფ. 184r—200v.
- ფილოპ. პავლე მოციქულისა წიგნი ფილიპელთა მიმართ: იხ. გალატ.
- ფს. ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები, გამოსცა მ. შანიძემ.
- ფსევდომაკ. ფსევდომაკარის თხზულებათა ქართული ვერსია, გამოსცა გ. ნინუამ, 1982.
- ფს. ცნობ. ცნობისათვის და უწყებისათვის ჭეშმარიტად: იხ. ფს. (გვ. 461—466).
- ქებ. ქება ქებათა, გამოსცა ა. ცაგარელმა: Сведения о памятниках грузинской письменности, вып. I, СПб., 1886.
- ქებ. წმ. სტეფ. ქება წმიდისა სტეფანოსი პირველდაკონისა და პირველმოწამისა. გამოსცა ნ. მარამა: Patrologia Orientalis, XIX/5, 1926, გვ. 706—714 (82—90).
- ქველ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი.
- ქესს ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები.
- ქრისტეფ. წამება წმიდისა ქრისტეფორასი და მის თანა მოწამეთა ბევრთა და ორას და სამთა და ორთა დელათა კალენიკსი და აკვლინაისი, რომელნი იწამნეს ღლეთა ლეკოზ მეფისათა, გამოსცა კ. კეკელიძემ: ეტ. VIII, 1962, გვ. 186—199.
- ქრისტინ. წამება წმიდისა ქრისტინაისი, გამოსცა კ. კეკელიძემ: ეტ. III, 1955, გვ. 183—196.
- ქ. ცხ. ქართლის ცხოვრება, I (1955), II (1959), გამოსცა ს. ყაუხჩიშვილმა.
- შატბ. შატბერდის კრებული (X საუკუნისა), გამოსცეს ბ. გივინიშვილმა და ე. გიუნაშვილმა, 1979.
- შუშ. წამება წმიდისა შუშანიკისი ღვთაფლისა. სხვადასხვა შემთხვევაში დამოწმებულია სამი გამოცემის მიხედვით: 1) მარტველობა შუშანიკისი, 1938, გამოსცა ი. აბულაძემ; 2) ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, 1964, გვ. 11—29; 3) ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I, ნაწ. I, 1970, გამოსცა ი. იშნაიშვილმა, გვ. 133—143.
- შუშ. ბ მარტველობის მოკლე წიგნი: მარტველობა შუშანიკისი, გამოსცა ი. აბულაძემ, 1938, გვ. 49—53.
- ცხ. ანტ. ათანასი აღექსანდრელი, ცხორება წმიდისა ანტონისი, გამოსცა ვ. იშნაიშვილმა, 1970 (ძველი ქართული ენის კათედრის შრომები. 12).
- ცხ. ევრ. ცხორება და განგება წმიდისა მამისა ჩუენისა უდაბნოდა მთიებისა და მონაზონთა მოძღურისა ევრემისი, გამოსცა ფ. გარითმა: CSCO, vol. 171, Scriptores Iberici, t. 7, Louvain, 1967.
- 4 ძველი ძველი ქართული მწერლობის ოთხი ძველი (X—XII საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით), 1965.
- ძქექშ თბილისის უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრის შრომები.
- წარტყ. ანტიოქ სტრატეიკი, წარტყუენვა იერუსალემისა, გამოსცა ნ. მარამა: TP, 9, СПб., 1909.
- წამ. ვკ. წამება წმიდისა ეკატერინაისი, რომელ იყო ასული კოსტო მეფისა: Sin. 6, გვ. 211r—219v.

- წამ. პეტრ. ვსენებაი წმიდათა მოციქულთა პეტრესი და პავლესი ჰრომეს შინა უწინარის რვისა დღისა ვარდობისა, წამებაი პეტრესი, გამოსცა ნ.მარმა: Patrologia Orientalis, XIX/5, 1926, გვ. 715—725 (91—101).
- წამ. სტეფ. ვსენებაი პირველ-დაკონისა და პირველ-მოწამისა სტეფანსი, საკითხავი, წამებაი მისი, გამოსცა ი.იმნაიშვილმა: ქართული ენის ისტორიული ჟურნალი, ტ. I, ნაწ. II, 1970, გვ. 244—247.
- ჟილ-ეტრ. ჟილ-ეტრატის იადგარი (H-2123, X ს.), გამოსცეს ა.შანიძემ, ა.მარტიროსოვმა და ა.ჯიშიაშვილმა, 1977.
- ხანმ. ლექს. ხანმეტი ლექციონარი, გამოსცა ა.შანიძემ, 1944 (ძველი ქართული ენის ძეგლები. I).
- ხანმ. მანვ. ხანმეტი მრავალთავი, გამოსცა ა.შანიძემ: ტუმ, 7, 1927, გვ. 98—159.
- ხანძთ. გიორგი მერჩულე, შრომაი და მოღვაწეობა ღირსად ცხოვრებისაი წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი არქიმანდრიტისაი, ხანძთისა და შატბერდისა აღმაშენებელისაი და მის თანა ვსენებაი მრავალთა მამათა ნეტართაი. სხვადასხვა შემთხვევაში დამოწმებულია შემდეგი გამოცემების მიხედვით: 1) ნ.მარისა (ТР, 7, СПб., 1911, გვ. 1—82); 2) ს.ყუბანიშვილისა (ძველი ქართული ლიტერატურის ჟურნალი, I, 1946, გვ. 99—156); 3) ი.იმნაიშვილისა (ქართული ენის ისტორიული ჟურნალი, ტ. I, ნაწ. I, 1970, გვ. 203—226, შემოკლებით); 4) ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, 1964, გვ. 248—319).
- ხრონ. ხრონოლოგიი გიორგი ამარტოლისაი, 1920, გამოსცა ს.ყუბანიშვილმა.
- ჰაგ. მას. Н.Март, Агиографические материалы по грузинским рукописям Ивера: ЗВОИРАО, т. 13, СПб., 1901.
- ჰაუმ. ტექსტ. ა.შანიძე. ჰაუმეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის იტორიისათვის: ტუმ, 3, 1923.
- ჰრომ. პავლე მოციქულისა წიგნი ჰრომაელთა მიმართ: იხ. გალატ. ძველი აღთქმის წიგნებთან ნახმარ ლიტერებს შემდეგი მნიშვნელობა აქვთ:
- G გელათის ბიბლია, კ.აკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის A-1108 და Q-1152 ხელნაწერები.
- I იერუსალიმის ბიბლია, იერუსალიმის საკატორიარქო ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა კოლექციის N7/11 ხელნაწერი (XII ს.).
- MI კ.აკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის A-51 ხელნაწერი.
- O ოშკის ბიბლია, ათონის ივერთა მონასტრის ქართული კოლექციის N1 ხელნაწერი.
- pb ბაქარის ბიბლია, ქართული ბიბლიის 1743 წლის მოსკოვური გამოცემა.
- თბილ. ქართული ბიბლიის 1884 წლის ტფილისური გამოცემა.  
სახარების ტექსტის შემოკლებებთან (მ., მრ., ლ., ი.) მიწერილ ლათინურ ასოებს შემდეგი მნიშვნელობა აქვთ:
- A ოპიზის (ათონის) ოთხთავი (913 წ.).
- B ტბეთის ოთხთავი (995 წ.).
- C ადიშის ოთხთავი (897 წ.).
- D ჯრუჭის ოთხთავი (936 წ.).
- E პარხლის ოთხთავი (973 წ.).
- F ურბნისის ოთხთავი (XI ს. I ნახევრისა).

- G** პალესტინური ოთხთავი (1048 წ.).  
**H** ვანის ოთხთავი (XII ს.).  
**I** ეზმაძინის ოთხთავი.  
**K** გელათის ოთხთავი.  
**L** ქსნის ოთხთავი (X ს.).  
**M** მესტიის ოთხთავი (1033 წ.).  
**N** ალავერდის ოთხთავი (1054 წ.).  
 ამას გარდა  
**X** ხანმეტი ლექციონარის ტექსტი (=ძველი ქართული ენის ძეგლები.1).  
**Y** ხანმეტი ტექსტები, გამოცემული ი.ჯავახიშვილის მიერ (მისი "ქართული პალეოგრაფია", 1949, მეორე გამოცემა).  
**Z** ჰემეტი ტექსტები, გამოსცა ა.შანიძემ (ტუმ, 3, 1923).  
**Записки, ЗВОИРАО** Записки Восточного Отделения Императорского Русского Археологического Общества.  
**Материалы б. ჰაგ. მას.**  
**Опис.** Н.Марр, Описание грузинских рукописей Синайского монастыря, Ленинград, 1940.  
**Перг.** Н.Марр, Описание пяти пергаментных рукописей: ЗВОИРАО, т. 13, вып. II—III, 1901.  
**СМОМПК** Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа.  
**ТР** Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, გამოსცა ბ.მარმა: 2 (1900), 6 (1904), 7 (1911), 9 (1909).  
**CSCO** Corpus Scriptorum Christianorum Orientalium.  
**PO** Patrologia Orientalis.

## შინაარსი

IX. ასპექტი . . . . .	421
X. ქვევა . . . . .	429
A. საარვისო ქვევა . . . . .	434
a. ნულიანი საარვისო . . . . .	434
b. ანიანი საარვისო . . . . .	440
B. სათავისო ქვევა . . . . .	445
C. სასხვისო ქვევა . . . . .	451
a. სასხვისო ქვევის ნიშნები . . . . .	451
b. სასხვისო ქვევის თავისებური ზმარება ძველ ქართულში . . . . .	454
XI. კონტაქტი . . . . .	461
XII. ფუძემონაცვლე ზმნები . . . . .	479
A. შენაცვლება რიცხვში . . . . .	480
B. შენაცვლება მწკრივებში . . . . .	496
C. ორმაგი შენაცვლება—მწკრივებსა და რიცხვში . . . . .	501
D. შენაცვლება გვარში . . . . .	504
E. პარალელური (სინონიმური) შენაცვლება . . . . .	517
XIII. რთული ზმნები . . . . .	521
XIV. საწყისი . . . . .	559
A. საწყისის ზმნური კატეგორიები . . . . .	560
წ. რიცხვი . . . . .	560
ყ. გეზი . . . . .	565
ქ. ორიენტაცია . . . . .	566
შ. გვარი . . . . .	567
B. საწყისის სახელური კატეგორიები . . . . .	576
წ. ბრუნვები . . . . .	577
ყ. პრაელობითი რიცხვი . . . . .	602
C. საწყისის წარმოება . . . . .	605
წ. -ა სუფიქსიანი საწყისები . . . . .	605
ყ. -ილ სუფიქსიანი საწყისები . . . . .	622
ქ. -სი პრეფიქსიანი საწყისები . . . . .	629
შ. პრეფიქს-სუფიქსიანი საწყისები . . . . .	629
წ. თემის ნიშანთა შეცვლა საწყისებში . . . . .	649
D. ნასახელარი ზმნების საწყისები . . . . .	707
E. გაარსებითებული საწყისები . . . . .	726
F. უსაწყისო ზმნები . . . . .	726
XV. მიმლეობა . . . . .	733
A. მ-პრეფიქსიანი მიმლეობები . . . . .	734

B. ნა- პრეფიქსიანი მიმღებები . . . . .	751
C. სა- პრეფიქსიანი მიმღებები . . . . .	757
D. უ- პრეფიქსიანი მიმღებები . . . . .	762
E. ილ- სუფიქსიანი მიმღებები . . . . .	767
F. ულ- სუფიქსიანი მიმღებები . . . . .	769
ძირითადი შემოკლებანი . . . . .	774